საღვთისმეტყველო-სამეცნიერო

შ რ ო მ ე ბ ი

X-XI

TBILISI THEOLOGICAL ACADEMY

THEOLOGICAL-SCIENTIFIC

W O R K S

X-XI

TBILISI THEOLOGICAL ACADEMY AND SEMINARY
PUBLISHING HOUSE

Tbilisi
2020

თბილისის სასულიერო აკადემია

საღვთისმეტყველო-სამეცნიერო

შ რ ო მ ე ბ ი

X-XI

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის
გამომცემლობა

თბილისი
2020

UDC (უაკ) 27-1
ს - 333

სარედაქციო კოლეგია:

პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე, დეკანოზი ბესარიონ ცინცაძე, არქიმანდრიტი სერაფიმე ჭედია, დეკანოზი ბიძინა გუნია, დეკანოზი მიქაელ გალდავა, დეკანოზი ბესარიონ მენაბდე, დეკანოზი მაქსიმე ჭანტურია, დეკანოზი გიორგი გუგუშვილი, დეკანოზი შალვა კეკელია, დეკანოზი ლონგინოზ სუარიშვილი, არქიდიაკონი დემეტრე დავითაშვილი, სერგო ვარდოსანიძე, გვანცა კოპლატაძე, მაია რაფავა, ლელა ხაჩიძე.

Editorial Board:

Protopresbyter Giorgi Zviadadze, Archpriest Besarion Tsintsadze, Archimandrite Seraphim Chedia, Archpriest Bidzina Gunia, Archpriest Michael Galdava, Archpriest Besarion Menabde, Archpriest Maxime Chanturia, Archpriest Giorgi Gugushvili, Archpriest Shalva Kekelia, Archpriest Longinos Suarishvili, Archdeacon Demetre Davitashvili, Sergo Vardosanidze, Gvantsa Koplatadze, Maia Raphava, Lela Khachidze

რედაქტორი: **ედიშერ ჭელიძე**
ფილოლოგიის და თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი

Editor: **Edisher Chelidze**
Doctor of Philology and Theology, Professor

რეცენზენტი: **ანა ჭუმბურიძე**
ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

Reviewer: **Anna Chumburidze**
Doctor of Philology, Professor

რედაქციის მისამართი: თბილისი, სიონის ქ. №13/40,
ტელ.: +995 32 2 98 91 16.

Address of Editorial Board: 13/40 Sioni str. Tbilisi,
tel.: **ტელ.: +995 32 2 98 91 16.** *Email:* info@tsas.ge

© თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა

ISSN 2298-0342

შ ი ნ ა ა რ ს ი

ღ ვ თ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ებ ა

პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე

- ამაღლების დღესასწაულისადმი მიძღვნილი ერთი ჰომილიის უძველესი ქართული თარგმანი ---------- **9**

ე გ ზ ე გ ე ტ ი კ ა

ირაკლი ორჟონია

- ძველი აღთქმის თეოფანიები და მათი საეკლესიო ეგზეგეზისი ---------- **36**

ს ა ე კ ლ ე ს ი ო ლ ი ნ გ ვ ი ს ტ ი კ ა

მაია რაფავა

- საღვთო სახელთა გრამატიკული ართრონის შესახებ თეოდორე აბუკურას ერთ ტრაქტატში ---------- **123**

ა ნ გ ე ლ ო ლ ო გ ი ა

მირიან გუნია

- დაცემული ანგელოზის «მთიებად» სახელდების შესახებ ----- **144**

ს ა ე კ ლ ე ს ი ო ფ ი ლ ო ლ ო გ ი ა

ლაშა ტყებუჩავა

- ევაგრე პონტოელის შრომა «ბოროტების რვა სულის შესახებ» და მისი წმ. ექვთიმე ათონელისეული თარგმანი - **183**

საეკლესიო ისტორია

ედიშერ ჭელიძე

- წმ. მელქისედეკ კათოლიკოს-პატრიარქის ანდერძისა და ე. წ. «მცხეთის აღაპის» შესახებ ---------- **265**

ლიტურგიკა

დეკანოზი ბიძინა გუნია

- კომენტარები საპასექო თხზულების «საუკუნო კალენდრის» ფრაგმენტებზე ---------- **283**

ასკეტიკა

მღვდელი იოანე ბონდარენკო

- იოანე სინელის «კლემაქსის» გელათური თარგმანის მეოთხე თავი: «მორჩილებისათჳს» ---------- **328**

ჰომილეტიკა

ლაშა ტყებუჩავა

- «სტოდიერის» წმ. გიორგი მთაწმინდელისეული თარგმანი --- **417**

პატრისტიკული ეპისტოლოგრაფია

რატი სტურუა

- წმ. მარკოზ მონაზონის ასკეტური ეპისტოლის ძველი ქართული თარგმანი ---------- **572**

საეკლესიო პოლემიკა

ედიშერ ჭელიძე

- აქვს თუ არა მამა-ღმერთს არსებობა თავისი თავისგან? *(წმ. იოანე დამასკელის ერთი საღვთისმეტყველო გამონათქვამის შესახებ)* ---------- **612**

Contents

THEOLOGY

Protopresbyter Giorgi Zviadadze

- The Earliest Georgian Translation of a Homily dedicated to the Feast of the Ascension ---------- 9

EXEGETICS

Irakli Orjonia

- The Theophanies of the Old Testament and their Ecclesiastical Exegesis ---------- 36

ECCLESIASTICAL LINGUISTICS

Maia Rapava

- Concerning the Grammatical Arthron of Divine Names in One Treatise of Theodore Abucura ---------- 123

ANGELOLOGY

Mirian Gunia

- Concerning of Naming of the Fallen Angel as «Lucifer» («Mtiebi») ---------- 144

ECCLESIASTICAL PHILOLOGY

Lasha Tkebuchava

- The Treatise of Evagrius Ponticus «On the Eight Evil Spirits» and its Translation made by St. Euthymius the Athonite ---------- 183

ECCLESIASTICAL HISTORY

Edisher Chelidze

- Concerning the Will of st. Melchisedek Catholicos-Patriarch and the so called «agape [funeral feast] of Mcheta» ------ 265

LITURGICS

Archpriest Bidzina Gunia

- Comments on Fragments of Paschal Work «Eternal Calendar» ---------- 283

ASCETICS

Priest Ioane Bondarenko

- Fourth chapter «On Obedience» of Gelati Translation of Ladder by John Sinaites ---------- 328

HOMILETICS

Lasha Tkebuchava

- The Translation of «Stodieri» made by St. George the Athonite ---------- 417

PATRISTIC EPISTOLOGRAPHY

Rati Sturua

- The Old Georgian Translation of the Ascetic Epistle of st. Mark the Hermit ---------- 572

ECCLESIASTICAL POLEMICS

Edisher Chelidze

- **Does God-Father Have His Being from Himself?** (Concerning one theological expression of st. John of Damascus) ------ 612

პროტოპრესვიტერი **გიორგი ზვიადაძე**

ამაღლების დღესასწაულისადმი მიძღვნილი ერთი ჰომილიის უძველესი ქართული თარგმანი

მეათე საუკუნის «კლარჯულ მრავალთავში», რომელიც, როგორც ცნობილია, საზოგადოდ, უადრესი ეპოქის (V– VI სს-ის) თარგმანებს შეიცავს, დაცულია ამაღლების დღესასწაულისადმი მიძღვნილი ერთი ბოლონაკლული ჰომილია, რომლის ავტორადაც წმ. ათანასე ალექსანდრიელია მითითებული. ხსენებულ ჰომილიას ასეთი სათაური აქვს:

„თქუმული წმიდისა ათანასი ალექსანდრიელისაჲ, მთავარ-ეპისკოპოსისაჲ, ამაღლებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრის-ტჱსა“[1].

აღნიშნული ჰომილია განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საღვთისმეტყველო კუთხით, ვინაიდან მასში სულიერი თვალით არის განჭვრეტილი არა მხოლოდ ამაღლება მაცხოვრისა, არამედ, აგრეთვე, მისი მკვდრეთით აღდგომა, ისევე როგორც საეკლესიო მოძღვრებასთან დაკავშირებული სხვა უარსებითესი მოვლენები, რაც გულისხმობს ადამიანის შექმნას, ცოდვის დაცემას, მაცხოვრის მიერ კაცობრიობის

---

1 კლარჯული მრავალთავი, ტექსტი გამოსაცემად მოამზდა და გამოკვლევა დაურთო თ. მგალობლიშვილმა, თბ. 1991, გვ. 307.

გამოხსნას ანუ მეორე ადამის («სხუაჲ ადამ») მოვლინებას და საღვთო განგებულების აღსრულებას – ცოდვით დაცემულ ადამიანში თავდაპირველი ხატის განახლებას.

ხაზგასასმელია ისიც, რომ ძეგლში საღვთისმეტყველო საკითხები არაიშვიათად გადმოცემულია განსაკუთრებული გამომსახველობითი ფორმით, რაც მკითხველზე წარუშლელ კვალს ტოვებს. მაგალითისთვის, დავიმოწმებთ ჰომილიის სიტყვებს იმის შესახებ, თუ რა სახით განსწავლა მაცხოვარმა, ერთი მხრივ, ადამიანთა «მოკუდავი ბუნებაჲ», მეორე მხრივ კი – თვით სიკვდილი:

„და ასწავა ბუნებასა მოკუდავსა, რაჲთა იხედვიდეს საზღვარსა უკუდავებისასა და კუალად ასწავა სიკუდილსა, რაჲთა და-რე-ყუდნდეს მოსწრაფებისაგან თჳსისა“[1].

ამგვარივე შთამბეჭდაობით და გამომსახველობით აგვიწერს ჰომილიის ავტორი იმ მდგომარეობას, რაც მცნების დარღვევამ დაუმკვიდრა კაცთა მოდგმას. განსაკუთრებით საგულისხმოა უწყება იმაზე, რომ ცოდვით დაცემულობა თავად ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილმა ადამმა მოაწია საკუთარ თავზე ურჩობის გამო, რაც შემდგომ მისგან მემკვიდრეობით მიიღო კაცობრიობამ.

გამოთქმითი კუთხით არ შეიძლება განსაკუთრებული ყურადღება არ მივაქციოთ იმას, თუ რამდენად ზედმიწევნითაა წარმოჩენილი პირველცოდვის მიზეზები.

ვგულისხმობთ, კერძოდ, ძეგლის შემდეგ სიტყვებს:

„წარ-ვინმე-ვლო შორის მბრძოლმან, მასმენელმან ღმრთისამან, შურისათჳს დააჯერა და აცთუნა, იქმნა ცთომილი ნაწილ მისა და სნეულ ვნებითა წინააღდგომითა ღმრთისაჲთა, განიზრახა ფარულად ღმრთისა ზედა, განყო ჴელი მცნებათა ზედა ღმრთისათა. გამოუჩნდა ღმერთი, ამხილა სასოებაჲ შჯულისა გარდასლვისაჲ, ივლტოდა ხილვისაგან თავი იგი ნათესავისაჲ, უარ-ყვნა მხილებანი, დაიმალა ხესა ქუეშე ძგერისაგან, რომელი აჩრდილი არს ღმრთეებისაჲ, და განძარცუა იგი ღმერთმან ჴელმწიფებისაგან და განაჭენა სამოთხით კაცი იგი, ვითარმცა ესრჱთ ეტყოდა: არა ამის

[1] *იქვე, გვ. 309.*

სასოებისათჳს შემექმენ შენ და არცა ამისთჳს ჴელთა ჩემთა დაგბადეს შენ და თივჴ ბუნებად გამოგსახე. და შენ, ჴელი, რომელი ჩემგან მიიღე, მცნებათა ჩემთა ზედა განირათხ, იქმენ მასმენელისა მის თანამზრახვალ და შეჰკერბით დამბადებელისა ზედა. აწ გარდადეგ ჴელმწიფებისაგან, მიიცვალე ადგილისა მაგისგან პატიოსნისა. მიწაჲ ხარ და მიწადვე მიიქცე. მივედ მისა, ვინაჲთგან აზმენ უფროჲსსა შენსა. უკუნ-იქეც კუალად ბუნებად, ვითარმედ დედაჲ შენი ქუეყანაჲ არს და სიკუდილითა მისსავე მიივლინო“[1].

ვფიქრობთ, აღნიშნული მონაკვეთი უაღრესად საყურადღებოა როგორც საღვთისმეტყველო მწვდომელობის, ისე სახეობრივი მეტყველებისა და სტილური სპეციფიკის ასპექტით. მასში მეტად გრძნობადად, თვითგანცდითად არის წარმოჩენილი ის უკიდურესი უმადურობა, რაც ადამმა გამოიჩინა მისი შემქმნელისა და ყოველთა შემოქმედის მიმართ. იქვე, იმავე კონტექსტში უმკვეთრესადაა ხაზგასმული ღვთის ყოვლადსამართლიანობა და, შესაბამისად, მისმიერი მსჯავრის გარდაუვალობა ცოდვით დაცემულ ადამიანზე, რომელმაც ნაცვლად იმისა, რომ ყოვლადმოწყალე ღვთის მცნებას მინდობოდა და სასოება მისდამი ჰქონოდა, უკეთური ძალის მზაკვრულ დაპირებას ერწმუნა, რითაც უმძიმეს ცოდვაში აღმოჩნდა.

ესოდენ მნიშვნელოვანი ძეგლი, ცხადია, საგანგებო შესწავლას საჭიროებს. აღვნიშნავთ, რომ წინამდებარე კვლევის ფარგლებში ჩვენ არ ვეხებით ჰომილიის ავტორობის საკითხს, ვინაიდან ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ საკუთრივ იმ ფაქტს, რომ ხსენებული ძეგლი უძველეს პერიოდში (V-VI სს.) ითარგმნა ქართულად და შეტანილ იქნა დიდმნიშვნელოვან ჰომილეტიკურ კრებულში «მრავალთავი» ანუ იმგვარ ლიტურგიკულ ძეგლში, რომელიც შეიცავდა შესაბამის დღესასწაულზე მრევლის წინაშე საჯაროდ წასაკითხ ქადაგებებს. ვფიქრობთ, ეს გარემოება ხსენებული თარგმანის სულიერ მნიშვნელობას მკაფიოდ უსვამს ხაზს და მისი ტექსტობრივი შესწავლის აუცილებლობასაც თვალნათლივ გამოკვეთს ჩვენს წინაშე.

---

1 *იქვე, გვ.* **308.**

ამდენად, ჩვენი კვლევის უმთავრეს მიზანს მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს სწორედ იმის გარკვევა, თუ რამდენად ზედმიწევნითი სიზუსტით არის თარგმნილი ორიგინალის ტექსტი, ანუ როგორია ძველი ქართული თარგმანის ბერძნულ ორიგინალთან მიმართების საკითხი. ამასთანავე, მნიშვნელოვანია იმაზე დკვირვებაც, თუ რამ განაპირობა თარგმანის განსხვავებული წაკითხვები, კერძოდ, ეს განსხავებანი შედეგია მთარგმნელისეული ცთომილებისა, თუ საქმე გვაქვს გადამწერისეულ ხარვეზებთან.

ამრიგად, მითითებული კვლევითი მიზანდასახულობის ფარგლებში, შევეცდებით რაც შეიძება ნათლად წარმოვაჩინოთ, ერთი მხრივ, ჰომილიის ავტორის სწავლება მაცხოვრის ამაღლებასთან დაკავშირებით, ხოლო, მეორე მხრივ, სამეცნიერო აკრიბიის დაცვით ვაჩვენოთ ბერძნულ ორიგინალსა და ძველ ქართულ თარგმანს შორის არსებული განსხვავებანი.

ჰომილიის დასაწყისშივე მოცემულია განმარტება იმის შესახებ, თუ როგორ დაიძლია სიკვდილი განკაცებული მაცხოვრის ჯვარცმითა და აღდგომით. ბერძნულის სიტყვა-სიტყვითი თარგმანი ასეთია:

„რამეთუ არ ეგებოდა, რომ სიკვდილს, კაცობრივი მოდგმის შემპყრობელს, კვლავ სიკვდილის ადგილებში ემყოფებინა იგი“.

Οὐ γὰρ ἐχρῆν τὸν θάνατον, κεκρατηκότα τοῦ ἀνθρωπίνου γένους, πάλιν αὐτὸ τοῖς τοῦ θανάτου χωρίοις αὐλίζεσθαι[1].

დავიმოწმებთ ძველ ქართულ თარგმანს:

„რამეთუ ჯერ იყო, ვინაჲთგან შეიპყრა სიკუდილი, რაჲთა დაიმკუდროს ადგილი მისი“[2].

აღნიშნული წინადადების აზრი, მთლიანი სახით, ორიგინალშიც და ძველ ქართულ თარგმანშიც ბუნდოვანია. დედანში, კერძოდ, ზმნა αὐλίζεσθαι, როგორც ჩანს გამოყენებულია მედიო-აქტივის გაგებით, რაც ამ ზმნას, საზოგადოდ, არ მოეპოვება *(საფიქრებელია, აქ*

***1** ბერძნულისათვის უმთავრესად ვიყენებთ მინის გამოცემას (PG 28, col. 1092 C), რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს 1698 წს გამოცემული ტექსტის შესწორებულ პუბლიკაციას. სხვა გამოცემების შესახებ იხ. ქვემოთ.*

***2** დასახ. გამოც. გვ. 307.*

ბერძნული ტექსტი დაშიანებული იყოს). ძველ ქართულ თარგმანში, თავის მხრივ, გაუგებარია აღნიშნული წინადადების დამაბოლოებელი ნაწილი («დაიმკჳდროს ადგილი მისი»).

სხვა გარემოებაც გვიდასტურებს, რომ მოცემულ ადგილას ბერძნული ტექსტი ხარვეზიანი უნდა იყოს *(ყოველ შემთხვევაში, მინისეული და 1698 წის გამოცემები).* მართლაც, ქართული თარგმანის მიხედვით, სიკვდილი კი არ არის შემპყრობელი (როგორც ეს ორიგინალშია), არამედ **თავად სიკვდილია შეპყრობილი**. სწორედ ამ აზრს გვიკარნახებს კონტექსტიც, რაც ნიშნავს, რომ მოცემულ ადგილას უხარვეზო ტექსტი ძველ ქართულ თარგმანშია დაცული. ამასვე ადასტურებს ლათინურიც:

„რამეთუ შეუფერებელი იყო კაცობრივი მოდგმისათვის, **რომელმაც სიკვდილი დასძლია**, ისევ იმავე მიწიერ ადგილებში ყოფილიყო დამკვიდრებული" [**Non decuit enim, humanum genus, quod mortem devicerat,** terrena iterum incolere loca[1]].

როგორც ჩანს, ლათინურს ითვალისწინებს რუსული თარგმანიც:

ибо и не прилично естеству человѣческому, послѣ побѣды надъ смертію, оставаться еще въ обиталищахъ смерти[2].

აქ რომ რუსული ტექსტი სწორედ ლათინურს ეყრდნობა, ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ შესაბამისი ბერძნული τὸν θάνατον, κεκρατηκότα τοῦ ἀνθρωπίνου γένους ვერ ითარგმნება «სიკვდილის ძლევად [შეპყრობად]», ვინაიდან აკუზატივის მიმღეობა κεκρατηκότα («შემპყრობელი», «მძლეველი») სწორედ აკუზატივში მდგარ «სიკვდილს» (τὸν θάνατον) განიკუთვნებს საზღვრულად და არა «ადამიანურ მოდგმას», რომელიც გენეტივშია (τοῦ ἀνθρωπίνου γένους) და შესაბამისად, გულისხმობს არა იმას, ვინც «სძლია», არამედ – იმას, ვინც «იძლია» (გენეტივს კანონზომიერად მოითხოვს κρατέω).

***1** PG 28, col. 1091 C. შდრ. ზემომითითებული უფრო ადრეული გამოცემა (რასაც ეყრდნობა მინი): Sancti patris nostri Athanasii... Opera omnia..., t. II, Parisiis, 1698, p. 462.*

***2** Церковная проповедь на двунадесятые праздники. Слова, беседы и Поучения святых отцов и учителей Церкви и известнейших писателей церковных. Сост. П. Смирнов, Ч. 1, Киев, 1904, с.*

მიუხედავად ზემოთქმულისა, იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ აღნიშნულ მონაკვეთში («სიკვდილის დაძლევასთან“ დაკავშირებით) ლათინური და ძველი ქართული თარგმანები თანხვდება ერთმანეთს, ცხადი ხდება, რომ ანალოგიური ტექსტი უნდა გვქონოდა ბერძნულის თავდაპირველ რედაქციაშიც.

კვლავ აღვნიშნავთ, რომ ბერძნულ ტექსტში დადასტურებული αὐλίζεσθαι-ის გამოყენება მედიო-აქტივის შინაარსით, რაც, საზოგადოდ, შეუძლებელია, როგორც ჩანს, არ დარჩენილა ბერძენ ტექსტოლოგთა ყურადღების მიღმა, რის გამოც ხსენებული ჰომილიის სხვა გამოცემაში ზემოციტირებული წინადადების მეორე ნაწილი შეუსწორებიათ, თუმცა «სიკვდილის მძლეობა» (ნაცვლად «სიკვდილის ძლეულობისა») კვლავ უცვლელად დაუტოვებიათ:

Οὐ γὰρ ἐχρῆν τὸν θάνατον κεκρατηκότα πάλιν τὸ ἀνθρώπινον γένος ἀφιέναι τοῖς τοῦ θανάτου χωρίοις αὐλίζεσθαι[1] [„ვინაიდან არ ეგებოდა, რომ სიკვდილი, შემპყრობელი, მიშვებულიყო, რომ კაცობრივ მოდგმას კვლავ სიკვდილის ადგილებში ჰქონოდა მკვიდრობა“].

საკითხის სისრულისათვის დავძენთ, რომ არის ბერძნულის მესამე ვარიანტიც, გამოცემული **1686** წ-ს, სადაც იგივე მონაცემია, რაც მინის და **1698** წ-ის გამოცემებში, იმ განსხვავებით, რომ «კაცობრივი მოდგმის» შესატყვისი τὸ ἀνθρώπινον γένος, მეორე ვარიანტისებრ, ნომინატივშია და არა გენეტივში (ეს გარემოება შინაარსს არ ცვლის, ვინაიდან ზმნა κρατέω სახელობითშიც შეიწყობს დამატებას):

Οὐ γὰρ ἐχρῆν τὸν θάνατον κεκρατηκότα πάλιν **τὸ ἀνθρώπινον γένος** ἀφιέναι τοῖς τοῦ θανάτου χωρίοις αὐλίζεσθαι[2].

ქართული თარგმანის მომდევნო ნაწილიც მნიშვნელოვნადაა განსხვავებული ორიგინალისგან. მოვიტანთ ტექსტს:

„აწ ჯეშმარიტად აღემართების ძლევად ეშმაკისა. ავმაღლდები და რაჟამს ვიხილე დაწყებაჲ ნათესავისა ჩემისაჲ, მეუფებდა რაჲ ცათა“[3].

---

1 Ἐγκυκλοπαιδεία Φιλολογική, τ. II, Ἐν Βενετίᾳ, 1839, σ. 159.

2 Τοῦ ἐν ἁγίοις πατρὸς ἡμῶν Ἀθανασίου, ἀρχιεπισκόπου Ἀλεξανδρείας τὰ εὑρισκόμενα πάντα, τ. II, Coloniae, 1986, σ. 1.

3 კლარჯ. მრავალთ. გვ. 307.

დავიმოწმებთ ბერძნულს:

Νῦν μοι μέγα φρονεῖν ἀληθῶς κατὰ τῆς διαβολικῆς τυραννίδος ἐπέρχεται, ὅταν ἴδω σήμερον τοῦ ἐμοῦ γένους τὴν ἀπαρχὴν ἐν οὐρανοῖς βασιλεύουσαν. („აწ ჩემგან ჭეშმარიტად იწყება საეშმაკო მძლავრების წინააღმდეგ დიდი მოქადულობა, რაჟამს ვხედავ, რომ დღეს ჩემი ნათესავის[1] დასაბამი[2] ცათა შინა სუფევს“).

აღნიშნულ მონაკვეთში გადმოცემულია სწავლება მაცხოვრის კაცობრივი ამაღლების მადლით ცოდვით დაცემული კაცობრიობის ცათა სასუფეველში ზეაღყვანების შესახებ, თუმცა ძველი ქართული თარგმანი, როგორც ვნახეთ, ზედმიწევნით არ თანხვდება ორიგინალს.

ძველი ქართული თარგმანის მომდევნო მონაკვეთში დასტურდება შემატების შემთხვევა მინის და **1698** წ-ის გამოცემებთან შედარებით. კერძოდ, ეს არის სიტყვა „**შჯულისაჲ**“. აღნიშნული ადგილი ქართულში ასე იკითხება:

„არა არიან ესენი სამოთხე, ჰ მაცთურო, არცა გემოჲ მცენარეთაჲ მომნადირებელ ზაკუვით, რაჲთა დაჰვსნეს შიში **შჯულისაჲ** და დაემტკიცოს სიკუდილი“.

მეტი თვალსაჩინოებისათვის დავიმოწმებთ მინის და **1698** წ-ის გამოცემის ტექსტსაც:

Οὐκ ἔτι ταῦτα παράδεισος, ὦ διάβολε· οὐδὲ φυτοῦ τέρψις πρὸς ἀπάτην θηρεύουσα, ἵνα πάλιν λύσας μου τὸν φόβον, κυρώσῃς τὸν θάνατον.

მოვიტანთ ორიგინალის სიტყვა-სიტყვით თარგმანს:

„არ არის ესენი *(იგულისხმება სასუფევლისეული მდგომარეობა, რაც მოგვებოძა მაცხოვრის აღდგომითა და ამაღლებით, პროტოპრ. გ. ზ.)* კვლავ სამოთხე, ჰოი ეშმაკო, არც საამურობა ნერგისა, ცთომილებისკენ «მომნადირებელი», რომ კვლავ [შესძლო] განქარვება ჩემი შიშისა და [ამით] სიკვდილის განმტკიცება“.

---

1 *ე. ი ქრისტე, რომელმაც მიიღო «ჩვენი ცომის სათავე» ანუ «კაცობრივი ბუნების დასაბამი» და ამაღლებისას ზეცად აიყვანა იგი (იხ. დაწვრილებით ე. ჭელიძე, საეკლესიო დოგმატიკა და ერესები, I, თბ. 2016, გვ. 1461-1462).*

2 *ე. ი. ადამი.*

როგორც ვხედავთ, სიტყვა „**შჯული**“ ხსენებულ პუბლიკაციებში არ იკითხება, თუმცა ეს სიტყვა აუცილებელია, ვინაიდან მკითხველისთვის ნათელი უნდა იყოს, რომ საუბარია არა ზოგადად «შიშზე», არამედ მხოლოდ იმ შიშზე, რაც უკავშირდება ადამისადმი მიცემულ ღვთის მცნებას ანუ სჯულს კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხის ნაყოფის მიუღებლობასთან დაკავშირებით. აშკარაა, რომ ბერძნული ტექსტი ნაკლოვანია, რასაც ძველი ქართული თარგმანის გარდა ადასტურებს ლათინურიც, სადაც სახეზეა არა მხოლოდ «შიში», არამედ სწორედ «შიში **სჯულისა**» (legis metu). შესაბამისად, ნათელია, რომ ბერძნულის თავდაპირველ ტექსტში უნდა ყოფილიყო არა τὸν φόβον, არამედ – τὸν φόβον τοῦ νόμου ან τοῦ νόμου τὸν φόβον[1]. მართლაც, როგორც ბერძნული ტექსტის ზემომითითებულმა უფრო ადრეულმა გამოცემებმა დაგვიდასტურეს, საქმე გვაქვს მხოლოდ მინისეული და **1698** წ-ის პუბლიკაციის ხარვეზთან (ან, შესაძლოა, რომელიმე სხვა ნუსხის გამოყენებასთან), ვინაიდან ხსენებულ უფრო ადრეულ გამოცემებში τοῦ νόμου დასტურდება (πάλιν λύσας μου **τοῦ νόμου** τὸν φόβον).

ქართულ თარგმანში გვაქვს შემთხვევები, როდესაც ორიგინალის მონაცემი გამოტოვებულია, რაც გულისხმობს კლების ნიმუშებს. კერძოდ, მომდევნო კონტექსტში, სადაც თარგმანში გვაქვს შემდეგი სიტყვები: „არცაღა «მიწაჲ ხარ და მიწადცა მიიქცე»“, ქართულში გადმოტანილია ბერძნული სიტყვის - ἀκούω-ს («მესმის») გარეშე. აღნიშნული ბერძნული სიტყვის თარგმნის შემთხვევაში წინადადება შემდეგ სახეს მიიღებდა: „არცაღა **მესმის**: «მიწაჲ ხარ და მიწადცა მიიქცე»“.

მნიშვნელოვანი სხვაობაა მომდევნო მონაკვეთში:

„აჰა ესერა დაგიტევებ მე შენ, ქუეყანაო, რომელსა ზედა ვიშევ და რომელსა ზედა აღვიზარდე, ცად მივიცვალები, რომელ არს თავისუფალ ცოდმისა შენისაგან. რამეთუ პირველ

---

1 სინტაგმა «რჯულის შიში» დამოწმებულია კლიმენტი ალექსანდრიელთან, რომელიც მიუთითებს: „კეთილკრძალულებას უწოდებენ ფილოსოფოსნი **რჯულის შიშს**“ *(*εὐλάβειαν καλούντων οἱ φιλόσοφοι **τὸν τοῦ νόμου φόβον**, *Strom. 2.7.32.4.4)*

კმა-გეყო შენ ნერგი იგი სიკუდილსა ადამისსა, რაჟამს-იგი ეც პირველქმნულსა მას ნაყოფითა ხისაჲთა და აიძულე მას გამოსლვად სამოთხისა მისგან ფუფუნებისა“.

დავიმოწმებთ ბერძნულს:

παραχωρῶ σοι τῆς γῆς, ἐφ᾽ ἧς ἐτέχθην, ἐφ᾽ ἧς ἐτράφην· εἰς οὐρανὸν μετοικίζομαι, τῆς σῆς ἀπάτης ἐλεύθερος. Πάλαι μὲν οὖν σοι φυτὸν πρὸς τὴν τοῦ Ἀδὰμ αἵρεσιν ἤρκεσεν, ὅτε πλήξας τῷ τοῦ ξύλου καρπῷ τὸν πρωτόπλαστον ἔξω γενέσθαι τῆς τοῦ παραδείσου τρυφῆς κατηνάγκασας.

მოვიტანთ ორიგინალის ტექსტის სიტყვა-სიტყვით თარგმანს:

„გიტოვებ შენ მიწას, რომელზეც ვიშვი, რომელზეც აღვიზარდე; ცისკენ გადავსახლდები შენი ცთომისგან თავისუფალი. ძველად შენთვის საკმარისი აღმოჩნდა ნერგი ადამის დასაღუპად[1], როდესაც ძელის ნაყოფით ქვე-დააკვეთე პირველქმნილი, აიძულე რა იგი სამოთხისეული შვებისგან გარეთ გასულიყო“[2].

კონტექსტის დასაწყისშივე სახეზეა არსებითი დაცილება ორიგინალის ტექსტისგან, ვინაიდან ქართული თარგმანი იწყება „ქუეყანისადმი“ (მიწისადმი) მიმართვით, მაშინ როცა ბერძნულის მიხედვით, ამჯერადაც და წინადადების მომდევნო ნაწილშიც ნაცვალსახელი „შენ“ ყოველთვის მიემართება ეშმაკს და არა „ქუეყანას“. ზოგად კონტექსტთან ერთად, ამას უეჭველად ადასტურებს ისიც, რომ ბერძნული სიტყვები: „შენ“ და „მიწა“ სხვადასხვა ბრუნვაშია, კერძოდ, „შენ“ - დატივში, ხოლო „მიწა“ - გენეტივში. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ

---

1 არ გამოვრიცხავთ იმასაც, რომ მოცემულ კონტექსტში ტერმინი αἵρεσιν გულისხმობდეს ადამის პიროვნულ არჩევანს, რამაც გამოიწვია მისი დაცემა.

2 შდრ. პერიფრაზული რუსული თარგმანი: уступаю землю, на которой рожден и воспитан, и, свободный от коварных прельщений твоих, воспаряю в отчизну мою – небо! Достаточно было некогда для тебя древа познания добра и зла, чтобы, прельстив (?) им прародителя, низринуть его из рая, а теперь, хотя бы ты истощил и весь колчан твой, стрелы твои обратятся на тебя же.

ქართულ თარგმანში დამოწმებული სიტყვები: „ცად მივიცვალები, რომელ არს თავისუფალ ცთომისა შენისაგან“ ვითარებას იმგვარად წარმოაჩენს, თითქოს მოცემულ კონტექსტში საუბარი იყოს „ცაზე“, როგორც ცთომილებისგან თავისუფალ ადგილზე, მაშინ როცა, ბერძნული ტექსტის მიხედვით სიტყვები „თავისუფალი ცთომისაგან“ გულისხმობს საკუთრივ ადამიანს (გაპიროვნებულს პირველი პირით).

ძეგლის მომდევნო ნაწილში საყურადღებო ჩანს ორიგინალის ერთი ადგილი, სადაც ეშმაკისადმი ნათქვამია შემდეგი: **Ποῦ σοι ὁ σοφιστεύων ὄφις,** რაც კალკირებული სახით შემდეგნაირად ითარგმნება: „სად არის შენთვის მბრძნობელი გველი?“.

აღნიშნულ კონტექსტში სიტყვა „მბრძნობელი“ გადმოსცემს ბერძნულ „სოფისტეუონს“ (**σοφιστεύων**), რაც ნიშნავს „საეშმაკო სიბრძნით შემაცდენელს“.

ძველ ქართულ თარგმანში ვკითხულობთ:

„რომელი არქუ ევას გუელითა“.

როგორც ვხედავთ, თარგმანში ხაზგასმაა მხოლოდ იმაზე, რომ **„გველი“** არის ეშმაკის სამოქმედო იარაღი, მაშინ როცა ბერძნულ ორიგინალში აქცენტი უფრო მეტად გაკეთებულია **„სიბრძნის გზით ცთუნებაზე“**, ანუ იმაზე, რომ გველის სახით საქმე გვაქვს თვით ეშმაკთან, რომელიც ცდილობს, რომ თავისი ფუჭი დაპირებით აცთუნოს ევა. ბერძნულში ზემორე სიტყვებს მოსდევს დაზუსტება, რომ სწორედ ამ გზით მოხდა ევას გამოძევება სამოთხიდან:

ἵνα τὴν Εὔαν χωρίσῃ τοῦ παραδείσου („რომ ევა განაშორროს სამოთხეს“).

ეს ფრაზა, რაც სახეზეა ბერძნული ტექსტის ოთხსავე გამოცემაში და ლათინურ თარგმანშიც (**qui Evam paradiso exigat**), ძველ ქართულში არ დასტურდება. არ ვიცით რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ასევე არ არის აღნიშნული წინადადება ზემომითითებულ რუსულ თარგმანშიც. შესაძლოა, რუსულში მექანიკური კლება გვქონდეს და ქართულ მონაცემთან მისი დამთხვევა შემთხვევითი იყოს, მაგრამ არ გამოვრიცხავთ არც იმას, რომ რუსი მთარგმნელი (*П. Смирнов*) რომელიღაც ბერძნული ნუსხის მონაცემს (ზემორე გამოცემებში აუსახველს) ითვალისწინებს, ვინაიდან მისი მითითებით

(რაც დართული აქვს თარგმანს) იგი ეყრდნობოდა, ერთი მხრივ, ბერძნული ტექსტის **1698** წ-ის გამოცემას (სადაც ეს ფრაზა არის) და, აგრეთვე, მოსკოკოვის სინოდალური ბიბლიოთეკის **1445** წ-ის ბერძნულ მანუსკრიპტს. შესაბამისად, შეუძლებელი არ უნდა ჩანდეს, რომ ამ ნუსხაშიც ისევე ყოფილიყო კლება ზემორე ფრაზისა, როგორც ეს გვაქვს ძველ ქართულ თარგმანში.

ძეგლის მომდევნო ნაწილში სახეზეა პერიფრაზირების საყურადღებო შემთხვევა.

ბერძნულში, კერძოდ, გვაქვს შემდეგი წინადადება:

Ὦ θαυμάτων ἀπίστων, καὶ ξένων τῆς φύσεως! [„ჰოი საკვირველებანო დაუჯერებელნო, უცხონო **ბუნებისაგან**!“].

ძველ ქართულ თარგმანში სახეზეა შემდეგი ტექსტი:

„ჰ საკჳრველი, უცხოჲ **გამოცდილებისაგან**, რომელი დაუჯერებელ არს“.

როგორც ვხედავთ, ბერძნული φύσις („ბუნება“) თარგმნილია „გამოცდილებად“, რაც ტერმინოლოგიურად საყურადღებო უნდა იყოს. ჰომილიის ავტორი მიზნად ისახავს აჩვენოს, რომ ის რაც მოხდა (კერძოდ, რის შესახებაც საუბრობს იგი ჰომილიაში), **უცხო იყო ბუნებისათვის** და, შესაბამისად, **ამის გამოცდილებაც არ არსებობდა**. მთარგმნელმა, როგორც ჩანს, უფრო მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ ტერმინ „ბუნების“ ნაცვლად გამოეყენებინა „გამოცდილება“, რაც, შესაძლოა, უფრო აღსაქმელიც ყოფილიყო მკითხველისთვის, ვინიდან საუბარი ეხებოდა ძეგლის შემდეგ სიტყვებს:

„ხოლო აწ, დაღათუ ყოველი კაბარჭი შენი წარმოაცალიერო, შენდა მიიქცეს სისრაჲ ისართა შენთა. სადა არს აწ, მასმენელო, ღონისძიებაჲ იგი შენი ცთუნებისა მის პირველისაჲ, რომელი არქუ ევას გუელითა: «დღესა, რომელსა შჭამოთ, იყვნეთ, ვითარცა ღმერთნი»“. წინაჲსწარმეტყუელ ჩემდა კეთილისა იქმენ არა შენითა ნებითა, რამეთუ აღთქუმანი, რომელისა მიერ მაცთუნე სიტყჳთა, შევიძინე იგი საქმითა, იქმნა უცნებითა აღთქუმულისაჲთა ჯეშმარიტ **გამოცდილებითა**“[1].

---

1 *შდრ.* νῦν δὲ, κἂν πᾶσαν κενώσῃς τὴν φαρέτραν, κατὰ σεαυτοῦ φέρεις τῶν τοξευμάτων τὰ βλήματα. Ποῦ σοι λοιπὸν, διάβολε, τῆς

აი, ამ მონაკვეთს მოსდევს ზემორე ფრაზა: „ჰ საკჳრველი, უცხოჲ გამოცდილებისაგან“.

საფიქრებელია, წინარე მონაკვეთში დადასტურებული «**გამოცდილების**» გავლენით მთარგმნელმა მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ ამჯერადაც ««ბუნების» ნაცვლად სწორედ ის გამოეყენებინა, რაც კარგად ესადაგებოდა კონტექსტს.

კლების მხრივ ყურადღებამისაქცევია ორიგინალის შემდეგი წინადადება:

Ὁ παρὰ Ἰουδαίων γελώμενος, ἐκ δεξιῶν τοῦ Πατρὸς ἐπὶ τῶν χερουβὶμ κάθηται [„ის ვინც იუდეველთაგან სასაცილოდ იქნა აგდებული, **მამის მარჯვნივ ქერუბიმებზე მჯდომარეა**“].

παλαιᾶς ἀπάτης τὰ μηχανήματα; Ποῦ σοι ὁ σοφιστεύων ὄφις, ἵνα τὴν Εὔαν χωρίσῃ τοῦ παραδείσου, τὸ, Ἧ δ’ ἂν ἡμέρᾳ φάγητε, ἔσεσθε ὡς θεοὶ, προσφθεγγόμενος; Γέγονάς μοι τῶν ἀγαθῶν προφήτης ἀκούσιος. Αἷς γὰρ πρὸς ἀπάτην ὑποσχέσεσιν ἐχρήσω, ταύτας διὰ πραγμάτων ἐκέρδανα· γέγονέ μοι τῆς ἐπαγγελίας ἡ φαντασία διὰ τῆς πείρας ἀλήθεια [„ახლა კი, თუნდაც მთელი შენი კაპარჭი დააცარიელო, შენს თავზე მოაწევ ისართტყორცნათა ჭრილობებს. სად არის შენთვის ამიერიდან, ეშმაკო, ძველი მაცთუნებლობის მანქანებანი? სად არის შენთვის მბრძნობელი გველი, რომ მან ევა სამოთხიდან განაშოროს, ეტყოდა რა მას: «რომელ დღესაც შეჭამთ, იქნებით როგორც ღმერთები»? გახდი ჩემთვის სიკეთეთა უნებური წინასწარმეტყველი, ვინაიდან რა დაპირებებიც ცთუნებისთვის გამოიყენე, ისინი საქმეთაგან მოვიპოვე. გახდა ჩემთვის დაპირებისმიერი ზმანება გამოცდილებისმიერი ჭეშმარიტება“]. შდრ. რუს. а теперь, хотя бы ты истощил и весь колчан твой, стрелы твои обратятся на тебя же. Где ныне – твои древние ковы, дух злобы? Где, лукавый змий, прельщение твое: в оньже аще день снесте от него, отверзутся очи ваши, и будете яко бози, видяще доброе и лукавое (Быт. 3:5)? Ты против воли и чаяния своего соделался предсказателем моего блаженства, потому что те обещания, которые ты употреблял для обмана, на самом деле исполнились для меня: вымышленное благовестие обратилось для меня в очевидную истину.

ძველ ქართულ თარგმანში აღნიშნულ მონაკვეთს, მხოლოდ შემდეგი ფრაზა შეესაბამება:

„რომელი ჰურიათა მიერ საცინელ იქმნა“.

რაც შეეხება წინადადების დანარჩენ ნაწილს (ἐκ δεξιῶν τοῦ Πατρὸς ἐπὶ τῶν χερουβὶμ κάθηται – **„მამის მარჯვნივ ქერუბიმებზე მჯდომარეა“**), იგი გამოტოვებულია.

განსხვავებული თარგმანის ნიმუშია შემდეგი წინადადება:

„ჰ, რაოდენ აღიძრვის ათძალი იგი დავითისი სულიერი საკჳრველი ესე“.

დავიმოწმებთ ბერძნულ ტექსტს:

Ὦ ποσάκις ἡ τοῦ Δαβὶδ ἐνηχοῦσα κιθάρα τὰ παρόντα ἐθέσπιζεν! [„ჰოი, რაოდენგზის იმეტყველა დავითის ხმოვანმა ქნარმა ამჟამინდელნი“].

ძველი ქართული თარგმანის ზემოციტირებული ტექსტის ბოლო სიტყვები „სულიერი საკჳრველი“, ერთი მხრივ, გაუგებარია, ხოლო მეორე მხრივ, კონტექსტისთვისაც შეუსაბამო. თუნდაც დაგვეშვა ვარაუდი იმისა, რომ ნაცვლად „საკჳრველისა“ თავდაპირველ ტექსტში ყოფილიყო „საკრველი“, აზრის სიცხადისათვის ეს საკმარისი მაინც არ იქნებოდა, რადგან ამ შემთხვევაშიც აზრის ბუნდოვანება ისევ რჩება.

იქვე კვლავ სახეზეა ტექსტის პერიფრაზირების შემთხვევა, რაც გარკვეულ კომენტირებას საჭიროებს. ძველ ქართულ თარგმანში გვაქვს შემდეგი ტექსტი:

„ჟამსა შობისასა და კუალად ჰმსახურა ვარსკულავითა და მოდრკა მისთჳს, რომელი-იგი იყო დამალულ ქუაბსა შინა“.

დავიმოწმებთ ორიგინალის ტექსტს:

καίτοι καὶ παρ᾽ αὐτὸν τὸν τόκον οὐρανὸς ἔτι τικτομένῳ δι᾽ ἀστέρος ὑπέκυπτεν, ὥσπερ ἐπειγόμενος καὶ πρὸ καιροῦ δέξασθαι τὸν ἐν σπηλαίῳ κρυπτόμενον. Ἀλλ᾽ ἔδει τοὺς τῆς οἰκονομίας καιροὺς καὶ ὅρους φυλάττεσθαι [„თუმცაღა ამ შობასთან ერთად ცა ვარსკვლავის მიერ ჯერაც-შობადისადმი მოდრკა, როგორც თითქოსდა ნაიძულები რომ ჟამზე ადრეც (შდრ. ლათ. ante tempus) შეეწყნარებინა გამოქვაბულში დაფარული, **თუმცაღა საჭირო იყო განგებულების ჟამთა და წესთა დაცვა**“.

საგულისხმოა როგორც ბერძნული ორიგინალის, ისე ლათინური თარგმანის მონაცემი იმასთან დაკავშირებით, რომ ვარსკვლავის გამოჩენა წინ უსწრებდა მაცხოვრის შობას. ეს აზრი გამოკვეთილია რუსულ თარგმანშიც: **Хотя небо и при самом еще рождении (Христа) склоняло, посредством звезды, главу свою к Рождаемому, как бы спеша преждевременно принять Скрывавшегося в пещере; но времена Божественного домостроительства надлежало сберегать до известных пределов.**

ხაზს გაუსვამთ, რომ ცალკეულ ნაკლებმნიშვნელოვან განსხვავებათა გარდა, ქართულ ტექსტს აკლია ზემორე მონაკვეთის მთელი დამაბოლოებელი წინადადება, რაც ყურადღებას იმსახურებს. კერძოდ:

„თუმცაღა საჭირო იყო განგებულების ჟამთა და წესთა დაცვა“ [Ἀλλ᾽ ἔδει τοὺς τῆς οἰκονομίας καιροὺς καὶ ὅρους φυλάττεσθαι].

ზოგ შემთხვევაში ძველი ქართული თარგმანის ტექსტს კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდის გამოცემის გარკვეული ხარვეზები. მაგალითისათვის, თარგმანის სიტყვები: „მასმენელმან ღმრთისამან, შურისათვის დააჯერა და აცთუნა“ წარმოდგენილია მცდარი პუნქტუაციით, ვინაიდან მძიმე უნდა იყოს არა სიტყვასთან „ღმრთისამან“, არამედ – სიტყვასთან „შურისათჳს“ როგორც ეს ორიგინალშია (διαβάλλων εἰς φθόνον Θεὸν, ἔπεισεν ἀπατῶν – „შემასმენელმა ღვთისა შურისათვის, დაარწმუნა იგი და აცთუნა“[1]).

ყურადღებას მივაქცევთ კიდევ ერთ მნიშვნელოვან ტერმინოლოგიურ და საღვთისმეტყველო ასპექტს, რაც გულისხმობს ბერძნულში დადასტურებული **„ღირსების“** (ἀξία) **„ჯელმწიფებად“** თარგმნას („განძარცუა იგი ღმერთმან **ჯელმწიფებისაგან**“ – Τῆς οὖν ἀξίας γυμνώσας Θεός, *ლათ.* **Hominem itaque Deus sua dignitate spoliatum**[2]).

ეს გარემოება, შესაძლოა იმითაც აიხსნას, რომ მთარგმნელი ადამისეულ „ღირსებაში“, რისგანაც იგი პირველცოდვის შედეგად

---

1 *შდრ. რუს.* **оклеветывает Бога в зависти и заставляет верить своему обману.**

2 *შდრ.* **Бог, лишив человека достоинства.**

განიძარცვა, სწორედ ხელმწიფობის პატივს მოიაზრებს, თუმცა არ გამოირიცხება არც ის, რომ მთარგმნელისგან გამოყენებულ ბერძნულ ტექსტში ყოფილიყო არა ἀξία („ღირსება“), არამედ ἐξουσία, რაც სწორედ ძველქართული „ჯელმწიფების“, ანუ „უფლებამოსილების“, „ძალაუფლების“ ბერძნული ეკვივალენტია. მცირედით ქვემოთ ისევ გვხვდება იგივე ტერმინთშესატყვისობა, როდესაც თავდაპირველი პატივისგან განძარცვის ამსახველი ფრაზა – „განუდექი ღირსებას“ ძველ ქართულ თარგმანში გადმოტანილია კვლავაც „ჯელმწიფების“ გაგებით: „გარ̈დადეგ ჯელმწიფებისაგან!“, რაც, არ გამოვრიცხავთ, განპირობებული იყოს იმით, რომ ფრაზა „გარ̈დადეგ ჯელმწიფებისაგან!“ უფრო მეტად გამომსახველია და, შესაძლოა, უფრო ხაზგამსმელი იმაზე, თუ უფლებამოსილებითად რამდენად დიდი რამ (ხელმწიფობა) დაჰკარგა ადამმა პირველცოდვით.

ყურადღებას მივაქცევთ ძეგლის კიდევ ერთ ფრაზას, რაც ქართულ თარგმანში გაუგებარია.

ბერძნულში, კერძოდ, ვკითხულობთ:

„ეს სავალალო შემთხვევა შევიდა ბუნებაში“ (τοῦτο τὸ ἐλεεινὸν δρᾶμα συνεισῆλθε τῇ φύσει).

აღნიშნული წინადადების ძველი ქართული თარგმანი ამგვარია:

„ესე **ღონენი შემაწუხებელნი** შევიდეს ბუნებასა“

ხაზგასმული სიტყვები: „**ღონენი შემაწუხებელნი**“ აზრს, ვფიქრობთ, ძალიან აბუნდოვნებს.

აღნიშვნას იმსახურებს ძეგლში გადმოცემული სწავლება **ადამიანის, როგორც ღვთის ხატის** შესახებ. კერძოდ, ეს საკითხი უკავშირდება ადამიანის დაცემის შემდგომ ვითარებას. ძველ ქართულ თარგმანში დაცემულ ხატთან დაკავშირებით გამოყენებულია ტერმინი „**წარწყმედა**“, რასაც ორიგინალში შეესატყვისება მნიშვნელობით საკმაოდ განსხვავებული ტერმინი πλανωμένη, რაც შეიძლება ითარგმნოს სიტყვით «**შეცთომილი**»[1]. ნათელია, რომ ქართულ

[1] *ეკლესიის მამები ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ ცოდვით დაცემამ ადამიანში ღვთის ხატება გააუკუღმართა, გადააგვარა, «დააბნელა». თავდაპირველი ხატება მაცხოვრის ღვაწლის, კერძოდ, მისი განკაცების, ჯვარცმის, აღდგომისა და ამაღლების გზით განახლდა ადამიანში.*

თარგმანში უფრო მკვეთრი ტერმინია გამოყენებული **ადამიანის თავდაპირველი ხატისებრობის ცოდვისმიერი შემუსვრის** აღსანიშნად, ვიდრე ბერძნულ ორიგინალში.

საყურადღებოა, აგრეთვე, ისიც, რომ ბერძნული ტერმინი εἰκών („ხატი“) ქართულად გადმოტანილია როგორც **«მსგავსება»**, რაც, მოცემული კონტექსტის გათვალისწინებით, დამატებით ხაზს უსვამს იმას, რომ, თანახმად წმ. კირილე ალექსანდრიელის სწავლებისა, **ხატი და მსგავსება არსებითად ერთი და იგივე ღირსებაა ადამიანში**[1].

---

1 *შდრ. წმ. კირილეს სიტყვები:* „თუ ამბობენ, რომ სხვადასხვაა **«ხატისებრობა»** და **«მსგავსებისებრობა»**, განსხვავება მიუთითონ, **ჩვენ კი მივიჩნევთ, რომ სხვას არაფერს ცხადყოფს «ხატისებრობა», თუ არა «მსგავსებისებრობას», ასევე, «მსგავსებისებრობაც» – «ხატისებრობას». ღვთისადმი მსგავსება ხვედრებული გვაქვს პირველი შესაქმიდანვე (τὴν δὲ γε πρὸς θεὸν ὁμοίωσιν ἐλάχομεν ἐν πρώτῃ κατασκευῇ) და ვართ ხატება ღვთისა (εἰκονισμὸς θεοῦ)**“, *იხ. ე. ფელიძე, ხატი ღვთისა – ადამიანის სული, თბ. 2020, გვ. 286. წმინდანის სიტყვები გულისხმობს იმას, რომ* ***ღვთისადმი მსგავსება ანუ სათნოებითი ღირსებები*** *(სიწმინდე, სამართლიანობა, სიკეთე და ა. შ.) ვლინდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანში დაცულია (ან აღდგენილია)* ***ღვთისადმი ხატება (ანუ საღვთოდ აზროვნება, საღვთოდ ნებელობა და ღვთისებრ მთავრობითობა).*** *ეს გარემოება ცხადყოფს* ***მსგავსებისა და ხატების არსობრივ მთლიანობასა და განუყოფლობას.*** *ამიტომ გვასწავლის, აგრეთვე,* ***წმ. დიადოქოს ფოტიკელი,*** *რომ ცოდვითდაცემულ ადამიანში მაცხოვნებელი სარწმუნოების მადლით ჯერ ღვთისადმი ხატება (საღვთოდ აზროვნება და ნებელობა) განახლდება, შემდეგ კი მასზე დაიხატება ღვთისადმი მსგავსება ანუ სათნოებაშემოსილობა. შდრ. წმინდანის სიტყვები:* „**მადლი იწყებს ხატისებრობაზე მსგავსებისებრობის დახატვას (ἄρχεται ἡ χάρις ὥσπερ ἐπιζωγραφεῖν εἰς τὸ κατ᾽ εἰκόνα τὸ καθ᾽ ὁμοίωσιν)** *(ე. ფელიძე, ხატი ღვთისა.., გვ. 324). შდრ. აგრეთვე:* „**ხატისებრობა მთლიანწილად არის მსგავსებისებრობის კეთილმშვენობაში (εἰς τὴν τοῦ καθ᾽ ὁμοίωσιν ὁλοκλήρως εὐπρέπειαν δηλοῖ γενέσθαι τὸ κατ᾽ εἰκόνα)**, *დასახ. წიგნი, გვ. 325-326..*

ამასვე გვასწავლის წმ. გრიგოლ ნოსელიც[1].

მომდევნო ტექსტში კვლავ დასტურდება მატების შემთხვევა, კერძოდ ორგინალის πλάττει ქართულად კანონზომიერად არის გადმოტანილი, როგორც „შეჰზილა“, თუმცა მას ემატება „თავსა თჳსსა“, რაც ორიგინალში არ დასტურდება. აღნიშნული მატება განპირობებული უნდა იყოს შესაბამისი სწავლების უფრო მკაფიოდ გამოთქმის სურვილით.

ვრცელ კლებას აქვს ადგილი ძეგლის მომდევნო ნაწილში. ვგულისხმობთ იმას, რომ სიტყვას μένει (რაც თარგმანში გადმოტანილია როგორც „დაშთა“), ბერძნულში მოსდევს შემდეგი მონაკვეთი:

καὶ στολὴν ὑφαίνων ἐν μήτρᾳ, ὡς ἐν θαλάμῳ βασιλικῷ ἐνδύεται τὴν εἰκόνα – „და მოქსოვა შესამოსელი საშოში, როგორც სამეფო საძინებელში შეიმოსავს ხატს“[2].

აღნიშნული ტექსტი ქართულ თარგმანში გამოტოვებულია.

ძეგლის მომდევნო მონაკვეთი გამოცემაში პუნქტუაციურად კვლავ ხარვეზიანია:

„ვითარცა ეჩუენა: ... უვაღრჱ სიკუდილისა. შემდგომად სიკუდილისა დაარღუევდა საფლავთა, ოდეს დაიდვა საფლავსა“.

ბერძნულში გვაქვს:

Ἔδειξε γὰρ ... ἀθάνατον καὶ μετὰ θάνατον, καὶ λυτῆρα τάφων ἐν τάφῳ γενόμενον.

„ვინაიდან გამოჩნდა ... უკვდავად სიკვდილის შემდეგაც და საფლავთა დამარღვევლად საფლავში მყოფი“.

---

1 *შდრ.* „არა ჩუენი საქმე არს, არცა კაცობრივისა ძალისა საქმარი, მსგავსებაჲ ღმრთისაი, არამედ ესე ღმრთისა, უხუადმიმნიჭებელისა, ნიჭი არს, რომელ **პირველსა მას დაბადებასა მეყსეულად მოანიჭა ბუნებასა ჩუენსა მისი მსგავსებაჲ**“, *წმიდაჲ გრიგოლ ნოსელი, ქალწულებისათჳს და საღმრთოჲსა მოქალაქობისა, თ. 12,2,71-74, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ტერმინოლოგიური ლექსიკონი დაურთო პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ, თბ. 2011, გვ. 158).*

2 *შდრ. რუს.* соткавши же покров в утробе, как бы в царском чертоге, облекает Его в Свой образ

ნათელია, რომ გამოცემის ხარვეზი გულისხმობს წერტილის არასწორად დასმას ფრაზის - „უვაღრჱ სიკუდილისა“ შემდეგ.

ყურადღებას მივაქცევთ იმ ხარვეზსაც, რაც გულისხმობს გრაფიკულად მსგავსი სიტყვების „ბუნებისა“ და „გონების“ აღრევას გადამწერთა და გამომცემელთა მიერ.

კერძოდ, ძველ ქართულ თარგმანში გვაქვს შემდეგი ფრაზა: „დასაჯა **გონებაჲ**“, რაც სრულიად შეუსაბამოა როგორც ორიგინალის, ასევე კონტექსტის გათვალისწინებით. მართლაც, ბერძნულში „გონების“ ნაცვლად გვაქვს სიტყვა „ბუნება“ (τὴν φύσιν) და, ამდენად, ნაცვლად ფრაზისა „დასაჯა **გონებაჲ**“ უნდა ყოფილიყო „დასაჯა **ბუნებაჲ**“.

ამრიგად, დასკვნის სახით შეიძლება იმის თქმა, რომ ქართული ტექსტის ორიგინალთან მიმართების კუთხით სახეზეა ტექსტის გავრცობის, კლების, პერიფრაზული თარგმანის, გრაფიკულად მსგავსი სიტყვების აღრევის შემთხვევები,. ამას გამოცემაში ზოგჯერ ემატება პუნქტუაციის არასწორად გამოყენება, რაც მთლიანად ცვლის წინადადების აზრს.

ჰომილია, თავისთავად, უაღრესად მნიშვნელოვანია მრავალი კუთხით. მასში ნათლად არის გამოკვეთილი ქრისტოლოგიური სწავლებანი. როგორც აღვნიშნავდით, ძეგლში ყურადღება გამახვილებულია ღვთის განკაცების, ადამიანთა მოდგმის გამოხსნის, მკვდრეთით აღდგომის, ამაღლების შესახებ.

განსაკუთრებული სიღრმით არის წარმოჩენილი მოძღვრება სამოთხეში ადამის მყოფობისა და მისი ცოდვით დაცემის შესახებ.

ცალკე გამოვყოფდით სწავლებას **იესო ქრისტეს მიერ სიკვდილის მძლეობის** შესახებ, რაც შემდეგი სიტყვებით არის გადმოცემული:

„რაჟამს წინაჲსწარ იხილა და ცნა, ვითარმედ ბუნებაჲ მიდრკა სიკუდილსა და რამეთუ საფლავი განმზადებულ არს ვნებად კაცთა და, წუთღა-და იყვნენ ნადირ ჯოჯოხეთისა და ყოველსა დღესა იყვნენ საზრდელ სიკუდილისა, მაშინ დაჰვსნა ღმერთმან სიდიდჱ შურისგებისაჲ და მოსცა ნათესავსა ჩუენსა უკუდავებაჲ და აღიტაცა შორის ენუქ და აჩუენა, რამეთუ არა მძლე ექმნა სიკუდილი კაცთა. და ასწავა ბუნებასა მოკუდავსა, რაჲთა იხედვიდეს საზღვარსა

უკუდავებისასა. და კუალად ასწავა სიკუდილსა, რაჲთა დარე-ყუდნდეს მოსწრაფებისაგან თჳსისა“.

ხაზგასასმელია, რომ ეს არის ერთგვარი შეჯამება იმ სწავლებისა, რაც ძეგლშია გადმოცემული მაცხოვრის ამაღლებასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ ორიგინალის ტექსტი ამ სიტყვებით არ მთავრდება და იგი გრძელდება, მაინც, ზემოციტირებული ტექსტობრივი მონაკვეთი შეიძლება მთელი ჰომილიის არსებით სწავლებად იქნას მიჩნეული გამომდინარე იქიდან, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ადამიანებს მიებოძათ ღვთისგან, სწორედ სიკვდილზე მძლეობა და მარადიული სასუფევლის სიხარულია.

ყურადღებას იქცევს მოცემულ კონტექსტში ენუქის ხსენებაც, რომელსაც წმ. ელია წინასწარმეტყველთან ერთად, როგორც ცნობილია, სიკვდილი არ განუცდია, ვინაიდან იგი ღვთის მიერ ცოცხლად იქნა ატაცებული ზეცად.

ენუქის შესახებ წერილისეული უწყება საუკუნეებით უსწრებს წინ ელია წინასწარმეტყველის ცეცხლოვანი ეტლით ზეცად ამაღლების ფაქტს სიკვდილის გამოცდილების გარეშე. ვფიქრობთ, მართალი ენუქის ხსენება მოცემულ კოტექსტში შემთხვევითი არ არის, რადგან ჰომილიის ავტორი მიზნად ისახავს აჩვენოს, რომ ჯერ კიდევ მაცხოვრის განკაცებამდე და ჯვარცმა-აღდგომამდე, ანუ სიკვდილის დათრგუნვამდე და ჯოჯოხეთის ბჭეთა შემუსვრამდე, ყოვლადძლიერმა ღმერთმა ძველი აღთქმის ეპოქაშივე მართალი ენუქის (და ელიას) სახით კაცობრიობას მისცა წინამოსწავებითი ნიმუში სიკვდილზე მძლეობისა, რითაც, ძეგლისვე სიტყვებით რომ ვთქვათ: „ასწავა ბუნებასა მოკუდავსა, რაჲთა იხედვიდეს საზღვარსა უკუდავებისასა“.

ვფიქრობთ, აღნიშნულ სწავლებასთან კავშირში განმარტებას საჭიროებს წმ. გრიგოლ ნოსელის სულიერი უწყება იმის შესახებ, რომ **„ადამისითგან ვიდრე დღეთამდე ქალწულისა სიკუდილი არა განიკუეთა“**[1].

---

1 წმ. გრიგოლ ნოსელი, ქალწულებისათჳს და საღმრთოჲსა მოქალაქობისა, დასახ. გამოც. გვ. **163.** *შდრ. ბერძნ.* ἀπὸ τοῦ πρωτοπλάστου καὶ μέχρι τῆς τοῦ παρθενεύοντος ζωῆς διὰ μέσου γέγονεν. *ინგლ.* unbrouken career of... death... the first man and

ციტირებული სიტყვები, რაც შედის ნისის ეპისკოპოსის სახელგანთქმულ შრომაში «ქალწულებისათჳს და საღმრთოჲსა მოქალაქობისა», მოიცავს საეკლესიო სწავლებას იმასთან დაკავშირებით, რომ ცოდვით დაცემის შემდგომ სიკვდილი უფლებდა ყოველ ადამიანზე, რადგან ყველამ მემკვიდრეობა პირველმამისგან, ადამისგან მიიღო, რომელიც შეცოდების შედეგად ხრწნილებას დაექვემდებარა, რაც მისმა შემდგომმა ყველა თაობამ იმემკვიდრა.

საკითხის სიღრმისეული წვდომისთვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია დავიმოწმოთ ნისის ეპისკოპოსის აღნიშნული უმნიშვნელოვანესი სწავლების სრული კონტექსტი *(მოგვაქვს წმ. ექვთიმე ათონელის თარგმანი):*

„აწ უკუე ესევითარი იგი ცხორებაჲ პატივცემულ იყავნ ყოველთა მიერ, რომელთაცა აქუს გონებაჲ, რამეთუ უზეშთაეს ძალსა მას სიკუდილისასა არს იგი. რამეთუ ჯორციელი შვილთასხმაჲ, – ნუმცა ვის უცხოდ უჩნს სიტყუაჲ ესე, N არა ცხორებისა, არამედ უფროჲსად სიკუდილისა მიზეზ ექმნების კაცთა. რამეთუ ხრწნილებასა დასაბამი შობისაგან აქუს, რომლისაგან განშორებულთა მათ ქალწულებისა მიერ გინათუ მონაზონებისა, – მათ თავთა შორის თჳსთა დააყენეს სიკუდილისა იგი სრბაჲ და წაღმართ მათ მიერ სლვად არა უტევეს და ყვნეს თავნი თჳსნი ვითარცა შუვაკედელ სიკუდილისა და ცხორებისა, და არა შეუნდვეს სიკუდილსა უმეტესად სრბად მათ მიერ. და ვინაჲთგან ვერ თანა-წარჰვალს ქალწულებასა სიკუდილი, არამედ მისდამდე მივალს და დაიჯსნების, ცხადად გამოჩინებულ არს, ვითარმედ უზეშთაეს ძალსა სიკუდილისასა არს ქალწულებაჲ. და კეთილად უხრწნელ ეწოდების გუამსა მას, რომელსა არა ემსახუროს განხრწნილისა მის ცხორებისა მსახურებასა, არცა თავს-ედვას, რაჲთამცა მოკუდავისა მის თესლებისა ორღანო იქმნა. რამეთუ ამის მიერ განიკუეთა განხრწნისა და მოკუდომისა იგი

---

the lives of virginity which have been led, is intenrupted; *რუს.* **въ немъ (т.е. девстве) прервалась... смерти, которая непрерывно продолжалась оть прародителя до жизни девственника;** *ფრანგ.* **entre le premier homme et la vie de celui qui pratique la virginitй,car il n'йtait pas possible que la mort.**

შეერთებაჲ. ამისთჳსცა ადამისითგან ვიდრე დღეთამდე ქალწულისათა სიკუდილი არა განიკუეთა, რამეთუ შეუძლებელ იყო უქმობაჲ სიკუდილისაჲ, ვინაჲთგან ქორწინებისა მიერ იქმნებოდა შობაჲ კაცთაჲ, არამედ ყოველთა მათ პირველთა ნათესავთა თანა ვიდოდა და ჟამითი-ჟამად ცხორებასა ამას შემოსრულთა თანა შემოვიდოდა. და საზღვრად ძალისა მისისასა და დამაყენებელად ქალწულებაჲ იპოვა, რომლისა თანაწარსლვაჲ შეუძლებელ არს. რამეთუ ვითარცა-იგი ღმრთისმშობელსა მარიამს ზედა იქმნა, რომელ „სიკუდილი იგი“, რომელი „ადამისითგან ვიდრე მისდამდე სუფევდა“ (რომ. 5,14;), ვინაჲთგან მისდა მოვიდა და ნაყოფსა მას ქალწულებისასა მიემთხჳა, მყის შეიმუსრა. ეგრეთვე ყოველსა სულსა თანა, რომელი ქალწულებით აღასრულებდეს ჴორცთა ამათ შინა ყოფისა ჟამთა ცხორებასა, შეიმუსრვის და დაიჴსნების სიკუდილისა ძალი, რაჟამს არა აქუნ, თუ ვიეთმცა შემშჭუალა თჳსი იგი საწერტელი“[1].

დამოწმებული ტექსტი ცხადყოფს, რომ წმ. გრიგოლ ნოსელის სწავლებით, სიკვდილი, რაც პირველი მამის დაცემის შემდეგ თვისებად გაუხდა ადამიანს, ყველა თაობის თანამდევი იყო (შდრ. „ყოველთა მათ პირველთა ნათესავთა თანა ვიდოდა, და ჟამითი-ჟამად ცხორებასა ამას შემოსრულთა თანა შემოვიდოდა. და საზღვრად ძალისა მისისასა და **დამაყენებელად ქალწულებაჲ იპოვა, რომლისა თანაწარსლვაჲ შეუძლებელ არს**“, გვ. 163,1,21-25). აღნიშნული სწავლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორი ასპექტით:

I. სიკვდილი, რომელიც პირველი ადამიანიდან დაწყებული („პირველქმნილისაგან“, „პირველშეძერწილისაგან“ **ἀπὸ τοῦ πρωτοπλάστου**) მძლეობდა და მოქმედებაში იყო (თავად წმ. გრიგოლ ნოსელი რომ დავიმოწმოთ, „შეუძლებელ იყო უქმობაჲ სიკუდილისაჲ, ვინაჲთგან ქორწინებისა მიერ იქმნებოდა შობაჲ კაცთაჲ“, გვ. 163,1,20-21), როგორც კი ქალწულების ნაყოფს მიემთხვია, მაშინვე დაემხო, რითაც მთელი სისავსით ცხადდება ის უმტკიცესი ჭეშმარიტება, რომ ქალწულების ნაყოფი არის არა მოკვდავი ადამიანი,

---

1 *წმ. გრიგოლ ნოსელი, ქალწულებისათჳს და საღმრთოჲსა მოქალაქობისა, დასახ. გამოც. გვ.* ***163.***

რომელზეც სიკვდილს შეეძლო ემძლავრა, არამედ თავად ღმერთი, რომელიც არის ადამის ნათესავის ცოდვისაგან გამათავისუფლებელი და მთელი კაცობრიობის გამომხსნელი ხრწნილებისა და სიკვდილის მძლავრებისაგან (*შდრ. „აწ უკუე, უკუეთუ არა იქმნა დორციელად მოსლვაჲ უფლისა, არცა სადმე მისცა მჴსნელმან ჩუენთჳს ფასი სიკუდილსა, არცა განკუეთა სიკუდილისა მეფობაჲ თავისა მიერ თჳსისა. რამეთუ უკუეთუმცა სხუაჲ იყო ფლობილი სიკუდილისა მიერ და სხუაჲ მიღებული უფლისა მიერ, არამცა დაცხრომილ იყო სიკუდილი მოქმედებად თჳსთა, არცამცა შესაძინელ ჩუენდა ქმნილ იყვნეს ვნებანი ღმერთშემისილთა მათ ჴორცთანი, არცამცა მოეკუდინა ცოდვაჲ ჴორცითა, არცა განვცხოველდებოდით ქრისტეს მიერ ადამის ძლით მომკუდარნი ესე, არცამცა კუალად აგებულ იყო დაკუეთებული, არცა აღმართებულ დაღონებული, არცა შეესაკუთრებოდა ღმერთსა ცთომითა გუელისაჲთა უცხოქმნილი“, ბასილი კესარიელის თხზულებათა ძველი ქართული თარგმანები, ნ. ქაჯაიას გამოც. გვ. **252,24-34;** *შდრ.* „ვითარ შესაძლებელ იყო, იესუმცა მოვიდა და მან კუალად ნაყოფი სიკუდილისაჲ გამო-ღა-იღოა, რომელი-იგი თუთ აღდგა და აღდგომასა ყოველთა გუახარებდა? ამისთჳს ვერღარა შესაძლებელ იყო იგი ნაყოფსა მას სიკუდილისასა გამოღებად“, დიდსა ორშაბათსა ცისკრად თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანე მთავარ-ეპისკოპოსისა კონსტანტინეპოლელისაჲ, „უდაბნოს მრავალთავი“, *გვ.* **168;** *შდრ.* „ესე [მაცხოვარი] მოვიდა ზეცით ქუეყანად ვნებულისა მისთჳს კაცისა. ესე კაცი თუთ შეიმოსა ქალწულისა მუცელსა შინა და გამოჩნდა კაცად და თავს-იდვა ვნებულისაჲ მის ვნებაჲ... განაძლიერა სულითა და მოკლა კაცის მკლველი იგი სიკუდილი. ესე თუთ მოიგუარა, ვითარცა კრავი, და ვითარცა ცხოვარი, დაიკლა და გჴსნნა ჩუენ საცთურისაგან ამის სოფლისა, ვითარცა ქუეყანით ეგჳპტით ერი იგი, და გამოგჴსნნა ჩუენ მონებისაგან ეშმაკისა, ვითარცა ჴელთაგან ფარაოჲსთა, და აღბეჭდნა სულნი ჩუენნი სულითა თჳსითა და ჴორცნი ჩუენნი სისხლითა თჳსითა. ესე არს, რომელმან შეიმოსა სიკუდილი,

სირცხჳლი და ეშმაკი დააკუეთა მგლოვარჱ, ვითარცა მოსემან ფარაოჲ... ესე არს, რომელმან გამოგჳყვანნა ჩუენ მონებისაგან აზნაურებად, ბნელისაგან – ნათლად, სიკუდილისაგან – ცხორებად, განდგომილებისაგან – სასუფეველსა საუკუნესა... ესე არს შვენიერისა მის მარიამის ქალწულისაგან შობილი", *იოვანე ოქროპირი, თხრობაჲ და უწყებაჲ და სახისა გამოთქუმაჲ აღვსებისა ზრახვისათჳს, „უდაბნოს მრავალთავი", გვ.* ***200-201;*** *შდრ.* „ეჰა, სიკუდილი ქრისტჱსი, სიკუდილისა მომაკუდინებელი! *ტკბილი გულის-თქუმაჲ მწარესა სიკუდილსა წყაროდ აღმოსცენდა", თქუმული ეპიფანჱსი აღვსებისათჳს და აღდგომისა უფლისა, „უდაბნოს მრავალთავი", გვ.* ***262;*** *შდრ.* „ვორცნი, *რომელნი შეიმოსნა უფალმან ღმრთისმშობელისა მარიამისგან, შეიმშჯუალა იგი და დამოეკიდა ძელსა ზედა. და გუელი იგი, რომელი ცოცხალ იყო და ვიდოდა გულთა შინა ჩუენთა, გუამმან მან მომკუდარმან სძლო და მოაკუდინა. საკურველი საქმჱ იქმნა, ვითარ მკუდარმან ცოცხალი იგი მოკლა. არამედ ვითარცა დასაბამითგან არავის უქმნია გუელი სპილენძისაჲ, ვიდრე მოსესამდე და მოსე ქმნა საქმჱ იგი ახალი, ეგრეთვე უფალმან ახალნი ვორცნი შეიმოსნა ქალწულისა მარიამისგან, არამედ არა ზეცით მოიხუნა ვორცნი იგი. სული ზეცისაჲ იყო, არამედ კაცი ახალი შეიმოსა ღმრთეებისა თანა. და შეიმოსნა ვორცნი კაცობრივნი და ხატი მონისაჲ შეიმოსა საშოსა შინა. და ვითარცა გუელი სპილენძისაჲ მოსესამდე არა ყოფილ არს, ეგრეთვე ვორცნი უცოდველნი ვიდრე უფლისამდე არავის მიუხუმან სოფელსა შინა. რამეთუ გარდაჰვდა რაჲ მცნებასა პირველი ადამ, უფლებდა სიკუდილი ყოველთა ზედა შვილთა მისთა. ხოლო მომკუდარმან მან გუელმან სძლო გუელსა მას ბოროტსა", *წმ. მაკარი დიდის* ***26*** *სიტყვის ეფთვიმესეული თარგმანი, გვ.* ***345,12-28)***.

მიუხედავად იმისა, რომ არც ორიგინალში და არც ქართულ თარგმანში ამ კონტექსტში სიტყვა „ღვთისმშობელი" ან „ქალწული მარიამი" ნახსენები არ არის, სავსებით აშკარაა, რომ მასზეა მინიშნება, რამდენადაც ორიგინალის სიტყვები: „ვიდრე ქალწულებაში მყოფის

სიცოცხლემდე“ ან „ქალწულებაში დადგრომილის სიცოცხლემდე“ – **μέχρι τῆς τοῦ παρθενεύοντος ζωῆς,** რაც ეფთვიმეს მიერ შემოკლებულად არის თარგმნილი – „ვიდრე ქალწულისა“, მოტანილია არტიკლის გამოყენებით, რომელიც სწორედ კონკრეტულ და არა ზოგადად ქალწულობაზე მითითების ფუნქციას ასრულებს. აქ რომ წმ. ქალწული მარიამი იგულისხმება, ეს სავსებით ცხადია, რადგან თავად წმ. გრიგოლ ნოსელი აკონკრეტებს იქვე:

„რამეთუ ვითარცა-იგი ღმრთისმშობელისა მარიამს ზედა იქმნა, რომელ «სიკუდილი იგი», რომელი «ადამისითგან ვიდრე მისდამდე სუფევდა», ვინაჲთგან მისდა მოვიდა და **ნაყოფსა მას ქალწულებისასა მიემთხჳა, მყის შეიმუსრა**“ *(იქვე, 14,1,26-29),*

ციტირებული სიტყვები კიდევ ერთი ხაზგასმაა იმაზე, რომ ქალწულების ნაყოფი (ნაშობი) ლიტონი, მოკვდავი ადამიანი როდია, არამედ სიკვდილის მძლეველი ღმერთი (შდრ. „უკუეთუმცა არა ქალწულივე ეგო დედაჲ იგი, ლიტონიმცა იყო, რომელი-იგი იშვა, და არამცა დიდებულ იყო შობაჲ იგი. უკუეთუ შემდგომად შობისა ქალწულივე ეგო იგი, გამოუთქუმელად იშვა... საიდუმლოჲ ესე... უფროჲს სიტყჳსა გარდარეულ არს და საკჳრველება“, *პროკლე კონსტანტინეპოლელი, „სინური მრავალთავი“, გვ. 41;* შდრ. „წიაღთა მამისათა იყო და წიაღთა ქალწულისათა და ქალწულებისა კლიტჱ არა განხეთქა, რამეთუ **ღმერთი იყო და ესრეთ საშოჲსაგან გამოვიდა და ეგრევე იშვა,** ვითარცა მუცელსა შევიდა; უვნებელად შევიდა და უვრწნელად გამოვიდა სიტყჳსა მისებრ ეზეკიელ წინაწარმეტყუელისა, ვითარცა იტყჳს: და მომაქცია მე უფალმან გზასა მას ბჭისა მის წმიდათაჲსა აღმოსავალად. და იყო იგი დაკშულ და მრქუა მე უფალმან: ძეო კაცისაო, ბჭჱ ესე იყოს დაკშულ და არა განეღოს ესე, არცა გან-ვინ-ვიდეს მიერ, რამეთუ უფალი ღმერთი მხოლოჲ შევიდეს და იგი თავადი გამოვიდეს. და იყო ბჭჱ იგი დაკშულ“, *იქვე, გვ. 44-45;* შდრ. *„რომელი-იგი [მაცხოვარი] იშვა ქალწულისაგან და აღამაღლა ქალწულებაჲ“,* იოვანე მთავარეპისკოპოსი კოსტანტინეპოლელი, მკუდრეთით აღდგომასა

უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსსა, „უდაბნოს მრავალთავი“, *გვ. 253; შდრ.* „ამისთჳს შობაჲ ღმრთისა ადამიანისაგან დედაკაცისა, რაჲთა მიწითშობილთა კაცთა ცთომასა, **ვითარცა ღმრთისა დედაჲ, დაჰჴსნიდეს ქალწული**“, *დავით აღმაშენებელი, დასახ. ნაშრ. გვ. 23).*

II. წმ. გრიგოლ ნოსელის სწავლებით, ქალწულება, ქალწულებითი ღვაწლი, რაშიც **ბერ-მონაზვნობა** იგულისხმება, თავისი არსით სიკვდილის შემაკავებელია, რამდენადაც ქალწულება თავისთავად არ არის მიზეზი მოკვდავი შთამომავლობის შემოყვანისა წუთისოფელში. სწორედ ამის გამო მიიჩნევს დიდი კაბადოკიელი მოღვაწე, რომ ქალწულებაზე ვერ მძლეობს სიკვდილი (შდრ. „უზეშთაეს ძალსა სიკუდილისასა არს ქალწულებაჲ“, *გვ. 163,14).* წმინდა მამის სწავლებით, ქალწულების ღვაწლში მყოფმა ადამიანებმა საკუთარ თავში შეაკავეს სიკვდილის სრბოლა და უმეტესისაკენ სვლის საშუალება აღარ მისცეს მას, რის გამოც ისინი ერთგვარ ზღუდედ აღიმართნენ სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის იმით, რომ თავად არ გამხდარან მიზეზი მოკვდავი ადამიანის შობისა, რომელზეც სიკვდილი გავრცელდებოდა *(შდრ.* „და კეთილად უხრწნელ ეწოდების გუამსა მას, *რომელსა არა ემსახუროს* განხრწნილისა მის ცხორებისა მსახურებასა, *არცა* თავს-ედვას, *რაჲთამცა* მოკუდავისა მის თესლებისა ორღანო იქმნა. *რამეთუ ამის მიერ განიკუეთა* განხრწნისა *და მოკუდომისა* იგი *შეერთებაჲ*“, *გვ. 163,15-18).*

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სავსებით აშკარაა, რომ წმ. გრიგოლ ნოსელი უდიდეს ღირსებასა და პატივს განუკუთვნებს ქალწულებას, რომელიც, ერთი მხრივ, მშობელია ღმერთისა, – სულიერი სიკვდილისაგან მთელი კაცობრიობის განმათავისუფლებლისა და სიკვდილის მძლეველისა –, ხოლო მეორე მხრივ, თავადვეა სიკვდილის დამარღვეველი, რამდენადაც იგი არ არის მოკვდავი შთამომავლობის წუთისოფელში შემოყვანის საშუალება. წმ. გრიგოლ ნოსელის ამ სწავლებას ეთმობა ზემოდამოწმებული ასკეტური შრომის მთელი XIV თავი, რომლის არსებითი დასკვნაც შემდეგია: ყველა ადამიანზე, ვინც კი ამქვეყნად ქალწულებრივ ღვაწლს შეუდგება, უქმდება სიკვდილის

ყოველგვარი ძალა, რადგან ქალწულებაში მყოფი აღარ გამოიღებს „სიკვდილის ნაყოფს“, არამედ ანგელოზთა მსგავსყოფას ეზიარება მარადიულ ცხოვრებაში.

***

ვფიქრობთ, ზემოგანხილული სწავლებანი მრავალი კუთხით არის ფასეული, რაც, როგორც გამოიკვეთა, ძირეულად უკავშირდება ჰომილიაში წამოჭრილ საღვთისმეტყველო საკითხებს.

სამწუხაროა, რომ ქართული თარგმანი ნაკლულევანია, თუმცა ზემორე კვლევამ, ვფიქრობთ, თვალნათლივ აჩვენა, რომ ის მცირე ნაწილიც კი ტექსტისა, რაც შემოგვრჩა, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა საეკლესიო ღვთისმეტყველებით დაინტერესებული საზოგადოებისათვის.

Protoresbyter **Giorgi Zviadadze**

The Earliest Georgian Translation of a Homily dedicated to the Feast of the Ascension

The present article represents an analysis of one of the most important homilies with its authorship assigned to Saint Athanasius of Alexandria. The writing is dedicated to the Feast of the Ascension and is preserved in the monument of the 10-century "Klarjuli Mravaltavi" (a volume of homilies). The aforementioned collection of homilies contains translations of the earliest epoch (the 5th-6th centuries). Although, contemporary scientific literature denies the authorship of Saint Athanasius of Alexandria, the work undoubtedly bears paramount significance and, therefore, needs to be studied assiduously. Within the framework of the present research, we do not address the subject of the authorship of the homily. In this case, we attach special importance to the fact that the monument was translated into Georgian back in the historical epoch and was incorporated in the liturgical collection "Mravaltavi" which represents a monument of significant importance, containing homilies assigned to be delivered on respective feast days to the public attending

services. In the homily, the author expounds on the Ascension of the Saviour and His Incarnation. He also toucheson the subjects of the Creation of man, the Original Sin, the redemption of humankind by the Saviour and the fulfillment of the Divine Providence – which is the restoration of the original image of man who had fallen in sin. aforementioned theological themes are studied in the context of the teachings of Clement of Alexandria, Saint Basil the Great, Saint Gregory of Nyssa and other Church Fathers.

In the article, we review a wide range of the issues connected with the correlation of the Georgian text with the Greek original, also philological and theological issues related to the monument, considering the parallel translations into Latin, Russian and French languages. In addition, the article offers appropriate conclusions made after its study from the angle of the augmentation of the text, its reduction and the cases of its free translation.

ეგზეგეტიკა

ირაკლი ორჟონია

ძველი აღთქმის თეოფანიები და მათი საეკლესიო ეგზეგეზისი

ძველი აღთქმის "გამოსვლათა" წიგნში აღწერილია, თუ როგორ დატოვა ებრაელმა ერმა მრავალწლიანი მონობის შემდეგ ეგვიპტე და აღთქმულ მიწას – ქანაანის ქვეყანას მიაშურა. საეკლესიო ეგზეგეტიკის თანახმად, სწორედ ხსენებული მსვლელობის ორმოცდამეათე დღეს განეცხადება ღმერთი სინას მთასთან აღმოჩენილ ებრაელებს. ამასთან, იმავე სინაიზე მოსე წინასწარმეტყველი ძველი აღთქმის საღვთო რჯულს შეიმეცნებს და ფიქალებზე სასწაულებრივად ამოტვიფრულ მცნებებს მიიღებს. საგულისხმოა, რომ სწორედ ძველაღთქმისეული ერგასისის (ე. ი. ზემოხსენებული ორმოცდაათეულის) დღესასწაულზე აღესრულა სულიწმინდის გარდამოსვლა და ახალი აღთქმის ეკლესიის დაფუძნება, რაც, თავისთავად ცხადია, არა შემთხვევითი მოვლენა, არამედ საღვთო განგებულებით განსაზღვრული იდუმალებაა. აი, რას გვაუწყებს აღნიშნულის შესახებ საეკლესიო ეგზეგეტიკა:

„დღისა მისთჳს მეერგასისა მრავალნი შეკრებულ იყვნეს მუნ (იერუსალიმში; ი. ო.), ვინაჲთგან დიდი იყო ჰურიათა შორის დღესასწაული ესე, ვინაჲთგან ამას მეერგასესა დღესა მოეცა ძუელი იგი შჯული მთასა ზედა. ამისთჳს

მასვე დღესა მოჰფინა მადლი იგი სულისაჲ, რაჲთა ცხად იქმნეს უფლებაჲ სულისა წმიდისაჲ და გამოთარგმანებულ – გამოჩინებაჲ ღმრთისაჲ, და იქადაგოს განუყოფელი ერთობაჲ სამგუამოვნისა ღმრთეებისაჲ, ვითარმედ ერთი და იგივე არს ძუელისა და ახლისა შჯულისა მომცემელი"[1].

წარმოდგენილი განმარტების თანახმად, იუდეველთა ერგასისის დღესასწაულზე (ე. ი. რჯულის მიღების გასახსენებლად დაწესებულ დღეს) გარდამოვიდა მოციქულებზე სულიწმინდა, რითაც წარმოჩნდა, რომ სწორედ ძველი აღთქმის ეპოქაში სინაის მთის თეოფანიისას გაცხადებული ერთარსი ღმერთია ახალი აღთქმის ეკლესიის დამფუძნებელი უფალი.

საგულისხმოდ აღგვიწერს იმავე მოძღვრებას სევერიანე გაბალოვნელის ერთ-ერთი ჰომილია:

„დღჱ ესე მარტჯლიისაჲ (=ერგასის; ი. ო.) დღჱ არს სიხარულისაჲ მრავალსადიდებელი, დღჱ არს დღესასწაულისაჲ თავთა დღესასწაულთაჲ, რომელ არს ერთი სამთა მათ დღესასწაულთაგანი ბრწყინვალეთაჲ, რომელი წერილ არს ძუელსა შჯულსა და ახალსა, რომელსა შინა ქრისტჱ იქადაგების[2]. ამას დღესა მეერგასესა მოეცა ძუელი იგი მცნებაჲ მოსეს მთასა მას ზედა სინასა. და ამასვე დღესა მოეცა მცნებაჲ ახალი მოწაფეთა სიონს შინა. ამას დღესა მოიხუნა მოსე წინაწარმეტყუელმან ფიცარნი იგი ქვისანი მთასა ზედა სინასა და მასვე დღესა შეიწყნარა კრებულმან

---

1 განმარტება სამოციქულოსი, გამოკრებული იოვანე ოქროპირისა და სხვა წმიდა მამათა თხზულებებიდან, თარგმნილი ეფრემ მცირის (კარიჭის ძის) მიერ, I; ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვა დაურთო ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა; თბილისი, 2000, გვ. 39.

2 ყოველწლიურად აღსასრულებელ იუდაურ დღესასწაულებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობით სამი გამოირჩეოდა: ***ბასექი, ერგასისი და კარვობა,*** რომელთა შესახებ ძველი თუ ახალი აღთქმის წიგნებში მრავალი ცნობა გვხვდება. სწორედ მათ მოიაზრებს ღირსი სევერიანე "ბრწყინვალე დღესასწაულებში", რადგან ისინი ქრისტეშობამდელ ეპოქაში უცხადებდა კაცობრიობას სოტერიოლოგიურ საიდუმლოს.

მოციქულთამან მოსლვაჲ სულისა წმიდისაჲ, ნაცვალად ფიცართა მათ ქვისათა..."[1].

აზრი ამ შემთხვევაშიც სრულიად მკაფიოდ არის გამოთქმული და აღნიშნული მოვლენის მიზეზად საღვთო განგებულებაა დასახელებული, რაც მონოთეისტურ რჯულდებას (ღვთის მხოლოობას) წარმოაჩენს, რადგან ასეთი მოქმედებით საცნაური ხდება, რომ სინაის მთის თუ იერუსალიმური თეოფანიის აღმსრულებელი ერთი და იგივე ღმერთია, რომელმაც მყოფობაში მოიყვანა რა ორი სახის გონიერი არსება, – ანგელოზი და ადამიანი, – საკუთარი თავის შესახებ ცოდნა დატევნისამებრ მიჰმადლა მათ[2].

---

1 ძველი ქართული მწერლობის ძეგლები XII1, კლარჯული მრავალთავი; ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო თამილა მგალობლიშვილმა; თბილისი, 1991, „საკითხავი თქუმული წმიდისა სებერიანე გაბალოვნელ ეპისკოპოსისაჲ მარტჳლიისათჳს", გვ. 336-337.

2 საყურადღებოა, რომ წმინდა წერილში არ გვხვდება დაზუსტებული ცნობა იმის თაობაზე, ეგვიპტის დატოვების შემდეგ მერამდენე დღეს მივიდნენ იუდეველნი სინაისთან. ბიბლია ზოგად უწყებას გვთავაზობს, რომლის მიხედვითაც ხსენებული მოვლენა მესამე თვეს აღსრულდა: *„თთუესა მესამესა გამოსლვითგან ძეთა ისრაჱლისათაჲთ ქუეყანით ეგჳპტით, ამას თთუესა მოვიდეს იგინი უდაბნოსა მას სინაჲსასა. და წარმოიძრნეს რაფიდინით და მოვიდეს უდაბნოსა მას სინაჲსასა და დაიბანაკეს ისრაჱლთა მუნ, წინაშე მთასა მას" (გამოს. 19. 1-2).* აღნიშნულ გაურკვევლობას გაბალის ეკლესიის ხსენებული მღვდელთმთავარი უაღრესად საგულისხმო განმარტებით ეხმიანება. აი, შესაბამისი ადგილი: „და აწ ჯერ-არს ჩუენდა, რაჲთა გამოვიძიოთ, უკუეთუ ამას დღესა მეერგასესა მოეცა შჯული, რამეთუ არა წერილ არს გამოჩინებით წიგნსა მას დაბადებისასა, ვითარმედ მეერგასესა დღესა მოეცა შჯული; არამედ რომელნი გამოეძიებენ წიგნთა ზედა მიწევნით საუნჯითა მეცნიერებისაჲთა, სულიერად გულისხმა-ჰყოფენ. იხილე აწ, საყუარელო, და ცან, რაჲ-იგი თქუა მოსე, ვითარმედ: „თთუესა მესამესა გამოსლვითგან ძეთა ისრაჱლისათა ეგჳპტით, ჰრქუა მას ღმერთმან: გარდავედ და განაკრძალე ერი, რაჲთა განწმიდნენ დღეს და ხვალე და მესამესა დღესა თთუესა მის მესამისასა გამოვეცხადო მათ“ (შდრ. გამოს.

რაც შეეხება საკითხს, თუ რა მიზეზით ინება უზენაესმა ქრისტეშობამდელ ეპოქაში მხოლოდ ერთი ეთნოსის – იუდეველი ერის გამორჩევა და ოდენ მათ აუწყა საკუთარი თავის შესახებ, აღნიშნულს ამომწურავად უპასუხებს ეკლესიის დიდი მოძღვარი, წმინდა მაქსიმე აღმსარებელი. კერძოდ, არეოპაგეტული კორპუსის კომენტარებში ერთგან ვკითხულობთ: **„იკითხვიდეს თუ ვინმე, ვითარმედ: «ვითარ, ვინაჲთგან ყოველთა ნათესავთა ზედა სახიერნი ანგელოზნი ზედამდგომელ იყვნეს, რაჲსათჳს მხოლოჲ ისრაელი იცნობდა ღმერთსა?»“[1].**

---

19. 1-2). გულისხმა-ყავთ აწ, რამეთუ თთუესა პირველსა, ათოთხმეტსა იყო გამოსლვაჲ ძეთა ისრაჱლისათაჲ ეგჳპტით. აწ უკუე იპყარ აჩჳდმეტი მის თთჳსაჲ და იპყარ მეორისა მის თთჳსაჲ ოცდაათი და სამი დღჱ და მესამისა მის თთჳსაჲ, ვითარ-იგი ჰქრუა უფალმან მოსეს: „ამცენ ძეთა ისრაჱლისათა, რაჲთა განიწმიდნენ დღეს და ხვალე და მესამე დღესა გამოვეცხადო მათ“ (შდრ. გამოს. 19. 10-11). და მით გამოაჩინა, ვითარმედ მეერგასისესა დღესა დაკლვითგან პასექისაჲთ, რომელ არს აღვსებაჲ, მათ გამოეცხადა უფალი მთასა ზედა სინასა. და ესრჱთვე, განსრულებასა მეერგასისა დღისა გამოეცხადა სული წმიდაჲ" (*Ibid.* გვ. 337). სევერიანე გაბალოვნელის დამოწმებული განმარტების თანახმად, მეერგასე (ორმოცდამეათე) დღე ასე გამოითვლება: პირველი პასექის დღესასწაული ებრაელებმა ნისანის თოთხმეტ რიცხვში აღასრულეს და იმავე დღეს (ღამე) დატოვეს საკუთარი საცხოვრისები, ნისანის თვის დასრულებამდე კი ჩვიდმეტმა დღემ განვლო (შდრ. „ათოთხმეტსა იყო გამოსლვაჲ ძეთა ისრაჱლისათაჲ ეგჳპტით. აწ უკუე იპყარ აჩჳდმეტი მის თთჳსაჲ"), რასაც თანმდევი იარის თვის ოცდაათი დღე შეემატა (შდრ. „იპყარ მეორისა მის თთჳსაჲ ოცდაათი"), ხოლო მორიგი ახალი თვის, სივანის, მესამე დღეს სინაის მთის თეოფანია აღესრულა (შდრ. „განიწმიდნენ დღეს და ხვალე და მესამე დღესა გამოვეცხადო მათ"). შესაბამისად, ნისანის თვეში ნაზეიმები პირველი პასექის შემდგომი ჩვიდმეტი დღე, მეორე თვის ოცდაათი და მესამე თვის სამი დღე ჯამში ორმოცდათი დღეა (შდრ. „მეერგასისესა დღესა დაკლვითგან პასექისაჲთ, რომელ არს აღვსებაჲ, მათ გამოეცხადა უფალი მთასა ზედა სინასა").

1 ქართულ-ბერძნული საღვთისმეტყველო განმარტებანი ანგელოზურ ძალთა შესახებ, განმარტებათა ძველი ქართული (წმ. ეფრემ მცირისეული)

წარმოდგენილ შეკითხვაში ორი უარსებითესი საკითხია გამოკვეთილი: (1) მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი პირველმშობლების შეცოდების შედეგად ღმერთს განშორდა კაცობრიობა, უფალმა საკუთარი მზრუნველობა ადამიანის მიმართ ძველაღთქმისეულ ეპოქაშივე გამოავლინა, რადგან ყოველ ტომს ანგელოზთა ძალები მფარველობდნენ; (2) რაც შეეხება მეორე საკითხს, ის შეკითხვის სახითაა წარმოდგენილი: ***რატომ მოხდა ისე, რომ მრავალ ეთნოსს შორის ყოვლიერების შემოქმედმა მხოლოდ ებრაელი ერი გამოირჩია და მას გაუცხადა საკუთარი თავი სინაიზე აღსრულებული თეოფანიისას? ხომ არ მოქმედებდა ღმერთი მიკერძოებით?***

ღირსი მაქსიმე დასმულ შეკითხვას ასე უპასუხებს: „მიუგებთ და ვეტყვით, ვითარმედ: **არა ხოლო ღმერთმან ისრაელი გამოირჩია, არამედ ისრაელმანცა ღმერთი გამოირჩია,** რამეთუ ესრეთ გამოითარგმანების სახელი ისრაელისაჲ: "**გონებად, მხედველად ღმრთისა**".... **არა ხოლო ღმერთსა უყუარდა ისრაელი, არამედ ისრაელსაცა – ღმერთი,** რომელი-ესე მოციქულმან მრავალგზის ცხად-ყო ესრეთ: „ნუუკუე ჰურიათაჲ ოდენ არს ღმერთი და წარმართთაჲცა? ჰე, წარმართთაჲცა“ (რომ. 3. 29-30), ვინაჲთგან ერთ არს ღმერთი. **არამედ ისრაელმან პირველ აღირჩია შედგომაჲ მისი.** ***ამისთჳს, რაჟამს გამოირჩიეს, შეიწყნარა და რაჟამს განაგდეს, განყარა, რამეთუ თჳთმფლობელად დაუბადებიან კაცნი და ოდეს ინებონ* ***იგი,*** *მაშინ ეპოების მათ.* **ამისთჳს არა ანგელოზთა ზედამდგომელობათა სიმართლისაჲ, არამედ წარმართთა არა მართლშედგომისაჲ არს ბრალი ესე შემცრებისა ღმრთისაჲ**" (*Ibid.* გვ. 157-158).

დამოწმებულ სწავლებაში რამდენიმე უარსებითესი საკითხი იქცევს ყურადღებას:

(1) იუდეველი ერის გამორჩევა არა ღმერთის მიკერძოებული მოქმედებაა, არამედ ხსენებული ერის მზაობა – შეუდგეს ცისა

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ბერძნულ კომენტარებთან შეაჯამა, გამოკვლევა და ტერმინოლოგიური ლექსიკონი დაურთო ანა ჭუმბურიძემ, თბილისი, 2001, გვ. 157.

და ქვეყნის შემოქმედს; არა ოდენ უფლის სიყვარული, მათ მიმართ გამოვლენილი, არამედ თავად ამ ეთნოსის სულიერი ტრფიალით აღსავსე საპასუხო გრძნობა.

(2) ებრაელებისადმი განკუთვნილი ტერმინი "**ISRAEL**" ასე განიმარტება: "***გონება მხედველი ღმრთისა***" (შდრ. ბერძ. **νοῦς ὁρῶν τὸν θεόν**[1]), რაც ძველაღთქმისეულ სულიერ ვითარებას წარმოაჩენს, რომ მხოლოდ ერთმა ერმა განჭვრიტა და დაიტია მოძღვრება ჭეშმარიტი ღმერთის შესახებ[2].

---

1 **PG. t. 4; col. 84 D.**

2 ტერმინ ისრაელთან დაკავშირებული წმინდა მაქსიმე აღმსარებლის განმარტება მრავალ პატრისტიკულ წყაროში პოულობს ანალოგს. მაგალითად, *წმინდა კირილე ალექსანდრიელი:* „***ისრაელი – გონება მხედველი ღვთისა***" (შდრ. **[PG. t. 69; col. 85 B]: ... Νοῦς ὁρῶν τὸν θεόν**); *წმინდა გერმანე კონსტანტინოპოლელი:* „ისრაჱლი გამოითარგმანების: "***გონებაჲ მხედველი ღმრთისაჲ***"" **(sin. 91; 145 r)**; *წმინდა გრიგოლ ნოსელი:* „არავის გადაუგორებია ლოდი, თუ არა ისრაელს, რომელიც არის ***გონება მხედველი ღვთისა***" (შდრ. **[PG. t. 46; col. 589 B]: ... ὅς νοῦς ὁρῶν τὸν θεόν**); *წმინდა სიმეონ ახალი ღვთისმეტყველი:* „ისრაელ ეწოდა მას, რომელ არს "***გონებაჲ მხედველი ღმრთისაჲ***"" (ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი, თბილისი, **2/2009**, „სიტყუაჲ სინანულისა მიმართ" გვ. **260**); ანალოგიურად განმარტავს ხსნებულ ტერმინს *წმინდა მაკარი ეგვიპტელი:* „ისრაჱლი გამოითარგმანების: "***გონებაჲ მხილველი ღმრთისაჲ***"" (ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, **IV**, ფსევდომაკარის თხზულებათა ქართული ვერსია, თარგმნილი წმ. ექვთიმე მთაწმინდლის მიერ; ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო გ. ნინუამ, თბილისი, **1982**, გვ. **320**); იდენტურ განმარტებას გვთავაზობს მართლმადიდებლური დოგმატების შემაჯამებელ სახელმძღვანელოში *ღირსი იოანე დამასკელი* (ეფრემ მცირის თარგმანი): „ხოლო სულიერი და საიდუმლოჲ ბრძანებაჲ ესე იყო, რაჲთა ყოველნივე შჯდმოქცევნი ჟამნი ჭეშმარიტისა მის ისრაელისა, რომელ არს ***გონებაჲ მხილველი ღმრთისაჲ***, სათნოდ წარეგებოდინ..."; (არსენ იყალთოელის თარგმანი): „ხოლო სულიერთადა შექცეულსა და ჭეშმარიტსა ისრაელსა, რომელ არს ***გონებაჲ, მხილველი ღმრთისაჲ,*** უბრძანებს შჯული..." (წმინდა იოანე დამასკელი, „მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა", ძვ. ბერძნულიდან თანამედროვე

(3) ყოველ ადამიანს თავისუფალი ნება და საკუთარი არჩევანის შესაბამისად მოქმედების შესაძლებლობა მიჰმადლა ღმერთმა. ამდენად, როდესაც იუდეველმა ერმა უფალი აირჩია, **მან** შეიწყნარა ისინი, ხოლო რაჟამს იმავე ხალხმა პიროვნული ნებელობით უარყო საკუთარი მეუფე, საღვთო კანონზომიერების შესაბამისად, თავადაც უარყოფილი აღმოჩნდა.

წმინდა მაქსიმე იგივე საკითხს ხსნებულ კომენტარებში რამდენიმეგზის ეხმიანება და ერთგან ბრძანებს: „ისრაელი თჳსად განიკუთჳნა, ვითარცა მცნობელი მისი... და ესრეთ გულისჯმა-იყოფების, თუ ვითარ, რომელი-იგი ყოველთა ზედა მთავრობს ღმერთი, მხოლოდ ისრაელისა ითქუმის ღმერთად და ისრაელი – ერ მისსა; გარნა ამისთჳს, რამეთუ ბუნებით დამბადებელობით ყოველთა ზედა მთავრობს ღმერთი, ხოლო

ქართულზე თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, თბილისის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, **2000**, გვ. **289-290)**. იმავეს გვამცნობს წმინდა ათანასე ალექსნადრიელი ფსალმუნთა კომენტარებში: „***ისრაელ ეწოდების გონებასა ღმრთისმხილველსა***" (*„სიტყუანი ფსალმუნთანი შემოკლებით თარგმანთაგან გამოკრებულნი მრავალთაგან წიგნთა"*, ნაწილი I, უძველესი ხელნაწერების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ნინო დობორჯგინიძემ, თბილისი, **1996** წელი, გვ. **50)**. ზემოდამოწმებული წყაროებისაგან მცირედით განსხვავდება შატბერდის კრებულში დაცული განმარტება, რომელიც *წმინდა იპოლიტე რომაელს* ეკუთვნის: „***ისრაიტელნი ითქუმიან ღმრთისმხილველ***" (ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, შატბერდის კრებული, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბილისი, **1979** წ., გვ. **221)**. მიუხედავად იმისა, რომ ზემომოხმობილი შრომები, ხსენებულ ტერმინთან მიმართებით, ფაქტობრივად იგივეობრივ განმარტებას წარმოგვიდგენს, სრულიად განსხვავებული სახით ორგზისაა ის კომენტირებული წმინდა ევსტატი მცხეთელის მარტვილობაში. დავიმოწმებთ შესაბამის ადგილებს (*ქრისტიანული რჯულის შემეცნების მსურველ წმინდა ევსტატის აღნიშნული სიტყვებით სამოელ არქიდიაკონი მიმართავს*): „***ისრაეკლი გამოითარგმანების:*** **ერი ღმრთისაჲ**" (ქართული პროზა, წიგნი I, მეხუთე მეთერთმეტე საუკუნეების მწერლობა, *„ევსტათი მცხეთელის წამება"*, თბილისი, **1981**, გვ. **35)**; *კიდევ:* „ხოლო აწ ***ქრისტეანეთა უწოდა ისრაეკლ***, რამეთუ ***ისრაეკლი ითარგმანების:*** **ერ ღმრთისა და მონა ქრის-**

უმახლობელესქმნილთა მისსა, რომელნი მას მხოლოსა თაყუანისსცემდენ, თჳსად განიკუთვნებს და სამართლად მათდა ოდენ ითქუმის ღმერთად, ვინაჲთგან სხუანი იგი, რომელნი კერპთა ჰმსახურებდენ, სხვათა ვიეთმე ჰყოფენ იგინი ღმერთ თჳსსა"[1].

შესაბამისად, სამყაროს შემოქმედი უფალი, ბუნებრივია, ყველას ღმერთია, მაგრამ ისრაელის ღმერთად იწოდება **ᲘᲐᲗ**, ვინაიდან მხოლოდ ებრაელმა ერმა განუკუთვნა **ᲛᲐᲡ** ***მსახურებითი თაყვანისცემა,*** რისთვისაც სხვა ეთნოსებს შორის გამორჩეული ადგილი მიებოძა, მაშინ როდესაც დანარჩენი ტომები კერპებს მიაგებდნენ პატივს.

ღირსი მაქსიმე მსჯელობას განაგრძობს და საღვთო მზრუნველობის საყოველთაოობის წარმოსაჩენად საგულისხმო

ᲗᲘᲡᲐ, *რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამინ*" (*Ibid.* გვ. 42). დამოწმებული წყაროს თანახმად, პირველ შემთხვევაში ისრაელი განიმარტება როგორც "***ერი ღმრთისა***", ხოლო მეორეგზის უფრო განვრცობილი ფორმაა გამოყენებული: "***ერი ღმრთისა და მონა ქრისტესი***". შევნიშნავთ, რომ იმავე სიტყვის განმარტებას ვხვდებით *კლიმენტი ალექსანდრიელის* "სტრომატებში". აი, შესაბამისი ადგილი: „ამის შემდეგ, როგორც მრავალგამოცდილსა და ასკეტს, ახალი სახელი ***ისრაელი*** (**᾽Ισραὴλ**) ეწოდება მას [*სიტყვ.* ისრაელად გარდასახელდება იგი; *ბერძ.* **οὗτος μετονομάζεται** (*იგულისხმება იაკობ მამათმთავარისადმი ახალი სახელის – „ისრაელის“ განკუთვნა; ი. ო.*)], *რომელიც* (*აღნიშნული ნაცვალსახელი მიემართება წინადადების დასაწყისში დამოწმებულ ტერმინს „ისრაელი“; ი. ო.*) *არის* "***სუფთადმხედველი***"" (**PG. t. 8; col. 725 A**). ღირსი კლიმენტი "***ისრაელის***" ბერძნულ შესატყვისად მოიხმობს ტერმინს **διορατικός** ("***სუფთადმხედველი***"; ლათ. **perspiciendi**) – ე. ი. ***ის, ვინც დაბრკოლების გარეშე, კარგად, გარკვევით, სუფთად ხედავს;*** დამოწმებული ბერძნული სახელი მომდინარეობს ზმნიდან **διοράω** (*ლათ.* **perspicio**) და რუსულ-ინგლისურენოვან ლექსიკონებში ასე განიმარტება: **видеть насквозь или отчётливо; clear-sighted** (**Греческо-Руский словарь составленный А. Д. Вейсманом, С,-Петербург, 1899, ст. 333; И. Х. Дворецкий. Латинско-Русский словарь, Москва, 1976, ст. 757; A Patristic Greek Lexicon; Edited by G. W. H. Lampe, Oxford, 1961, p. 373**).

1 ქართულ-ბერძნული საღვთისმეტყველო განმარტებანი ანგელოზურ ძალთა შესახებ, გვ. **159**.

სწავლებას გადმოგვცემს: „ვინაადთგან ისრაელი მხოლოდ იქმნა ნაწილ უფლისა თჳთფლობით აღრჩევითა ღმრთისმეცნიერებისაადთა, ჯერ-იყო, რაადთამცა მას მხოლოსა სცვიდა ღმერთი მის ზედა ოდენ დადგინებითა ანგელოზისაადთა, არამედ რაადთა განცხადნეს მიუწდომელი და განუზომელი უფსკრული სახიერებათა ღმრთისათაა, ამისთჳს ყოველთა განდგომილთაცა მისგან თითოეულსა ნათესავსა სხუაა ანგელოზი დაუდგინა მცველად" (*Ibid.* გვ. 160).

წარმოდგენილი მოძღვრების თანახმად, ვინაიდან ერთმა, ებრაელმა ერმა შეიმეცნა ღმერთი, თუკი მხოლოდ საღვთო სამართლიანობა იმოქმედებდა, მფარველი ანგელოზი ოდენ მათ უნდა განკუთვნოდათ, მაგრამ ზესამართლიანმა და, იმავდროულად, განუზომელმა უფსკრულმა სახიერებისა სხვათა შემწეობის მიზეზით ყოველ ეთნოსს განუწესა უსხეულო ზეციური ძალა.

აღნიშნულის შემდეგ, შესაძლოა, ვინმემ იკითხოს: ***ანგელოზთაგან ნაწინამძღვრები ხალხი როგორღა განუდგა თავის შემოქმედს?***[1]

ღირსი მოძღვარი იქვე უპასუხებს: **„ვიტყჳთ უკუე, ვითარმედ ყოველივე იძულებაა განჴდილ არს ღმრთისა მიმართ მხედველთაგან და მის წილ შემოყვანებულ არს ყოველი თჳთმფლობელობაა; ვინაცა რომელმან აღირჩიოს ღმრთისა თანა ყოფაა, ესევითარი-იგი იცვების და ძღუანებულ-იქმნების ანგელოზთა მიერ, რამეთუ: „უფალმა უწყნის გზანი მართალთანი“ (ფს. 1.6), და კუალად: „ყრმა ვიყავ, დავბერდი და არა ვიხილე მართალი დაგდებული“ (ფს. 36.25). ხოლო რომელთა წინააღმდგომი აღირჩიონ, არავე იიძულებიან მათ ზედა მცველად დადგინებულთა ანგელოზთა მიერ ამის რაჲსმე ქმნად უნებლებით, რამეთუ ესე პირუტყული ცხორებაჲ არს და არა კაცობრივი. ვინაცა რაჟამს თჳთ იგი ისრაელი განდრკა ცოდვად და ქმნა ჴბოჲ, არავე იიძულა, არამედ ესრეთ ესმა, ვითარმედ: „მეცნიერებაჲ ღმრთისაჲ განიშორე შენგან და**

---

1 შდრ. „გარნა სთქუა სადმე, ვითარმედ ვითარ რომელთა-იგი აქუნდა მცველობაჲ და ზედამდგომელობაჲ ანგელოზთაჲ წინამძღურად მათდა, განდგეს ღმრთისაგან ცხოველისა და თაყუანის სცეს კერპთა?" (*Ibid.* გვ. 160).

შემდგომად გულისა შენისა ხჳდოდე“, რომლითა ცხად არს, ვითარმედ თჳთმფლობელობით ჰყოფენ კაცნი ყოველსავე და ანგელოზნიცა არა იძულებით, არამედ ნებსარსებით, ესე იგი არს, არსებითისა და ბუნებითისა ნებისაებრ მაშინ შეეწევიან და უძღჳან კეთილისა მიმართ, რაჲთა ცხად-ყონ თჳთმფლობელობაჲ მათი" (*Ibid.* გვ. 160).

წარმოდგენილ განმარტებაში წმინდა მაქსიმე ამომწურავად უპასუხებს ზემოდასმულ შეკითხვას. აღმსარებელი მამის თანახმად, მართალია, ყველა ტომს მფარველი ანგელოზი მიემადლა, მაგრამ კაცთათვის ბოძებულ თავისუფალ ნებელობაზე არასოდეს ძალმომრეობენ ისინი. შესაბამისად, რაჟამს უკეთურებას განიზრახავს მავანი, ასეთ არჩევანზე უსხეულო ძალა არანაირად არ ზემოქმედებს და მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეწევა ადამიანს, როდესაც მისი ნებელობა სიკეთისკენ არის მიდრეკილი. ღირსი მოძღვარი აარონის მიერ ჩამოსხმული ოქროს ხბოს კერპის ისტორიასაც იხსენებს და აღნიშნავს, რომ წმინდა წერილში გადმოცემული სწავლების მიხედვით, არავის უიძულებია სინასთან შეკრებილი ადამიანები, კერპისადმი პატივმიგების შემდეგ უპირობოდ სათნოებას დაბრუნებოდნენ. ოდენ აღნიშნული მოვლენის უარყოფითი შეფასება გაცხადდა საზოგადოების წინაშე, ხოლო არჩევანის თავისუფლება კვალავაც მათ ხელმწიფებას განეკუთვნა[1].

---

1 თემიდან მცირედს გადავუხვევთ და შევნიშნავთ, რომ სინას მთასთან კერპის ჩამოსხმის ისტორიის საინტერესო განმარტებას წარმოადგენს წმინდა ათანასე ალექსანდრიელი რუფინიანეს მიმართ გაგზავნილ ეპისტოლეში, რომელიც «დიდ სჯულისკანონშია» შეტანილი. ღირსი მოძღვარი განიხილავს საკითხს: ***შესაძლებელია თუ არა სასულიერო დასში ისეთი ადამიანების განწესება, რომლებმაც უდიდეს და უმცირეს უღვთოებას შორის, როდესაც უპირობოდ ერთ-ერთის სასარგებლოდ უნდა გაკეთებულიყო არჩევანი, პირველის უარყოფის გზით, უკანასკნელისკენ მიდრეკეს მავანნი, რომ მათ მიერ აღსრულებული ცოდვის ზიანი უფრო ადვილად აღმოსაფხვრელი ყოფილიყო.*** ღირსი ათანასე სხვათა მიერ არგუმენტად მოხმობილ ზემოხსენებულ ბიბლიურ მაგალითს იშველიებს და ბრძანებს: „ამას რაჲ იტყოდეს იგინი (ე. ი. ზოგიერთები ამბობდნენ იმას, რომ არაფერია დამაბრკოლებელი, თუკი სხვებზე

ზემოგანხილული საკითხების შემდეგ ამჯერად მკითხველის ყურადღებას ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენისკენ მივაპყრობთ. ეკლესიის დიდი მოძღვარი, წმინდა იოანე დამასკელი საეკლესიო დოგმატების შემაჯამებელ სახელმძღვანელოში ერთგან შენიშნავს: „არ დაგვტოვა ჩვენ ღმერთმა სრულ უცოდნელობაში, ***რადგან მის მიერ ბუნებითად არის შთათესილი ყველაში ცოდნა იმისა, რომ არსებობს ღმერთი***"[1]. შესაბამისად, რელიგიური გრძნობა (ღვთისმცოდნეობა)

ზრუნვის მიზეზით ნაკლები უღვთოებისკენ ხალხის მიმდრეკი ადამიანი ეკურთხება სასულიერო პირად; ი. ო.), სარწმუნოდ საგონებელ გჯჩნდეს ჩუენ სიტყუანი მათნი, ვინაჲთგან სახედ შემოიღებდეს აჰრონს ძმასა მოსესსა უდაბნოსა ზედა, რომელი მიჰყვა ვიდრემე სჯულისა გარდასვლასა ერისასა, რამეთუ სიტყჳსგებად ესე მოაქუნდა, რაჲთა არა მიიქცესო ერი ეგჳპტედ და კუალად-ეგოს კერპთმსახურებადვე. და რამეთუ ესე უეჭუელად ცხად იყო, რომელ დადგრომითა უდაბნოს დასცხრებოდეს უღმრთოებისაგან, ხოლო მოქცეულ-თუმცა-იყვნეს ეგჳპტედ, განიმრავლებდეს და აღიორძინებდეს თავისა თჳსისა უღმრთოებასა. ესრეთ უკუე და ამის მიზეზისათჳს შენდობაჲ იქმნა ამისი (ზემოხსენებული გარდაუვალი აუცილებლობით აღსრულებული უკეთურების; ი. ო.) მოყუასთა მიმართ" (დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ; თბილისი, **1975**, „*წმიდისა ათანასი აღექსანდრიელ მთავარეპისკოპოსისაჲ ეპისტოლე რუფინიანეს მიმართ ეპისკოპოსისა*", გვ. **541**).

1 წმინდა იოანე დამასკელი, „მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა", ძეგლი ძველი ბერძნულიდან თარგმნა, ორიგინალი და ინგლისურ-რუსული თარგმანები დაურთო, წინათქმა წაუმძღვარა და სქოლიოებით აღჭურვა ედიშერ ჭელიძემ, თბილისი, **2019**, გვ. **8**. შევნიშნავთ, რომ წმინდა იოანე დამასკელის დამოწმებული შრომის თანამედროვე ქართული თარგმანი ორგზის იქნა გამოცემული. ერთი ზემომითითებული პუბლიკაციაა, რომელიც ოთხენოვან (ქართულ, ბერძნულ, ინგლისურ და რუსულ) ტექსტს წარმოგვიდგენს, ხოლო უფრო ადრეული გამოცემა (იხ. წმინდა იოანე დამასკელი, „მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა", ძვ. ბერძნულიდან თანამედროვე ქართულზე თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, თბილისის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, **2000**)

ადამიანური არსებისადმი ღვთივბოძებული მოცემულობაა, რაც შორეულ წარსულში, ძველაღთქმისეული რჯულის მიღებამდე გაცილებით ადრე ჯერ ჩვენს პირველმშობლებში იყო ***ბუნებითად შთათესილი***[1], ხოლო მოგვიანებით მათგან გამრავლებულ კაცობრიობაშიც მსგავსადვე იჩინა თავი. ამდენად, უხილავისადმი ლტოლვა, მისტიკურის შემეცნების სურვილი, არაამქვეყნიურისკენ სწრაფვა, ზებუნებრივის მიმართ რწმენა ადამიანში ღვთისაგან განგებულებითად შთანერგილი თვისებაა[2].

თავისთავად ცხადია, სამოთხეში დამკვიდრებული ადამი და ევა დატევნისამებრ ფლობდნენ ცოდნას სამყაროს შემოქმედი, ყოვლადძლიერი, ყველგანმყოფი ერთი ღმერთის შესახებ და უცხო იყო მათთვის პოლითეისტური თუ სხვა სახის გაუკუღმართებული ცრუ რელიგიური ხედვა. თუმცა ედემისეული ნეტარება და ჭეშმარიტი გნოზისი, ბიბლიური სწავლების თანახმად, დაცემული ანგელოზის შთაგონებითა და პირველმშობელთა მიერ გამოვლენილი უჯერო

თანამედროვე თარგმანთან ერთად ორი ძველი ქართული თარგმანითაც არის აღჭურვილი. აღვნიშნავთ, რომ წინამდებარე სტატიაში ღირსი დამასკელი მოძღვრის "*გარდამოცემიდან*" ახალქართულ ტექსტს ყველა შემთხვევაში ზემომითითებული ბოლო (2019 წ.) გამოცემიდან ვიმოწმებთ, ხოლო ძველ ქართულ თარგმანებს – ადრეული (2000 წ.) პუბლიკაციიდან.

1 აქვე დავიმოწმებთ წმინდა ექვთიმე მთაწმინდელის მიერ შედგენილ კომპილაციურ შრომას, სახელწოდებით "წინამძღუარი", რომელშიც ხსენებული მოღვაწე ღირსი იოანე დამასკელის ზემოხსენებული სწავლების შემდეგ პერიფრაზს გვთავაზობს: „***მეცნიერებაჲ ღმრთისაჲ დანერგულ არს ბუნებით ჩუენ თანა***" (წმინდა ექვთიმე ათონელის „წინამძღუარი", ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს თორნიკე ჭყონიამ და ნანა ჩიკვატიამ; გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ნანა ჩიკვატიამ, თბილისი, 2007, გვ. 173).

2 ზემოგამოთქმული სწავლება მსგავსადვე არის დამოწმებული დიდი საეკლესიო ეგზეგეტის, ექვთიმე ზიგაბენის ფსალმუნთა კომენტარებში. კერძოდ, ერთგან ხსენებული მოღვაწე შენიშნავს: „***ამრიგად, ცხადია, რომ ღვთისმცოდნეობა ბუნებრივი არის ადამიანებისთვის*** [*შდრ. ბერძ.* ... **ἡ θεογνωσία τοῖς ἀνθρώποις ἔμφυτός ἐστιν**; *ლათ.* ... **cognitio Dei in hominibus naturalis est]**" (იხ. **PG. t. 128; col. 287-288 D).**

არჩევანის შედეგად შეირყვნა, რის შემდეგაც სამოთხიდან გარეგანდევნილი კაცობრიობისთვის ახალი, ყოფითი თუ რელიგიური სირთულეებით აღსავსე ცხოვრება დაიწყო.

წმინდა იუსტინე ფილოსოფოსის თანახმად, კაცობრიობის ისტორიაში პოლითეისტური მსოფლმხედველობის შემწყნარებელნი და შემდგომში გამავრცელებელნი სწორედ ჩვენი პირველმშობლები არიან. შრომაში სახელწოდებით *„შეგონებითი სიტყვა ელინებისადმი"*[1] ხსენებული მოღვაწე გვაუწყებს, რომ ღვთის ხატისებრ შექმნილთა სამოთხიდან განდევნის მიზეზი, ერთი მხრივ, საღვთო მცნებისადმი გამოჩენილი ურჩობაა, თუმცა წმინდა იუსტინე იქვე მეორე მიზეზეც მიუთითებს: ადამისა და ევას მონოთეისტური ღვთისმცოდნეობა უკეთური ძალის ზემოქმედებით პოლითეისტურმა გნოზისმა შეცვალა. ბუნებრივია, მარტვილი მოძღვარი დამოწმებული აზრის გამოთქმისას წმინდა წერილს ეფუძნება: *„და ჰრქუა გუელმან მან დედაკაცსა მას:* "არა სიკუდილით მოჰკუდეთ, რამეთუ უწყოდა ღმერთმან, ვითარმედ რომელსა დღესა შჭამოთ მისგანი, განგეხუნენ თუალნი თქუენნი და ***იყვნეთ ვითარცა ღ მ ე რ თ ნ ი***"" (დაბ. 3. 4-5). სწორედ ცრუ დაპირებითა და ჭეშმარიტების გაყალბებით თავსმოხვეული ზრახვა გახდა პირველმშობელთა შემაცდენელი (ცრუ დაპირებაში იგულისხმება გველის სიტყვები: „არა სიკუდილით მოჰკუდეთ", რადგან თავად შემოქმედისგან ჰქონდა მათ მოსმენილი, რომ თუკი მცნებას დაარღვევდნენ, მოკვდებოდნენ (შდრ. დაბ. 2. 16-17), ხოლო ჭეშმარიტების გაყალბებაში მზაკვარი სულის მიერ ღმერთთა სიმრავლის შესახებ ფსევდოსწავლების შთაგონება მოიაზრება: „... იყვნეთ ვითარცა ***ღმერთნი***"[2])[3].

---

1 იხ. **PG. t. 6; col. 241-311.**

2 შდრ. ბერძ. ... καὶ ἔσεσθε ὡς **θεοὶ**.

3 წმინდა იუსტინე ფილოსოფოსის ზემოთ დამოწმებული სწავლება მსგავსადვე სახეზეა ეკლესიის დიდი მოძღვრის, წმინდა თეოდორე სტუდიელის ერთ-ერთ ჰომილიაში, რომელიც ხსენებულმა მოსაგრემ ღვთისმშობლის შობის დღესასწაულს მიუძღვნა. დავიმოწმებთ შესაბამის ადგილს: „ეგულებოდა რაჲ ღმერთსა არარაჲსაგან შექმნაჲ კაცისაჲ მიუწდომელითა მით

აღნიშნული საკითხი წყაროთმცოდნეობითად შესწავლილია ედიშერ ჭელიძის მიერ, რომელიც შენიშნავს:

„**მრავალღმერთიანობა,** რაც ყოფითი გაგებით კულტურის (სინამდვილეში **ცრუკულტურის**) ერთ-ერთი სახეობაა და,

---

სახიერებითა თჳსითა, პირველად ცაჲ გარდაართხა და ქუეყანაჲ განჰმზადა, ზღუაჲ განასაზღრვა და რაოდენი რაჲ უჴმდა ზენასა და ქუეყანასა შემამკობელად, ყოველივე მიჰმადლა და ეგრეთღა ამის ყოვლისა შემდგომად ***შემოიყვანა კაცი მსგავსად მეფისა და დაადგინა იგი სამოთხესა შინა*** გამოსაცდელად სათნოებისა მისისა. და არა თუმცა გარდასლვასა მცნებისასა შეეცთუნა, არამცა ექსორია ქმნილ იყო ქუეყანისა მისგან ცხოველთაჲსა, არცამცა დაკლებულ იყო საშუებელისა მისგან, არა თუმცა პოვნილ იყო წინააღმდგომ საღმრთოთა ბრძანებათა, არცა შთამოსრულ მრავალსალმობიერსა ამას შეცვალებასა, ***რომლისა მიერ ნაცვალად ერთმთავრობისა ღმრთისა დაემონა მრავალმთავრობასა და მრავალღმრთეებასა***" (ძველი მეტაფრასული კრებულები, სექტემბრის საკითხავები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და საძიებლები დაურთო ნარგიზა გოგუაძემ, თბილისი, **1986,** „*თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა თეოდორე აღმსარებელისა სტუდიელთა წინამძღურისაჲ შობისათჳს ყოვლად წმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა მარადის ქალწულისა მარიამის[ს]ა*", გვ. **103-104).** იმავე განმარტებას გადმოგვცემს ეკლესიის დიდი მოძღვარი წმინდა იოანე დამასკელი და პოლითეიზმის წარმოშობის მიზეზად, ზემოთქმულისებრ, პირველმშობელთა შეცოდებას მიიჩნევს: ***„უკუეთუმცა არა წინააღმდგომ ქმნილ იყო საღმრთოჲსა მას ბრძანებასა, არამცა ცვალებითა მით ვნებულითა და არცამცა მსახურებისა წილ ცხოველისა ღმრთისა ერთარსებისა თთავრდოვილ იყო მსახურებაჲ სიმრავლესა ღმერთთასა***" (თბილისის სასულიერო აკადემია, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, წმიდა იოანე დამასკელის ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ჰომილიების ძველი ქართული თარგმანები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები, გამოკვლევა და სინონიმური ლექსიკონ-საძიებლები დაურთო ნინო მელიქიშვილმა, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემელობა, თბილისი, **2019,** „*წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე დამასკელისაჲ, საკითხავი შობისათჳს ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა და მარადისქალწულისა მარიამისა*", გვ. **54).**

ამასთან, საკმაოდ ტევადიც, რადგან მრავალ რეგიონსა და კაცობრიობის დიდ ნაწილში გამოვლენილა. ეკლესიის მამათა სწავლებით, იგი, როგორც გაუკუღმართება, **სამოთხისეული ცოდნის მცდარი განმარტების საფუძველზე აღმოცენდა,** გამომდინარე იქიდან, რომ სამოთხეში გველის მიერ ადამისა და ევასადმი ასეთი სიტყვები წარმოითქვა: ამ ნაყოფის ჭამა იმიტომ გეკრძალებათ, რომ **ღმერთები** არ გახდეთო (*„რომელსა დღესა სჭამოთ მისგან, განგეხუნენ თქუენ თუალნი და იყვნეთ, ვითარცა ღმერთნი, მეცნიერ კეთილისა და ბოროტისა“*). როდესაც პირველმშობლებმა სამოთხე დატოვეს, მათ ხსოვნას შემორჩა სიტყვა **„ღმერთები“** და რადგან ღვთიურობისგან ექსორიაქმნილი კაცობრიობა უკვე მოკლებულია ამ ცთომილების გაცნობიერებას, დაცემულ ადამიანთა გონებაში ხორცს ისხამს გველისგან, ანუ უკეთური ძალისგან მოწოდებული აზრი **ღმერთების მრავლობითობის** შესახებ, რისი შესაძლებლობაც (ე. ი. შესაძლებლობა ღმერთების მრავლობითობისა) მათეულ ქმედებაში თანდათან რეალიზდება **გარკვეული სახის კულტ-სახურებად“**[1].

ზემოთქმულის დასტურად ე. ჭელიძე იმოწმებს სწორედ წმ. იუსტინე მარტვილს და, კერძოდ, მიუთითებს:

„უძველესი ეპოქის უაღრესად საყურადღებო ძეგლში **„შეგონებითი სიტყვა ელინთა მიმართ“** (**Λόγος Παραινετικὸς πρὸς Ἕλληνας**), რაც ბერძნულ ნუსხათა მიხედვით **წმ. იუსტინე მარტვილს** (დაახლ. 100-165 წწ.) ეკუთვნის, ვკითხულობთ: «არ არის შესაძლებელი არანაირი სახელის საკუთრივმეტყველება ღვთის შესახებ, რადგან სახელები დაიდება ქვემდებარე საგანთა, მრავალთა და მრავალგვარად არსებულთა, წარმოსაჩენად და განსასაზღვრად, მაშინ როცა არ არსებობს ღმერთზე უწინარესი, ვინც სახელს დასდებდა მას, არცთუ ისაა მართებული ვიფიქროთ, რომ თავად სახელდებს თავის თავს, ჰგიეს რა ერთი და მხოლო, როგორც თვითვე მოწმობს თავის წინასწარმეტყველთა მიერ, როდესაც ამბობს: «მე ვარ ღმერთი პირველი და მე ვარ ამათ

---

1 *ედიშერ ჭელიძე, ქრისტიანობა და საზოგადოება, გული გონიერი, II, გვ. 7.*

შემდგომ და ჩემს გარდა სხვა ღმერთი არ არსებობს» (ეს. 44.6). ამრიგად, სწორედ ამიტომ, როგორც ადრეც მითქვამს, არათუ რაღაც სახელის შესახებ შეახსენებს ღმერთი მოსეს, როდესაც ებრაელებთან მიავლენს მას, არამედ **გარკვეული რამ თანაზიარების შედეგად საიდუმლოდ განსწავლის მას**, რომ **თავად ჰგიეს ერთი და მხოლო ღმერთი**, რადგან „**მე ვარ**, – ამბობს, – **არსი**“ (გამოსლ. 3.14), მიჯნავს რა ამით თავის თავს როგორც, ცხადია, არსს, არაარსთაგან, რათა შეიცნონ იმათ, რომლებიც აქამდე ცთომილებაში მკვიდრობდნენ, რომ არათუ არსთა, არამედ არაარსთა მიმართ იყო მათი გულისყური. მაშ, ვინაიდან იცოდა ღმერთმა, რომ **პირველმა ადამიანებმა**[1]

---

1 *როგორც ე. ფელიმე შენიშნავს, მოცემულ კონტექსტში „**პირველი ადამიანები**“ გულისხმობს, ცხადია, არა ადამს და ევას, რომლებიც იქვე არიან მოხსენიებულნი როგორც* ***ამ „პირველ ადამიანთა“ წინამშობლები,*** *არამედ – **საკუთრივ მრავალღმერთიანობის კულტის პირველშემომტანთ.** მკვლევარი იმოწმებს ტექსტის გამომცემლის, პ. მარანის საყურადღებო კომენტარს აღნიშნულ სიტყვებზე: „ეს* ***«პირველი ადამიანები»***, *რომელთა წინაპრებიც აცთუნა დემონმა, არ შეიძლება გავიგოთ ადამად და ევად, როგორც ეს თავისთავადაც ცხადია, არცთუ იმ ადამიანებად, რომლებიც მოსეს დროს ცხოვრობდნენ, რადგან ისინი არა მხოლოდ ადამისა და ევასგან, არამედ წარღვნისგანაც იმაზე ბევრად დაშორებულნი იყვნენ, ვიდრე შესაძლებელი იქნებოდა მათი „**პირველ ადამიანებად**“ წოდება. მაშ,* **პირველ ადამიანებად იმათ სახელდებს იუსტინე, რომლებსაც ხსოვნაში ჰქონდათ** (meminissent) **პირველმშობლებისადმი გველის ნათქვამი: «იქნებით როგორც ღმერთები» და რომლებმაც აქედან მრავალი ღმერთის არსებობა დაასკვნეს**, ჩამოაყალიბეს რა, ამასთან, **მათი თაყვანების პრინციპები** (eorumque colendorum principes se praebuerunt). აი, ესენია იუსტინესგან წოდებულნი **«პირველ ადამიანებად»** და არა ისინი, რომლებიც მოსეს დროს ცხოვრობდნენ, ...რადგან განსაკუთრებით სწორედ ამ პირველ ადამიანებს განეკუთვნებათ **გველის სიტყვების ხსოვნა**, ესე იგი – **დაწყება და აღმოცენება ღმერთების კულტისა** (primis illis hominibus **memoria** tantummodo attribuatur verborum serpentis, id **est initium et origo cultus deorum**)...ესენი, მცირედით შემდეგ,*

ხსოვნაში შემოინახეს წინამშობლების ძველი ცთომილება, რითაც განიზრახავდა მათ შეცდენას კაცთმოძულე ეშმაკი, როდესაც თქვა მათ მიმართ: «თუ ირწმუნებთ ჩემსას, რომ გარდახდეთ ღვთის მცნებას, **იქნებით როგორც ღმერთები»** (შესაქ. 3.5), სახელდებულჰყო რა მან **«ღმერთებად»** არაარსნი, რათა ადამიანებს, **იმის დაშვებით, რომ არსებობენ სხვა ღმერთებიც,** თავიანთი **ღმერთებად გახდომის** შესაძლებლობაც ერწმუნათ, სწორედ ამიტომ თქვა მან [უფალმა, ე. ჭ.] მოსეს მიმართ: «მე ვარ არსი», რომ მას ღმერთ-არსთან თანაზიარებით არსისა და არაარსის გამიჯვნა ესწავლა. ასე რომ, მაცთური ეშმაკისადმი რწმუნებული ადამიანები, რომლებმაც იკადრეს ურჩობა ღვთისა, **სამოთხიდან გამოვიდნენ, ახსოვდათ კი, ერთი მხრივ, სიტყვა «ღმერთები», თუმცა აღარ ჰქონდათ, მეორე მხრივ, ღვთისგან განსწავლა იმაში, რომ არ არსებობენ სხვა ღმერთები** (აღარც იყო სამართლიანი, კვლავ განესწავლა მას ისინი, რომლებმაც არ დაიცვეს პირველი მცნება, რისი დაცვაც ადვილი იყო, არამედ სწორედ სასჯელის მოწევნა გახლდათ სამართლიანი მათზე). მაშ, სამოთხიდან გამოძევებულებმა და დაჯერებულებმა იმაში, რომ მხოლოდ ურჩობის გამო გამოძევდნენ, არკი უწყოდნენ რა, რომ **ვინაიდან არარსებული ღმერთები ირწმუნეს,** ამ მიზეზითაც მოხდა ეს, **სიტყვა «ღმერთები“ მათ შემდგომ დაბადებულ ადამიანებსაც გადასცეს.** ამრიგად, თვით პირველი ცრუ წარმოსახვა «ღმერთების» შესახებ სიცრუის მამისგან იღებს სათავეს. ამიტომ, იცოდა რა ღმერთმა, რომ **მრავალღმერთიანობის არაჭეშმარიტი აზრი, როგორც**

სახელდებულნი არიან „**მათგან შობილებად**“ (οἱ ἐξ αὐτῶν γενόμενοι), ე. ი. „**პირველმშობლებზე გვიანდელებად**“ ... ამრიგად, „**პირველნი**“ აქ იგივეა, რაც „**უწინარესნი**“, ე. ი. **ადრეული ადამიანები, რომლებსაც მეხსიერებაში ჰქონდათ პირველმშობელთა თავდაპირველი საცთური, რისგანაც აღმოცენდა ეს ცრუ აზრი ანუ სენი ღმერთების შესახებ** და რისი აღმოთხვრის სურვილით, როგორც მცირედით შემდგომ ამბობს მარტვილი, იმეორებს რა შეგონებას, ღმერთმა უთხრა მოსეს: «მე ვარ არსი»“ (**PG. VI, p. 277-278, nt. 64**)

რამ სენი, ადამიანთა სულს შეაჭირვებდა, მისი აღხოცისა და შემუსვრის განზრახვით მოსესადმი პირველად გამოჩინებულმა ასე უთხრა მას: «მე ვარ არსი», ვინაიდან ვისაც ებრაელთა ერის გამგებლად და მხედართმთავრად გახდომა ელოდა, მართებდა კიდეც მას, ჩემი აზრით, რომ, **ყოვლის უპირველეს, ცოდნა ჰქონოდა არსებული ღმერთისა.** ამიტომაც, პირველად მისდამი გამოჩინებულმა (რამდენადაც არის შესაძლებელი ადამიანისადმი ღვთის გამოჩინება) ეს უთხრა მას: «მე ვარ არსი». შემდეგ, განიზრახავდა რა იგი მოსეს მივლენას ებრაელებისადმი, მათთვისაც იმავეს თქმას უბრძანებს მას: «არსმა მომავლინა მე თქვენთან" (გამოსლ. 3.14). **აი, ესენი ისწავლა პლატონმა ეგვიპტეში,** რომელსაც დიდად ესათნოვა **ერთი ღვთის შესახებ** ნაუწყებნი, თუმცა ასე განბჭო მან, რომ, ერთი და მხოლო ღმერთის სწავლებისას, არ იქნებოდა უსაფრთხო მოსეს სახელის მოხსენიება ათენელთა წინაშე, ეშინოდა რა არეოპაგისა, რის გამოც **არათუ მოსესგან ნასწავლებად, არამედ თავისეულ მოძღვრებად გადმოსცა მან ის, რაც კარგად თქვა, თავის ნამუშაკევ შრომაში: „ტიმაიოსი"**, რომელშიც ღვთისმეტყველებასაც შეუდგა იგი, **დაწერა რა ღვთის შესახებ იგივე, რაც მოსემ,** რადგან თქვა: **«უპირველესად, ჩემი აზრით, განსამარტავია, თუ რა არის ის, რაც არსია მარადის, შექმნილობა კი არ აქვს, და რა არის ის, რაც ქმნადია მარადის, არსი კი – არასოდეს»** (Tim. 27.d.6)... ამ ნათქვამთაგან ორივე (მოსესი და პლატონისა) **მარადის არსებული ღვთისადმი განკუთვნილად ჩანს,** რადგან **მხოლოდ ისაა მარადის არსი, შექმნილობის არმქონე"** (Cohortatio ad Gentiles, PG. VI, p. 277-280)"[1].

ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ წმინდა იუსტინეს მითითებით, სამოთხეში დამკვიდრებული ადამიანი ორივე ტყუილის შემწყნარებელი შეიქმნა (ე. ი. ერთი მხრივ, რომ მცნების დარღვევის შედეგად არ მოკვდებოდნენ ისინი, მეორე მხრივ კი – პოლითეისტური მრწამსისა), რომელთაგან პირველი (მოკვდავობა) როგორც გაუკუღმართებული ბუნებრივი მდგომარეობა,

---

1 ედიშერ ჭელიძე, ქრისტიანობა და საზოგადოება, გული გონიერი, II, გვ. 8-10 (იხ. იქვე სრულად ბერძნული ტექსტი).

უმემკვიდრეს შემდგომ თაობებს, ხოლო მეორე (პოლითეიზმი) ცრუ ცოდნის სახით გადასცეს მათგან გამრავლებულ კაცობრიობას[1].

---

1 საპირისპიროდ ზემოთქმულისა სრულიად განსხვავებულ ცნობას გადმოგვცემს ჩვენი პირველმშობლის გულშემუსვრილი სინანულის შესახებ წმინდა გერმანე კონსტანტინოპოლელი ჰომილიაში სახელწოდებით „*თხრობაჲ სასწაულთათჳს და საკჳრველებათა დიდებულისა მთავარანგელოზისა მიქაელისა და სხუათა მათ წმიდათა ანგელოზთათჳს*". ხსენებული მღვდელთმთავარი ერთგან შენიშნავს: „... ***ადამ შურებოდა ქუეყანასა და ოფლითა პირისა მისისაჲთა იზარდებოდა. და არღარა თავს იდვა ცთომად ბოროტისა მის მტერისაგან, რამეთუ მიერითგან ფრიად ემტერებოდა მას. იგონებდა რაჲ მზაკუვარებისა მისისა საცთურსა, დამდაბლებულითა გულითა მისითა ჰმორჩილობდა მცნებათა და ბრძანებათა კეთილისა მის მცველისა მისისათა დიდებულისა მის ანგელოზთმთავრისა მიქაელისთა***" (sin. 91; 143 v). დამოწმებულ წყაროებში წარმოდგენილი ორი ურთიერთსაწინააღმდეგო უწყების კვალობაზე ასეთი კითხვა იბადება: მაშ, როგორ შევათანხმოთ, ერთი მხრივ, წმინდა იუსტინე ფილოსოფოსის ცნობა ადამის მიზეზით გავრცელებული პოლითეიზმისა და, მეორე მხრივ, ღირსი გერმანეს სრულიად საპირისპირო სწავლება იმავე პირველმამის მიერ გამოვლენილი გულწრფელი სინანულის თაობაზე? ხომ არ არის აღნიშნულ განმარტებებს შორის შეუთავსებელი წინააღმდეგობანი? ჩვენი თვალთახედვით, ხსენებული ორივე წმინდა მოძღვრის განმარტება ადამის ცხოვრების სხვადასხვა მონაკვეთს აღგვიწერს. კერძოდ, იუსტინე ფილოსოფოსის ზემოდამოწმებული უარყოფითი შეფასება პირველმშობლის დაცემისა და სამოთხიდან გამოძევების საწყის დროს განეკუთვნება, როდესაც უკეთურების მძლავრი გავლენის ქვეშ აღმოჩენილი, ერთგვარი ინერციით კვლავ განაგრძობდა ის იმავე უკეთურებით ბოროტებისკენ მსვლელობას, რა დროსაც მრავალღმერთიანობის უგუნურებას აზიარა საკუთარი მემკვიდრენი, ხოლო გერმანე კონსტანტინოპოლელის განმარტება უმძიმესი შეცოდებების შემდეგ გონს მოსული ადამის მდგომარეობას, მისი გულშემუსვრილი სინანულისა და ჭეშმარიტი მეტანოიის (გონების ცვალებადობის) შესახებ გვაუწყებს, რაც მოგვიანებით განვითარებული მოვლენაა. აქვე დავიმოწმებთ იოანე მინჩხის საგალობლებს, რომლებშიც ჩვენი პირველმშობლების ცხონებულობაა წარმოჩენილი: „**ადამ პირველსა ნეტარებასა მიიცვალა**, *რაჟამს ქრისტე საფლავით აღდგა* **და ევა მხიარულ**

აღსანიშნავია, რომ კერპთთაყვანისმცემლობის წარმომავლობის შვიდი გზის შესახებ მოძღვრებას ვხვდებით კლიმენტი ალექსანდრიელის შრომაში სახელწოდებით *„შემაგონებელი სიტყვა ელინებისადმი"*[1]. ხსენებული მოძღვრის თანახმად, ზეციისკენ მომზირალმა ადამიანების ერთმა ნაწილმა, ციური სხეულების მოძრაობის მიზეზით განცვიფრებულებმა[2], განაღმრთეს ისინი (ციური სხეულები) და ზმნიდან „სრბოლა" (θεῖν)[3] ნაწარმოები სახელი „ღმერთები" (θεόι) განუკუთვნეს მათ[4]. ასეთები იყვნენ

***ა რ ს** ქალწულისა თანა აღდგომისათჳს მკუდართა აღმადგინებელისა და ღაღადებენ: "უფალო, დიდებაჲ ძალსა შენსა"*" (იოანე მინჩხის პოეზია, ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, X, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ლელა ხაჩიძემ, თბილისი, 1987 წ., გვ. 287); *კიდევ: „გამო-რაჲ-ხუედ საფლავით მესამესა დღესა, ვითარცა სიძე, გამომავალი ეზოჲთ თჳსით,* **გ ა ნ ჰ ს ე ნ ჯ რ უ ლ ე ბ ა თ ა გ ა ნ ა ღ ა მ ღ ა შ ე ნ თ ა ნ ა ა ღ ა ღ გ ი ნ ე,** *ქრისტე სახიერ, მამათა ჩვენთა ღმერთო, კურთხეულ ხარ შენ"* (*Ibid.* გვ. 289); *კიდევ: „აღჰმაღლდი ზეცად თანამფლობელი მამისა და სულისაჲ და შეაერთე კაცებაჲ ღმრთეებასა, მოწყალე, და* **ა ღ ი ყ ვ ა ნ ე ს ა ღ მ რ თ ო ს ა დ ი დ ე ბ ა ს ა ა ღ ა მ,** *დანთქმული ნათესავითურთ"* (*Ibid.* გვ. 300); *კიდევ: „...ჴუარითა ჴოფჴოხეთი წარმოტყუენა, მაცთური გუელი განაქარვა და* **ა ღ ა მ კ უ ა ლ ა დ ს ა მ ო თ ხ ე დ შ ე ი ყ ვ ა ნ ა"** (ძველი მეტაფრასული კრებულები, სექტემბრის საკითხავები, *„ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ღირსისა მამისა ჩუენისა კვრიაკოზ განშორებულისაჲ"*, გვ. 458).

1 იხ. **PG. t. 8; col. 49-246.**

2 კერპთაყვანისმცემლობის წარმოშობის პირველი გზა.

3 დამოწმებულია ზმნის საწყისი ფორმით. ზმნური ფორმა იქნება θέω.

4 ძველ ბერძნულ ენაში ზმნა θέω ნიშნავდა „დავრბივარ", „გავრბივარ", „ვმოძრაობ", „გადავადგილდები". კლიმენტი ალექსანდრიელის მიხედვით, იმავე ზმნიდან, რომელიც ციური სხეულების მოძრაობის აღმნიშვნელადაც გამოიყენებოდა, გარკვეულმა ადამიანებმა აწარმოეს სახელი θεός (მრავლობითი რიცხვით θεόι) და ზენა ქმნილებებს „თეოსები" („ღმერთები") შეარქვეს. შევნიშნავთ, რომ მიუხედავად ზემოგამოთქმული აზრისა, იგივე სიტყვა (θεός) წმინდა წერილსა თუ მამათა განმარტებაში ღვთისადმი

ინდოელები (Ἰνδοὶ) და ფრიგიელები (Φρύγες). სხვანი კი, რომლებიც კულტურულ მცენარეთა ნაყოფებს მოიმუშაკებენ, პურს დემეტრას არქმევდნენ (მაგალითად, ათენელები), ხოლო

განკუთვნილ სახელთა შორის ყველაზე ხშირად გამოყენებული ტერმინია. საგულისხმოა, რომ წმინდა იოანე დამასაკელი მართლმადიდებლური დოგმატების შემაჯამებელ საკუთარ ნაშრომში ხსენებული სიტყვის წარმომავლობის რამდენიმე ვერსიას განიხილავს. აი, შესაბამისი ადგილი: „ხოლო მეორე სახელი "***თეოს***" (*ღმერთი;* ბერძ. **θεός**), რომელიც ითქმის ან სიტყვისგან "***თეეინ***" (*სრბოლა;* ბერძ. θέειν) და გულისხმობს ყოვლიერების გარემოვლას, ან – სიტყვისაგან "***აითეინ***" (**αἴθειν**), რაც ნიშნავს "***დაწვას***", რადგან "*ღმერთი არის დამწველი ცეცხლი*" ყველა ბოროტებისა (2 სჯ. 4.24), ანდა – სიტყვისაგან "***თეასთაი***" (*ჭვრეტა;* ბერძ. **Θεᾶσθαι**), რაც მიანიშნებს ***ყოვლისმჭვრეტელობაზე***, რადგან ღმერთი თვალმოუცილებელია და ყოვლისმხედველი, "*რომელმაც იხილა*" "*ყოველივე ვიდრე მათ შექმნამდე*" (დან. 13.42), უჟამოდ მოიაზრა რა ისინი და, ამიტომ, თითოეული მათგანი იქმნება წინასწარგანსაზღვრულ ჟამს, შესაბამისად ღვთის ნებელობითი, უჟამო მოაზრებისა, რაც არის წინაგანსაზღვრულობა, ხატი და ნიმუში" (წმინდა იოანე დამასკელი, "გარდამოცემა", გვ. 78; შდრ. **PG. t. 94; col. 836 B – 837 A**). აღსანიშნავია, რომ ექვთიმე ზიგაბენის ფსალმუნთა კომენტარებშიც გვხვდება საინტერესო განმარტება, თუ რამდენი მნიშვნელობით მოიხმობა ტერმინი "ღმერთი" (ბერძ. θεός) წმინდა წერილში. დავიმოწმებთ შესაბამის ადგილს: „სახელის „ღმერთი“ **(θεός)** ***ოთხ მნიშვნელობას ვპოვებთ წმინდა წერილში***: ხან „ღმერთი“ ჭეშმარიტად ეწოდება ყოველთა შემოქმედს; ხან კი [ვინმეს ეწოდება] მიბაძვისა და მსგავსების გამო, როგორც, მაგალითად: „ღმერთების ღმერთმა უფალმა თქვა“ (ფსალმ. 48.1); და „ღმერთი დადგა ღმერთების შესაკრებელში, შუაში კი ღმერთი განისაჯა“ (ფსალმ. 81.1); და „მე ვთქვი: ღმერთები ხართ და მაღლის ძეები ყველანი“ (ფსალმ. 81.6); და „ღმერთს ნუ შეურაცხყოფ და შენი ერის მთავარს არ უთხრა ბოროტად“ (გამ. 22.28). მართლაც, ცხადია, რომ ამ მოწოდებებში „ღმერთები“ ეწოდებათ იმათ, ვინც სათნოებათა მეშვეობით ბაძავენ ღმერთს და როგორც მთავარნი და მსაჯულნი, მთავრობისა და მსაჯულობის შესაბამისად ემსგავსებიან ღმერთს. ***მესამე აღნიშნავს ანა-***

ვენახს – დიონისეს (მაგალითად, თებელები)[1]. ზოგიერთები, ბოროტების გამო გარდაუვალ შურისგებაში დარწმუნებულნი, შურისძიებასა და უბედურებას განაღმრთობდნენ და პატივს მიაგებდნენ[2]. ამიტომაც გამოიგონეს პოეტებმა ერინები და ევმენიდები – დამსჯელები და შურისმგებელნი, რომლებიც არასოდეს ივიწყებენ უკეთურ საქმეებს და მარადის მზად არიან სამაგიეროს მისაზღველად. კლიმენტის თქმით, ხსენებულ პოეტებს არც ბერძენი ფოლოსოფოსების გარკვეული ჯგუფი ჩამორჩა და ვნებათა რამ სახეობანი მიიჩნია ღმერთებად[3]: შიში, სიყვარული, სიხარული, იმედი, როგორც, მაგალითად, ძველ დროში ეფიმენიდე,

---

ლოგიას, როცა მოსეს ეწოდება *ფარაონის ღმერთი*, როგორც სასწაულთმოქმედს მის წინააღმდეგ და მის დამსჯელს და სურვილის მეშვეობით სასჯელთა შემაჩერებელს; ვისაც წინასწარმეტყველად [თავისი] სურვილისა ჰყავს აარონი და ფარაონს სიკვდილისა და სიცოცხლის უფლად მიაჩნია. ამისგან განსხვავდება მეორე მნიშვნელობა, რადგან არა უბრალოდ ღმერთი ეწოდება [მას], როგორც იქ, არამედ „ღმერთი ფარაონისა“. *მეოთხე კი არის ცთომილებისამებრი*, მაგალითად: „წადით და მოუხმეთ ღმერთებს, რომლებიც აირჩიეთ“ (მსაჯ. 10.14). ასევე: „ნუ გააკეთებთ თქვენ ვერცხლის ან ოქროს ღმერთებს“" (გამ. 20.23) (წარმოდგენილი განმარტება დამოწმებულია ექვთიმე ზიგაბენის ფსალმუნთა კომენტარებიდან, რომლის ქართულენოვანი თარგმანი ახლო მომავალში იქნება გამოქვეყნებული (აღნიშნული ადგილისთვის იხ. PG. t. 128; col. 537 C – 540 A). ძველი ბერძნულიდან თარგმანი შესრულებულია *გიორგი ჯუღაეიძის* მიერ). იმავე ტერმინთან დაკავშირებით საგულისხმო გამოხმაურებას ვხვდებით წმინდა ბასილი დიდის *მე-8* ეპისტოლეში. აი, შესაბამისი ადგილი: „თუმცა კი *ღმერთი ეწოდება ადამიანსაც*, როგორც სტრიქონში: „მე ვთქვი: ღმერთები ხართ“ (ფსალ. 81.6), და *ღმერთი ეწოდება დემონსაც*, როგორც სიტყვებში: „წარმართთა ღმერთები დემონები არიან“ (ფსალ. 95.5), მაგრამ ზოგი ასე მადლის გამო იწოდება, ზოგი კი ტყუილის გამო. ერთადერთი ღმერთი არის არსებით ღმერთი" (წმინდა ბასილი დიდი, ეპისტოლეები, თბილისი, 2019, გვ. 49).

1 კერპთაყვანისმცემლობის წარმოშობის მეორე გზა.

2 კერპთაყვანისმცემლობის წარმოშობის მესამე გზა.

3 კერპთაყვანისმცემლობის წარმოშობის მეოთხე გზა.

თავხედობისა და უსირცხვილობის საკურთხევლები რომ აღმართა ათენში. განიღმრთობოდა ასევე ისეთი რამ[1], რაც სანამ მოგონილი გარსით არ შეიფუთა, მხოლოდ აბსტრაქტული მოცემულობა იყო: დიკე (Δίκη), კლოთო (Κλωθὼ), ლაქესი (Λάχεσις) და ატროპი (Ἄτροπος)[2]. ალექსანდრიელი თეოლოგის თქმით, არსებობს ასევე სხვა გზა[3], რომლითაც უფრო მეტად განივრცობა ცთომილება და ღმერთთა სიმრავლე შემოიყვანება. სწორედ მას განეკუთვნება ჰესიოდეს თეოგონია და ჰომეროსის ღვთისმეტყველება. ბოლოს კი[4], უნდა აღინიშნოს, რომ კერპთაყვანისმცემლობის ერთ-ერთი მიზეზი ადამიანებზე მრავალგზის აღსრულებული საღვთო შეწევნა გახდა. საქმე ისაა, რომ კლიმენტი ალექსანდრიელის მიხედვით, ვინაიდან ძველი აღთქმის ეპოქაში ჭეშმარიტ ღმერთს არა მხოლოდ რჩეული ერის მიმართ, არამედ წარმართთა შორისაც არაერთხელ გამოუვლენია საკუთარი ძალმოსილება, გამომდინარე იქიდან, რომ ხსენებულ წარმართებს არ ჰქონდათ ცოდნა **ᲛᲘᲡ** შესახებ, სხვადასხვა ხიფათისას წყალობის მომნიჭებლად და გადამრჩენელად ვინმე დიოსკურები გამოუგონებიათ, თითქოსდა, მაგალითად, ჰერაკლესა და მკურნალ ასკლეპიოსს რომ შეეწეოდნენ[5].

საგულისხმოა, რომ კლიმენტი ალექსანდრიელი ძველ ბერძენთა ღმერთების სიმრავლეს ერთგვარი ირონიით განაქიქებს, როდესაც იგი, ზემოდამოწმებულ შრომაში *„შემაგონებელი სიტყვა ელინებისადმი"* ერთგან გავრცელებული ელინური «ღმერთების» თანამოსახელე სხვა «ღმერთებსაც» ჩამოთვლის. ზოგიერთი, – ბრძანებს კლიმენტი, – მაგალითად, სამი ზევსის შესახებ იძლევა აღწერილობას: ერთი არკადიაში სახლობდა, ხოლო დანარჩენი

---

1 კერპთაყვანისმცემლობის წარმოშობის მეხუთე გზა.

2 იგულისხმება, რომ ჩამოთვლილთაგან თითოეული ცალკე აღებული სახელი აბსტრაქტული მნიშვნელობისაა (მაგალითად, დიკე, რაც ნიშნავს სამართლიანობას), თუმცა მათი გაღმერთების შედეგად ხსენებული აბსტრაქცია გაპიროვნებულობით შეიცვალა.

3 კერპთაყვანისმცემლობის წარმოშობის მეექვსე გზა.

4 კერპთაყვანისმცემლობის წარმოშობის მეშვიდე გზა.

5 შდრ. **PG. t. 8; col. 96 ABC – 97 A.**

ორიდან (რომლებიც კრონოსის შვილები იყვნენ) ერთი კრეტაზე მკვიდრობდა, მეორე კი – იმავე არკადიაში; ალექსანდრიელი თეოლოგის თქმით, არსებობს ასევე ცნობები ხუთ ათენაზე: ერთი ჰეფესტოს ასული იყო, – ათენელი; მეორე, ნილოსის ასული, – ეგვიპტელი; მესამე, კრონოსის ასული, – ომის გამომგონებელი; მეოთხე, ზევსის ასული, რომელსაც დედის საპატივცემლოდ მესინიელები "კორიფასიელს" უწოდებდნენ; ბოლო, მეხუთე ათენა კი პალლანტესა და ოკეანის ტიტანიდეს ასულის შვილია, უკეთურად რომ ამსხვერპლა საკუთარი მამა და მამისეული ტყავი, როგორც მატყლის მოსასხამი, შეიმოსა. კლიმენტის თანახმად, არისტოტელე რამდენიმე აპოლონს ჩამოთვლის: პირველი ჰეფესტოსა და ათენას ვაჟი; მეორე აპოლონი, – კრეტაზე მცხოვრები; მესამე, – ზევსის ძე; მეოთხე, – არკადიელი, სილენას შვილი (არკადიელებთან "ნიმიედ" წოდებული); და ბოლოს, მეხუთე, ლიბიელი აპოლონი, ძე ამონისა. დიდიმე გრამატიკოსი კი მათ მეექვსე აპოლონს, მაგნეტის ძესაც შეჰმატებს. ხსენებული პრესვიტერი ბრძანებს, – განა ამჟამად მცირეა აპოლონად სახელდებულთა რიცხვი, მოკვდავი და შესაწევნელი ადამიანები რომ არიან, რომლებსაც, მსგავსად ზემოთქმულისა, იგივე სახელი განეწესათ?[1].

დამოწმებული მსჯელობის საშუალებით ალექსანდრიელი ეგზეგეტი პოლითეიზმის უკეთურებაში აღმოჩენილი კაცობრიობის რელიგიისთვის დამახასიათებელი მსოფლმხედველობის სრულ აბსურდულობას წარმოაჩენს, რომლის მიხედვითაც, მართალია, ადამიანებს ამა თუ იმ „ღმერთის" მიმართ სასოება აქვთ, თუმცა იმავე სახელის მქონე სხვა ღმერთების სიმრავლე სრულიად გაუგებარსა და აუხსნელს ხდის შეწევნის მომლოდინეთა მდგომარეობას; ზევსის, ათენას, აპოლონისა და სხვა ღმერთთა მრავლობითობა აღარ იძლევა შესაძლებლობას, მათდამი მხმობელი გამოერკვეს, კერძოდ, ვის მიერ, საკუთრივ რომელი „ღმერთისაგან" ან ქვეყნის რომელი კუთხიდან უნდა მოვიდეს შეწევნა. შესაბამისად, ზემოაღწერილი რელიგიური გრძნობა სხვა არაფერია, თუ არა, ერთი მხრივ, შემოქმედის ძალმოსილებით ადამიანში ბუნებითად შთათესილი ღვთისმცოდნეობის ბუნდოვანი გამოძახილი, რომელიც

---

1 შდრ. **PG. t. 8; col. 101 AB.**

დაცემულ კაცობრიობაში გაუკუღმართებული ფორმით იჩენს თავს; და, მეორე მხრივ, ცრუ ღმერთებისადმი სრული უიმედობის განცდის მიზეზით მათი (ღმერთების) მეტისმეტად გამრავლების სურვილი, რათა ჩვენეულ არსებაში (ე. ი. კაცობრივ ბუნებაში) განუყოფელ თვისებად შთანერგილი ღვთისმცოდნეობის სულიერი წყურვილი მოჩვენებითად «დაიკმაყოფილოს» ღვთიურთა გნოზისის გზიდან გადაცდენილმა და ფსევდორელიგიური გრძნობებით ნაწინამძღვრებმა ადამიანმა; ეს კი, თავისთავად ცხადია, იმთავითვე მარცხისთვის არის განწირული, ვინაიდან შეუძლებელია ჭეშმარიტი რელიგიური მოთხოვნილების (ღმერთთან ურთიერთობის) ბუ-ნებრივი სურვილის დარწყულება ცრუ მოქმედებებით. ამდენად, ამასოფელში ასპარეზზე გამოსული გულწრფელი მოღვაწე, თუნდაც თავდაპირველი არჩევანით უკეთურებას შეეთვისოს, გარკვეულ დროში შეიცნობს უწინარეს რწმენილის უსუსურობას და აღმატებულის ძიებას დაეწაფება, რომლითაც, სახარებისეული სწავლების თანახმად, გარდაუვალი უეჭველობით მოიმუშაკებს ჭეშმარიტებას[1].

კვლავ კლიმენტი ალექსანდრიელის შესაბამის განმარტებას მოვიხმობთ, თუ ვინ იყვნენ სინამდვილეში ზემოდამოწმებულ წყაროებში წარმოდგენილი სახელების ქვეშ მოაზრებული „ღმერთები". ალექსანდრიელი თეოლოგის თანახმად, ყველა მათგანი ოდესღაც მცხოვრები ჩვეულებრივი ადამიანი იყო, რომლებიც გარკვეული მოვლენების გამო გარდაცვალების შემდგომ გააღმერთა ელინურმა სამყარომ. აღნიშნული განმარტება დაცულია კლიმენტის შრომაში *„შემაგონებელი სიტყვა ელინებისადმი"* და ერთგან ხსენებული აზრი ასე ჯამდება: „ისინი, ვისაც თქვენ ეთაყვანებით, ***ოდესღაც ადამიანებად შობილნი*** **(ἄνθρωποι γενόμενοί ποτε)**, ***შემდგომში გარდაიცვალნენ, მითებმა და დრომ კი პატივით განადიდა ისინი***"[2]. ამდენად, ზევსი, აპოლონი, ათენა... ყოველი მათგანი, ალექსანდრიელი ღვთისმეტყველის მიხედვით, ჟამთა სვლის შესაბამისად სხვადასხვა მიზეზით კაცთაგან განდიდებული

---

1 ვგულისხმობთ სახარებისეულ სწავლებას: „რომელი ეძიებდეს, პოვოს" (მათ. 7.8).

2 **PG. t. 8; col. 152 A.**

და უკვდავებით მოსილი, თუმცა შორეულ წარსულში მცხოვრები ისტორიული პირები არიან.

ამავე საკითხზე განხილვას ვხვდებით წმინდა ათანასე ალექსანდრიელის დოგმატური შინაარსის ნაშრომში სახელწოდებით "*სიტყვის განკაცების შესახებ და სხეულით ჩვენდამი გამოჩინებისათვის*"[1]. ხსნებული მღვდელთმთავარი ერთგან ბრძანებს: „ძველად ***პოეტების მიერ ხსენებულ ზევსს, კრონოსს, აპოლონსა და გმირებს ღმერთებად მიიჩნევდნენ ადამიანები, რომლებიც ცთომილებით ეთაყვნებოდნენ მათ. ამჟამად კი, კაცთა შორის მხსნელის გამოჩენისას,*** **მოკვდავ ადამიანებად განშიშვლდნენ ისინი (ἐκεῖνοι μὲν ἐγυμνώθησαν ὄντες ἄνθροποι θνιτοὶ)**, რადგან მხოლოდ ქრისტე შეიცნობა კაცთა შორის როგორც ღმერთი ჭეშმარიტი, სიტყვა ღმრთისა, ღმერთი. ამიტომაც იშვა და ადამიანად გამოჩნდა [უფალი], ივნო და აღდგა, მოაუძლურა და განაქარვა ოდესღაც მცხოვრები ადამიანები თავიანთი საქმეებითურთ..."[2].

წარმოდგენილ განმარტებაში საუბარია იმის შესახებ, რომ მაცხოვრის განკაცებამდე ბერძენი პოეტების შემოქმედებაში ღმერთებად სახელდებულთა აღმსარებლობით ცთუნებულმა კაცობრიობამ იესო ქრისტეს წუთისოფლად მოვლინებისას შეიმეცნა უწინარეს რწმენილის სულიერი უმეცრება და, წმინდა ათანასე ალექსანდრიელის თქმით, მათ წინაშე ბერძენი "თეოსების" ამაოება განშიშვლდა, რომლის თანახმადაც ჩვეულებრივი, მოკვდავი ადამიანები ყოფილან ისინი, მოგვიანებით უკვდავი ღმერთების პატივით რომ შეიმოსნენ კაცთაგან.

ალექსანდრიელი მღვდელთმთავარი იმავე შრომაში სხვაგან შენიშნავს: „თუკი მათი გონება *(იგულისხმებიან უწინარეს ჟამს ჭეშმარიტების უარმყოფელი ადამიანები, ი. ო.)* ***მკვადრთა მიმართ (εἰς νεκροὺς) იყო დატყვევებული და როგორც გმირებს მიაგებდნენ საღმრთო პატივს ღმერთებად სახელდებულებს*** *(იგულისხმებიან ძველ ბერძნულ სამყაროში ღმერთებად აღიარებული ზევსი, კრონოსი, აპოლონი...; ი. ო.)*, ხედავენ რა აღდგომას მხსნელისას, აღიარებენ, რომ **ცრუნი არიან ისინი (ἐκείνους εἶναι**

1 PG. t. 25; col. 96-197.

2 PG. t. 25; col. 180 C.

ψευδεῖς) და მხოლოდ ჭეშმარიტი უფალი – სიტყვა მამისა მეუფებს სიკვდილზე"[1].

ზემოთქმულთან დაკავშირებით საყურადღებოა «წმინდა ეკატერინეს მარტვილობა». ძეგლის უწყებით, წმინდა ეკატერინე უარს განაცხადებს წარმართული ღმერთების პატივმიგებაზე და იქვე ვრცლად განუმარტავს იმპერატორ მაქსენტის, თუ რატომ უარყოფს იგი კერპებს. ვინაიდან ტექსტი ვრცელია და შინაარსობრივად დატვირთული, რამდენიმე მონაკვეთად დავყოფთ მას და ასე წარმოვადგენთ მკითხველის წინაშე. აი, შესაბამისი ადგილის დასაწყისი: „გიჯმდა, – ჰრქუა, – გიჯმდა შენ თავით თჳსით გულისჯმისყოფაჲ საცთურისაჲ, ჰ მეფე, ვითარმედ **განხრწნაღთა კაცთა კერპებისა, ვითარცა ღმერთთა, მსხუერპლსა შესწირავ და ესრეთ განგდებად ელენებრსა ამას სისულელესა და სირცხჳლსა"[2].**

ხსენებული წმინდანი იმპერატორის მხილებას ამგვარად აგრძელებს:

„ხოლო ვინაჲთგან მზაკუვარისა გრწმენა ეშმაკისაჲ და ესოდენ განცხადებულად დააბრმობ ჭეშმარიტებასა, **უეჭველად გიჯმდა თქუენისაღა სადმე ბრძნისა დიოდორესი რწმუნებაჲ ცნობად ღმერთთა თქუნთა, ვითარ-იგი არიან და არა ესრეთ ლიტონად და პირუტყულად ესევითართა უშუერებათა აღრჩევაჲ და ღმრთად გონებაჲ კერპებსა კაცთა ამის ცხორებისა საწყალობელად დამასრულებელთასა. რაღგან იგი იტყჳს კაცთა ღმერთქმნასა და ქველისმოქმედებითა რაჲთმე უკუღავად სახელდებულებასა და მოგჳთხრობსცა თითოეულისა მათისა ქონებასა სახელისწოდებისასა და რომელთა სოფლებთა და ქალაქებთა მთავრობდეს, ხოლო კაცთათჳს**

---

1 PG. t. 25; col. 124 A-B.

2 ძველი მეტაფრასული კრებულები, ნოემბრის საკითხავები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ლიანა ახობაძემ, თბილისი, 2017, „წამებაჲ წმიდისა და დიდებულისა ქრისტეს მოწამისა ეკატერინისი", გვ. 766-767.

იტყუს უმეცრებით შეცთომილებასა ღმრთად წოდებითა მათითა და უკუღავებისა პატივთა გარეშემოსითა" (*Ibid.* გვ. 767).

თუკი სიტყვის პირველ ნაწილში ზოგადი ხასიათის განხილვა იყო მოცემული, ამჯერად წმინდა ეკატერინე იმპერატორს კონკრეტულ წყაროზე, კერძოდ, ვინმე დიოდორეზე მიუთითებს[1] და წარმართ ბრძნად მოიხსენიებს მას (შდრ. **„თქუენისაღა სადმე ბრძნისა დიოდორესი"**), რომლის სწავლებაც, მსოფლმხედველობრივი ნათესაობის მიზეზით, მაქსენტისთვის გაცილებით სანდო უნდა იყოს. თუმცა წმინდა ეკატერინეს თქმით, სწორედ ხსენებული წარმართი დიოდორეს სიტყვებით იმხილება ელინურ-რომაული რელიგია, რომელიც ღმერთებად აღიარებს ოდესღაც მცხოვრებ ადამიანთა კერპებს. საგულისხმოა, რომ იმავე დიოდორეს დაკონკრეტებული მითითებები ჰქონია იმის შესახებ, თუ რომელ ქალაქსა და სოფელში იყვნენ განწესებულნი ისინი (ელინი ღმერთების არქეტიპი ცოცხალი ადამიანები) მმართველებად, რაც კვლავ ზემოდამოწმებული განხილვის ჭეშმარიტებას ამოწმებს.

წმინდა ეკატერინე ბრძანებს:

„და კუალად სხუაჲ თქუნშორისი ბრძენი თხრობისმწერალთაგანი სერუქის ვისმე მიერ იტყჳს პირველად ელენობისა მოპოვნებასა, რამეთუ **ძუელთა მათ ქათა კაცებსა ანუ სიმჯნისათჳს, ანუ მეგობრობისა, გინა სხჳსა რაჲსამე სათნოებისა საქმისათჳს ჯსენებისა და სასწრაფოობისა ღირსად გამომაჩინებელნი, თქმულ არს, ვითარმედ ანდრიანტებითა და ძეგლებითა პატივსცემდეს, ხოლო შემდგომნი მათნი პირველთა მშობელთა მათთა ნებასა უმეცარ იქმნეს. მხოლოდ მათსა ოდენ ქმნილსა პატივ-სცეს, ვითარცა საქებელისა რაჲსამე საქმისმოქმედთა და აღუმართეს მათ ანდრიანტები და ძეგლები და, ვითარცა უკუღავთა ღმერთთა, ეგრეთ მსგავს ვნებაღთა მათ და განხწნაღთა**

---

1 შესაძლოა იგულისხმებოდეს ძველი ბერძენი ფილოსოფოსი – დიოდორე დიალექტიკოსი, იგივე დიოდორე კრონოსი (დაახ. 350-284 წწ.).

კაცთა შეევედრნეს და მსხვერპლები მათდა პატივებითურთ და ღღესასწაულებით მოიპოვეს. ამათ თქუენი ბრძნენი პლუტარხოს ქერონეველი აბრალებს და საცთურად კერპებისა იტყჳს შემოყვანებასა მათსა, რომლისა რწმუნებაჲ გიჴმს შენცა, მეფე, რამეთუ უეჭუელად არა უცხოჲსასა, არამედ შენისასა მრწმუნებელ ხარ" (*Ibid.* გვ. 767).

დიდმოწამე ეკატერინეს სიტყვის წარმოდგენილმა ნაწილმა ზემოგანხილულ საკითხს მეტი სიცხადე შეჰმატა. კერძოდ, ელინური სამყაროს ღმერთები, ზემოთქმულისებრ, ოდესღაც ჩვენ შორის მცხოვრები ლიტონი ადამიანები ყოფილან, თუმცა კი განსაკუთრებული ახოვანების, სამაგალითო მეგობრული თავგანწირვის ან სხვა რამ ამაღლებული კაცობრივი საქმეების გამო მათთვის თანამედროვეებს ქანდაკებები და ძეგლები მიუძღვნიათ და აღუმართავთ, მაგრამ შემდგომ თაობებში დავიწყებას მისცემია ამგვარი პატივმიგების ჭეშმარიტი მიზეზი. ამიტომაც, როგორც უკვდავი ღმერთები, ისე შეურაცხიათ ისინი და მსხვერპლშეწირვა თუ სადღესასწაულო დღეები დაუწესებიათ მათთვის. აღნიშნული განმარტების ავტორად წმინდა ეკატერინე ამჯერად ძველ ბერძენ ფილოსოფოს პლუტარქეს (დაახ. 46-127 წწ.) ასახელებს.

საგულისხმოა ჰაგიოგრაფის შენიშვნა, რომლის თანახმადაც ხსენებულ მარტვილს ღრმად ჰქონდა შესწავლილი როგორც წმინდა წერილი, ასევე **გარეშე სიბრძნე:** „ამისსა ესრეთ სრულყოფასა შინა დედაკაცმან ვინმე, კეთილად მსახურმან, სახელით ეკატირინა, ჭაბუკმან ჰასაკითა, შუენიერმან ხილვითა, აღმოცენებულმან ნათესავისაგან მეფეთაჲსა, **განსწავლულმა წიგნებითა გარეშეთა და ჩუენთაჲთა...**" (*Ibid.* გვ. 766)[1].

ტექსტში ერთგან თავად წმინდა ეკატერინე მიმართავს იმპერატორ მაქსენტის და საკუთარი განსწავლულობის შესახებ შემდეგს აუწყებს: „ასული ვარ მეფისა შენგან უპირველესისაჲ,

---

1 მსგავს სინტაგმურ ტერმინოლოგიას, რომელშიც მსაზღვრელად ზედსართავი სახელი "**გარეშე**" (ბერძ. ἔξωθεν, ἔξω) არის გამოყენებული (მაგალითად, "**გარეშე სწავლულება**", "**გარეშე ფილოსოფია**", "**გარეშე სიბრძნე**", "**გარეშე წიგნები**", "**გარეშე მწერლები**" და ა. შ.), წმინდა მამები ეკლესიის წიაღის მიღმა ნამოღვაწარს განუკუთვნებენ.

ხოლო მეწოდების ეკატერინა და **დამისწავლიეს ყოველი სწავლაჲ რიტორებრი და ფილოსოფოსებრი, ქუეყანისმზომელთა და სხუათა ჰელოვანთაჲ"** (*Ibid.* გვ. 768).

საყურადღებოა წმინდა გიორგი მთაწმინდელისგან თარგმნილ «დიდ სჯნაქსარში» დაცული ცნობები დიდმოწამე ეკატერინეს ღრმა ფილოსოფიური განსწავლულობისა და მის მიერ სამოცდათორმეტი ენის ცოდნის შესახებ: **„ესე იყო ალექსანდრიელი, ასული კოსტოჲსი სამეუფოჲსაჲ, მაღალი და შუენიერი ხილვითა ხატისაჲთა. ხოლო იყო სწავლულ ყოვლითავე სიბრძნითა ბერძენთა და ჰრომთაჲთა და იცოდა სწავლაჲ ასკლიპიოჲსი და ღალინოჲსი, ომიროჲსი და არისტოტელისი და ბირგილიონ ჰრომთა ფილოსოფოსისაჲ და სხუათა ყოველთა ფილოსოფოსთა და გამომეტყუელთაჲ, და არა ესე ოდენ, არამედ ენანიცა მრავალნი ესწავლნეს მას, ვიდრეღა სამეოცდაათორმეტსა ენასა ქუეყანისასა იტყოდა პირი მისი"**[1].

დამოწმებული მსჯელობის შემდეგ, რომელშიც სათანადო წყაროებზე მითითებით გადმოცემულია საეკლესიო მოძღვრება, ერთი მხრივ, პოლითეიზმის წარმომავლობისა და, მეორე მხრივ, ელინური ფსევდო-თეოსების შესახებ, ამჯერად ჩვენი პუბლიკაციის არსებით ნაწილზე გადავალთ და ეკლესიის მამათა შესაბამისი შრომების საფუძველზე რამდენიმე მოვლენას განვიხილავთ. კერძოდ, ვინაიდან წმინდა წერილისა და საეკლესიო დოგმატების თანახმად, ღმერთი ერთარსი და, იმავდროულად, სამპიროვანია, წარმოდგენილ გამოკვლევაში რიგითობით პირველობას განვუკუთვნებთ საკითხს — **ძველი აღთქმის ეპოქაში ასპარეზზე გამოსულ მოღვაწეებს ჰქონდათ თუა არა განჭვრეტილი ღვთის სამპიროვნულობა.**

საქმე ისაა, რომ წმინდა ეკლესია მდინარე იორდანეში მაცხოვრის ნათლისღებისას აღსრულებულ საიდუმლოს, როგორც ცნობილია, განუკუთვნებს ტერმინს "**განცხადება**", რადგან ზეციდან მომდინარე ხმა **მაშის ჰიპოსტასს** ასაჩინოებდა[2], ამასთან, უფალზე

---

1 დიდი სჯნაქსარი, გვ. 78.

2 შდრ. **„მაღლისა მიერ მოივლინა იოანე იორდანესა. რაჟამს**

დადგრომილი მტრედი **თავად სულიწმინდა იყო**[1], კაცობრივად ნათელღებული იესო ქრისტე კი – იგივე **ძე-ღმერთი**[2].

ქრისტე ნათელს-იღებდა, ცანი განეხუნეს და ჰმაე მამისაე ზეგარდმო წამებდა: "ეგე არს ძე ჩემი საყუარელი, სათნოვიყავ"" (უძველესი იადგარი, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა და ლ. ხევსურიანმა, თბილისი, 1980, გვ. 43); კიდევ: **„ნათლის-ღებასა შენსა, ქრისტე, იორდანეს დღეს ზეცით გარდამო მამისა ჰმამან ძედ შენ გწამა და სულისა წმიდისა გამოცხადებითა ერთა გიცნეს, სამებისა წმიდისა მგალობელთა"** (*Ibid.* გვ. 43); კიდევ: **„რაჟამს შთაჰყედ იორდანედ დამბადებელი წყალთაჲ ნათლისღებად და სული წმიდაჲ ხილვითა ტრედისაჲთა მოვიდა შენ ზედა და ჰმაე ისმა მამისაე მაღლით, შეძრწუნდა წინამორბედი"** (*Ibid.* გვ. 44).

1 შდრ. **„რომელი იორდანესა ნათლისღებასა ქრისტესსა ხილვითა მით ტრედისაჲთა გარდამოჴდა, დღეს ოხრითა საშინელითა, ქარითა სასტიკითა, ელვითა ცეცხლებრითა მოვიდა მოციქულთა ზედა"** (ზატიკის ორი ძველი ქართული რედაქცია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და სქოლიოები დაურთ ლილი ხევსურიანმა, ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1/2008, გვ. 223-248); კიდევ: **„რაჲსათჳს ხილვითა ტრედისაჲთა იხილვა სული წმიდაჲ? ვონაჲთგან ყოვლადწმიდაჲ იგი სული სული სიმშჳდისაჲ არს და სიწმიდისაჲ"** (წმინდა იოანე ოქროპირი, თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ, წიგნი I, თბილისი, 2014, გვ. 181).

2 *ამ საკითხთან დაკავშირებით ე. ფქელიძე აღნიშნავს:* „სწორედ **სამების განცხადება** აღსრულდა **ქრისტეს ნათლისღების ჟამს**, 6 იანვარს; **სწორედ ამიტომ ეწოდებოდა ძველქართულად მაცხოვრის ნათლისღების დღესასწაულს «განცხადებაჲ»** (ბერძნ. ἡ ἐπιφάνεια – «ეპიფანია»)“, *ე. ფქელიძე, ეკლესია – სძალი უფლისა, თბ. 1990, გვ. 55* (იხ. http://edisherchelidze.blogspot.com/2019/02/blog-post 21. html). *იქვე დამოწმებულია სათანადო ნიმუშები. მაგალითად:* „**დღეს განცხადნა სამებაჲ** წმიდაჲ წყალთა მათ ზედა იორდანისათა“ *(უძველესი იადგარი, თბ. 1980, გვ. 48).* „**დღეს საცნაურ იქმნების სამებაჲ ერთარსებაჲ,** ძჱ თანა მამით და სულით წმიდითურთ“ *(იქვე, გვ. 50).* „რომელი **მამით და სულით წმიდითურთ** განცხადენ,

ამდენად, რადგან სწორედ მაცხოვრის ნათლისღების დღესასწაულს ეწოდა "**განცხადება**" (ე. ი. კაცთა წინაშე ღვთის სამპიროვნულობის წარმოჩენა), თავისთავად ცხადია, შესაბამისი საეკლესიო წყაროებით გამყარებულ პასუხს საჭიროებს შეკითხვა: **ჰქონდათ თუ არა ქრისტეშობამდელ ეპოქაში ასპარეზზე გამოსულ მოღვაწეებს ცოდნა ერთარსი ღმერთის სამგვამოვნების შესახებ?**

პირველი საღვთისმეტყველო შრომა, რომელსაც მკითხველის წინაშე წარმოვადგენთ, წმინდა ანასტასი სინელის "წინამძღუარი" იქნება. ხსენებული მოღვაწე ერთგან ბრძანებს:

„ხოლო უკუეთუ ეძიებ, თუ რომლისა მადლისათჳს ნეტარნი წინაჲსწარმეტყუელნი ყოვლით-კერძო წერილისა პირისა ღმრთისა გამოჩინებასა და მოსლვასა ეძიებდეს და ილოცვიდეს და მოელოდეს და არა ბუნებისასა, ისმინე ამისთჳს ერთბამად მამობრივიცა და სარწმუნოჲ სიტყუაჲ და ნუ წინააღუდგები. მეცნიერ უკუე იქმნნეს მოქმედებითა სულისა წმიდისაჲთა **ნეტარნი წინაჲსწარმეტყუელნი** და **მამათმთავარნი (μακάριοι προφῆται καὶ πατριάρχαι)**, ვითარმედ **არა ზიარობისათჳს ბუნებისა წმიდისა სამებისა ყოვლითურთსა სავსებასა სამთავე პირთა – მამისა და ძისა და წმიდისა სულისასა – უკანაჲსკნელთა ჟამთა ქუეყანასა ზედა გამოჩინებაჲ და განჴორციელებაჲ ეგულების, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲔᲠᲗᲘᲡᲐ ᲞᲘᲠᲘᲡᲐ (ἐν πρόσωπον), ᲠᲝᲛᲔᲚ ᲐᲠᲘᲡ ᲦᲛᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲣᲐᲨ (Θεὸς Λόγος).** ამის მადლისათჳს არა სამობითისა არსებისა

ქრისტე!" *(იქვე, გვ. 52).* „დღეს ქუეყანასა ზედა **განცხადებულად სამებაჲ წმიდაჲ** ეცნობა ყოველსა ერსა იორდანესა ზედა, ოდეს ძჱ ღმრთისაჲ ნათელს-იღებდა და მამაჲ ზეგარდამო წამებდა და სული წმიდაჲ გარდამომავალი იხილეს, ვითარცა ტრედი, მის ზედა" *(იქვე, გვ. 53).* „იორდანესა მდინარესა **განსცხადენ სამებაჲ წმიდაჲ**" *(იქვე, გვ. 60).* „**სამებაჲ გამოცხადნა** იორდანესა ზედა ნათლისღებასა შენსა, ქრისტე, რაჟამს მამისა მიერ იწამე და სული წმიდაჲ სახედ ტრედისა მოვიდა შენ ზედა" *(იქვე, გვ. 65).* „წყალთა ბუნებაი განწმდეს დღეს იორდანეს, რამეთუ მათ ზედა **განცხადნა სამებაჲ წმიდაჲ**" *(იქვე, გვ. 67)* და ა. შ.

ღმრთისა მოსვლასა იტყოდეს, არამედ პირისა ღმრთისა (προσώπου Θεοῦ) გამოჩინებასა ქადაგებდეს"[1].

ღირსი ანასტასი სინელის დამოწმებული სწავლების თანახმად, წმინდა წერილის სულიერად შემმეცნებელი წინასწარმეტყველები, რომლებმაც უწყოდნენ, რომ ერთია საღვთო ბუნება, არათუ ხსენებული ბუნების განკაცებას მოელოდნენ, არამედ **ღვთის პირის, ე. ი. ყოვლადწმინდა სამების მეორე ჰიპოსტასის** გამოჩინების (განხორციელების) ჟამს ეძიებდნენ. სინელი მოღვაწე სრულიად მკაფიოდ განმარტავს ამგვარი მოლოდინის განმაპირობებელ მიზეზს და გვაუწყებს, რომ ძველი აღთქმის ეპოქაში მოღვაწე მამათმთავრებმა და წინასწარმეტყველებმა სულიწმინდით შეიმეცნეს ღვთის სამპიროვნულობა და სწორედ ამიტომ არ ქადაგებდნენ **მამის, ძისა და სულიწმინდის განკაცებას, არამედ ღმერთი სიტყვის** (შდრ. **Θεὸς Λόγος**), **ე. ი. ძე ღმერთის მოვლინების შესახებ მაუწყებლობდნენ.** შესაბამისად, საღვთო პირთა სიმრავლის (სამგვამოვნების) მჭვრეტელმა მამათმთავრებმა და წინასწარმეტყველებმა ისიც უწყოდნენ, თუ საკუთრივ რომელი ჰიპოსტასი შეიერთებდა კაცობრივ ბუნებას. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საეკლესიო დოგმატების მიხედვით, დამოწმებული სინტაგმა – **Θεὸς Λόγος ("ღმერთი სიტყვა")** მხოლოდ და მხოლოდ ძე ღმერთს მიემართება და არანაირად – მამის ან სულიწმინდის ჰიპოსტასებს. ამასთან, **წმინდა ანასტასი სინელის თანახმად, ზემოგაცხადებული სწავლება "მამებისეული** (ე. ი. ეკლესიის **მამათა; ი. ო.**) და, შესაბამისად, **სარწმუნო სიტყვაა"** (შდრ. **„ერთბამად მამობრივიცა და სარწმუნოჲ სიტყუაჲ"; [PG. t. 89; col. 133, B]: λόγον πατρικὸν ὁμοῦ τε καί πιστόν), რასაც არავინ უნდა დაუპირისპირდეს[2].**

---

1 დოგმატიკონი I, ანასტასი სინელი, „წინამძღუარი", ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ნ. ჩიკვატიამ, მ. რაფავამ და დ. შენგელიამ; გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ნ. ჩიკვატიამ და დ. შენგელიამ, თბილისი, 2015, გვ. 163; ბერძ. PG. t. 89; col. 133 BC.

2 მსგავსი შინაარსის სწავლება გვხვდება «წმინდა გრიგოლ პართელის ცხოვრებაში». კერძოდ, ჰაგიოგრაფი მესამე პირში გადმოგვცემს თრდატ

იგივე სწავლება გვხვდება დიდი ქართველი მოღვაწის, წმინდა ექვთიმე ათონელის სახელგანთქმულ შრომაში "**წინამძღუარი**", რომელიც თავისი შედგენილობით, როგორც ცნობლია, კომპილაციაა. კერძოდ, ერთი მხრივ, ხსენებული პუბლიკაცია დამასკელისეული "**გარდამოცემის**" გადამუშავებული ვერსიაა, ხოლო მეორე მხრივ, რიგი საეკლესიო ავტორების შესაბამისი კომენტარებით არის გამდიდრებული. ერთ-ერთი წყარო, რითაც ათონის მთაზე მოსაგრე მოძღვარს უსარგებლია, ღირსი ანასტასი სინელის ზემოხსენებული თანამოსახელე შრომა "**წინამძღუარი**" არის. საგულისხმოა, რომ წმინდა ექვთიმემ დოგმატური შინაარსის შემცველ საკუთარ ნაშრომში სინელი მამის სწორედ ის სწავლება გაიზიარა, რაზეც ზემოთ ვრცლად ვისაუბრეთ. წარმოვადგენთ შესაბამისი ადგილის ექვთიმესეულ თარგმანს: **„ხოლო უკუეთუ ვინმე ეძიებდეს, თუ რაჲსათჳს ყოველთავე საღმრთოთა**

სომეხთა მეფის ბრძანებით შეპყრობილი მოღვაწის სიტყვებს: „და ესრეთ იწყო და შემდგომითი შემდგომად მიუთხრა და კეთილნი იგი აღრიცხუნა, რომელნი დავაკლენით თავთა თჳსთა შეურაცხ-ყოფითა მცნებისაჲთა და კუალად სატანჯველნი იგი და უბადრუკებანი მოაჴსენნა, რომელთა ჴსენებისათჳს, ჰ ჩემდა, თუ ვითარ გუპოვნეს საწყალობელნი ესე. **ამათ თანა კუალად კაცთმოყუარებანიცა გამოიჩინნა მონიჭებულნი ჩუენთჳს დამბადებელისა და მაცხოვრისაგან, მოვლინებაჲ იგი წინაწარმეტყველთა და მოძღუართაჲ, მჴაზეგებელი ძისა მხოლოდშობილისა ჴორცთშესხმასა თჳთ მის თავადისა იგი გარდამოსლვაჲ** და ჩუენთჳს თავს-დებაჲ ვნებათაჲ, **რომელნი-ესე სრულიად უმადლო და უჴმარ ვიყვენით, ყურიმლის-ცემაჲ, ჯუარ-ცუმაჲ, ლახუარი და ნეფსით ჩუენთჳს თავს-დებაჲ სიკუდილისაჲ**" (ძველი მეტაფრასული კრებულები, სექტემბრის საკითხავები, „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ და ამისსა შემდგომად წამებაჲ წმიდისა მღდელმოწამისა გრიგოლი პართეველისაჲ", გვ. 475). წარმოდგენილი სწავლების თანახმად, წმინდა გრიგოლის სიტყვისამებრ, ძველი აღთქმის ეპოქაში ასპარეზზე გამოსული წინასწარმეტყველნი არა ზოგადად ღმერთის განკაცების შესახებ იუწყებოდნენ, არამედ **მხოლოდშობილის (ე. ი. საკუთრივ სიტყვა ღმერთის, ძის) ხორცშესხმას მაუწყებლობდნენ** ყველა შემდგომი მოვლენებითურთ.

წერილთა შინა წინაწარმეტყველნი გამოჩინებასა პირისა ღმრთისასა ილოცვიდეს და მოელოდეს და არა ბუნებისას, ისმინეთ ამის ჯერისათჳს სიტყუჲ ჭეშმარიტი, მამათაგან ჩუნდა მოწევნული: ეუწყა მაღლითა სულისა წმიდისაჲთა წინაწარმეტყველთა და მამათმთავართა, ვითარმედ არა ზოგადსა მას და ზიარსა ბუნებასა სამგუამოვნებისასა – მამისა, ძისა და სულისა წმიდისასა – ეგულების ჴუყანასა ზედა გამოჩინებაჲ და კორცთა შესხმაჲ უკანაჲსკნელთა ჟამთა, არამედ ერთსა მას პირსა, რომელ არს მხოლოდშობილი ძჱ და სიტყუჲ ღმრთისაჲ. ამისთჳს არა ერთარსებასა მას სამებისასა იტყოდეს გამოჩინებად ჴუეყანასა ზედა, არამედ პირისა ღმრთისასა. და მისსა გამოჩინებასა ითხოვდეს და მისა მიმართ ილოცვიდეს"[1].

დავიმოწმებთ, აგრეთვე, წმ. გრიგოლ პალამას შრომას „წმინდა მთის ტომოსი მემყუდროეთა შესახებ“:

„ამჟამად გავრცელებული, საზოგადოდ ყველასათვის ცნობილი და თავისუფლად ქადაგებული დოგმატები საიდუმლონი იყო მოსეს რჯულისა, სულიწმინდით წინასწარგანცხადებულნი მარტოოდენ წინასწარმეტყველთათვის. ის სიკეთენი, წმინდანებისადმი რომ არის აღთქმულნი სამერმისო საუკუნეში, – საიდუმლონია სახარებისებრ მოღვაწეობისა, რაც გადაეცათ და წინასწარ გაეცხადათ მათ, რომლებიც ღირსნი გახდნენ სულისმიერი მჭვრეტელობისა, თუმცა კი მათაც ზომიერად, თითქოს წინდის სახით"[2].

---

1 წმინდა ექვთიმე ათონელის „წინამძღუარი", გვ. **256** (ღირსი ანასტასი სინელის "წინამძღუარში" დაცული სწავლება წმინდა ექვთიმე ათონელს სხვა შემთხვევაშიც აქვს მოხმობილი, რაზეც შესაბამის ადგილზე გვექნება მსჯელობა).

2 ჟურნალი „გზა სამეუფო", N 1(4), წმინდა გრიგოლ პალამა, „წმინდა მთის ტომოსი მემყუდროეთა შესახებ", ძველი ბერძნულიდან თარგმნა და კომეტარები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, თბილისი, **1996**, გვ. **4**.

ამრიგად, წმინდა გრიგოლ პალამას თანახმად, ახალ აღთქმაში გაცხადებული დოგმატები ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებისთვისაც იყო საცნაური, თუმცა კონკრეტულად რომელ დოგმატებს გულისხმობდა თესალონიკელი მღვდელთმთავარი, მოხმობილ ციტატაში არ გამოკვეთილა (წინადადების დასასრულ ნაწილში სამერმისო მისაგებელის შესახებ არის საუბარი, რასაც ამასოფლიდან მარადისობაში გარდანაცვლებული წმინდანები ეზიარებიან).

ღირსი მოძღვარი მსჯელობას განაგრძობს და ზემოგანხილულ თემას ასე ეხმიანება:

„ისევე, როგორც ვინმე იმჟამინდელი იუდეველთაგანი, თუკი უმადლოდ მოისმენდა იგი წინასწარმეტყველთა ნათქვამს, – რომ სიტყვა და სული თანამარადიულია და საუკუნეთა უწინარესი, – ალბათ, ყურებსაც კი დაიხშობდა, რადგან ჩათვლიდა, რომ ისმენდა იგი კეთილმსხურების მიერ აკრძალულ და კეთილმსახურთაგან აღიარებული სწავლების საწინააღმდეგო გამონათქვამებს, საწინააღმდეგოს, კერძოდ, ამ სწავლებისა: „უფალი, ღმერთი შენი, უფალი ერთი არს" (მარკ. 12.19), – ჩანს, ამჯერადაც იგივე შეემთხვევა მას, ვინც უკრძალველად ისმენს სულიწმინდის საიდუმლოებებს, შეცნობილთ მარტოოდენ სათნოების გზით განწმენდილთათვის. თუმცა, როგორც მაშინდელ წინასწარმეტყველებათა ახდომამ ცხადთან თანახმიერად წარმოაჩინა იმჟამინდელი საიდუმლონი და აწ გვწამს მამა, ძე და წმინდა სული, ღმრთეება სამგვამოვანი, ერთი მარტივი ბუნება, შეუდგენელი, შეუქმნელი, უხილავი, მოუაზრებელი, – მსგავსადვე, რაჟამს თავის დროზე გამოცხადდება სამერმისო საუკუნე, – გამოუთქმელი ცხადჩენისებრ ერთი ღმერთისა სამ სრულ გვამოვნებაში – ყველასათვის ნათელი გახდება, რომ თანახმიერია ცხად [საქმეებთან] ამჟამინდელი საიდუმლონიც" (*Ibid.* **გვ. 4-5).**

ამის შემდეგ გრიგოლ პალამა ზემოთქმულს ასე ავჯამებს:

„გვმართებს განვჯვრიტოთ ისიც, რომ თუმცა ღმრთეების სამგვამოვნება მოგვიანებით გაცხადდა ქვეყნის კიდემდე,

არანაირად არ დაუზიანებია იგი ერთმთავრობის შესახებ სწავლებას; პირიქით, ზედმიწევნითაც შეიცნობოდა (ἀκριβῶς ἐγινώσκετο), თვით საქმეთა ახდომამდე, იმჟამინდელ წინასწარმეტყველთაგან, და კეთილშეწყნარებულიც იყო იმ პირთა მიერ, წინასწარმეტყველთ რომ მაშინ ყური უგდეს" (*Ibid.* გვ. 5; ბერძ. PG. t. 150; col. 1228, B).

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ხსენებულ «ტომოსს» **ოცდაერთმა სასულიერო პირმა** მოაწერა ხელი, რითაც საკრებოდ დაამოწმა წმინდა გრიგოლ პალამას სწავლების ჭეშმარიტება (*Ibid.* გვ. 14-16).

ამრიგად, ზემოდამოწმებული წყაროები ამომწურავად უპასხუხებს კითხვას: **იყო თუ არა ძველი აღთქმის მამათმთავართა და წინასწარმეტყველთათვის ცნობილი სამყაროს შემოქმედი ღმერთის სამჰიპოსტასურობა?** წმინდა ანასტასი სინელის, ღირსი ექვთიმე მთაწმინდელის, წმინდა არსენ იყალთოელის, ღირსი გრიგოლ პალამასა და ათონის მთაზე მოღვაწე მამათა სწავლება სრულიად მკაფიოდ წარმოაჩენს საეკლესიო რჯულდებას: **ახალი აღთქმის ეპოქაში ერთბუნებოვანი ღმერთის საყოველთაოდ გაცხადებული სამგვამოვნება ქრისტეშობამდელ პერიოდშიც იყო საცნაური ჭეშმარიტ მოღვაწეობას შედგომილი ადამიანებისთვის.**

რაც შეეხება საკითხს, თუ რატომ არ ქადაგებდნენ ხმამაღლა ძველი აღთქმის მართალნი საღვთო ჰიპოსტასთა სიმრავლეს, ამ კითხვის პასუხად კვლავ წმინდა გრიგოლ პალამას ზემოდამოწმებულ სწავლებას წარმოვადგენთ განსხვავებული ხაზგასმებით:

„ისევე, როგორც ვინმე იმჟამინდელი იუდეველთაგანი, თუკი უმადლოდ მოისმენდა იგი წინასწარმეტყველთა ნათქვამს, – რომ სიტყვა და სული თანამარადიულია და საუკუნეთა უწინარესი, – ალბათ, ყურებსაც კი დაიხშობდა, რადგან ჩათვლიდა, რომ ისმენდა იგი კეთილმსხურების მიერ აკრძალულ და კეთილმსახურთაგან

ალიარებული სწავლების საწინააღმდეგო გამონათქვამებს, საწინააღმდეგოს, კერძოდ, ამ სწავლებისა: „უფალი, ღმერთი შენი, უფალი ერთი არს“ (მარკ. 12.19), – ჩანს, ამჯერადაც იგივე შეემთხვევა მას, ვინც უკრძალველად ისმენს სულიწმინდის საიდუმლოებებს, შეცნობილთ მარტოოდენ სათნოების გზით განწმენდილთათვის" (*Ibid.* გვ. 4-5).

თესალონიკელი მღვდელთმთავრის დამოწმებული მოძღვრება მკაფიოდ გვაუწყებს მიზეზს, თუ რატომ არ ხმოვანდებოდა ძველი აღთქმის ეპოქაში საღვთო ჰიპოსტასთა სიმრავლე: **ვინაიდან რჩეული ერი სრულიად უმეცარი იყო აღნიშნული საიდუმლოსი და მოსმენის შემთხვევაშიც არ შეიწყნარებდა მას, საღვთო განგებულებით დუმდნენ ქრისტეშობამდე მოღვაწე მართალი ადამიანები, რომ ამაო ვნებათაღელვისა და უსიამოვნების მიზეზი არ გამხდარიყო მათ მიერ ნაქადაგები ჭეშმარიტება; თუმცა, იმავე წმინდანის თანახმად, გულწრფელად მსურველთ დიდი მოშურნეობით განსწავლიდნენ ღვთისაგან იდუმალი სახით გაცხადებულ დოგმატებში.**

აქვე წარმოვადგენთ წმინდა იოანე ოქროპირის საყურადღებო ეგზეგეზისს. კერძოდ, კონსტანტინოპოლელი მღვდელთმთავარი აღთქმულ მიწაზე მოსე წინასწარმეტყველის შეუსვლელობის მიზეზს ასე განმარტავს: „არა ჯერ-იყო თხოვისა მის მისისა (მოსესი; ი. ო.) აღსრულებაჲ და შესვლაჲ მისი ქუყანასა მას, რამეთუ **იცოდა ღმერთმან უგუნური განდრეკილი გონებაჲ ჰურიათაჲ,** რომელნი-იგი გამოვიდეს რაჲ ეგჳპტით, მეყსეულად დაივიწყეს ღმერთი და მოსეს ეძიებდეს, და ვითარცა მას დაეყოვნა, ჯბოჲ ქმნეს და თაყვანის-სცეს. **იცოდა ღმერთმან, ვითარმედ შეიყვანნეს თუ იგინი მოსე ქუეყანასა მას და მუნ აღესრულოს, ეგულებოდა მათ ღმრთად აღსარებაჲ მისი, და ესრეთ დიდიმცა იქმნა სავნებელი. ხოლო ღმერთსა არა ენება, რაჲთამცა კაცი იგი წმიდაჲ და სათნოჲ ყოველ უგუნურთა მათ მიზეზად თჳსისა მის კერპთმსახურებისა. ამისთჳს არა შეუნდო შესვლად ქუეყანასა მას, არცა საფლავი მისი**

საცნაურ იქმნა ამის მიზეზისათჳს"[1]. მართალია, წმინდა იოანე ოქროპირის დამოწმებული კომენტარი ძველი აღთქმის ეპოქაში საღვთო ჰიპოსტასთა გაუცხადებლობის მიზეზს პირდაპირი მნიშვნელობით არ ეხმიანება, მაგრამ საუკეთესოდ წარმოაჩენს რჩეული ერის წიაღში მტკიცედ დასაძირკვლებულ პოლითეისტურ მსოფლმხედველობას. შესაბამისად, თუკი იმავე ერის წინაშე დაუფარავად იქნებოდა ნაქადაგები წმინდა სამება, ამგვარი მოქმედება მრავალღმერთიანობის საფრთხისკენ მიდრეკას უქადდა ხალხს. ამიტომაც, დიდი მღვდელთმთავრის სიტყვებით რომ ვთქვათ, **„ღმერთსა არა ენება, რაჲთამცა კაცნი იგი წმიდანი და სათნონი ყვეს უგუნურთა მათ მიზეზად თჳსისა მის კერპთმსახურებისა"**[2].

---

1 წმინდა იოანე ოქროპირი, თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ, წიგნი I, თბილისი, 2014, გვ. 88.

2 საგულისხმო გამოხმაურებას ვხვდებით ხსენებულ მოვლენასთან დაკავშირებით კლიმენტი ალექსანდრიელის ნაშრომში სახელწოდებით "სტრომატები". კერძოდ, ღირსი მოძღვარი მეხუთე წიგნის მეთერთმეტე თავში, ერთგან განმარტავს საკითხს, თუ რა მიზეზით აეკრძალა ებრაელ ერს საკუთარი სახელმწიფოს საზღვრებში მრავალი ტაძრის აგება და ოდენ დედაქალაქი – იერუსალიმი იქნა გამორჩეული ლიტურგიკული მსახურების ადგილად. ალექსანდრიელი თეოლოგი ორ მოვლენაზე ამახვილებს ყურადღებას: (1) სამყაროს ერთჯერადი ქმნადობა (ე. ი. სწავლება კოსმოსის არა მრავალჯერ, არამედ ერთგზის ქმნადობის თაობაზე); (2) **წარმოჩენა იმისა, რომ ერთია ღმერთი, რომელსაც მიეძღვნა იერუსალიმში აგებული ძველი აღთქმის ტაძარი**. აღნიშნულ ორ დებულებას შორის, განსახილავი საკითხიდან გამომდინარე, ჩვენთვის მეორე დებულებაა საყურადღებო: **მაშინ როდესაც პოლითეიზმის უმძიმესი სენით დასნეულებული კაცობრიობა ღმერთებად აღიარებულ სხვადასხვა ქმნილებას მსახურებით თაყვანისცემას აღუსრულებდა, იერუსალიმში აგებული ტაძარი რჩეულ ერს ღვთის მხოლოობას შეამეცნებინებდა** (შდრ. PG. t. 9; col. 112 B). წარმოსაჩენად იმისა, თუ რატომ იდუმალჰყოფდნენ ძველი აღთქმის მართალი მოღვაწენი ღმერთის სამპიროვნულობას, წმინდა ბასილი დიდის 189-ე ეპისტოლეს დავიმოწმებთ. კაპადოკიელი მოძღვარი ერთგან შენიშნავს: **„ისინი ბრალს გვდებენ, რომ ჩვენ სამ ღმერთს**

შევნიშნავთ, რომ ძველი აღთქმის მართალთა მიერ ღვთის სამპიროვნულობის ცოდნის გარდაუვალობას უბრალო, ადამიანური ლოგიკაც ცხადყოფს. კერძოდ, თუკი მამათმთავრთა და წინასწარმეტყველთა მხრიდან საღვთო პირთა სიმრავლის შეუმეცნებლობას დავუშვებთ, გამოდის, რომ ღმერთი, რომელიც ეცხადებოდა და საკუთარი თავის შესახებ მოძღვრებას აზიარებდა მათ, ცრუდ წარმოუჩნდებოდა და, ნაცვლად ჭეშმარიტი სამპიროვნულობისა, ერთპიროვანი სახით ეზრახებოდა ძველი აღთქმის მოღვაწეებს. შესაბამისად, ამგვარი მსჯელობის დაშვება იქითკენ მიგვმართავს, რომ **სხვაა მამათმთავართა და წინასწარმეტყველთა მიერ ნაქადაგები ღმერთი („ერთპიროვანი ღმერთი“) და სხვა – მოციქულთაგან აღსაარებული ყოვლადწმინდა სამება, რაც, ბუნებრივია, სრული აბსურდი და დოგმატური ცთომილებაა.**

საზოგადოდ, საეკლესიო მწერლობა გადავსებულია მითითებებით იმაზე, რომ ძე-ღმერთის განკაცება სწორედ ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა მიერ მოესწავებოდა.

საყურადღებო მითითებას ვხვდებით წმინდა ექვთიმე ათონელის მიერ შედგენილ „მცირე სჯულისკანონში". კერძოდ, ერთგან მაცხოვრის ორი ნებისა და ორი მოქმედების შესახებ მოძღვრებაა განხილული და ნათქვამია, რომ ძველი აღთქმის ეპოქაში მოღვაწე წინასწარმეტყველნი მომავალი მესიის ორ

ვქადაგებთ. ექოსავით უმეორებენ ამას მრავალ სასმენელს და არ ცხრებიან მცდელობებისაგან... . ბრალს გვდებენ, რომ ვალიარებთ სამ ჰიპოსტასს და გვადანაშაულებენ, რომ ვამბობთ ერთ სახიერებას, ერთ ძალას და ერთ ღმრთეებას" (წმინდა ბასილი დიდი, ეპისტოლეები, გვ. 307-308). მართალია, დამოწმებული ეპისტოლე პირდაპირ არ ეხმიანება ზემოგანხილულ საკითხს, თუმცა ახ. წ. აღ-ის მეოთხე საუკუნეში მცხოვრები კესარიელი მღვდელთმთავრის უწყება, რომ ღმრთის სამჰიპოსტასურობის შესახებ სწავლება პოლითეიზმში მისი დადანაშაულების მიზეზი შეიქმნა, მკაფიოდ ცხადყოფს, რაოდენ უფრო მეტად რთული ვითარება შეიქნებოდა ქრისტეშობამდელი წინასწარმეტყველების მხრიდან იმავე საკითხის დაუფარავად ქადაგების შემთხვევაში.

ბუნებასა და ორ მოქმედებას ძე ღმერთის განკაცებამდე რამდენიმე საუკუნით უწინარეს იმეცნებდნენ, რაც მკაფიოდ წარმოაჩენს, თუ როგორი დოგმატური აკრიბიით ჰქონდათ ხსნებულ ადამიანებს (ქრისტეშობამდელ წინასწარმეტყველთ) განჭვრეტილი მომავლში აღსასრულებელი სოტერიოლოგიური საიდუმლო. დავიმოწმებთ შესაბამის ადგილს: „რამეთუ არა ორად პირად განიკუეთა ანუ განეყო ორგუამოვნებად, არამედ იგივე **ერთი მხოლოდშობილი სიტყუაჲ ღმრთისაჲ, უფალი იესუ ქრისტჱ ORITA BUNEBITA DA ORITA SAQMITA, VITARCA PIRVELITGAN WINAWARMETYUELTA QADAGES** და თავადმან იესუ ქრისტემან გუასწავა და წმიდათა მოციქულთა გუაუწყეს და ღმერთშემოსილთა მამათა გუასწავლეს, ვქადაგებთ ჩუენცა ორთა ბუნებათა და ორთა ბუნებითთა ნებათა და ორთა ბუნებითთა საქმეთა, ხოლო ორთა მათ ბუნებითთა ნებათა არა წინააღმდგომთა"[1].

დამოწმებული წყაროების შემდეგ ამჯერად ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს განვიხილავთ: **რა განსხვავებაა ძველი აღთქმის ეპოქაში მოღვაწე მართალთა შემეცნებასა და მაცხოვრის ნათლისღებისას აღსრულებულ ერთარსი ღმერთის სამპიროვნულობის განცხადებას შორის?**

დასმულ შეკითხვას ეკლესიის დიდი მოძღვარი, წმინდა სოფრონ იერუსალიმელი ასე უპასუხებს: „**VINAÒCA AQA (მდინარე იორდანეზე; ი. ო.) ARA IGAVTA DA SASXMTA RATMME MIER, VITARCA PIRVEL, *ARAMED BRWYINVALED DA TVNIER YOVLISA DAWARULEBISA* GANCXADNA SAMGUAMOVNEBAÒ NETARISA SAMEBISAÒ: MAMAÒ DA ZC DA SULI WMIDAÒ**"[2].

---

1 მცირე სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადა ელგუჯა გიუნაშვილმა, თბილისი, 1972, გვ. 21.

2 თბილისის სასულიერო აკადემია, გრაგნილი, II, საეკლესიო-სამეცნიერო კრებული, თბილისის სასულიერო აკადემისა და სემინარიის გამომცემლობა, თბილისი, 2014 წ., „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა სოფრონ

ამდენად, იერუსალიმის ეკლესიის ღირსი მღვდელთმთავრის თანახმად, იესო ქრისტეს ნათლისღებამდე, ძველი აღთქმის ეპოქაში მოღვაწე მართალი ადამიანები ყოვლადწმინდა სამების საიდუმლოს (ღვთის სამპიროვნულობას) ი გ ა ვ ე ბ ი თ ა დ ა ს ა ხ ე ე ბ ი თ იმეცნებდნენ, ხოლო მდინარე იორდანეზე აღსრულებული მოვლენით, ხსენებულ იგავებსა და სახეებში უწინარეს ჟამს გასაიდუმლოებული ერთბუნებოვანი ღმერთის სამჰიპოსტასურობა ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი დ ა ფ ა რ უ ლ ო ბ ი ს გ ა რ ე შ ე (შდრ. „თჳნიერ ყოვლისა დაფარულებისა") თავად განკაცებულმა ძე ღმერთმა (მამითა და სულიწმინდითურთ) საყოველთაოდ საცნაურჰყო ადამიანთა წინაშე[1].

უწყება იმის შესახებ, რომ საღვთო ბუნებისა და სამგვამოვნების საიდუმლო ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა მიერ **იგავთა მიერ ცხადდებოდა** და ერთსა და იმავე სამჰიპოსტასოვან შემოქმედს

იერუსალიმელ პატრიარქისაჲ სიტყუაჲ წმიდისათჳს ნათლისღებისა მაცხოვრისა ჩუენისა", ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვა და საკითხის მოკლე მიმოხილვა წაუმძღვარა გიორგი ბერიშვილმა, გვ. 46.

1 წმინდა სამების საყოველთაო განცხადებულობის შესახებ მოძღვრებას ღირსი სოფრონ იერუსალიმელის ზემოდამოწმებულ შრომაში სხვა ადგილზეც ვხდებით. კერძოდ, ხსენებული წმინდანი საეკლესიო ტრადიციაში აპრობირებულ წესს მიმართავს და იორდანეზე განცხადებულ მამის ჰიპოსტასს ერთგან პირველ პირში ამეტყველებს: „შენ ხარ ძჱ ჩემი საყუარელი, შენ შორის სათნო-ვიყავ. მე შენ პირველ ყოველთა საუკუნეთა გშევ და დაუსაბამოჲსა არსებისა ჩემისაგან დაუსაბამოდ განგაცხადე; შენ მიერ შევქმნენ ყოველნი და **შ ე ნ მ ი ე რ ს ა ც ნ ა ურ ვ ი ქ მ ე ნ ყ ო ვ ე ლ თ ა მ ი ე რ; შ ე ნ ხ ა რ გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ულ ხ ა ტ დ ა მ ს გ ა ვ ს ე ბ ა ჩ ე მ დ ა...**" (*Ibid.* გვ. 44). იორდანეზე აღსრულებული განცხადებულობის საყოველთაოობას გვამცნობს „უძველეს იადგარში" დაცული ერთ-ერთი საკითხავი: „რომელი მამით და სულით წმიდითურთ თაყუანის-იცემების ძეჲ და **დ ღ ე ს ქ უ ე ყ ა ნ ა ს ა ზ ე დ ა გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ულ ა დ ს ა მ ე ბ ა ჲ წ მ ი დ ა ჲ ე ც ნ ო ბ ა ყ ო ვ ე ლ ს ა ე რ ს ა ი ო რ დ ა ნ ე ს ა ზ ე დ ა**" (უძველესი იადგარი, გვ. 52-53); **კიდევ: „შ ე ნ, ს ა მ ე ბ ა ო წ მ ი დ ა ო, ი ო რ დ ა ნ ე ს ა ზ ე დ ა გ ა ნ ე ც ხ ა დ ე ყ ო ვ ე ლ ს ა ე რ ს ა**" (*Ibid.* გვ. 53).

ქადაგებდნენ **მახარებელნი, მოციქულნი თუ წინასწარმეტყველნი,** საყოველთაო საეკლესიო სწავლებაა და მაცხოვნებელი ეკლესიის შეუძრავი დოგმატია, რის შესახებაც გვამცნობს ყველა წმინდა მოღვაწე და რითაც ძველი და ახალი აღთქმის აბსოლუტური სულიერი და მოძღვრებითი განუყოფლობა დასტურდება.

ამჯერად შევეხებით საკითხს იმის შესახებ, თუ **ვინ განეცხადებოდა თეოფანიებისას ძველი აღთქმის ეპოქაში ასპარეზზე გამოსულ მოსაგრე ადამიანებს – ზოგადად ყოვლადწმინდა სამება, რომელიმე საღვთო ჰიპოსტასი, თუ საკუთრივ მეორე ჰიპოსტასი - ძე-ღმერთი.**

აღვნიშნავთ, რომ ყველა პატრისტიკული წყარო ერთხმად განაჩინებს: **ქრისტეშობამდე მოღვაწე მართალთ ღვთის გამოცხადებისას არა საღვთო ბუნება ეზრახებოდა, არამედ ყოვლადწმინდა სამების მეორე პირი ძე ღმერთი, რომლის მიერაც შეიმეცნებდნენ ისინი (ძველაღთქმისეული მართალნი) ერთბუნებოვანი ღმერთის სამპიროვნულობას.**

მაგალითად, წმინდა გრიგოლ ნოსელი **შრომაში სახელწოდებით „სიტყვა ძისა და სულის ღმრთეების შესახებ და ენკომია მართალი აბრაამისადმი"**[1] მორიას მთაზე მამათმთავარი აბრაამის მიერ საკუთარი ძის – ისააკის მსხვერპლად შეწირვის ბიბლიურ ისტორიას ეხმიანება ერთგან და განმარტავს, თუ ვინ მოიაზრება უფლის ანგელოზში, რომელმაც ხსენებულ დიდ იუდეველ მოღვაწეს უკანასკნელ წამს შვილის შეწირვის სანაცვლოდ იქვე მდებარე ვერძზე მიუთითა. დავიმოწმებთ შესაბამის ადგილს: **„მაშ, ვინ არის აბრაამთან მოსაუბრე?**[2] **ნუთუ მამა? მაგრამ ვერ იტყვი, რომ მამა ანგელოზია ვინმესი. ამდენად, – მხოლოდშობილი ღმერთი (ὁ μονογενὴς Θεὸς), რომლის შესახებაც ამბობს წინასწარმეტყველი: „იწოდება მისი სახელი დიდი ზრახვის ანგელოზი“ (ეს. 9.6)"**[3].

---

1 იხ. PG. t. 46; col. 553-576.

2 შდრ. „და უწოდდა მას **ანგელოზი უფლისაჲ** ზეცით და ჰრქუა: „აბრაამ“!" (დაბ. 22.11).

3 იხ. PG. t. 46; col. 572 D – 573 A.

ამრიგად, წარმოდგენილი განმარტება სრულიად მკაფიო პასუხს გვთავაზობს და გვიკონკრეტებს, რომ მორიას მთაზე აღსრულებული თეოფანიისას აბრაამს ყოვლადწმინდა სამების მეორე ჰიპოსტასი, მხოლოდშობილი ძე ღმერთი განეცხადა.

ამჯერად კლიმენტი ალექსანდრიელის შესაბამის სწავლებას წარმოვადგენთ:

„რწმენა სიმართლედ შეერაცხა აბრაამს. იგი ჰაერში თანამავალთა და ზეცაში მოძრავთა ზეაწეულ და ზეაზიდულ ფილოსოფიას მისდევდა და **„აბრამი“** (Ἀβράμ) ეწოდა, რაც გადაითარგმნება როგორც „მამა ზეამაღლებული“[1]. **ზეცისკენ აღმხილველმა მოგვიანებით სულით ᲒᲐᲜᲫᲕᲠᲘᲢᲐ ᲫᲔ (τὸν Υἱόν)**[2], როგორც განმარტავენ ზოგიერთები, ან დიდებული ანგელოზი, ანთუ სხვაგვარად შეიცნო შესაქმის ძალმოსილი ღმერთი და ყოველივეს დანიშნულება მასში (ე. ი. სამყაროში უფლის მიერ დადგენილი კანონზომიერებანი; ი. ო.) და მოიპოვა „ანი“ (αλφα) – შემეცნება ერთი და მხოლო ღვთისა (τοῦ ἑνός καὶ μόνου Θεοῦ), და ეწოდა **„აბრაამი“** (Ἀβραάμ)[3].

---

1 შდრ. ბერძ. **πατὴρ μετέωρος** (PG. t. 9; col. 20 A). კლიმენტი ალექსანდრიელი ზემოდამოწმებული მსჯელობით და აღნიშნული სახელდებით დიდი იუდეველი მამათმთავრის ასტრონომიულ განსწავლულობას წარმოაჩენს.

2 თავისთავად ცხადია, იგულისხმება, რომ იუდეველ მამათმთავარს ძე ღმერთი განეცხადა.

3 ალექსანდრიელი ღვთისმეტყველის დამოწმებულ განხილვაში საუბარია იმის შესახებ, რომ დიდი მამათმთავრის საკუთარი სახელი მისი სულიერი განვითარების საიდუმლოს გაამხელს. კერძოდ, თავდაპირველად ერთი "**ანით**" (იგულისხმება ბერძნული ანბანის პირველი ასო **α – αλφα – ალფა**) "**აბრამი**" ეწოდა მას, რაც, კლიმენტის მიხედვით, შინაარსობრივად ნიშნავს – "**მამა ზეამაღლებული**" (შდრ. ბერძ. **πατὴρ μετέωρος**, ლათ. **pater sublimis**) და ხსენებული მართალი მოღვაწის ღრმა ასტრონომიულ განსწავლულობას ცხადყოფს. თუმცა ზეციურთა გზით ღვთისეულთა შემმეცნებელი იმავე მამათმთავარის სახელს მოგვიანებით ერთი "**ანი**" (**αλφα**) შეემატა და ნაცვლად თავდაპირველი "**აბრამისა**" (Ἀβράμ) "**აბრაამი**" (Ἀβραάμ) გახდა იგი – განმჭვრეტი ყოველივესთვის დასაბამის მიმნიჭებელი

ამასთან, ნაცვლად ბუნებისმეტყველისა (φυσιολόγου), ბრძენი და ღვთისმოყვარე (φιλόθεος) გახდა იგი"[1].

დამოწმებულ განმარტებაში კლიმენტი ალექსანდრიელი, მართალია, რამდენიმე შესაძლო ვერსიას ასახელებს იმის შესახებ, თუ ვინ უნდა წარმოჩენილიყო ჭეშმარიტების მაძიებელი მამათმთავრის წინაშე, მაგრამ ჩამოთვლილთაგან პირველი, რომლის თანახმადაც აბრაამს ძე ღმერთი განეცხადა, სრულ თახმობაშია სხვა საეკლესიო ავტორების მიერ იმავე საკითხზე გამოთქმულ განმარტებასთან.

ასევე, წმინდა იუსტინე ფილოსოფოსი გვამცნობს:

„ღვთის ნეტარი და ერთგული მსახური მოსე გვაუწყებს, რომ ის, ვინც მამრეს მუხნართან აბრაამს გამოეცხადა, იყო ღმერთი, რომელსაც ორი ანგელოზი ახლდა. ისინი გამოგზავნილი იყვნენ სოდომის დასასჯელად იმ სხვის მიერ, ვინც ყოველთვის ცის ზემოთ იმყოფება და რომელიც არავის

ერთი და მხოლო ღვთისა. საქმე ისაა, რომ ალექსანდრიელი ეგზეგეტი ბერძნული ანბანის პირველ ასო-ნიშან αλφα-ს უფლის სიმბოლოდ მიიჩნევს, რადგან როგორც ისაა დანარჩენი ოცდასამი ბგერის სათავე, მსგავსადვე, ღვთისაგან იღებს დასაბამს სამყარო. შევნიშნავთ, რომ ზემოხსენებული აზრის გამოთქმისას, შესაძლოა, ღირსი კლიმენტი „აპოკალიფსის" წიგნს ეფუძნება, რომელშიც სამგზის გვხვდება მითითება, თუ როგორ უწოდებს უფალი საკუთარ თავს "**ალფასა**" და "**ომეგას**"; (1) [აპოკ. 1.8]: „მე ვარ **ანი** და **ჲ**, იტყუს უფალი ღმერთი" (შდრ. **Ἐγώ εἰμι *τὸ Ἄλφα* καὶ *τὸ Ὦ*, λέγει κύριος ὁ θεός**); (2) [აპოკ. 21.6]: „და მრქუა მე: ვიქმენ მე **ანი** და **ჲ**, დასაბამი და დასასრული" (შდრ. **καὶ εἶπέν μοι, Γέγοναν. ἐγώ εἰμι *τὸ Ἄλφα* καὶ *τὸ Ὦ*, ἡ ἀρχὴ καὶ τὸ τέλος**); (3) [აპოკ. 22.13]: „მე ვარ **ანი** და **ჲ**, პირველი და უკუანაჲსკნელი, დასაბამი და დასასრული" (შდრ. **ἐγὼ *τὸ Ἄλφα* καὶ *τὸ Ὦ*, ὁ πρῶτος καὶ ὁ ἔσχατος, ἡ ἀρχὴ καὶ τὸ τέλος**). ამდენად, ხსენებული ძველაღთქმისეული მოღვაწის თავდაპირველ სახელში "**ალფას**" შემატება, ალექსანდრიელი თეოლოგის თანახმად, ყოველივესთვის დასაბამის მიმნიჭებელი ღვთის შემეცნების საიდუმლოს გაამხელს, რომ ქვეყნიურთა გზით ზეციურთა მჭვრეტელი შეიქმნა მამათმთავარი აბრაამი.

1 PG. t. 9; col. 17-20 CA.

ეცხადებოდა და არავისთან უშუალოდ არ უსაუბრია. ჩვენ მას ყოველთა შემოქმედს და მამას ვუწოდებთ"[1].

წარმოდგენილი განმარტების თანახმად, მამათმთავართან სტუმრად მისული სამი მეგზურიდან ერთი უფალია, დანარჩენი ორი – ანგელოზი. წმინდა იუსტინეს თქმით, სხვა არის მამრესთან განჭვრეტილი ღმერთი და სხვა – **მამა.** გამოთქმის ფორმა, რომელსაც მამის ჰიპოსტასთან დაკავშირებით იყენებს მარტვილი მოძღვარი (შდრ. **"ცის ზემოთ იმყოფება"**), რა თქმა უნდა, პირობითია და სწორედ ზემოგანხილულ საკითხს ეხმიანება, რითაც მკითხველს მიუთითებს და განსწავლის ის (წმ. იუსტინე), რომ ძველაღთქმისეული თეოფანიები არაა მამა ღმერთის გამოცხადება (შდრ. **„არავის ეცხადებოდა და არავისთან უშუალოდ არ უსაუბრია"**). ზემოდამოწმებულ მსჯელობაში მხოლოდ ზოგადი მითითება გვხდება და დადასტურებულად არც ისაა ნაჩვენები, რომ იუდველთა დიდი მამათმთავარის წინაშე ჩენილი ძის ჰიპოსტასია, თუმცა აღნიშნულში გარკვევის მიზნით იმავე შრომის სხვა ადგილებს დავიმოწმებთ:

„მაშასადამე, თუკი ვიცით, რომ ღმერთი სხვადასხვა სახით ეცხადებოდა აბრაამსაც, იაკობსაც და მოსესაც, რაღა შეგვაცბუნებს და რატომღა არ გვწამს, რომ მას შეეძლო ადამიანად შობილიყო ქალწულისგან, ყოველთა მამის ნების მიხედვით? მით უმეტეს, როცა წმინდა წერილში ისეთი ადგილები გვაქვს, საიდანაც ცხადად ჩანს, რომ ესეც მამის ნების მიხედვით მოხდა" (*Ibid.* გვ. 117);

კიდევ: **„იესო იყო ის, ვინც მოსეს, აბრაამს, და, საერთოდ, ყველა პატრიარქს ეცხადებოდა და ესაუბრებოდა, და ამით მამის ნებას აღასრულებდა"** (*Ibid.* გვ. 164).

წარმოდგენილი სწავლებანი ზემოთ გამოთქმული განმარტების ბუნდოვანებას გაფანტავს, რადგან აბრაამისადმი (და, ზოგადად, მამათმთავართა წინაშე) გამოცხადებული ღმერთის შესახებ

1 წმ. იუსტინე მარტვილის დიალოგი ტრიფონ იუდეველთან, გვ. 84-85.

მსჯელობისას ამჯერად მარტვილი მოძღვარი ერთ შემთხვევაში ხაზგასმით მიუთითებს, რომ **ის** ქალწულისაგან უნდა შობილიყო, ხოლო მეორეგან სახელდებით იესოდ მოიხსენიებს **მას**, რითაც ძველაღთქმისეულ თეოფანიებში საკუთრივ ძე ღმერთის განჭვრეტის იდუმალებას წარმოაჩენს.

განხილვას წმინდა კირილე იერუსალიმელის სწავლებით განვაგრძობთ. კერძოდ, იერუსალიმის ეკლესიის მღვდელთმთავარი ესაიას წიგნის მეექვსე თავში გადმოცემულ მოვლენებს ეხმიანება, რომლის თანახმადაც მეხუთე მახარებლად სახელდებული წინასწარმეტყველი საუფლო გამოცხადებას ასე აღგვიწერს: „და იქმნა წელსა, რომელსა მოკუდა ოზია მეფე, ვიხილე უფალი მჯდომარე საყდარსა ზედა მაღალსა და აღმატებულსა. და სავსე იყო სახლი დიდებითა მისითა" (ეს. 6.1).

ღირსი კირილე აღნიშნულთან დაკავშირებით ბრძანებს: **„და საყდარი ესე ვორციელად მოსლვადმდე მაცხოვრისა იხილა ესაია წინაწარმეტყველმან და იტყჳს: „ვიხილე უფალი, მჯდომარეჲ საყდართა ზედა მაღალთა და აღმატებულთა“ და შემდგი ამისი. მამაჲ არავინ იხილა, ხოლო რომელი-იგი წინაწარმეტყველმან იხილა მაშინ, ძჱ იყო"[1].**

---

1 სინური მრავალთავი 864 წლისა, „თქუმული წმ. და ნეტარისა მამისა ჩუენისა კჳრილე მთავარეპისკოპოსისაჲ იერუსალიმელისაჲ, აღდგომისათჳს მკუდრეთით უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსა", გვ. 168. შევნიშნავთ, რომ წმინდა კირილე იერუსალიმელის ზემოდამოწმებული ჰომილია ასევე დაცულია **კლარჯულსა** და **უდაბნოს მრავალთავებში** (იხ. ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, უდაბნოს მრავალთავი, აკაკი შანიძისა და რევაზ ჭუმბურიძის რედაქციით, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს: ლ. ბარამიძემ, კ. დანელიამ, რ. ენუქაშვილმა, ი. იმნაიშვილმა, ლ. კიკნაძემ, მ. შანიძემ და ზ. ჭუმბურიძემ, თბილისი, 1994, „თქუმული წმიდისა კჳრილე მთავარეპისკოპოსისაჲ იერუსალემელისაჲ მკუდრეთით აღდგომისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა", გვ. 222-237; იხ. ძველი ქართული მწერლობის ძეგლები XII1, კლარჯული მრავალთავი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო თამილა მგალობლიშვილმა, თბილისი, 1991, „საკითხავი, თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა

წმინდა გრიგოლ ნოსელის, კლიმენტი ალექსანდრიელის, წმინდა იუსტინე ფილოსოფოსის ზემოდამოწმებული განმარტებების მსგასად[1], წინამდებარე შემთხვევაშიც ჩვენთვის საინტერესო საკითხი გარკვევით არის კომენტირებული: **უზენაესი, რომელიც ესაია წინასწარმეტყველმა საყდარზე მჯდომარე განჭვრიტა, ძე ღმერთია.**

იმავე მოვლენასთან დაკავშირებით ამჯერად წმინდა ექვთიმე ათონელის **მიერ თარგმნილ პატერიკულ კრებულს მოვიხმობთ, რომელიც ერთგან შემდეგს გვამცნობს: „თქუა ბერმან: მსგავს არს სენაკსა შინა მოთმინებით ჯდომაჲ საჴუმილსა ბაბილონისასა, რომელსა შინა სამთა ყრმათა ძჱ ღმრთისაჲ იხილეს"[2].**

წმინდა სვიმეონ საკვირველთმოქმედის ცხოვრებაში ვკითხულობთ: „ნუცა საოცრებითა სოფლისაჲთა შეურაცხ

ჩუენისა კჳრილჱ მთავარეპისკოპოსისაჲ იერუსალჱმელისაჲ, მკუდრეთით აღდგომისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსა"; გვ. 235-248). **ესაია წინასწარმეტყველის მიერ ძე ღმერთის მხილველობის შესახებ სწავლება, ბუნებრივია, ორივე წყაროში სინური მრავალთავის შესაბამისად არის გადმოცემული: საყდარზე დაბრძანებული უფალი ყოვლაწმინდა სამების მეორე ჰიპოსტასია** (იხ. უდაბნოს მრავალთავი, გვ. 236; კლარჯული მრავალთავი, გვ. 246).

1 წმინდა იუსტინე ფილოსოფოსი (II ს.) კლიმენტი ალექსანდრიელის (II-III სს.) წინმსწრებია ეპოქალურად. თავის მხრივ, ორივე მათგანის შემდგომ მოღვაწეობს ღირსი გრიგოლ ნოსელი (IV ს.). ამდენად, წარმოდგენილი რიგითობა პირობითია და არ ეფუძნება მათი ცხოვრების პერიოდებს.

2 შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები, I, ქართული პატერიკის ერთი ძველი რედაქციის ექვთიმე ათონელის თარგმანი XI ს. ხელნაწერის მიხედვით, ტექსტი მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მანანა დვალმა, თბილისი, 1966, გვ. 96. შევნიშნავთ, რომ წმინდა ექვთიმე ათონელის თარგმანი რამდენიმე ხელნაწერით არის ჩვენამდე მოღწეული. დასახელებულ წყაროში, იქვე სხვა მანუსკრიპტის შესაბამისი ადგილი არის დამოწმებული: **„თქუა ბერმან: სენაკი მონაზონისაჲ არს საჴმილი იგი ბაბილოვნისაჲ, სადა-იგი სამთა მათ ყრმათა პოვეს ძჱ ღმრთისაჲ"** (*Ibid.* გვ. 96).

ჰყოფ ქრისტესა, რომელი მოვიდა შენდა გლახაკთა თანა, რომელსა იგი არა აქუნდა ადგილი, სადა თავი იდრიკოს. და არს იგი უფალი ცათა და ქუეყანისაჲ და ყოველივე რაჲ არს მათ შინა. და ამისთჳს პოვა აბრაჰამ მადლი, რამეთუ შეიწყნარა იგი (ხაზგასმულ ნაცვალსახელში იგულისხმება წინადადების დასაწყის ნაწილში ხსენებული იესო ქრისტე; ი. ო.) **ორთა ანგელოზთა მისთა თანა და არა იცოდა ვინ იყო"**[1].

„პავლესი, ბილოსის, თეონას, ირონისა და მათი მეგობრების მარტვილობაში" ვკითხულობთ: **„ჰ უფალო იესუ ქრისტე, ვითარცა იგი შეეწიე წმიდათა მათ სამთა ყრმათა საჴუმილსა მას ცეცხლისასა, ეგრეთვე შეგვეწიენ ჩუენ ცოდვილთა"**[2].

ზემოდამოწმებულ პატერიკულ კრებულსა და ორ კიმენურ რედაქციაში განხილულია ორი ბიბლიური ეპიზოდი: სამი მეგზურის სტუმრობა აბრაამ მამათმთავართან (შდრ. დაბ. 18) და დეირის ველზე ცეცხლის ღუმელში აღმოჩენილი ებრაელი ყრმების – ანანიას, აზარიასა და მისაელის – ისტორია (შდრ. დან. 3). სამივე პატრისტიკული წყარო ერთხმად აღნიშნავს, რომ მითითებული გამოცხადებებისას ძე ღმერთი ეზრახებოდა ხსენებულ ძველაღთქმისეულ მართალთ.

ბაბილონური სახმილისა და მასში გამოცხადებული ღმერთის შესახებ დაკონკრეტებული ცნობები გვხვდება ოქტომბრის მეტაფრასებში. კერძოდ, «წმინდა ხარიტინის წამებაში» ერთგან

---

1 ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, ნაწილი პირველი, კიმენი, ტომი I, იანვრის, თებერვლის, მარტის, აპრილის და მაისის თვეთა ტექსტები, გამოცემა რუსეთის სამეცნიერო აკადემიისა პროფესორ კორნელი კეკელიძის რედაქტორობით, ტფილისი, 1918, „ცხორებაჲ და განგებაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა სჳმონისი საკჳრველთმოქმედისაჲ, რომელი დამკჳდრებულ იყო მთასა საკჳრველსა, სანახებსა ანტიოქისასა და ბრწყინვიდა ვითარცა მთიები თავსა ზედა სუეტისასა", გვ. 229.

2 ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, ნაწილი პირველი, კიმენი, ტომი II, გამოსცა კორნელი კეკელიძემ, თბილისი, 1946 წ., „წამებაჲ კეთილად-მძლეთა წმიდათა მოწამეთაჲ: პავლე, ბილოს, თეონ, ირონ და მოყუასთა მათთაჲ", გვ. 24.

ხსენებული მარტვილის ლოცვაა გადმოცემული: **„უფალო, იესო ქრისტე, შემწეო ძლიერო მოსავთა შენთაო, რომელმან წმიდანი შენნი სამნი ყრმანი შეუწუელად დაიცვენ საჴუმილსა შინა,** შენ აწცა მოვედ ჩემდა და განმაძლიერე სატანჯველთა ამათ შინა შენთჳს მოწევნულთა"[1].

საეკლესიო დოგმატების თანახმად, ერთია მოქმედება ყოვლადწმინდა სამებისა[2], მაგრამ როგორც დამოწმებული

---

1 ოქტომბრის მეტაფრასები, „წამებაჲ წმიდისა მოწამისა ხარიტინისა", გვ. 72.

2 შდრ. „ერთი არსება, ერთი ღმრთეება, ერთი ძალა, ერთი ნებელობა, **ერთი მოქმედება**, ერთი დასაბამი, ერთი ხელმწიფება, ერთი უფლება, ერთი მეუფება სამ სრულ გვამოვნებაში..." (წმინდ იოანე დამასკელი, "გარდამოცემა", გვ. 40-42); კიდევ: „ამგვარი რამ ჩანს, აგრეთვე, მთელ ქმნილებაში, მაგრამ წმინდა, ზეარსი, ყოველთა მიღმიერი და უწვდომელი სამების შესახებ პირიქითაა, ... ვინაიდან ერთია არსება, ერთია კეთილობა, ერთია ძალა, ერთია ნებელობა, **ერთია მოქმედება**, ერთია უფლებრივობა, ერთი და იგივე – ესე იგი, არა სამი მსგავსი ურთიერთში – არამედ ერთი და იგივე მოძრაობა სამი გვამოვნებისა, „რამეთუ თითოეული მათგანი არანაკლებ ერთია მეორის მიმართ, ვიდრე თავისი თავის მიმართ"" (*Ibid.* გვ. 68); კიდევ: „არც ჩვენებრ ადგილით დაშორებულობა შეგვიძლია ვთქვათ გარეშეუწერელი ღმერთეების შესახებ, ... **არცთუ განსხვავებულობა** ნებისა ან განზრახულებისა **ან მოქმედებისა** ან ძალისა ანთუ სხვა რამ ამგვარისა, რაც კი საქმითსა და მთლიან გამიჯნულობას წარმოშობს ჩვენს შორის" (*Ibid.* გვ. 70); კიდევ: **„ხოლო ჟეშმარიტი სიტყვა გვასწავლის, რომ მარტივია ღვთაება და აქვს მას ერთი მარტივი მოქმედება"** (*Ibid.* გვ. 82); კიდევ: **„ყოვლის უზემოესი ღვთაება ერთ და იმავე დროს სხვადასხვაგვარად მოქმედებს ერთი და მარტივი მოქმედებით"** (*Ibid.* გვ. 106); კიდევ: „ძე მამისგან არის და ყოველივე, რაც აქვს, მისგან აქვს. ამიტომ, არ შეუძლია თავისი თავისგან ქმნას რამე, რადგან **არ აქვს მას მამისგან განსხვავებული საკუთარი მოქმედება"** (*Ibid.* გვ. 110); კიდევ: **„საღვთო ელვარება და მოქმედება ერთია, მარტივია და დაუნაწილებელი"** (*Ibid.* გვ. 116); კიდევ: „ერთია

წყარო ცხადყოფს, ცეცხლის ღუმელში აღმოჩენილი იუდეველი მოზარდების შემწევნელად არა ზოგადად სამჰიპოსტასოვანი ღმერთი სახელდება, არამედ – საკუთრივ ძე (შდრ. „**უფალო, იესო ქრისტე, ... რომელმან წმიდანი შენნი სამნი ყრმანი შეუწუელად დაიცვენ**"), რითაც მინიშნებულია, რომ სახმილში გამოჩენილი მეოთხე "უცნობი" (შდრ. დან. 3) სამების მეორე პირი – ძე ღმერთია (აღნიშნულის შესახებ მრავალი მითითება გვხვდება ჰიმნოგრაფიულ წყაროებში, რომლებიც ქვემოთ ვრცლად იქნება წარმოდგენილი).

ამჯერად შატბერდის კრებულში დაცული წმინდა იპოლიტე რომაელის ორი შრომის შესაბამის ადგილებს მოვიხმობთ, რომლებშიც ზემოდასახელებული საკითხი მრავალგზის არის კომენტირებული. პირველის სათაურია: „იპოლიტეს განმარტებაჲ კურთხევათა მათთჳს მოსესთა ათორმეტთა მიმართ ნათესავთა" (**ვინაიდან მსგავსი შინაარსის ციტატები დასახელებულ განმარტებაში მრავლად გვხვდება, თავდაპირველად ყველა მათგანის ჩამონათვალს წარმოვადგენთ და ბოლოში შემაჯამებელ განხილვას დავურთავთ): „რამეთუ მოსე-ცა წინაჲსწარ მისცა მამათა მათთა შჯული იგი, რომელ მოელო ძისაგან"**[1].

კიდევ: „აწ რომელმან მოსეს მიერ განაწესა ძველი, იგივე გჳჩუენებს ახალსა მას, რამეთუ იგი მხოლოჲ მხოლო ღმერთ, რომელ მათ მიერ იქადაგა, გამოუჩინებელ რწმუნებულ. და იგი მხოლოჲ ძჲ ღმრთისაჲ, რომელი სოფელსა გამოუჩნდა, რაჲთა ჰრწმენეს, ვითარცა იერემიაჲს მიერ იტყჳს: „და იყოს მათ დღეთა შინა – იტყჳს უფალი – დავდვა სახლსა მას ზედა დავითისსა და სახლსა იუდაჲსსა

სამივე ჰიპოსტასისგან (გვამოვნებისგან) ნებებულიც და **ერთია მათი მოძრაობაც**" (*Ibid.* გვ. 258); კიდევ: „**ერთი და ივივეა (ანუ იგივეა და არა მსგავსი) მამის, ძის და წმინდა სულის ნებელობა, მოქმედება და ძალა**" (*Ibid.* გვ. 638).

1 შატბერდის კრებული, „იპოლიტეს განმარტებაჲ კურთხევათა მათთჳს მოსესთა ათორმეტთა მიმართ ნათესავთა", გვ. 206.

აღთქუმაჲ ახალი, არა ეგრე, ვითარ-იგი აღუთქუ მამათა მათთა მთასა მას ქორებს“ (იერემ. 31. 31-32). **ან ძისა ღმრთისაჲ, რომელი ყოვლისა შუვამდგომელ ყოფილ ღმრთისა და კაცთა, ღრუბლით გამო პირველ, ვითარცა სარკითა, მთასა მას მოსეს ეჩუენა"** (*Ibid.* გვ. 206).

კიდევ: „ან ვინ-მე არს უფალი იგი, რომელი ეტყოდა მოსეს, არამედ ძჱ, ანუ ვისსა შჯულსა ამცნებდა, არამედ მამისასა“ (*Ibid.* გვ. 206).

კიდევ: „რაჟამს საყუარელი იგი ძჱ ღმრთისაჲ ზეცით დიდებით მოსეთურთ გამოჩნდეს და რომელი-იგი მის მიერ იქადაგა, ყოველთა განცხადებულად ეჩუენოს, რომელ-იგი მაშინ მოსეს მთასა მას შინა ეტყოდა და არა ვის ჰრწმენა“ (*Ibid.* გვ. 206).

კიდევ: „ან ვინ არს, რომელი-იგი ეჩუენა მოსეს მაყულოვანსა მას? არამედ იგი, რომელ-იგი ან სოფლად მოსრულ“ (*Ibid.* გვ. 215)[1].

დამოწმებული ციტატები მოსესთან დაკავშირებულ ორ მოვლენას ეხმიანება: შეუწველ მაყვალს და სინაის მთის გამოცხადებას. წმინდა იპოლიტეს თანახმად, ორივე შემთხვევაში წინასწარმეტყველი ძე ღმერთის გამოცხადების მხილველი ხდება.

შატბერდის კრებულში დაცულ წმინდა იპოლიტე რომაელის მეორე შრომაში სახელწოდებით „თქუმული წიგნთაგან წმიდათა ქრისტესთჳს და ანტექრისტესთჳს"[2] ვკითხულობთ: **„ვითარცა-იგი რომელ წინა-ვე ნეტართა მათ წინაჲსწარმეტყველთა გამოეცხადა ღმრთისა იგი სიტყუაჲ, რომელი იგი დასაბამითგან სიტყუაჲ იყო, ხოლო ან ჩუენთჳს კაცად-**

---

1 იმავე ბიბლიური ეპიზოდის ანალოგიურ განმარტებას გვთავაზობს ერთ-ერთი ლიტურგიკული საკითხავი: **„შენ, რომელი გამოშჩნდი ცეცხლად მაყულოვანსა შინა და მით გამოჰსახე შობაჲ შენი ქალწულისაგან, ჯურთხეულ ხარ შენ, უფალო, საუკუნითგან უკუნისამდე"** (ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, გვ. 52).

2 იხ. შატბერდის კრებული, გვ. 268-292.

ცა ქუეყანასა ზედა გამოჩნდა, გამოგიცხადებს შენ ამას, რომლისა მის მიერ ლოცვის-ყოფითა წარწევნად წადიერ ვართ გამოძიებად" (*Ibid.* გვ. 270).

როგორც ვხედავთ, აზრი სრულიად გარკვევითაა გადმოცემული: წმინდა იპოლიტეს თანახმად, ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებს ყოვლადწმინდა საკუთრივ სამების მეორე ჰიპოსტასი, ძე ღმერთი ეზრახებოდა.

ანალოგიურს განაჩინებს «მცირე სჯულისკანონის» ბოლოს დართული "მართლმადიდებლობის სინოდიკონი", რომელშიც ვკითხულობთ: **„რომელნი გულისჴმა-ჰყოფენ, ვითარ-იგი თქუა მოსე შჯულისმდებელმან, ვითარმედ: „ეკრძალენით თავთა თჳსთა, რამეთუ დღესა მას, რომელსა იტყოდა უფალი ღმერთი ქორებს მთასა ზედა, ჰმაჲ სიტყუათა მისთაჲ გესმა თქუენ, ხოლო მსგავსებაჲ არა იხილეთ“**. და იციან მიგებაჲ მართლად, ვითარმედ: „ჰე, ვიხილეთცა, რამეთუ ჯეშმარიტებადცა ვიხილეთ“. ვითარცა გუასწავა ჩუენ ძემან ქუხილისამან და თქუა: „რომელი იყო პირველითგან, რომელი გუესმა და ვიხილეთ თუალითა ჩუენითა. და ჴელნი ჩუენნი ჰმსახურებდეს სიტყუასა მას ცხორებისასა და ამას ვწამებთ“. და ვითარცა თქუეს სხუათა მოციქულთა, „რომელთა ესე მისთანა ვჴამეთ და ვსჯთო არა ხოლო თუ პირველ ვნებისა, არამედ შემდგომად ვნებისაცა და აღდგომისა“. აწ უკუე რომელნი შემძლებელ არიან მადლითა ღმრთისათა განყოფად სიტყუასა მას შჯულისასა და მოძღურებასა მოციქულთასა და **თუ რომელი-იგი იყო მუნ უხილავ და აქა თუალითა იხილვა და ჴელითა იმსახურა, და ამისთჳს თუალით ხილულსა მას და ჴელით მსახურებულსა გამოსახტვენ და ხატსა მისსა თაყუანის-სცემენ**, საუკუნომცა არს საჴსენებელი და კურთხევაჲ მათი"[1].

ეს სწავლება აურაცხელი რაოდენობით ვლინდება ჰაგიოგრაფიულ-ჰიმნოგრაფიულ ძეგლებში, რომლებსაც აღარ დავიმოწმებთ.

---

1 მცირე სჯულისკანონი, გვ. 129.

ამდენად, უკლებლივ ყველა წყარო ერთხმად განაჩინებს, რომ ძველი აღთქმის ეპოქაში აღსრულებული გამოცხადებებისას მართალ ადამიანებს ყოვლადწმინდა სამების მეორე პირი, ძე ღმერთი წარმოუჩნდებოდათ.

ზემოთქმულთან კავშირში გავიხსენოთ ურყევი საეკლესიო რჯულდება იმის შესახებ, რომ ყოვლითურთ განუჭვრეტელია და უწვდენელია საღვთო **ბუნება და არსება.** წმ. იოანე დამასკელი მკაფიოდ განაჩინებს:

„ამრიგად, ის, რომ არის ღმერთი, ცხადია, ხოლო **თუ რა არის იგი არსებითა და ბუნებით, ეს სრულიად მიუწვდომელია და უცოდნელი**".

კიდევ: „**შეუძლებელია ღმერთზე იმის თქმა, თუ რა არის იგი არსებით**" (*Ibid.* გვ. 26).

კიდევ: „ამრიგად, უსასრულოა და **მიუწვდომელია ღვთაება და მხოლოდ ეს არის საწვდომი მასში – უსასრულობა და მიუწვდომლობა**" (*Ibid.* გვ. 26).

კიდევ: „**ის, რომ არის ღმერთი და რომ მიუწვდომელია მისი არსება, საკმარისად დასაბუთდა**" (*Ibid.* გვ. 26).

უნდა აღინიშნოს, რომ, ეკლესიის მამათა სწავლების თანახმად, არა მხოლოდ საღმრთო ბუნებაა ყოვლითურთ განუჭვრეტელი და შეუცნობელი, არამედ მსგავსადვე, სრულიად უწვდენელია და უცოდნელია ქმნილებათაგან **საკუთრივ ჰიპოსტასურადაც** მამა, ძე და სულიწმინდა, რადგან თითოეული მათგანი (მამის, ძის და სულიწმინდის გვამოვნებანი) ყოვლადსრულად ფლობს წმინდა სამების ბუნებასა და არსებას.

«დოგმატიკონი» განაწესებს:

„... **სრულად ღმერთად თითოეული გუამი კეთილად ქადაგეს მამათა, რაჲთა იყოს ღმერთი და ღმერთი და ღმერთი; გარნა არა სამნი ღმერთნი, არამედ ერთი, ღმრთისმეტყველისა გრიგოლისებრ**"[1].

---

1 ანტინესტორიანული ტრაქტატები არსენ ვაჩეს ძის „დოგმატიკონში", ქართული თარგმანების ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და ლექსიკონები დაურთო ა. ჩანტლაძემ, თბილისი, 1997, გვ. 136.

წარმოდგენილი დოგმატური განჩინების მიხედვით, სრულ (და არა ნაწილედ) ღმერთად ითქმის თითოეული პირი ყოვლადწმინდა სამებისა. ამიტომაც, შეუცნობელნი და განუჭვრეტელნი არიან ისინი (საღმრთო გვამოვნებანი) როგორც ბუნებით, ასევე ჰიპოსტასურადაც.

წმინდა იოანე დამასკელი: „მაგრამ თუ რა არის არსება ღვთისა, ან როგორ არის ის ყოველივეში, ან როგორაა შობილი ანთუ გამომავალი ღმერთისაგან ღმერთი, ... ამათ შესახებ უმეცარნიც ვართ და არც თქმა ძალგვიძს"[1].

წმინდა მაქსიმე აღმსარებელი: „მხოლოდ მოქმედებებიდან შეიცნობა იგი რამდენადმე, ხოლო მის შესახებ *არსობრივი* და ჰიპოსტასური ცოდნა ყველასთვის ერთნაირად მიუშვალია, ანგელოზებისთვისაც და ადამიანებისთვისაც, რადგან ვერავისგან ვერ შეიცნობა იგი ვერანაირად"[2].

ზემოთქმული ასეთ კითხვას წამოჭრის:

თუკი საღვთო არსება და საღვთო ჰიპოსტასები ერთნაირად მიუწვდომელნი არიან, მაშ, როგორ უნდა განიმარტოს ძველი აღთქმის წიგნებში მრავლად აღწერილი თეოფანიები, რომელთა საშუალებითაც ძველი აღთქმის წმინდა მოღვაწენი სამყაროს შემოქმედ უზენაესს ჭვრეტდნენ და მის შესახებ მოძღვრებას იმეცნდებდნენ?

ამასთან, ვიცით რა, რომ იმავე ქრისტეშობამდელ ეპოქაში აღსრულებული გამოცხადებებისას, ზემოთქმულისებრ, ყოვლადწმინდა სამების მეორე ჰიპოსტასი განეცხადებოდა მართალ ადამიანებს, ხოლო თავის მხრივ ძე ღმერთი განკაცებამდე (ე. ი. ადამიანური ბუნების შეერთებამდე) ყოვლითურთ

---

1 წმინდ იოანე დამასკელი, "გარდამოცემა", გვ. 14.

2 ჟურნალი „გზა სამეუფო", 1996 წელი N 1(4), წმ. მაქსიმე აღმსარებელი, ჭეშმარიტი ცოდნის შესახებ (გამონაკრები სწავლებანი), ძველი ბერძნულიდან თარგმნა ედიშერ ჭელიძემ, თბილისი, 1996 წ., გვ. 29.

უსხეულო, შეუხებელი, გარეშეუწერელი და უხილავია[1], მაშ, როგორი გამოსახულებით წარმოჩნდებოდა ის ძველაღთქმისეული მოღვაწეების წინაშე?

განხილვას ძვ. წ. აღ-ის მერვე საუკუნის პირველ ნახევარში ასპარეზზე გამოსული თეკოიელი მწყემსის, ამოსის წიგნით დავიწყებთ. ხსნებული მოღვაწე ებრაელთა ერთიანი სამეფოს ორად გაყოფის შემდგომი პერიოდის წინასწარმეტყველია. იგი წარმოშობით იუდეის სამეფოდან იყო, თუმცა უფალმა ისრაელში მიავლინა თანატომელთა შორის საქადაგებლად, რადგან ჩრდილოეთის სახელმწიფოში უმძიმესი ზნეობრივი დაცემულობა სუფევდა. ბასილი დიდის თანახმად, ისრაელის მოსახლეობა ისეთ ცოდვებს აღასრულებდა, რომ მეფეთა წიგნების ავტორები დუმდნენ მათ შესახებ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში შეირყვნებოდა წმინდა წერილი. ქალაქ ბეთილში ჩასული ამოსი უმკაცრესი მამხილებელი შეგონებებით მიმართავდა ადგილობრივებს და ყველა ხერხსა და ღონეს იყენებდა, რომ მდგომარეობის სიმძიმე შეემეცნებინა საზოგადოებას. წიგნი ცხრა თავისგან შედგება და განხილული მთავარი თემების მიხედვით, პირობითად, სამ ნაწილად იყოფა: 1. წინასწარმეტყველება რვა სახელმწიფოს მომავალი ხვედრის შესახებ (თავები: 1, 2); 2. ისრაელის სამეფოში არსებული სოციალური უსამართლობის მხილება (თავები: 3, 4, 5, 6); 3. ამოსისეული ხუთი ხილვა (თავები: 7, 8, 9). ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებო სწორედ წიგნის ბოლო ნაწილია. თეკოიელი მოღვაწე გამოცხადებებს აღგვიწერს, რომელთაგან რიგით მესამე შემდეგს გვაუწყებს: „ესრეთ მიჩუენა მე უფალმან და, აჰა-ესერა, მდგომარჱ ზღუდეთა ზედა ადამანტიანისათა და ჴელსა მისსა – ადამაჲ. და მრქუა მე უფალმან: "რასა ჰხედავ შენ, ამოს?" და ვთქუ: "ადამასა". და თქუა უფალმან: "აჰა-ესერა, მე დავდვა ადამაჲ შორის ერისა ისრაჱლისა"" (ამოს. 7. 7-8). ეკლესიის მოძღვარნი მოხმობილ ბიბლიურ მუხლებში რამდენიმე

1 შდრ. „ამრიგად, ვამბობთ, რომ ღმერთი-სიტყვის ჰიპოსტასი უჟამოდ და მარადიულად წინაარსებობდა როგორც მარტივი, შეუქმნელი, **უსხეულო, უხილავი, შეუხებელი, გარეშეუწერელი...**" (წმინდა იოანე დამასკელი, "გარდამოცემა", გვ. 348-350).

მოვლენაზე ამახვილებენ ყურადღებას და განკაცების საიდუმლოს შესახებ დაფარულად გადმოცემული სწავლების თაობაზე საუბრობენ. საქმე ისაა, რომ იუდეიდან ბეთილში ჩასულმა ამოსმა გამოცხადებაში განჭვრეტილი ღმერთი სხეულებრივი გარეგნობით იხილა, რასაც მისივე სიტყვებში დამოწმებული ზედსართავი სახელი ცხადყოფს: „**მდგომარჱ** (ბერძ. **στηκὼς**) ზღუდეთა ზედა ადამანტიანისათა". ამდენად, რადგან ღმერთი მდგომარე ფორმით განიჭვრიტებოდა, თავისთავად ცხადია, **მას** გარკვეული სხეულებრივი ფორმა უნდა ჰქონოდა (რის გარეშეც შეუძლებელია დგომა).

დამოწმებულ წინადადებაში გაჟღერებულ ზოგად ცნობას, რომელშიც არაფერია მითითებული, თუ როგორი სახით უნდა ენახა ამოსს ღმერთი, წინასწარმეტყველი იქვე აკონკრეტებს და საკითხის ნათელსაყოფად უზენაესის ხელს ახსენებს (შდრ. „**ჰელსა მისსა** – ადამაჲ"), რითაც შესაძლებლობას გვაძლევს შევიმეცნოთ, რომ თეოფანიაში დანახული ღმერთი ადამიანის გარეგნობით წარმოუდგება თეკოიელ მოღვაწეს. თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ, ზემოთქმულისებრ, ძველი აღთქმის წიგნებში აღწერილი ღვთის გამოცხადებანი ყოვლადწმინდა სამების მეორე ჰიპოსტასს უკავშირდება, შეიძლება დავასკვნათ, რომ წინასწარმეტყველმა ადამიანის ხატებით იხილა ძე ღმერთი, რითაც მომავალში განსახორციელებელი იდუმალი მოვლენა ასევე საიდუმლოდ წარმოაჩინა იმის შესახებ, რომ დადგებოდა ჟამი, როდესაც ძვ. წ. აღ-ის მერვე საუკუნეში კაცობრივი გარეგნობით შემეცნებული უფალი (კერძოდ, ძის ჰიპოსტასი) ჭეშმარიტად შეიმოსავდა ადამიანურ ბუნებას და როგორც სრული ღმერთი და სრული კაცი მოევლინებოდა ქვეყნიერებას.

ძვ. წ. აღ-ის მერვე საუკუნის მეორე ნახევარში, განსაკუთრებული მესიანური უწყებების მიზეზით, ეკლესიის მიერ ძველი აღთქმის მახარებლად წოდებული ესაია გამოდის ასპარეზზე. საკუთარი საწინასწარმეტყველო დადგინების შესახებ იგი წიგნის მეექვსე თავში მოგვითხრობს: „და იყო, წელსა მას, რომელსა მოკუდა ოზია მეფჱ, ვიხილე უფალი მჯდომარე საყდართა ზედა მაღალთა და აღმატებულთა, და სავსე იყო

ტაძარი იგი დიდებითა უფლისაჲთა" (ეს. 6.1). აღნიშნული მუხლის კომენტირებისას იოანე ოქროპირი შენიშნავს: წინასწარმეტყველება შემდეგი სიტყვებით იწყება: "მეფე ოზიას სიკვდილის წელს ვიხილე უფალი, მჯდომარე...". ქრისტე კი ბრძანებს: "ღმერთი არასოდეს არავის უნახავს; მხოლოდშობილმა ძემ, მამის წიაღში მყოფმა, გამოაცხადა" *(იოან. **1.18**)*; და კვლავ: "არათუ მამა უნახავს ვინმეს, არამედ ვინც ღვთისგანაა, მან იხილა მამა" *(იოან. **6.46**)*; მოსესაც უთხრა ღმერთმა: "ვერ შეძლებ ჩემი სახის დანახვას, რადგან არ ძალუძს ადამიანს, მიხილოს და ცოცხალი დარჩეს" (გამოს. 33.20). მაშ, რატომ ბრძანებს წინასწარმეტყველი, რომ უფალი განჭვრიტა? "**ვიხილე**", — ბრძანებს, — "**მჯდომარე**". განა ქრისტეს სიტყვის საწინააღმდეგოს ამბობს, არამედ ყოვლითურთ თანხმობაშია **მასთან**. მაცხოვარი ღვთის სრულ შემეცნებაზე საუბარობს, რასაც ვერავინ შეძლებს. არავინ იცის საღვთო ბუნება და არსი, გარდა მხოლოდშობილისა; წინასწარმეტყველი კი ადამიანური შესაძლებლობების ფარგლებში იმეცნებდა საიდუმლოს. მას არ ძალუძდა განეჭვრიტა, თუ ვინაა ღმერთი, არამედ სახეობრივად ხედავდა უფალს, ზეგარდმო იმგვარად დამდაბლებულს, რამდენადაც შემმეცნებლის უძლურებას ძალუძდა ამაღლება. არც ესაიას და არც სხვას ღვთაებრივი ბუნება ჭეშმარიტად რომ არ უხილავს, თავად ნათქვამიდანაც ცნაურდება: "**ვიხილე უფალი მჯდომარე...**", მაგრამ ღმერთისთვის უცხოა "**ჯდომა**", რადგან ეს სხეულებრივი მდგომარეობის წარმოჩენაა. ამასთან, დასძენს, რომ არა მარტო "**მჯდომარე**", არამედ "**საყდარზე მჯდომარე**" იხილა, მაგრამ შემოქმედს არაფერი სჭირდება საყრდენად. განა შესაძლებელია, ყველგანმყოფისა და ყოველივეს აღმავსებელის მიმართ ითქვას ასე, **ვის** "ხელშიც" არიან "კიდენი ქვეყანისანი" *(ფსალ. **94.4**)*? ცხადია, აღნიშნული ხილვა ღმერთის "გარდამოსვლა" იყო... ეცხადებოდა არა ისეთი, როგორიც არის, არამედ იმგვარ ხატებას ღებულობდა, რისი დანახვაც შემმეცნებლებს ძალუძდათ. ამიტომაცაა, რომ ზოგჯერ მჯდომარე, აღჭურვილი, ზოგჯერაც ჭაღარა ან ნელ სიოში, ანდაც ცეცხლში მყოფი გამოუჩნდებოდა იგი, ხან ზურგს უჩვენებდა, ხან ცაში თუ საყდარზე, ანთუ ქერუბიმებზე ამხედრებული

იხილვებოდა... უფალი კაცობრივი შემეცნებისთვის მახასიათებელ ფორმას მიმართავს, რადგან ადამიანებს განეკუთვნება მისი სიტყვები... **"საყდარზე ჯდომა"**, როგორც დავითი ბრძანებს ფსალმუნში, სამსჯავროს მიმანიშნებელია [ფსალ. 9.5]: "**რადგან აღასრულე ჩემი სამართალი და მსჯავრი ჩემი, საყდარზე დაჯექი, სიმართლის მსაჯულო**"[1].

წმინდა იოანე ოქროპირის ზემოდამოწმებულ ეგზეგეზისში გარკვევითაა ნათქვამი, რომ ხილვაში საყდარზე დაბრძანებული უფალი (ყოვლადწმინდა სამების მეორე ჰიპოსტასი) სხეულებრივი გამოსახულების მქონეა. აღნიშნულ მოსაზრებას მეტი სიცხადით ნეტარი იერონიმე წარმოაჩენს, რაჟამს ესაიას მიერ განჭვრეტილი ღმერთის გარშემო მდგომი სერაფიმების შესახებ საუბრობს (შდრ. [ეს. 6.2]: „**და სერაბინნი დგეს გარემო მისა; ექუსნი ფრთენი ედგნეს ერთსა და ექუსნი ერთსა; და ორითა იფარვიდეს პირთა მათთა და ორითა იფარვიდეს ფერჯთა მათთა და ორითა ფრინვიდეს**"). სტრიდონელი მოძღვრის თანახმად, ებრაული ტექსტის შინაარსი იმდენად რთული გასაგებია, რომ ორმაგი გააზრების შესაძლებლობას იძლევა, რადგან ისეც შეიძლება აღიქვა, რომ სერაფიმები ფრთებით საკუთარ სახესა და ფეხებს მალავდნენ, თუმცა, მეორე მხრივ, იგივე ებრაულენოვანი ციტატა ზეციური ძალების ფრთებით ხილვაში განჭვრეტილი უზენაესის სახისა და ქვედა კიდურების დაფარვას გვამცნობს[2].

იმავე სწავლებას ვხვდებით ორიგენეს ცნობილ შრომაში „საწყისთა შესახებ" (ბერძ. **Περί αρχών**)[3]*. ებრაულ ენაში განსწავლული ალექსანდრიელი ეგზეგეტის თანახმად, სერაფიმები საყდარზე დაბრძანებული ღმერთის სახესა და ქვედა კიდურებს ორ-ორი ფრთით ფარავდნენ (შდრ.* **PG. t. 11; col. 400)***. შესაბამისად, თეოფანიაში დანახული უზენაესი ადამიანის გარეგნობით გამოუჩნდა წინასწარმეტყველს.*

---

1 შდრ. **PG. t. 56. col. 67-76.**

2 შდრ. **Творения блаженного Иеронима Стридонского, часть 7, Киев, 1882, ст. 110.**

3 იხ. **PG. t. 11, col. 115-414.**

ანალოგიურ სწავლებას გადმოგვცემს უძველესი ლიტურგიკული საკითხავები: „ჩუენებით **ესაია იხილა რაჲ უფალი, საყდართა მჯდომარე და გარე-შეცვული ანგელოზთა მიერ, ღაღად-ყო:** ჳ, ვაჲ უბადრუკსა, რამეთუ **ვიხილე ღმერთი ჯორცითა**, ნათელი ბრწყინვალე და მთავარი მშჯდობისაჲ"[1]. თუკი ესაიას უწყებას საყდარზე სხეულებრივად მჯდომარე უფლის შესახებ ნეტარი იერონიმეს ზემოდამოწმებული მოსაზრებაც შეემატება, რომ ზეციური ძალები, შესაძლოა, ყოვლისმპყრობელის **კიდურებს** დიდი მოწიწებით მიეახლებიან, ამასთან, წმინდა ანასტასი სინელის საყურადღებო სწავლებასაც გავითვალისწინებთ, რომლის თანახმად „... **ესაია სახესა შინა და შესახედავსა სახოვნებითსა კაცობრივისა პირისასა ჩუენებით იხილა უფალი**, მჯდომარე საყდართა ზედა მაღალთა და აღმატებულთა"[2] და, იმავდროულად, ხსენებულ ბიბლიურ აღწერილობასთან დაკავშირებით ღირსი ექვთიმე ათონელის მიერ გამოთქმულ განმარტებასაც გავითვალისწინებთ, რომ „**ესაია სახითა კაცობრივისა პირისაჲთა იხილა უფალი, მჯდომარე საყდართა ზედა მაღალთა**"[3],

ცხადი ხდება, როგორი გამოსახულებით შეიმეცნა იუდეველმა წინასწარმეტყველმა ღმერთი (ყოვლადწმინდა სამების მეორე პირი). შესაბამისად, მსგავსად ამოსის წიგნისა, მოცემულ შემთხვევაშიც

---

1 ნევმირებული ძლისპირნი, გვ. 283. შევნიშნავთ, რომ იდენტური შინაარსის საკითხავი გვხვდება სხვა ჰიმნოგრაფიულ კრებულში: „ჩუენებით ესაია იხილა რაჲ უფალი, საყდართა მჯდომარე და გარე-შეცვული ანგელოზთა მიერ, ღაღატ-ყო: ჳ, ვაჲ უბადრუკსა, რამეთუ **ვიხილე ღმერთი ჯორცითა**, ნათელი ბრწყინვალე და მთავარი მშჯდობისაჲ" (ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, გვ. 9-11).

2 დოგმატიკონი I, ანასტასი სინელი, „წინამძღუარი", გვ. 162.

3 წმინდა ექვთიმე ათონელის „წინამძღუარი", გვ. 255. საგანგებოდ აღვნიშნავთ, რომ ღირსი ათონელი მამის მითითებული კომპილაციური შრომიდან დამოწმებული ციტატის პირველწყარო წმინდა ანასტასი სინელია, კერძოდ კი მისი ზემომოხმობილი წინადადება, რომლის ციტირება-პერიფრაზია „წინამძღუარში" გაჟღერებული ექვთიმესეული კომენტარი.

იმავე ვითარებასთან გვაქვს საქმე: ღვთისგამომეტყველი მოღვაწე მოძღვრების გადმოსაცემად წმინდა წერილისთვის დამახასიათებელ იდუმალ ენას მიმართავს და ჭვრეტს კაცებას იმისას, ვინც შვიდი საუკუნის შემდეგ ადამიანური ბუნებით მოევლინება სამყაროს. აღნიშნულის ჭეშმარიტებას ესაიას წინასწარმეტყველებათა სიმრავლეც ცხადყოფს, რომლებშიც ქალწულისაგან ძის შობა (ეს. **7.14)**, მესიის მიერ აღსრულებული სოტერიოლოგიური ღვაწლი (ეს. **8. 1-4)**, განკაცებული ღმერთის სახელთა ჩამონათვალი (ეს. **9. 6-7)**, საკუთრივ ჯვარზე განცდილი ვნებანი (ეს. **53)** და მრავალი სხვა სწავლებაა წარმოდგენილი.

ძვ. წ. აღ-ის **627** წელს უფალმა რჩეული ერის წიაღიდან ახალი მქადაგებელი გამოიხმო, რომელსაც სახელად იერემია ჰქვია. „**მოტირალი წინასწარმეტყველი**" – ასე მოიხსენიებენ მას განმმარტებლები, რადგან საკუთარი ხალხისა და სამშობლოს უახლოესი ტრაგიკული ბედის სულიერად განმჭვრეტი ანათოთელი მოღვაწე საზოგადოების წინაშე სიტყვების წარმოთქმისას ცხარე ცრემლებით დასტიროდა რჩეული ერის მოსალოდნელ განსაცდელებს. მისი საწინასწარმეტყველო დადგინების შესახებ წიგნის პირველი თავიდან ვიგებთ. როდესაც ღმერთმა თანატომელთა შორის საქადაგებლად მოუხმო მას, იერემიამ ასე მიუგო: „... უფალო, აჰა-ესერა, არა ვიცი სიტყუაჲ, რამეთუ ყრმა ვარი მე" (იერემ. **1.6)**. ყოველივეს გულთამხილავი მყისვე საკუთარი განგებულების გარდაუვალობაში დაარწმუნებს წინასწარმეტყველს, რის შემდეგაც იერემია ჩვენთვის საყურადღებო აღწერილობას გვთავაზობს: „და მოყო უფალმან **ჯელი მისი** ჩემდა და შემახო პირსა ჩემსა და მრქუა მე უფალმან: აჰა-ესერა, მიგცენ სიტყუანი ჩემნი პირსა შინა შენსა" (იერემ. **1.9)**.

კვლავ ამოსისა თუ ესაიას წიგნში აღწერილი მოვლენების მსგავს შემთხვევებთან გვაქვს საქმე: ხილვაში განჭვრეტილი ღმერთი წინასწარმეტყველს ბაგეებზე ხელით ეხება (შდრ. „**მოყო** უფალმან **ჯელი მისი** ჩემდა და შემახო პირსა ჩემსა"), რითაც მომავლის შესახებ მოძღვრებას გააცხადებს, რომ ანათოთელი მოღვაწის მიერ მოხილული თეოფანია (ღვთის გამოცხადება) განკაცებასთან დაკავშირებულ ღრმა მესიანურ უწყებას მოიცავს.

სანამ მორიგი საკითხის განხილვაზე გადავალთ, შევნიშნავთ, რომ სოტერიოლოგიური საიდუმლოს მოახლოების კვალდაკვალ, ზეგარდამო ხმობილი მოღვაწენი მეტი სიცხადით საუბრობენ მომავალის შესახებ და წინარე ეპოქაში დაფარულ სწავლებას განსაკუთრებულ გამომსახველობას სძენენ, რითაც განკაცების იდუმალებას წარმოაჩენენ.

ძვ. წ. აღ-ის **597** წელს ნაბუქოდონოსორმა ათი ათას იუდეველთან ერთად ბაბილონში ოცდახუთი წლის ეზეკიელიც გადაასახლა. საკუთარი ხალხისა და სამშობლოს მიმართ ტრფიალით აღსავსე ახალგაზრდა ტყვე ლტოლვილობის მეხუთე წელს მდინარე ქობარის სანაპიროსთან განმარტოვდა და უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩენილი თანატომელების წარსულზე, აწმყოსა თუ მომავალზე ფიქრობდა. უპირველესად შევნიშნავთ, რომ ეზეკიელის წიგნში აღწერილი საღვთო გამოცხადება ყველა დანარჩენი ბიბლიური თეოფანიისაგან მოვლენათა ხანგრძლივობით დიდად განსხვავდება, რადგან ღვთის გამოჩინების შესახებ თხრობას პირველი სამი თავი ეთმობა. ამასთან, ყოველივე ნანახი ისეთი ღრმა მისტიკითა და სიმბოლიკითაა განმსჭვალული, რომ იუდევლთა შორის არსებული უძველესი ტრადიციის თანახმად, მხოლოდ სრული ასაკის (ოცდაათი წლის) ადამიანს ეძლეოდა ეზეკიელის წიგნის წაკითხვის უფლება.

ქობარის ნაპირას მყოფმა მოღვაწემ უეცრად ჩრდილოეთიდან მოახლოებული გრიგალი, დიდი ღრუბელი და აელვარებული ცეცხლი იხილა, საიდანაც ოთხი უცნაური არსება გადმოვიდა (შდრ. ეზეკ. **1. 1-5**). ისინი ერთურთთან ისე განლაგებულიყვნენ, რომ შუაში გარკვეული სივრცე რჩებოდა. თითოეული მათგანის სხეულზე ოთხი ფრთა იხილვებოდა, რომელთაგან ორით ფრენდნენ, ხოლო დანარჩენი ორით შუაში დარჩენილ ადგილს ჩრდილავდნენ. ამასთან, ქვეყნის ოთხივე მხარეს იმზირებოდნენ, რადგან ყველა მათგანს ოთხ-ოთხი სახე ჰქონდა – ადამიანის, ლომის, ხარისა და არწივის (ხსენებული არსებები ანგელოზები, სახელდობრ, ქერუბიმები არიან). ნანახით შეძრწუნებული ეზეკიელი უეცრად უსხეულო ძალებს შორის დარჩენილი სივრციდან მომდინარე ხმას მოისმენს, რაც ბუნებრივად მიიპყრობს მის ყურადღებას და ამჯერად ხსენებული შიდა სივრცის აღწერილობას გვთავაზობს:

ქერუბიმების მაღლა მყარი (στερέωμα) მდებარეობდა, ხოლო მყარს ზემოთ – საყდრის მსგავსი რამ (შდრ. „მსგავსებაჲ საყდრისაჲ"; *Sept.* ὁμοίωμα θρόνου). თუმცა მოვლენები ამაზე არ შეჩერებულა. უდიდესი იდუმალებით მოცული გამოცხადების მხილველი იუდეველი მოღვაწე მზერას აამაღლებს და ქერუბიმების მიერ ნატვირთ საყდარზე დავანებულ ღმერთს იხილავს, რომლის აღწერილობას ასე წარმოგვიდგენს: „ტახტის მსგავსზე, ზემოთ – მსგავსება, **როგორც ხატი კაცისა**" (შდრ. ძვ. ქართ. [ეზეკ. 1.26]: „და მსგავსებასა მას ზედა საყდრისასა მსგავსებაჲ **ხატისა კაცისაჲ** ზედა-კერძოსა მას"; *Sept.* καὶ ἐπὶ τοῦ ὁμοιώματος τοῦ θρόνου ὁμοίωμα **ὡς εἶδος ἀνθρώπου** ἄνωθεν).

საყურადღებოა, რომ ეზეკიელის მიერ აღწერილი თეოფანია ამოსის, ესაიასა და იერემიას ზემოდამოწმებული ხილვებისგან არსებითად არ განსხვავდება, მაგრამ მეტ კონკრეტიკასა და დაზუსტებულ ცნობებს გვთავაზობს: ქობარის ნაპირზე მყოფი წინასწარმეტყველი გამოცხადებაში სხეულებრივად ნანახ ღმერთზე დაუფარვად საუბრობდა, რომ მან უზენაესი იხილა, „როგორც **ხატი კაცისა**", რითაც უწინარეს ეპოქაში გამოხსნის შესახებ არაერთგზის ნათქვამ წინასწარმეტყველებას საფარველი დიდი სიფრთხილით შემოაძარცვა, რადგან უგულისხმოთა გაღიზიანების თავიდან ასარიდებლად ბოლომდე არც ის უთქვამს, რომ ღმერთს უპირობოდ ადამიანად ჭვრეტდა, თუმცა არც ამის გარეშე დაუტევა მარადიული სიცოცხლის მაძიებელი გონიერი საზოგადოება, რაჟამს სამერმისოთა ცოდნით ზეგარდამო გამდიდრებულმა ბრძანა, ვნახეო „**მსგავსება, როგორც ხატი კაცისა**".

დამოწმებული მსჯელობის დასტურად ჰაგიოგრაფიული შრომების შემომკრებ უძველეს კიმენურ რედაქციაში დაცულ ერთ-ერთ სწავლებას მოვიხმობთ, რომელშიც ეზეკიელის მიერ განჭვრეტილი თეოფანია ზემოთ წარმოდგენილი განხილვის იდენტურ მოძღვრებას გადმოგვცემს:

„სადა დადგეს ბუნებაჲ, რაჲთამცა გპოვო მუნ? ანუ რომელი გზაჲ წარვლოს, რაჲთამცა გეწიე? სადა უკუე საპოვნელ ხარ შენ? ეტლთა ზედა-მეა ქერობინთასა? ანუ ... ღმრთისა მამისა თანა წიაღთა უკუე მამულთა, ვინაჲ

იგი განუშორებელ ხარ? ანუ ქუეყანასა იუდაჲსა? ... შენ, კაცობრივ, ძეო ღმრთისაო, საყდართა ზედა ეტლისთუალედთა წინაჲსწარმეტყუელისა მიერ ხილულთა **ოთხ[ხ]ატ̃ედთა**? ანუ საშოსა შინა ასულისა ადამ დაშჯილისასა? ფრთეთა ზედა ქერობინთასა ამაღლებული გიცნაა შენ?"[1].

წარმოდგენილი ჰაგიოგრაფიული შრომის ავტორი ჩვენთვის საყურადღებო ორივე მოვლენის ეგზეგეზისს გვთავაზობს. კერძოდ, ერთი მხრივ, ზემოხსენებულ საკითხს ეხმიანება და გვამცნობს, რომ წინასწარმეტყველი ეზეკიელი **ოთხხატ̃ედ**[2] ქერუბიმებზე ამხედრებულ უზენაესს ჭვრეტდა და იქვეა დაკონკრეტებული: **ის ძე ღმერთი იყო** (შდრ. **„სადა უკუე საპოვნელ ხარ შენ, ... ძეო ღმრთისაო, საყდართა ზედა ეტლისთუალედთა წინაჲსწარმეტყუელისა მიერ ხილულთა ოთხ[ხ]ატ̃ედთა?“**). მეორე მხრივ კი, განმარტებულია, რომ მდინარე ქობარის სანაპიროზე აღსრულებული თეოფანიისას ყოვლადწმინდა სამების მეორე ჰიპოსტასი ადამიანური გარეგნობით განეცხადებოდა იუდეველ მოღვაწეს (შდრ. **„შენ, კაცობრივ, ძეო ღმრთისაო, საყდართა ზედა ეტლისთუალედთა წინაჲსწარმეტყუელისა მიერ ხილულთა ოთხ[ხ]ატ̃ედთა ... გიცნაა შენ**[3]**?"**).

---

1 კიმენი, ტომი I, გვ. 175.

2 მითითებული ტერმინი ანგელოზთა ერთ-ერთი დასის — **ქერუბიმების** აღმნიშვნელია, რაც თანხვდება ეზეკიელის წიგნში აღწერილს, თუ როგორ გამოეცხადა მდინარე ქობარის სანაპიროზე მყოფ იუდეველ მოღვაწეს უფალი, რომელიც ანგელოზთა (საკუთრივ ქერუბიმთა) შორის ამაღლებულ საყდარზე იყო დავანებული. სწორედ ხსენებული ქერუბიმების აღწერილობას უკავშირდება ზემომოხმობილი ტერმინის წარმომავლობა, რადგან თეოფანიისას განჭვრეტილ თითოეულ უსხეულო ძალას, ეზეკიელ წინასწარმეტყველის თანახმად, ოთხი სახე ჰქონდა: **ადამიანის, ხარის, ლომისა და არწივის** (შდრ. ეზეკ. **1**). აღნიშნულ სახეებს, **ე. ი. ოთხი ხატით წარმოჩენილ ზეციურ ქმნილებებს (ქერუბიმებს), „ოთხხატ̃ედი“** ეწოდა.

3 აღნიშნული აღწერილობა (შდრ. **„საყდართა ზედა ეტლისთუალედთა"**) საწინასწარმეტყველო წიგნში გადმოცემულ თეოფანიას

იმავე ეპოქაში ასპარეზზე კიდევ ერთი დიდი წინასწარმეტყველი დანიელი გამოდის, რომლის სამოღვაწეო არეალი, მსგავსად ეზეკიელისა, ბაბილონის იმპერია, კერძოდ, დედაქალაქი ბაბილონია. ტყვე ებრაელი ყრმის განსაკუთრებულმა სიბრძნემ და გონიერებამ თავად ძლევამოსილი დამპყრობლის, ნაბუქოდონოსორის ყურადღება მიიპყრო, რის შემდეგაც დანიელი ღრმა სიბერემდე აქტიურად მონაწილეობდა ბაბილონელთა სახელმწიფო საქმეების წარმართვაში. მის მიერ დაწერილი წიგნის კანონიკური ნაწილი თორმეტი თავისგან შედგება და არაერთ მესიანური ხასიათის უწყებას გადმოგვცემს. მეშვიდე თავში აღწერილი გამოცხადება ასეა წარმოდგენილი: წინასწარმეტყველმა იხილა ზღვა, საიდანაც

უკავშირდება. კერძოდ, ქერუბიმთა განლაგება, მათ ქვეშ არსებული ბორბლები და ქერუბიმების მაღლა მდებარე საყდრის ეზეკიელისეული აღწერილობა (შდრ. ეზეკ. 1) მკითხველს ეტლს მოაგონებს, რომელიც მასზე დავანებულ უზენაესს ტვირთულობს: „და აღიპყრნეს ქერობინთა მათ ფრთენი მათნი და ეტლისთუალნი იგი (ბორბლები; ი. ო.) მახლობელად მათსა და დიდებაჲ ღმრთისა ისრაჱლისაჲ მათ ზედა, ზედა-კერძო მათსა" (ეზეკ. 11.22); კიდევ: „და გამოვიდა დიდებაჲ უფლისაჲ ტაძრისა მისგან და აღჴდა ზედა ქერობინთა მათ. და აღიმაღლნეს ქერობინთა მათ ფრთენი მათნი და აღმაღლდეს ქუეყანით წინაშე ჩემსა გამოსლვასა მას მათსა და ეტლისთუალნი იგი მახლობელად მათსა დადგეს წინაშე კარსესა მას ბჭისა მის სახლისა უფლისასა წინაშესა; და დიდებაჲ იგი ღმრთისა ისრაჱლისაჲ იყო მათ ზედა, ზედა-კერძო" (ეზეკ. 10. 18-19). საგულისხმოა, რომ წმინდა მაკარი მეგვიპტელის სწავლებებში ხსენებული უსხეულო ძალები **ეტლად** არიან სახელდებულნი. დავიმოწმებთ შესაბამის ადგილებს: „ნეტარმან წინაწარმეტყუელმან ეზეკიელ იხილა ჩუენებაჲ და ხილვაჲ საღმრთოჲ დიდებული და დაწერა ხილვაჲ საესჱ საიდუმლოჲთა, რამეთუ იხილა მან ვაკესა მას შინა, მდინარესა მას ზედა ქობრსა, **ეტლი ქერობინთაჲ...**" (ფსევდომაკარის თხზულებათა ქართული ვერსია, გვ. 269); კიდევ: „ხოლო ოთხნი იგი ცხოველნი, რომელთა ეტვირთნა **ეტლი იგი**, სახე არიან ოთხთა მათ მთავართა გულისსიტყუათა სულისათა" (*Ibid.* გვ. 270); კიდევ: „ხოლო სხუად სახედცა გულისჴმა-იყოფების **ეტლი იგი ქერუბინთაჲ...**" (*Ibid.* გვ. 271); კიდევ: „ხოლო იტჴრთვის ზედამჴდომარჱ იგი (ე. ი. ღმერთი; ი. ო.) **ეტლისა მის მიერ...**" (*Ibid.* გვ. 271).

ერთმანეთის თანმიმდევრობით ოთხი ცხოველი ამოვიდა. პირველი ლომს ჰგავდა და ორბის ფრთები ჰქონდა. მეორე დათვის გარეგნობის იყო. მესამე – ვეფხვის მსგავსი, ოთხი ფრთითა და ოთხი თავით (შდრ. დან. **7. 1-6**). ამის შემდეგ მეოთხე არსება გამოჩნდა, რომელიც ვერაფერს მიამსგავსა დანიელმა. ცხოველის თავზე ათი რქა ჩანდა. მოგვიანებით ერთი მომცრო რქა ამოიზარდა, რომელმაც სამი რქა ამოაგდო. პატარა რქას თვალები და ამპარტავნულად მეტყველი ბაგეები ჰქონდა (შდრ. დან. **7. 7-8**). დანიელმა იხილა, რომ ზეცაში საყდარი დაიდგა, რომელზეც ძველი დღეთა (შდრ. **„ძუელი იგი დღეთაჲ"**; *Sept.* **παλαιὸς ἡμερῶν**) დაბრძანდა. მისი სამოსი თოვლივით თეთრი იყო, თმები – სპეტაკი, საყდარი – ცეცხლის ალის, საყდრის ბორბლები – ასევე ცეცხლის. დღეებით ძველს ანგელოზთა სიმრავლე ემსახურებოდა (შდრ. [დან. **7.10**]: **„ათასნი ათასთანი ჰმსახურებდეს მას და ბევრნი ბევრთანი დგეს წინაშე მისსა"**), ხოლო მის წინ უზარმაზარი ცეცხლოვანი მდინარე მიედინებოდა. მეოთხე ცხოველი, რომლის თავზე რქები იყო ამოზრდილი, მოიკლა, ხოლო მისი სხეული ცეცხლის მდინარეში ჩააგდეს. ამასთან, ცის ღრუბლებზე გამოჩნდა იდუმალებით მოცული ცოცხალი არსება. მისი გარეგნობა იყო, როგორც ძე კაცისა (შდრ. [დან. **7.13**]: **„აჰა, ღრუბელთა თანა ცისათა, ვითარცა ძე კაცისა მომავალი"**; *Sept.* ἰδοὺ μετὰ τῶν νεφελῶν τοῦ οὐρανοῦ **ὡς υἱὸς ἀνθρώπου** ἐρχόμενος ἦν). დღეებით ძველთან მივიდა იგი და ხელმწიფება, დიდება და ძალაუფლება მიიღო მისგან და ყველა სამეფო, ტომი თუ ხალხი დაექვემდებარა, ხოლო თავად მისი სამეფო საუკუნო ძლიერებამ განმსჭვალა.

დანიელის მიერ ნანახი გამოცხადების ბოლო ნაწილი აპოკალიპტური შინაარსისაა და ყოველი სიტყვის გასააზრებლად შესაბამისი საეკლესიო განმარტებების შესწავლა არის საჭირო, რაც წინამდებარე პუბლიკაციის მიზანდასახულობას ცდება. ამიტომაც მხოლოდ ჩვენთვის მნიშვნელოვანი საკითხით შემოვიფარგლებით. საქმე ისაა, რომ ჭეშმარიტი ღმერთი, ქვეყნიერებაზე ჭეშმარიტ ადამიანად მოვლენილი, ნეტარი თეოდორიტე კვირელის თანახმად, ძველაღთქმისეული უწყებებიდან სწორედ დანიელის წიგნში გაცხადებული სახელით – **„ძე კაცისა" (υἱὸς ἀνθρώπου)** მოიხსენიებს

საკუთარ თავს (იხ. **PG. t. 81; col. 1425 BC**), რადგან თუკი ზემოგანხილულ მესიანურ უწყებებს შევაჯამებთ (ამოსი, ესაია და იერემია ხილვაში ნანახი ღმერთის ადამიანურ გარეგნობაზე ირიბად მიუთითებენ, ეზეკიელი აღნიშნულ საიდუმლოს უფრო ცხადად გამოთქვამს, რაჟამს ამბობს, რომ იხილა „მსგავსება, **როგორც ხატი კაცისა**"), ყველაზე სრულყოფილად განკაცების არსს სწორედ დანიელის წინასწარმეტყველებაში გამოყენებული სინტაგმა დაიტევს, რითაც უცვალებელი საეკლესიო დოგმატია გამოთქმული ყოვლადწმინდა სამების მეორე ჰიპოსტასის – ძე ღვთისას ძე კაცისად მოვლინების თაობაზე.

ამჯერად წინასწარმეტყველთა სამოღვაწეო ეპოქიდან რამდენიმე საუკუნით უკან გადავინაცვლებთ და "შესაქმის" წიგნში მამათმთავარი აბრაამისა და იაკობის შესახებ გადმოცემული თეოფანიების განმარტებას წარმოვადგენთ, რომელიც ეკლესიის დიდი მასწავლებლის, წმინდა იუსტინე ფილოსოფოსის შემოქმედებაშია დაცული. შრომაში სახელწოდებით „**დიალოგი ტრიფონ იუდეველთან**" ვკითხულობთ:

„ვფიქრობ, საჭიროა, მოგიყვანოთ ის სიტყვებიც, რომლებიც მოგვითხრობენ, **თუ როგორ გამოეცხადა იაკობს, რომელიც გაურბოდა ძმას, ესავს, ეს ანგელოზი და ღმერთი და უფალი, რომელიც კაცის სახით (ἐν ἰδέᾳ ἀνδρὸς) აბრაამსაც ეჩვენა და ადამიანის სახით (ἐν ἰδέᾳ ἀνθρώπου) იაკობსაც ებრძოდა**"[1].

დამოწმებული განმარტების თანახმად, აბრაამსა და იაკობს წარმოუჩნდებოდა ადამიანის გარეგნობის მქონე ღმერთი, რომელსაც წმ. იუსტინე სამ ტერმინს განუკუთვნებს: **ანგელოზი, ღმერთი და უფალი**. მიუხედავად იმისა, რომ მოხმობილ ფრაზაში არაა დაკონკრეტებული, ყოვლადწმინდა სამების რომელი ჰიპოსტასი ეცხადება ხსენებულ მამათმთავრებს, აღნიშნულ ბუნდოვანებას იმავე შრომის სხვა ადგილები ცხადყოფს. აი, შესაბამისი ციტატები:

„ჯვლავ მოსეს მიერაა დაწერილი, ძმებო, – განვაგრძობდი მე (წმ. იუსტინე; ი. ო.), – რომ მას, ვინც პატრიარქებს

---

1 წმ. იუსტინე მარტვილის დიალოგი ტრიფონ იუდეველთან, გვ. **93**; შდრ. ბერძ. **PG. t. 6; col. 609 B.**

ეჩვენებოდა და ვისაც ეწოდებოდა ღმერთი, ეწოდება ანგელოზიც და უფალიც, რათა აქედანაც გაგეგოთ, რომ ის ყოველთა მამას ემსახურება" (*Ibid.* გვ. 91);

კიდევ: **„მომეცით საშუალება, – განვაგრძობდი ამის თქმის შემდეგ, – რომ „გამოსვლის" წიგნიდანაც მოგიყვანოთ თქვენ მტკიცებულებები, თუ როგორ გამოჩნდა იგივე ანგელოზი და ღმერთი და უფალი და მამაკაცი (ἀνὴρ) და ადამიანი (ἄνθρώπος), რომელიც აბრაამს და იაკობს გამოეცხადა, ასევე ცეცხლის ალში ბუჩქიდან და მოსეს ესაუბრა"** (*Ibid.* გვ. 94; PG. t. 6; col. 612 A).

წარმოდგენილ განმარტებაში ჩვენთვის საყურადღებო ორი მოვლენაა კომენტირებული. კერძოდ, ერთი მხრივ, წმინდა იუსტინე ზემოხსენებულ საკითხს ეხმიანება და განგვიმარტავს, რომ აბრაამისა და ისააკის მიერ განჭვრეტილს, წმინდა წერილის თანახმად, **ანგელოზი, ღმერთი, უფალი, მამაკაცი და ადამიანი** ეწოდება. მეორე მხრივ კი, მარტვილი მოძღვარი ხაზგასმით მიგვანიშნებს, რომ **ის** არაა **მამის ჰიპოსტასი** (შდრ. **"ის ყოველთა მამას ემსახურება"**)[1]. თუმცა არ აკონკრეტებს, თუ ვინ

---

1 წმინდა იუსტინე ფილოსოფოსი, როგორც მეორე საუკუნეში მოღვაწე აპოლოგეტი მოძღვარი, თავისთავად ცხადია, ვერ ისარგებლებდა მსოფლიო საეკლესიო კრებების განჩინებებითა თუ ტერმინოლოგიით. ხსენებული მიზეზის გამო მის შემოქმედებაში გვხვდება გარკვეული ადგილები, რომლებიც, შესაძლოა, ხარვეზიანად მოეჩვენის მკითხველს, თუმცა მარტვილი მამის შრომათა საფუძვლიანი შესწავლა ცხადყოფს, რომ საკვანძო დოგმატურ საკითხებს მართლმადიდებლური აკრიბიის სრული დაცვით გადმოგვცემს იგი. აღნიშნულის დასტურად ზემომოხმობილ ფრაზას კვლავ დავიმოწმებთ: "ის (ძე; ი. ო.) ყოველთა მამას ემსახურება". წარმოდგენილ წინადადებაში, ერთი შეხედვით, მამისა და ძის ჰიპოსტასები ყოვლითურთ გამიჯნულნი არიან ერთურთისგან და ძე მამის მსახურად არის დასახელებული, თუმცა იმავე შრომაში საგულისხმო განმარტებებია დაცული ხსენებული ორი ჰიპოსტასის ურთიერთიმართების შესახებ, რითაც ცხადად წარმოჩნდება წმ. იუსტინეს დოგმატური რჯულდება (ძის წინასაუკუნოობისა და დაუსაბამობის შესახებ): **„ის არის სამყაროს შექმნამდე არსებული**

მოიაზრება **მასში**. მითითებული ბუნდოვანების ნათელსაყოფად მარტვილი მამის შრომიდან ზემოთ დამოწმებულ ადგილს კვლავ მოვიხმობთ:

„მაშასადამე, თუკი ვიცით, რომ ღმერთი სხვადასხვა სახით ეცხადებოდა აბრაამსაც, იაკობსაც და მოსესაც, რაღა შეგვაცბუნებს და რატომღა არ გვწამს, რომ მას შეეძლო ადამიანად შობილიყო ქალწულისგან, ყოველთა მამის ნების მიხედვით? მით უმეტეს, როცა წმინდა წერილში ისეთი ადგილები გვაქვს, საიდანაც ცხადად ჩანს, რომ ესეც მამის ნების მიხედვით მოხდა" (*Ibid.* გვ. 117).

სრულიად ცხადია, რომ მამათმთავართა მიერ დანახული ღმერთი ყოვლადწმინდა სამების მეორე ჰიპოსტასია, რომელიც ქალწულისაგან უნდა შობილიყო. ამასთანავე, წმინდა ისუტინეს განმარტება, მეორე მხრივ, ზემოგანხილულ უარსებითეს საკითხსაც ეხმიანება და წარმოაჩენს, რომ აბრაამმა და იაკობმა **მამაკაცისა და ადამიანის სახით** იხილეს **ის**.

ანალოგიური შინაარსის განმარტებას იმავე შრომაში წმ. იუსტინე რამდენიმეგზის იმეორებს. წარმოვადგენთ შესაბამის ადგილებს:

„წერილიდან რომც ვერ დამემტკიცებინა თქვენთვის ის, — კვლავ ვუთხარი მე, — რომ ერთი ამ სამთაგან (ე. ი. ძე; ი. ო.) არის ღმერთი და ანგელოზადაც იწოდება, რადგანაც, როგორც ადრე მითქვამს, ყოველთა შემოქმედი ღმერთის (მამის; ი. ო.) ნებას ის (ძე; ი. ო.) იმას აუწყებს, ვისაც სურს; ასეთ შემთხვევაშიც გონივრული იქნებოდა, გცოდნოდათ,

---

ღმერთი" (*Ibid.* გვ. 87); კიდევ (მამისა და ძის ერთნებიანობისა და ჰიპოსტასურად განყოფის შესახებ): **„წერილს დავუბრუნდები და შევეცდები, დაგარწმუნოთ: რომლის შესახებაც ნათქვამია, რომ ის (ძე ღმერთი; ი. ო.) აბრაამს, იაკობს და მოსეს გამოეცხადა, და წერია, რომ ის ღმერთია, არის სხვა, და განსხვავდება ყოველთა შემოქმედი ღმერთისგან** (ე. ი. მამის ჰიპოსტასისაგან; ი. ო.) **რიცხვით** (ე. ი. ჰიპოსტასურად; ი. ო.) **და არა ნებელობით"** (*Ibid.* გვ. 87).

როგორც მთელ თქვენს ერს ეს ესმის, რომ ის მიწაზე ჰაცის სახით (ἐν ἰδέᾳ ἀνδρὸς) მასთან ერთად მყოფი ორი ანგელოზის მსგავსად აბრაამს გამოეცხადა და რომ ის არის სამყაროს შექმნამდე არსებული ღმერთი" (*Ibid.* გვ. 87; ბერძ. PG. t. 6; col. 600 C).

კიდევ: **„თქვენთვის, მეგობრებო, წმინდა წერილიდან სხვა მოწმობასაც მოვუხმობ, – განვაგრძობდი მე, – ღმერთმა ყველა ქმნილებაზე უწინარესად, როგორც დასაბამი, საკუთარი თავისგან შვა გონიერი რამ ძალა, რომელსაც სულიწმინდა ხან უფლის დიდებას, ხან ძეს, ხან სიბრძნეს, ხან ანგელოზს, ხან ღმერთს, ხანაც უფალს და სიტყვას უწოდებს, ხან კი ის თვითონ არქმევს საკუთარ თავს მხედართმთავარს, როდესაც ადამიანური სახით (ἐν ἀνθρώπου μορφῇ) იესო ნავეს ძეს ეცხადება"** (*Ibid.* გვ. 96 [თარგმანი დამოწმებულია მცირედი კორექტირებით]; შდრ. ბერძ. PG. t. 6; col. 613 C).

წარმოდგენილ განხილვაში მარტვილი მოძღვარი მოსე წინასწარმეტყველის მოწაფისა და სულიერი მემკვიდრის, ისო (იესო) ნავეს ძის შესახებ საუბრობს და იხსენებს ბიბლიურ ეპიზოდს, რომელშიც აღწერილია ხსენებული ძველაღთქმისეული მართლის მიერ დანახული **ადამიანის გარეგნობის მქონე** იდუმალი მხედარი[1]. აი, შესაბამისი ადგილი: „და იყო, ვითარ იყო ისო

---

1 წმინდა იუსტინეს შრომაში დაცულია საგულისხმო ცნობა ისო (იესო) ნავეს ძის შესახებ, რომლის სახელის ცვალებადობას ხსენებული მარტვილი მოძღვარი წმინდა წერილის საფუძველზე მიმოიხილავს და საგულისხმო განმარტებას წარმოადგენს: „მის საქმეთა ჩანაწერებში ისიცაა აღწერილი, რომ მან პეტრეს, ერთ-ერთ მოციქულთაგანს, სახელი შეუცვალა, მის შემდეგ კი სხვებს – ორ ძმას, ზებედეს ძეებს, "ბანერგეს" უწოდა, რაც „ქუხილის ძეებს“ ნიშნავს; ეს კი იმაზე მიანიშნებდა, რომ ეს სწორედ ის იყო, ვინც იაკობს სახელად „ისრაელი“ მისცა, **ავსეს (τῷ Αὐσῇ) კი — იესო (Ἰησοῦς) დაარქვა. პატრიარქებისთვის აღთქმულ ქვეყანაში სწორედ ამ სახელის — იესოს მეშვეობით შევიდა ის ხალხი, რომელიც ეგვიპტიდან გამოსულთაგან გადარჩა"** (*Ibid.* გვ. 156; შდრ. ბერძ. PG. t. 6; col. 724 B); კიდევ: „მაგრამ შენ ღვთისმეტყველებ იმაზე, თუ რატომ დაემატა ერთი ასო „ა“ აბრაამის სახელს, და,

იერიქოს, აღიხილნა თუალნი თჳსნი და **იხილა კაცი (ἄνθρωπον) ერთი მდგომარე წინაშე მისსა და მახჳლი ჴდილი ჴელთა შინა მისთა.** და მოვიდა ისო და ჰრქუა

ამის მსგავსად, ხმამაღლა მსჯელობ იმაზე, თუ რატომ დაემატა ერთი „რ“ სარრას სახელს; **მაგრამ რატომ იმავენაირად არ გამოიძიებ იმის მიზეზს, რომ ნავეს ძეს მამისგან მოცემული სახელი "ᲐᲕᲡᲔ" (τῷ Αὐσῆ) "იესოთი" (Ἰησοῦ) შეეცვალა?"** (*Ibid.* გვ. 162; შდრ. ბერძ. PG. t. 6; col. 736 BC); კიდევ: „და როდესაც ასე მოიქცნენ, დეკეულები, რომლებსაც არავინ მართავდა, იმ ადგილას კი არ დაბრუნდნენ, საიდანაც კარავი მოიტაცეს, არამედ ერთი კაცის, **სახელად ავსეს,** მინდორში მივიდნენ. **ᲐᲛ ᲙᲐᲪᲡ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲘᲛ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲨᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲣᲙᲕᲔ ᲘᲗᲥᲕᲐ, ᲘᲔᲡᲝ ᲓᲐᲔᲠᲥᲕᲐ, და ვინც ხალხი [აღთქმულ] მიწაზე შეიყვანა და ის მათ გაუნაწილა.** როცა დეკეულები მინდორზე გავიდნენ, იქვე დარჩნენ. თქვენთვის ამითაც აშკარავდება, რომ ისინი ძლიერი სახელით იმართებოდნენ. **მანამდე კი ეგვიპტიდან გამოსული ხალხის ის ნაწილი, რომელიც გადარჩა, მიწაზე იმან შეიყვანა, ვინც მიიღო სახელი "ᲘᲔᲡᲝ" (Ἰησοῦ), ადრე კი "ᲐᲕᲡᲔ" (Αὐσῆ) ერქვა"** (*Ibid.* გვ. 196; შდრ. ბერძ. PG. t. 6; col. 784 B). ზემოდამოწმებული განხილვისას იუსტინე ფილოსოფოსის პირველწყარო "რიცხვთა" წიგნი, რომელშიც ერთგან ხსენებული მოვლენა ასეა აღწერილი (რიცხვ. 13.17): „ესე არს სახელები კაცთაჲ მათ, რომელნი წარავლინნა მოსე განხილვად ქუეყანისა მის ქანანელთაჲსა და დასდვა **ᲐᲡᲔᲡ, ძესა ნავესსა, სახელი მისი ისუ**"; შდრ. ბერძ. ταῦτα τὰ ὀνόματα τῶν ἀνδρῶν, οὓς ἀπέστειλεν Μωυσῆς κατασκέψασθαι τὴν γῆν. καὶ ἐπωνόμασεν Μωυσῆς τὸν **Αυση υἱὸν Ναυη Ἰησοῦν**. მარტვილი მოძღვარი სახელის ცვალებადობის მიზეზში სულიერ სიმბოლიკას განჭვრეტს, კერძოდ, რჩეული ერის წინამძღოლობა და აღთქმულ მიწაზე შეყვანა საღვთო განგებულებით სწორედ იმ ადამიანს განესაზღვრა, რომელსაც მშობლებისაგან ბოძებული **ავსეს** სანაცვლოდ **იესო** (ძვ. ქართ. „ისუ“) ეწოდა, რაც თავის მხრივ, განკაცებული ღმერთის მიერ აღსრულებული სულიერი ღვაწლის – **ჯოჯოხეთის შემუსრვის, მართალთა სულების აღმოყვანებისა და ცათა სასუფეველში მათი დამკვიდრების წინასახეა.** ზემოხსენებული მოვლენა კი ძველი აღთქმის წიგნებში მრავლად გადმოცემულ მესიანურ წინასწარმეტყველებს შორის ერთ-ერთი გამორჩეულია, რითაც მრავალი საუკუნით უწინარეს იქნა გაცხადებული განკაცებადი (განსაკაცებელი) ღმერთის სახელი **ᲘᲔᲡᲝ.**

მას: „ჩუენი ხარ, ანუ მტერთა ჩუენთაჲ?“ და **მან** ჰრქუა მას: **„მე ვარ ერისთავი ძალისა უფლისაჲ და აწ მოსრულ ვარ“**. და ისო დავარდა პირსა თჳსსა ქუეყანასა ზედა, თაყუანისსცა მას და ჰრქუა: „უფალო, რაჲ უბრძანო შენსა მონასა?“ და ჰრქუა ერისთავმან უფლისამან ისოს: **„განიჴსნენ ჴამლნი შენნი ფერჴთაგან შენთა, რამეთუ ადგილი ეგე, რომელსა შენ სდგა, წმიდა არს“**. და ყო ეგრე ისო" (იეს. ნავ. 5. 1-16)[1].

სწორედ მოხმობილი ბიბლიური მუხლების და მათში ნახსენები მახვილაღმართული უცნობის შესახებ გვაუწყებს წმინდა იუსტინე, რომ **იგი** ყოვლადწინდა სამების მეორე ჰიპოსტასი, განკაცებადი ძე ღმერთი იყო, იესო ნავეს ძის წინაშე **ადამიანის** (ბერძ. **ἄνθρωπος**) სახით გამოცხადებული.

კიდევ: **„მრავალი სიტყვით დამტკიცდა, რომ ქრისტე არის უფალი და ღმერთი, რომელიც არის ღვთის ძე, და უწინ მოსწავებითად ცხადდებოდა როგორც მამაკაცი (ἀνὴρ) და ანგელოზი; ის დიდებით გამოცხადდა ცეცხლში როგორც მაყვლოვანში, ისე სოდომზე აღსრულებული სამსჯავროს დროს"** (*Ibid.* გვ. 184 [თარგმანი დამოწმებულია მცირედი კორექტირებით]; შდრ. ბერძ. **PG. t. 6; col. 773 C**).

სანამ მორიგი წყაროს გაანალიზებას შევუდგებით, წმინდა იუსტინე ფილოსოფოსის ზემოდამოწმებულ სწავლებებს შევაჯამებთ და მეტი თვალსაჩინოებისთვის შესაბამის ციტატებს გამოკრებილი სახით წარმოვადგენთ, რომლებშიც ძველაღთქმისეულ თეოფანიებში განჭვრეტილი ძე ღმერთის გარეგნობა ცხადაა მითითებული:

„მამაკაცის სახით (ἐν ἰδέᾳ ἀνδρὸς) აბრაამსაც ეჩვენა და ადამიანის სახით (ἐν ἰδέᾳ ἀνθρώπου) იაკობსაც ებრძოდა";

---

1 საგულისხმო ეპითეტია განკუთვნილი იესო ნავესისადმი სეპტემბრის მეტაფრასებში დაცულ წმინდა კვირიაკოსის ცხოვრებაში. წარმოვადგენთ შესაბამის ადგილს: **„მთოვარისა და მზისა რაინდად ისო ნავესი დაადგინა [უფალმან]"** (ძველი მეტაფრასული კრებულები, სეპტემბრის საკითხავები, „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ღირსისა მამისა ჩუენისა კჳრიაკოზ განშორებულისაჲ", გვ. 458).

კიდევ: **„ის მიწაზე მამაკაცის სახით (ἐν ἰδέᾳ ἀνδρὸς) ... აბრაამს გამოეცხადა“;**

კიდევ: **„ის ... ადამიანური ხატით (ἐν ἀνθρώπου μορφῇ) იესო ნავეს ძეს ეცხადება“;**

კიდევ: **„ქრისტე არის უფალი და ღმერთი, რომელიც არის ღვთის ძე, და შწინ მოსწავებითად ცხადდებოდა როგორც კაცი (ἀνὴρ)“;**

ანალოგიური შინაარსის სწავლებაა დაცული დიდი საეკლესიო ეგზეგეტის, ექვთიმე ზიგაბენის ფსალმუნთა კომენტარებში. ხსენებული ღირსი მოძღვარი შემდეგ ფსალმუნურ მუხლს განმარტავს: „იყიჟინეთ იაკობის ღმერთისადმი" (ფს. 80.2). აი, შესაბამისი ადგილი: „ყიჟინის შესახებ სხვადასხვა ადგილას ვთქვით, ახლა კი უბრალოდ ვიტყვით: „იყიჟინეთ“, – ნაცვლად სიტყვისა: „გამარჯვების სიმღერა იმღერეთ“. „იაკობის ღმერთი“ კი ითქმის გასახსენებლად, რადგან **ეს განკაცებული ღმერთი (οὗτος ὁ ἐνανθρωπήσας Θεὸς), იგი ეჩვენა ძველად იაკობს ადამიანის სახით (οὗτος ὤφθη ... ἐν ἀνθρώπου σχήματι), მიანიშნა რა თავისი მოგვიანებითი განკაცება"** (PG. t. 128; col. 844 C).

ექვთიმე ზიგაბენი იმავე საკითხის განხილვას 83-ე ფსალმუნშიც განაგრძობს: „უფალო, ძალების ღმერთო, ისმინე ჩემი ლოცვისა, ყურად იღე, იაკობის ღმერთო" (ფს. 83.8) და ერთგან ბრძანებს: „ერთი და იგივეა: „ძალთა ღმერთო და ძალთა უფალო“, რის შესახებაც ითქვა წინამდებარე ფსალმუნის დასაწყისში. „ლოცვას“ უწოდებს თხოვნას, რომლის წარდგენაც ეგულვება მოგვიანებით. „იაკობის ღმერთო“ კი – ნაცვლად სიტყვისა: **„ვინც ძველად, შერკინებისას იაკობს გამოუჩნდი ადამიანის სახით“ (Ὁ καὶ τῷ Ἰακὼβ πάλαι ὀφθεὶς <u>ἐν ἀνθρώπου σχήματι</u>, ἐπί τῇ πάλῃ)"** (PG. t. 128; kol. 868 C).

წარმოდგენილი განმარტებები სრულ თანხმობაშია ზემოდამოწმებულ წყაროებთან. ექვთიმე ზიგაბენის თანახმად, მამათმთავარი იაკობი ყოვლადწმინდა სამების მეორე ჰიპოსტასს, ძე ღმერთს, ჭვრეტდა, რითაც დიდი იუდეველი მოღვაწე ღვთის

განკაცებისა და ადამიანთა მოდგმის გამოხსნის საიდუმლოს იმეცნებდა. საგულისხმოა, რომ ხსენებული კომენტატორი ორივე დამოწმებაში იდენტურ ტერმინოლოგიას იყენებს: ძველი აღთქმის ეპოქაში მოღვაწე მართალი იაკობი ღმერთს "**ადამიანის სახით**" (შდრ. ბერძ. **ἐν ἀνθρώπου σχήματι**) ხედავდა.

ამჯერად დიდი ქართველი მოღვაწის, წმინდა ექვთიმე ათონელის მიერ შედგენილი "მცირე სჯულისკანონიდან" მოვიხმობთ შესაბამის ადგილს:

„რამეთუ ესე საცნაურ არს, ვითარმედ უხილავისა მის და უჯორცოჲსა და გარეშემოუწერელისა ღმრთისა ვერვინ შემძლებელ არს მსგავსებისა ქმნად და ესე უგუნურება არს ურჩულოება, უკუეთუ ვინ თქუას, ანუ ჴელ-ყოს ღმრთეებისა გამოსახვაჲ, ამისთჳსცა ძუელსა შჯულსა შინა არა დაწესებულ იყო ხატთა გამოსახვაჲ, რამეთუ არა გამოჩინებულ იყო ქუეყანასა ზედა ძჱ და სიტყუაჲ ღმრთისაჲ ჯორციელითა ხილვითა, ვინაჲთგან **უკუე გარდამატებულითა მით მოწყალებითა და წყალობითა გარდამოჴდა ზეცით მეუფჱ და უფალი ყოველთაჲ და კაც იქმნა ცხორებისათჳს ჩუენისა და იხილვა ქუეყანასა ზედა, არა ვითარ-იგი აბრაჰამს ეჩუენა სახითა კაცისაჲთა, არცა ვითარ-იგი წინაწარმეტყველთა იხილეს,** არამედ არსებით ჭეშმარიტად კაც იქმნა და ღმრთეებაჲ უცვალებელად ეგო. სიტყუაჲ იგი განჯორციელდა და დაემკჳდრა ჩუენ შორის, ქუეყანასა ზედა იხილვა და კაცთა შორის იქცეოდა, აღასრულნა სასწაულნი, თავს-იხსნა ვნებანი, ჯუარს-ეცუა, დაეფლა და აღდგა მესამესა დღესა და ამაღლდა ზეცას და ესე ყოველი ჭეშმარიტად იქმნა და იხილვა კაცთა მიერ და აღიწერა მოსაჴსენებელად ჩუენდა და სასწავლელად, რომელნი-ესე მაშინ არა თანა ვიყვენით, რაჲთა რომელთა არა გჳხილავს, გუესმას და გურწმენეს და მივემთხჳვნეთ ნეტარებასა მას უფლისასა, რომელ ბრძანა, ვითარმედ: ნეტარ არიან, რომელთა არა უხილავ და ვჰრწმენე"[1].

---

1 მცირე სჯულისკანონი, გვ. **64-65.**

აღნიშნულ ციტატაში გადმოცემული სწავლება ექვთიმე ათონელს, როგორც ჩანს, იოანე დამასკელის "გარდამოცემიდან" ამოუღია. შევადაროთ:

მცირე სჯულისკანონი: „ვინაადთგან უკუე გარდამატებულითა მით მოწყალებითა და წყალობითა გარდამოჴდა ზეცით მეუფჱ და უფალი ყოველთაჲ **და კაც იქმნა ცხორებისათჳს ჩუენისა** და იხილვა ქუეყანასა ზედა, **არა ვითარ-იგი აბრაჰამს ეჩუენა სახითა კაცისაჲთა, არცა ვითარ-იგი წინაწარმეტყუელთა იხილეს, არამედ არსებით ჭეშმარიტად კაც იქმნა** და ღმრთეებაჲ უცვალებელად ეგო. სიტყუაჲ იგი განჴორციელდა და დაემკჳდრა ჩუენ შორის, **ქუეყანასა ზედა იხილვა და კაცთა შორის იქცეოდა, აღასრულნა სასწაულნი, თავსიხსნა ვნებანი, ჯუარს-ეცუა, დაეფლა და აღდგა მესამესა დღესა და ამაღლდა ზეცას და ესე ყოველი ჭეშმარიტად იქმნა და იხილვა კაცთა მიერ და აღიწერა მოსაჴსენებელად ჩუენდა და სასწავლელად, რომელნი-ესე მაშინ არა თანა ვიყვენით, რაჲთა რომელთა არა გჳხილავს, გუესმას და გურწმენეს და მივემთხჳვნეთ ნეტარებასა მას უფლისასა";**

შდრ. "გარდამოცემა" (ეფრემ მცირის თარგმანი): „ხოლო ვინაადთგან წყალობითა მოწყალებათა თჳსთაადთა ჭეშმარიტებით **კაც იქმნა ღმერთი ცხორებისა ჩუენისათჳს, არა ვითარ-იგი აბრაჰამს ეჩუენა სახითა კაცისაჲთა, არცა ვითარ-იგი – წინაჲსწარმეტყუელთა,** არამედ ჭეშმარიტებით და არსებით **განჴორციელებულ იქმნა, ქუეყანასა ზედა ვიდოდა და კაცთა შორის იქცეოდა, საკჳრველთმოქმედ იქმნა,** ივნო, **ჯუარს ეცუა, აღდგა და ამაღლდა, და ესე ყოველი ჭეშმარიტებით იქმნა და იხილვა კაცთა მიერ და დაიწერა მოსაჴსენებელად და სასწავლელად ჩუენდა, რომელნი მათ ჟამთა ვერ დახუდომილ ვიქმნენით, რაჲთა**

რომელთა არა გუეხილოს იგი, გუესმეს მისთჳს და გურწმენეს და მივემთხჳვნეთ ნეტარებასა მას უფლისა მიერ თქმულსა"[1];

შდრ. "გარდამოცემა" (**არსენ იყალთოელის თარგმანი**): „ხოლო ვინაჲთგან ღმერთი მოწყალებითა სიტკბოებათა მისთაჲთა ჭეშმარიტებით **კაც იქმნა ცხორებისათჳს ჩუენისა, არა ვითარ-იგი აბრაამს ეჩუენა სახესა შინა კაცისასა, არცა ვითარცა – წინაჲსწარმეტყუელთა, არამედ არსებით განკაცნა ჭეშმარიტად, ვიდოდა ქუეყანასა ზედა და კაცთა შორის იქცეოდა, საკჳრველთმოქმედებდა, ივნო, ჯუარს ეცუა, აღდგა და ამაღლდა, და ჭეშმარიტებით იქმნეს ყოველნი ესე და იხილვნეს კაცთა მიერ, დაიწერნეს უკუე მოსაჰსენებელად ჩუენდა და სასწავლელად, რომელნი არა მუნ ვიყვენით მაშინ, რაჲთა არა მხილველნი, არამედ მსმენელნი და მრწმუნებელნი მივემთხჳვნეთ ნეტარებასა მას უფლისასა"** (*Ibid.* იქვე)[2].

---

1 წმინდა იოანე დამასკელი, "გარდამოცემა", გვ. **264.**

2 შდრ. (ახალქართული თარგმანი): „მაგრამ მას შემდეგ, რაც ღმერთი თავისი თანალმობიერი გულმოწყალების გამო **ჭეშმარიტად გახდა ადამიანი ჩვენს გამოსახსნელად, – არა ისე, როგორც აბრაამს ეჩვენა იგი ადამიანის სახით** (შდრ. ბერძ. **οὐχ ὡς τῷ Ἀβραὰμ ὤφθη ἐν εἴδει ἀνθρώ που**), **ანდა – როგორც წინასწარმეტყველთ, არამედ როდესაც ჭეშმარიტად გახდა იგი ადამიანი არსების მიხედვით, როდესაც იცხოვრა მან მიწაზე, დაჰყო ადამიანებთან** (*ბარუქ. 3.38*), **ისაკვირველთმოქმედა, ივნო, ჯვარს-ეცვა, აღდგა და ამაღლდა, როდესაც ჭეშმარიტად მოხდა ეს ყოველივე და დასანახი გახდა ადამიანებისათვის, ამასთან აღიწერა კიდეც ჩვენს შესახსენებლად და სასწავლად, რომლებიც იმჟამად იქ არ ვიყავით, რომ ჩვენ,**

ზემოდამოწმებული ვრცელი განხილვის შემდეგ კიდევ ერთი მნიშვნელოვან საკითხს შევეხებით: **რატომ წარმოუჩნდეობოდა ძველაღთქმისეული თეოფანიებისას ქრისტეშობამდელ მართალთ საკუთრივ ძე ღმერთი (და არა მამის ან სულიწმინდის ჰიპოსტასები)?**

აღნიშნულ შეკითხვაზე პასუხი ღვთის ხატისებრ ადამიანის შექმნის საღვთისმეტყველო განმარტებაშია დაცული. საქმე ისაა, რომ საეკლესიო ეგზეგეტიკის თანახმად, ხსენებული მოვლენა ორნაირად განიმარტება. კერძოდ, ერთი მხრივ, ადამიანი (კაცობრივი ბუნება) ყოვლადწმინდა სამების (ე. ი. საღმრთო არსების) ხატად შემოდის მყოფობაში, ხოლო მეორე მხრივ, ჩვენი პირველმშობლები (ადამი და ევა) პიროვნულად ერთ-ერთი ჰიპოსტასის – ძე ღმერთის ხატად იქმნებიან (და არა ზოგადად წმინდა სამების ხატისებრ). ეს საკითხი ვრცლად არის შესწავლილი ედიშერ ჭელიძის მიერ და, შესაბამისად, აქ აღარ შევეხებით[1], დავიმოწმებთ მხოლოდ მკვლევრის დასკვნას:

„ღვთის არსების ანუ ერთარსება ღვთის, ერთარსება სამების ხატად შეიქმნა ადამიანის არსება, **ადამიანის ბუნება** ანუ ადამიანი არის ხატი სამივე ჰიპოსტასისა მათ განუყოფელ ერთარსებაში. ამიტომ, როდესაც ითქმის, რომ ადამიანი ხატია ღვთისა, ითქმის ყოველთვის იმ აზრით, რომ ადამიანური ბუნება, „კაცება“ ხატია ღვთიური ბუნებისა, ღმრთეებისა, ერთარსება სამებისა, სამების ერთარსებისა. რაც შეეხება, **ჰიპოსტასური აზრით**, ადამიანის კავშირს ძე ღმერთთან, ასეთ დროს, ეკლესიური სწავლებით, იგი უშუალოდ სწორედ მის „ხატად“ ითქმის და არა მამისა, რადგანაც ადამიანი მხოლოდ ძე ღმერთის, როგორც ბუნებითი ძის გზით, უკავშირდება მამას. ძე ღმერთი არის ადამიანისათვის

არმხილველთ, სმენის გზით გვერწმუნა და უფლისმიერი ნეტარება მოგვეპოვებინა" (წმინდა იოანე დამასკელი, "გარდამოცემა", გვ. **622; ბერძ. PG. t. 94; col. 1172 A).**

1 იხ. ე. ჭელიძე, ადამიანი – ხატი პირმშოხატისა, თბ. **1995,** გვ. **27-36;** ე. ჭელიძე, ხატი ღვთისა – ადამიანის სული, გვ **.211-284.** იხ. იქვე შესაბამისი წყაროები.

ჰიპოსტასურად ძეობის ბუნებითი ნიმუში ანუ „გზა“, „კარი“, „პირმშოხატი“ მამისაკენ და მხოლოდ ამ „გზის“, ამ „კარის“, ამ „პირმშოხატის“ გავლით ძალისამებრ, შევიცნობთ მამას. ამგვარად, **არსობრივი ტერმინოლოგიით, ადამიანი არის „ეიკონი“ ერთარსება სამებისა, ღმრთეებისა**. ანუ ადამიანის, როგორც „ეიკონის“ „პირველნიმუშია“, „არქეტიპია“ (ἀρχέτυπος) საღვთო ბუნება. ამისგან განუყოფლად და გაუთიშველად, **ჰიპოსტასური აზრით, ადამიანი „ეიკონია“ ძე ღმერთისა ანუ, ამ აზრით, ადამიანის როგორც „ეიკონის“ პირველნიმუშია, „არქეტიპია“ ანუ „პირმშოხატია“ ძე ღმერთი, რომელიც, როგორც ბუნებითი ხატი („ეიკონი“) მამისა, მამისაკენ წარუძღვება, მამას შეაცნობინებს მისდამი, როგორც „პირმშოხატისადმი“ ანუ მისი ბუნებითი ძეობისადმი „ხატად“, „ეიკონად“ შექმნილ ადამიანს“**[1].

ამჯერად შევეცდებით, იმავე საღვთისმეტყველო საკითხის უსაკუთრესი დოგმატური მხარე წარმოვაჩინოთ და აღნიშნული მიზნით შესაბამის სამეცნიერო პუბლიკაციაში განხილული სწავლების შემაჯამებელ ნაწილს წარმოვადგენთ მკითხველის წინაშე:

„ყოვლადწმინდა სამების პირებს გარდა არსობრივი თვისებებისა (რაც ყოვლითურთ იგივეობრივია), აქვთ იმგვარი ჰიპოსტასური თვისებები ანუ ჰიპოსტასთა იმგვარი თვისობრივი გამოხატულებანი, თვისობრივი ხატოვნებანი, რაც არანაირად არ არის იგივეობრივი მათ შორის. კერძოდ, მამის ჰიპოსტასის ჰიპოსტასური თვისება ანუ ჰიპოსტასური ხატოვნებაა მამობა (ანუ უშობელობა, ანუ მშობელობა ანუ გამომავლინებლობა), ძისა – ძეობა ანუ შიბილობა, სულისა – სულობა ანუ გამომავლობა ანუ, ბასილი დიდის თქმით, წმინდამყოფელობა... ამრიგად, რამდენადაც ადამიანი შეიქმნა ძეობის თვისებითაც და რამდენადაც ეკლესიის ურყევი განჩინებით ამ თვისებას (ისევე, როგორც ყველა საღვთო თვისებას) მხოლოდ საღვთო წარმომავლობა აქვს, კვლავ დავსდვათ კითხვა: **ღვთისადმი ძეობის თვისებით ვისადმი ჰქონდა ხატოვნება პირველქმნილ ადამიანს? განა**

---

1 იხ. ე. ჭელიძე, ადამიანი – ხატი პირმშოხატისა, თბ. 1995, გვ. 27.

ყოვლადწმინდა სამებისადმი? მაშინ ყოვლადწმინდა სამებაც ძე უნდა ყოფილიყო ვინმესი. მაგრამ ეს შეუძლებელია. ასე რომ, ყოვლადწმინდა სამებას არა აქვს ძეობის თვისება. განა მამაღმერთს გულისხმობდა ეს თვისება? მაშინ მამაც ძე უნდა ყოფილიყო ვინმესი, მაგრამ ესეც შეუძლებელია და ცხადია, რომ არც მამას აქვს თვისება ძეობისა. იქნებ სულიწმინდა უნდა გვეგულისხმა ამ თვისებაში? მაგრამ არც სულიწმინდაა ვინმეს ძე, რადგან იგი გამომავალია მამისგან და არა შობილი; ასე რომ, არც სულიწმინდას აქვს ძეობის თვისება. ამრიგად, ცხადია, რომ სამი ჰიპოსტასიდან მხოლოდ ძე ღმერთს აქვს ღვთისადმი ბუნებითი ძეობის თვისება, რადგან იგი ბუნებითი ძეა მამისა, შობილია მამისგან და ჰყავს თავისი მარადიული მშობელი... ამრიგად, პირველქმნილი ადამიანი, რომელიც უეჭველად ხატი იყო ყოვლადწმინდა სამების ბუნებისა როგორც პირმშოხატისა ანუ არქეტიპისა ყველა თავისი საღვთო თვისებით (ხელმწიფება, თვითუფლებრივობა, გონითობა და ა.შ.), არ იყო ხატი ყოვლადწმინდა სამების ბუნებისა ერთი თვისებით – ღვთისადმი ძეობით. ამ საღვთო თვისებით იგი **მხოლოდ საკუთრივ ძე ღმერთის როგორც თავისი პირმშოხატის ანუ არქეტიპის ხატი იყო"**[1].

ყოველი ზემოთქმულს შევაჯამებთ და აღვნიშნავთ: კაცობრივი ბუნება, ერთი მხრივ, ყოვლადწმინდა სამების, ე. ი. საღვთო ბუნების ხატად არის არარსებობიდან მყოფობაში მოყვანილი, მაგრამ ამასთან, ჰიპოსტასური მნიშვნელობით, ჩვენი პირველმშობლები **ღვთის ხატისებრ** არიან შექმნილი, ხოლო **ხატისებრიობა ხატის შესაბამისობას** გულისხმობს, **ე. ი. მიგვანიშნებს, რომ პირმშოხატის (არქეტიპის) – ძის ხატად შეიქმნა ადამიანი,** რაც თავის მხრივ ასე განიმარტება: **როგორც ყოვლადწმინდა სამების მეორე პირი ბუნებითი ძე არის მამისა, ასევე ძეობილობის ჰატივს ფლობს ადამიანიც, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ის არათუ ბუნებითი, არამედ მადლისმიერი ძეა ღვთისა.** თუმცა კი, საეკლესიო სწავლების

---

1 ედიშერ ჭელიძე, მართლმადიდებლური ხატმეტყველება, გვ. **69-70.**

მიხედვით, ძის მიერ, არის რა იგი ხატი მამისა, გონიერი ქმნილება მამის (და, რა თქმა უნდა, სულიწმინდის) ჰიპოსტასს იმეცნებს (ე. ი. ძეში არსებული მამის ხატებით ხდება საცნაური მამის გვამოვნება). აღნიშნულ სწავლებას ეხმიანება იოანეს სახარების ერთ-ერთი ადგილი, სადაც მახარებელი მაცხოვრის მიმართ ფილიპე მოციქულის ნათქვამ სიტყვებს წარმოგვიდგენს: „უფალო, მიჩუენე ჩუენ მამაჲ შენი, და კმა არს ჩუენდა“ (იოან. 14.8); უფალი კი საკუთარ მოწაფეს ასე უპასუხებს: „ესოდენ ჟამ თქუენ თანა ვარ, და არა მიცი მე, ფილიპე? რომელმან მიხილა მე, იხილა მამაჲ ჩემი, და შენ ვითარ მეტყჳ მე: მიჩუენე ჩუენ მამაჲ შენი?“ (იოან. 14.9); ე. ი. მამის ხატების მქონე ძის ჰიპოსტასი განაცხადებს მამის გვამოვნების საიდუმლოს (ზოგადად, ღმერთის სამგვამოვნებას) და სწორედ ამ მნიშვნელობით არის ძე ხატი, პირმშოხატი მამისა (ე. ი. მამის **„გამომაჩინებელი“**, **„გამომთქმელი“**, მამასთან მიმყვანებელი).

ამჯერად ზემოდასმულ შეკითხვას გავიმეორებთ: **რატომ წარმოუჩნდეობოდა ძველაღთქმისეული თეოფანიებისას ქრისტეშობამდელ მართალთ საკუთრივ ძე ღმერთი (და არა მამის ან სულიწმინდის გვამოვნებანი)?**

ვინაიდან ბუნებითი ძეობილობის თვისების მქონე წმინდა სამების მეორე პირის ხატად არის შექმნილი ადამიანი ჰიპოსტასური მნიშვნელობით და, შესაბამისად, მადლისმიერი ძეობილობის პატივის მფლობელია ის, ამასთან, წმინდა წერილში აღწერილი ყველა ძველაღთქმისეული თეოფანიისას სწორედ კონკრეტული პიროვნება-ინდივიდი ხდება მჭვრეტელი ღმრთისა (საკუთრივ ძის ჰიპოსტასისა), ზემოხსენებული უარსებითესი მიზეზის გამო (ე. ი. თვისობრივი მსგავსების გამო) განეცხადება ძეობილობის თვისების ბუნებითად მფლობელი წმინდა სამების მეორე ჰიპოსტასი მადლისმიერი ძეობილობის მქონე მოსაგრეს.

ზემოწარმოდგენილი განხილვის შემდეგ შევეხებით იმასაც, თუ **რა სახით, ვისი ხატებით ეცხადებოდა ძე ღმერთი ძველი აღთქმის მართალთ?**

პასუხის გასაცემად დანიელის წიგნიდან მოვიხმობთ ერთ-ერთ ადგილს. კერძოდ, ნაბუქოდონოსორის მიერ დატყვევებული და ბაბილონში გადასახლებული წინასწარმეტყველი საკუთარი წიგნის მესამე თავში აღგვიწერს, თუ როგორ განათავსებს ხსენებული ძლევამოსილი ქალდეველი მეუფე დეირის ველზე უზარმაზარი ზომის (სამოცი წყრთა სიმაღლითა და ექვსი წყრთა სიგანით) კერპს და იმავე ველზე შეკრებილ დიდგვაროვნებს ხსენებული კერპისადმი თაყვანისცემას განუჩინებს. მხოლოდ შორეულ შუამდინარეთში გადასახლებული სამი იუდეველი ყრმა – ანანია, აზარია და მისაელი – იტყვის უარს მეფის ბრძანების აღსრულებაზე. განრისხებული ნაბუქოდონოსორი მყისვე ბრძანებას გასცემს, რომ ისინი ურჩობის მიზეზით გახურებულ ღუმელში ჩააგდონ (შდრ. დან. 3).

ძირითადი თემიდან მცირედს გადავუხვევთ და შევნიშნავთ, რომ უძველესი ლიტურგიკული საკითხავების თანახმად, **ღუმელი**, რომელშიც იუდეველი ახალგაზრდები აღმოჩნდნენ, სიმბოლურად, ერთი მხრივ, **ახალი აღთქმის ეკლესიას** განასახიერებს, ამასთან, ცეცხლის მხურვალების მაგრილებელი ცვარი ნათლისღების საიდუმლოს წინასახეა: „რომელმან **ბაბილონს შორის საჯუმილსა გამოსახა ეკლესიად**, რომელსა შინა ყრმანი, **ცუარითა ნათელღებულნი**, დაუცხრომლად გიგალობდეს..."[1].

მეორე მხრივ კი იგივე ბაბილონური სახმილი **მეუდაბნოე მამების** სულიერი ღვაწლის იდუმალებას წარმოაჩენს: „ბრწყინვალე არს სახელი თქუენი, წმიდანო მამანო, და დიდებულ – საჯსენებელი თქუენი, რამეთუ თქუენ უდაბნოს ღუაწლი კეთილი მოიღუაწეთ და **სამთა ყრმათა საჯუმილი მარტოდ-მყოფებითა ღაითმინეთ** და ცხორებაჲ საუკუნოჲ დაიმკჳდრეთ" [*Ibid.* გვ. 84].

ამასთან, იუდეველი სამი ყრმა მაცხოვრის ცხოველმყოფელ ვენებებს წინამოასწავებდა: „ალსა შინა შეიცურინეს მძლავრისა

---

1 უძველესი იადგარი, გვ. 70.

მიერ სამნი ყრმანი სიყუარულისათჳს შენისა, **ქრისტე, ღმერთო**, რამეთუ **სახესა მას ცხოველსმყოფელსა ვნებისასა შენისასა გამოსახვიდეს"**[1].

იმავდროულად, დეირის ველზე აღმართული ცეცხლის ღუმელი ღვთისმშობლის საიდუმლოს გამოსახავდა: „მაყუალი მოტყინარე და **საჯუმილი ქალდეველთაჲ ძეშმარიტად მოგასწავებდა შენ, ღმრთისმშობელო, რამეთუ შეიწყნარე ცეცხლი ღმრთეებისაჲ საშოსა შენსა უვნებელად"** [*Ibid.* გვ. 215]; კიდევ: „**საჯუმილსა მას შინა ყრმათასა წინაჲსწარვე გამოსახე მშობელი შენი, უფალო...**" [*Ibid.* გვ. 227]; კიდევ: „ვითარცა ცეცხლმან ნივთიერმან ბუნებაჲ თჳსი შეცვალა და პატივ-სცა სამთა ყრმათა არა-შეხებითა გუამთა მათთა წმიდათა, ეგრეთვე შენ, ღმრთისმშობელო, დაიცევ შეუწველად ცეცხლისა მისგან უნივთოჲსა, რომელსა ავამაღლებთ მას უკუნისამდე" [*Ibid.* გვ. 227].

თავად იუდეველი ყრმების (ანანიას, აზარიასა და მისაელის) რაოდენობა კი ერთარსი ღმერთის სამპიროვნულობის იდუმალებას ასაჩინოებდა: „**აბრაამიანთა ყრმათა საჯუმილსა მას შინა სამებაჲ გამოსახეს** და ალი ცეცხლისაჲ ცუარად გარდააქციეს" [*Ibid.* გვ. 185]; კიდევ: „**სამნი ყრმანი ბაბილონს სამებასა მიემსგავსნეს,** და დათრგუნეს სიმძაფრე საჯუმილისაჲ მის" [*Ibid.* გვ. 295-297]; კიდევ: „**საჯუმილსა მას შინა სამთა ყრმათა გამოსახეს სამებაჲ** და შეურაცხ-ყვეს ხატი ოქროჲსაჲ" [*Ibid.* გვ. 299]; კიდევ: „**სამებაჲ გუეცნობა სამთა მიერ ებრაელთა** და ერთარსებით ვიცნობთ ბუნებასა ღმრთეებისასა და ვიტყჳთ: აკურთხევდით ყოველნი საქმენი უფალსა და ამაღლებდით მას უკუნისამდე" [*Ibid.* გვ. 787-789].

დავუბრუნდებით მთავარ საკითხს. კაცთაგან განწირული ებრაელი ყრმები განსაკუთრებული, ზეგარდამო შემწეობის მხილველნი შეიქმნებიან, რაც ნაბუქოდონოსორისთვისაც არ დარჩება დაფარული. საქმე ისაა, რომ ღუმელში ჩაგდებულ სამ ადამიანთან

---

1 ნევმირებული ძლისპირნი, გვ. 307.

ერთად ცეცხლში ვინმე უცნობი მეოთხეც განიჭვრიტებოდა, რომელსაც ბაბილონელი მონარქი ასე ახასიათებს: „მე ვხედავ აწ-ესერა, ოთხთა კაცთა განჴსნილთა, რომელნი ვლენან შორის ცეცხლსა და განრჟუნილებაჲ არარაჲ არს მათ თანა. და **ხილვაჲ მეოთხისაჲ მის მსგავს არს ძესა ღმრთისასა**" (დან. 3.92).

სწორედ ზემოდამოწმებული ადგილის კომენტირებისას გადმოგვცემს ეკლესიის დიდი მოძღვარი, წმინდა ანასტასი სინელი უმნიშვნელოვანეს სწავლებას. იგი, კერძოდ, ბრძანებს: „და **ვითარცა საჯუმილსა შინა სახედ ქრისტესსა** (შდრ. [PG. t. 89; col. 281 A]: **εἰς τύπον Χριστοῦ) ნაბუქოდონოსორის და მსგავსებითა ძისა ღმრთისაჲთა გამოჩინებული იგი ყოვლად იყო ყოვლითურთ სახითა კაცისაჲთა** ცეცხლოან და ცეცხლის-სახე და ყოვლად ცეცხლ და ყოვლად ალ, **ეგრეთვე იყო კაცებაჲცა ქრისტესი ყოველი ყოვლითურთ ყოვლად ღმერთ და განღმრთობილ და თანაღმერთ** [შდრ. **οὕτως ἦν καί τοῦ Χριστοῦ ἀνθρωποτής, ὅλη δι᾽ ὅλου ὁλόθεος, καί ἔνθεος, καί σύνθεος]**"[1].

წარმოდგენილი განმარტების თანახმად, ანანიას, აზარიასა და მისაელთან ერთად ცეხლის ღუმელში გამოჩენილი მეოთხე "უცნობი" ყოვლადწმინდა სამების მეორე ჰიპოსტასია, რომელსაც ერთ-ერთი ლიტურგიკული კრებული ტერმინოლოგიურ შესატყვისად სინტაგმას – "**საშინელი ანგელოზი**" განუკუთვნებს: „სამებისა რიცხუნი ყრმანი საჯუმილსა შინა დაიცვებოდეს **საშინელისა ანგელოზისა** მოვლინებითა და საუცრად განცხრომასა მძლავრთასა არცხუენდეს და სიხარულით იტყოდეს: საკჳრველთ-მოქმედო ღმერთო, აგამაღლებთ შენ"[2].

ბაბილონურ თეოფანიაში განჭვრეტილი ძე ღმერთი, მსგავსად ზემოგანხილული შემთხვევებისა, კაცობრივი გამოსახულებით იხილა ქალდეველმა მეუფემ (შდრ. „**ყოვლად იყო ყოვლითურთ სახითა კაცისაჲთა**"; შდრ. ბერძ. **ὅλος ἦν δι᾽ ὅλου ἐν σχήματι ἀνθρώπου**). რაც შეეხება "**ღმრთის ძის**" ადამიანურ გარეგნობას,

---

1 დოგმატიკონი I, ანასტასი სინელი, „წინამძღუარი", გვ. 317; შდრ. PG. t. 89; col. 281 B.

2 ნევმირებული ძლისპირნი, გვ. 585.

წმინდა ანასტასი სინელის თანახმად, **მას ქრისტეს სახება ჰქონდა** (შდრ. „...**სახედ ქრისტესსა [εἰς τύπον Χριστου] ... გამოჩინებული იგი**").

ამრიგად, დეირის ველზე განჭვრეტილი ძე ღვთისა, "წინამძღუარში" დაცული საეკლესიო ეგზეგეტიკის თანახმად, აღნიშნული მოვლენიდან ექვსი საუკუნის შემდეგ **განკაცებული ღმერთის, იესო ქრისტეს სახებით, ხატით, მსგავსებით წარმოჩნდა იუდეველი ყრმების წინაშე.**

ამავე მოძღვრებას ვხვდებით ექვთიმე ზიგაბენის ფსალმუნთა განმარტებებში. კერძოდ, ხსენებული მოძღვარი განიხილავს შემდეგ ფსალმუნურ ციტატას: „უგალობდე და ვაქებდე ძლიერებათა შენთა" (ფს. 20.14) და ერთგან ბრძანებს: „**ჯეშმარიტად იხარებდა და მხიარულობდა დავითი, უმზერდა რა სიკვდილის შემდეგაც ღვთის განკაცების საიდუმლოს; რადგან თუკი ხორცის სიბნელით ჯერაც გარემოცულმა სულის თვალებით განჭვრიტა სამერმისონი[1], რაოდენ მეტად უფრო სუფთად და უფრო მკაფიოდ იხილავდა ამისაგან განშორებული[2]. შესაბამისად, „წადილი გულისა“ მიგვაჩნია, სურვილია მაცხოვრის განკაცების ხილვისა, რომლის სახეც წინასწარ იხილა (...ἧς προεῖδε τὸν τύπον)"[3].**

---

1 ე. ი. სხეულით გარემოზღუდულმა დავითმა სულიერად შეიმეცნა სამომავლო მოვლენები.

2 ე. ი. გარდაცვალების გზით სხეულის დამტევებელი.

3 **PG. t. 128; col. 272 CD.** საგულისხმოა იმავე ციტატის ლათინური თარგმანი, რომელშიც ბერძნული ტერმინი **τύπος (სახე, ხატი, მსგავსი)** ორი შესატყვისით არის გადატანილი: „... ***typum*** **ac** ***figuram*** **viberat" (PG. t. 128; col. 271 D).** შევნიშნავთ, რომ ხაზგასმული ლათინური სიტყვებიდან პირველი (***typus***) ასე განიმარტება: "**ნაძერწი გამოსახულება**"; **შდრ. "typus, i** *m* **– лепное изображение" (И. Х. Дворецкий. Латинско-Русский словарь, Москва, 1976, ст. 793),** ხოლო მეორე ტერმინის (***figura***) მნიშვნელობებია: "**გარეგნული შეხედულება**", "**გარეგნული ნაკვთები**", "**ხატება**"; **შდრ. „figura, ae – наружный вид, внешние очертания, образ" (*Ibid.* ст. 427).** ამდენად, ექვთიმე ზიგაბენის ფსალმუნთა კომენტარების ლათინურად

დამოწმებულ სწავლებაში რამდენიმე საგულისხმო ფაქტი იქცევს ყურადღებას. კერძოდ, ექვთიმე ზეგაბენის წარმოდგენილი უწყება, ერთი მხრივ, ზემოგანხილულ მოვლენას ეხმიანება და კიდევ ერთი მოხმობილი წყაროა დასტურად იმისა, რომ ძველაღთქმისეული მართალნი საღვთო ჰიპოსტასთა სამებას (ძის გვამოვნებას და **მისი** გზით ღვთის სამპიროვნულობას) იმეცნებდნენ (რასაც დიდი მეფე დავითის მიერ უფლის განკაცების განჭვრეტა ადასტურებს), მეორე მხრივ კი ჩვენთვის საყურადღებო საკითხს ცხადყოფს, რომლის თანახმადაც, ქრისტეშობამდელ ეპოქაში მცხოვრები სიტყვათმგალობელი წინასწარმეტყველი (მეფე დავითი) იესო ქრისტეს კაცობრივი სახის მხილველი შეიქმნა.

ზემოთქმულთან დაკავშირებით კვლავ მოვუხმობთ წმ. ეგნატი ანტიოქიელის სიტყვებს: **„აბრაჰამს, მამასა თქუენსა, უხაროდა, რაჲთა იხილოს დღე ესე ჩემი, იხილა და განიხარა".**

ამარიგად, აბრაამმა და წინასწარმეტყველებმა წუთისოფელში მაცხოვრის მოსვლის დღე შეიმეცნეს და განკაცებადი ძე ღმერთი სწორედ იმ ხატებითა და გარეგნობით განჭვრიტეს წინდაწინ, რითაც ხორცი შეისხა მან, რადგან სახარებისეული სიტყვები „დღე ესე ჩემი", თავისთავად ცხადია, სწორედ იმ ჟამს მიემართება, როდესაც მარადიული ძე ღვთისა ძე კაცისად მოევლინა ქვეყნიერებას და სწორედ „ეს დღე" – წუთისოფლად მოვლენილი განსაკაცებელი ღმერთი, რამდენიმე საუკუნით უწინარეს „იხილეს და განიხარეს" მამათმთავარმა აბრაამმა და წინასწარმეტყველებმა.

ღირსი ანასტასი სინელის, ექვთიმე ზიგაბანისა და წმინდა ეგნატი ანტიოქიელის დამოწმებული სწავლებები[1] უძველეს იადგარში დაცული საკითხავებითაც დასტურდება. წარმოვადგენთ შესაბამის ადგილებს: **„სამთა მათ ყრმათა შორის ცეცხლსა მას შინა, ქრისტე, გამოუშჩნდი და შეუწველად იგინი დაიცვენ"** (უძველესი იადგარი, გვ. 366). **კიდევ: „რომელი გამოშჩნდი საჴუმილსა მას მსგავსად ანგელოზისა, ხოლო მძლავრმან მან**

მთარგმნელი ბერძნულ ტექსტში გადმოცემულ მონაცემს მეტ სიმკვეთრეს სძენს და ერთი ტერმინის ორ შესატყვისს გვთავაზობს.

1 რიგითობა ამ შემთხვევაშიც პირობითია.

იცნა ხატი შენი, ქრისტე, შორის ღირსთა ყრმათა შენთა, რომელნი დაუცხრომელად შენდამი ღაღადებდეს და იტყოდეს: ღმერთო მამათა ჩუენთაო, კურთხეულ ხარ შენ" (*Ibid. გვ. 410*)[1].

რატომ მიგვაჩნია დამოწმებული საეკლესიო ჰიმნოგრაფია სინელი მოღვაწის ზემოგამოთქმული სწავლების დასტურად? განა ჩანს აღნიშნულ საგალობლებში, რომ იუდეველ ყრმათაგან დეირის ველზე ადამიანის გარეგნობით განჭვრეტილი ძე ღმერთი განკაცებული მაცხოვრის გამოსახულებისა იყო?

საქმე ისაა, რომ ეკლესიის მამათა სწავლების თანახმად, სახელწოდება **"ქრისტე"** მხოლოდ განკაცებულ (ორი ბუნების მქონე) ღმერთს განეკუთვნება. წმ. იოანე დამასკელი გვამცნობს:

„ჩვენ ვამბობთ, რომ ღვთის ძე და სიტყვა ქრისტე გახდა და ასე იწოდა მას შემდეგ, რაც დაიკარვა მან წმინდა მარადქალწული მარიამის მუცელში, გარდაქმნის გარეშე ხორცი გახდა იგი და ეს ხორცი ღმრთეებით იქნა ცხებული, რადგან „იგია ცხებულება ადამიანობისა“, როგორც ამბობს გრიგოლ ღვთისმეტყველი (30-ესიტყვა)"[2].

სტატიის დასასრულს შევაჯამებთ წინამდებარე პუბლიკაციას:

საეკლესიო სწავლების მიხედვით, ყოვლადუხილავი, განუჭვრეტელი და ყოვლითურთ უწვდენელია ქმნილებისთვის არსობრივად როგორც საღმრთო ბუნება, ასევე მამის, ძისა და სულიწმინდის ჰიპოსტასები (შდრ. **[წმ. მაქსიმე აღმსარებელი]:** „მხოლოდ მოქმედებებიდან შეიცნობა **იგი რამდენადმე, ხოლო მის შესახებ არსობრივი და ჰიპოსტასური ცოდნა ყველასთვის ერთნაირად მიუვალია, ანგელოზებისთვისაც და ადამიანებისთვისაც, რადგან ვერავისგან ვერ შეიცნობა იგი ვერანაირად"**[3]; **[ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი]:**

---

1 დამოწმებული საგალობლები ზემოგანხილულ საკითხსაც ეხმიანება: **ძველაღთქმისეული გამოცხადებებისას განჭვრეტილი ღმერთი ყოვლადწმინდა სამების მეორე ჰიპოსტასია.**

2 წმინდა იოანე დამასკელი, "გარდამოცემა", გვ. 526.

3 წმ. მაქსიმე აღმსარებელი, ჭეშმარიტი ცოდნის შესახებ, გვ. 29.

„განუყოფელსა ძალსა სამებისასა, მიუწდომელსა ჩუენ-ჳან, მორწმუნენო, ვაკურთხევდეთ არა გამოწულილვით, არამედ სარწმუნოებით]"[1]).

შესაბამისად, ძველი აღთქმის მართალთათვის გაცხადებული თეოფანია არათუ ღმრთეების (ე. ი. ყოვლადწმინდა სამების) ან საღმრთო ჰიპოსტასთა **(მამის, ძის ან სულიწმინდის)** არსობრივი შემეცნებაა, არამედ – განკაცებადი ღმერთის (ე. ი. **ძე ღმერთის**) ადამიანთა წინაშე ადამიანის სახით გამოცხადება (და **მის მიერ** ერთბუნებოვანი ღმერთის სამპიროვნულობის განცხადება). ხოლო შეკითხვაზე, თუ **კონკრეტულად ვისი ხატებით ჭვრეტდნენ მას ძველი აღთქმის მოღვაწენი,** წმინდა ანასტასი სინელი, ექვთიმე ზიგაბენი და საეკლესიო ჰიმნოგრაფია ასე უპასუხებენ: **იესო ქრისტეს ადამიანური სახით, ხატით, რითაც მოევლინა კაცობრიობას მხსნელი ამასოფლისა.**

Irakli Orjonia

The Theophanies of the Old Testament and their Ecclesiastical Exegesis

The following issues are presented in the hereby paper:

1. The mystery of the Holy Trinity, predicted in the Old Testament;

2. The mystery of the Son of God, predicted in the Old Testament;

3. Teachings about the visual bodily form of the Son of God, a phenomenon in the Old Testament Theophany;

According to the study of patristic sources, in the Old Testament Theophany the second person of the Holy Trinity appeared to the righteous in human appearance, that was identical with the image of Christ – the incarnated son of god.

---

1 ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, გვ. 76.

მაია რაფავა

საღვთო სახელთა გრამატიკული ართრონის შესახებ თეოდორე აბუკურას ერთ ტრაქტატში

საღვთისმეტყველო ტერმინებთან დაკავშირებით ცნობილია მართლმადიდებელ მოძღვართა პოლემიკა მწვალებლებთან იმის შესახებ, თუ როგორი გამოყენება უნდა ჰქონოდა გრამატიკულ ართრონს წმიდა სამების ჰიპოსტასთა სახელებთან მიმართებაში. არიოზი და მაკედონიოსი ძეს და სულს არ მიიჩნევდნენ მამის თანასწორად, ამგვარი უღვთოების მტკიცებისას კი არგუმენტად მოუხმობდნენ სწორედ ართრონს, ვინაიდან მიიჩნევდნენ, რომ თუ ჰიპოსტასის სახელს ართრონი ახლდა, ხსენებული ჰიპოსტასი ბუნებითი ღმერთი უნდა ყოფილიყო, პირუკუ შემთხვევაში კი ქმნილებასთან უნდა გვქონოდა საქმე და არა ღმერთთან.

უმნიშვნელოვანესი ძეგლი, რომელშიც გამოკვეთილია მართლმადიდებელ მოძღვართა მძაფრი პოლემიკა ზემორე საკითხზე, არის წმ. იოანე ოქროპირის ქადაგება სათაურით: „სიტყვსა მისთჳს, ვითარ̃მედ: «ქ̃რისტე აღმოსავალი აღმოსავალთაჲ» და ვითარ̃მედ «აღვიდა» და «შთავიდა» და სულისათჳს წმიდისა, ვითარ̃მედ «ყოვლისამპყ̃რობელ არს»“ *(იხ. „სიტყუაჲ ართრონთათჳს“ 1990).* ეკლესიის დიდი მოძღვარი განმარტავს წმიდა სამების სახელებს «ღმერთი», «უფალი», «სული წმიდა» და მწვავე კრიტიკით ეხმიანება მწვალებლებს, რომლებიც, როგორც აღვნიშნეთ, არ ცნობდნენ

წმიდა სამების პირთა ერთარსებობასა და სრულ თანასწორობას. სახელთა განსხვავება მწვალებლებისთვის საბაბი იყო, ემტკიცებინათ წმ. სამების პირების არსებითი განსხვავება. „განმცდელობენ მწვალებელთა შვილნი განყოფილებისაგან სახელთაჲსა შექმნად არსებისაცა განყოფილებისა“. როგორც წმ. იოანე ოქროპირი შენიშნავს, მწვალებლების განცხადებით „არა საგონებელ არს ღმერთი უფლად, არამედ სხუასა ვიდრემე ღირსებასა აჩუენებს «**ღმერთი**», ხოლო სხუასა ღირსებასა საცნაურ-ჰყოფს «**უფალი**». ესრეთ მრავლად უქუენაესად აჩუენებსო ძესა, იტყჳან, ამიერ ვიდრემე ძესა «**უფლად**» თქუმითა, ხოლო მამასა – «**ღმრთად**»“ (სიტყუაჲ ართრონთათჳს, 1990: 171). იოანე ოქროპირი წმიდა წერილის მოხმობით მწვალებლებს უმტკიცებს, რომ მხოლოდშობილი ძეც «**ღმრთად**» იწოდება:

რომ. 9.5: „რომელთაგან ქრისტე ჴორციელად, რომელი-იგი არს ***ღმერთი (Θεός)*** ყოველთა ზედა“.

ფსალმ. 117.26-27: „კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა, გაკურთხენით თქუენ სახელით უფლისაჲთა, ***ღმერთი (Θεός)*** უფალი“.

ი. 1.1: „პირველითგან იყო სიტყუაჲ, და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა, და **ღმერთი (Θεός)** იყო სიტყუაჲ იგი“.

წმიდა წერილში ძის მოხსენიება «**ღმერთად**» მწვალებლებს არ მიაჩნიათ სამების მეორე პირის, ძის, მამის ღირსებასთან გატოლების ნიშნად. თავიანთ მკრეხელურ აზრს მამასთან შედარებით ძის თითქოსდა ნაკლები ღირსების შესახებ ისინი ამყარებდნენ სწორედ ართრონის არსებობა-არარსებობით. წმ. ოქროპირი მიუთითებს; „იხილე, თუ რაჲ პოა მწვალებელთა სიბოროტემან, რამეთუ იტყჳან, ვითარმედ «**თეოს**»“ ***(Θεός)*** ვიდრემე წერილ არს, რომელ არს «**ღმერთი**» უართრონოდ, ხოლო «**ο θεος**» ***(ο Θεός)*** არა წერილ არსო, რომელ არს «**ღმერთი**» ართრონიანი. იხილე წულილმოქმედებაჲ სიბოროტისაჲ, რაჟამს მამისათჳს წერილი იტყოდისო, იტყჳან, ***ართრონსა*** დაუდებს მეტყუელი, ვითარმედ «**ο θεος**» ***ο Θεός)*** და არა ესრეთ იტყჳს, ვითარმედ «**θεος**»“ (***Θεός)***. და ვითარმედ «**ο θεος (ο Θεός) დიდი**», «**ο საუკუნე**», «**ο შემოქმედი ცისა და ქუეყანისაჲ**», წინაჲსწარმეტყუელისა მოძღურებისაებრ. ხოლო ძესა თჳნიერ ართრონიანისა სიტყჳსა

წერილი, რადთა გასწაოს განყოფილებად, რამეთუ ართრონისა ვიდრემე მქონებელსა უფლებადცა უმეტესი აქუსო, ხოლო არმქონებელსა ართრონისასა უდარესი აქუს ღირსებად“ (სიტყუად ართრონთათჳს **1990: 172; Ath. 6.32v).**

ამ მკრეხელურ აზრს წმ. იოანე ოქროპირი აფასებს, როგორც ართრონის შესახებ ფილოსოფოსობას და არა ჭეშმარიტების შესახებ სიბრძნისმეტყველებას: „***ართრონისაგან*** ჰფილოსოფოსობ და არა – ჭეშმარიტებისა“. ჭეშმარიტება კი, წმ. იოანე ოქროპირის მტკიცებით, ისაა, რომ ართრონის ქონა-არქონა არ გულისხმობს წმიდა სამების პირთა პატივით მეტ-ნაკლებობას, მათი ურყევი თანასწორობის გამო. ღირსი მამა შენიშნავს: „არა უღონო ვარ ჩუენებად ძისაცა, ***ართრონიანად*** ქადაგებულისა,“ და ძის მამასთან თანასწორობის ნიმუშად რამდენიმე მაგალითს იმოწმებს, რომლებშიც ძეც (ღვთის სიტყვაც), ართრონით არის დასახელებული:

მთ. 1.23: ‘აჰა, ქალწული მიუდგეს და შვეს ძჱ და უწოდიან სახელი მისი ემმანუელ, რომელ არს თარგმანებით „ჩუენ თანა ***ღმერთი" (ὁ Θεός).*** დიდი",

ი. 20.28: ‘უფალი ჩემი და ***ღმერთი (ὁ Θεός)*** ჩემი“.

ბარ. 3.36: „ესე არს ***ღმერთი (ὁ Θεός)*** ჩუენი, ვერ ესწოროს მას სხუად ღმერთი“.

მამასა და ძეს შორის თანასწორობას მწვალებლები წმინდა წერილის შემდეგი სიტყვების მოშველიებითაც უარყოფდნენ: „და დიდებად ჩემი სხუასა არა მივსცე“ (ეს. **42.8).** წმ. იოანე ოქროპირი მწვალებელთა ამ აზრს შემდეგი სიტყვებით აბათილებს: „სხუასა – არა ძე თქუა ამიერ, გარნა უცხოდ. ყოვლად უცხოდ უცხოსა არა მოსცემს“. წმ. ოქროპირის განმარტებით, **«სხუა»**-ს ქვეშ იგულისხმება არა ძე, არამედ სხვა არსი, ღმრთეებისაგან უცხო ანუ კერპთმსახური.

წმ. იოანე ოქროპირის აღნიშნული ტრაქტატის ქართველი მთარგმნელი, რომელმაც ტრაქტატს დაურთო ორიგინალური შრომა „სიტყუად ართრონთათჳს", თავდაპირველად იძლევა ართრონის განმარტებას, რომელიც საყურადღებოა ზოგადად ბერძნული ართრონის ფუნქციის ჩვენების თვალსაზრისით და საღვთისმეტყველო კუთხით, საღვთო ტერმინებთან ართრონის

როლის მართლმადიდებლური და მწვალებლური შეფასებების საილუსტრაციოდ. ქართველი ავტორი შემდეგნაირად აფასებს ართრონის ფუნქციას:

„არა არს ***ართრონი*** ენასა ზედა ჩუენსა და ვერ შესაძლებელ არს თარგმნაჲ მისი, ვინაჲთგან არა არს, რამეთუ ***ართრონი*** წინადასადებელ არს სახელისაჲ და შუენიერ-ჰყოფს სახელსა და რეცა პატივსა რასმე მიჰმადლებს“ (სიტყუაჲ ართრონთათჳს **1990: 134).**

ქართველი მოღვაწის მიერ ართრონი სახელის პრეფიქსად არის გაგებული, ხოლო მის მნიშვნელობას ხედავს იმაში, რომ ართრონი სახელს ამშვენებს და მას გარკვეულ პატივს მიაგებს.

ართრონის ეს მნიშვნელობა ტრაქტატის სხვა ადგილასაც არის გამეორებული ქართველი მთარგმნელის მიერ:

„**ართრონნი,** თავით-კერძო დასასხმელნი, ვითარცა საფუძველნი რაჲმე და საშუებელნი" (სიტყუაჲ ართრონთათჳს **1990: 136).**

წმ. იოანე ოქროპირის აღნიშნული ტრაქტატის ქართველი მთარგმნელი, რომელმაც ტრაქტატს დაურთო ორიგინალური ქართული შრომა „სიტყუაჲ ართრონთათჳს", თავისი მხრივ, აღრმავებს პოლემიკას საღვთისმეტყველო ტერმინებთან ართრონის გამოყენების არიანელთა მწვალებლური აზრის წინააღმდეგ და წარმოაჩენს წმ. იოანე ოქროპირის დამსახურებას მათი უარყოფის საქმეში: „უკუეთუ ***უართრონოდ*** აჳსენებს ღმრთად ძესა, არა სადამე სწორ არსო მამისა ძე, რამეთუ ***უართრონობაჲ*** უმდაბლესობასა გამოაჩინებსო ძისა მამისაგან, გარნა დაჳსნის და უკუნ-არღუევს ყოველსა წმასნასა მწვალებელთა ძის-მბრძოლთასა დიდი ესე წმიდათა შორის იოანე ოქროპირი“ (სიტყუაჲ ართრონთათჳს **1990: 141)**[1].

---

1 *წმ. იოანე ოქროპირის ამ პოლემიკური ტრაქტატის გარდა, მისი გამომცემლის, მზ. შანიძის მიერ დასახელებულია რამდენიმე ძველი ქართული ნათარგმნი ძეგლი, რომლებშიც ნახსენებია გრამატიკული ფორმა ართრონი: თეოფილაქტე ბულგარელის „განმარტებაჲ იოანეს სახარებისაჲ" – **A 52, XII-XIII, 1r- 153r;** კ. კეკელიძე, ერთი უცნობი კანონიკური კრებული, ეტიუდები **IX, 100;** ზ. შანშოვანის გრამატიკა;*

ამჯერად, წარმოვადგენთ ერთ ნათარგმნ ძეგლს, რომელშიც ნახსენებია ართრონი, მაგრამ არა გრამატიკული ფუნქციით, არამედ, წმ. იოანე ოქროპირის ტრაქტატის მსგავსად, დოგმატურ-პოლემიკური მსჯელობის კონტექსტში. მხედველობაში გვაქვს თეოდორე აბუკურას, VIII საუკუნის ცნობილი თეოლოგის, ტრაქტატი, რომლის სახელწოდებაა ***„მოძღურებაჲ შემოკლებული საღმრთოთა სახელთათჳს საზოგადოთა სამებისათა და განთჳსებულთა თითოეულისა გუამისათა"*** **(შდრ. PG 97, XLII , col. 1600-1601).**

ტრაქტატის ქართული თარგმანი ეკუთვნის წმ. არსენ იყალთოელს. ტექსტი მოთავსებულია მის ცნობილ **«დოგმატიკონში»**. **«დოგმატიკონის»** ნუსხებში იმდენად განსხვავებული სურათი დასტურდება ტრაქტატის მოცულობის თვალსაზრისით, რომ საჭიროდ ვცანით, ოდნავ გადავუხვიოთ წერილის მიზანს (ტრაქტატის საღვთისმეტყველო მნიშვნელობის გაცნობას) და სულ მოკლედ აღვნიშნოთ ქართულ ხელნაწერებში არსებული ვითარება.

"დოგმატიკონის" ხელნაწერებში ტრაქტატის ტექსტი სამი სახით არის წარმოდგენილი. ტექსტის დასაწყისი ყველა ნუსხაში ერთნაირია. განსხვავებულია ტექსტის დაბოლოება.

1. «დოგმატიკონის» ძირითად ნუსხაში **S 1463 – (XI ს.)** და მის ჯგუფში გაერთიანებულ ნუსხებში **(K 23 (XIII ს.)** და **Q 50 (1777 წ.)** დასტურდება ტექსტის ყველაზე მოკლე ვარიანტი. ქართული ტექსტი სიტყვა-სიტყვით მისდევს ბერძნულ ტექსტს და აქვს ბერძნულის მსგავსი დაბოლოება: „რამეთუ ღმერთი ანუ შემოქმედი მოქმედებისა, ხოლო მეფე ანუ მეუფე ანუ მამაჲ – თჳსებისა საცნაურება არიან“ **(294v) – Θεὸς μὲν γὰρ ἢ ποιητὴς ἐνεργείας Βασιλεὺς δὲ ἢ Δεσπότης, ἢ Πατὴρ σχέσεως (PG 97, col. 1601).**

2. აბუკურას აღნიშნული ტრაქტატი **S 1463, K 23** და **Q 50** ხელნაწერებისაგან განსხვავებული მოცულობით დასტურდება

---

*სულხან საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული. დასახელებულ ძეგლებში ართრონი ნახსენებია მისი გრამატიკული ფუნქციის განმარტების მიზნით. კერძოდ, ართრონი განმარტებულია როგორც გრამატიკული ფორმა. იხ. სიტყუაჲ ართრონთათჳს **1990: 65-66.***

«დოგმატიკონის» სხვა კრებულებში. ერთ ადრეულ ნუსხაში – **A 65 (1188-1210 წწ.) 65v – 66v**-ზე ტექსტი გვაქვს იმ სახით, როგორც **S 1463**-ში, მაგრამ შემდეგ, ყოველგვარი დასათაურების ან რაიმე მინიშნების გარეშე, არის გაგრძელება **17** სტრიქონის რაოდენობით. გაგრძელებული ტექსტის პარაგრაფები იწყება სინგურით ნაწერი ასოებით. შინაარსობლივად ამ გაგრძელებაში არ ჩანს საღმრთო სახელების განხილვა ართრონთან დაკავშირებით. ძირითადად ლაპარაკია ღმერთის, ყოველივეს შემოქმედის, სიყვარულის შესახებ.

3. რამდენიმე გვიანდელ ხელნაწერში (**S 312 (1541**წ.) და მისგან მომდინარე ხელნაწერებში – **S 248 (XVIII** ს.), **H 137(XVIII-XIX** სს.) , **H 1000 (XVIII** ს.), **A 1132 (XVIII** ს.) **S 1463**-თან შედარებით უფრო დიდი მოცულობის გაგრძელება დასტურდება, რომელშიც ზოგადად დახასიათებულია პავლე სამოსატელის, ნესტორის და საბელიოსის წვალებათა მცდარი შეხედულებანი წმიდა სამების პირებთან დაკავშირებით. საღმრთო სახელების შესახებ მსჯელობა მიმდინარეობს კითხვა-მიგების სახით[1].

დავუბრუნდეთ ართრონის საკითხს თეოდორე აბუკურას ნაშრომში.

«დოგმატიკონის» ნუსხებში დადასტურებულ აბუკურას ტრაქტატში წმინდა სამების ბუნებასა და ჰიპოსტასებთან დაკავშირებით განხილულია სამების საზოგადო და საკუთარი სახელები. ტრაქტატის სათაურშიც და შემდგომ, მთლიანად ტექსტშიც აშკარად იგრძნობა, რომ ძირითადი ქრისტიანული საღვთისმეტყველო დოგმატის – წმ. სამების საღმრთო ბუნების ზოგადობისა და მისი ცალკეული პირების განთვისებულობის

---

1 ქართულ ხელნაწერებში წარმოდგენილი განსხვავებული ტექსტი აბუკურას ტრაქტატის დაბოლოებისა ბერძნული ორიგინალის შემცველ ხელნაწერებთან ძიებასა და სპეციალურ შესწავლას მოითხოვს, არის თუ არა ეს დაბოლოებანი თეოდორე აბუკურას დასახელებული ტრაქტატის გაგრძელება, თუ ისინი იმავე ავტორის სხვა თხზულების ნაწილია, ან, შესაძლოა, ეს დაბოლოებანი სხვა ავტორის თხზულებებიდან იყოს გადამწერთა მიერ მიბმული თეოდორეს ტრაქტატს. ამ საკითხების გარკვევა სამომავლო სამუშაოდ გვესახება.

ანუ კონკრეტულობის მტკიცებისას ავტორზე დიდი გავლენა აქვს წმ. იოანე დამასკელის მოძღვრებას, კერძოდ, ელინისტური ფილოსოფიური ცნებების – ნათესავისა და სახის, ბუნებისა და გუამის (განუკუეთელის) – საფუძველზე შემუშავებულ არგუმენტებს (იოანე დამასკელი, დიალექტიკა **1976: 76-90; 97-100**). აბუკურას მიერ ჩამოთვლილი ისეთი სახელები, რომლებიც წმინდა სამების ბუნებას, მის არსებას გამოხატავენ, ზოგადი ხასიათისაა. ასეთი სახელებია: ღმერთი, უფალი, მყოფი, სახიერი, მართალი, ბრძენი, ძლიერი, მეფე, მეუფე, დამბადებელი, წმიდაჲ და სხვა. ხოლო სახელები, რომლებიც წმ. სამების ცალკეულ პირებს გამოხატავენ, არის განთვისებითი, ანუ გუამოვნებითნი. კონკრეტული პირის გამომხატველი სახელებია: მამა, ძე, სული წმიდა. აბუკურას თვალსაზრისით, არსების შესახებ თქმული საზოგადო სახელებიდან სიტყვა «**ღმერთი**» ზოგჯერ ითქმის საკუთრივ მამის შესახებ, «**უფალი**» – ძის შესახებ, «**წმიდაჲ**» – სულის შესახებ. ტრაქტატში საგანგებო მსჯელობით არის უარყოფილი სამების პირებთან დასმული ართრონისთვის ტერმინული მნიშვნელობის მინიჭების მწვალებლური გაგება. ეს არის თეოდორე აბუკურას ტრაქტატში გამოხატული ძირითადი თეზა მწვალებელთა წინააღმდეგ.

"ღმერთთან" ართრონის დასმა, აბუკურას აზრით, გულისხმობს მამას. ამის თაობაზე ტრაქტატში ვკითხულობთ:

„ვინაჲცა მოციქულთა და კნინღა ყოველმან საღმრთომან წერილმან რაჟამს თქუას «**ღმერთი**», ესრეთ განტევებულად და განუსაზღვრებელად და ვითარცა საყოველთაოდ ***ართრონითურთ***, და თჳნიერ თჳთებისა გუამოვნებითისა, მამასა ცხად-ჰყოფს“.

ეს ნიშნავს: როცა წმიდა წერილში და მოციქულების მიერაც ნახსენებია «**ღმერთი**» [**ὁ θεός**] თავისუფლად, განუსაზღვრელად და მასთან ართრონია დასმული, წმიდა სამებაში ეს მიემართება მამას. ტექსტში დასახელებულია ამის დამადასტურებელი ადგილები წმიდა წერილიდან:

რომ. I,1: „პავლე, მონაჲ იესუ ქრისტესი, ჩინებული მოციქული განსაზღვრებულად სახარებად ***ღმრთისა [τοῦ θεοῦ]***, ესე იგი არს ***მამისა***".

ებრ. I,1: „მრავალ-კერძო და მრავლით სახით მაშინვე ***ღმერთი [ὁ θεός]*** ძუელად მეტყუელი მამათაჲ“.

I კორ.VIII,5-6: „დაღათუ არიან ღმერთნი მრავალ, არამედ ჩუენდა ერთ არს ***ღმერთი [Θεός]*** – მამაჲ“.

ამ მაგალითებში **«მამა»**-სთან ზოგჯერ დასმულია ართრონი, ზოგჯერ იგი ართრონის გარეშეა მოხსენებული.

ტრაქტატის ავტორის მომდევნო მსჯელობა ეხება საკითხს, თუ რატომ იწოდება «ღმერთად» უფრო მეტად მამა, ვიდრე ძე და სული წმინდა. თეოდორე აბუკურას განმარტებით, ამის მიზეზი არის არა ართრონი, არამედ მხოლოდ ის გარემოება, რომ, მამაა მიზეზი ძისა და სულისა და არა – პირიქით. („რომლისაგან და რომლისა მიმართ აღიყვანებიან მისგანნი, ვინაჲთგან ძე და სული მამისად ითქუმიან და არა მამაჲ – მათდად“).

ამიტომ ითქმის „ძე ღვთისა“, „სიბრძნე ღვთისა“, „მკლავი ღვთისა“, ასევე „სული ღვთისა“, „თითი ღვთისა“.

აბუკურა, კერძოდ განმარტავს:

„მოღებულ იქმნა **«ღმერთი»** ვიდრემე **მამისათჳს** და იქმნა ვითარცა **უმეტეს მისთჳს** ამით, **რამეთუ იგი არს მიზეზი ძისა და სულისაჲ და მისდა მიმართ აღიყვანებიან**“ – ἐληφθη **τὸ** μὲν **θεὸς** ἐπὶ **τοῦ Πατρὸς** καὶ ἐγένετο αὐτῷ ὥσπερ **ἐξαίρετον** διότι **αἴτιος Υἱοῦ καὶ Πνεύματος καὶ εἷς αὐτον ἀναφέρονται (PG 97,col.1600 B 11-12).**

კიდევ, აბუკურას მიხედვით, **«ღმერთი»** ითქმის მამის მიმართ უფრო მეტად იმის გამო, რომ «მისგან არის შეერთება და სრულება სამებისა»:

„ხოლო ღმერთად ამისთჳს უმეტეს ითქუმის მამაჲ, ვინაჲთგან მისგან არს შეერთებაჲ, ესე იგი არს, საცნაურებაჲ და სრულებაჲ სამებისაჲ“.

თეოდორე აბუკურას ეს განმარტება სრულიად ეთანხმება მართლმადიდებლურ სწავლებას, რომ მამა «უფროესია» ძეზე (და სულზე) არა ჟამით ან ბუნებით, არამედ **მხოლოდ მიზეზობრივად, ვინაიდან მისგან იშვება ძე (და გამოდის სული) და არა პირიქით**

წმ. იოანე დამასკელის სწავლებით, „დაღათუ ვიტყჳთ მამასა დასაბამად ძისა და **უფროესად** მისსა, არა უპირველესობასა მისსა ძისაგან ჟამითა, ანუ ბუნებითა გამოვაჩინებთ, რამეთუ მის მიერ შექმნნა საუკუნენი, არცა სხჳთა რაჲთა, თჳნიერ **მიზეზითა ხოლო**, ესე იგი არს, რამეთუ **ძე მამისაგან იშვა და არა მამაჲ**

– ძისაგან, და რამეთუ **მამაჲ მიზეზი არს ძისაჲ ბუნებითი**... ვინაჲცა **რაჟამს გუესმეს დასაბამად და უფროჲსად ძისად მამაჲ, მიზეზობაჲ გულისჴმა-ვყოთ**“ (წმ.იოანე დამასკელი **2000: 52).**

მამა უფროსია ძეზე ორი გაგებით: **1.** მიზეზობრივად, ვინაიდან მამა არის მშობელი ძისა და არა პირიქით. **2.** ძის კაცობრივი ბუნების ბუნებისეულ თვისებათა (ქმნილობა, გარშემოწერილობა, მოკვდავობა და სხვა) გამო, რაც მამას არ აქვს (ჭელიძე **2016: 1404-1405).**

„მამაჲ უფროჲს არს"-ის მწვალებლურ გაგებას, რომელიც წმ. სამების პირთა უმეტეს-უდარესობას აცხადებს, "დოგმატიკონის" ქართული ხელნაწერების გადამწერები თავიანთი პოზიციიდან ეხმიანებიან.

A (S 1463), B (K 23), C (Q 50) ხელნაწერებში (რომლებიც **«დოგმატიკონის»** სხვა ტექსტებზე დაკვირვებით, ერთ ჯგუფად ერთიანდებიან), „მამაჲ უმეტეს ითქუმის" სიტყვების გასწვრივ, აშიაზე არის გლოსა: „შეისწავე უცხოჲ, ვითარმედ მამაჲ უმეტეს ითქუმის ღმერთად“ **(S 1463.294v; K 23.389r; Q 50.220r).** აღნიშნული გლოსა სრულად იკითხება **BC** ნუსხებში. **A** ნუსხაში კი მინაწერი ყოფილა და წაუშლიათ. იკითხება მხოლოდ ცალკეული მარცვლები: «აჲ...სი... მის... ად». აღნიშნულ გლოსაში „მამაჲ უმეტეს" შეფასებულია, როგორც **«უცხოჲ»**. მინაწერი შეიძლება ეკუთვნოდეს მთარგმნელს, არსენი იყალთოელს ან რომელიმე პროტოგრაფი ნუსხის გადამწერს. მინაწერის ავტორი **«უცხოდ»** ანუ «უჩვეულოდ» მიიჩნევს იმ აზრს, რომ „მამაჲ უმეტეს ითქუმის ღმერთად".

განსხვავებულია **D (S 312), E (S 248), F (H 1000)** ნუსხებში არსებული გლოსა. იქ წერია: „შეისწავე მამაჲ უმეტეს“ **(S 312.73r; S 248.67; H 1000.116v).**

საგანგებო ყურადღებას იქცევს ტრაქტატის ის მონაკვეთი, რომელიც ეხება წმ. სამების მეორე პირის, ძის მოხსენიებას. ავტორის განცხადებით, ძე ართრონის გარეშეც მოიხსენიება და ართრონთან ერთადაც. საღმრთო სახელებთან ართრონის ქონა-არქონით განსხვავება იქმნება იმის მიხედვით, დასახელებულია ბუნების აღმნიშვნელი საზოგადო სახელები, თუ გარკვეულ შემთხვევებში, იგივე სახელები ცალკეულ პირს, გუამს მიემართება.

ხშირია ართრონის გარეშე ძის დასახელება: „ბუნებისაგან უკუე შესმენით ითქუმის ***ძეცა ღმერთად*** და უმრავალჯერეს ***თჳნიერ ართრონისა***“ ანუ ბუნების მიხედვით ძეც ღმერთად იხსენიება და უფრო ხშირად ართრონის გარეშე.

უართრონოდ ძის მოხსენიებას თეოდორე აბუკურა უპირისპირებს ისეთ შემთხვევებს, როცა ძესთანაც, მამის მსგავსად, დასმულია ართრონი. ძის მოხსენიებას ართრონთან ერთად აბუკურა შემდეგ განმარტებას ურთავს:

„არა თუ სადმე მისთჳს **წინამდებარე იყოს სიტყუაჲ, ესე იგი არს გამოთქუმაჲ, და მაშინ აღყვანებით იქმნეს მისდა მიმართ, ვითარცა წინაშესწავებულისა პირისა მიმართ, ართრონი**“.

ავტორის განმარტებით, თუ ძის მოხსენიებისას მასთან თანაშერთულად მოხმობილია რაიმე სიტყვა ან ფრაზა როგორც მისი მახასიათებელი, მისი ნიშნეულობა, მაშინ მასაც დაესმის ართრონი. საილუსტრაციოდ მოტანილია პავლე მოციქულის სიტყვები:

„რომელთაგან **ქრისტე (ὁ Χριστός) ჴორციელად**“ და „რომელი-იგი არს **ღმერთი (ὁ Θεός) ყოველთა ზედა**“ (რომ. IX, 5).

ავტორის გამონათქვამი, რომ ძეს დაესმის ართრონი, თუ მას ახლავს რაიმე მახასიათებელი, სხვა საეკლესიო მამების შრომებშიც პოულობს ანალოგიას.

შეიძლება დავასახელოთ ათანასე ალექსანდრიელის ერთი ეპისტოლე, მიმართული მწვალებელთა წინააღმდეგ. დიდი მოძღვარი ამგვარად მიმართავს მათ:

„შეგიძლიათ იპოვოთ სადმე წმინდა წერილში, რომ სულიწმიდა დასახელებული იყოს უბრალოდ როგორც **«სული»**? ან დასახელებული იყოს რაიმე სიტყვის შემატების გარეშე, რომლითაც იგი ან ღმრთისაა, ან მამისაა, ან ჩემია, ან თვით ქრისტესი და ძისაა?... ან სიტყვა **«სულთან»** დასმული არ იყოს ართრონი და ნათქვამი იყოს მარტო **«სული»** (πνεῦμα) და არა – «ტო სული» (τὸ πνεῦμα) ? ... ან არ ჰქონდეს დასახელება: წმიდა სული ან მანუგეშებელი, ან სული ჭეშმარიტებისა ანუ ძისა? ართრონის გარეშე ან სიტყვის შემატების გარეშე **«სული»** სრულიადაც არ აღნიშნავს „წმიდა სულს“ (ათანასე

ალექსანდრიელი, ეპისტოლე I სერაპიონ თმუისელ ეპისკოპოსს (PG 26, col. 536-537).

როგორც ვხედავთ, ათანასე ალექსანდრიელი „**სულიწმიდისა**" და უბრალო «**სულის**» დასახელებისას მათი გამიჯვნის იმავე პირობებს ასახელებს, რაც ძის მიმართ გამოთქმულია თეოდორე აბუკურას მიერ. კერძოდ, საკუთრივ «სულიწმინდის» (და არა უბრალოდ «სულის») სახელდებისას ადგილი აქვს რაიმე სიტყვის (მახასითებლის) შემატებას ან ართრონის დასმას.

მაინც იბადება კითხვა: ხომ არ აქვს კიდევ სხვა რამ დანიშნულება ართრონის დასმას ძესთან ან სული წმიდასთან?

გავიმეორებთ აბუკურას მოსაზრებას ართრონის ფუნქციის შესახებ:

ავტორის დასკვნით, თუ ძესთან კონტექსტში მიმატებულია რაიმე მახასიათებელი სიტყვა, მაშინ დაისმის ართრონი.

გარდა აღნიშნული მნიშვნელობისა, „სიტყუაჲ ართრონთათჳს"-ის ქართველი ავტორი პირდაპირ ლაპარაკობს ბერძნული ართრონის კიდევ ერთი ფუნქციის შესახებ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართველი ავტორის სიტყვებით, ართრონი ამშვენებს სიტყვას და მას მეტ პატივს ანიჭებს. ართრონის ფუნქციის ამგვარ განმარტებას ბერძენ ავტორებთან ჩვენ ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ.

ამგვარია თეოდორე აბუკურას აღნიშნულ ტრაქტატში ართრონის საღვთისმეტყველო გააზრება.

მისივე[1] მოძღურებაჲ შემოკლებული[2] საღმრთოთა სახელთათჳს საზოგადოთა სამებისათა და განთჳსებულთა თითოეულისა[3] გუამისათა	Σύντομος διδασκαλία περὶ θείων ὀνομάτων, τῶν τε κοινῶν Τριάδος, καὶ τῶν ἰδικῶν ἰδικῶν ἑκάστου τῆς Τριάδος.
1. არიან საზოგადონი სახელნი წმიდისა სამებისათჳს მოხუმულნი[4] და ვითარცა საღმრთოჲსა არსებისა ზედა[5] თქუმულნი, ვითარ-იგი: ღმერთი, უფალი, მყოფი, სახიერი, მართალი, ბრძენი, ძლიერი, მეფე, მეუფე, დამბადებელი, წინაგანმგებელი, მაცხოვარი, წმიდაჲ, და რაოდენნი-რაჲ არიან ესევითარნი[6] საზოგადოდ საღმრთოჲსა ბუნებისა ზედა მოხუმულნი[7] და არა ერთისა განთჳსებულისა გუამისა ზედა.	Ἔστιν ὀνόματα κοινὰ διὰ τῆς ἁγίας Τριάδος διήκοντα, ὡς ἐπὶ τῆς θεϊκῆς οὐσίας λεγόμενα· οἷον τὸ Θεὸς, τὸ Κύριος, ἀγαθὸς, δίκαιος, σοφὸς, δθνατὸς, Βασιλεὺς, Δεσπότης, Δημιουργὸς, προνοητὴς, Σωτὴρ, ἅγιος, καὶ ὅσα τοιαῦτα κοινῶς ἐπὶ τῆς θείας φύσεως τιθέμενα, κὰι οὐκ ἔστι μιᾶς ἰδιαζόντως ὑποστάσεως.
2. ხოლო არიან განთჳსებითნიცა[8], ესე იგი არს, გუამოვნებითნი[9], ვითარ-იგი მამაჲ და ძე და სული წმიდაჲ. ამათ უკუე საზოგადოთა სახელთა არსებისა ზედა თქუმულთაგანნი მოღებულ იქმნა „ღმერთი“ ვიდრემე მამისათჳს, და იქმნა ვითარცა უმეტეს მისთჳს ამით[10], რამეთუ იგი არს მიზეზი ძისა და სულისაჲ და მისსა[11]	Ἔστι δὲ καὶ ἰδικὰ, ἤγουν ὑποστατικά· οἷον ὁ Πατὴρ, Υὶὸς, ἅγιον Πνεῦμα. Τούτων ὄντων κοινῶν ὀνομάτων, τῶν ἐπὶ τῆς οὐσίας λεγομένων ἐλήφθη τὸ μὲν, Θεός, ἐπὶ τοῦ Πατρὸς, καὶ ἐγένετο αὐτῶ ὥσπερ ἐξαίρετον· διότι αἴτιος Υἱοῦ, καί Πνεύματος, καὶ εἰς αὐτὸν ἀναφέρονται. Τὸ δὲ, Κύριος, ἐπί τοῦ Υἱοῦ ὡσαύτως’ τὸ δὲ, ἅγιον Πνεῦμα, ἐπὶ τοῦ Πνεύματος.

მიმართ აღიყვანებიან. ხოლო უფალი - ეგრეთვე ძისათჳს, და წმიდისა სულისათჳს.[12] 3. ვინაჲცა მოციქულთა და კნინღა ყოველმან საღმრთომან წერილმან რაჟამს თქუას „ღმერთი“ ესრეთ განტევებულად და განუსაზღვრებელად და ვითარცა საყოველთაოდ **ართრონითურთ**[13], და თჳნიერ თჳთებისა გუამოვნებითისა, მამასა ცხად-ჰყოფს.	Ὅθεν οἱ ἀπόστολοι, καὶ πᾶσα σχεδὸν ἡ Θεία Γραφὴ, ὅτ’ ἂν εἴπῃ ὁ Θεὸς, οὕτως ἀπολύτως, καὶ ἀπροσδιορίστως, καὶ ὡς ἐπίπαν σὺν ἄρθρῳ, καὶ χωρὶς ἰδιώματος ὑποστατικοῦ, τὸν Πατέρα δηλοῖ. Οἷον·
4. „ვითარ-იგი, ვითარმედ პავლე, მონაჲ იესუ[14] ქრისტესი, ჩინებული მოციქული, განსაზღვრებულად სახარებად ღმრთისა“, ესე იგი არს, მამისა[15]; და კუალად, „მრავლით კერძო და მრავლით სახით ძუელად მეტყუელი ღმერთი მამათაჲ“[16], ცხად-არს, ვითარმედ - მამაჲ. 5. ხოლო მრწამსი სარწმუნოებისაჲ: „ერთისა ღმრთისა“- მამისა და „ერთისა უფლისა“ - ძისა რწმუნებასა[17] აღიარებს; 6. და მოციქული: „დაღათუ არიან ღმერთნი მრავალ, არამედ ჩუენდა ერთ არს ღმერთი - მამაჲ“[18]. და „დაღათუ არიან უფალნი მრავალ, არამედ ჩუენდა ერთ არს უფალი - ძე“[19]. 7. ხოლო ღმერთად ამისთჳს უმეტეს ითქუმის მამაჲ[20], ვინაჲთგან მისგან არს შეერთებაჲ, ესე იგი არს, საცნაურებაჲ და სრულებაჲ[21] სამებისაჲ, ვითარცა	Παῦλος δοῦλος Ἰησοῦ Χριστοῦ, κλητὸς ἀπόστολος, ἀφωρισμένος εἰς Εὐαγγέλιον Θεοῦ, ἤτοι τοῦ Πατρός. Καὶ πάλιν· Πολυμερῶς, καὶ πολυτρόπως πάλαι ὁ Θεὸς λαλήσας τοῖς πατράσιν, ἤγουν ὁ Πατὴρ. Καὶ τὸ σύμβολον τῆς πίστεως [Πιστεύω] εἰς ἕνα Θεὸν, ἤτοι τὸν Πατέρα, καὶ εἰς ἕνα Κύριον, ἤτοι τὸν Υἱόν. Καὶ ὁ Ἀπόστολος· Εἴπερ γάρ εἰσι πολλοὶ θεοὶ, ἀλλ’ ἡμῖν εἷς Θεὸς ὁ Πατήρ. Καὶ· Εἴπερ εἰσὶ κύριοι πολλοὶ, ἀλλ’ ἡμῖν εἷς Κύριος ὁ Υἱός. Θεὸς δὲ ἐξαιρέτως λέγεται· ἐπειδή ἡ ἕνωσις, ἤτοι ἀνάπτυξις, καὶ ἀνακεφαλαίωσις τῆς Τριάδος, ὁ Πατήρ ἐστιν, ὡς εἶπεν ὁ Θεολόγος· Ἡμῖν δὲ εἷς Θεὸς ὁ Πατὴρ, ὅτι μία θεότης. Καὶ πάλιν· Εἰς ἓν αἴτιον τοῦ Υἱοῦ, καὶ Πνεύματος ἀναφερομένων, οὐ συντιθεμένων, οὐδὲ συναλειφομένων. Καὶ πάλιν· Ἕνωσις ὁ Πατὴρ, ἐξ οὗ πρὸς ὃν ἀναφέρεται τὰ ἐξ αὐτοῦ· ἐπειδή ὁ Υἱὸς, καὶ τὸ Πνεῦμα τοῦ

თქუა ღმრთისმეტყველმან: „ხოლო ჩუენდა ერთ არს ღმერთი, რამეთუ ერთ არს ღმრთეებაჲ“.[22] 8. და კუალად, ვითარმედ[23]: „ერთისა მიზეზისა მიმართ[0] ძისა და სულისა აღყვანებითა, არა თანაშეთხზნილთა[24], არცა თანა-შერწყუმულთათა“[25]. 9. და კუალად, „ერთობაჲ[26] არს მამაჲ, რომლისაგან და რომლისა მიმართ აღიყვანებიან მისგანნი-იგი“, ვინაჲთგან ძე და სული მამისად ითქუმიან და[27] არა მამაჲ - მათდად, ვითარ-იგი ვითარმედ: ძე ღმრთისაჲ, სიბრძნე ღმრთისაჲ, სიტყუაჲ ღმრთისაჲ[28], მკლავი ღმრთისაჲ, მარჯუენე ღმრთისაჲ. და ეგრეთვე სული, ვითარმედ: სული ღმრთისაჲ, თითი ღმრთისაჲ, რომელთა მიერ მამისა მიმართ[29] აღიყვანებიან იგინი და არა მამაჲ - მათდა მიმართ.	Πατρὸς λέγονται, οὐχὶ ὁ Πατὴρ αὐτῶν. Οἷον· Ὁ Υἱὸς τοῦ λεγόμενοι.Θεοῦ, Σοφία τοῦ Θεοῦ, Λόγις τοῦ Θεοῦ, Δύναμις τοῦ Θεοῦ, βραχίων τοῦ Θεοῦ, δεξιὰ τοῦ Θεοῦ. Καὶ τὸ Πνεῦμα ὡσαύτως· Πνεῦμα τοῦ Θεοῦ, δάκτυλος τοῦ Θεοῦ. Εἰς αὐτὸν οὖν τὸν Πατέρα ἀναφέρονται, οὐχὶ ὁ Πατὴρ εἰς αὐτά
10. ხოლო უკუეთუ ჰპოებ სახელსა ამას, ვითარმედ „ღმერთი“ ძისაცა ზედა[30] და კუალად, ვითარმედ: „უფალი“ - მამისა ზედა და სულისა, და ვითარმედ: წმიდაჲ[31] სული - მამისა ზედა, ვითარ-იგი, ვითარმედ: „წმიდაო ღმერთო“ (ფს. 98. 9), ცხად-არს, ვითარმედ მამასა იტყჳს. და ვითარმედ „სულ არს ღმერთი“ (ი. 4.24). ესე სახელნი ბუნებისანი არიან. ხოლო	Εἰ δὲ καὶ εὕρῃς τὸ Θεὸς ὄνομα ἐπὶ τοῦ Υἱοῦ, καὶ τὸ Κύριος ἐπὶ τοῦ Πατρὸς, καὶ τοῦ Πνεύματος, καὶ τὸ Ἅγιος, καὶ τὸ Πνεῦμα ἐπὶ τοῦ Πατρός· ὡς τό· Ἅγιος ὁ Θεὸς, δῆλον ὁ Πατήρ· καὶ τὸ Πνεῦμα ὁ Θεός· τοῦτα ὀνόματα τῆς φύσεως ὄντα κατηγοροῦνταί ποτε καὶ τῶν ὑποστάσεων.
	Κατεγορικῶν οὖν ἐκ τῆς φύσεως λέγεται καὶ Υἱὸς ὁ Θεός· καὶ ὡς ἐπὶ τὸ πλεῖστον, χωρὶς ἄρθρου, εἰ μήπω πρόκειται περὶ αὐτοῦ ὁ λόγος εἰγοῦν ἡ φράσις. Καὶ

შეისმინებიან[32] ოდესმე გუამოვნებითადცა.[33]

11. და ბუნებისაგან უკუე შესმენით ითქუმის ძეცა ღმერთად და უმრავალჯერეს თჳნიერ **ართრონისა**. არათუ სადმე მისთჳს წინამდებარე იყოს სიტყუაჲ, ესე იგი არს, გამოთქუმაჲ, და მაშინ აღყვანებით იქმნეს მისდა მიმართ, ვითარცა წინაშესწავებულისა პირისა მიმართ, **ართრონი**, ვითარ-იგი აქუს მუნ, ვითარმედ „რომელთაგან ქრისტე ჴორციელად“, რომელ „არს ღმერთი ყოველთა ზედა“[34].

12. ხოლო ამისი შესწავებაჲ საჴმარ არს, ვითარმედ ვერცა ერთი რაჲ სახელთაგანი[35] ცხად-ჰყოფს არსებასა[36] ღმრთისასა[37], ვითარ-იგი სხუათა საქმეთასა. რამეთუ უკუეთუ ვთქუათ: ქვაჲ, ანუ ოქროჲ, ანუ ჴარი, ანუ კაცი - არსებასა[38] თითოეულისასა ცხად-ვჰყოფთ სახელისა მიერ. ხოლო უკუეთუ ვთქუათ ღმერთი, ანუ უფალი, ანუ მეუფე[39] ანუ მამაჲ, ანუ ძე, ანუ რომელივე სახელი, - ღმრთისა ზედა მოქმედებასა შევისწავებთ, ანუ თჳსებასა. რამეთუ ღმერთი, ანუ შემოქმედი -მოქმედებისა, ხოლო მეფე, ანუ მეუფე, ანუ მამაჲ - თჳსებისა საცნაურება არიან[40].

τηνικαῦτα ἀναφορικὸν γένηται εἰς αὐτὸν, ὡς εἰς προεγνωσμένον πρόσωπον, τὸ ἄρθρον, ὃς ἔχει τὸ, Ἐξ ὧν ὁ Χριστὸς τὸ κατὰ σάρκα, καὶ· Ὁ ὢν ἐπὶ πάντων Θεός.

Καὶ τοῦτο δὲ χρὴ γινώσκειν, ὅτι οὐδὲν τῶν ὀνομάτων τῆς οὐσίας τοῦ Θεοῦ δηλωτικόν ἐστιν· ὥσπερ καὶ τῶν λοιπῶν πραγμάτων. Ἐὰν γὰρ εἴπωμεν λίθον, ἢ χρυσὸν, ἢ βοῦν, ἢ ἄνθρωπον, τὴν οὐσίαν ἑκάστου διὰ τοῦ ἀνόματος δηλοῦμεν. Ἐὰν δὲ εἴπωμεν Θεὸν, ἢ καὶ Κύριον, ἢ Βασιλέα, ἢ Πατέρα, ἢ Υἱὸν, ἢ οἱονδηποτοῦν ὄνομα ἐπὶ Θεοῦ, ἐνέργειαν, ἢ σχέσιν σημαίνομεν. Θεὸς μὲν γὰρ ἢ ποιητής, ἐνεργείας· Βασιλεὺς δὲ, ἢ Δεσπότης, ἢ Πατὴρ, σχέσεως.

ტექსტი გამოქვეყნებულია შემდეგი ხელნაწერების მიხედვით: **A- S 1463 (XIს.), B - ქუთ. 23 (XIIIს), C – Q 50 (1777წ.), D - S 312 (1541წ.), E – S 248 (XVIIIს.), F – H 1000 (XVIIIს.), G - A 65 (1188-1210 წწ.).** ტექსტის კრიტიკულ აპარატში თავი ავარიდეთ ორთოგრაფიული ხასიათის სხვაობების ჩვენებას და მითითებულია მხოლოდ გრამატიკულ-შინაარსობლივი ხასიათის ვარიანტები. ტექსტი ხელნაწერებში იწყება შემდეგ გვერდებზე: **A - 294v, B –386r, C - 220r, D – 73r, E - 199, F -116v, G –165v.** ტექსტი დაყოფილი გვაქვს პარაგრაფებად.

1 მისივე - **DEF**

2 შემოკრებული **G**

3 თჳთოეულისა **EF**

4 მოხმულნი **F**

5 საღმრთოსა არსებასა ზედა **DEF**

6 ესევითარნი **+** არამედ **DEF**

7 მოხმულნი **DEF**

8 განთჳსებულნიცა **EF**

9 გუამოვნებითნიცა **DEF**

10 **marg.** აჲ... სი... მის... ად **A,** შეისწავე უცხოჲ, ვითარმედ მამაჲ უმეტეს ითქუმის ღმერთად **BCG,** შეისწავე მამა უმეტეს **DEF**

11 მისა **DEF**

12 წმიდაჲ სულისათჳს **A,** ~ სულისა წმიდისათჳს **E**

[13] ანთრონითურთ **DEF**

[14] იესო **EF**

[15] რომ. **I,1**

[16] ებრ.**I,1**

[17] სარწმუნოებასა **DEF**

[18] **I** კორ. **VIII, 5-6.**

[19] აშიაზეა: შეისწავე **A**

[20] აშიაზეა: „შეისწავე, თუ რომლისათჳს ღმრთად უმეტეს ითქუმის მამაჲ“ **G**

[21] სულიერებაჲ **G**

[22] გრიგოლ ნაზიანზელი, ასერგასისთა ეპისკოპოსთა მიმართ, **Or.42.**

[23] ვითარცა **DEF**

[24] თანაშეთხზნითა **DEF**

[25] თანაშერწყუმულთაჲთა **DEF**

[26] ერთობა **ABCDEF**

[27] და **- ABG**

[28] სიტყუაჲ ღმრთისაჲ **- DEF**

[29] მამისა მიმართ **+** მუნ **C**

[30] ღმერთი ძისაცა ზედა] კუალადცა ღმრთისა ზედა DEF

[31] წმიდაჲ + და ABC

[32] აშიაზეა: „შეისწავე სათანადოჲ“ G

[33] გუამოვნებათადცა ABC

[34] რომ. IX,IV

[35] ვერცა ერთი რაჲ სახელთაგანი] ვერცა სახელთა სახელდებულთა DEF

[36] არსობასა G

[37] აშიაზეა: “შეისწავე“ AG.

[38] არსობასა G

[39] მეფე DEF

[40] ტექსტის ბოლო კონტექსტს, დაწყებული სიტყვებიდან „ არსებასა ღმრთისასა“... ვიდრე ბოლო სიტყვებამდე “ საცნაურება არიან“ ტექსტის ხელითვე სინგურით გარს შემოწერილი აქვს სიტყვები: „ესე მე ესრეთ ვიოფლე აქამომდის“ G.

ლექსიკონი

ართრონი - τὸ ἄρθρον - 3, 11 არტიკლი
არსებაჲ - ἡ οὐσία 1, 2, 12
აღყვანება - ἀναφέρω 2, 9 აყვანა.
აღყვანებაჲ - ἀναφερόμενος 8,11

ბრძენი - σοφός 1
ბუნებაᲐ - ἡ φύσις 10, 11
გამოთქუმაᲐ - ἡ φράσις 11, ფრაზა
განთჳსებითი - ἰδικός 2 *კონკრეტული, საკუთარი*
განთჳსებული - ἰδικός სათ. *კონკრეტული*
განთჳსებული გუამი - ἡ ἰδιαζόντη ὑποστάσις 1, *ცალკეული პირი*
განსაზღვრებული - ἀφωρισμένος 4 *განსაზღვრული*
განტევებულად - ἀπολύτως 3 *თავისუფლად, ცალკე*
განუსაზღვრებელად - ἀπροσδιορίστως 3
გუამი - ἡ ὑπόστασις სათ. *პირი*
გუამოვნებაᲐ - ἡ ὑπόστασις 6 *პირი*
დამბადებელი - Δημιουργός 1
ერთობაᲐ - ἡ ἕνωσις 9, 11
თანაშეთხზნილი - συντιθεμένος 8 *გართიანებული, შერწყმული*
მრავალ კერძო - πολυμερός 4 *მრავალი ნაწილისგან შემდგარი*
მრავალსახე - πολυτρόπος 4
მრწამსი - τὸ σύμβολον 5 *სარწმუნოების სიმბოლო*
პირი - τὸ πρόσωπον 11
სამებაᲐ - ἡ Τρίας სათ. ,2
საზოგადო სახელი - τὸ κοινός ὀνόμα 1, 2
სარწმუნოებაᲐ - ἡ πίστις 5
საღმრთოᲐ ბუნებაᲐ - ἡ θεὶα φύσις 1
საღმრთოᲐ წერილი - ἡ θεὶα Γραφή 3
საყოველთაოᲐ - ἐπίπαν 3
საცნაურებაᲐ - ἡ ἀνάπτυξις 7 *შეცნობა, განმარტება*
სახელი - τὸ ὀνόμα 10, 12
სახიერი - ἀγαθός 1 *კეთილი, მოწყალე*
სიბრძნე ღმრთისა Ა - ἡ Σοφία τοῦ Θεοῦ 9
სიტყუაᲐ - ὁ Λόγος 9, 11 *სიტყვა, ლოგოსი*
სრულებაᲐ - ἡ ἀνακεφαλαίωσις 7 *გაერთიანება, ერთად თავმოყრა*
სული - τὸ Πεῦμα 2, 8, 9,10
სული წმიდაᲐ - ἅγιος Πνεῦμα 2
უმეტესი - ἐξαίρετος 2, 7
უფალი - τὸ Κύριος 1,10, 12 Κυριος 2, 6
ქრისტე - ὁ Χριστός 11
ღმერთი - ὁ Θέος 1, 3, 4, 10, 11 θέος 2,5, 7, 12
ღმრთეებაᲐ - ἡ θεότης 7

ღმრთისმეტყველი - ὁ Θεολόγος 7
შეერთებაᲐ - ἡ ἕνωσις 7
შესმენა - κατηγορέω 10 გამოთქმა, მტკიცება
შესმენაᲐ - ἡ κατηγορία 11 *ძირითადი, საზოგადო ნიშანი, კატეგორია*
შემოკლებული - σύντομος *სათ.*
შემოქმედი - ὁ ποιητής 12
შესწავება - σημαίνω 12 *აღნიშნვა, მითითება*
შესწავებაᲐ - γινώσκειν 12 *შეცნობა, ათვისება*
ჩინებული - κλητός 4 *წვეული, ხმობილი*
ცხად-ყოფა -- δηλόω 3, δηλωτικὸν εἶναι 12
ძე - ὁ Υἱός 6,8, 9; Υἱός 2,11
ძე ღმრთისაᲐ - ὁ Υἱὸς τοῦ Θεοῦ 9
ძლიერი - δυνατός 1
წინაგანმგებელი - προνοητής 1 *წინაწარ განმგებელი*
წინაშესწავებული - προεγνωσμένος 11 *წინასწარ ცნობილი*
წმიდაᲐ - ἁγίος 1; τὸ ἁγίος 10
ჯორციელად - τὸ κατὰ σάρκα 11 *სხეულებრივად*

გამოყენებული ლიტერატურა

იოანე დამასკელი, დიალექტიკა, 1976 – იოანე დამასკელი, დიალექტიკა, ქართული თარგმანების ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მაია რაფავამ, თბ. 1976.

სიტყუაჲ ართრონთათჳს 1990 – სიტყუაჲ ართრონთათჳს, ძველი ქართული გრამატიკული ტრაქტატი, მზ. შანიძის გამოც. თბ. 1990.

წმ. იოანე დამასკელი 2000 – წმ. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, თბილისი, 2000.

ჭელიძე 2016: – ე. ჭელიძე, საეკლესიო დოგმატიკა და ერესები, I, თბილისი, 2016.

Nestle-Aland (Eds.). 1981 – Nestle-Aland (Eds.), Greek-English New Testamrnt, Dautsche Bibelgesellschaft, 1981.

PG 26 – Athanasii ... Epistola ad Serapionem Thmuitanum episcopum.

PG 97 – Thedori Abucarae, Carum episcopi, Contra Haereticos, Iudeos et Saracenos, Varia Opuscula, XLII.

PG 36 – Logos XXIX.

Восточные отцы и учителя церкви IV века, т. I, 1998.

Maia Rapava

Concerning the Grammatical Arthron of Divine Names in One Treatise of Theodore Abucura

The Author of the present article analyses one of very important treatises of the well-known Theologian Theodore Abucura (VIII c.), titled as: «A Brief Doctrine of Divine Names – Common Names of the Trinity and Separated Names of each Hypostasis». The emphasis is laid upon the fact that the question of gramatical arthron was a theme of discussion among orthodox fathers (namely, John Chrysostom) and heretics. The ancient Georgian translation of the above-mentioned treatise of Abucura is prepared for publication.



მირიან გუნია

დაცემული ანგელოზის „მთიებად“ სახელდების შესახებ

შესავალი

ესაიას საწინასწარმეტყველო წიგნში ვკითხულობთ: „ყოველთა მოგიგონ და გრქუან შენ: და შენცა ტყუე იქმენ, ვითარცა ჩვენ, და ჩვენ თანა შეირაცხე. ხოლო შთაჯდა ჯოჯოხეთად დიდებაჲ შენი და მრავალი შუებულებაჲ შენი, ქუეშე შენსა დაგირეცონ დალპოლვაჲ და სავანე შენდა მატლი. **ვითარ განვარდა ცისაგან მთიები განთიად აღმომავალი**? შეიმუსრა ქუეყანასა ზედა განმავლენელი ყოველთა წარმართთა. ხოლო შენ სთქუ გულსა შინა შენსა: ზეცად მიმართ აღვიდე, ზედაჲთ ვარსკულავთა ცისათასა დავდგა საყდარი ჩემი, დავჯდე მთასა ზედა მაღალსა. მთათა ზედა მაღალთა ჩრდილოჲთ. აღვიდე ზედა ღრუბელთა და ვიყო მსგავს მაღლისა. ხოლო აწ ჯოჯოხეთადმი შთაჰჯდე და საფუძველთა მიმართ ქვეყანისათა (*ესაია, G, 14.10-15; შდრმული სიტყვების ოშკური რედაქცია:* **„ვითარ გარდამოვარდა ზეცით მთიები იგი, რომელი განთიად აღმოვალს!“**)[1].

---

1 შდრ. **თან. ქართ.** „...**როგორ ჩამოემხე ციდან, მთიებო, ძეო განთიადისა**! მიწას დაენარცხე, ხალხთა მტარვალო! გუშინ

წარმოდგენილ მუხლებში წინასწარმეტყველი ბაბილონის მეფის ამპარტავნულ გულისწყრომაზე საუბრობს და, მეტაფორული თხრობის გამოყენებით, დაცემულ ანგელოზთან დაკავშირებულ სახისმეტყველებას გვთავაზობს, რომელმაც გულში თქვა: „ზეცად მიმართ აღვიდე, ზედაჲთ ვარსკულავთა ცისათასა დავდგა საყდარი ჩემი, დავჯდე მთასა ზედა მაღალსა. მთათა ზედა მაღალთა ჩრდილოთ. აღვიდე ზედა ღრუბელთა და ვიყო მსგავს მაღლისა“, მაგრამ **ამპარტავნებასა და შურს დამონებული, უკეთური გულისთქმისათვის განიდევნა ზეციური ყოფისაგან და შთახდა რა ჯოჯოხეთამდე**, წინასწარმეტყველიც ამბობს მასზე: „**ვითარ განვარდა ცისაგან მთიები განთიად აღმომავალი**?“, რაც თანამედროვე ქართულ თარგმანში უშუალოდ დაცემულსადმი მიმართვის ფორმით არის წარმოჩენილი - „**როგორ ჩამოემხე ციდან, მთიებო, ძეო განთიადისა!**“.

აღნიშნულ შემთხვევაში ჩვენს ყურადღებას იქცევს სახელდებითი მიმართვა - „**მთიებო**“ და ვინაობის განმსაზღვრელი წოდებითი სინტაგმური წყვილი - „**ძეო განთიადისა**".

საბა „**მთიებს**“ ასე განმარტავს: „**მთიები ესე არს აფროდიტი**[1], **რომელ არს ცისკრის ვარსკვლავი. მთიები ითქმის**

ამბობდი: ცად ავხდები, ღვთის ვარსკვლავთა ზემოთ ტახტს დავიდგამ და დავჯდები საკრებულო მთაზე, ჩრდილო კალთებზე. მაღლა ღრუბლებში ავიჭრები, უზენაესს გავუტოლდებიო! მაგრამ შავეთში ჩადიხარ, ქვესკნელის უფსკრულებში“.

1 შდრ. „**აფროდიტი** - (ვარსკ.) **ასპიროზ**. მესამეს(ა) ცასა ზედ(ა) არს, რომელს(ა) ეწოდების მელტარო, ხოლო ცისა მის ძრვა დასავლით აღმოსავალისა მიმართ არს, წელიწადსა შინა ერთგზის მოიქცევის, ხოლო აფროდიტის სიდიდე არს ოცდაშვიდჯერ ქვეყნისა ოდენი. **ესე აფროდი (აფროდიტი)** იგი არს, რომელსა **ცისკრის ვარსკვლავად** უხმობენ. ესე მოვლის სიმრგვლესა ცისასა ერთსა წელიწადსა. ოდესმე ვალს ღამე და ოდესმე დღისით. **ოდეს საცისკროდ აღმოვალს, ეწოდების მთიები, ხოლო ოდეს საშუხროდ აღმოვალს ეწოდების აფროდიტი**. ამისა იტყვიან სახე აქვს ქალწულისა, ხელთა აქვს პურიო“ (ლექსიკონი

განმანათლებელად (გინა მათენებელად). მთიები, რომელ ესაიას წიგნში 14, 12 წერილ არს, იგი არს მთავარი ეშმაკთა და აწ წმიდათათვის არს სახელი იგი და ადგილი მისი ზეცისა სასუფეველსა“[1].

დავიმოწმებთ ჩვენს მიერ მოხმობილი მუხლის (**„როგორ ჩამოემხე ციდან, მთიებო, ძეო განთიადისა!**“) ებრაულ დედანს: אֵיךְ נָפַלְתָּ מִשָּׁמַיִם, הֵילֵל בֶּן-שָׁחַר **(hêlel bên-shâhar)**“[2], სადაც הֵילֵל **(hêlel)** გულისხმობს **დიდებულს/ბრწყინვალეს/კაშკაშას** (შდრ. ინგლ. **shining one**). ასევე, ებრაეული בֶּן **(bên)** იგივეა, რაც **ძე (შვილი)**, ხოლო ტერმინი שָׁחַר **(shâhar) განთიადს** მიემართება. ასე რომ, სინტაგმა בֶּן-שָׁחַר **(bên-shâhar) - „ძეო განთიადისა**“, არის ის მიმართვითი ფორმა, რომლისადმიც ითქმის: הֵילֵל בֶּן-שָׁחַר **(hêlel bên-shâhar; ჰელელ ბენ-შაჰარ)**, ანუ, «**როგორ ჩამოემხე ციდან**».

ქართული, სულხან-საბა ორბელიანი, ნაწილი I, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1991, გვ. 73); ***ასევე:*** წმ. იოანე დამასკელი აღნიშნულის შესახებ ბრძანებს: „**შვიდ სარტყელს ამბობენ ცისას**, - ერთს მეორეზე უფრო მაღალს. ამბობენ, აგრეთვე, რომ ცის ბუნება ყველაზე უფრო დაწლობილია, მსგავსად კვამლისა, და რომ თითოეულ სარტყელზე თითო ცთომილია. ამიტომ, შვიდი ცთომილი თქვეს მათ: **მზე, მთვარე, იუპიტერი, მერკური, მარსი, ვენერა, სატურნი** (ისინი **ვენერას** ხან **ცისკრის**, ხან **მწუხრის მთიებად** ამბობენ) (შდრ. **ბერძ.** „**Ἀφροδίτην** δέ φασι τόν ποτέ μέν **Ἕοσφόρον**, ποτέ δέ **Ἕσπερον** γινόμενον"; **ინგლ.** „But sometimes **Venus** is called **Lucifer** and sometimes **Vesper**"; **რუს.** „**Венерой**, с другой стороны, называют то **Утреннюю звезду**, то **Вечернюю**...“)" („მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა“, *წმინდა იოანე დამასკელი, ძეგლი ბერძნულიდან თარგმნა, ორიგინალი და ინგლისურ-რუსული თარგმანები დაურთო, წინათქმა წაუმძღვარა და სქოლიოებით აღჭურვა ედიშერ ჭელიძემ, თბილისი, 2019, გვ. 144-145).*

1 ლექსიკონი ქართული, I, დასახ. გამოც. გვ. 475.

2 ებრაულენოვანი ტექსტი დამოწმებულია შემდეგი წყაროდან: იხ. ინტერ. საიტი: https://www.scripture4all.org/OnlineInterlinear/OTpdf/isa14.pdf

უნდა აღინიშნოს, რომ ძველქართული „**მთიები**“ ანალოგია ებრაული - „**ჰელალისა**“ (הֵילֵל; **hêlel; ბრწყინვალე/კაშკაშა; ინგლ. shining one**), რის დასტურადაც, ზემოწარმოდგენილ მუხლთა ებრაული პირველწყარო სიტყვა-სიტყვით, ინგლისურ ენაზე, ასე შეიძლება გადმოიცეს: „How you have fallen from heaven, **hêlel, son of the dawn!**“.

შესაბამისად, ვიღებთ გელათური რედაქციის ტოლფას ფრაზას: „როგორ ჩამოემხე ციდან (How you have fallen from heaven), **მთიებო (hêlel; კაშკაშავ; ებრ.** הֵילֵל; **მ.გ.), ძეო განთიადისა!**“ (**son of the dawn;** בֶּן-שָׁחַר;).

დამოწმებულ სიტყვათა ლათინური შესატყვისი ტერმინოლოგიური თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ნეტარი მამის, იერონიმე სტრიდონელის **ვულგატა** ესაიას ზემორე სიტყვებს ასე გადმოგვცემს: „Quomodo cecidisti de caelo **lucifer qui mane oriebaris** corruisti in terram qui vulnerabas gentes“[1].

აქ ფრაზა - **lucifer qui mane oribearis** - მეფე ჯეიმსის ინგლისურენოვანი ბიბლის (**KJV**) შესაბამის ტექსტთან სრულ თანხვედრაშია (შდრ. „**O lucifer son of the morning**“)[2], რაც, თავის მხრივ, ქართულენოვანი ბწკარედული თარგმანით ასე შეგვიძლია წარმოვადგინოთ: „**ო! კაშკაშავ, ძეო განთიადისა**“.

იგივეობრივი შესატყვისი გვხდება რუსულ და ძველბერძნულ თარგმანებშიც.

კერძოდ, **რუსული სინოდალური გამოცემის** ტექსტი ამგვარია: „Как упал ты с неба, **денница, сын зари!**“, სადაც **денница** სინონიმია ტერმინისა **Светоносец** ანუ **ნათელშემოსილი**[3].

---

1 ლათინური ტექსტი დამოწმებული შემდეგი გამოცემიდან: Biblia sacra, Iuxta Vulgatam Versionem, Stuttgart. 1969, 1994.

2 შდრ. *KJV:* „How art thou fallen from heaven, **O Lucifer, Son of the morning!**" (ინგლისური ტექსტი დამოწმებულია შემდეგი გამოცემიდა: „The Holy Bible", Old and New Testaments, Oxford University Press, 10/96).

3 Полный церковно-славянский словарь; იხ. ინტერ. საიტი http://www.orthodic.org/word/13747; წმ. იოანე დამასკელი «გარდამოცემაში»

„სეპტუაგინტაში“ ზემორე ებრაულ ფრაზას (הֵילֵל בֶּן-שָׁחַר **- hêlel bên-shâhar)** შეესაბამებაა **ὁ ἑωσφόρος ὁ πρωΐ ἀνατέλλων** *(სრულად:* Πῶς ἐξέπεσεν ἐκ τοῦ οὐρανοῦ **ὁ ἑωσφόρος ὁ πρωΐ ἀνατέλλων;)**[1].

ყურადღებას იქცევს ბერძნული ტერმინი **ἑωσφόρος (Eosphoros;** ლათ. **Luciferus)**[2] იგივე **Φωσφόρος (Phōsporos;** ლათ. **Lucifer)** ანუ **«სინათლის მატარებელი» კაშკაშა ცისკრის ვარსკვლავი** (შდრ. הֵילֵל; **hêlel; ბრწყინვალე/კაშკაშა) - პლანეტა ვენერა ანუ აფროდიტი,** რომელიც მწუხრის ჟამს აღმოხდომისას **„ასპიროზად“** (ბერძ. **Εσπερος; Hesperos;** ლათ. **Vesperus)** იწოდება და **„დაისის ვარსკვლავად“** ითქმის.

სატანას და ეშმაკების შესახებ ბრძანებს: „ამ ანგელოზურ ძალთაგან დედამიწისეული წესის თავდგმური, ვისაც ღვთისგან დედამიწის დაცვა ჰქონდა მინდობილი არათუ ბუნებით უკეთური შეიქმნა, არამედ იყო რა კეთილი, შექმნილი სიკეთისათვის და შემოქმედისგან უკეთურების არანაირი ნაკვალევის არმქონე თავის თავში, **ვერ გახდა დამტევი იმ ნათელმოსილებისა და პატივისა, რაც მიენიჭა შემოქმედისგან (შდრ. რუს. „не перенесши как света, так и чести, которую ему даровал Творец")**, არამედ თვითუფლებრივი არჩევანით მიიქცა იგი ბუნებისეულისგან არაბუნებისეულისკენ, თავი აიმაღლა მისი შემქნელი ღვთის წინააღმდეგ, განიზრახა რა მისდამი დაპირისპირება, და იგი, პირველი განდგომილი სიკეთისგან, ბოროტებაში ჩავარდა“ (დასახ. გამოც. გვ. 136-137).

1 ბერძნული ტექსტი დამოწმებულია შემდეგი გამოცემიდან: Septuaginta, Id est Vetus Testamentum graece iuxta LXX interpretes, edidit Alfred Rahlfs, Duo volumina in uno, Deutsche Bibelgesellschaft, 1935, 1979.

2 ბერძ. **Εωσφόρος (Eosphoros),** ლათ. **- Luciferus/Lucifer,** ინგლ. **dawn-bringer** - მიემართება **პლანეტა ვენერას, „ცისკრის ვარსკვლავს“ „მთიებს“;** ***ასევე:*** ბერძ. **Εσπερος (Hesperos, Hesperus),** ლათ. **Vesperus, Vesper,** ინგლ. **Evening** - მიემართება იმავე **პლანეტა ვენერას, „დაისის ვარსკვლავს“**. შდრ. საბა: „ოდეს **საცისკროდ** აღმოვალს, ეწოდების **მთიები** (Εωσφόρος; მ.გ.), ხოლო ოდეს **სამწუხროდ** აღმოვალს ეწოდების **აფროდიტი** (Εσπερος; მ.გ.)".

აღსანიშნავია, რომ - „ეოსი“ (ბერძ. Ἕως; განთიადი), ბერძნულ მითოლოგიაში **განთიადის ქალღმერთის** სახელს უკავშირდება, ხოლო რომაულ მითოსში **ავრორად** (ლათ. Aurora) იხსენიება. ეოსი, მითოსური თხრობით, დედაა ვარსკვლავებისა, რომელთაგანაც გამორჩეულია **Ἕωσφόρος (Eosphoros;** ლათ. **Luciferus),** იგივე **„ცისკრის ვარსკვლავი“ („მთიები“)** და - **Ἕσπερος (Hesperos, Hesperus;** ლათ. **Vesperus),** იგივე **„მწუხრის (დაისის) ვარსკვლავი“.**

საყურადღებოა, რომ ღირსი იოანე დამასკელი დაცემულ ანგელოზთა შესახებ მართლმადიდებლური რჯულდების გადმოცემისას იყენებს ძველბერძნულ ტერმინს - **Φως (სინათლე)** და განმარტავს:

„ამრიგად, დამბადებლისგან **სინათლედ** *(შდრ. ბერძ.* **Φως;** რუს. **Свет;** ინგლ. **Light;** *მ. გ)* **დაიბადა იგი** ***(დაცემული ანგელოზი; მ. გ.)*** და შეიქმნა, როგორც კეთილი, რადგან „ნახა ღმერთმა ყოველივე, რაც ქმნა, და აჰა - კარგი ძალიან“ *(შეს. 1, 31),* **მაგრამ თვითუფლებრივი ნებით სიბნელე გახდა, ხოლო თანაგამოიმიჯნა, მიჰყვა მას და თანადაეცა მისდამი დაქვემდებარებულ ანგელოზთა სიმრავლე. ამრიგად, იყვნენ რა იმავე ანგელოზთა ბუნებისა, ბოროტნი გახდნენ ისინი, რადგან არჩევანი კეთილისგან ბოროტისაკენ მიდრიკეს ნებსით“**[1].

---

1 შდრ. **ბერძ. „Φῶς** οὖν **κτισθεὶς** ὑπὸ τοῦ Δημιουργοῦ καὶ ἀγαθὸς γεγονώς – καὶ γὰρ· „Εἶδεν ὁ Θεὸς πάντα, ὅσα ἐποίησε, καὶ ἰδοὺ καλὰ λίαν“ – **αὐτεξουσίῳ θελήματι σκότος ἐγένετο. Συναπεσπάσθη δὲ καὶ ἠκολούθησεν αὐτῷ καὶ συνέπεσε πλῆθος ἄπειρον τῶν ὑπ᾽ αὐτῷ τεταγμένων ἀγγέλων.** Τῆς αὐτῆς τοιγαροῦν φύσεως τοῖς ἀγγέλοις ὑπάρχοντες, κακοὶ γεγόνασι, **τὴν προαίρεσιν ἑκουσίως ἐκ τοῦ ἀγαθοῦ πρὸς τὸ κακὸν ἐκκλίναντες"; *ასევე:* რუს.** „Итак, **свет, созданный** Творцом и происшедший хорошим, ибо **виде Бог вся, елика сотвори: и се добра зело (Быт. 1,31), по самовластному желанию сделался тьмою. Но вместе было увлечено, и последовало за ним, и вместе пало бесконечное множество стоявших под его властью Ангелов.** Итак, будучи одной и той же природы с Ангелами, они сделались

ნეტარი მამის მიერ გამოყენებული ტერმინი - **Φως (სინათლე)** სრულიად ანგელოზურ სამყაროს მიემართება (შდრ. **„დაიბადა იგი და შეიქმნა, როგორც კეთილი“**; *ასევე:* **„ამრიგად, იყვნენ რა იმავე ანგელოზთა ბუნებისა, ბოროტნი გახდნენ“**), იმისთვის კი, რომ წარმოჩნდეს თვალნათლივი სხვაობა მარადის უფლის წიაღში მყოფ ანგელოზთა დასებსა და საკუთრივ დაცემულ გონიერ არსებათა შორის, აუცილებელია კვლავაც ზემოდამოწმებულ მუხლებს დავუბრუნდეთ, სადაც სრული სიღრმით ვლინდება სხვაობა დაუცემელ და დაცემულ ანგელოზთა შორის.

ერთი მხრივ, **ანგელოზური ბუნება კეთილია,** რადგანაც თავად ღმერთმა შექმნა ისინი ამგვარად, თუმცა, მეორე მხრივ, წმ. იოანე დამასკელის განმარტებით, **„ამ ანგელოზურ ძალთაგან დედამიწისეული წესის თავდგმური, ვისაც ღვთისგან დედამიწის დაცვა ჰქონდა მინდობილი** *(ე. ი. ის ანგელოზი, რომელიც დაეცა; მ.გ.),* **არათუ ბუნებით უკეთური შეიქმნა, არამედ იყო რა კეთილი, შექმნილი სიკეთისათვის და შემოქმედისგან უკეთურების არანაირი ნაკვალევის არმქონე თავის თავში, ვერ გახდა დამტევი იმ ნათელმოსილებისა და პატივისა, რაც მიენიჭა შემოქმედისგან, არამედ თვითუფლებრივი არჩევანით მიიქცა იგი ბუნებისეულისგან არაბუნებისეულისკენ, თავი აიმაღლა მისი შემქნელი ღვთის წინააღმდეგ, განიზრახა რა მისდამი დაპირისპირება, და იგი, პირველი განდგომილი სიკეთისგან, ბოროტებაში ჩავარდა“**[1].

სწორედ ამიტომ, ესაია წინასწარმეტყველი ვინაობის განმსაზღვრელი **ეპითეტით** მოიხსენიებს და წოდებითი ბრუნვით

злыми, **добровольно отклонив расположение сердца от блага ко злу“**; *ასევე:* **ინგლ. „Light**, therefore, **being the work** of the Creator and being made good (Genesis 1:31.) **produced darkness at His free-will. But along with him an innumerable host of angels subject to him were torn away and followed him and shared in his fall**. Wherefore, being of the same nature as the angels, they became wicked, **turning away at their own free choice from good to evil“** *(იოანე დამასკელი, დასახ. გამოც. გვ. 136-137).*

1 Ibid. გვ. 134-136.

მიმართავს მას - „**ძეო განთიადისა!**“ (შდრ. ებრ. **bên-shâhar**; ლათ. **qui mane oribearis**; ბერძ. **ὁ πρωΐ ἀνατέλλων**; რუს. **сын зари!**).

ეკლესიის მამათა სწავლების თანახმად, ანგელოზთა ცხრა დასი არსებობს: „**სერაფიმები**“, „**ქერუბიმები**“, „**საყდარნი**“, „**უფლებანი**“, „**ძალნი**“, „**ხელმწიფებანი**“, „**მთავრობანი**“, „**მთავარანგელოზნი**“ და „**ანგელოზნი**“, რომელნიც წმინდა დიონისე არეოპაგელის მოძღვრების მიხედვით, საღვთო მადლმოსილების დამტევნელობით სხვაობენ ურთიერთისაგან. გონიერ არსებათა ზეციურ წესთდასაბომაში სერაფიმთა დასი ყველაზე აღმატებულად სახელდება, მის შემდგომ კი იერარქიული წყობა უზემოესიდან უქვემოეს დასებამდე გრძელდება. შესაბამისად, ზეციურ ძალთა ბოლო, საკუთრივ, მეცხრე დასი „ანგელოზებად“ (დასის სახელი) იწოდება. არეოპაგელი მოძღვარი განგვიმარტავს, თუ რატომ განივრცობა უქვემოესი დასის ზეციურ ძალთა სახელი „**ანგელოზი**“ იერარქიულად ზემდგომი რვა დასის მიმართაც:

„როგორც უპირველესები ფლობენ უქვემოესთა წმიდა-სახოვან ნიშნებს, ასევე ფლობენ უმდაბლესები უმაღლესთა თვისებებს, თუმცა ისინი ჭარბად, ესენი კი - შემცირებულად“[1].

აღნიშნული განმარტების თანახმად, რადგანაც „ანგელოზთა“ დასში დავანებულ საღვთო მადლს ყოველი იერარქიულად ზემდგომი ზეციური ქმნილება სრული სისავსით თანაეზიარება, ხოლო აღმატებულ ანგელოზურ დასებში განჭვრეტილი საღვთო მადლის დამტევნელობა მხოლოდ ნაწილობრივ ძალუძს უქვემოეს დასებს, სწორედ ამ მიზეზით ყოველი გონიერი ქმნილების გამაერთიანებელ ტერმინად „**ანგელოზი**“ გამოიყენება, რაც მათი, როგორც „**ზეციურ ძალთა**“ ერთი ბუნების წარმომჩენია.

ზემოთქმულის კვალობაზე, მნიშვნელოვანია ერთმანეთისაგან განირჩეს სასუფევლის ნეტარებაში მყოფ ანგელოზთა დასებისა და ზეციდან გარდამოვარდნილ უსხეულო ძალთა ურთიერთმიმართების საკითხი, რადგანაც თუ ყოველ დასს, მათ შორის, დაცემულ გონიერ ქმნილებებსაც ტერმინი „**ანგელოზი**“ მიემართება, მაშინ

1 ზეციური იერარქია, წმ. დიონისე არეოპაგელი, „ციური იერარქიის შესახებ“,დასახ. გამოც. გვ. **46.**

აუცილებელია შესაბამისი საეკლესიო ეგზეგეზისის წარმოდგენის გზით წარმოჩნდეს დაუცემელ და დაცემულ ანგელოზთა ბუნებითი თვისებების ნებელობითი და მოქმედებითი განსხვავებულობა, რის ნათელსაყოფადაც კვლავ წმ. დიონისე არეოპაგელის შესაბამის სწავლებას დავიმოწმებთ:

„არამედ ვითარმცა ვინ თქუა, რაჲ არს ეშმაკთა შორის ბოროტი? ვეტყუთ, ვითარმედ **რისხვაჲ პირუტყული, გულის-თქუმაჲ უგუნური, ოცნებაჲ აღტაცებული**. არამედ ესენი დაღაცათუ არიან ეშმაკთა შორის, არა ყოვლადვე, არცა ყოველთა ზედა, არცა თუთ თავით თუსით არიან ესენი ბოროტ. რამეთუ სხუათა ცხოველთა შორის არა თუ ჴუმევაჲ ამათი არს ბოროტ, არამედ მოსპოლვაჲ ამათი იქმნების განხრწნა და განბოროტება ცხოველისა. ხოლო ჴუმევაჲ ამათი აცხოვნებს და მყოფობასა შეიქმს ამათისა მქონებელისა ცხოველთა ბუნებისასა. **ამისთჳს არა ბოროტ არს ნათესავი ეშმაკთაჲ, ვითარ-იგი დაბადებულ არს ბუნებით, არამედ მით განბოროტნების, რომლითა განვალს გარეშე ბუნებისა**. და არა თუ ყოველი კეთილი მიცემული მათდა შეეცვალა, არამედ თუთ იგინი განვარდეს მიცემულისა მის მათდა ყოვლისა კეთილისაგან და მინიჭებულთა მათ მათდა ანგელოზებრთა ნიჭთაგან. ამისთჳს არა ოდეს ვთქუნეთ იგინი შეცვალებულად, არამედ **არიან იგინი ყოვლადსავსე** (ბერძ. **ολοκληροι**) და **ყოლვლადბრწყინვალე** (ბერძ. **παμφάεις**) **არიან**, დაღაცათუ იგინი ვერ ხედვენ, რამეთუ თავით თუსით დაუწუხვან კეთილად მხედველობისა ძალნი. ვინაჲცა ვითარ-იგი არიან, სახიერებისაგან არიან; და კეთილისა და სახიერებისა სურის მყოფობითა და მცნობელობითა და მცხორებლობითა და ამათ მიზეზთა მიერ არსისათჳს სურის. **ხოლო მოკლებითა და განვრდომითა მათდა შემსგავსებულთა კეთილთაჲთა ბოროტად ითქუმიან და არიანცა ბოროტ, ვითარ-იგი პირველ იყვნეს. და არაარსისათჳს მოსურნეობითა ბოროტისათჳს სურის**“[1].

---

1 *იხ. არეოპაგიტულ შრომათა ძველი ქართული (წმ. ეფრემ მცირის) თარგმანის ს. ენუქაშვილისეული გამოც. თბ.* ***1961,*** *გვ.,* ***51-52.***

წარმოდგენილ მსჯელობათა შემდგომად იბადება კითხვა: თუკი პიროვნული არჩევანითა და შესაბამისი მოქმედებით ყოვლად გაუკეთურებული და ზეციდან დაცემული ანგელოზნიც **ბუნებით ყოვლადსავსედ** და **ყოვლადბრწყინვალედ** იწოდებიან, მაშ რა მიზანდასახულობით განუკუთვნებს ესაია წინასწარმეტყველი უკეთურ ანგელოზს „**მთიებს**“ ანუ „**ცისკრის ვარსკვლავს**“ (შდრ. „**როგორ ჩამოემხე ციდან, მთიებო, ძეო განთიადისა!**“), რომელიც, თავის მხრივ, **არ განირჩევა ბუნებით სხვა ვარსკვლავთაგან?**

სახისმეტყველებათა გამოყენებისა და ხილულთა მეშვეობით უხილავის შემკობის შესახებ

საეკლესიო სახისმეტყველებაში დამკვიდრებული საზოგადო წესის თანახმად, ალეგორიულ-ხატოვანი თხზულსიტყვაობით, ამქვეყნიურ ნიმუშთა სახით წარმოჩნდება და შეიმკობა ზედროული და ზესოფლიური სამყარო, რადგან „**ხილული სილამაზე უნდა აღვიქვათ, როგორც უხილავი მშვენიერის გამოხატულება. ასევე, გრძნობადი სურნელება სახეა გონისეული მიმოკმევისა** [და] **არამიწიერი ნათლისცემის ხატად ნივთიერი ნათელი გვევლინება**“[1].

ამგვარად, მაგალითად, ღვთისაგან შექმნილი ხილული მნათობი სოფლისა - მზე განუჭვრეტელი და გონებითი მზის - ღმერთის სიმბოლოა. შესაბამისად, ძალგვიძს **ვარსკვლავთა** [როგორც ხილულ ბრწყინვალეთა, იგივე მანათობელთა, და მომთხრობელთა, იგივე მანიშნებელთა][2] **სახით** თავად **ანგელოზნი** (ბერძ. ἄγγελος

---

1 ზეციური იერარქია, წმ. დიონისე არეოპაგელი, „ციური იერარქიის შესახებ“, დასახ. გამოც. გვ. 10.

2 დავიმოწმებთ წმინდა წერილს ვარსკვლავთა, როგორც „**მანიშნებელთა**“ შესახებ: „და თქუა ღმერთმან იქმენინ მნათობნი სამყაროსა შინა ცისასა მნათობად ქუეყანისა **განსაყოფელად შორის დღისა და შორის ღამისა. და იყუნედ სასწაულებად, დღეებად და ჟამებად და წელიწადებად**“ *(დაბადება, I, 14).* წმინდა წერილის მოხმობილ სიტყვებს წმ. იოანე ოქროპირი შემდეგნაირად განმარტავს: „...რას ნიშნავს: სასწაულებად, დღეებად, ჟამებად და წელიწადებად? ...საღმრთო

- მაცნე)[1] **მოვიაზროთ,** რადგანაც „გამოცხადების“ წიგნში წმინდა იოანე მახარებელი ბრძანებს: „საიდუმლოჲ **შჳდთა ამათ ვარსკულავთაჲ,** რომელნი იხილენ მარჯჳენესა ზედა ჩემსა, და შჳდნი ესე სასანთლენი ოქროჲსანი. **შჳდნი ესე ვარსკულავნი ანგელოზნი შჳდთა ეკლესიათანი არიან,** და შჳდნი ესე სასანთლენი შჳდნი ეკლესიანი არიან“ (გამოცხ. 1, 20).

წერილს სურს გვიჩვენოს, რომ მათი მსვლელობა გვაძლევს **მინიშნებას** ჟამთა და მოქცევათა, დღეთა სათვალავთა და წლის ხანგრძლივობის შესახებ, რაც ჩვენ მათი საშუალებით შეგვიძლია ამოვიცნოთ...“ (Св. Иоани Златоуст, Творения т.1, книга 1-я, С.-Петербург: издание С.-Петербургской Духовний Академии, 1994, стр. 46-47). ***ასევე:*** წმ. იოანე დამასკელი ციურ სხეულთა (მათ შორის ვარსკვლავთა) შესახებ ბრძანებს: „ელინები ამბობენ, რომ **ვარსკვლავებისა** და, აგრეთვე **მზისა** და **მთვარის ამოსვლის, ჩასვლისა და მათი თანშეყრის შედეგად** განეგება ყოველივე ჩვენეული. ამის შესახებ არსებობს ასტროლოგია. ჩვენ კი ვამბობთ, რომ ის **ნიშნები,** რაც მათგან ხდება, ეხება **წვიმასა თუ უწვიმრობას, სიგრილესა თუ სითბოს, სინოტივესა თუ სიმშრალეს, აგრეთვე, ქარს და სხვა ამგვარს,** მაგრამ არანაირად - ჩვენეულ საქმეებს, ...ამიტომ, ჩვენ ვამბობთ, რომ ისინი არიან არა მიზეზები მოვლენებისა ანთუ მოვლენათა წარმოქმნისა ან კიდევ ხრწნადთა ხრწნისა, არამედ **წარმოადგენენ უფრო ნიშნებს წვიმებისა და ჰაერის ცვალებადობისა**“ (დასახ. გამოც. გვ. 164-166)

1 წმ. მაქსიმე აღმსარებელი *(წმ. ეფრემ მცირის თარგმანის მიხედვით)* **„ანგელოზთა“ მაცნეობის** შესახებ ბრძანებს: „ვინაჲთგან სახელი ანგელოზისაჲ **„ქადაგად“** და **„მომთხრობელად“** გამოითარგმანების, ამისთჳს ეწოდების ყოველთა ზეცისა ძალთა ანგელოზ, რამეთუ „ყოველი ნიჭი სრული, ზეგარდამო მომავალი მამისაგან ნათელთაჲსა“ (იაკ. 1.17) პირველად მათდა მოიწევის და მერმე მათ მიერ ჩუენ **მოგუეთხრობვის** და **მოგუეცემის**“ *(ქართულ-ბერძნული საღვთისმეტყველო განმარტებანი ანგელოზურ ძალთა შესახებ, განმარტებათა ძველი ქართული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ბერძნულ კომენტარებთან შეაჯერა, გამოკვლევა და ტერმინოლოგიური ლექსიკონი დაურთო ანა ჭუმბურიძემ, თბილისი,* ***2001.*** *გვ.* ***137).***

დავიმოწმებთ ანდრია კესარია-კაბადუკიელის შესაბამის განმარტებას:

„ვინაჲთგან ქრისტე არს ჭეშმარიტი ნათელი, ამისთჳს სანთელ არიან, რომელთა შორის არს მისი ნათელი. სამართლად უკუე ეწოდების ეკლესიათა სასანთლე, რამეთუ მათ შორის არიან წმიდანი, რომელთა აქუს სიტყუაჲ ღმრთისაჲ. ხოლო სასანთლენიცა და სანთელნიცა ოქროჲსანი არიან პატიოსნებისა მისთჳს და უმანკოებისა სარწმუნოებისა მათისა. **ამათ თითოეულთა ზედა ანგელოზი არს მცველად, რომელთა სახელედების ვარსკულავად ბრწყინვალებისათჳს ბუნებისა მათისა**“[1].

მოხმობილი წყაროს თანახმად, წმინდა იოანე მახარებელი **ანგელოზს ვარსკვლავად** მხოლოდ და მხოლოდ მისი **ბუნების ბრწყინვალებისათვის** სახელდებს, რაც კვლავ გვაბრუნებს წმინდა დიონისე არეოპაგელის სწავლებასთან, რომლის თანახმადაც ანგელოზნი (დაცემულნიც და მარადიულ ნეტარებაში მყოფნიც), ბუნებითად **ყოვლადსავსედ** და **ყოვლადბრწყინვალედ** იწოდებიან (შდრ. „ამისთჳს არა ოდეს ვთქუნეთ იგინი შეცვალებულად, არამედ **არიან იგინი ყოვლადსავსე** და **ყოლვლადბრწყინვალე არიან,** დაღაცათუ იგინი ვერ ხედვენ, რამეთუ თავით თჳსით დაუწუხვან კეთილადმხედველობისა ძალნი“). შესაბამისად, ჩვენთვის საინტერესოა, თუ წოდებითად (მიმართვითად) **რით განირჩევა დაცემული ანგელოზი ნეტარებაში მყოფ ანგელოზთაგან** ანუ თხზულსიტყვაობითი სახისმეტყველებით, რით განირჩევა „**მთიები**“ **იგივე „ცისკრის ვარსკვლავი“ დანარჩენი ვარსკვლავებისაგან („ცთომილებისაგან“)?**

დაცემული ანგელოზის სახისმეტყველების შესახებ

უგარიტულ მითოლოგიაში - **შაჰარ** (ებრ. שָׁחַר; **shâhar**) ანუ **განთიადი**[2] (შდრ. „הֵלֵל בֶּן-שָׁחַר“; **hêlel bên-shâhar**; „მთიებო ძეო

---

1 *თარგმანებაჲ იოვანეს გამოცხადებისაჲ, ანდრია კესარია-კაბადუკიელი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ივანე იმნაიშვილმა, თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, **1961**, გვ. **7**;*

2 ტერმინი - შაჰარ (ש ַח ָר; **shâhar; განთიადი**) ასევე გვხვდება

განთიადისა“) ქანაანური რელიგიის ე. წ. მთავარი ღვთაების - **’Ēl - ელის** (ებრ. אל) და მისი ე. წ. მეუღლის, „დედა ქალღმერთის“ - **აშერას** (ებრ. אֲשֵׁרָה; **Ashêrâh**) ძეა ტყუპისცალ **შალიმთან** (ებრ. שָׁלֵם; **Shâlim**) ერთად, რომლებიც, შესაბამისად, „**განთიადისა**“ (**Shâhâr**) **და „მწუხრის“** (**Shâlim**) **ე. წ. ღვთაებებად იწოდებიან**[1]. ამგვარად, წინასწარმეტყველ ესაიას მიერ გაჟღერებული ფრაზა - **[hêlel bên-shâhar]** ანუ „**მთიებო, ძეო განთიადისა!**“, სრული გამოთქმითი სიღრმით წარმომჩენი უნდა იყოს იმ ხატოვანი ალეგორიული იდეისა, რომლითაც წინასწარმეტყველი, ერთგვარად, ქანაანურ, მითოლოგიურ საფუძვლებს იყენებს, რათა «ბაბილონის მეფის» ანუ უკეთური ძალის ამპარტავნება და შური სააშკარაოზე გამოიტანოს და უწოდებს რა მას - „**მთიებს**“ (ებრ. „הֵילֵל“ (**hêlel**); ბერძ. „**Ἑωσφόρος**“; ლათ./ინგლ. „**Lucifer**“; რუს. „**Денница**“) ანუ „**ცისკრის ვარსკვლავს**“, შეახსენებს ჩადენილს, თუ როგორ არ დასჯერდა იგი ზეციოთბოძებულს და ამპარტავნებას აყოლილმა როგორ „ისათნოვა“ ღმერთთან გატოლება (შდრ. „**ხოლო შენ სთქუ გულსა შინა შენსა: ზეცად მიმართ აღვიდე, ზედაჲთ ვარსკულავთა ცისათასა დავდგა საყდარი ჩემი, დავჯდე მთასა ზედა მაღალსა. მთათა ზედა მაღალთა ჩრდილოთ. აღვიდე ზედა ღრუბელთა და ვიყო მსგავს მაღლისა. ხოლო აწ ჯოჯოხეთადმი შთაჰვდე და საფუძველთა მიმართ ქვეყანისათა**“, *ესაია.* ***14, 13-15).***

ფაქტი, რომ იერუსალიმელი წინასწარმეტყველი იყენებს ფრაზას - **hêlel bên-shâhar** („**მთიებო, ძეო განთიადისა!**“)

ფსალმუნთა წიგნშიც (**m-shâhar**), რასაც ქართულში «მთიები» შეესატყვისება: „საშოჲთ **მთიებისა** წინა გშევ შენ“ *(ფსალმ.,* ***109, 3);*** *შდრ.* **სეპტუაგინტა:** ἐκ γαστρὸς πρὸ **ἑωσφόρου** ἐγέννησά σε“; **ვულგატა:** ex utero ante **luciferum** genui te; **KJV**: in the beauties of holiness from the womb of **the morning**"; **რუს. სინოდ.** из чрева прежде **денницы** подобно росе рождение Твое.

1 Dictionary of Deities and Demons in the Bible, Karel van der Toorn, Bob Becking, Pieter Willem van der Horst, Utrecht University, Michigan/Cambridge, 1999, pp. 755-756.

თვალნათლივი დასტურია იმისა, რომ იგი **„ცისკრის ვარსკვლავის“** ანუ **„მთიების“** სიმბოლოს ქვეშ მიანიშნებს **პლანეტა ვენერაზე,** და მყისვე მიმიმარტავს კიდეც ამგვარად: **„ძეო განთიადისა!“** (ებრ. בֶּן-שָׁחַר; **bên-shâhar**), **რადგანაც პლანეტა ვენერა, ცისკრის ზმანებად გარდასახული ცის კაბადონზე, მხოლოდღა დროებით გაბრწყინდება გარიჟრაჟისას, სანამ ჯერ კიდევ არ უხილავს მზის სხივი წყვდიადს.**

თუმცაღა ჩნდება კითხვა: რა მიზანდასახულობით მიემართება ბრძანებითი კილო - **„ძეო განთიადისა!“ გაუკუღმართებულ, ზეცით გარდამოვარდნილ დაცემულ ანგელოზს?**[1] პასუხად დავიმოწმებთ უფლის სიტყვებს: „ჰრქუა მათ იესუ: **ვხედევდ ეშმაკსა ვითარცა ელვასა, ზეცით გარდამოვრდომილსა“** (ლუკა, 10, 18).

შევნიშნავთ, რომ ზემოგანხილული ტერმინები: „הֵילֵל“ (ებრ. **hêlel**); **„Lucifer“** (ლათ./ინგლ.); **„Ἑωσφόρος“** (ბერძ.); **„Денница“** (რუს.) და **„მთიები“** (ქართ.) **დაცემულ ანგელოზთა პირველადი (ე. ი. ბრწყინვალე) მდგომარეობის ანუ საღმრთო ნეტარებაში ყოფნის პერიოდის აღმნიშვნელია,** რადგან ისევე როგორც , ერთი მხრივ, მათი ბუნება **ყოვლადსავსეა** და **ყოვლადბრწყინვალე** (შდრ. „არამედ **არიან იგინი ყოვლადსავსე** და **ყოლვლადბრწყინვალე არიან,** დაღაცათუ იგინი ვერ ხედვენ, რამეთუ თავით თჳსით დაუწუხვან კეთილად მხედველობისა ძალნი“) და როგორც, მეორე მხრივ, ვერ შეინარჩუნეს მათ, სხვა ანგელოზთა დარად, ზენა მარადიულ სიხარულთან წილმქონეობა და ჯოჯოხეთადმდე შთახდნენ, ასევე **პლანეტა ვენერაც,** იგივე **„ცისკრის ვარსკვლავი“** - მზისა და მთვარის შემდგომ ყველაზე **კაშკაშა** ციური სხეული -, **მხოლოდღა დროებით, მზის ამოსვლამდე ნათობს და საკუთარ ვარსკვლავურ-ყოვლადბრწყინვალე, ნათელშემოსილ ბუნებას წარმოაჩენს, შემდეგ კი უჩინარდება.**

შესაბამისად, უნდა განიმარტოს, თუ **როდის დაეცა ეშმაკად წოდებული ანგელოზი,** და წარმოჩნდეს, **თუ რა მიმართებით განირჩევა პლანეტა ვენერა სხვა პლანეტათაგან.**

---

1 შდრ. „ჰრქუა მათ იესუ: **ვხედევდ ეშმაკსა ვითარცა ელვასა, ზეცით გარდამოვრდომილსა“** (ლუკა, 10, 18);

ეს საკითხი განხილულია ი. ორჟონიას მიერ, რომელიც შესაბამის წყაროთა საფუძველზე ასკვნის:

„წმ. გერმანე კონსტანტინოპოლელის სწავლებას დავიმოწმებთ. დიდი მღვდელთმთავარი ბრძანებს: „**ოდეს იქმნა გარდამოვრდომაჲ** *(ე. ი. ზეციდან გარდამოგდება; ი. ო.)* **მისი** *(ეშმაკის; ი. ო.)*, **განცხადებულად არა აჩუენებენ წერილნი**“ ***(Sin. 91; 140 v – 141 r).*** მიუხედავად გამოთქმული აზრისა, ხსენებული მოძღვარი თხრობას განაგრძობს და გვაუწყებს: „გარნა ესრეთ უწყებულ არს ჩუენდა მამათა მიერ, ვითარმედ **მეოთხესა დღესა გარდამოვარდა, ოდეს-იგი მნათობნი დაიბადნეს ღმრთისა მიერ.** ამისთუსცა იტყჳს იობ: „ოდეს იქმნეს ვარსკულავნი, მაქებდეს მე ჴმითა დიდითა ყოველნი ანგელოზნი ჩემნი და მადიდებდეს“ *(იობ. 38.7)*, რამეთუ მარადის ადიდებენ და უგალობენ ღმერთსა ანგელოზნი დაუცხრომელად. ხოლო მაშინ უმეტესად დიდითა ჴმითა ერთბამად შეასხეს ქებაჲ ღმერთსა, ვითარცა წერილმან გუაუწყა, სამართლად გარდამოვრდომისათჳს და განშორებისა მათგან უკეთურისა მის მისთანა მათ სულთა ბოროტთა“ ***(Sin. 91; 141 r).*** წმინდა გერმანეს თანახმად, მიუხედავდ იმისა, რომ წერილში ანგელოზის დაცემის კონკრეტული ჟამი არსადაა მითითებული, აღნიშნული მოვლენის აღსრულების დროდ **ჰექსემერონის მეოთხე დღე** უნდა იქნას მიჩნეული. კონსტანტინოპოლელი მღვდელთმთავარი ხსენებული აზრის გამოთქმისას ეკლესიის სხვა მოძღვართა სწავლებას ეფუძნება *(შდრ.* „**გარნა ესრეთ უწყებულ არს ჩუენდა მამათა მიერ**“*)* და, იმავდროულად, იობის წიგნის შესაბამის ადგილზე მიგვანიშნებს, რომელშიც „**შეურყეველ გოდოლად**“ სახელდებული და სულიწმინდით განბრძნობილი ძველაღთქმისეული მოღვაწე ღმერთს პირველ პირში აამეტყველებს და ბრძანებს: „**ოდეს იქმნეს ვარსკულავნი, მაქებდეს მე ჴმითა დიდითა ყოველნი ანგელოზნი ჩემნი და მადიდებდეს**“. საქმე ისაა, რომ წმინდა გერმანეს მიხედვით, ანგელოზები ცისა და ქვეყნის *(ე. ი. მატერიალური სამყაროს)* უწინარეს იქმნებიან და მყისვე მოუღალავად და უწყვეტად აღმოთქვამენ ღვთისადმი სადიდებელს *(შდრ.* „**მარადის ადიდებენ და უგალობენ ღმერთსა ანგელოზნი დაუცხრომელად***)*. ამდენად, ვინაიდან იობის წიგნში ნათქვამია, რომ ვარსკვლავთა შექმნის დღეს

განადიდეს უსხეულო ძალებმა საკუთარი შემოქმედი (*შდრ.* „ოდეს იქმნეს ვარკულავნი, მაქებდეს მე ჴმითა დიდითა ყოველნი ანგელოზნი ჩემნი და მადიდებდეს“), ხოლო ხსენებულ ჟამს **ჰექსემერონის სამი დღე** უსწრებს წინ, რა დროის განმავლობაშიც ზეციური წესთდასაბამობა **დაუცხრომლად** უგალობდა ქვეყნიერების მეუფეს, აღნიშნული უწყებით (ე. ი. მეოთხე დღეს ანგელოზთაგან უფლისადმი აღმოთქმული დოქსოლოგიით) წერილი იდუმალ სწავლებას გაამხელს და სწორედ **ეშმაკის დაცემის ჟამს წარმოაჩენს**. კერძოდ, რადგან გონიერი ზეციური არსებების მიერ ღვთის განდიდება შექმნისთანავე, ე. ი. ჰექსემერონის დასაბამშივე გამოვლენილი უწყვეტი მოქმედებაა, შესაქმის ყველა დღის თითოეულ ჟამს რომ მოიცავს, კონსტანტინოპოლელი მღვდელთმთავრის მიხედვით, **ჰექსემერონის საკუთრივ მეოთხე დღეს** იმავე ანგელოზთაგან აღვლენილი დიდებისმეტყველების შესახებ იობის წიგნში გახმოვანებული უწყება ერთადერთ რამეს ცხადყოფს: როდესაც უსხეულო ძალების დიდმა სიმრავლემ სათნოებებით დასაბამმიღებული ერთ-ერთი მოაზროვნე ციური არსებისა და მისი თანამზრახველი სულების ღმერთთან დაპირისპირება იხილა **შესაქმის მეოთხე დღეს**, რასაც შედეგად მეამბოხე ანგელოზების ზენა წიაღიდან გარდამოგდება მოჰყვა, კიდევ უფრო აღმატებული გულმოდგინებით აღუვლინა უფალს დოქსოლოგია (*შდრ. Sin. 91; 141 r*: „... ხოლო მაშინ (შესაქმის მეოთხე დღეს; *ი. ო.*) უმეტესად დიდითა ჴმითა ერთბამად შეასხეს ქებაჲ ღმერთსა, ვითარცა წერილმან გუაუწყა, სამართლად გარდამოვრდომისათჳს და განშორებისა მათგან უკეთურისა მის მისთანა მათ სულთა ბოროტთა“)“[1].

წარმოდგენილი განმარტება ცხადყოფს, რომ **შესაქმის მეოთხე დღეს, ე. ი. იმ დღეს, როდესაც საღვთო განგებით მყოფობას იძენენ მზე, მთვარე და ვარსკვლავები, ნეტარებაში მყოფ ანგელოზთა დასთან ერთობაში არ იმყოფებოდა**

---

1 *ეკლესიის მამათა სწავლება ანგელოზის დაცემისა და პირველგამოვლენილი ბოროტების შესახებ“, ირაკლი ორჟონია, საღვთისმეტყველო-სამეცნიერო შრომები, VIII-IX, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა, თბილისი,* ***2018,*** *გვ.* ***68-72.***

ამპარტავნებასა და შურს აყოლილი დაცემული ანგელოზი, ანუ იგი ამ დროს (ანგელოზთა მიერ შემოქმედისადმი დოქსოლოგიის აღვლენის ჟამს) **უკვე განშორებული იყო ზეცას,** რისი გათვალისწინებითაც მეტაფორული თხზულსიტყვაობით ძალგვიძს იგი ღვთივსულიერი წინასწარმეტყველი ესაის სიტყვებით, სწორედ - **„ცისკრის ვარსკვლავად“** ანუ **„მთიებად“** სახელვდოთ, რადგან მუხლები - **„ოდეს იქმნნეს ვარსკულავნი, მიქებდეს მე ჴმითა დიდითა ყოველნი ანგელოზნი ჩემნი“**, მოწმობს, რომ ცაზე მზის, მთვარისა და ვარსკვლავების გამოჩენამდე დაცემული ანგელოზი სიმბოლურად შეიძლება სწორედ **„ცისკრის ვარსკვლავად“** ანუ **„პლანეტა ვენერად“** ითქვას, ვინაიდან **ხილულ სამყაროში** პლანეტა ვენერა სწორედ გარიჟრაჟისას, ე. ი. **მზის** და, ხშირ შემთხვევაში, **მთვარისა და სხვა ვარსკვლავების გამოჩენამდე** (ალეგორიულად ჰექსემერონის მეოთხე დღემდე, რა დროსაც იქმნება ციური სხეულები) **მანათობლობს.**

ანგელოზის დაცემის შესახებ

დაცემული ანგელოზის, როგორც **სატანის** ალეგორია - **„ცისკრის ვარსკვლავი“** და მისი მითოლოგიური თუ ძველაღთქმისეული უპირველესი ნიშანთვისება - **საპირისპირო მიმართულებით სრბოლა, როგორც „ამპარტავნების“ უმთავრესი გამოხატულება,** ეტიმოლოგიურ-მეტონიმიური სიღრმით ებრაულ ენაში ტერმინით - **დაპირისპირებული (ებრ. שָׂטָן; sâtan)**[1] ვლინდება. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს წმ. იოანე დამასკელის საეკლესიო სწავლება სატანას და ეშმაკების შესახებ, რომლის თანახმადაც, შურსა და ამპარტავნებას აყოლილი, გაუკუღმართებული დაცემული ანგელოზი **დედამიწისეული წესის თავმდგმური** იყო და ღვთისაგან **დედამიწის** დაცვა ჰქონდა

---

1 შდრ. „ხოლო ეშმაკი გამოითარგმანების: შემასმენელ, რამეთუ შემასმენელი არს სათნოებათაჲ და კაცთაჲ და ღმრთისაჲცა, ვითარცა-იგი ადამის თანა შეასმენდა, ვითარმედ: გეშურებისო. ხოლო **სატანა გამოითარგმანების: წინააღმდგომ, რამეთუ წინააღმდგომ არს ღმრთისაცა და კაცთა...“** *(„თარგმანებაჲ იოვანეს გამოცხადებისაჲ“, ანდრია კესარია-კაბადუკიელი, დასახ. გამოც. გვ.* ***41****).*

მინდობილი[1], რაც ვხადყოფს, რომ ზეციდან «გადამოჭრილი» გონიერი არსება **უქვემოესი** (ე. ი. დედამიწასთან ყველაზე ახლოს მყოფი)) **დასის წარმომადგენელია**[2], და შესაბამისად, იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რომელი დასიდან მოხდა ანგელოზის დაცემა მცირე ეგზეგეზისს წარმოვადგენთ.

როგორც ზემორე თხრობის ჟამს შევნიშნეთ, ანგელოზთა ცხრა დასი არსებობს: **„სერაფიმები“, „ქერუბიმები“, „საყდარნი“, „უფლებანი“, „ძალნი“, „ხელმწიფებანი“, „მთავრობანი“, „მთავარანგელოზნი“** და **„ანგელოზნი“**, რომელნიც, წმ. დიონისე

---

1 შდრ. **„ამ ანგელოზურ ძალთაგან დედამიწისეული წესის თავმდგმური, ვისაც ღვთისაგან დედამიწის დაცვა ჰქონდა მინდობილი,** არათუ ბუნებით უკეთური შეიქმნა, არამედ იყო რა კეთილი, შექმნილი სიკეთისათვის და შემოქმედისაგან უკეთურების არანაირი ნაკვალევის არმქონე თავის თავში, ვერ გახდა დამტევი იმ ნათელმოსილებისა და პატივისა, რაც მიენიჭა შემოქმედისაგან, არამედ თვითუფლებრივი არჩევანით მიიქცა იგი ბუნებისეულისგან არაბუნებისეულისკენ, თავი აიმაღლა მისი შემქნელი ღვთის წინააღმდეგ, განიზრახა რა მისდამი დაპირისპირება, და იგი, პირველი განდგომილი სიკეთისაგან, ბოროტებაში ჩავარდა, რადგან ბოროტება სხვა არაფერია, თუ არა სიკეთის ნაკლებობა, ისევე როგორც სიბნელე ნაკლებობაა სინათლისა, ვინაიდან სიკეთე გონითი სინათლეა, ისევე როგორც ბოროტება - გონითი სიბნელე“ *(წმინდა იოანე დამასკელი, დასახ. გამოც. გვ.* ***134-136).***

2 საყურადღებოა, რომ ცნობილი რიტორი და ფილოსოფოსი ციცერონი (ძვ. წ. 106-43 წწ.) **პლანეტა ვენერას**, იმავე **„ცისკრის ვარსკვლავს“ უქვემოეს „მოხეტიალე ვარსკვლავად“ მიიჩნევდა:** „პლანეტა ვენერა **უქვემოესია** ხუთ ცთომილს შორის და **უახლოესია** დედამიწისა, რომელიც ასევე მზის უწინარეს აღმოხდომის ჟამს ბერძნულად Φωσφόρος-ად, ხოლო ლათინურ Lucifer-ად ითქმის, მაგრამ ოდეს მზის მერმისია იგი Ἕσπερος-ად იხსენიება“ (შდრ. **Infima est quinque errantium terraeque proxima stella Veneris, quae Φωσφόρος Graece Lucifer Latine dicitur cum antegreditur solem, cum subsequitur autem Ἕσπερος, *De Natura Deorum Academica, XIX, LCL, Edited By E. H. Warmington, Harvard University Press, London, MCMLXVII, p. 174).***

არეოპაგელისმიხედვით, საღვთო მადლმოსილების დამტევნელობით სხვაობს ურთიერთისაგან. გონიერ არსებათა ზეციურ წესდასაბომაში „**სერაფიმთა**“ ანგელოზური დასი ყველაზე აღმატებულად სახელდებიან, მათ შემდგომ კი იერარქიული წყობა უზემოესიდან უქვემოეს დასებამდე ზემოჩამოთვლილისამებრ გრძელდება. შესაბამისად, ზეციურ ძალთა, ბოლო, მეცხრე დასი - „**ანგელოზებად**“ (დასის სახელწოდება) იწოდება.

არეოპაგიტული სწავლებით, ანგელოზთა ცხრა დასი სამ ტრიადად განიყოფება: „**პირველნი**“ („სერაფიმები“; „ქერუბიმები“; „საყდარნი“), „**შემდგომნი**“ („უფლებანი“, „ძალნი“, „ხელმწიფებანი“) და „**დასასრულისანი**“ („მთავრობანი“, „მთავარანგელოზნი“, „ანგელოზნი“), რომელთაგან თითოეული დასი, ცალკე აღებული, მსგავსადვე სამ-სამ ტრიადად განიყოფიან და იმავე ტერმინოლოგიური შესატყვისებით („**პირველნი**“; „**შემდგომნი**“; „**დასასრულისანი**“) შეიმკობიან (ე. ი. თითოეულ დასში კვლავ ტრიადები განიჭვრიტება)[1].

შესაბამისად, საყურადღებოა ხსენებული მოძღვრის სწავლება ზემოწარმოდგენილი პირველი ტრიადის („**სერაფიმები**“; „**ქერუბიმები**“; „**საყდარნი**“) ანგელოზთა შესახებ: „**პირველი არსებები** (ე. ი. პირველი მწყობრის უსხეულო გონიერი ქმნილებები; მ. გ.) მათი არსმყოფელი ღმერთმთავრობის შემდეგ მკვიდრობენ და როგორც წინკარში, ისე არიან განლაგებულნი. **...ეს არსებები არასოდეს დაბლდებიან უმდარესამდე, არასოდეს ეცემიან; პირიქით, მარადის უცვლელად და უძრავად ფლობენ მათთვის ნიშნული ღვთისსახოვანი ბუნების ყველაფრისაგან შეურეველ სიმყარეს**“[2].

---

1 *დავიმოწმებთ წმ. მაქსიმე აღმსარებლის შესაბამის საეკლესიო სწავლებას:* „**არა ხოლო პირველთა და შემდგომთა დასთა შორის განუწესებიეს უპირატესობაჲ და უდარესობაჲ, არამედ თჳთ თითოეულსა მასცა დასსა მათსა შინა იხილვებიან პირველნი და შემდგომნი და დასასრულისანი, რაჲთა უზემოესნი იგი უქუემოესთა მათ აღმყვანებელ-ექმნებოდინ საღმრთოთა ხედვათა მიმართ**“ *(ქართულ-ბერძნული საღვთისმეტყველო განმარტებანი... გვ.* **138***).*

2 *წმ. დიონისე არეოპაგელი, ციური იერარქიის... გვ.* **30***.*

წარმოდგენილი უწყება ნათელყოფს რომ არეოპაგელი მღვდელთმთავარი პირველი მწყობრის ანგელოზთა დაცემას გამორიცხავს, რადგანაც აღნიშნულ ტრიადაში შემავალი დასები მარადის არსმყოფელი ღმერთმთავრობის შემდგომად მკვიდრობენ.

ათენელი მოღვაწე მსჯელობას განაგრძნობს და მიმოიხილავს რა თითოეულ ტრიადას და მასში შემავალ ანგელოზურ წესს, საკუთრივ მეცხრე - „**ანგელოზთა**“ დასის შესახებ ბრძანებს:

„**ანგელოზები სავსებით აბოლოებენ ციურ გონებათა ყველა მწყობრს**. ცის არსებათა შორის ისინი უკანასკნელნი არიან, რომლებიც ანგელოზურ ანუ „**მაუწყებლურ**“ ბუნებას ფლობენ და **უფრო ახლოსაც დგანან ჩვენთან**. ამასთან, ამ არსებებს უპირველეს დასებზე მეტად შეეფერებათ „**ანგელოზთა**“ სახელი, რადგანაც მათი იერარქია **ყველაზე უფრო ამქვეყნიურია** და **სიცხადესთან უმეტესად თანაზიარი**“[1].

მოხმობილ უწყებას თანხვდება წმ. იოანე დამასკელის ზემოდამოწმებული სწავლება იმის შესახებ, დაცემულ გონიერ არსებას თავდაპირველად ღვთისაგან დედამიწის დაცვა ჰქონდა მინდობილი (კვლავ შდრ. „**ამ ანგელოზურ ძალთაგან დედამიწისეული წესის თავმდგმური, ვისაც ღვთისაგან დედამიწის დაცვა ჰქონდა მინდობილი... ...თავი აიმაღლა მისი შემქმნელი ღვთის წინააღმდეგ, განიზრახა რა მისდამი დაპირისპირება, და იგი, პირველი განდგომილი სიკეთისგან, ბოროტებაში ჩავარდა**“)[2], საერთო ჯამში კი ყოველივე იმ დასკვნის

---

1 Ibid. გვ. 39.

2 *მსგავსი შინაარსის მატარებელია წმ. გრიგოლ ნოსელის შემდეგი უწყება ანგელოზთა შესახებ:* „ხოლო ვინაჲთგან უხილავი სოფელი პირველი დაებადა და თითოეულსა ძალსა ანგელოზთასა თჳსი წესი და საქმე მიეცა ჴელმწიფებისაგან ყოველთა განმგებელისა, **იყო ერთი ანგელოზთაგანი, კერძოთა ქუაყანისათა მპყრობელად დაწესებული ყოვლისა-მპყრობელისა ძლიერებისა მიერ, და თჳთ მებრ ამისთჳს დაბადებული, რომელი-იგი პირველვე განდგომილ იყო ღმრთისაგან,** და მერმე, ვინჲთგან შეიქმნა კაცი მობაძავად ზეცისა ძალთა და ხატად და მსგავსებად ღმრთეებისა, და უხილავითა და ხილულითა

გამოტანის შესაძლებლობას გვაძლევს, რაც არაერთგზის აღნიშნულა მკვლევართა მიერ: უსხეულო გონიერი ქმნილება, რომელმაც უკეთური გულისთქმით ღვთის წიაღისაგან განდგომა განიზრახა, სწორედ **უქვემოესი დასის** ანგელოზი იყო, რადგანაც არეოპაგელი მღვდელთმთავრის თანახმად, ზეციური წესდასაბამობა ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილი არსების (ადამიანის) მახლობლად საკუთრივ „**ანგელოზებად**“ წოდებულ დასს განაჩინებს, წმ. გრიგოლ ნოსელისა და წმ. იოანე დამასკელის ეგზეგეზისის თანახმად კი, სწორედ **დედამიწისეული წესის თავმდგმური** *(ე. ი. იერარქიულად უქვემოესი დასის წარმომადგენელი)* **ანგელოზი დაემონა წარმწყმედელ არჩევანს და საკუთარ შემოქმედს დაუპირისპირდა**[1].

შუენიერებითა გამოუთქმელად განშუენდა, **მძიმედ და მოუთმენლად აღუჩნდა ესე ქუეყანისა განმგებელსა მას ძალსა, ოდესმე ანგელოზსა, ხოლო აწ ბოროტსა ეშმაკსა, რაჲთამცა ფლობასა მისსა ქუეშე მყოფისა ბუნებისაგან ესევითარი არსებაჲ დაიბადა, რომელიმცა თავადისა მის დამბადებელისა მსგავს იყო**“ *(წმ. გრიგოლ ნოსელი, „სიტყუაჲ სწავლისა და მოძღურებისაჲ“, დასახ. გამოც. გვ. 83).*

1 *გამოთქმულ აზრს განამტკიცებს წმ. მაქსიმე აღმსარებლის შემდეგი კომენტარი:* „ვითარ საგონებელ რაჲმე არს, აქა ანგელოზთა შემკობილებისასა ესრეთ იტყჳს, ვითარმედ ღირსებისაებრ და შეტყუებისა თითოეულისა ნებათა და მოქმედებათაჲსა განეწესნეს პატივნი და დასნი მათნი უმაღლესად და უმდაბლესად ღმრთისა მიერ, რომელმან წინაჲსწარ-იცის ყოველივე მის მიერ დაბადებულთაჲ, თუ ვითარნი ყოფად არიან და ამას დაღაცათუ მიფარულად-რე იტყჳს აქა, არამედ ზემო ამისსა უწინარესსა თავსა შინა განცხადებულად სურვილისა და წადიერებისა მათისა თჳთმფლობელსა ცნობასა იტყჳს მიზეზყოფად დასთამიერთა უმეტესობისა და უდარესობისა. ვინაჲცა განწმედასა და განათლებასა და სრულყოფასა ზედა-დაჰრთავს მათთჳს, რომელთა მიერ არა უჯერო არს კეთილადმსახურებით ჴელყოფითა თქუმად, ვითარმედ ღმერთმან წინაჲსწარ უწყოდა ზეცისა ძალთაჲ თითოეულისა საზომი სურვილისა აღძრვათაჲ და ამისთჳს ღირსად სურვილისა მათისა დაჰბადნა წესნი და პატივნი დასისა

„ცისკრის ვარსკვლავის“, როგორც მაცხოვრის ერთ-ერთი სინონიმის ახალ აღთქმაში გამოყენების შესახებ

წარმოდგენილ მსჯელობათა შემდეგ, აუცილებელია განიმარტოს საკითხი წმინდა წერილში **„მთიების“**, იგივე **„ცისკრის ვარსკვლავის“** ალეგორიული გამოყენების შესახებ, რათა წარმოჩნდეს მიზეზი, თუ რატომ მიემართება დაცემულ ანგელოზს სინტაგმა - **„ცისკრის ვარსკვლავი“**, რომელიც იოანე მახარებლის „გამოცხადების“ მიხედვით, თავად მაცხოვრის, იესო ქრისტეს ერთ-ერთი სიმბოლოა (შდრ. „მე, იესუ, მოვავლინე ანგელოზი ჩემი, რადთა გიწამოს ესე ყოველი თქუენ, ეკლესიათა. მე ვარ ძირი და ნათესავი დავითისი, **ვარსკულავი ბრწყინვალე განთიადისაჲ**“ *(თან. ქართ. „...მე ვარ დავითის ფესვი და მოდგმა,* **ცისკრის კაშკაშა ვარსკვლავი**“; 22, 16: ἐγὼ Ἰησοῦς ἔπεμψα τὸν ἄγγελόν μου μαρτυρῆσαι ὑμῖν ταῦτα ἐπὶ ταῖς ἐκκλησίαις. ἐγώ εἰμι ἡ ῥίζα καὶ τὸ γένος Δαυίδ, **ὁ ἀστὴρ ὁ λαμπρὸς ὁ πρωϊνός)**[1].

მათისანი. **ვინაჲცა ზემოთა მათ დასთაჲ ვერვინ სადა სთქუას დაცემაჲ ჩუეულებისა გუარად შექმნითა კეთილისა მიმართ სიმდიდრისა ნებებისაჲთა** *(ე. ი. ვინაიდან ზემორე დასების ანგელოზთა შორის საკუთარი შემოქმედისადმი განსაკუთრებული ტრფიალი განიჭვრიტება, ვერავინ იტყვის, რომ აღნიშნული დასის წარმომადგენლები განუდგნენ უფალს; მ. გ.),* **ხოლო ანგელოზნი, რომელ არიან დასასრულისა შემკობილნი** *(იგულისხმება ბოლო „ანგელოზთა“ დასი; მ. გ.),* **ნუუკუე და მიითუალვენ უდარესთა მიმართ და ძჳრთა სიბოროტედ მიდრეკილებასა, ვინაჲთგან „უქუემოესად“ და „სოფლისაზედად“ სახელდებულად არიან დიდისა ამის მოძღურისა** *(იგულისხმება წმ. დიონისე არეოპაგელი; მ. გ.)* **მიერ და ამათგანად ვჰგონებ ყოფად ეშმაკსაცა პირველად დაცემადმდე მისსა,** ხოლო უკუეთუ ამას არა მიითუალვიდეს ვინმე, უსრულესისა რაჲსმე მეცნიერებითა ვეძიებ სწავლად“ *(ქართულ-ბერძნული საღვთისმეტყველო განმარტებანი ანგელოზურ ძალთა შესახებ, დასახ. გამოც. გვ. 163-164).*

1 *დამოწმებულ მუხლებს „აპოკალიფსის“ წიგნის კომენტატორი, წმ. ანდრია კესარია-კაბადუკიელი შემდეგნაირად განმარტავს:* „აქა კუალად ქრისტჱს დიდებულება ჩანს, რომელმან მოავლინა ანგელოზი, რაჲთა გამოუცხადოს ესე ყოველი ეკლესიათა. ძირი არს ქრისტე დავითისი,

თავდაპირველად, ტერმინოლოგიურ ჭრილში, შევნიშნავთ, რომ ესაის ზემოციტირებულ სიტყვებში დაცემული ანგელოზის ალეგორიულ სახედ მოხსენიებული „**მთიები**“, იგივე „**ცისკრის ვარსკვლავი**“ და მისი შესაბამისი, ანალოგიური, მრავალენოვანი სიტყვათშეთანხმებები (ებრ. „הֵילֵל“; **hêlel**; ლათ./ინგლ.„**Lucifer**“; ბერძ. „**Ἑωσφόρος**“; რუს. „**Денница**“) **არ არის იგივეობრივი** «გამოცხადებაში» ხსენებული „**ცისკრის ვარსკვლავისა**“.

შევადაროთ:

ბერძნული:

ძველი აღთქმა - „Πῶς ἐξέπεσεν ἐκ τοῦ οὐρανοῦ **ὁ ἑωσφόρος ὁ πρωΐ ἀνατέλλων**“;

ახალი აღთქმა - „ἐγώ εἰμι ἡ ῥίζα καὶ τὸ γένος Δαυίδ, **ὁ ἀστὴρ ὁ λαμπρὸς ὁ πρωϊνός**“;

ლათინური:

ძველი აღთქმა - „Quomodo cecidisti de caelo **lucifer qui mane oriebaris**[1];

ვითარცა ღმერთი. ხოლო ნათესავი მისი, რამეთუ ჴორციელად მისგან გამოვიდა. **ვარსკულავი არს განთიადისაჲ, რამეთუ განთიად მესამესა დღესა აღმოგჳბრწყინდა საფლავით და შემდგომად ბნელისა ამის სოფლისა მერმისა აღდგომისა განთიადსა აღმოუბრწყინდეს წმიდათა**“ *(თარგმანებაჲ იოვანეს გამოცხადებისაჲ, ანდრია კესარია-კაბადუკიელი, დასახ. გამოც. გვ. 77).*

1 *პეტრე მოციქული გვამცნობს:* „და მაქუს ჩუენ უმტკიცესი **საწინაწარმეტყუველოჲ სიტყუაჲ;** რომელი კეთილად ჰყოთ, ეკრძალნეთ, თუ ვითარცა სანთელსა მნთებარესა ადგილსა შინა წყუდიადსა, ვიდრემდის დღე განათლდეს და **მთიები** აღმობრწყინდეს გულთა შინა თქუენთა“ **(თან. ქართ.** „ეგეც არ იყოს, ხელთა გვაქვს უმტკიცესი წინასწარმეტყველური სიტყვა, და კარგად იქცევით, ისე რომ ესწრაფით მას, როგორც ბნელში მანათობელ ლამპარს, ვიდრე ირიჟრაჟებდეს და თქვენს გულებში ამობრწყინდებოდეს **ცისკრის ვარსკვლავი**“)“ *(2 პეტრე, 1, 19). მოტანილ მუხლში სიტყვა - „**მთიების**“ (თან. ქართ. „**ცისკრის ვარსკვლავის**“)* ადგილას ლათინურ თარგმანში ვხვდებით ტერმინს **lucifer**

ახალი აღთქმა - „ego sum redix et genus David **stella splendida et matutina**";

ინგლისური:

ძველი აღთქმა - „How art thou fallen from heaven, **O Lucifer, son of the morning**!";

ახალი აღთქმა - „I am the root and the offspring of David, and **the bright and morning star**";

(შდრ. et habemus firmiorem propheticum sermonem cui bene facitis adtendentes quasi lucernae lucent in caliginoso loco donec dies inlucescat et **lucifer** oriatur in cordibus vestris"; ***ასევე:*** ბერძ. „καὶ ἔχομεν βεβαιότερον τὸν προφητικὸν λόγον, ᾧ καλῶς ποιεῖτε προσέχοντες ὡς λύχνῳ φαίνοντι ἐν αὐχμηρῷ τόπῳ, ἕως οὗ ἡμέρα διαυγάσῃ καὶ **φωσφόρος** ἀνατείλῃ ἐν ταῖς καρδίαις ὑμῶν"). გამომდინარე იქიდან, რომ თანამედროვე საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიაში - „**ლუციფერი**" (**ლათ. Lucifer; ბრწყინვალე/კაშკაშა**) **დაცემული ანგელოზის**, იგივე **სატანას** საკუთარი სახელის ერთ-ერთი მნიშვნელობით იხმარება, აუცილებელია შევნიშნოთ, რომ ლათინურენოვან წმინდა წერილში ტერმინს - „**lucifer**" [მუხლებში - ესაია, 14, 12 და 2 პეტრე, 1, 19] **კაპიტალიზაცია** (ე. ი. საკუთარი და კერძო სახელის მიმანიშნებელი, სიტყვის **მთავრული** პირველი ასო) **არ გააჩნია** და ორივე შემთხვევაში „**ბრწყინვალისა**" და „**კაშკაშას**" მნიშვნელობით იხსენიება, რაც კვლავაც დასტურია იმისა, რომ სიტყვა „**მთიები**", იგივე „**ცისკრის ვარსკვლავი**", ერთ შემთხვევაში (ესაია, 14, 12), მუხლის შინაარსობრივი თხზულსიტყვაობიდან გამომდინარე, სწორედ, **დაცემულ ანგელოზს** მიემართება, როგორც პირველშექმნითად „**ყოვლადბრწყინვალე**" ბუნების მქონეს, ხოლო მეორე შემთხვევში (2 პეტრე, 1, 19), **მაცხოვარს**, როგორც **წყვდიადის მანათობელ ლამპარს და მორწმუნეთა გულებში აღმოცისკრებულ ჭეშმარიტ ნათელს**. აღსანიშნავია, რომ ე. წ. „მეფე ჯეიმსის ბიბლია" (KJV), რომლის თარგმანიც ლათინურენოვანი წყაროდან შესრულდა და რომელიც პირველად იყენებს სიტყვა - „**Lucifer**"-ის კაპიტალიზაციას, საკუთარ სახელთა აღმნიშვნელ ასომთავრულ წყობას მხოლოდ ესაიას საწინასწარმეტყველო მუხლების გადმოცემის ჟამს მიმართავს (შდრ. „How art thou fallen from heaven, **O Lucifer**, son of the morning!"), ხოლო ახალაღთქმისეულ მუხლებში ტერმინს - „**day star**" („**დილის/ცის-**

რუსული:

ძველი აღთქმა - „Как упал ты с неба, **денница, сын зари!**“;

ახალი აღთქმა - „Я есмь корень и потомок Давида, **звезда светлая и утренняя**“;

ამჯერად დავიმოწმებთ წმ. დიონისე არეოპაგელის ღვთივ-განბრძნობილ განმარტებას საღვთისმეტყველო მწერლობაში ალეგორიულ სახისმეტყველებათა გამოყენების შესახებ.

კრის ვარსკვლავი“) იყენებს (შდრ. „We have also a more sure word of prophecy; whereunto ye do well that ye take heed, as unto a light that shineth in a dark place, until the day dawn, and **the day star** arise in your hearts"). ***ასევე:*** საყურადღებოა ალექსანდრიელი ეგზეგეტის, ორიგენეს (ახ. წ. 184-253 წწ.) კომენტარი ესაიას [ლათინურენოვან] ტერმინზე **Lucifer**, სადაც პირველად გვხვდება დაცემული ანგელოზისადმი ამ ტერმინის მიკუთვნება. დავიმოწმებთ შესაბამის მითითებას *(რუფინუს აკვილელის ლათინური თარგმანის მიხედვით)*, რაც შედის ტრაქტატში „საწყისთა შესახებ“ (ბერძ. „Περί Αρχών“; ლათ. „De Principiis") და რაც, აგრეთვე, დაცულია წმ. ბასილი დიდისა და წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის მიერ მრავალ „სარეველათაგან“ განწმენდილ ანთოლოგიაში «მშვენირებისმოყვარეობა» (ბერძ. „Φιλοκαλίας“; ლათ. „Philocalia"): „წარმოჩენილი უწყებით აშკარაა, რომ იგი, ვინც „**მთიები**“ იყო და **გარიჟრაჟის ჟამს ცისკრობდა**, ზეციდან გარდამოვარდა. თუ, როგორც ზოგიერთი მიიჩნევს, იგი წყვდიადის ბუნებისა იყო, მაშ როგორღა იწოდა „**მთიებად**“, ან როგორღა შეეძლო დილით აღმობრწყინვება, უკეთუ არ გააჩნდა არაფერი მანათობელი? თუმცა თავად მაცხოვარი გვასწავლის ეშმაკის შესახებ: „ვხედევდ ეშმაკსა ვითარცა **ელვასა**, ზეცით გარდამოვრდომილსა“ *(ლუკა, **10, 18**)*. ამრიგად, **ერთ დროს იგი ნათელი იყო**. მეტიც, უფალმა, რომელიც თავადი ჭეშმარიტებაა, თავისი დიდებული მოსვლაც **ელვას** შეადარა და ბრძანა: „რამეთუ, ვითარცა **ელვაჲ** რაჲ გამობრწყინდის მზისა-აღმოსავალით და ჩანნ ვიდრე დასავალადმდე, ეგრეთ იყოს მოსლვაჲ ძისა კაცისაჲ“ (მათე, 24, 7). მიუხედავად ამისა, იგი მას (ეშმაკს, მ. გ.) ადარებს **ელვას** და ბრძანებს, რომ იგი ზეციდან დაეცა, რათა გვა-ჩვენოს, რომ ეს ეშმაკი ერთ დროს წმინდანთა შორის სამოთხეში დაივანებდა და იმ სინათლის წილმქონე იყო, რომელშიც ყოველი წმინდანი მკვიდრობს და რომლითაც ანგელოზნი სინათლის

„მისტიკოსი ღვთისმეტყველები ამავე გზით *(ე. ი. სიმბოლიზმის გამოყენებით; მ. გ.)* წმიდად გამოგვისახავენ არა მხოლოდ ციურ მწყობრთა გამოვლინებებს, არამედ ზოგჯერ თვით ღმერთმთავრულ გამოცხადებებსაც. ამიტომ არის, რომ უზენაესს ხან ხილულთა შორის უმეტესად ღირსეული სახეებით უგალობენ, როგორც „სიმართლის მზეს“ (მალაქ. 3, 20; სიბრძ. 5, 6), „**განთიადის ვარსკვლავს**“ (**გამოცხ**. 22, 16), **რომელიც წმიდად ამოდის გონებისათვის**; „ნათელს“ (იოანე 1, 9), რომელიც დაუფარავად და გონისეულად ბრწყინავს; ხან საშუალო ღირსების სახეებით ამკობენ მას, როგორც „უვნებლად მანათობელ ცეცხლს“ (გამოს. 3, 2); „წყალს“, რომელიც ცხოველ სისავსეს გვანიჭებს და, სიმბოლურად რომ ვთქვათ, მუცელში გვეღვრება, სადაც დაუცხრომლად ამოჩქეფს და მდინარედ გადმოდინდება (გამ. 17, 1-7; რიცხვ. 20, 8; ეს. 48, 21; ფს. 5, 41); ხან უმდარესი ხატებით აღწერენ, როგორც „სურნელოვან ნელსაცხებელს“ (ქება, 1, 3), ანდა „ქვაკუდხედს“ (ეს. 28, 16), ზოგჯერ კი მხეცთა სახეებითაც მოსავენ და ლომისა[1] და პანთერას თვისებებს აკუთვნებენ

ანგელოზებად გვევლინებიან, ხოლო მოციქულნი მაცხოვარს სოფლის ნათელს უწოდებენ“ (შდრ. „Manifestissime per haec ostenditur cecidisse de caelis utique qui prius erat **Lucifer**, et qui mane oriebatur. Si enim, ut putant aliqui, natura tenebrarum erat, quomodo ante fuisse **Lucifer** dicitur? Vel quomodo poterat oriri mane qui nihil in se habebat ex luce? Sed et Salvator docet nos de diabolo dicens: „Ecce video Satanam cecidisse de caelo sicut **fulgur**" (Luke, 10, 18). Lux enim erat aliquando. Sed et Dominus noster qui veritas est, gloriosi adventus sui potentiam nihilominus **fulguri** comparavit dicens: „Sicut enim **fulgur** a summon caelo fulget usque ad summum ejus, ita erit adventus Filii hominis" (Matthew, 24, 27). Et nihilominus hunc **fulguri** comparat, et dicit eum cecidisse de caelo; ut ostenderet per hoc fuisse et ipsum aliquando in caelo, et habuisse locum inter sanctes, et participasse de hac luce, de qua omnes sancti participant, ex qua angeli lucis efficiuntur, et apostolic lux mundi dicuntur a Domino“; PG. t. 11; Col. 163-164 A).

1 პარალელისთვის, საყურადღებოა, რომ წმინდა წერილში ეპითეტი „**ლომი**“ როგორც თავად **უფლის**, ასევე **ეშმაკის** სიმბოლოდ

მას. ამბობენ, რომ ლეოპარდიც არის იგი და გავეშებული დათვიც (ოს. 13, 7-8). დავძენ იმასაც, რომ ღვთივსწავლულთა გადმოცემით, ყველაზე უფრო უღირსად და უშვერად თითქოს მაშინ წარმოგვიდგება ღმერთმთავრობა, როდესაც თვით თავის თავს მატლის მსგავსად გამოგვისახავს (ფს. 27, 7). ამ გზით ყველა თეოსოფოსი და ფარული მობერვის გამომეტყველი შეურყვნელად მიჯნავს „წმინდათა წმინდას“ უზიარებელი და არასამღვდელო პირებისაგან. ამიტომ ამჯობინებენ ისინი უმსგავსო წმინდანაძერწობას, რადგანაც ამგვარ საფარველში, ერთი მხრივ, ვერც უწმინდურები მოიხელთებენ საღვთო

გამოიყენება, რაც კიდევ ერთხელ ჭეშმარიტი დასტურია იმისა, რომ ხილული სოფელი სახეა უხილავისა, ხოლო **ალეგორიული თხრობის ჟამს მნიშვნელოვანია, არა თავად გამოყენებული ტერმინი, არამედ შინაარსობრივი კონტექსტი.** დავიმოწმებთ რამდენიმე შესაბამის ბიბლიურ მუხლს - „**ლომის**“, როგორც **მაცხოვრის** სახისმეტყველების თვალსაჩინოებისათვის: „და ერთმან მღდელთა მათგანმან მრქუა მე: ნუ სტირ, აჰა ესერა სძლო **ლომმან** თესლისაგან იუდაჲსა, ძირმან დავითისმან, რომელმან აღაღოს წიგნი და შჳდნი იგი ბეჭედნი მისნი“ *(გამოცხ. 5, 5); **ასევე;*** „რამეთუ ღმერთი ვარ მე, და არა კაცი შენ შორის წმიდაჲ და არა შევიდე ქალაქად. შემდგომად უფლისა ვიდოდი, ვითარცა **ლომი** იბრდღუენდეს, რამეთუ იგი მუღრღოდის და განჰკრთენ შვილნი წყალთანი“ *(ოსია, 11, 9-10); **ასევე:*** „ხოლო მე, უფალი ღმერთი შენი, რომელმან გამოგიყვანე ქუეყანით ეგჳპტით, ღმერთი ჩემგან კიდე არა იცნა და არცა ვინ არის მაცხოვარ ჩემსა გარეშე. ...მეცა ვიქმნე მათთჳს **ლომი** ძუჲ, ვითარცა ვეფხი გზასა ზედა ასსურასტანისისა“ *(ოსია, **13, 7**); ამჯერად დავიმოწმებთ „**ლომის**“, **როგორც ეშმაკის სიმბოლოს ნიმუშს:*** „განიფრთხვეთ, მღჳძარე იყვენით, რამეთუ წინა-მოსაჯული თქუენი ეშმაკი ვითარცა **ლომი** მყჳრალი მიმოვალს და ეძიებს, ვინმცა შთანთქა“ *(**1** პეტრე, **5, 8**); **ასევე:*** „უფლის სუნთქვაზე დაიღუპებიან და მისი რისხვის ქარზე გაწყდებიან. **ლომის** ღრიალი მიწყდება და მხეცის კბილები შეიმუსრებ; **ლომი** უნადავლოდ დაიღუპება, ძუ **ლომის** ბოკვერნი გაიფანტებიან“ *(იობი, **4, 9-11**).*

საიდუმლოს, მეორე მხრივ კი, ვერც ღვთიურ შემკულებათა ხილვის მოყვარულები შეძლებენ ჭეშმარიტებად აღიქვან ხსენებული სიმბოლოები და მთლიანად შეემსჭვალონ მათ“[1].

დამოწმებული ეგზეგეზისი ცხადყოფს, რომ „მდარე" ანუ ამქვეყნიურ (ნივთიერ) სახისმეტყველებათა გამოყენებით საღვთო საიდუმლო შეურყვნელად გამიჯნულია და დაცულია უწმინდურ ზრახვათაგან, ამიტომაც გასაკვირი როდია, რომ „გამოცხადების“ წიგნში თავად მაცხოვარი იესო ქრისტე შეიმკობა ტერმინით „**ცისკრის ვარსკვლავი**“ , რადგანაც იგი, არეოპაგელი მღვდელთმთავრისვე განჩინებით, „**წმიდად ამოდის გონებისათვის**“ და ზეციდან გარდამოვარდნილ, „**ყოვლადბრწყინვალე**“[2] ბუნების მქონე უკეთური ძალის ალეგორიასთან, რათქმაუნდა, არანაირი კავშირი არ აქვს.

ამრიგად, ესქატოლოგიურ სიტყვებში - „მე, იესუ, მოვავლინე ანგელოზი ჩემი, რაჲთა გიწამოს ესე ყოველი თქუენ, ეკლესიათა. **მე ვარ ძირი და ნათესავი დავითისი, ვარსკულავი ბრწყინვალე განთიადისაჲ**“ მანიშნებელია **გამომსსნელი მაცხოვრის „ცისკრის ვარსკვლავად**“ სახელდების იმ თვალსაჩინო მიზეზისა, რომელსაც „რიცხვთა“ წიგნის ძველაღთქმისეულ თხრობაში ვხვდებით და

---

1 წმ. დიონისე არეოპაგელი, „ციური იერარქიის შესახებ“, დასახ. გამოც. გვ. **16-18.**

2 კვლავ დავიმოწმებთ წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის **38**-ე სიტყვის შესაბამის ადგილს, სადაც დაცემული ანგელოზის „**ყოვლადბრწყინვალე**“ ბუნებისა და მისი, როგორც „მთიების“ სახელდების შესახებ საეკლესიო სწავლებაა გადმოცემული. გაამპარტავნებული ანგელოზის შესახებ წმ. ექვთიმე ათონელისეულ თარგმანში ვკითხულობთ: „ხოლო დამარწმუნებს მე არა თქუმად და არცა შერაცხვად სრულიად აღუძრველ ბოროტისა მიმართ, არამედ ძნიად აღსაძრველ, **რომელი-იგი იყო ბრწყინვალებისათჳს მისისა მთიებ, რომელი ამპარტავნებისათჳს მისისა ბნელ იქმნა** და სხუანი იგი მიმდგომნი მისნი ძალნი განდგომილნი იგი, მომპოვნებელნი ბოროტისანი სივლტოლითა კეთილისაჲთა და ჩუენდა ბოროტისა მომატყუებელნი“ **(Sancti Gregorii Nazianzeni Opera; Versio Iberica III,** დასახ. გამოც. **p. 80).**

შესაბამის ადგილას ვკითხულობთ: „უჩუენო მას და არა აწ ვნატრო და არა მახლობელად **გამობრწყინდეს ვარსკულავი იაკობისგან და აღდგეს კაცი ისრაჱლისაგან** და მოსრნეს მთავარნი მოაბისანი და წარტყუენნეს ყოველნი ძენი სეითისნი“ (რიცხვ. 24, 17)[1].

წმინდა წერილის მოხმობილი მუხლები ერთმანეთთან სრულ სიმბოლურ-შინაარსობრივ თანხვედრაშია, რადგანაც ორივე მათგანში ადამიანთა ხსნის საღვთო განგებულების ბიბლიური იდუმალებაა გაცხადებული, რომლის თანახმადაც **კაცობრიობის მხსნელი, როგორც თვალთშეუდგამი ნათელი, წყვდიადის ჟამს აღმოცისკრებული,** სწორედ ადამიანთა **[იაკობისა და დავითის]**[2] მოდგმიდან იშვა და კვლავაც მომავალ არს დიდებით, განსჯად ცხოველთა და მკვდართა, რომლისა სუფევისა არა არს დასარულ.

---

1 შდრ. **თან. ქართ.** „ვხედავ მას, მაგრამ არა ახლა; ვუყურებ მას, მაგრამ არა ახლოდან. **ამოდის ვარსკვლავი იაკობისგან და იმართება კვერთხი ისრაელისგან,** მოწყლავს მოაბის მთავრებს და გაანადგურებს შეთის მთელს მოდგმას“; **ებრ.** „דָּרַךְ כּוֹכָב; קָרוֹ לִי אַתָּה, אֲשׁוּרֶנּוּ לִי עַתָּה, אֶרְאֶנּוּ לִי לֹא קָרוֹב; מִיַּעֲקֹב, וְקָם שֵׁבֶט מִיִּשְׂרָאֵל, וּמָחַץ פַּאֲתֵי מוֹאָב, וְקַרְקַר כָּל-בְּנֵי-שֵׁת“; **ბერძ.** „δείξω αὐτῷ, καὶ οὐχὶ νῦν· μακαρίζω, **καὶ οὐκ ἐγγίζει· ἀνατελεῖ ἄστρον ἐξ Ἰακώβ, ἀναστήσεται ἄνθρωπος ἐξ Ἰσραὴλ** καὶ θραύσει τοὺς ἀρχηγοὺς Μωὰβ καὶ προνομεύσει πάντας υἱοὺς Σήθ“; **ლათ.** „videbo eum sed non modo intuebor illum sed non prope **orietur stella ex Iacob et consurget virga de Israhel** et percuitiet duces Moab vastabitque omnes filios Seth"; **KJV.** „I shall see him, but not now: I shall behold him, but not nigh: **there shall come a Star out of Jacob, and a Sceptre shall rise out of Israel,** and shall smite the corners of Moab, and destroy all the children of Sheth“; **რუს. სინოდ.** „Вижу Его, но ныне еще нет; зрю Его, но не близко. **Восходит звезда от Иакова и восстает жезл от Израиля,** и разит князей Моава и сокрушает всех сынов Сифовых" (რიცხვ. 24, 17).

2 შდრ. „**წიგნი შობისა იესუ ქრისტესი, ძისა დავითისი, ძისა აბრაჰამისი.** აბრაჰამ შვა ისაკ; ისაკ შვა **იაკობ; იაკობ** შვა იუდა და ძმანი მისნი... სალმონ შვა ბოოს რექაბისაგან; ბოოს შვა იობედ რუთისგან; იობედ შვა იესე; იესე შვა დავით მეფე... ელიუდ შვა ელეაზარ; ელეაზარ შვა მატთან; მართან შვა იაკობ; იაკობ შვა იოსებ, ქმარი მარიამისი, **რომლისაგან იშვა იესუ, რომელსა ჰრქჳან ქრისტე**“ (მათე, 1, 1-16).

საყურადღებოა, რომ „გამოცხადების“ წიგნში **„ცისკრის ვარსკვლავი“** სახისმეტყველებითად კვლავ იხსენიება: „და რომელმან სძლოს და დაიმარხნეს ვიდრე აღსასრულადმდე საქმენი ჩემნი, **მივსცე ჴელმწიფებაჲ წარმართთა ზედა, და ჰმწყსიდეს მათ კუერთხითა რკინისაჲთა;** ვითარცა ჭურჭნი იგი მეკეცეთანი შეიმუსრნიან, ვითარცა მე მოვიღე მამისაგან. და **მივსცე მას ვარსკულავი იგი განთიადისაჲ.** რომელსა ჰქონან ყურნი, ისმინენ, რასა ეტყჳს სული ეკლესიათა“ (გამოცხ. 2, 26-29)[1].

ანდრია კესარია-კაბადუკიელი განმარტავს:

„ამათ სიტყუათა მიერ სასჯელსა მას მოასწავებს, რომელი მიცემად არს მოციქულთადა, რაჲთა შჯიდენ კაცთა, რაჟამს-იგი ცოდვილნი ვითარცა კუერთხითა რკინისაჲთა შეიმუსრნენ. ხოლო რომელ თქუა, ვითარმედ ვითარცა მე მამისაგან ჩემისა მოვიღე, ამას კაცობრივ იტყჳს ჴორცთა შესხმისა მისისათჳს. **ვარსკულავად განთიადისა ეშმაკსა იტყჳს, რომლისათჳს თქუა ესაია, ვითარმედ: ვითარ გარდამოვარდა მთიები იგი**

1 შდრ. **ბერძ.** „καὶ ὁ νικῶν καὶ ὁ τηρῶν ἄχρι τέλους τὰ ἔργα μου, δώσω αὐτῷ ἐξουσίαν ἐπὶ τῶν ἐθνῶν, καὶ ποιμανεῖ αὐτοὺς ἐν ῥάβδῳ σιδηρᾷ ὡς τὰ σκεύη τὰ κεραμικὰ συντρίβεται, ὡς κἀγὼ εἴληφα παρὰ τοῦ πατρός μου, καὶ δώσω αὐτῷ **τὸν ἀστέρα τὸν πρωϊνόν**. ὁ ἔχων οὖς ἀκουσάτω τί τὸ πνεῦμα λέγει ταῖς ἐκκλησίαις“; **ლათ.** „et qui vicerit et qui custodierit usque in finem opera mea dabo illi potestatem super gentes; et reget illas in virga ferrea tamquam vas figuli configentur; sicut et ego accepi a Patre meo et dabo illi **stellam matutinam**; qui habet aurem audiat quid Spiritus dicat ecclesiis“; **KJV**. „And he that overcometh, and keepeth my works unto the end, to him will I give power over the nations: And he shall rule them with a rod of iron; as the vessels of a potter shall they be broken to shivers: even as I received of my Father. And I will give him **the morning star**. He that hath an ear, let him hear what the Spirit saith unto the churches“; **რუს. სინოდ.** „Кто побеждает и соблюдает дела Мои до конца, тому дам власть над язычниками, и будет пасти их жезлом железным; как сосуды глиняные, они сокрушатся, как и Я получил [власть] от Отца Моего; и дам ему звезду утреннюю. Имеющий ухо (слышать) да слышит, что Дух говорит церквам“ (გამოცხ. 2, 26-29).

განთიადისა, რამეთუ ეშმაკსა იტყოდა და აქაცა წმიდათა ეტყჳს, ვითარმედ მისცეს მათ ეშმაკი ქუეშე ფერჴთა მათთა შემუსრვად“[1].

---

1 თარგმანებაჲ ..., გვ. 11; ასევე, ჩვენს ყურადღებას იპყრობს სიტყვები: **„ვითარმედ მისცეს მათ ეშმაკი ქუეშე ფერჴთა მათთა შემუსრვად“**. საქმე ის არის, რომ „გამოცხადების“ წიგნში იოანე მახარებელი შურსა და ამპარტავნებას აყოლილ პირველმეამბოხე უსხეულო ძალას ორგზის მოიხსენიებს სინტაგმით **„დასაბამიერი გველი“**: (1) „და გარდამოვარდა **ვეშაპი იგი დიდი, გუელი დასაბამისაჲ, რომელსა ეწოდების ეშმაკი და სატანა**, რომელი აცთუნებს ყოველსა სოფელსა“ (გამოცხ. 12, 9); (2) „და შეიპყრა **ვეშაპი იგი დიდი - გუელი დასაბამისაჲ, რომელი არს ეშმაკი და სატანა**, რომელი აცთუნებს ყოველსა სოფელსა“ (გამოცხ. 20, 2), „დაბადების“ წიგნში კი პირველმშობლების მაცდუნებელი გველის [დაცემული ანგელოზის] მიმართ წარმოთქმულია სიტყვები: **„და მტერობაჲ დავდვა შორის შენსა და შორის დედაკაცისა. და შორის თესლისა შენისა და შორის თესლისა მისისა იგი შენსა უმზირდეს თავსა და შენ უმზირდე მისსა ბრჭალსა“** *(დაბად. 3, 15)*, რაც **წუთისოფლად მხსნელის მოვლინების შესახებ პირველი ძველაღთქმისეული გაცხადებული უწყებაა.** „შობის“ შესახებ („In Nativitate Domini“) წარმოთქმულ 22-ე ქადაგებაში რომის პაპი, წმ. ლეონ დიდი დამოწმებულ მუხლთა მესიანურ იდუმალებას გაამხელს და ბრძანებს: „ყოვლისშემძლე და მოწყალე უფალმა, რომლის ბუნებაც თავად სიკეთეა, რომლის ნებაც ძალაა და რომლის საქმეც თვით წყალობაა, დასაწყისშივე, რაჟამს ეშმაკეულმა ღვარძლმა შურითაღვსილი საწამლავით მოგვაკვდინა, წინაგანსაზღვრა მისი წყალობის მიღების საშუალებები, შემზადებული ჩვენთვის, მოკვდავთათვის, ვინც უნდა გამოსყიდულიყო. **აუწყა რა გველს, რომ თესლი დედაკაცისა მოვიდოდა, რომელიც ძალითაებრ შემუსრავდა ბრალეულის ამპარტავან თავს, ამით მან მიგვანიშნა, რომ ქრისტე, რომელიც ცხადად მოვალს, როგორც ღმერთი სრული და კაცი სრული, შობილი ქალწულისაგან, ადამიანთა მოდგმის დამარღვეველს მისი შეურყვნელი დაბადებით შემუსრავს“** (შდრ. Deus enim omnipotens et clemens, cujus natura bonitas, cujus voluntas potential, cujus opus Misericordia est, statim ut nos diabolica malignitas veneno suae mortificavit

ამრიგად, თვალსაჩინოა, რომ „**ცისკრის ვარსკვლავი**“, მისი სიკაშკაშისდა გამო, შესაძლოა მრავალი თხზულსიტყვაობითი ალეგორიის ქვაკუთხედი იყოს, რადგანაც ეს გამონათქვამი, როგორც **სიმბოლო სინათლისა და ბრწყინვალებისა,** გამოგვისახავს **მაცხოვარს, გულთა შინა აღმოცისკრებულ ჭეშმარიტ ნათელს,** რადგანაც, წმინდა მამათა განჩინებით, ხილული სილამაზე უხილავი მშვენიერის სიმბოლოდ უნდა აღვიქვათ, რაც კვლავ მიმანიშნებელია იმის, რომ შურსა და ამპარტავნებას დამონებული, ეშმაკად წოდებული დაცემული ანგელოზი მარადიული ნეტარების წილმქონე იყო[1] და მიუხედავად „**ყოვლადბრწყინვალე**“ ბუნებისა, მის მიმართ გამოყენებული იგივეობრივი სახისმეტყველება - „**მთიები**“ ანუ „**ცისკრის ვარსკვლავი**“, ცხადია, არა თვალთ-შეუდგამი, დაუსაბამო ბუნებითი ნათლის შესახებ დაიტევს იდუმალმეტყველებას, არამედ **პლანეტა ვენერას** თვალითხილული და „**გაუკუღმართებული**“ **ასტრონომიული თავისებურების სიმბოლოდ გამოყენებით გაუკეთურებულ გონისმიერ ძალთა მიერ ცათა შინა აღსრულებულ ამბოხზე, საკუთარი შემოქმედისადმი ნებელობით დაპირისპირებაზე მიგვანიშნებს** და წმინდა წერილის შესაბამისი მუხლიც, მოძღვრების გამოთქმის სრული სისავსით, უკეთური გულისთქმის მქონე ანგელოზისადმი კუთვნილ რჯულდებას განაჩინებს: „**როგორ ჩამოემხე ციდან, მთიებო, ძეო განთიადისა!**“.

---

invidiae, praepareta renovandis mortalibus suae pietatis remedia inter ipsa mundi primordia praesignavit; **denuntians serpenti futurum semen mulieris quod noxii capitis elationem sua virtute contereret; Christum scilicet in carne venturum, Deum hominemque significans, qui natus ex Virgine violatorem humanae propaginis incorrupta nativitate damnaret**"; PL. t. 54; col. 194 A).

1 შდრ. „ამისთჳს პირველად მოიგონნა ანგელოზთა იგი ძალნი ზეცისანი; და მოგონებაჲ მისი საქმე იყო სიტყჳთა აღსრულებული და სულითა სრულქმნული. და ესრეთ დაებადნეს **ბრწყინვალებანი მეორენი, მსახურნი პირველისა მის ბრწყინვალებისანი**“ (Sancti Gregorii Nazianzeni Opera, Versio iberica I, დასახ, გამოც. p. 40).

გამოყენებული ლიტერატურა

1 - „ანტიკური მწერლობა“, პლატონი, „სახელმწიფო“, მთარგმნელი: ბაჩანა ბრეგვაძე, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, **2013.**

2 - „ეკლესიის მამათა სწავლება ანგელოზის დაცემისა და პირველგამოვლენილი ბოროტების შესახებ“, ირაკლი ორჟონია, საღვთისმეტყველო-სამეცნიერო შრომები, **VIII-IX,** თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა, თბილისი, **2018.**

3 - „ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველება“, ვიკტორ ნოზაძე, გამოცემა ავთანდილ მერაბაშვილისა, სანტიაგო დე ჩილე, **1957.**

4 - „ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება“, ვიკტორ ნოზაძე, სანტიაგო დე ჩილე, **1947.**

5 - „ზეციური იერარქია“, წმ. დიონისე არეოპაგელი, ციური იერარქიის შესახებ, თარგმნა ედიშერ ჭელიძემ, გამომცემლობა მერმისი, თბილისი, **2006.**

6 - „გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კომენტარები ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში“, თამარ ოთხმეზური, ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი, თბილისი, **2/2009.**

7 - „თარგმანებაჲ იოვანეს გამოცხადებისაჲ“, ანდრია კესარია-კაბადუკიელი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ივანე იმნაიშვილმა, რედაქტორი აკაკი შანიძე, თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, **1961.**

8 - „ლექსიკონი ქართული“, სულხან-საბა ორბელიანი, ნაწილი **I,** ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, **1991.**

9 - „ლექსიკონი ქართული“, სულხან-საბა ორბელიანი, ნაწილი **II,** ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ. გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, **1993.**

10 - „მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა“, წმინდა იოანე დამასკელი, ძეგლი ბერძნულიდან

თარგმნა, ორიგინალი და ინგლისურ-რუსული თარგმანები დაურთო, წინათქმა წაუმძღვარა და სქოლიოებით აღჭურვა ედიშერ ჭელიძემ, თბილისი, **2019.**

11 – „მცხეთური ხელნაწერი“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია, გამოსაცემად მოამზადა ე. დოჩანაშვილმა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი **1985.**

12 - პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, ეფრემ მცირის თარგმანი, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო სამსონ ენუქაშვილმა, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, **1961.**

13 - „ჟამთაღრიცხვა და საეკლესიო კალენდარი“, დეკანოზი ბიძინა (გუნია), თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია, ლიტურგიკული შტუდიები **III**, თბილისი, **2012.**

14 - „ჟურნალ „გზა სამეუფოს“ დანართი **N1**“, ედიშერ ჭელიძე, ადამიანი - ხატი პირმშოხატისა, თბილისი, **1995.**

15 - „რელიგიების ისტორია“, დეკანოზი თეიმურაზ თათარაშვილი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, გამომცემლობა შპს „სვეტი“, თბილისი, **2018.**

16 - “ტროპარ-კონდაკთა კრებული“, დაიბეჭდა რუსთველი მიტროპოლიტის ათანასეს (ჩახვაშვილი) ლოცვა-კურთხევით, რუსთავის წმიდა წამეტი ასურელი მამის სამლოცველოს გამომცემლობა „გორგასალი“, **2006.**

17 - „ქართულ-ბერძნული საღვთისმეტყველო განმარტებანი ანგელოზურ ძალთა შესახებ“, განმარტებათა ძველი ქართული [წმ. ეფრემ მცირისეული] ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ბერძნულ კომენტარებთან შეაჯერა, გამოკვლევა და ტერმინოლოგიური ლექსიკონი დაურთო ანა ჭუმბურიძემ, თბილისი, **2001.**

18 - „ქართული მწერლობა“, ტომი მეოთხე, „ვეფხისტყაოსანი“, შემდგენელნი: ა. ბაქრაძე; რ. თვარაძე; გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, **1988.**

19 - „წინამძღუარი“, ანასტასი სინელი, დოგმატიკონი **I**, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ნ. ჩიკვატიამ, მ. რაფავამ და დ. შენგელიამ, გამოკვლევა

და ლექსიკონი დაურთეს ნ. ჩიკვატიამ და დ. შენგელიამ, თბილისი, 2015.

20 - წმ. გრიგოლ ნოსელი, „სიტყუაჲ სწავლისა და მოძღურებისაჲ“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვა, სქოლიოები და ლექსიკონი დაურთო ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1/2008.

21 - წმინდა გრიგოლ ნოსელი, „პასუხი ექუსთა მათ დღეთათჳს“, საქართველოს ეკლესიის 1989 წლის კალენდარი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, სქოლიოები და ლექსიკონი დაურთო ედიშერ ჭელიძემ, თბილის, 1989.

22 - წმინდა იოანე ოქროპირი, მათეს სახარების განმარტება, წიგნი I, თბილისი, 2014.

23 - „ჰომილიები“, წმინდა მღვდელმთავარი იოანე ოქროპირი, I ტომი, შესაქმის განმარტება, ნაწილი პირველი, გამომცემლობა „ალილო“, თბილისი, 2015.

24 - A Dictionary of Angels including the fallen angels, Gustave Davidson, The Free Press, New York, 1967.

25 - Ancient Near Eastern Texts Relating to the Old Testament, Edited by James B. Pritchard, Third Edition with Supplement, Translators and Annotatos: W. F. Albright at al., Princeton University Press, Princeton, New Jersey, 1969.

26 - Biblia sacra, Iuxta Vulgatam Versionem, Isaias Propheta, 14, 12, Deutsche Bibelgesellschaft, Stuttgart. 1969, 1994.

27 - De Natura Deorum Academica, CICERO, XIX, The Loeb Classical Library, Edited By E. H. Warmington, Harvard University Press, London, 1967.

28 - Dictionary of Deities and Demons in the Bible, Karel van der Toorn, Bob Becking, Pieter Willem van der Horst, Utrecht University, Google Books (2nd – Extensively Revised edition), William B. Eerdmans Publishing company, Grand Rapids, Michigan/Cambridge, U.K, 1999.

29 - Heaven and Earth in the Gospel of Matthew, Jonathan T. Pennington, Supplements to Novum Testamentum 126, Koninklijke Brill NV, Leiden, The Netherlands, 2007.

30 - ISAIAH THROUGH THE AGES, Compiled and edited by Johanna Manley, Monastery Books, Menlo Park, California, 1995

31 - Josephus with an English translation by H. St. J. Thackeray, M.A. Vol. IV, Jewish Antiquities, Books I-IV, Harvard University Press, London, 1961.

32 - LATIN SYNONYMS, with their different significations: and examples taken from the best Latin authors, M.J.B Gardin Dumesnil, translated into English, with additions and corrections by The Rev. J.M Gosset, second edition, London, 1819.

33 - Northon„s Star Atlas and Reference Handbook, Edited by Ian Ridpathed, Person Education, New York, 2004.

34 - Old Testament Parallels: Laws and Stories from the Ancient Near East, 4th Edition, Victor H. Matthews and Don C. Benjamin, Paulist PressTM, 2017.

35 - PG. t. 9, 1857. ΕΛΛΗΝΙΚΗ ΠΑΤΡΟΛΟΓΙΑ (Πατrologia Γraeca);1857, t. 9.

36 - PG. t. 11, 1857. ΕΛΛΗΝΙΚΗ ΠΑΤΡΟΛΟΓΙΑ (Πατrologia Γraeca);1857, t. 11.

37- PL. t. 34, 1865 (Patrologia Latina); 1865, t. 34.

38 - PL. t. 54, 1846 (Patrologia Latina); 1846, t. 54.

39 - Ptolemy„s Amagest, Translated and Annotated by G. J. Toomer, Photoset and printed by Photobooks (Bristol) Ltd, London, 1984.

40 - Sancti Gregorii Nazianzeni Opera, Versio iberica I, Orationes I, XLV, XLIV, XLI, (Corpus Christianorum, Series Graeca, 36, Turnhout – Leuven) 1998.

41 - Sancti Gregorii Nazianzeni Opera; Versio Iberica III, Orationes XXXVIII, (Corpus Christianorum, Series Graeca, 45, Corpus Nazianzenum, 12, Turnhout – Leuven), 2001.

42 - Sancti Gregorii Nazianzeni opera, Versio iberica, V, Orationes XXXIX et XL, (Corpus Christianorum, Series Graeca, Corpus Nazianzenum, 58, 20, Turnhout – Leuven) 2007.

43 - Sancti Gregorii Nazianzeni Opera, Versio iberica VI, Orationes XI, XXI, XLII, (Corpus Christianorum, Series Graeca, 78, Turnhout – Leuven) 2013.

44 - Septuaginta, Id est Vetus Testamentum graece iuxta LXX interpretes, edidit Alfred Rahlfs, Duo volumina in uno, Deutsche Bibelgesellschaft, 1935, 1979.

45 - St. Augustine, The Literal Meaning of Genesis, Transl. and Annot. By J. H. Taylor, vol. II, Books 7-12, Paulist Press, 1983.

46 - The Cambridge Planetary Handbook, Michael E. Bakich, Cambridge University Press, Cambridge, United Kingdom, 2000.

47 - The Holy Bible", Old and New Testaments, Translated out of the original tongues: and with the former translations diligently compared and revised, Oxford University Press, 10/96.

48 - THE WORKS of Aurelius Augustine Bishop of Hippo, A new translation, edited by the Rev. Marcus Dodsm M.A, vol, I, The City of God, Book 11, Edinburgh, 1871.

49 - The works of Philo Juaeus, The contemporary of Josephus, Translated from the Greek by C. D. Yonge, B.A. Vol. III, Henry G. Bohn, York Street, Covent Garden, London, 1855.

50 - Worshipping Aphrodite, Art and Cult in Classical Athens", Rachel Rosenzweig, University of Michigan press, 2004.

51 - Библия, книга священного писания, ветхого и нового завета, канонические, Исаия, Гл.14,12, В Русском Переводе с параллельными местами, Перепечатано с синодалнього издания, Москва 1989.

52 - Св. Иоани Златоуст, Творения т.1, книга 1-я, С.-Петербург: издание С.-Петербургской Духовний Академии, 1994.

53 - Ðïëéôåßá, ΠΛΑΤΩΝ, ΒΙΒΛΙΟΘΗΚΗ ΑΡΧΑΙΩΝ ΣΥΓΓΡΑΦΕΩΝ, επιμέλεια έκδοσης ΕΥΑΓΓΕΛΟΣ ΠΑΠΑΝΟΥΤΣΟΙ, εισαγωγή μετάφραση - σχόλια ΙΩΑΝΝΗΣ ΓΡΥΠΑΡΗΣ, Ι. ΖΑΧΑΡΟΠΟΥΛΟΣ, ΠΕΡΙ ΤΟΥ ΔΙΚΑΙΟΥ.

გამოყენებული ინტერნეტ საიტები და ხელნაწერები

1 - „მზის საგალობელი“, წმინდა ფრანჩესკო ასიზელი, თარგმანი: ხატია ღუდუშაური - http://ai-ia.info/online-arqivi/198-cminda-fracis-asizeli-mzis-sagalobeli-anu-qebata-teba-qmnilebatagan.htm

2 - ENCICLOPÆDIA BRITANICA - https://www.britannica.com/science/retrograde-motion).
3 - Hebrew new testament – https://www.sarshalom.us/resources/scripture/asv/html/revelation.html№22
4 - The Book of Enoch, by R. Ishmael Ben Elisha The high Priest, Edited and Translated by Hugo Odeberg, London - https://archive.org/stream/HebrewBookOfEnochenoch3/BookOfEnoch3_djvu.txt
5 - Tanakh - https://www.scripture4all.org/OnlineInterlinear/Hebrew_Index.htm
6 - Псалтирь - https://azbyka.ru/biblia/?Ps.83)
7 - Полный церковно-славянский словарь - http://www.orthodic.org/word/13747
8 - Sin. 91; „სინური მრავალთავი“.

Mirian Gunia

Concerning of Naming of the Fallen Angel as "Lucifer" ("Mtiebi")

In the following publication there is reviewed 14:12 verses of Book of Isaiah from Old Testament, which through the metaphorical narration informs ecumene about the wise creature of heavenly bliss - the angels' descension to the hell who were enslaved with arrogance and envy and were expelled from the heavenly existence.

All above-mentioned is described by the God-bearing prophet Isaiah using the mythological-astronomical knowledge well-known to his contemporary idolatrous, apostasic Jewish people, whom he sternly and allegorically addresses in a sermon about haughty fallen angel - "How art thou fallen from heaven, O Lucifer, son of the Morning!".

The study focuses on reasons of why the God-speaking prophet called the banished angel "Lucifer", same as the Morning Star or

the Planet Venus, and by means of the multilingual relevant biblical passages and their terminological-explanatory interpretations, using the ecclesiastical exegesis within patristic literary heritage there is presented the church teachings about oust of angels. At the same time thesis revived the ways of using symbolic and allegorical-metaphorical methods in theology to explain how angels were overthrown from heaven to hell to the sides of the pit by observing the peculiarities of the celestial bodies.

Respectively, the present text addresses following aspects: (I) Hermeneutic of multilingual relevant biblical passages; (II) Use of characteristics and the method of embellishment of the invisible through the visible in theology; (III) Fallen angel's allegorical characteristics; (IV) The acnient Hebrew cosmogony and astronomical peculiarities of the Morning star or the Planet Venus; (V) Church teachings on the fall of angels; (VI) Using of "Morning Star" as one of the synonyms referred to the Savior in the New Testament.

ლაშა ტყებუჩავა

ევაგრე პონტოელის შრომა „ბოროტების რვა სულის შესახებ“ და მისი წმ. ექვთიმე ათონელისეული თარგმანი

ევაგრე პონტოელის სწავლანი ქართულად წინაათონური თარგმანითაა ცნობილი. ისინი დაცულია ერთადერთ ხელნაწერში Sin. 35 (907 წ.)[1]. აღნიშნულ ნუსხას ევაგრეს რამდენიმე ნაშრომი არასრულად შემოუნახავს, მათგან ზოგიერთის ბერძნული დედანი კ. კეკელიძის მიერ იყო მითითებული, ესენია:

1. **„თქუმული ევაგრჱსი მონაზონთა მიმართ კრებულთა“** (PG 40, col. 1277 C);

2. **„თქუმული ევაგრეჱსი რვათათჳს გულისსიტყუათა, რომელნი მოვლენან კაცსა ზედა“** (PG 40, col. 1221-1224);

3. **„მათვე რვათათჳს გულისსიტყუათა“** (PG 40, col. 1272-1276);

4. **„მათვე რვათა გულისსიტყუათათჳს“** (PG 40, col. 1224);

5. **„სასურველსა და საყუარელსა ევლოგის ევაგრე უფლისა მიერ გიკითხავ“** (PG 79, col. 1093-1096)[2].

---

1 ტექსტები კვლევითურთ გამოქვეყნებულია ს. მახარაშვილის მიერ. იხ.: მახარაშვილი 1984: 3-39.

2 კეკელიძე, 1960: 8-9. // იხ. აგრეთვე, მახარაშვილი 1984: 11-12;

ს. მახარაშვილი თავის შრომაში აღნიშნავს, რომ ევაგრეს ტრაქტატი **„რვა გულისსიტყვის შესახებ“** ქართულ ტექსტში სამ ნაწილად იყოფა:

ა. **„თქუმული ევაგრეცსი რვათათჳს გულისსიტყუათა, რომელნი მოვლენან კაცსა ზედა“;**

ბ. **„მათვე რვათათჳს გულისსიტყუათა“;**

გ. **„მათვე რვათა გულისსიტყუათათჳს“.**

მკვლევარი Migne-ს გამოცემაზე[1] დაყრდნობით თვლის, რომ სამივე სწავლა ფრაგმენტია ნაშრომისა **„თავები პრაქტიკული ცხოვრების შესახებ“**[2]. აღნიშნული ცნობა სიმართლეს შეესაბამება, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ Migne-ს გამოცემა არ არის კრიტიკული და ევაგრეს ცნობილი შრომა **„თავები პრაქტიკული ცხოვრების შესახებ“** PG-ში არასრულადაა გამოცემული. ქართული თარგმანის შედარება აღნიშნული ძეგლის კრიტიკულ გამოცემასთან (SC 171) ადასტურებს, რომ **სინურ ხელნაწერს შემოუნახავს „პრაქტიკოსის“ პირველი თექვსმეტი მუხლი**[3].

ჩვენ შევეცადეთ Sin. 35-ში დაცული ევაგრეს ყველა სწავლისთვის ბერძნული დედანი დაგვედგინა. აღმოჩნდა, რომ ევაგრეს შეგონება **„წეს არს, რომელნი ახლად მონაზონ იქმნებიან...“** (Sin. 35, 27r) PG-ში მიეწერება **წმ. ნილოს სინელს** და მის ერთ-ერთ ეპისტოლედ არის ცნობილი: "ΠΡΟΣ ΝΕΩΤΕΡΟΥΣ ΜΟΝΑΧΟΥΣ ΔΙΔΑΣΚΑΛΙΑ" (PG 79, col. 532 D9 – 533 B3). სხვა შრომაც – **„თანაშეუღლვილთათჳს“**, (Sin. 35, 32v-35v) **ნილოს სინელს** მიეწერება: "ΠΕΡΙ ΤΑΣ ΑΝΤΙΖΥΓΟΥΣ ΤΩΝ ΑΡΕΤΩΝ ΚΑΚΙΑΣ" // "de vitiis quae opposita sunt virtutibus" (PG 79, col. 1140-

---

მშვენიერებათმოყვარეობა 2013: 644-645.

1 ევაგრე პონტოელის შრომების Migne-ს გამოცემა (PG 40, 1219-1286) წარმოადგენს A. Galand-ის მიერ Bibl. vet. partum-ში გამოქვეყნებული ევაგრეს ნაშრომებისა და ფრაგმენტების რეპრინტს (მახარაშვილი 1984: 13).

2 მახარაშვილი 1984: 12.

3 იხ.: SC 171: 498-540.

1144). ევაგრეს დასახელებული ნაშრომი **ევლოგის მიმართ** არის გაგზავნილი და ცხრა ანტითეზისურ წყვილს შეიცავს. ქართულად მხოლოდ ექვსი ანტითეზისური წყვილია თარგმნილი:

1. **„ნაყროვანებისათჳს“** (γαστριμαργία) – **„მარხვისათჳს“** (ἐγκράτεια);

2. **„სიძვისათჳს“** (πορνεία) – **„სიწმინდისათჳს“** (σωφροσύνη);

3. **„ვეცხლისმოყვარებისათჳს“** (φιλαργυρία) – **„ნებსით უპოვარებისათჳს“** (ἀκτημοσύνη);

4. **„მწუხარებისათჳს“** (λύπη) – **„სიხარულისათჳს“** (χαρά);

5. **„რისხვისათჳს“** (ὀργή) – **„სულგრძელებისათჳს“** (μακροθυμία);

9. **„ამპარტავანებისათჳს“** (ὑπερηφανία) – **„სიმდაბლისათჳს“** (ταπείνωσις)[1].

წინაათონურ თარგმანს სამი წყვილი აკლია, ესენია:

6. **„მოწყინება“** (ἀκηδία) – მოთმინება (ὑπομονή);

7. **„დიდებისმოყვარეობა“** (κενοδοξία) – არადიდებისმოყვარეობა (ἀκενοδοξία);

8. **„შური“** (φθόνος) – უშურველობა (ἀφθονία).

სინურ ხელნაწერში შრომას **„თანაშეუღლვილთათჳს“** მოსდევს **„უკუე ცუდადზუაობისათჳს“**: **„ამას გულისსიტყუასა გარნა ლოცვაჲ უჴმს და ვედრებაჲ ღმრთისა მიმართ...“** (Sin. 35, 35v-37r). სამწუხაროდ, აღნიშნული ტექსტის ბერძნული დედანი დაუდგენელი დაგვრჩა.

არსებობს კიდევ ორი შეგონება, რომელთა ბერძნული წყარო კვლავ **წმ. ნილოს სინელთან** მოვიძიეთ, ესენია:

1. **„თავი ნაყოფისა გამოღებისაჲ არს ყუავილი...“** (Sin. 35, 27r-29r): "Περὶ γαστριμαργίας" (PG 79, col. 1145-1148);

2. **„პირი დედაკაცისაჲ არს ისარი წამლეული...“** (Sin. 35,

---

1 აქ Sin. 35-ში **„სიმდაბლისათჳს“** ორ ქვეთავად არის თარგმნილი (იხ.: მახარაშვილი 1984: 34), ბერძნული დედნის მიხედვით ერთ ქვეთავადაა (იხ.: Fogielman 2015: 298).

37r-39r): "Περὶ πορνείας" (PG 79, col. 1148-1152).

აღნიშნული ორი სწავლა, როგორც გაირკვა, შრომიდან: **„ბოროტების რვა სულის შესახებ“** (Περὶ τῶν ὀκτῶ πνευμάτων τῆς πονηρίας). მათგან ერთი **ნაყროვანების**, ხოლო მეორე **სიძვის** შესახებ გვმოძღვრავს.

ამრიგად, ხელნაწერი Sin. 35 შეიცავს ევაგრე პონტოელის შრომების შემდეგ თარგმანებს:

1. „თქუმული მონაზონთა მიმართ“, 26v-27r (PG 40, col. 1277 C);

2. „წეს არს, რომელნი ახლად მონაზონ იქმნებიან“, 27r (PG 79, col. 532 D9 – 533 B3);

3. „თავი ნაყოფისა გამოღებისაჲ არს ყუავილი...“, 27r-29r (PG 79, col. 1145-1148);

4. „თქუმული ევაგრეცსი რვათათჳს გულისსიტყუათა, რომელნი მოვლენან კაცსა ზედა“, 29r-29v (PG 40, col. 1221-1224);

5. „მათვე რვათათჳს გულისსიტყუათა“, 29v-32r (PG 40, col. 1272-1276);

6. „მათვე რვათა გულისსიტყუათათჳს“, 32r (PG 40, col. 1224);

7. „სასურველსა და საყუარელსა ევლოგის ევაგრე უფლისა მიერ გიკითხავ“ *(ევლოგის მიმართ ეპისტოლის პროლოგი)*, **32r-32v (PG 79, col. 1093-1096);**[1]

8. „თანაშეუღლვილთათჳს“ *(ექვს ქვეთავად)*, **32v-35v (PG 79, col. 1140-1144);**[2]

9. „უკუე ცუდადზუაობისათჳს“, 35v-37r; 10. „ევაგრცსივე თქუმული. პირი დედაკაცისაჲ არს ისარი წამლეული...“, 37r-39r (PG 79, col. 1148-1152).

როგორც გაირკვა, ჩამოთვლილი თარგმანები **ევაგრეს ექვსი ნაშრომიდან** არის გადმოღებული, თუმცა ყველა – ფრაგ-

---

1 ბერძნული ტექსტის კრიტიკული გამოცემისთვის იხ.: **Fogielman 2015: 112.** // სირიულ და სომხურ თარგმანებშიც ავტორად ევაგრეა გვხვდება **(Quasten 1986: 175;** მშვენიერებათმოყვარეობა **2013: 644-645).**

2 ბერძნული ტექსტის კრიტიკული გამოცემისთვის იხ.: **Fogielman 2015: 288-300.**

მენტულად. ეს ნაშრომებია:

1. **„მონაზონთა მიმართ კრებულთა“** – დასაწყისი;
2. **„სწავლება ახალშემდგარ მონაზონთათვის“**;
3. **„პრაქტიკოსის“** პირველი თექვსმეტი მუხლი;
4. **„ევლოგის მიმართ“** ეპისტოლის პროლოგი;
5. **„თანაშეუღლვილთათჳს“** – ექვს ქვეთავად;
6. **„ბოროტების რვა სულის შესახებ“** – პირველი ორი თავი (ნაყროვანებისა და სიძვის შესახებ).

დაუდგენელი რჩება ერთი სწავლის, **„უკუე ცუდადზუაობისათჳს“**, ბერძნული დედანი.

***

ევაგრე პონტოელის ორი ნაშრომი ქართულად წმ. ექვთიმე ათონელსაც უთარგმნია, ისინი ექვთიმესეულ თარგმანში **წმ. მაქსიმე აღმსარებლის სახელით** ერთ წიგნად არის შედგენილი და **„სიტყჳსგებისათჳს ვნებათაჲსა“** ეწოდება. აღმოჩნდა, რომ ექვთიმესეულ თარგმანში წარმოდგენილია ევაგრეს ორი შრომა: სწავლება **„რვა გულისზრახვის შესახებ“** (Περὶ τῶν ὀκτῶ λογισμῶν) და **„ანტირეტიკოსი“** (Ἀντιρρητικός)[1].

ამდენად, როგორც ვხედავთ, ევაგრეს ნაშრომი **„ბოროტების რვა სულის შესახებ“** ქართულად თარგმნილა ორგზის: **პირველად – წინაათონურ პერიოდში და მეორედ – ექვთიმე ათონელის მიერ.**

დასახელებული ძეგლიდან სინურ ხელნაწერს (Sin. 35) შემოუნახავს **მხოლოდ ორი სწავლა,** ხოლო ექვთიმესეულ თარგმანს – **სრული ტექსტი,** რომელიც შეტანილია მაქსიმე აღმსარებლის სახელით ცნობილ ნაშრომში: **„სიტყჳსგებისათჳს ვნებათაჲსა“**.

ევაგრე პონტოელის შრომა **„ბოროტების რვა სულის შესახებ“** შემორჩენილია ორი ბერძნული ვერსიით: ერთია მოკლე (A რედაქცია) და მეორე – ვრცელი (B რედაქცია).

A რედაქციას, როგორც წესი, ეწოდება **„ბოროტების რვა**

---

1 **„სიტყჳსგებისათჳს ვნებათაჲსა“**-ს იდენტიფიკაციის საკითხი განხილული გვაქვს სამეცნიერო კრებულ **„მრავალთავის“** 26-ე ნომერში.

სულის შესახებ“ (Περὶ τῶν ὀκτῶ πνευμάτων τῆς πονηρίας), ხოლო B რედაქცია ცნობილია სახელწოდებით – **„რვა გულისზრახვის შესახებ“** (Περὶ τῶν ὀκτῶ λογισμῶν).

A რედაქცია გამოცემულია J. P. Migne-ს მიერ: PG 79, col. 1145-1164, რაც აღებულია J. M. Suarès-ის გამოცემიდან.

1939 წელს J. Muyldermans-მა გამოაქვეყნა B რედაქციაში ნაპოვნი ძირითადი ვარიანტები და დამატებანი[1].

ვრცელი ვერსია ასევე წარმოდგენილია სირიულ, ეთიოპიურ, სომხურ, კოპტურ თარგმანებში და, ნაწილობრივ, ლათინურში[2].

ტექსტის ოთხმოცზე მეტი ბერძნული ხელნაწერია შემორჩენილი, რომელთა უმეტესობა ავტორად **წმ. ნილოს სინელს** ასახელებს. თუმცა **ორი ათონური ხელნაწერი ევაგრეს ავტორობას** ადასტურებს, კერძოდ, Protaton 26 (X ს., 115r-127r) და Lavra Γ 93 (XI ს., 308r-315v)[3].

თავის პუბლიკაციაში H.-M. Schenke-მ აჩვენა რომ ეს ტექსტი ადრეულ პერიოდში თარგმნილია საჰიდურ კოპტურზე და შემონახულია **ევაგრეს სახელით**[4]. ამასთან, კოპტური თარგმანი ვრცელ რედაქციას მისდევს. სირიული, არაბული და ეთიოპიური ვერსიებიც დასახელებულ შრომას **ევაგრეს აკუთვნებენ**[5].

Muyldermans-ს B რედაქციის ტექსტი სრულად არ გამოუცია, მან მხოლოდ A რედაქციისგან განსხვავებული ვარიანტები გამოაქვეყნა. მკვლევარმა ერთმანეთს შეუდარა B ვარიანტის ექვსი ხელნაწერი. ესენია: Paris gr. 890 (XI), 103v-115v; Paris gr. 1066 (XI), 45r-52v; Paris gr. 1188 (XI), 228v-237r; Coislin 109 (X),

---

1 იხ.: Muyldermans 1939: 235-274.

2 ლათინური, ეთიოპიური და სომხური თარგმანებისთვის იხ.: Muyldermans 1939: 259-261; 262-264; 264-273.

3 ხელნაწერთა აღწერილობისთვის იხ.: SC 170: 166-182; Catalogue 1895: 5; Catalogue 1925: 46.

4 Schenke 1989: 90-107.

5 Sinkewicz 2006: 66-67. // ეთიოპიური თარგმანისთვის იხ.: Spies 1932: 203-228; არაბული თარგმანისთვის იხ.: Samir 1992: 135-136.

15r-23v; Coislin 123 (XI), 349v-359r; Coislin 283 (XI), 204r-213v[1].

იგივე სამუშაო გასწია **R. E. Sinkewicz**-მა. მან ევაგრეს შრომების ინგლისური თარგმანი შეასრულა და **„რვა გულისზრახვის შესახებ“** შრომა ორივე ბერძნული რედაქციიდან თარგმნა. მანვე **B** ვერსიის **Muyldermans**-ისეული გამოცემის გარდა, თავის მხრივ, ექვსი ხელნაწერი გამოიყენა. ესენია: პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელნაწერები – **Coislin 109, Coislin 123** და **Paris gr. 1188**; ათონური – **Lavra Γ 93 (Athous 333)**; იერუსალიმური – **Stavrou 55**; და ვენეციური – **Antico 131 (471)**[2]. ავტორმა ძირითადი ვარიანტები და დამატებები გამოაქვეყნა იმავე წიგნის დანართი **I**-ში[3]. როგორც ვხედავთ, **Sinkewicz**-მა, **Muyldermans**-ისგან განსხვავებით, სხვა სამი ხელნაწერიც (**Lavra Γ 93, Stavrou 55, Antico 131**) შეისწავლა.

ევაგრეს ასკეტური ნაშრომი **„რვა გულისზრახვის შესახებ“**, მომაკვდინებელი ვნებების შესაბამისად, **რვა თავისაგან** შედგება. ეს ვნებებია: **ნაყროვანება, სიძვა, ვერცხლისმოყვარეობა, მწუხარება, მრისხანება, მოწყინება, დიდებისმოყვარეობა და ამპარტავნება**. წმ. კასიანე რომაელისა და სხვა წმინდა მამებისგან განსხვავებით, ევაგრე პონტოელი **მწუხარებას** რიგით მე-4 ადგილზე ათავსებს, ხოლო **მრისხანებას** – მე-5-ზე. ვნებების მსგავსი თანმიმდევრობით განლაგება მხოლოდ ევაგრეს ახასიათებდა[4]. ასკეტურ ტრადიციაში, როგორც წესი, **მრისხანება** მე-4 ადგილზე დგას, ხოლო **მწუხარება** მე-5-ზე[5].

როგორც ითქვა, **PG**-ში წმ. ნილოს სინელის სახელით გამოცემულია ნაშრომი **„ბოროტების რვა სულის შესახებ“** (**A** რედაქცია), სადაც ვნებები სტანდარტული თანმიმდევრობითაა განლაგებული, ექვთიმესეულ თარგმანში კი გულისზრახვები სწორედ იმ რიგითობითაა მოცემული, როგორც ეს ევაგრე

1 **Muyldermans 1939: 246.**

2 **Sinkewicz 2006: 66.**

3 **იხ.: Sinkewicz 2006: 294-299.**

4 **იხ.: PG 40, col. 1272-1276;** მახარაშვილი **1984: 25-28**

5 **იხ.: PL 49, col. 611;** მშვენიერებათმოყვარეობა **2013: 101.**

პონტოელს სჩვეოდა. აღნიშნული ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ ექვთიმე ათონელი თარგმნისას იმ ბერძნულ დედანს იყენებდა, სადაც შრომა ევაგრე პონტოელის სახელით იყო შეტანილი, რადგან სხვა შემთხვევაში, ვნებების რიგითობაც შეცვლილი იქნებოდა, როგორც ეს **Migne**-ს გამოცემაშია ნაჩვენები[1].

ქართული თარგმანების ბერძნულ წყაროსთან შედარებამ დაგვარწმუნა, რომ **„რვა გულისზარხვის შესახებ“** ნაშრომის ორივე ქართული თარგმანი ბერძნული დედნის **B** რედაქციას მისდევს. ექვთიმესეული თარგმანი შევუდარეთ **PG 79**-ში გამოცემულ **A** რედაქციას და აღმოჩნდა, რომ იმ მონაკვეთების დიდი ნაწილი, რომლებიც თითქოს აკლდა ექვთიმესეულ თარგმანს, სინამდვილეში **Muyldermans**-ისა და **Sinkewicz**-ის მიერ გამოცემულ ვარიანტებში არსებობდა.

ნაშრომის პირველ თავში (Περὶ γαστριμαργίας) ბერძნული რედაქციები ერთმანეთის მსგავსია. მეორე თავში (Περὶ πορνείας) გამოკვეთილია სამი ძირითადი განსხვავება, რაც ქართული თარგმანების წარმომავლობის გარკვევის საშუალებას გვაძლევს. ექვთიმესეული თარგმანის მიმართებას ბერძნული ტექსტის **A** და **B** რედაქციებთან ქვემოთ შევეხებით. ამჯერად კი განვიხილავთ მეორე თავში გამოვლენილ სამ ძირითად რედაქციულ განსხვავებას, რადგან, წინაათონური თარგმანით, დასახელებული ნაშრომის მხოლოდ პირველი ორი გულისზრახვის შესახებ სწავლებაა ცნობილი.

1. PG 79, col. 1148, D 4-5: Πορνεία συμπαραλήψεται κόρον εἰς συμμαχίαν (სიძვა თანაგანიკუთვნებს ნაყროვანებას თანამბრძოლად). იგივე მონაკვეთი **B** რედაქციაში ამგვარად იკითხება: Ὁ πολεμῶν πνεύματι πορνείας οὐ παραλήψεται κόρον εἰς συμμαχίαν [ἐπιθυμίας] (**Muyldermans 1939: 253**). მოცემული ფრაზა დასტურდება **Lavra Γ 93**-სა და **Stavrou 55**-ში[2]. აქ ექვთიმესეული თარგმანი ნაშრომის ვრცელ ვერსიას მისდევს, სადაც ვკითხულობთ: **„რომელი ჰბრძოდის სულსა სიძვისასა, ნუმცა მიუყვანებღა თანაშემწედ თჳსად სიმაძღრე მუცლისა და გემოვნობაჲ**

---

1 იხ.: **PG 79, col. 1145-1164.**

2 **Sinkewicz 2006: 295.**

სანოაგეთაჲ“ (Q 34, 352v). სინური ხელნაწერის მიხედვით, სიძვის შესახებ თავში გამოტოვებულია დასაწყისი ნაწილი. მასში ტექსტი იწყება შემდეგით: **„პირი დედაკაცისაჲ არს ისარი წამლეული...“** (მახარაშვილი 1984: 36). ამიტომ, ჩვენთვის საინტერესო ფრაზის წინაათონური თარგმანი საერთოდ არ არსებობს.

2. PG 79, col 1152, A 5-7: Ὅταν γυναικὸς μνήμη γένηται ἀπαθῶς, τότε νόμιζε τῶν ὅρων ἐπιβεβηκέναι τῆς σωφροσύνης. მოტანილი მონაკვეთი ნაშრომის B რედაქციაში ერთი წინადადებით გავრცობილია. კერძოდ, PG 79, col 1152, A 6: ἀπαθῶς add. **καὶ ἡ φαντασία αὐτῆς μὴ κινήσῃ τὸ πάθος** (Sinkewicz 2006: 295). ანუ B რედაქციის მიხედვით ვკითხულობთ: "Ὅταν γυναικὸς μνήμη γένηται ἀπαθῶς, **καὶ ἡ φαντασία αὐτῆς μὴ κινήσῃ τὸ πάθος,** τότε νόμιζε τῶν ὅρων ἐπιβεβηκέναι τῆς σωφροσύνης". მოვიტანთ მოცემული ადგილის ჩვენეულ თარგმანს: **„როცა ქალის ხსოვნა იბადება უვნებოდ, და თუ მისი წარმოსახვა არ ამოქმედებს ვნებას, მაშინ მიხვდი, რომ სიბრძნის საზღვრებში ხარ შესული“.** აღმოჩნდა, რომ მოცემულ შემთხვევაში ორივე ქართული თარგმანი B რედაქციის ვარიანტს მისდევს.

წინაათონური თარგმანი: **„ოდეს ძილსა შინა ეშმაკი დედაკაცსა ეზმანებინ, და თუ ხედვასა მას მისა სიძმარსა მას შინა თუ ბრძოლა-უყოს მათ ძალითა სულისა წმიდისაჲთა, მაშინ ცანნ, რამეთუ ქალწულებასა სათნოებისასა კეთილად მიწევნულ და დამტკიცებულ ხარ“** (მახარაშვილი 1984: 38). აქ ქართული თარგმანი ზედმიწევნით არ მიჰყვება ბერძნულს, მაგრამ კონტექსტის აზრი მაინც გადმოცემულია. ანონიმი მთარგმნელი ერთგვარ განმარტებით თარგმანს იძლევა. იგი გვიხსნის, რომ სიზმრისეული წარმოსახვის დროს, როდესაც ეშმაკი ქალის სახით ეჩვენება მოღვაწეს, მის წინააღმდეგ ბრძოლას სულიწმინდის ძალით აღასრულებს იგი.

ექვთიმესეული თარგმანი: **„ოდეს-იგი ჴსენებაჲ დედაკაცისაჲ მოვიდეს გულსა შენსა უვნებელად, და საუცარმან მისმან არა აღაზრზინოს ვნებაჲ შორის შენსა, მაშინ ცან, ვითარმედ საზღვარსა შესრულ ხარ სიწმიდისასა“** (Q 34, 354r). მოცემულ

შემთხვევაში ექვთიმესეული თარგმანი ზედმიწევნით და დაუკლებლად მიჰყვება ნაშრომის B რედაქციას.

3. PG 79, col 1152, B 1-2: μηδὲ ἐπὶ πολὺ προσομιλήσῃς τῷ φανέντι προσώπῳ (დიდხანს ნუ ისაუბრებ წარმოსახულ სახესთან). ამ შემთხვევაში B რედაქციის ნუსხებში განსხვავებული ვითარებაა. მოცემულ მონაკვეთში ყველა ხელნაწერისგან განსხავდება **Coislin 109,** სადაც მხოლოდ მოკლე ფრაზაა: μηδὲ ἐπὶ πολὺ προσομιλήσῃς[1]. მას არცერთი ქართული თარგმანი არ მისდევს.

აქ B რედაქციის ნუსხათა უმრავლესობა ერთ წაკითხვას გვთავაზობს: **Μὴ δῷς σὴν διάνοιαν φαντασίᾳ γυναικός, μηδὲ προσομιλήσῃς ἐπὶ πολὺ τῷ φανέντι προσώπῳ** (Muyldermans 1939: 254)[2]. აღმოჩნდა, რომ მოცემულ ციტატას წინაათონური თარგმანი მიჰყვება, სადაც ვკითხულობთ: **„ნუ მისცემ გონებასა შენსა ოცნებასა დედათასა, ნუცა ძრახავ პირისპირ მათ“** (მახარაშვილი 1984: 38).

ჩვენთვის მნიშვნელოვანია ათონური ხელნაწერი – **Lavra Γ 93.** მოვიტანთ ფრაზის მისეულ ვარიანტს: **Μὴ δῷς οὖν σὴν διάνοιαν φαντασίᾳ γυναικός**[3]. სწორედ მოცემულ ნუსხას მისდევს ექვთიმესეული თარგმანი, სადაც აღნიშნული მონაკვეთი სიტყვა-სიტყვითაა თარგმნილი: **„ნუ მისცემ უკუე გონებასა შენსა ვსენებასა დედათასა“** (Q 34, 354v).

ამდენად, ირკვევა, რომ დასახელებული მონაკვეთი – "Μὴ δῷς σὴν διάνοιαν φαντασίᾳ γυναικός, μηδὲ προσομιλήσῃς ἐπὶ πολὺ τῷ φανέντι προσώπῳ" – სრულადაა B რედაქციის ბერძნულ ხელნაწერთა უმრავლესობაში, რომელსაც წინაათონური თარგმანი მისდევს. PG-ში გამოქვეყნებული A რედაქცია აღნიშნული ფრაზის მხოლოდ მეორე ნაწილს შეიცავს, რომელსაც არცერთი ქართული თარგმანი არ ემთხვევა. ყველა ბერძნული ნუსხისგან გამოირჩევა ათონური – **Lavra Γ 93,** მასში, როგორც ვხედავთ, კონტექსტის

---

1 Sinkewicz 2006: 295.

2 იხ. აგრეთვე, Sinkewicz 2006: 295.

3 Sinkewicz 2006: 295.

მხოლოდ პირველი ნაწილია შეტანილი. ექვთიმესეული თარგმანი რედაქციულად ყველაზე ახლოს სწორედ ათონურ ხელნაწერთან დგას, რომელიც **„რვა გულისზრავის შესახებ“** B ვერსიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერძნული ნუსხაა. აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ რომ Lavra Γ 93-ში შესული ნაშრომები ევაგრე პონტოელის სახელითაა ცნობილი და არა – წმ. ნილოს სინელის.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ევაგრე პონტოელის შრომა **„ბოროტების რვა სულის შესახებ“** ანდა **„რვა გულისზრახვის შესახებ“** ქართულად ბერძნული ტექსტის B რედაქციიდან უთარგმნიათ. ექვთიმესეული და წინაათონური თარგმანების ურთიერთმიმართების წარმოსაჩენად პარალელულ სვეტებად მოვიტანთ ორივე თარგმანს[1]. ქართული თარგმანების პარალელურად მოგვაქვს PG-ში გამოქვეყნებული ბერძნული ტექსტიც (A რედაქცია), საჭიროების შემთხვევაში მას ვავსებთ Muyldermans-ისა და Sinkewicz-ის გამოცემებიდან (B რედაქცია).

---

1 ექვთიმესეული თარგმანი მოგვაქვს ხელნაწერ Q 34-ის მიხედვით. წინაათონური თარგმანის გამოქვეყნებული ტექსტი (მახარაშვილი 1984: 22-24; 36-38) შევუდარეთ Sin. 35-ს და გამოცემაში გაპარული ხარვეზები გავასწორეთ.

[340v] **პირველი თავი ნაყროვნებისათჳს.** *ქრისტე, წარმიმართე ძლევად ვნებათა!*	[1145] ΚΕΦΑΛ. Λ΄ **Περὶ γαστριμαργίας.**	**წინაათონური თარგმანი (Sin. 35)**
1. დასაბამი ნაყოფთაჲ არს ყუავილი და დასაბამი მოღუაწებათაჲ არს მარხვაჲ.	1. Ἀρχὴ καρποφορίας, ἄνθος, καὶ ἀρχὴ πρακτικῆς, ἐγκράτεια·	1. [27r] თავი ნაყოფისა გამოღებისაჲ არს ყუავილი და თავი კეთილისა საქმისაჲ არს ღმრთისა მიმართ მარხვაჲ.
2. რომელმან აღჴრასხნეს მუცელსა, მოაუძლურებს ვნებათა, ხოლო რომელი იძლეოდეს ჭამადთაგან აღაორძინებს გულისთქუმათა.	2. ὁ κρατῶν γαστρὸς, ἐλαττοῖ πάθη, ἡττώμενος δὲ βρώμασιν αὔξει τὰς ἡδονάς.	2. რომელი იპყრობდეს მუცელსა თუისა მარხვითა, შეამოკლნეს მან ვნებანი ჴორცთანი, და რომელი იმარხვიდეს ჭამადსა, დააცხრვნეს მან საძაგელნი საქმენი.
3. „დასაბამი წარმართთაჲ **(მათ მბრძოლთა ისრაჱლისათაჲ)** [341r] იყო ამალეკი" *(რიცხ. 24,20)*, და დასაბამი ვნებათაჲ **(მბრძოლთა სულიერისა მის ისრაჱლისათაჲ)** არს ნაყროვნებაჲ.	3. Ἀρχὴ ἐθνῶν Ἀμαλὴκ, καὶ ἀρχὴ παθῶν γαστριμαργία.	
4. ნივთი საჴუმილისაჲ არს შეშაჲ და ნივთი ნაყროვნებისაჲ – თითოფერნი ჭამადნი.	4. Ὕλη πυρὸς ξύλα, ὕλη δὲ γαστρὸς βρώματα.	4. ტყუჱ არს ცეცხლისაჲ შეშაჲ და ტყუჱ[1] ნაყროვანებისაჲ არს ჭამადი.
5. შეშამან ფრიადმან აღატყინის ალი დიდი და სიმრავლემან ჭამადთამან აღაზრზინნის გულისთქუმანი ბოროტნი.	5. Ξύλα πολλὰ μεγάλην ἐγείρει φλόγα, πλῆθος δὲ βρωμάτων τρέφει ἐπιθυμίαν.	5. შეშამან დიდმან აღაგზნის საჴუმილი ძლიერი და ჭამადმან მრავალმან განამრავლის გულისთქუმაჲ ბოროტი.

	6. Φλὸξ ἀμαυροῦται ἐπιλειπούσης ὕλης, καὶ βρωμάτων ἔνδεια μαραίνει ἐπιθυμίαν.	**6. საკუმილი დაშრტის, ოდეს მოაკლდის შეშაჲ, და ჭამადისა მარხვამან დააჭნვის გულისთქუმაჲ კორცთაჲ.**
7. ძუალითა მით ყბისაჲთა მოსრნა სამფსონ უცხოთესლნი	7. Ὁ κρατήσας σιαγόνος, ἀνεῖλεν ἀλλοφύλους, **καὶ δεσμὰ χειρῶν αὐτοῦ διέσπασεν εὐχερῶς.**	7. ღაწუითა აკოცნა სამსონმან უცხოთესლნი **და კრულებაჲ ჯელთა მისთაჲ განხეთქა ადვილად.**
	8. Ἀναίρεσις σιαγόνος πηγὴν ἐγέννησεν ὕδατος, καὶ γαστριμαργία καταργηθεῖσα, θεωρίαν ἔτεκε πρακτικήν.	**8. ღაწუისაგან გამოკდა წყალი და ნაყროვანებაჲ დააცხრო, და მაშინღა ცნა საქმჱ კეთილისაჲ.**
და მოკუდინებითა ნაყროვნებისაჲთა მოსწყდებიან ვნებანი.	**9. Πάσσαλος σκηνῆς παρελθὼν, σιαγόνα ἀνεῖλε πολέμιον,** καὶ λόγος ἐγκρατείας ἐνέκρωσε πάθος.	**9. მანითა კარვისაჲთა მოკლა მბრძოლი[2] იგი;** ეგრეცა სიტყუამან მან მარხვისამან მოაკუდინის ვნებაჲ კორცთაჲ.
10. გულისთქუმამან ჭამადისამან შვა ურჩებაჲ და გემოჲსხილვამან[1] ნაყოფისამან გამოკადა ადამი სამოთხით.	10. Ἐπιθυμία βρώσεως ἔτεκε παρακοὴν, καὶ γεῦσις ἡδεῖα ἐξέβαλε παραδείσου.	10. გულისთქუამან ჭამადისამან შვა გარდასლვაჲ მცნებისაჲ და ჭამადმან ტკბილისამან გამოკადნა იგინი სამოთხით.
11. თითოფერებაჲ სანოაგეთაჲ ახარებს სასასა, ხოლო ნაშობნი მათნი გულისთქუმანი ზრდიან მატლსა უძილსა.	11. Πολυτέλεια βρωμάτων τέρπει λαιμὸν, τρέφει δὲ σκώληκα ἀκολασίας ἀκοίμητον.	11. მრავალი ჭამადი აშუნ ნაყროვანსა და პოხნ იგი მატლსა მას საარებისასა დაუცხრომელსა.
12. მუცელი ნაკლულევანი თანაშემწე არს მღჳძარებისაჲ, ხოლო	12. Ἐνδεὴς γαστὴρ ἐν προσευχῇ ἀγρυπνεῖν παρασκευάζει, ἡ δὲ πεπλη-	12. მუცელი ცალიერი ლოცვასა შინა არნ მარადის მღუიძარედ, ხო-

საკვე ჭამადთაგან აიძულებს ძილად.

13. ჭამადი ჯმელი და ნაკლულევანი ფრთხილჰყოფს გონებასა, ხოლო საჭმელნი პოხილნი და სასუმელნი სამთრვალონი[2] დააბნელებენ გულსა და დაანთქმენ ვნებათა შინა.

14. ლოცვაჲ მმარხველისაჲ მართუე არს არწივისაჲ მთათა შინა მფრინვალე, ხოლო ნაყროვნისაჲ დამძიმებული ჭამადთაგან ქუე-ძურებინ, **ვითარცა ორბი მძორის-მჭამელი**.

15. ვარსკულავი მმარხველისაჲ სამყაროსა ცისასა ბრწყინავს, ხოლო ნაყროვნისაჲ ბნელსა შინა დანთქმულ არს.

16. [341v] არმური ღრუბლისა ჯშირისაჲ დაჰფარავს ბრწყინვალებასა მზისასა და სიზრქჱ ჭამადთა მრავალთაჲ დააბნელებს გონებასა.

ρωμένη ὕπνον ἐπάγει πολύν.

13. Νηφάλιον φρόνημα ἐν ξηροτάτῃ διαίτῃ, ὑγρὸς δὲ βίος βαπτίζει νοῦν εἰς βυθόν.

14. Νηστεύοντος προσευχὴ, νεοσσὸς ἀετοῦ ἀνιπτάμενος, ἡ δὲ τοῦ κραιπαλοῦντος βαρυνομένη τῷ κόρῳ, καθέλκεται·

15. νηστεύοντος νοῦς, ἀστὴρ ἐν αἰθρίᾳ λαμπρὸς, ὁ δὲ τοῦ κραιπαλοῦντος ἐν σκοτομήνῃ καλύπτεται·

16. ὀμίχλη καλύπτει ἡλιακὰς ἀκτῖνας, καὶ νοῦν σκοτίζει παχεῖα βρωμάτων ἀνάδοσις.

ლო საკვემან ძილი დიდი მოავლინის მძიმჱ.

13. მღუიძარება არს და სიბრძნე მონაზონისა, რომელი ჯმელად წარჰჯდეს ჟამთა თუისთა; ხოლო შუებით ცხორებამან დაათქის **[27v]** გონებაჲ თუისი უბსკრულადმდე.

14. მარხველისა ლოცვაჲ, ვითარცა მართუენი ორბისანი, აღფრინვედ ზეცად, ხოლო მშუებელი დამძიმდის, დაჯსნდის და განსუენების უნებნ და ლოცვასა მისსა[3] არა აქუნ შეწევნაჲ.

15. მარხველისა ლოცვაჲ, ვითარცა მასკულავი აერსა შინა წმიდასა ბრწყინვალჱ, ეგრე იყოს; ხოლო მომთრვალისაჲ – ბნელსა შინა დაფარულ არს.

16. ვითარცა ნისლმან დაფარის მზისა ბრწყინვალებაჲ, ეგრეცა გონებაჲ კაცისაჲ დააბნელის მრავალმან ჭამადმან და დიდმან.

ΚΕΦΑΛ. Β΄

17. სარკე დაგესლებული ვერ უჩუენებს კეთილად სახესა პირისა-

17. Ἔσοπτρον ῥυπωθὲν οὐ διαρθροῖ τὴν προσπεσοῦσαν μορφὴν, καὶ

17. ვითარცა სარკემან მწიკულევანმან არა გამოაჩინის ხატი კაცი-

სა და გონებაჲ მრავალთაგან ჭამადთა განზრქელებული[3] ვერ შეიწყნარებს გულისჯმისყოფასა საღმრთოსა.

διανοητικὸν ἀμβλυνθὲν κόρῳ, οὐ δέχεται γνῶσιν Θεοῦ.

საჲ, ეგრეცა გონებაჲ დააბნელის, რომელი მაძღარ არნ ჭამადითა მრავლითა, რამეთუ არა შეიწყნარის მან გულისჯმისყოფაჲ ღმრთისაჲ.

18. ქუეყანაჲ კორდი აღმოაცენებს ეკალსა და გონებაჲ ნაყროვნისაჲ შეიკრებს გულისსიტყუათა ბილწთა.

18. Χερσωθεῖσα γῆ ἀκάνθας τίκτει, καὶ νοῦς γαστριμάργου βλαστάνει λογισμοὺς αἰσχρούς.

18. ეკალნი აღმოსცენდიან ქუეყანასა, რომელი უქმად ძენ, და გონებასა ნაყროვანისასა აღმოსცენდიან გულისსიტყუანი საძაგელნი.

19. ვითარცა მწჯრესა შინა არა იპოების ნელსაცხებელი, ეგრეთვე გულსა შინა ნაყროვნისასა არა დაემკჳდრების წურთაჲ სულიერთა ხედვათაჲ.

19. Οὐκ ἔστιν ἐν βορβόρῳ εὑρεῖν ἀρώματα, οὐδὲ ἐν γαστριμάργῳ θεωρίας εὐωδίαν.

19. ვითარცა მწუირესა შინა არ არნ სულნელებაჲ, ეგრეცა ნაყროვანსა თანა – ხილვაჲ სულიერებისაჲ.

20. თუალნი ნაყროვნისანი გამოიკულევენ ხადილობათა, ხოლო თუალნი მმარხველისანი ეძიებენ შესაკრებელსა ბრძენთა და ღმრთისმოყუარეთასა.

20. Ὀφθαλμὸς γαστριμάργου περιεργάζεται συμπόσια· ὀφθαλμὸς δὲ ἐγκρατοῦς συνέδρια σοφῶν.

20. თუალი ნაყროვანისაჲ ისტუანავნ, სადაცა არნ შუებაჲ ღუინისაჲ, ხოლო თუალი მარხველისაჲ ეძიებნ შესაკრებელსა ბრძენთასა.

21. ჯსენებასა წმიდათასა იხარებნ გული ნაყროვნისაჲ, **რაჲთამცა ტაბლაჲ დაიგო სავსე სანოაგითა**, ხოლო მმარხველი მოსწრაფე არნ ბაძვად ცხორებასა მათსა.

21. Μνήμας μαρτύρων ἀριθμεῖ ψυχὴ γαστριμάργου, ἡ δὲ τοῦ ἐγκρατοῦς μιμεῖται βίους αὐτῶν.

21. ნაყროვანი კაცი რაცხნ ჯსენებასა წმიდათასა, ხოლო მარხველი ჰბაძავნ ცხორებასა მათსა.

22. მხედარი მოშიში და უგულოჲ ძრწინ, რაჟამს

22. Δειλὸς στρατιώτης φρίσσει σάλπιγγα ση-

22. მოშიში სტრატეოტი ძწინ, ოდეს ესმენ ჯმაჲ

ესმინ ჯმაჲ საყჳრისაჲ, მაუწყებელი ბრძოლისაჲ და ნაყროვანი მწუხარე არნ, ესმინ რაჲ ქადაგებაჲ მარხვისაჲ.

μαίνουσαν πόλεμον, καὶ γαστρίμαργος κηρυσσομένην ἐγκράτειαν.

ნესტუისაჲ ბრძოლად; და ნაყროვანსა მონაზონსა უძნნ, ოდეს ესმინ მარხვაჲ.

23. მონაზონი ნაყროვანი ხარკისა თანამდებ[4] არს მუცლისაჲ, რომლისაგან გუემული იზღვევის დღითი-დღე ხარკისა მიცემად.

23. Γαστρίμαργος μοναχὸς, κοιλίας ὑπόφορος, καὶ μαστιζόμενος ἀπαιτεῖται δασ[1148] μὸν ἡμερούσιον.

23. ნაყროვანი მონაზონი მონა არს მუცლისაჲ, ხოლო მარხველი იტანჯავნ თავსა თუისა, გამოჰჯდინ დღითი-დღედ სასყიდელსა ჯორცთა თუისთა.

24. მოგზაური მალე-მსრბოლი ადრე [342r] მიიწიოს ქალაქად და მონაზონი მმარხველი მსთუად მისწუთეს ცხორებასა უვნებელობისასა.

24. Ὁδοιπόρος ὀξὺς ταχέως καταλήψεται πόλιν, καὶ μοναχὸς ἐγκρατὴς εἰρηνικὴν κατάστασιν·

24. ვაჭარი მალᲑ ადრე მიიწიის ქალაქად და მონაზონი მარხველი ადრე – მიწის[28r]მუშაკობასა და ყუდროებასა მას.

25. მოგზაური მცონარი **ვერ მიიწიოს სადგურად, არამედ** უდაბნოსა სავანე-ყვის ჰაერთა ქუეშᲑ და მონაზონმან ნაყროვანმან ვერ მოიგის სავანე უვნებელობისაჲ.

25. ὁδοιπόρος βραδὺς ἐν ἐρημίᾳ αὐλισθήσεται ὕπαιθρος, καὶ μοναχὸς γαστρίμαργος οὐ φθάσει εἰς οἶκον ἀπαθείας.

25. ვაჭარი მედგარი და ნელადმავალი უდაბნოსა ზედა დაეყვის აერსა ქუეშე შიშით და ნაყროვანი კაცი ვერ მისწუდის საქმესა სულთასა.

26. ორთქლი საკუმეველისაჲ სურნელ-ჰყოფს ჰაერსა და ლოცვაჲ მმარხველისაჲ წარემართების, ვითარცა საკუმეველი რჩეული წინაშე ღმრთისა.

26. Ἀτμὶς θυμιάματος εὐωδιάζει ἀέρα, καὶ προσευχὴ ἐγκρατοῦς ὄσφρησιν Θεοῦ.

26. ვითარცა სულმან საკმეველისამან სულნელ-ყვის აერისა ხილვაჲ, ეგრეცა ლოცვაჲ მარხველისაჲ აღიწევინ აერთა და იყნოსებინ სულნელებად წინაშე ღმრთისა.

27. უკუეთუ მისცე თავი შენი გულისთქუმასა

27. Ἐὰν δῷς σεαυτὸν ἐπιθυμίᾳ βρωμάτων,

27. უკუეთუ მისცე თავი შენი გულისთქუმასა ჭა-

ჭამადთასა, არარაჲ კმაგეყოს აღსრულებად გემოთა მათ, რამეთუ გულისთქუმაჲ ჭამადთაჲ ცეცხლი არს მარადის მოტყინარე, რომელი-იგი არა განძღების შეწუვად ნივთსა მას ჭამადთასა.

οὐδὲν ἀρκέσει πρὸς τὸ πληρῶσαι τὴν ἡδονήν· πῦρ γάρ ἐστιν ἐπιθυμία βρωμάτων, ἀεὶ δεχομένη, καὶ ἀεὶ φλεγομένη.

მადთასა, არარაჲ კმა-გეყოს შენ აღვსებად მუცლისა, რამეთუ ცეცხლ არს გულისთქუმაჲ ჭამადთაჲ, მარადის შეიწყნარებს და მარადის მდუღარე არს.

28. ჭამადმან ზომითმან აღავსის მუცელი წესიერისაჲ, ხოლო ნაყროვნისაჲ არასადა იტყჳს, თუ: „კმა არს" *(იგავ. **30,15**).*

28. Μέτρον αὔταρκες ἐπλήρωσεν ἀγγεῖον, γαστὴρ δὲ ῥηγνυμένη, οὐ λέγει, Ἀρκεῖ.

28. საწყეომან აღავსის ჭურჭელი დიდი, ხოლო მუცელმან მაძღარმან არასადა თქუის, ვითარმედ: „კმა არს".

სიბრძნემან შვის მარხვაჲ, ხოლო ნაყროვნებაჲ დედაჲ არს სიძვისაჲ. ურემმან საკსემან აღაგზნის ცეცხლი ურმისთუალსა შინა, ეგრეცა მუცელმან მაძღარმან გულისთქუმაჲ დედათა მიმართ აღაგზნის. ღელვამან დიდმან დააქცინის ნავნი და გულისსიტყუამან სიძვისამან დაუდგომ-ყვის გონებაჲ კაცისაჲ. რომელი ჰბრძავნ სულსა მას სიძვისასა, მან არა განიძღის მუცელი თუისი ჭამადითა, რამეთუ დაუტევის იგი სულმან სიძვისამან; და მერმე კუალად მოაქცის სულმან მან სიძვისამან და წინააღუდგის მას, და უკუანაჲსკნელ მოიყვანის სხუანი მტერნი და ბრძოლა-უყვის მას ბოროტად. უწყლველი

ჰგიენ ისართა მათგან მტერისათა, რომელსა უყუ არნ შეყენებაჲ, შინა ჯდომაჲ და მარხვაჲ; ხოლო რომელსა უბანთა ზედა განცხრომაჲ ჰნებავნ, იგი მარადის იწყლვინ.

29. განპყრობამან ჯელთამან იოტა ამალეკი და მადლი მმარხველისაჲ დაიმორჩილებს ვნებათა.

29. Χειρῶν ἔκτασις ἐτροπώσατο τὸν Ἀμαλὴκ, καὶ πράξεις ἐπηρμέναι χειροῦνται πάθη σαρκός.

29. ჯელნი განიპყრნა მოსე ღმრთისა მიმართ და არცხუინა ამალეკსა, ეგრეცა საქმემან კეთილმან ღმრთისა-მიმართმან და მარხვამან დაამდაბლნის ვნებანი, რომელი **[28v]** ჯორცთა მათ ზედა მოვლენედ.

ΚΕΦΑΛ. Γ´

30. მოსპე შენგან, ღმრთისმოყუარეო, ყოველი გულისსიტყუაჲ ხენეში და ასონი ჯორცთა შენთანი ძლიერად მოაკუდინენ. რამეთუ ვითარცა მბრძოლმან მოკლულმან ვერ-სადა შეგაშინის, ეგრეთვე მარხვისა მიერ მომკუდართა ჯორცთა ვერსადა შეაშფოთონ სული შენი.

30. Ἐξολόθρευσον ἐκ σοῦ πᾶν ἔμπνεον κακίας, καὶ μέλη σαρκός σου νέκρωσον ἰσχυρῶς. Ὃν τρόπον γὰρ ἀνῃρημένος πολέμιος, οὐ παρέξει σοι φόβον, οὕτω νεκρωθὲν σῶμα οὐ ταράξει σου τὴν ψυχήν.

30. განიშოვრე შენგან ყოველნივე უკეთურებანი, რომელ არიან შენ თანა და ჯორცნი შენნი[4] მოაუძლურენ მარხვითა. ვითარცა მოკლულისა ახოვნისა არა შიშ არნ, ეგრეცა რომელმან მოაკუდინნეს ჯორცნი თუისნი მარხვითა, არა შეძრწუნდეს სული მისი.

31. არა ელმინ ცეცხლისა მიახლებითა გუამსა მკუდრისასა, არცა გულსა მმარხველისასა შეეხნიან გულისთქუმანი ბილწნი.

31. Οὐκ οἶδε πυρὸς ὀδύνην σῶμα νεκρὸν, οὐδὲ ἐγκρατὴς ἡδονὴν ἐπιθυμίας νεκρᾶς.

31. არა აქუნ ჯორცთა მჯურვალებაჲ, რომელნი მარხვითა მოუძლურებულ არიედღა, და არა შეეხის მარხველისა ჯორცთა გულისთქუმაჲ საძაგელი.

32. [342v] უკუეთუ მოჰკლა მეგჳპტელი, დაჰფალ იგი ქჳშასა შინა; და უკუეთუ მოაკუდინნე გულისთქუმანი, დაჰფლენ იგინი მარხვასა შინა და სიმდაბლესა. **რამეთუ ქჳშაჲ სახე არს სიმდაბლისა და მარხვისაჲ, რამეთუ ჴმელი არს და შემუსრვილი და უცხო სიპოხისაგან.**

32. Ἐὰν πατάξῃς Αἰγύπτιον, ἐν ἄμμῳ κρύψον αὐτὸν, καὶ μὴ πιάνῃς σῶμα ἐπὶ ἡττωμένῳ πάθει·

32. უკუეთუ მოგიჯდეს გულსა შენსა ცოდვაჲ, მარხვითა და თაყუანისცემითა დაფარე იგი; და ნუ განასუქებ ჯორცთა შენთა, რაჲთა არა აღდგენ ვნებად შენ ზედა.

33. ვითარცა ქუეყანაჲ პოხილი აღმოაცენებს თივასა, ეგრეთვე ჯორცთა შინა ზრქელთა და მრავალთაგან ჭამადთა განპოხებულთა იშუებენ ვნებანი.

33. ὡς γὰρ ἐν λιπώσῃ γῇ φύει τὸ κρυφθὲν, οὕτως ἐν σώματι πιμελῶδει ἀναθάλλει τὸ πάθος.

33. ვითარცა ქუეყანასა, ღმრთისა პოხილსა, დაეთესის თესლი და დაეფარის და გამოჯდის მეყსეულად, ეგრეცა ჯორცთა შინა პოხილთა აღმოსცენდიან გულისთქუმანი ბოროტნი.

34. ალი დაშრეტილი აღეტყინის დართვითა ფიჩხისაჲთა და გულისთქუმაჲ დამცხრალი განახლდების სიმაძღრითა ჭამადთაჲთა.

34. Μαρανθεῖσα φλὸξ ἀναλάμπει ἐπιλαβομένη φρυγάνων, καὶ ἡδονὴ σβεσθεῖσα ἀναζωπυροῦται ἐν κόρῳ βρωμάτων.

34. დაცემულსაღა საჯუმილსა დასხიან შეშაჲ და აღეგზნეს, ეგრეცა ჯორცნი მარხველისანიღა განძღიან და განსუქნიან მუნთქუესვე, მეყსეულად აღატყდის გულისთქუმაჲ ბოროტი მის ზედა.

35. ნუ შეიწყალებ ჯორცთა შენთა მარხვისათჳს წესიერისა, ნუცა განასუქებ მათ სიმრავლითა სანოაგეთაჲთა, რაჲთა არა აღგიდგინნეს ბრძოლანი დიდნი, ვიდრემდის წარ-

35. Μὴ ἐλεήσῃς σῶμα ἀτονίαν ἀποδυρόμενον, μηδὲ πιάνῃς αὐτὸ πολυτελείᾳ βρωμάτων· ἐὰν γὰρ ἰσχύσῃ, ἐπαναστήσεταί σοι, καὶ πόλεμον ἄσπονδον κινήσει κατὰ σοῦ, ἕως ἂν

35. ნუ შეიწყალებ ჯორცთა შენთა მარხვისა მოუძლურებად, ნუცაღა განასუქებ მათ ჭამადითა დიდითა. უკუეთუ განძლიერდენ ჯორცნი შენნი, აღდგენ იგინი შენ ზედა და დიდი ბრძოლაჲ

ტყუენოს სული შენი და მიგცეს მონად ეშმაკსა მას სიძვისასა.

αἰχμαλωτεύσῃ σὴν ψυχὴν, καὶ δοῦλον παραδώσει σε τῷ τῆς πορνείας πάθει.

გიყონ შენ, ვიდრემდის არა წარეტყუენოს სული შენი, და მონად მიგცეს შენ გულისთქუმასა მას სიძვისასა.

36. ცხენმან კეთილად დამწყსილმან არა დასცის მჯედარი, არამედ ჰმორჩილობნ აღჯრსა, ვიდრეცა ჰნებავნ ზედამჯდომელსა, ეგრეთვე ჯორცნი ესე დაიმწყსებიან მარხვითა და მღუძარებითა და არა ურჩ ექმნებიან აღჯრთა მათ საღმრთოჲსა მოღუაწებისათა, ამისთჯსცა მშჯდობით იქცევინ გონებაჲ იგი და დაწყნარებულად ხადინ უფალსა, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი-უკუნისამდე, ამენ.

36. Ἵππος εὐήνιος, ἐνδεὲς σῶμα, καὶ οὐ μὴ καταβαλεῖ τὸν ἀναβάτην ποτὲ, ὁ μὲν γὰρ εἴκει ἀγχόμενος χαλινῷ, καὶ τῇ χειρὶ πείθεται τοῦ ἡνιόχου, σῶμα δὲ δαμάζεται ἐν λιμῷ, καὶ ἀγρυπνίᾳ, καὶ οὐκ ἀποσκιρτᾷ τοῦ ἐπιβατοῦντος λογισμοῦ, οὐδὲ χρεμετίσει κινούμενον ὑπὸ ὁρμῆς ἐμπαθοῦς.

36. ცხენი მჭლჱ ყუდრო არნ და დაშნ და არასა დასცის ზედამჯდომელი თუისი, რომელიმე დაემორჩილეს აღუირითა და ჯელთა მიმო, და უშუებნ, ვიდრეცა ჰნებავნ ზედამჯდომელსა მას; ეგრეცა ჯორცნი დაიმწყებიან სიმჭლითა, მარხვითა და მღუიძარებითა, და არასადა მიუშუან გულისთქუმასა სიძვისასა **[29r]** და არცაღა მისცის თავი თუისი ვნებასა მას ჯორცთასა, არამედ იჯსნიან თავი თუისი მარხვითა და თაყუანისცემითა, რამეთუ ესვედ მამასა, ძესა და წმიდასა სულსა და უფალი შეეწევინ მათ უკუნისამდე.

ნეტარისა მამისა ჩუენისა მაქსიმესი სწავლაჲ ბ, ბრძოლათათჯს სიძვისათა.

ΚΕΦΑΛ. Δ΄
Περὶ πορνείας.

[37r] ევაგრჱსივე თქუმული

1. მშობელი სიწმიდისაჲ არს მარხვაჲ, ხოლო ნაყროვნებაჲ დედაჲ არს სიძვისაჲ.

1. Σωφροσύνην τίκτει ἐγκράτεια, γαστριμαργία δὲ, μήτηρ ἀκολασίας·

2. ზეთი ზრდის ლამპარსა სასანთლისასა და

2. ἔλαιον τρέφει λαμπάδα λύχνου, καὶ πυρ-

უბნობაჲ დედათაჲ აღა ტყინებს ცეცხლსა გულისთქუმათასა.

σὸν ἡδονῆς ἐξάπτει συντυχία γυναικῶν.

3. სიმძაფრჱ ღელვათაჲ მიმოიტაცებს ნავსა უსაჭოსა და გულისსიტყუაჲ სიძვისაჲ – გონებასა უკრძალავსა და წარმდებებით წარტყუენულსა.

3. Κυμάτων βία χειμάζει πλοῖον ἀνερμάτιστον, καὶ λογισμὸς πορνείας, νοῦν ἀκρατῆ.

4. **რომელი ჰბრძოდის სულსა სიძვისასა, ნუმცა მიუყვანებღა თანაშემწედ თჳსად სიმაძღრე მუცლისა და გემოვნობაჲ სანოაგეთაჲ,** რამეთუ დაუტევოს იგი და მიერთოს მტერთა და მოიქცეს მათ თანა და ბრძოდის მას ძლიერად.

4. **[Ὁ πολεμῶν πνεύματι πορνείας οὐ παραλήψεται κόρον εἰς συμμαχίαν** (Muyld. 253)][1]. Πορνεία συμπαραλήψεται κόρον εἰς συμμαχίαν, ἀφήσει γὰρ αὐτὸν, καὶ μετὰ τῶν ἐναντίων στήσεται, καὶ ἐπ' ἐσχάτων συμπολεμήσει τοῖς ἐχθροῖς.

5. რომელსა უყუარდეს უდაბნოჲ და დაყუდებაჲ, მოუწყლველად დაშთეს იგი ისართაგან მტერისათა, ხოლო რომელი აღერეოდის სიმრავლესა ერისკაცთასა, მრავალნი წყლულებანი შეემთხჳნიან.

5. Ἄτρωτος διαμένει ἀπὸ τῶν βελῶν τοῦ ἐχθροῦ ὁ ἀγαπῶν ἡσυχίαν, συναναμιγνύμενος δὲ πλήθει συνεχεῖς δέχεται πληγάς.

6. პირი დედაკაცისაჲ ისარი არს წამლიანი, ეკუეთის სულსა და მოწყლის და წყლულსა მას შინა დაუტევის [353г] წამალი იგი გესლიანი და რაოდენცა ყოვნოს, უმეტესი სიმპალე და სიმყრალე ქმნას.

6. Ὄψις γυναικὸς βέλος ἐστὶ πεφαρμακευμένον, ἔτρωσε τὴν ψυχὴν, καὶ τὸν ἰὸν ἐναπέθετο, καὶ ὅσον χρονίζει, πλείονα τὴν σῆψιν ἐργάζεται.

6. პირი დედაკაცისაჲ არს ისარი წამლეული, განწონის სულსა და გესლი შინა დაუტევის; და რავდენცა დაყოვნინ გესლი იგი ჯორცთა მათ შინა, ეგოდენცა გარემოჲს შეილპობნ მათ.

7. რომელი ეკრძალებინ ესევითართა მათ ისართა[5], არა მივიდის კრებათა მიმართ ერისათა, არცა დღესასწაულთა, სადა კრებაჲ დიდი იყვის, რამეთუ უმჯობეს არს, რომელ დაყუდებით სენაკსა შინა თჳსსა[6] ილოცოს მდუმრიად, ვიდრე რეცა პატივისათჳს დღეთაჲსა იქმნას ტყუე მტერთა თჳსთა.

7. Ὁ φυλασσόμενος [1149] ταῦτα τὰ βέλη, οὐ παραβάλλει πανηγύρεσι πανδήμοις, οὐδὲ ἐν ταῖς ἑορταῖς περιάξει κεχηνώς· βέλτιον γὰρ οἴκοι μένοντα σχολάζειν προσευχαῖς, ἢ τιμᾷν νομίζοντα τὰς ἑορτὰς, γίνεσθαι πάρεργον ἐχθρῶν.

7. რომელსა უნდეს დაცვად თავი თუისი ამის ისრისაგან, ნუ მივალნ იგი განმცხრომელთა მათ კრებულსა, ნუცა ვალნ იგი მიმოკრებასა და ნუცა შეუშუებნ ზრახვასა დედათასა. უმჯობეს არს სახლსა შინა ჯდომაჲ და მას ლოცვასა შინა ყოფაჲ, ვიდრეღარა რომელნი ჰგონებედ პატივისცემად კრებასა და თუისით თავით ადგილსციან ეშმაკთა.

8. უკუეთუ გწადის სიწმიდე ჯორცთა და გონებისაჲ, ივლტოდე უბნობისაგან დედათაჲსა და ნუ მისცემ მათ კადნიერებასა შენდა მომართ ყოვლადვე.

8. Φεῦγε συντυχίαν γυναικῶν, ἐὰν θέλῃς σωφρονεῖν, καὶ μὴ δῷς παῤῥησίαν αὐταῖς θαῤῥῆσαί σοί ποτε.

8. ივლტოდე ზრახვისაგან დედათაჲსა, უკუეთუ გინდეს ბრძენყოფად. ნუსადა მისცემ თავსა შენსა კადრებად მათ, რაჲთა არა ჯსნილად მოვიდენ შენ ზედა.

რამეთუ დასაბამსა კრძალულებით და მოწიწებით გეუბნებოდიან, გინათუ ეგრეცა იყვნიან, გინათუ იჩემებდიან, ხოლო უკუანაჲსკნელ აჩუენიან კადნიერებაჲ ბოროტი.

Εὐλάβειαν γὰρ ἐν ἀρχαῖς ἢ ἔχουσιν ἢ ὑποκρίνονται· ὕστερον δὲ πάντα τολμῶσιν ἀναιδῶς·

რამეთუ პირველად ღმრთისმოყუარებაჲ აჩუენიან და უკუანასკნელ ყოველსავე იკადრებედ ურცხუინოდ.

პირველსა შემთხუევასა თუალნი მათნი ქუეყანასა ხედვიდიან, იტყოდიან სიმშჯდით და ცრემლოოდიან, სულთქუმით იკითხვიდიან სიტყუათა სულიერთა და გულსმოდგინედ ისმენდიან.

πρώτῃ συντυχίᾳ τὸ βλέμμα ἔχουσι κάτω, λαλοῦσι πράως, καὶ δακρύουσι συμπαθῶς, **σχηματίζονται σεμνῶς,** καὶ στενάζουσι πικρὰ, ἐρωτῶσι περὶ ἁγνείας, καὶ ἀκούουσι σπουδαίως·

პირველადღა შეემთხუევიედ, ქუეყანასა დამართ ისტუანვედ და ზრახვედ მყუდროდ და ცრემლოვიედ ღმრთისა მიმართ; **დიაკონვედ წმიდად** [37v] და სულ-ითქუმედ[5] მწარედ; იკითხვედ [სიწმიდისათუის] და ისმინიან მწრაფლ.

მეორესა შემთხუევასა მცირედ ზე აღიხილნიან, მესამედ თუ იხილნე, მოგ-ხედნენ მათ ურიდად. უკუეთუ განიღიმნე, მათ გლისპად განიცინონ.	δεύτερον εἶδες, καὶ μικρὸν ἀνένευσαν ἄνω· τρίτον, καὶ προςέχουσιν ἀναιδῶς, ἐμειδιάσας, κἀκεῖναι κεχυμένως ἐγέλασαν·	და მეორედღა შემთხუევიედ, მცირედ ზე-ცა აღიხილნიან. და მესამედღა შემთხუევნიან, ხედვედ ურცხუინოდ. შენღა განიღიმო მცირედ, მათ ვითარ ხუნა განიცინონ.
მიერითგან იწყონ სახითა ქცევად, მომპოვნებელითა ვნებისაჲთა	κοσμοῦνται λοιπὸν, καὶ ἐνδείκνυνταί σοι σαφῶς, βλέμμα μορφοῦσιν εὐαγγελιζόμεναι τὸ πάθος, **ὀφρῦς ἀνατείνουσι, καὶ περιστρέφουσι βλέφαρα, γυμνοῦσι τὸν τράχηλον, καὶ ὅλῳ τῷ σώματι θρύπτονται,**	მაშინღა იმოსებიედ და აჩუენებედ თავსა თუისსა განცხადებულად, და თუალთა გამოიწერედ და ახარებედ ვნებასა მას სიძვისასა; **წარბთა იწერედ და იწოდიედ, და მიმოიქცევედ წამწამთა; განიშიშულნიან ყელნი მათნი და მოიკუდინიან თავნი მათნი**[6], და იწუართებიედ ვნებასა მას სიძვისასა;
და სიტყუათა იტყოდიან აღმზრზენელთა გულისათა; ჴმაჲ მოიპოიან დამატკბობელი[7] სასმენელთაჲ, რაჲთა ყოვლითა მით სახითა წარტყუენონ სული იგი.	λόγους λαλοῦσι μαλάσσοντας τὸ πάθος, καὶ φθέγμα ἐπιτηδεύουσι θέλγηστρον ἀκοῆς, ἕως ἂν διὰ πάντων πολιορκήσωσι τὴν ψυχήν.	და ზრახვითა ტკბილითა იწყიან სიტყუად, რაჲთამცა მო-ვითარ-დრიკეს გული შენი მათა მიმართ, რაჲთამცა წარტყუენეს სული შენი.
რამეთუ ესე ყოველი სამჭედური არს, მიმზიდველი სიკუდილად [353v] და ბადე[8]-შთამყვანებელი წარსაწ[ყ]მედელად. ნუმცა გაცდუნებენ სიტყჳთა ლიქნისა და ქებისაჲთა, რამეთუ მალულ არს მათ შინა გესლი უძჳრესი ასპიტისა.	Ταῦτα γίνεταί σοι ἄγκιστρα δελεάζοντα εἰς θάνατον, καὶ θήρατρα πολύπλοκα ἕλκοντα εἰς ἀπώλειαν, μή σε πλανήσωσι λόγοις ἐπιεικῶς κεχρημέναι· ἐγκέκρυπται γὰρ αὐταῖς ἰὸς πονηρὸς θηρίων.	ესე იყოს შენდა სამჭადურ, და საფრჴე სიკუდილისა და მახე; მრავალსახე მოსაზიდველ წარსაწყმედელად. იხილე, ნუუკუე[7] შეგაცთუნონ შენ სიტყუითა მდაბლითა, რამეთუ დაფარული არნ მათ თანა გესლი გუელისა ბოროტისაჲ.

ΚΕΦΑΛ. Ε΄

9. ნუ შეეხები ცეცხლსა მოტყინარესა, ნუცა დე-	**9.** Μᾶλλον προσέγγισον πυρὶ καιομένῳ, ἢ γυναικὶ	**9.** უმჯობჱს არს შენდა შეხებაჲ საჴუმილსა მო-

დაკაცსა, ჭაბუკ თუ იყო ჰასაკითა ანუ გონებითა.	νέᾳ, νέος ὢν καὶ αὐτός·	ტყინარესა, ვიდრეღარა დედაკაცსა ჭაბუკსა, რამეთუ შენცა ჭაბუკვე ხარ.
რამეთუ ცეცხლსა შეეხო თუ და გეტკივნოს, მსწრაფლ[9] უკუსლდნი, ხოლო ხილვითა და ზრახვითა დედათაჲთა თუ მოიწყლა, არა ადრე განეშორო.	πυρὶ μὲν γὰρ προσελθὼν, καὶ ὀδυνηθεὶς, ταχέως ἀποπηδήσεις, γυναικείοις δὲ ῥήμασι χαυνωθεὶς, οὐκ εὐχερῶς ἀναχωρήσεις.	ცეცხლსა რომელი შეეხოს, სტკიოდის და ადრე განეშოროს; ხოლო დედათა სიტყუამან მოალბვის და ვერ ადრე განეშორის.
10. იშუებს თივაჲ აღმოცენებული წყლისკიდესა და ვნებაჲ სიძვისაჲ უბნობითა დედათაჲთა.	**10.** Θάλλει βοτάνη ἐστῶσα παρ' ὕδατι, καὶ πάθος ἀκολασίας ἐν συντυχίᾳ γυναικῶν.	**10.** ვითარცა აღმოსცენდიან მწყუ[რ]ნებსა [38r] მწუანენი, ეგრეცა გულისთქუმაჲ სიძვისაჲ – ზრახვითა დედათაჲთა.
11. რომელი აღივსებდეს მუცელსა და ჰგონებდეს წარმართებად სიწმიდისა, მსგავს არს კაცისა, რომელი იტყჳნ აღჴრსხმად ძალსა ცეცხლისასა ლერწმითა.	**11.** Ὁ πληρῶν γαστέρα, καὶ ἐπαγγελλόμενος σωφρονεῖν, ὅμοιός ἐστι τῷ λέγοντι, χαλινοῦν πυρὸς ἐνέργειαν ἐν καλάμῃ.	**11.** რომელი ძღებოდის ჭამადითა და იქადოდის, ვითარმედ წმიდა ვარო გულისთქუმისაგან სიძვისაჲსა, მსგავს არს იგი, ვითარმცა ვინ იქადოდა აღგზებულსა ლერწამსა დაშრეტად.
რამეთუ ვითარცა ალი ცეცხლისაჲ ვერ დაშრიტის ლერწმისა[10] თივამან ჴმელმან, ეგრეთვე ბრძოლასა სიძვისასა მოტყინარესა სიმაძღრითა ჭამადთაჲთა შეუძლებელ არს და ჴსნაჲ.	Ὃν τρόπον γὰρ πυρὸς ῥοπὴν ἐν καλάμῃ τρέχουσαν ἀδύνατον ἐπισχεῖν, οὕτως ὁρμὴν ἀκόλαστον φλεγομένην ἐν κόρῳ παῦσαι ἀδύνατον.	ვითარცა დიდსა ლერწამსა აღგზებულსა ვერვის ჴელეწიფების დაშრეტად, ეგრეცა ჴორცთა მაძღართა ვერვის ჴელეწიფების დაცხრომად გულისთქუმისაგან სიძვისაჲსა.
12. სუეტი აღემართის ხარისხსა ზედა დამყარებულსა და ვნებაჲ სიძვისაჲ განისუენებს სიმრავლესა ზედა ჭამადთასა.	**12.** Στύλος ἐπερείδεται βάσει, καὶ πορνείας πάθος ἐπαναπαύεται κόρῳ.	**12.** სუეტი დადგიან ხარისხსა ზედა და გულისთქუმაჲ სიძვისაჲ განისუენებნ მაძღრობასა ზედა ჴორცთასა სადგომელად.

13. ნავთსაყუდელად მი-ისწრაფინ ნავი ღელვა-გუემული და სული სიწ-მიდისმოყუარე მიივლ-ტინ უდაბნოდ, რამეთუ ვითარცა ნავი იგი ივლ-ტინ ღელვათა ზღჳსა-თა, რომელნი დანთქმასა უთქუმიდიან, ეგრეთვე სული ესე - ხილვათაგან, მავნებელთა სულისათა.

13. Εἰς λιμένα ἐπείγεται χειμαζομένη ναῦς, καὶ ψυχὴ σώφρονος ἐπιζητεῖ ἐρημίαν· φεύγει ἡ μὲν κύματα θαλάσσης ἀπειλοῦντα κίνδυνον, ἡ δὲ μορφὰς γυναικῶν ὀδυνούσας ὄλεθρον.

13. მივლტიედ ნავნი ზღ-უისანი არესა ბოროტსა, და კაცი ბრძენი ეძიებნ განშორებასა დედათასა. ივლტიედ ნავნი ღელ-ვათაგან დიდთა ზღუ-ისათა, რამეთუ ეშინინ სიკუდილისა, ეგრეცა კა-ცი ბრძენი ევლტინ სი-კეთესა დედათასა, რო-მელნი მიჰზიდვედ სულ-სა წარსაწყედელად.

14. რამეთუ პირი შემკო-ბილი უძჳრეს ღელვა-თასა დამთქმელ არს სუ-ლისა.

14. Μορφὴ κεκαλλωπισμένη κύματος χεῖρον βυθίζει·

τοῦ μὲν γὰρ ἔστι καὶ διανήξασθαι, πόθῳ ζωῆς, μορφὴ δὲ γυναικὸς ἀπατήσασα, καταφρονεῖν πείθει καὶ αὐτῆς τῆς ζωῆς.

14. დედაკაცმან ქმნულ-კეთილმან და შემკულ-მან უძუირჱს ღელვათა ზღუისათა დაათქის სუ-ლი, ვიდრე ქუესკნელთა ჯოჯოხეთისათა.

ნაქმნევმან დედაკაცი-სამან ოდეს აცთუნის კაცი, მაშინ შეურა-ცხებაცა არწმუნის-ვე მერმისა მის ცხო-რებისაჲ.

15. მაყუალი უდაბნოჲ-საჲ [354r] განერა ალი-საგან ცეცხლისა უვნე-ბელად და გონებაჲ სიწმიდისმოყუარე, მყო-ფი უდაბნოსა, არა შე-იწუას ალითა ბილწები-საჲთა. რამეთუ ვითარ-ცა ჯსენებაჲ ცეცხლი-საჲ ვერ დასწუავს გო-ნებასა, ეგრეთვე ბრძო-ლაჲ ვნებისაჲ ვერ ძლი-ერ არს, უკუეთუ ნივთი საქმეთა მისთაჲ არა იპოებოდის.

15. Βάτος ἐρημικὴ διαφεύγει φλόγα πυρὸς ἀβλαβῶς, καὶ σώφρων κεχωρισμένος γυναικῶν οὐκ ἐφλογίσθη ἀκολασίας πάθει· ὥσπερ γὰρ μνήμη πυρὸς οὐ καίει διάνοιαν, οὕτω οὐδὲ πάθος ἰσχύει, μὴ παρούσης ὕλης.

15. მაყუალსა მას ზედა სინაჲსასა იტყინებოდა ცეცხლი და არარაჲ ავნო მას, ეგრეცა კაცი ბრძენი, რომელი განე-შოროს დედათა, არა შევარდეს იგი ცოდვა-სა. ვითარცა საჯუმილი ვერ ეგზებინ თუინიერ შეშისა, ეგრეცა გულ-ისთქუმამან [38v] სიძ-ვისამან ვერ შეუძლეს, ოდეს არა ხედავნ დე-დათა.

ΚΕΦΑΛ. ς΄

	16. Ἐὰν ἐλεήσῃς πολέμιον, ἔσται σοι ἐχθρὸς, καὶ ἐὰν φείσῃ πάθους, ἐπαναστήσεταί σοι.	**16. უკუეთუ შეიწყალნე ჯორცნი შენნი[8] და ფუფუნებდე მათ, გექმნენ შენ იგინი მტერ. უკუეთუ ჰრიდებდე ჯორცთა შენთა ჭირსა, აღდგენ იგინი შენ ზედა ბრძოლად.**
17. ხილვამან პირისა შუენიერისამან გული სიძვისმოყუარე აღაზრზინის გულისთქუმად, ხოლო ღმრთისმოყუარე მოიყვანის დიდებისმეტყუელებად დამბადებელისა.	17. Ἀκόλαστον ἐρεθίζει πρὸς ἡδονὴν ὄψις γυναικὸς, τὸν δὲ σώφρονα κανεῖ [1152] πρὸς δοξολογίαν Θεοῦ·	**17.** მუცელი მაძღარი ააზრზენ სიძვად ჯორცთა და ჯედვად დედათა, ხოლო მონაზონი კაცი მარხვამან აღადგინის დიდებად ღმრთისა.
18. აღრევასა შინა და თანაზრახვასა დედათასა დაღაცათუ დუმნეს ვნებაჲ, ნუ გრწამნ მისი, უვნებელობასა რაჲ გიქადებდეს. რამეთუ ძაღლიცა აღერიის რაჲ სიმრავლესა, დუმნ მოწიწებით, ხოლო მარტოდ რაჲ გემთხჳოს, აჩუენოს სიბოროტე.	18. ἐὰν ἠρεμήσῃ τὸ πάθος ἐν συντυχίαις γυναικῶν, μὴ πιστεύσῃς αὐτῷ ἀπάθειαν ἐπαγγελλομένῳ. Καὶ γὰρ κύων σαίνει μὲν ἀπολειφθεὶς ὄχλῳ, ἔξω δὲ προελθὼν, τὴν οἰκείαν ἐπιδείκνυται πονηρίαν.	**18.** უკუეთუ დასცხრეს გულისთქუმაჲ სიძვისაჲ ხედვასა დედათასა, ნუ სადა გრწამნ შენ, ეგევითარმცა არა ვნებასა აღგითქუმიდა[9]. ძაღლსა ბოროტსა ერსა შორის ეშინინ კბენად. ოდეს ეზოჲთ გამოვიდის და პოვის კაცი მარტოჲ, მაშინ აჩუენის უკეთურებაჲ იგი თუისი.
19. ოდეს-იგი ჯსენებაჲ დედაკაცისაჲ მოვიდეს გულსა შენსა უვნებელად, **და საუცარმან მისმან არა აღაზრზინოს ვნებაჲ შორის შენსა,** მაშინ ცან, ვითარმედ საზღვარსა შესრულ ხარ სიწმიდისასა.	19. Ὅταν γυναικὸς μνήμη γένηται ἀπαθῶς, **"καὶ ἡ φαντασία αὐτῆς μὴ κινήσῃ τὸ πάθος"** (Sink. 295),[2] τότε νόμιζε τῶν ὅρων ἐπιβεβηκέναι τῆς σωφροσύνης.	**19.** ოდეს ძილსა შინა ეშმაკი დედაკაცსა ეზმანებინ, **და თუ ხედვასა მას მისა სიძმარსა მას შინა თუ ბრძოლაუყოს მათ ძალითა სულისა წმიდისაჲთა,** მაშინ ცანნ, რამეთუ ქალწულებასა სათნოე-

		ბისასა კეთილად მიწევნულ და დამტკიცებულ ხარ.
	Ὅτε δέ σε τὸ εἴδωλον αὐτῆς ἐπὶ θεωρίαν διεγείρει, καὶ τὰ βέλη αὐτῆς τὴν ψυχήν σου περιλαμβάνουσι, τότε νόμιζε ἔξω εἶναι τῆς ἀρετῆς.	
არამედ ნუცა მაშინ შეუნდობ დაყოვნებად გულისსიტყუათა მათ გულსა შენსა, ნუცა განიცდი გონებითა შენითა წურთად სახესა დედაკაცისასა, რამეთუ ადრე მომქცეველ არს ვნებაჲ იგი ცოდვისაჲ და ღელვანი მისნი მეყსა შინა[11] აღიძრვიან.	Ἀλλὰ μηδὲ οὕτως ἐγχρονίσῃς τοῖς τοιούτοις λογισμοῖς, μηδὲ ἐπὶ πολὺ κατὰ διάνοιαν προσομιλήσῃς μορφῇ γυναικὸς, ἔστι γὰρ φιλυπόστροφον τὸ πάθος, καὶ τὸν κίνδυνον ἔχει ἐγγύς.	არამედ ესევითარნი გულისსიტყუანი ნუმცა დაყოვნიან შენ თანა; ნუცაღა გონებასა შინა შენსა ზრახავ ხატსა დედაკაცისასა,რამეთუ ადრე მიაქციის ვნებასა სიძვისასა და ცოდვაჲ იგი ახლოს უპყრიენ ეგევითართა მათ გულისსიტყუათა.
რამეთუ ვითარცა ცეცხლმან ყოვნის რაჲ ნივთსა შინა, აღატყინის ალი,	Ὥσπερ γὰρ ἡ σύμμετρος χωνεία καθαίρει τὸν ἄργυρον, ἡ δὲ ἐπὶ πολὺ καὶ ἀπόλλυσιν εὐχερῶς,	უკუეთუ ვეცხლი ბრძმედსა შინა შეხბერის ზომასა მას ზედა, იგი კეთილად ოდენ განწმიდნის; უკუეთუ ფრიად გარდარეულად იბერვინ, იგი დაიწუის [39r] და წარწყმდის.
ეგრეთვე გონებაჲ სიწმიდისმოყუარე განრყუნის და შეაგინის ჴსენებამან მყოვარჟამ დედაკაცისამან.	οὕτως ἕξιν σωφρονικὴν διαφθείρει ἐγχρονίζουσα φανταςία γυναικός·	ეგრეცა ქალწული კაცი განიჴრწნის[10], ოდეს დაყოვნის გულისთქუმამან[11] დედაკაცისამან მის თანა.
20. [354v] ნუ მისცემ უკუე გონებასა შენსა ჴსენებასა დედათასა, რაჲთა არა აღდგეს შენ ზედა ალი გულისთქუმისაჲ და დაწუას	**20.** "Μὴ δῷς σὴν διάνοιαν φαντασίᾳ γυναικός" (Muyld. 254)[3], **μηδὲ ἐπὶ πολὺ προσομιλήσῃς τῷ φανέντι προςώπῳ,** ἵνα μὴ ἀνάψῃ ἐν σοὶ	**20.** ნუ მისცემ გონებასა შენსა ოცნებასა დედათასა, **ნუცა ძრახავ პირისპირ მათ,** რაჲთა არა აღატყდეს შენ ზედა გულისთქუმაჲ სიძვისაჲ,

მჭლეული სულისა შენისაჲ.
რამეთუ ვითარცა ცეცხლმან დაფლულმან ბზესა შინა აღატყინის ალი, ეგრეთვე ჯსენებამან დედაკაცისამან აღაგზნის გულისთქუმაჲ.

ἡδονῆς φλόγα, καὶ ἐμπρήσῃ ἅλωνα σῆς ψυχῆς· ὥσπερ γὰρ σπινθὴρ ἐν ἀχύροις χρονίσας ἐγείρει φλόγα, οὕτω μνήμη γυναικὸς παραμένουσα ἐξάπτει ἐπιθυμίαν.

და გალეწოს, ვითარცა კალოჲ, სული შენი.
ვითარცა ნაბერწყალმანღა დაყოვნის ბზესა შინა და აღაგზნის საჯუმილი დიდი, ეგრეცა ჯსენებამან დედათამან, რომლისა თანა დაყოვნის, აღაგზნის გულისთქუმაჲ სიძვისაჲ.

ხოლო შენ მარადის იჯსენებდი ჯსენებათა სულიერთა კეთილთა მათ ზეცისათა და ჭირთა მათ ჯოჯოხეთისათა[12] და ევედრებოდე უფალსა, რაჲთა სატანჯველთა მათგან გიჯსნას და საშუებელთა მათ ზეცისათა ღირს-გყოს, რამეთუ ჯერმჩინებელი წყალობისაჲ არს და მისი არს დიდებაჲ აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე, ამენ.

[1] add. მან Q;
[2] სამთრვალენი Q;
[3] განზრქებული Q;
[4] თანამდები Q;
[5] პირთაგან Q;
[6] თჯსა Q;
[7] დამამტკბობელი Q;
[8] ბადეთა Q;
[9] მწრაფლ Q;
[10] დაშრტის ლერწმის Q;
[11] შინა om. Q;
[12] ჯოჯოხეთისთა Q.

[1] Πορνεία συμπαραλήψεται κόρον εἰς συμμαχίαν (PG 79, col. 1148, D 4-5)] Ὁ πολεμῶν πνεύματι πορνείας οὐ παραλήψεται κόρον εἰς συμμαχίαν (Muyld. 253);
[2] ἀπαθῶς (PG 79, col 1152, A 6)] add. καὶ ἡ φαντασία αὐτῆς μὴ κινήσῃ τὸ πάθος (Sink.: 295);
[3] γυναικός (PG 79, col 1152, B 1)] add. Μὴ δῷς σὴν διάνοιαν φαντασίᾳ γυναικός (Muyld.: 254).

[1] ტყე S;
[2] მბრძლი S;
[3] მისა S;
[4] შენი S;
[5] სულ-ითქმედ S; [6] თავი მათი S;
[7] ნუკუე S;
[8] შენი S;
[9] აღგითქმიდა S ;
[10] განჯრწნის S;
[11] გულისთქუამან S.

***

ევაგრე პონტოელის შრომა **„ბოროტების რვა სულის შესახებ“** ანდა „რვა გულისზრახვის შესახებ", როგორც აღმოჩნდა, ექვთიმე ათონელს ბერძნული დედნის B რედაქციიდან უთარგმნია. ბერძნულ ვერსიებთან შედარების შედეგად, ექვთიმესეული თარგმანის ტექსტში გამოვლენილ მეტობასა და კლებას თავების მიხედვით წარმოვაჩენთ. ნაშრომის პირველი ორი თავის (ნაყროვანებისა და სიძვის შესახებ) ფარგლებში დაკლებულ ბერძნულ მონაკვეთებთან ერთად წინაათონური თარგმანის შესაბამის ადგილებსაც ვუთითებთ.

I. ტექსტის კლება

ა) პირველ თავში (ნაყროვანების შესახებ) გამოვლენილი კლება:

1. PG 79, col. 1145, A 9-10: Φλὸξ ἀμαυροῦται ἐπιλειπούσης ὕλης, καὶ βρωμάτων ἔνδεια μαραίνει ἐπιθυμίαν („საჯუმილი დაშრტის, ოდეს მოაკლდის შეშაჲ, და ჭამადისა მარხვამან დააჭვნის გულისთქუმაჲ ჯორცთაჲ" [მახარაშვილი 1984: 22]) **om.**

ბ) მეორე თავში (სიძვის შესახებ) გამოვლენილი კლება:

1. PG 79, col. 1149, A 10: σχηματίζονται σεμνῶς („დიაკონვედ წმიდად" [მახარაშვილი 1984: 37]) **om.**

2. PG 79, col. 1149, B 1-3: ὀφρῦς ἀνατείνουσι, καὶ περιστρέφουσι βλέφαρα, γυμνοῦσι τὸν τράχηλον, καὶ ὅλῳ τῷ σώματι θρύπτονται („წარბთა იწერედ და იწოდიედ, და მიმოიქცევედ წამწამთა; განიშიშულნიან ყელნი მათნი და მოიკუდინიან თავნი მათნი" [მახარაშვილი 1984: 37]) **om.**

3. PG 79, col. 1149, D 2-4: τοῦ μὲν γὰρ ἔστι καὶ διανήξασθαι, πίθῳ ζωῆς, μορφὴ δὲ γυναικὸς ἀπατήσασα, καταφρονεῖν πείθει καὶ αὐτῆς τῆς ζωῆς („ნაქმნევმან დედაკაცისაგან, ოდეს აცთუნეს კაცი, მაშინ შეურაცხებაჲცა არწმუნისვე მერმისა მის ცხორებისაჲ" [მახარაშვილი 1984: 38]) **om.**

4. PG 79, col. 1149, D 13-14: Ἐὰν ἐλεήσῃς πολέμιον, ἔσται σοι ἐχθρὸς, καὶ ἐὰν φείσῃ πάθους, ἐπαναστήσεταί σοι („უკუეთუ

შეიწყალნი ჯორცნი შენნი და ჰფუფუნებდე მათ, გექმნენ შენ იგინი შენ ზედა ბრძოლად" [მახარაშვილი 1984: 38]) **om.**

5. PG 79, col. 1152, A 7-9: Ὅτε δέ σε τὸ εἴδωλον αὐτῆς ἐπὶ θεωρίαν διεγείρει, καὶ τὰ βέλη αὐτῆς τὴν ψυχήν σου περιλαμβάνουσι, τότε νόμιζε ἔξω εἶναι τῆς ἀρετῆς (ხოლო როდესაც მისი ხატება სანახავად აღგძრავს და მისი ისრები სულში გესობა, მაშინ მიხვდი, რომ სათნოების მიღმა ხარ) **om**[1].

გ) მესამე თავში (ვერცხლისმოყვარეობის შესახებ) გამოვლენილი კლება:

1. PG 79, col. 1152, D 4-5: ἀφῆκε τὰ κτήματα, καὶ τῇ λύπῃ μαστίζεται (დატოვა ქონება და ტანჯავს მწუხარება) **om.**

2. PG 79, col. 1153, B 5-9: "Ἐπικατάρατος ὁ ποιῶν εἴδωλον, καὶ τιθεὶς ἐν ἀποκρύφῳ", ὡσαύτως καὶ ὁ ἔχων φιλαργυρίας πάθος · ὁ μὲν γὰρ προσκυνεῖ κίβδηλον ἀνωφελὲς, ὁ δὲ ἀγαλματοφορεῖ φαντασίαν πλούτου („წყეულიმც იყოს კერპის გამკეთებელი და ფარულად დამდგმელი" (შდრ. 2 რჯლ. 27.15), რადგან ვისაც ვერცხლისმოყვარეობის ვნება აქვს, ის ყალბ გამოუსადეგარს ეთაყვანება, ხოლო ეს სიმდიდრეზე ოცნებას ატარებს) **om.**

დ) მეოთხე თავში (მწუხარების შესახებ) გამოვლენილი კლება:

1. PG 79, col. 1156, B 13-14: Οὐκ οἶδε πνευματικὴν ἡδονὴν λυπούμενος μοναχός (მწუხარე მონაზონმა არ იცის სულიერი სიტკბოება) **om.** **მოტანილი მონაკვეთი ბერძნული დედნის B რედაქციასაც აკლია**[2].

2. PG 79, col. 1156, D 4-5: ὄρεξις δὲ παντὶ πάθει συνέζευκται (ხოლო გულისთქმა შეუღლებულია ყოველგვარ ვნებასთან) **om.**

3. PG 79, col. 1157, C 4-6: Αἴσθησιν γεύσεως ἀφαιρεῖται ἴκτερος, καὶ ψυχῆς αἴσθησιν ἀφαιρεῖται λύπη (სიყვითლე გემოს შეგრძნებას ართმევს და მწუხარება სულის აღქმას ამცირებს) **om.** მოტანილი ფრაზის კლება არცერთ ბერძნულ ხელნაწერში

---

1 ეს მუხლი არც წინაათონურ თარგმანშია.

2 იხ.: Sinkewicz 2006: 296.

არ დასტურდება. თუმცა მოცემულ მონაკვეთში სხვა ნუსხებისგან განსხვავდება Coislin 109, რომელშიც მოცემული წინადადების წინ დამატებულია ერთი ფრაზა. PG 79, col. 1157, C 4: ψυχή add. Ὁ ἀγαπῶν τὸν κύριον, ἄλυπος ἔσται· ἡ γὰρ τελεία ἀγάπη ἔξω βάλλει τὴν λύπην [Coislin 109, 20r][1] (ღვთისმოყვარე უმწუხაროა, რადგან სრული სიყვარული მწუხარებას აძევებს).

ე) მეხუთე თავში (მრისხანების შესახებ) გამოვლენილი კლება:

1. PG 79, col. 1156, A 6-7: Ὕδωρ ἐτάραξεν ἐμπεσὼν λίθος, καὶ καρδίαν ἀνδρὸς λόγος κακός (წყალს ამღვრევს ჩავარდნილი ქვა და ადამიანის გულს – ბოროტი სიტყვა) om.

2. PG 79, col. 1156, A 10-12: ὃν τρόπον γὰρ ἀχύρων καπνὸς ταράσσει ὀφθαλμοὺς, οὕτω μνησικακία νοῦν, ἐν καιρῷ προσευχῆς (როგორც ჩალის კვამლი აღიზიანებს თვალს, ასევე ძვირისხსენება – გონებას, ლოცვის ჟამს) om.

ვ) მეექვსე თავში (მოწყინების შესახებ) გამოვლენილი კლება:

1. PG 79, col. 1160, A 3-5: Φυτὸν μεταφερόμενον οὐ καρποφορεῖ, καὶ μοναχὸς κυκλευτὴς οὐ ποιήσει καρπὸν ἀρετῆς (ადგილშეცვლილი მცენარე ნაყოფს არ იძლევა და მოხეტიალე მონაზონი სათნოების ნაყოფს არ გამოიღებს) om.

2. PG 79, col. 1160, A 6-8: Φιληδόνῳ οὐκ ἀρκέσει μία γυνὴ, καὶ ἀκηδιαστῇ μοναχῷ οὐκ ἀρκέσει μία κέλλα (სიამოვნებისმოყვარე ერთ ცოლს არ დასჯერდება და მოწყინე მონაზონი ერთ კელიას არ იკმარებს) om. **მოტანილი მონაკვეთი ბერძნული დედნის B რედაქციის ხელნაწერებსაც აკლია**[2].

3. PG 79, col. 1160, B 9-10: ψέγει τὸ γράμμα καὶ τὴν κόσμησιν (აზიანებს ნაწერსა და მის მორთულობას) om. **ეს მონაკვეთი აკლია, როგორც ბერძნული ტექსტის ვრცელ ვერსიას (B), აგრეთვე, ნაშრომის სირიულ თარგმანს**[3].

---

1 Moyldermans 1939: 254; Sinkewicz 2006: 296.

2 იხ.: Sinkewicz 2006: 297.

3 იხ. იქვე.

ზ) მეშვიდე თავში (დიდებისმოყვარეობის შესახებ) გამოვ-ლენული კლება:

1. PG 79, col. 1160, C 15 – D 7: Συγκέχυται γραμμὴ χαραχθεῖσα καθ' ὕδατος, καὶ ἀρετῆς πόνος ἐν κενοδόξῳ ψυχῇ. Λευκὴ γέγονε χεὶρ καλυπτομένη κόλπῳ, καὶ κρυπτομένη πρᾶξις φωτὸς ἐκλάμπει φαιδρότερον. Σμίλαξ περιπλέκεται δένδρῳ, καὶ ὅταν φθάσῃ ἄνω ξηραίνει τὴν ῥίζαν, κενοδοξία δὲ ταῖς ἀρεταῖς παραφύεται, καὶ οὐκ ἀφίσταται, ἕως ἂν ἐκκόψῃ τὴν δύναμιν („წერილი წყალთა ზედა მსწრაფლ აღიჯოცის და შრომაჲ სათნოებისაჲ სულისაგან მზუაობრისა უჩინო იქმნის" **[Q 34, 412v]**. უბეში დაფარული ხელი თეთრი გახდა და დაფარული საქმეც სინათლეზე უბრწყინვალესად ბრწყინავს. სურო ხეს ეხვევა და როცა ზევით მიაღწევს, ფესვს ახმობს, დიდებისმოყვარეობაც სათნოებებთან თანაიზრდება და არ შორდება, სანამ ძალას არ წაართმევს) **om.**

აქ აღსანიშნავია, რომ ფრაზა – Συγκέχυται γραμμὴ χαραχθεῖσα καθ' ὕδατος, καὶ ἀρετῆς πόνος ἐν κενοδόξῳ ψυχῇ („წერილი წყალთა ზედა მსწრაფლ აღიჯოცის და შრომაჲ სათნოებისაჲ სულისაგან მზუაობრისა უჩინო იქმნის") – ნაშრომის A რედაქციაში მოცემული თავის დასაწყისში გვხვდება, პირველი წინადადების შემდეგ, B ვერსიაში კი – ექვთიმესეული თარგმანის შესაბამისად[1].

თ) მერვე თავში (ამპარტავნების შესახებ) გამოვლენილი კლება:

1. PG 79, col. 1161, C 15 – D 2: Ὥσπερ βάρος καρποῦ καταράσσει κλῶνα, οὕτω ὑπερηφανία ἐνάρετον καταβάλλει ψυχήν (როგორც ნაყოფის სიმძიმე ტეხს ტოტს, ასევე ამპარტავნება დასცემს სათნო სულს) **om.**

2. PG 79, col. 1164, A 5: πηλὸς ὢν, καὶ σαπρία τῇ φύσει (თიხა ხარ და ხრწნადი ბუნებით) **om.**

3. PG 79, col. 1164, A 9-10: Τί τὸν αὐχένα ἐπαίρεις τὸν μετ' ὀλίγον σηπόμενον (რად სწევ ქედს მაღლა, რაც მალევე გახრწნადია) **om.**

---

1 იხ.: **Muyldermans 1939: 250; Sinkewicz 2006: 297.**

4. PG 79, col. 1164, C 4-7: Μετεωρίζει κάρφος αὖρα ἀνέμου, καὶ ὑπερήφανον ἐπαίρει ἀπονοίας προσβολή· πομφόλυξ ῥαγεῖσα ἀφανισθήσεται, καὶ μνήμη ὑπερηφάνου ὄλλυται (ჩალას ქარის ქროლვა მაღლა იტაცებს და ამპარტავანს უბიძგებს უგრძნობელობის შეტევით. გამსკდარი ბუშტი ქრება და ამპარტავნის ხსოვნაც ნადგურდება) **om.**

5. PG 79, col. 1164, C 10-11: Στέφανος δώματος ἐστιν ἡ ταπεινοφροσύνη καὶ τὸν ἀνελθόντα τηρεῖ ἀσφαλῶς (სახლის გვირგვინი თავმდაბლობაა და შესულს უსაფრთხოდ იცავს) **om.**

ამდენად, როგორც ვხედავთ, ბერძნული დედნის **A** რედაქციასთან შედარებით, ნაშრომის ექვთიმესეულ თარგმანს **22** მცირე მონაკვეთი აკლია, მათგან ბერძნული ტექსტის **B** ვერსიას მხოლოდ **3** ფრაზა თანხვდება (ერთი – მეოთხე და ორიც – მეექვსე თავში), ანუ ექვთიმესეული თარგმანი **B** რედაქციისგანაც განსხვავდება **19** მონაკვეთის სიმცირით.

II. ტექსტის მეტობა

ა) პირველ თავში (ნაყროვანების შესახებ) გამოვლენილი მეტობა:

1. PG 79, col. 1145, A 5: Ἀρχὴ ἐθνῶν (დასაბამი წარმართთაჲ) **add.** მათ მბრძოლთა ისრაჱლისათაჲ **(Q 34, 340v).**

PG 79, col. 1145, A 6: καὶ ἀρχὴ παθῶν (და დასაბამი ვნებათაჲ) **add.** მბრძოლთა სულიერისა მის ისრაჱლისათაჲ **(Q 34, 341r).**

აქ ექვთიმესეული თარგმანი განმარტებითი სახისაა. ბერძნულ დედანში წერია: "Ἀρχὴ ἐθνῶν Ἀμαλὴκ, καὶ ἀρχὴ παθῶν γαστριμαργία" („დასაბამი წარმართთაჲ იყო ამალეკი" (რიცხ. **24.20**), და დასაბამი ვნებათაჲ არს ნაყროვნებაჲ). მაგრამ ქართულ თარგმანში დამატებული ფრაზები, მეტად საინტერესოდ განმარტავს ამალეკელთა სიმბოლურ აზრს და გვიხსნის, რომ როგორც ეგვიპტიდან გამოსულ ისრაელიანებს დაბრკოლება პირველად ამალეკელებმა შეუქმნეს, მსგავსადვე, „სულიერი ისრაელის" ანუ ქრისტიანების წინააღმდეგ თავდაპირველად ნაყროვნების ვნება

აღდგება, რომელიც დასაბამია ყველა სხვა უკეთურების. აქ ცხადია, წარმართებში ზოგადად ვნებები მოიაზრება, ხოლო კონკრეტულად ამალეკელთა მოდგმაში – ნაყროვანების ვნება.

2. PG 79, col. 1145, B 9-10: ἡ δὲ τοῦ κραιπαλοῦντος βαρυνομένη τῷ κόρῳ, καθέλκεται (ხოლო ნაყროვნისაჲ დამძიმებული ჭამადთაგან ქუე-ძურებინ) **add.** ვითარცა ორბი მძორის მჭამელი **(Q 34, 341r).**

3. PG 79, col. 1145, C 9-10: Μνήμας μαρτύρων ἀριθμεῖ ψυχὴ γαστριμάργου (ჯსენებასა წმიდათასა იხარებნ გული ნაყროვნისაჲ) **add.** რაჲთამცა ტაბლაჲ დაიგო სავსე სანოაგითა **(Q 34, 341v).**

4. PG 79, col. 1148, A 3: ὁδοιπόρος βραδὺς (მოგზაური მცონარი) **add.** ვერ მიიწიოს სადგურად **(Q 34, 342r).**

5. PG 79, col. 1148, B 7-9: Ἐὰν πατάξῃς Αἰγύπτιον, ἐν ἄμμῳ κρύψον αὐτὸν, καὶ μὴ πιάνῃς σῶμα ἐπὶ ἡττωμένῳ πάθει (უკუეთუ მოჰკლა მეგჳპტელი, დაჰფალ იგი ქჳშასა შინა; და უკუეთუ მოაკუდინნე გულისთქუმანი, დაჰფლენ იგინი მარხვასა შინა და სიმდაბლესა) **add.** რამეთუ ქჳშაჲ სახე არს სიმდაბლისა და მარხვისაჲ, რამეთუ ჯმელი არს და შემუსრვილი და უცხო სიპოხისაგან **(Q 34, 342v).**

მოცემულ შემთხვევაშიც, როგორც ჩანს, განმარტების საჭიროებამ გამოიწვია ტექსტის მეტობა. აქ ახსნილია, რომ ეგვიპტელის მოკვლაში სახეობრივად ვნებიანი გულისთქმის ამოძირკვა იგულისხმება, ხოლო ქვიშაში – მარხვა, სადაც ქვიშა სიმდაბლისა და მარხვის სიმბოლოდ მოიაზრება, რადგან იგი ბუნებრივად მშრალია და არანოყიერი.

ბ) მეორე თავში (სიძვის შესახებ) გამოვლენილი მეტობა:

PG 79, col. 1152, B 6: ἐπιθυμίαν (გულისთქუმაჲ) **add.** ხოლო შენ მარადის იჳსენებდი ჯსენებათა სულიერთა კეთილთა მათ ზეცისათა და ჭირთა მათ ჯოჯოხეთისათა და ევედრებოდე უფალსა, რაჲთა სატანჯველთა მათგან გიჯსნას და საშუებელთა მათ ზეცისათა ღირს-გყოს, რამეთუ ჯერმჩინებელი წყალობისაჲ არს და მისი არს დიდებაჲ აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე, ამენ **(Q 34, 354v).**

გ) მესამე თავში (ვერცხლისმოყვარეობის შესახებ) გამოვ-ლენილი მეტობა:

PG 79, col. 1152, B 10-11: Φιλαργυρία πάντων ἐστὶ ῥίζα τῶν κακῶν, καὶ τρέφει ὡς κλάδους πονηροὺς τὰ λοιπὰ πάθη („ვეცხლისმოყუარებაჲ ძირი არს ყოველთა ბოროტთაჲ" (1 ტიმ. 6.10) და ზრდის, ვითარცა რტოთა, სხუათა ვნებათა) add. უკუეთუ მოჰკუეთნე რტონი, მეყსეულად სხუათა გამოიხუამს (Q 34, 364r): **ἐὰν ἐκκόψῃς κλάδον, ἄλλον εὐθὺς ἀναδίδωσι** (Muyldermans 1939: 254). მოცემული მონაკვეთი დასტურდება Lavra Γ 93-სა და Stavrou 55-შიც[1].

როგორც ვხედავთ, მოტანილი ფრაზა ბერძნული ტექსტის B რედაქციაშიც დასტურდება, რაც საშუალებას გვაძლევს ექვთიმესეული თარგმანის წარმომავლობა გავარკვიოთ.

დ) მეოთხე თავში (მწუხარების შესახებ) გამოვლენილი მეტობა:

1. PG 79, col. 1156, B 15 – C 1: Ἀμύνης γὰρ ὄρεξίς ἐστιν ὁ θυμὸς, ἀποτυχία δὲ ἀμύνης ἐγέννησε λύπην (ხოლო ოდეს ვერ აღასრულის შურისგებაჲ შთავარდის მწუხარებასა) add. და სხუათაცა მრავალთა ვნებათა ნაშობი არს და მშობელი დაბნელებული ვნებაჲ მწუხარებისაჲ (Q 34, 374v).

2. PG 79, col. 1156, D 7-8: Ἐγκρατὴς οὐ λυπεῖται ἐπὶ ἀποτυχίᾳ βρωμάτων (კაცი მმარხველი არა შეწუხნის ვერ მიმთხუევისათჳს ჭამადთაჲსა) add. არცა სიწმიდისა მოყუარჱ შეწუხნის ვერ აღსრულებისათჳს მწინკულევანისა გულისთქუმისა (Q 34, 375r).

3. PG 79, col. 1157, B 12-14: Χωνευτήριον ἐκάθηρεν ἀργύριον ἀδόκιμον, καὶ λύπη κατὰ Θεὸν καρδίαν ἐν ἁμαρτίαις· χώνευσις συνεχὴς μειοῖ μόλιβδον, καὶ λύπη κοσμικὴ ἐλαττοῖ διάνοιαν (ბრძმედმან განწმიდის ვეცხლი გამოცდილი, მწუხარებამან საღმრთომან განწმიდის გული ცოდვათაგან. დადნობაჲ ბრპენისაჲ ზედაჲს-ზედა მოაკლებს სასწორსა მისსა და მწუხარებაჲ სოფლიოჲ მოაკლებს ცნობასა კაცისასა) add. ამისთჳს იტყჳს ნეტარი მოციქული

---

1 Sinkewicz 2006: 295.

პავლჱ, ვითარმედ: „ღმრთისა მიერი იგი მწუხარებაჲ სინანულსა ცხორებისასა შეუნანებელსა შეიქმს, ხოლო სოფლისა მწუხარებაჲ სიკუდილსა შეიქმს" (2 კორ. 7.10). ორნი არიან საღმრთონი მწუხარებანი: ერთი-იგი ოდეს ცოდვათა თჳსთათჳს იგლოვდეს კაცი წესიერითა მწუხარებითა და სინანულითა ღმობიერითა შეუვრდებოდის უფალსა და ითხოვდეს წყალობასა; და მეორე, ოდეს-იგი განსაცდელი შეემთხჳის ძმასა, გინათუ სულიერი, ანუ ჯორციელი და წესითა მით სულიერისა სიყუარულისაჲთა წუხდეს სულიერი იგი ღმრთისმოყუარე განსაცდელისა მისთჳს, რომელი შეემთხჳა მოყუასსა, ხოლო ამათ ორთა გარეშე სხუანი მწუხარებანი უწესო არიან და მავნებელ (Q 34, 275v-276r).

მითითებულ თავში გამოვლენილი გავრცობის შემთხვევები ნაშრომის B რედაქციაში არ დასტურდება. თუმცა, დანამდვილებით იმის თქმა, რომ აღნიშნული ადგილები ექვთიმე ათონელის მიერ არის დამატებული, არ შეგვიძლია, რადგან, როგორც ვნახავთ, დანარჩენი თავების შემთხვევაში, ტექსტის მეტობა მთლიანად B ვერსიის ბერძნულ ტექსტს მისდევს. მომავლისთვის არ არის გამორიცხული, ვრცელი რედაქციის რომელიმე შეუსწავლელ ბერძნულ ხელნაწერში მითითებული მონაკვეთები მართლაც აღმოჩნდეს.

ე) მეხუთე თავში (მრისხანების შესახებ) გამოვლენილი მეტობა:

PG 79, col. 1153, C 7: Μοναχὸς ὀργίλος (მონაზონი მრისხანჲ) add. ეშჳ არს ველური (Q 34, 386r): **σύαγρος ἐρημικὸς** (Muyldermans 1939: 255). მოცემული მონაკვეთი დასტურდება Lavra Γ 93-ში, Stavrou 55-სა და Antico 131-შიც[1].

ვ) მეშვიდე თავში (დიდებისმოყვარეობის შესახებ) გამოვლენული მეტობა:

1. PG 79, col. 1161, A 8: ...καὶ ἀρετῆς πόνους μοναχὸς συνετός (და მონაზონმან ბრძენმან დაფარნის შრომანი თჳსნი) add. ფუტკარსა ჰბაძავნ მოღუაწჲ მეცნიერი, გარეთ იკრებნ ყუავილსა

1 Sinkewicz 2006: 296.

და ფარულად შურებინ გოლეულსა (Q 34, 412r): **Μέλισσαν μιμεῖται μοναχὸς πανοῦργος· ἔξωθεν μὲν φέρει τὰ ἄνθη, καὶ ἔσωθεν κηρίον ἐργάζεται** (Muyldermans 1939: 249).

2. PG 79, col. 1161, A 12-14: Σὺ δὲ κρύπτε τὰ σὰ, ἐν ὁδῷ γὰρ τυγχάνεις λῃστῶν, ἕως ἥξεις εἰς πόλιν εἰρήνης, καὶ ἀσφαλῶς χρήσῃ τοῖς σοῖς (ხოლო შენ, ძმაო, მალევდ საუნჯესა შენსა, რამეთუ გზასა ხუალ ავაზაკთასა, ვიდრემდის მიიწიო ქალაქსა მას უშიშსა და კუალად იჯმარო შენი იგი მონაგები) add. გზად გულისჴმაყავ ავაზაკითა სავსედ საწუთროჲ ესე და ქალაქად მშჯდობისად საუკუნოჲ იგი ცხორებაჲ. ნუ იქადი ვიდრეღა მოგზაურ იყო, რამეთუ უგუნურება არს ესე და მაბირებელ მბრძოლთა, ხოლო შერაჲ-თუ-ხჯდე ქალაქად, უშიშად იშუებდე და ვერვინ წარიტაცნეს შრომანი შენნი (Q 34, 412v): **Ὁδὸν νόμιζε τὸν παρόντα βίον, πειρατῶν δὲ πληρωμένην καὶ πόλιν εὔνομον τὸν μέλλοντα αἰῶνα. Μὴ κομπάσῃς ἐν τῇ ὁδῷ, ἀπειρόκαλον τοῦτο, καὶ τοὺς ἐπιβούλους ἐρεθίζει ραδίως· ἐὰν οὖν φθάσῃς εἰς τὴν πόλιν εἰσελθεῖν πάντων τῶν ἀγαθῶν ἀπολαύσεις ἀκινδύνως λοιπὸν, καὶ οὐδεὶς τοὺς σοὺς διαρπάσει πόνους** (Muyldermans 1939: 250).

3. PG 79, col. 1161, A 14 – B 1: Ἀρετὴ κενοδόξου συντετριμμένον ἱερεῖον, καὶ οὐ μὴ ἀνενεχθῇ εἰς θυσιαστήριον Θεοῦ (სათნოებაჲ მზუაობრისაჲ შესაწირავი არს განრყუნილი და ვერ აღვიდის საკურთხეველად უფლისა) add. წერილი წყალთა ზედა მსწრაფლ აღიჯოცის და შრომაჲ სათნოებისაჲ სულისაგან მზუაობრისა უჩინო იქმნის. ნუ ჰქადაგებ მოღუაწებასა მარხვისა შენისასა სასმენელად მრავალთა, ნუცა უჩუენებ შრომათა შენთა საწამებელად სხუათა, „რაჲთა მამამან შენმან, რომელი ხედავს დაფარულთა, მოგცეს სასყიდელი ცხადად" (მათ. 6.4; 6.6; 6.18), რამეთუ სათნოებაჲ დაფარული გამოჩნდების უბრწყინვალეს ნათლისა (Q 34, 412v-413r): **Συγκέχυται γραμμὴ χαραχθεῖσα καθ' ὕδατος, καὶ ἀρετῆς πόνος ἐν κενοδόξῳ ψυχῇ** (PG 79, col. 1160, C 15 – D 2). **Ἐν νυκτὶ ἔσθιε κρέας τοῦ πάσχα, καὶ μὴ δημοσιεύσῃς λανθάνουσαν ἐγκράτειαν, μηδὲ ἐπιδείξῃς αὐτὴν ὡς ἐν φωτὶ μάρτυσι πολλοῖς· ἵνα ὁ βλέπων ἐν τῷ κρυπτῷ πάτηρ ἀποδώσει σοι ἐν τῷ**

φανερῷ τὸν μισθόν (Muyldermans 1939: 250).

ზ) მერვე თავში (ამპარტავნების შესახებ) გამოვლენილი მეტობა:

1. PG 79, col. 1161, C 5-6: Εἰς ὕψος μέγα ἀναβαίνει ὑπερηφάνου ψυχὴ, κακεῖθεν αὐτὸν εἰς βυθὸν καταβάλλει (სული ამპარტავანისაჲ სიმაღლედ აღვალნ დიდად და მიერ უფსკრულად წარწყმედისა თავი თჳსი შთააგდის) add. ლოდი გამოეხეთქის რაჲ კლდისაგან მაღლისა, მძაფრიად შთაგორავნ და ამპარტავანი განეშორის რაჲ ღმრთისაგან, ადრე დაეცეს (Q 34, 421r): **Λίθος ἀπορραγεὶς ὄρους συντόμῳ ρύμῃ, καταφέρεται καὶ ὁ ἀποστὰς Θεοῦ πίπτει ταχέως** (Muyldermans 1939: 251).

2. PG 79, col. 1164, B 4-5: Ὁμολόγει τὸν ὑψώσαντα, ἵνα μείνῃς ἐν τῷ ὕψει βέβαιος (აღიარებდი ქველისმოქმედსა მას, რაჲთა ეგო შეურყეველად სიმაღლესა მას სათნოებათასა) add. კაცი ხარ ბუნებით უძლური, ეგე წესსა ზედა ბუნებისასა (Q 34, 422v): **Ἄνθρωπος εἶ, μεῖνον ἐν τοῖς ὅροις τῆς φύσεως** (Muyldermans 1939: 251).

3. PG 79, col. 1164, C 1: ...ὁ δὲ ὑψηλὸς, ἐὰν πέσῃ, συντριβήσεται (ხოლო მაღალი იგი უკუეთუ დაეცეს სიმაღლით, შეიმუსროს მეყსეულად) add. ამპარტავანებაჲ ეტლი არს შემუსრვილი და რომელიცა აღჯდეს მას ზედა, მყის დაეკუეთოს და დაილეწოს, ხოლო მდაბალი შეურყეველ და მტკიცე არნ მარადის და ვერ მივიდეს მის ზედა ფერჯი ამპარტავანისაჲ და ჯელმან ცოდვილისამან ვერ შეძრას იგი (Q 34, 422v-423r): **Σαθρὰ κλίμαξ ἡ ὑπερηφανία· καὶ ὁ ἐπιβαίνων αὐτῇ, ταχέως ἔκδιφρος γίνεται· ὁ δὲ ταπεινὸς βέβαιος ἕστηκε διαπαντὸς, καὶ οὐ μὴ σαλεύσῃ αὐτὸν ποτὲ ποὺς ὑπερηφανίας** (Muyldermans 1939: 251).

4. PG 79, col. 1164, C 11 – D 2: **Ὅταν ἀνέλθῃς εἰς τὸ τῶν ἀρετῶν ὕψος, τότε πολλή σοι χρεία τῆς ἀσφαλείας. Ὁ γὰρ πεσὼν ἀπ' ἐδάφους, ταχέως ἐγείρεται, ὁ δὲ πεσὼν ἀφ' ὑψηλοῦ, εἰς θάνατον κινδυνεύει.** Λίθος τίμιος ἐμπρέπει σιαλώματι χρυσίου, καὶ πολλαῖς ἀρεταῖς φαιδρύνεται ταπείνωσις ἀνδρός (თუალი

პატიოსანი შუენიერ არნ განრჩუნვილი ოქროჲთა და სული მდაბალი ბრწყინავნ სამკაულითა სათნოებათაჲთა. **ოდეს მიიწიო სიმაღლედ სათნოებათა, მაშინ საკმარ არს შენდა კრძალულებაჲ ფრიადი, რამეთუ რომელი დაეცის ქუეყანასა ზედა, ადვილად აღდგის, ხოლო რომელი მაღლით შთამოვარდის, სასიკუდინოდ დაეცის და შეიმუსრის)**[1] add. უკუეთუ ივლტოდი ლაბან ასურისაგან, გულსმოდგინედ და მოსწრაფედ ივლტოდე და ნუ გრწამნ მისი, წარგზავნასა თუ გიქადებდეს, რამეთუ რომლითა წარგზავნასა იჩემებდეს, ღონესა ეძიებს ადგილობანს ვნებათასა დამჭირვად, რამეთუ ენბნითა და ქნარითა, ნესტჳთა და ბობღნითა თანა-ჰყვებინ რაჲ, მისდავე მიქცევად ღონე-ჰყოფნ გონებასა მას მლტოლვარესა, რაჲთამცა ჴმითა მით სასმენელითა სახიობათაჲთა შეკრა იგი და დაჰჴსნამცა სრბაჲ იგი კეთილი გემოჲთა მით ავაჯთა მანქანებისა მისისაჲთა. რომელსა აქუს გონებაჲ, გულისჴმა-ყავნ ძალი სიტყჳსა ამის. კუერთხი სახჱ არს სწავლისაჲ, რომელსა აქუნდეს იგი, წიაღ-ჴდეს იორდანესა საწუთროჲსა ამის ცხორებისასა. კუერთხი ჴელსა შინა მოგზაურისასა საკმარ არს მისდა ყოველსა შინა საქმესა მოგზაურობისა მისისასა და სიმდაბლჱ გულსა შინა მოღუაწისასა წარჰმართებს კეთილად ცხორებასა მისსა... (Q 34, 423v): ...**Ἐὰν ἀποδιδράσκῃς Λάβαν τὸν Σύρον, κρυφῇ ἀπόδραθι καὶ μὴ πιστεύσῃς αὐτῷ προπέμπειν ἐπαγγελλομένῳ· δι᾽ ὧν γὰρ προπέμπειν λέγει, διὰ τούτων καθέζεται. Μετὰ γὰρ μουσικῶν καὶ αὐλῶν καὶ τυμπάνων ἐξαποστέλλων, ἀνθέλκειν μηχανᾶται τὸν ἀποδιδράσκοντα νοῦν, τῇ τῶν φθόγγων περιηχήσει καταγοητεύων αὐτὸν, καὶ τὴν ὁρμὴν ἐκκλίνων τῇ συμπαθείᾳ τοῦ μέλους. Ράβδος παιδείας σύμβολον· ἣν ὁ ἔχων, διαβαίνει τὸν Ἰορδάνην τοῦ βίου. Ράβδος ἐν χειρὶ ὁδοιπόρου πρὸς πάντα χρησίμη· καὶ παιδεία τοῦ πρακτικοῦ ἀποστᾶσα, γίνεται ἡδονή...** (Muyldermans 1939: 251-252)[2].

---

1 აქ, როგორც ვხედავთ, ბერძნული ტექსტისგან განსხვავებით, ექვთიმესეულ თარგმანში წინადადებებს ადგილი აქვთ გაცვლილი.

2 აღსანიშნავია, რომ აქ B რედაქციის ბერძნული ტექსტი კიდევ უფრო ვრცელია, ვიდრე ექვთიმესეული თარგმანი, ჩვენ მხოლოდ ის მონაკვეთი მოგვაქვს, რომელიც ქართულ თარგმანს თანხვდება.

ამრიგად, ვფიქრობთ, ეჭვგარეშეა, რომ ნაშრომის ექვთიმესეული თარგმანი ბერძნული დედნის ვრცელ (**B**) რედაქციას მისდევს. **A** ვერსიასთან მიმართებაში გამოვლენილი ტექსტობრივი გავრცობა, რომელიც ქართულ თარგმანში შეიმჩნევა, უმრავლეს შემთხვევაში **B** ვერსიაშიც ვლინდება. განსაკუთრებით გამოსარჩევია ნაშრომის ბოლო ორი თავი (დიდებისმოყვარეობისა და ამპარტავნების შესახებ), მათში საკმაოდ მოცულობითი მონაკვეთებია დამატებული. ამ შემთხვევაში ექვთიმესეული თარგმანი და ბერძნული **B** რედაქცია ერთმანეთს აბსოლიტურად თანხვდება.

შეიძლება ითქვას, რომ ექთიმესეული თარგმანი დედანთან (**B** რედაქცია) შედარებით უფრო შემოკლებულია ვერსიაა, ვიდრე გავრცობილი. მასში ტექსტის დაკლების მრავალი შემთხვევა გამოვლინდა, მაშინ როცა **B** რედაქციაში, **A**-სთან შედარებით, მხოლოდ სამი მცირე ფრაზის კლება აღმოჩნდა. ვფიქრობთ, ექვთიმესეული თარგმანის სიახლოვე ბერძნული ნაშრომის ვრცელ ვერსიასთან უდავოა. განსაკუთრებით გამოსარჩევია **XI** საუკუნის ათონური ხელნაწერი – **Lavra Γ 93,** რომელიც ერთ მონაკვეთში **B** ვერსიის ყველა ბერძნული ხელნაწერისგან განსხვავდება. ამ საკვანძო ადგილას ექვთიმესეული თარგმანი სწორედ აღნიშნულ ნუსხას მისდევს.

ტექსტისათვის

წინამდებარე ტექსტი მომზადებულია **XI** ს-ის სამი ხელნაწერის მიხედვით. გამოყენებულ ხელნაწერთა ლიტერებია: **A – Q 34, B – H 1663, C – S 396.** მათგან **S 396** ბოლონაკლულია და შეიცავს პირველ სამ თავს. ტექსტში მითითებულია ხელნაწერთა პაგინაცია.

ტექსტს ახლავს კრიტიკული აპარატი. ქართულ ხელნაწერთა ვარიანტულ სხვაობებს გამოვყოფთ არაბული ციფრებით – **1, 2, 3,** და ა. შ.; ვარსკვლავით (*) აღვნიშნავთ ბერნულ დედანთან შედარების შედეგებს. **S 396** ნუსხა გამოირჩევა თავისებურებით, მასში ე-ზე დაბოლოებული სიტყვები ყოველთვის სრულდება *ჲ*-თი, მსგავს ვარიანტულ სხვაობას სქოლიოში არ ვუთითებთ.

ექვთიმე ათონელისეული თარგმანი შევუდარეთ **J. P. Migne**-ს მიერ ბერძნული პატროლოგიის **79**-ე ტომში გამოცემულ **A** რედაქციის ტექსტს **(PG 79, col. 1145-1164). B** რედაქციის ბერძნული ტექსტისთვის გამოვიყენეთ **Muyldermans**-ისა და **Sinkewicz**-ის მიერ გამოქვეყნებული ვარიანტები **(Muyldermans 1939: 249-255; Sinkewicz 2006: 294-299).**

add. აბრევიატურა აღნიშნავს ბერძნულთან მატებას, **om.** – კლებას.

Migne-ს გამოცემული ბერძნულ ტექსტს აღვნიშნავთ **PG 79**-ით, რომელსაც ახლავს გვერდისა და სვეტის ნომერი. ბერძნულ ვარიანტს ვურთავთ ჩვენეულ თარგმანს. პირველი ორი თავის (ნაყროვანებისა და სიძვის შესახებ) შედარების ფარგლებში ბერძნულ ტექსტთან ერთად მოგვაქვს წინაათონური თარგმანიც **(მახარაშვილი 1984: 22-24; 36-38).**

[A340v; B272v; C192r] პირველი[1] თავი ნაყროვნებისათჳს.

ქრისტე, წარმიმართე ძლევად ვნებათა![2]

დასაბამი ნაყოფთაჲ არს ყუავილი და დასაბამი მოღუ-აწება[B273r]თაჲ არს მარხვაჲ. რომელმან აღჳრ-ასხნეს მუცელსა, მოაუძლურებს ვნებათა, ხოლო რომელი იძლეოდეს ჭამადთაგან აღაორძინებს გულისთქუმათა.

„დასაბამი წარმართთაჲ[3] (მათ მბრძოლთა ისრაჱლისათაჲ[4])[5*] [A341r] იყო ამალეკი" *(რიცხ. 24.20)*, და დასაბამი ვნებათაჲ[6] (მბრძოლთა სულიერისა მის ისრაჱლისათაჲ[7])[8*] არს ნაყროვნებაჲ.

ნივთი საჴუმილისაჲ არს შეშაჲ და ნივთი ნაყროვნებისაჲ[9] – თითოფერნი ჭამადნი. შეშამან ფრიადმან აღატყინის ალი დიდი და სიმ-რავლემან[10] ჭამადთამან აღაზრზინნის გულისთქუმანი ბოროტნი[11*].

---

1 პირველი] ა C

2 ქრისტე, წარმიმართე ძლევად ვნებათა!] - BC

3 წარმართთა BC

4 ისრაჱლისათა BC

5 * ἐθνῶν (PG 79, col. 1145, A 5)] add. მათ მბრძოლთა ისრაჱლისათაჲ.

6 ვნებათა BC + მათ C

7 ისრაჱლისათა BC

8 * παθῶν (PG 79, col. 1145, A 6)] add. მბრძოლთა სულიერისა მის ისრაჱლისათაჲ.

9 ნივთი ნაყროვნებისაჲ] ნაყროვნებისა ნივთნი + არიან BC

10 სიმრავლჱმან C

11 * Φλὸξ ἀμαυροῦται ἐπιλειπούσης ὕλης, καὶ βρωμάτων ἔνδεια μαραίνει ἐπιθυμίαν (PG 79, col. 1145, A 9-10): **„საჴუმილი დაშრტის, ოდეს მოაკლდის შეშაჲ, და ჭამადისა მარხვამან დააჭნვის გულისთქუმაჲ ჴორცთაჲ“** (მახარაშვილი 1984: 22)] om.

ძუალითა მით ყბისაჲთა მოსრნა სამფსონ[1] უცხოთესლნი *(შდრ. მსაჯ. 15.14-15)* და მოკუდინებითა ნაყროვნებისაჲთა მოსწყდებიან ვნებანი[2*].

გულისთქუმამან ჭამადისამან შვა ურჩებაჲ და გემოჲსხილვამან[3] ნაყოფისამან[4] გამოჴადა ადამი სამოთხით *(შდრ. დაბ. 3.6; 3.23)*. თითოფერებაჲ სანოაგეთაჲ ახარებს სასასა, ხოლო ნაშობნი მათნი[5] გულისთქუმანი[6] ზრდიან მატლსა უძილსა[7*].

---

1 სამსონ BC

2 * ძუალითა მით ყბისაჲთა მოსრნა სამფსონ უცხოთესლნი და მოკუდინებითა ნაყროვნებისაჲთა მოსწყდებიან ვნებანი] Ὁ κρατήσας σιαγόνος, ἀνεῖλεν ἀλλοφύλους, καὶ δεσμὰ χειρῶν αὐτοῦ διέσπασεν εὐχερῶς. Ἀναίρεσις σιαγόνος πηγὴν ἐγέννησεν ὕδατος, καὶ γαστριμαργία καταργηθεῖσα, θεωρίαν ἔτεκε πρακτικὴν. Πάσσαλος σκηνῆς παρελθὼν, σιαγόνα ἀνεῖλε πολέμιον, καὶ λόγος ἐγκρατείας ἐνέκρωσε πάθος (PG 79, col. 1145, A 10 – B 1): **„ღაწუითა აჴოცნა სამსონმან უცხოთესლნი და კრულებაჲ ჴელთა მისთაჲ განხეთქა ადვილად. ღაწუისაგან გამოჴდა წყალი და ნაყროვანებაჲ დააცხრო, და მაშინღა ცნა საქმჱ კეთილისაჲ** (**იხ. მსაჯ.** 15.9-20). **მანითა კარვისაჲთა მოკლა მბრძოლი იგი** (**იხ. მსაჯ.** 4.21), **ეგრეცა სიტყუამან მან მარხვისამან მოაკუდინის ვნებაჲ ჴორცთაჲ**“ (მახარაშვილი 1984: 22).

3 გემოჲსხილვამან] + მან A

4 ნაყოფისამან] ჭამადისამან BC (H 1663-ში [B ლიტერი] წერია: „ჭამადისამან", ხოლო მის ზემოთ აწერია „ნაყოფისამან"); ἡδεῖα (PG 79, col. 1145, B 2): სასიამოვნო.

5 მათნი] - C („**მათნი**“ H 1663-ში [B ლიტერი] ჩანს მოგვიანო ჩანამატი).

6 გულისთქუმისანი BC

7 * ხოლო ნაშობნი მათნი გულისთქუმანი ზრდიან მატლსა უძილსა] τρέφει δὲ σκώληκα ἀκολασίας ἀκοίμητον (PG 79, col. 1145, B 3-4): **„და ᲐᲮᲜ იგი მატლსა მას საარებისასა დაუცხრომელსა“** (მახარაშვილი 1984: 22). // მაგრამ თავშეუკავებლობის დაუძინებელ მატლსაც ასაზრდოებს.

მუცელი ნაკლულევანი თანაშემწე არს მღჳძარებისაჲ, ხოლო სავსე ჭამადთაგან აიძულებს ძილად. ჭამადი ჴმელი და ნაკლულევანი ფრთხილ-ჰყოფს გონებასა[1], ხოლო საჭმელნი პოხილნი და სასუმელნი სამთრვალონი[2] დააბნელებენ გულსა და დაანთქმენ ვნებათა შინა[3*].

ლოცვაჲ მმარხველისაჲ მართუე არს არწივისაჲ მთათა შინა მფრინვალე, ხოლო [C192v] ნაყროვნისაჲ დამძიმებული ჭამადთაგან ქუე-ძურებინ[4], ვითარცა ორბი მძორის მჭამელი[5*].

ვარსკულავი მმარხველისაჲ სამყაროსა ცისასა ბრწყინავს[6*], ხოლო ნაყროვნისაჲ ბნელსა შინა[7] დანთქმულ არს.

[A341v; B273v] არმური ღრუბლისა ჴშირისაჲ დაჰფარავს ბრწყინვალებასა მზისასა და სიზრქჱ[8] ჭამადთა მრავალთაჲ დააბნელებს გონებასა.

---

1 გონებასა] - C

2 სამთრვალენი A

3 * ხოლო საჭმელნი პოხილნი და სასუმელნი სამთრვალონი დააბნელებენ გულსა და დაანთქმენ ვნებათა შინა] ὑγρὸς δὲ βίος βαπτίζει νοῦν εἰς βυθόν (PG 79, col. 1145, B 7-8): **„ხოლო შუებით ცხორებამან დაანთქის გონებაჲ თუისი უბსკრულადმდე“** (მახარაშვილი 1984: 22).

4 ქუე-ძურების B

5 * καθέλκεται (PG 79, col. 1145, B 10)] add. ვითარცა ორბი მძორის მჭამელი.

6 * ვარსკულავი მმარხველისაჲ სამყაროსა ცისასა ბრწყინავს] νηστεύοντος νοῦς, ἀστὴρ ἐν αἰθρίᾳ λαμπρὸς (PG 79, col. 1145, B 10-11): **„მარხველისა ლოცვაჲ, ვითარცა მასკულავი აერსა შინა წმიდასა ბრწყინვალჱ, ეგრე იყოს“** (მახარაშვილი 1984: 22-23). // მმარხველის გონება მოწმენდილ ცაზე მოკაშკაშე ვარსკვლავია.

7 შინა] - C („**შინა**“ H 1663-ში [B ლიტერი] ჩანს მოგვიანო ჩანამატი).

8 სიზრქე B

სარკე დაგესლებული ვერ უჩუენებს კეთილად სახესა პირისასა და გონებაჲ მრავალთაგან ჭამადთა განზრქელებული[1] ვერ შეიწყნარებს გულისჯმისყოფასა[2] საღმრთოსა.

ქუეყანაჲ კორდი აღმოაცენებს ეკალსა და გონებაჲ ნაყროვნისაჲ შეიკრებს გულისსიტყუათა ბილწთა. ვითარცა მწჯრესა შინა არა იპოების ნელსაცხებელი, ეგრეთვე გულსა შინა ნაყროვნისასა არა დაემკჳდრების წურთაჲ სულიერთა ხედვათაჲ. თუალნი ნაყროვნისანი გამოიკულევენ ხადილობათა, ხოლო თუალნი მმარხველისანი ეძიებენ შესაკრებელსა ბრძენთა და ღმრთისმოყუარეთასა[3*]. ჴსენებასა წმიდათასა იხარებნ გული ნაყროვნისაჲ, რაჲთამცა ტაბლაჲ დაიგო საჳსე სანოაგითა[4*], ხოლო მმარხველი[5] მოსწრაფე არნ ბაძვად ცხორებასა მათსა.

მხედარი მოშიში და უგულოჲ ძრწინ, რაჟამს ესმინ ჴმაჲ საყჳრისაჲ, მაუწყებელი ბრძოლისაჲ და ნაყროვანი[6] მწუხარე არნ, ესმინ რაჲ ქადაგებაჲ მარხვისაჲ.

მონაზონი ნაყროვანი ხარკისა თანამდებ[7] არს მუცლისა[8], რომლისაგან გუემული იზღვევის დღითი-დღე ხარკისა[9] მიცემად[10]. მოგზაური მალემსრბოლი ადრე [A342г] მიიწიოს ქალაქად და მონაზონი[11] მმარხველი მსთუად მისწუთეს ცხორებასა

---

1 განზრქებული A

2 გულისხმისყოფასა BC

3 * σοφῶν (PG 79, col. 1145, C 9)] add. და ღმრთისმოყუარეთასა.

4 * γαστριμάργου (PG 79, col. 1145, C 10)] add. რაჲთამცა ტაბლაჲ დაიგო საჳსე სანოაგითა.

5 მმარხველისაჲ BC

6 ნაყრიანი BC

7 თანამდები A

8 მუცლისაჲ A

9 ხარკის B

10 მიცემად] + ხოლო BC

11 მოგზაური მალემსრბოლი ადრე მიიწიოს ქალაქად და მონაზონი] - BC

უვნებელობისასა. მოგზაური მცონარი[1] ვერ მიიწიოს[2] სადგურად, არამედ[3*] უდაბნოსა[4] სავანე-ყვის ჰაერთა ქუეშე[5] და მონაზონმან ნაყროვანმან ვერ მოიგის[6] სავანე უვნებელობისაჲ.

ორთქლი საკუმეველისაჲ სურნელ-ჰყოფს ჰაერსა[7] და ლოცვაჲ [B274r] მმარხველისაჲ წარემართების, ვითარცა საკუმეველი რჩეული[8] წინაშე ღმრთისა *(შდრ. გამოცხ. 8.4)*. უკუეთუ მისცე თავი შენი გულისთქუმასა ჭამადთასა, არარაჲ კმა-გეყოს[9] აღსრულებად გემოთა მათ, [C193r] რამეთუ გულისთქუმაჲ[10] ჭამადთაჲ ცეცხლი არს მარადის მოტყინარე, რომელი-იგი არა განძღების შეწუვად ნივთსა მას ჭამადთასა. ჭამადმან ზომითმან აღავსის მუცელი წესიერისაჲ, ხოლო ნაყროვნისაჲ არასადა იტყჳს, თუ: **„კმა არს“** *(იგავ. 30.15)*.

განპყრობამან ჯელთამან იოტა ამალეკი *(შდრ. გამ. 17.11-13)* და მადლი მმარხველისაჲ დაიმორჩილებს ვნებათა. მოსპე შენგან[11], ღმრთისმოყუარეო, ყოველი გულისსიტყუაჲ ხენეში და ასონი ჯორცთა შენთანი ძლიერად მოაკუდინენ *(შდრ. კოლ. 3.5)*. რამეთუ ვითარცა მბრძოლმან მოკლულმან ვერსადა შეგაშინის, ეგრეთვე მარხვისა მიერ მომკუდართა ჯორცთა ვერსადა შეაშფოთონ სული შენი. არა ელმინ ცეცხლისა მიახლებითა გუ-

---

1 მცონარე B, მცონარᲘ C

2 მიიწიის C

3 * βραδὺς (PG 79, col. 1148, A 3)] add. ვერ მიიწიოს სადგურად, არამედ

4 უდაბნოთა BC

5 ქუეშᲘ A

6 მოიგოს BC

7 ჰაერთა BC

8 რჩეული] - BC

9 კმა-გეყოს] გეყოს BC

10 გულისთქუმა C

11 შენ BC

ამსა მკუდრისასა[1], არცა გულსა მმარხველისასა შეეხნიან გულისთქუმანი ბილწნი.

[A342v] უკუეთუ მოჰკლა მეგჳპტელი[2], დაჰფალ[3] იგი ქჳშასა შინა *(შდრ. გამ. 2.11-12)*; და უკუეთუ მოაკუდინნე გულისთქუმანი, დაჰფლენ იგინი მარხვასა შინა და სიმდაბლესა[4*]. რამეთუ ქჳშაჲ სახე არს სიმდაბლისა[5] და მარხვისაჲ, რამეთუ ჴმელი არს და შემუსრვილი და უცხო სიპოხისაგან[6*]. ვითარცა ქუეყანაჲ პოხილი აღმოაცენებს თივასა, ეგრეთვე ჴორცთა შინა ზრქელთა და მრავალთაგან ჭამადთა განპოხებულთა[7*] იშუებენ ვნებანი.

ალი დაშრეტილი აღეტყინის[8] დართვითა ფიჩხისაჲთა და[9] გულისთქუმაჲ დამცხრალი განახლდის[10] სიმაძღრითა[11] ჭამადთაჲთა. ნუ შეიწყალებ ჴორცთა შენთა მარხვისათჳს წესიერისა, ნუცა განასუქებ მათ სიმრავლითა **[B274v]** სანოაგეთაჲთა[12], რაჲთა

---

1 მომკუდარსა **BC**

2 მეგვჳპტელი] + და **BC**

3 დაჰფლა **BC**

4 * და უკუეთუ მოაკუდინნე გულისთქუმანი, დაჰფლენ იგინი მარხვასა შინა და სიმდაბლესა] καὶ μὴ πιάνης σῶμα ἐπὶ ἡττωμένῳ πάθει (PG 79, col. 1148, B 8-9): **„და ნუ განასუქებ ჴორცთა შენთა, რაჲთა არა აღდგენ ვნებად შენ ზედა“** (მახარაშვილი 1984: 24). // და ვნების შემცირების შემდეგ ნუ ააღორძინებ სხეულს.

5 სიმდაბლისაჲ **C**

6 * πάθει (PG 79, col. 1148, B 9)] add. რამეთუ ქჳშაჲ სახე არს სიმდაბლისა და მარხვისაჲ, რამეთუ ჴმელი არს და შემუსრვილი და უცხო სიპოხისაგან.

7 * πιμελώδει (PG 79, col. 1148, B 10)] add. და მრავალთაგან ჭამადთა განპოხებულთა.

8 აღეტყინების **C**

9 და] - **B**

10 განახლდების **A**

11 სიმაძღრითა] სიმრავლითა **BC**

12 სანოვაგეთაჲთა **B**

არა აღგიდგინნეს ბრძოლანი დიდნი, ვიდრემდის წარტყუენოს სული შენი და მიგცეს მონად ეშმაკსა მას სიძვისასა. ცხენმან კეთილად დამწყსილმან არა დასცის მჴედარი, არამედ ჰმორჩილობნ აღჴრსა[1], ვიდრეცა[2] ჰნებავნ ზედამჴდომელსა, ეგრეთვე ჴორცნი ესე დაიმწყსებიან მარხვითა და მღჴძარებითა და არა ურჩ ექმნებიან აღჴრთა მათ საღმრთოჲსა მოღუაწებისათა, [C193] ამისთჴსცა მშჴდობით იქცევინ გონებაჲ იგი და დაწყნარებულად[3] ხადინ უფალსა[4*], რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი-უკუნისამდე, ამენ[5*].

[A352v; B283r; C201r] ნეტარისა მამისა ჩუენისა მაქსიმესი სწავლაჲ ბ[6]

ბრძოლათათჴს სიძვისათა[7]

მშობელი სიწმიდისაჲ არს მარხვაჲ, ხოლო ნაყროვნებაჲ დედაჲ არს სიძვისაჲ. ზეთი ზრდის ლამპარსა სასანთლისასა და უბნობაჲ

---

1 აღჴრთა BC

2 ვიდრე BC

3 გონებაჲ იგი და დაწყნარებულად] და დაწყნარებულად გონებაჲ იგი + და BC

4 * და არა ურჩ ექმნებიან აღჴრთა მათ საღმრთოჲსა მოღუაწებისათა, ამისთჴსცა მშჴდობით იქცევინ გონებაჲ იგი და დაწყნარებულად ხადინ უფალსა] καὶ οὐκ ἀποσκιρτᾷ τοῦ ἐπιβατοῦντος λογισμοῦ, οὐδὲ χρεμετίσει κινούμενον ὑπὸ ὁρμῆς ἐμπαθοῦς (PG 79, col. 1148, C 7-9): **„და არასადა მიუშუან გულისთქუმასა სიძვისასა, და არცაღა მისცის თავი თუისი ვნებასა მას ჴორცთასა“** (მახარაშვილი 1984: 24). // და არ ეურჩება წარმმართველ გულისსიტყვას, არც ვნებიანი მისწრაფებით აგზნებული ჭიხვინებს.

5 * ἐμπαθοῦς (PG 79, col. 1148, C 9] add. რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი-უკუნისამდე, ამენ.

6 ბ] - C

7 სიძვისათა] + გუაკურთხენ, უფალო! B

დედათაჲ აღატყინებს ცეცხლსა გულისთქუმათასა. სიმძაფრჱ[1] ღელვათაჲ მიმოიტაცებს ნავსა უსაჭოსა და გულისსიტყუაჲ სიძვისაჲ – გონებასა უკრძალავსა და წარმდებებით წარტყუენულსა[2*].

[B283v] რომელი ჰბრძოდის სულსა სიძვისასა, ნუმცა მიუყვანებღა თანაშემწედ თჳსად სიმაძღრე მუცლისა[3] და გემოვნობაჲ სანოაგეთაჲ[4*], რამეთუ დაუტევოს იგი და მიერთოს მტერთა და მოიქცეს **[C201v]** მათ თანა და ბრძოდის[5] მას[6] ძლიერად. რომელსა უყუარდეს უდაბნოჲ და დაყუდებაჲ, მოუწყლველად დაშთეს იგი ისართაგან მტერისათა[7], ხოლო რომელი აღერეოდის სიმრავლესა ერისკაცთასა, მრავალნი წყლულებანი შეემთხჳნიან.

პირი დედაკაცისაჲ ისარი არს წამლიანი[8], ეკუეთის სულსა და მოწყლის და წყლულსა მას შინა დაუტევის **[A353r]** წამალი იგი გესლიანი და რაოდენცა ყოვნოს, უმეტესი სიმპალე და სიმყრალე ქმნას. რომელი ეკრძალებინ ესევითართა მათ ისართა[9], არა მივიდის[10] კრებათა მიმართ[11] ერისათა, არცა დღესასწაულთა,

---

1 სიმძაფრე **B**

*2** ἀκρατῆ (PG 79, 1148, D 4)] add. და წარმდებებით წარტყუენულსა.

3 თანაშემწედ თჳსად სიმაძღრე მუცლისა] თანაშემწჱდ თჳსა სიმაძღრჱ მუცლისაჲ **C**

4 * რომელი ჰბრძოდის სულსა სიძვისასა, ნუმცა მიუყვანებღა თანაშემწედ თჳსად სიმაძღრე მუცლისა და გემოვნობაჲ სანოაგეთაჲ: **Ὁ πολεμῶν πνεύματι πορνείας οὐ παραλήψεται κόρον εἰς συμμαχίαν [ἐπιθυμίας]** (Muyld. 1939, 253)] Πορνεία συμπαραλήψεται κόρον εἰς συμμαχίαν (PG 79, 1148, D 4-5): სიძვა თანაშემწედ ნაყროვანებას გაიხდის.

5 ჰბრძოდის **BC**

6 მას] - **BC**

7 მტერისაჲთა **C**

8 წამლეანი **BC**

9 ისართა] პირთაგან **A**; τὰ βέλη (PG 79, col. 1149, A 1)

10 მივიდეს **B**

11 მიმართ] - **BC**

სადა კრებაჲ[1] დიდი[2] იყვის[3*], რამეთუ უმჯობეს არს, რომელ[4] დაყუდებით სენაკსა[5] შინა თჳსსა[6] ილოცოს მდუმრიად, ვიდრე რეცა[7] პატივისათჳს დღეთაჲსა იქმნას ტყუე მტერთა თჳსთა.

უკუეთუ გწადის სიწმიდე ჯორცთა და გონებისაჲ, ივლტოდე უბნობისაგან დედათაჲსა და ნუ მისცემ მათ კადნიერებასა შენდა მომართ ყოვლადვე. რამეთუ დასაბამსა კრძალულებით და მოწიწებით გეუბნებოდიან, გინათუ ეგრეცა იყვნიან, გინათუ იჩემებდიან[8], ხოლო უკუანაჲსკნელ აჩუენიან კადნიერებაჲ ბოროტი. პირველსა შემთხუევასა თუალნი მათნი ქუეყანასა ხედვიდიან, იტყოდიან სიმშჳდით და ცრემლოოდიან[9 10*], სულთქუმით იკითხვიდიან სიტყუათა სულიერთა და გულსმოდგინედ ისმენდიან. მეორესა შემთხუევასა მცირედ ზე აღიხილნიან, მესამედ თუ იხილნე, მოგხედნენ მათ ურიდად, უკუეთუ განიღიმნე[11], მათ გლისპად განიცინონ. მიერითგან იწყონ სახითა ქცევად[12] მომპოვნებელითა

---

1 სადა კრებაჲ] სადიდებელად B

2 დიდ C

3 * არცა დღესასწაულთა, სადა კრებაჲ დიდი იყვის] οὐδὲ ἐν ταῖς ἑορταῖς περιάξει κεχηνώς (PG 79, col. 1149, A 2): **„ნუცა ვალნ იგი მიმოკრებასა და ნუცა შეუშვებნ ზრახვასა დედათასა“** (მახარაშვილი 1984: 37). // არც დღესასწაულებზე ვარდება გაოგნებაში.

4 რომელ] რაჲთა B

5 სენაკსა] + მას B

6 თჳსა A

7 ვიდრე რეცა] ვიდრეცა B

8 გინათუ ეგრეცა იყვნიან, გინათუ იჩემებდიან] - BC

9 ცრემლოოდიან] + და BC

10 * σχηματίζονται σεμνῶς (PG 79, col. 1149, A 10): **„დიაკონვედ წმიდად“** (მახარაშვილი 1984: 37). // წესიერად იმოსებიან] om.

11 განიღიმო B

12 ~ ქცევად სახითა BC

ვნებისაჲთა[1*] და სიტყუათა იტყოდიან აღმზრზენელთა გულისათა[2], ჴმაჲ მოიპოიან დამატკბობელი[3] [B284r] სასმენელთაჲ, რაჲთა ყოვლითა მით სახითა წარტყუენონ სული იგი[4]. რამეთუ ესე ყოველი სამჭედური არს მიმზიდველი სიკუდილად[5] [A353v] და ბადე[6] – შთამყვანებელი წარსაწმედელად. [C202r] ნუმცა გაცდუნებენ სიტყჳთა ლიქნისა და ქებისაჲთა, რამეთუ[7] მალულ[8] არს მათ შინა[9] გესლი უძჳრესი ასპიტისა[10].

ნუ შეეხები ცეცხლსა მოტყინარესა, ნუცა დედაკაცსა, ჭაბუკ თუ იყო ჰასაკითა ანუ გონებითა[11*], რამეთუ ცეცხლსა შეეხო

---

1 * ὀφρῦς ἀνατείνουσι, καὶ περιστρέφουσι βλέφαρα, γυμνοῦσι τὸν τράχηλον, καὶ ὅλῳ τῷ σώματι Θρύπτονται (PG 79, col. 1149, B 1-3): **„წარბთა იწერედ და იწოდიედ, და მიმოიქცევედ წამწამთა; განიშიშულნიან ყელნი მათნი და მოიკუდინიან თავნი მათნი“** (მახარაშვილი 1984: 37)] om.

2 გულისაჲთა C

3 დამამტკბობელი A

4 იგი] + მათი C

5 სიკუდილდ C

6 ბადეთა A

7 რამეთუ] - C

8 დამალულ BC

9 შინა] შორის C

10 ასპიტისაჲ C

11 * ნუ შეეხები ცეცხლსა მოტყინარესა, ნუცა დედაკაცსა, ჭაბუკ თუ იყო ჰასაკითა ანუ გონებითა] Μάλλον προσέγγισον πυρὶ καιομένῳ, ἢ γυναικὶ νέᾳ, νέος ὢν καὶ αὐτός (PG 79, col. 1149, C 1-2): **„უმჯობჱს არს შენდა შეხებაჲ საჴუმილსა მოტყინარესა, ვიდრეღა დედაკაცსა ჭაბუკსა, რამეთუ შენცა ჭაბუკვე ხარ“** (მახარაშვილი 1984: 37). // უმჯობესია აგიზგიზებულ ცეცხლს შეეხო, ვიდრე ახალგაზრდა ქალს, როცა თავადაც ახალგაზრდა ხარ.

თუ და გეტკივნოს, მსწრაფლ[1] უკუ-ხლდნე[2], ხოლო ხილვითა და ზრახვითა დედათაჲთა თუ მოიწყლა, არა ადრე განეშორო.

იშუებს თივაჲ აღმოცენებული წყლისკიდესა და ვნებაჲ სიძვისაჲ უბნობითა დედათაჲთა. რომელი აღივსებდეს მუცელსა და ჰგონებდეს წარმართებად სიწმიდისა, მსგავს არს კაცისა, რომელი იტყჳნ აღჳრსხმად ძალსა ცეცხლისასა ლერწმითა. რამეთუ ვითარცა ალი ცეცხლისაჲ ვერ დაშრიტის ლერწმისა[3] თივამან ჴმელმან, ეგრეთვე ბრძოლასა სიძვისასა მოტყინარესა სიმაძღრითა ჭამადთაჲთა შეუძლებელ არს დაჴსნაჲ. სუეტი აღემართის ხარისხსა ზედა დამყარებულსა და ვნებაჲ სიძვისაჲ განისუენებს სიმრავლესა ზედა ჭამადთასა. ნავთსაყუდელად მიისწრაფინ ნავი ღელვაგუემული და სული სიწმიდისმოყუარე მიივლტინ უდაბნოდ, რამეთუ ვითარცა ნავი იგი ივლტინ[4] ღელვათა ზღჳსათა[5], რომელნი დანთქმასა უთქუმიდიან, ეგრეთვე სული ესე – ხილვათაგან მავნებელთა სულისათა[6], რამეთუ პირი შემკობილი უძჳრეს ღელვათასა დამთქმელ არს სულისა[7*].

მაყუალი უდაბნოჲსაჲ [A354r] განერა ალისაგან ცეცხლისა უვნებელად და გონებაჲ სიწმიდისმოყუარე, მყოფი უდაბნოსა[8],

---

1 მწრაფლ A, მსწრაფ B

2 უკუნხლდნი A, უკუნხლდნ*ᲲᲔ* C

3 დაშრიტის ლერწმისა] დაშრტის ლერწმის A

4 ელტინ B, ელტჳნ C

5 ზღჳსაჲთა C

6 სულისაჲთა C

7 * τοῦ μὲν γὰρ ἔστι καὶ διανήξασθαι, πίθῳ ζωῆς, μορφὴ δὲ γυναικὸς ἀπατήσασα, καταφρονεῖν πείθει καὶ αὐτῆς τῆς ζωῆς (PG 79, col. 1149, D 2-4): **„ნაქმნევმან დედაკაცისამან, ოდეს აცთუნეს კაცი, მაშინ შეურაცხებაჲცა არწმუნისვე მერმისა მის ცხორებისაჲ“** (მახარაშვილი 1984: 38). // რადგან სიცოცხლის სიყვარულის გამო შესაძლებელია გადარჩენა, მაგრამ მაცდური ქალის გარეგნობა გიბიძგებს, თავად სიცოცხლეც უგულებელყო] om.

8 უდაბნოთა BC

არა შეიწუას ალითა ბილწებისაჲთა. რამეთუ ვითარცა ჴსენებაჲ ცეცხლისაჲ ვერ დასწუავს გონე[B284v]ბასა, ეგრეთვე ბრძოლაჲ ვნებისაჲ ვერ ძლიერ არს, უკუეთუ ნივთი საქმეთა მისთაჲ არა იპოებოდის[12*].

ხილვამან პირისა შუენიერისამან გული სიძვისმოყუარე აღაზრზინის გულისთქუმად, [C202v] ხოლო ღმრთისმოყუარე მოიყვანის დიდებისმეტყუელებად დამბადებელისა. აღრევასა შინა და თანაზრახვასა დედათასა დაღაცათუ დუმნეს ვნებაჲ, ნუ გრწამნ მისი, უვნებელობასა რაჲ გიქადებდეს. რამეთუ ძაღლიცა აღერიის რაჲ სიმრავლესა, დუმნ მოწიწებით, ხოლო მარტოდ რაჲ გემთხჳოს, აჩუენოს სიბოროტე.

ოდეს-იგი ჴსენებაჲ დედაკაცისაჲ მოვიდეს გულსა შენსა უვნებელად და საუცარმან მისმან არა აღაზრზინოს ვნებაჲ შორის შენსა[3*], მაშინ ცან, ვითარმედ საზღვარსა შესრულ ხარ სიწმიდისასა[4*]. არამედ ნუცა მაშინ შეუნდობ დაყოვნებად

---

1 იპოვებოდის B, იპოების C

2 * Ἐὰν ἐλεήσῃς πολέμιον, ἔσται σοι ἐχθρὸς, καὶ ἐὰν φείσῃ πάθους, ἐπαναστήσεταί σοι (PG 79, col. 1149, D 13-14): **„უკუეთუ შეიწყალნე ჴორცნი შენნი და ფუფუნებდე მათ, გექმნენ შენ იგინი მტერ. უკუეთუ ჰრიდებდე ჴორცთა შენთა ჭირსა, აღდგენ იგინი შენ ზედა ბრძოლად“** (მახარაშვილი 1984: 38). // თუ მოწინააღდეგეს დაინდობ, მტერი გეყოლება, და თუკი შეიბრალებ ვნებას, შენზე აღზევდება] om. (აქ წინაათონური თარგმანის ტექსტი არასრულად იყო გამოცემული, რომელიც შევასწორეთ Sin. 35-ის მიხედვით).

3 * ἀπαθῶς (PG 79, col 1152, A 6)] add. და საუცარმან მისმან არა აღაზრზინოს ვნებაჲ შორის შენსა: **καὶ ἡ φαντασία αὐτῆς μὴ κινήσῃ τὸ πάθος** (Sinkewicz 2006: 295).

4 * Ὅτε δέ σε τὸ εἴδωλον αὐτῆς ἐπὶ θεωρίαν διεγείρει, καὶ τὰ βέλη αὐτῆς τὴν ψυχήν σου περιλαμβάνουσι, τότε νόμιζε ἔξω εἶναι τῆς ἀρετῆς (PG 79, col. 1152, A 7-9): ხოლო როდესაც მისი ხატება სანახავად აღგძრავს და მისი ისრები სულში გესობა, მაშინ მიხვდი, რომ სათნოების მიღმა ხარ] om.

გულისსიტყუათა მათ გულსა შენსა, ნუცა განიცდი გონებითა შენითა წურთად სახესა დედაკაცისასა, რამეთუ ადრე მომქცეველ არს ვნებაჲ იგი ცოდვისაჲ[1] და ღელვანი მისნი მეყსა შინა[2] აღიძრვიან. რამეთუ ვითარცა ცეცხლმან ყოვნის რაჲ[3] ნივთსა შინა, აღატყინის ალი[4*], ეგრეთვე გონებაჲ სიწმიდისმოყუარე განრყუნის და შეაგინის ჴსენებამან მყოვარჟამ დედაკაცისამან. [A354v] ნუ მისცემ უკუე[5] გონებასა შენსა ჴსენებასა დედათასა[6*], რაჲთა არა აღდგეს შენ ზედა ალი გულისთქუმისაჲ და დაწუას მჭლეული[7] სულისა შენისაჲ. რამეთუ ვითარცა ცეცხლმან დაფლულმან ბზესა შინა[8] აღატყინის ალი, აგრეთვე ჴსენებამან დედაკაცისამან აღაგზნის გულისთქუმაჲ. ხოლო შენ მარადის იჴსენებდი ჴსენებათა სულიერთა კეთილთა მათ ზეცისათა და ჭირთა მათ

---

1 ცოდვისა C

2 შინა] - A

3 ~ რაჲ ყოვნის B

4 * რამეთუ ვითარცა ცეცხლმან ყოვნის რაჲ ნივთსა შინა, აღატყინის ალი] Ὥσπερ γὰρ ἡ σύμμετρος χωνεία καθαίρει τὸν ἄργυρον, ἡ δὲ ἐπὶ πολὺ καὶ ἀπόλλυσιν εὐχερῶς (PG 79, col. 1152, A 13-15): **„უკუეთუ ვეცხლი ბრძმედსა შინა შეხბერის ზომასა მას ზედა, იგი კეთილად ოდენ განწმიდნის; უკუეთუ ფრიად გარდარეულად იბერვინ, იგი დაიწუის და წარწყმდის“** (მახარაშვილი 1984: 38). // როგორც ვერცხლს წმენდს თანაბარი დნობა, ხოლო გადამეტებული დანაკარგს იწვევს.

5 უკუᲫ BC

6 * ნუ მისცემ უკუე გონებასა შენსა ჴსენებასა დედათასა: **Μὴ δῷς σὴν διάνοιαν φαντασίᾳ γυναικός** (Muyldermans 1939: 254)] μηδὲ ἐπὶ πολὺ προσομιλήσῃς τῷ φανέντι προσώπῳ (PG 79, col 1152, B 1-2): **„ნუ მისცემ გონებასა შენსა ოცნებასა დედათასა, ნუცა ძრახავ პირისპირ მათ“** (მახარაშვილი 1984: 38). // დიდხანს ნუ ისაუბრებ წარმოსახულ სახესთან.

7 მჭელეული B

8 დაფლულმან ბზესა შინა] ბზესა შინა დაფლულმან C

ჯოჯოხეთისათა[1] და ევედრებოდე უფალსა, რაჲთა სატანჯველთა მათგან გიჴსნას და საშუებელთა მათ ზეცისათა[2] ღირს-გყოს, რამეთუ ჯერმჩინებელი[3] წყალობისაჲ[4] არს და [B285r] მისი არს დიდებაჲ აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე, ამენ[5*].

[A364r; B294v; C210r] საკითხავი გ.

თქუმული ვეცხლისმოყუარებისათჳს[6].

„ვეცხლისმოყუარებაჲ ძირი არს ყოველთა ბოროტთაჲ“ *(1 ტიმ. 6.10)* და ზრდის, ვითარცა რტოთა[7], სხუათა ვნებათა. უკუეთუ მოჰკუეთნე რტონი, მეყსეულად სხუათა გამოიხუამს[8*] და არა უტევებს განჴმობად მისგან აღმოცენებულთა. რომელსა[9] ენებოს მოკუეთაჲ ვნებათაჲ, ძირი მოჰკუეთენ, ხოლო ეგოს თუ ვეცხლისმოყუარებაჲ, მოსხეპვაჲ[10] რტოთაჲ არა სარგებელ არს, რამეთუ კუალად აღყუავდებიან, და[C210v]ღაცათუ მოიჭრნენ.

---

1 ჯოჯოხეთისთა A

2 ზეცისაჲთა C

3 ჯერისმჩინებელი C

4 წყალობისა B

5 * ἐπιθυμίαν (PG 79, col. 1152, B 6)] add. ხოლო შენ მარადის იჴსენებდი ჴსენებათა სულიერთა კეთილთა მათ ზეცისათა და ჭირთა მათ ჯოჯოხეთისათა და ევედრებოდე უფალსა, რაჲთა სატანჯველთა მათგან გიჴსნას და საშუებელთა მათ ზეცისათა ღირს-გყოს, რამეთუ ჯერმჩინებელი წყალობისაჲ არს და მისი არს დიდებაჲ აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე, ამენ.

6 ვეცხლისმოყუარებისათჳს] + გუაკურთხენ, უფალო! C

7 რტოთა] + ბოროტთა BC

8 * πάθη (PG 79, col. 1152, B 11)] add. უკუეთუ მოჰკუეთნე რტონი, მეყსეულად სხუათა გამოიხუამს: **ἐὰν ἐκκόψῃς κλάδον, ἄλλον εὐθὺς ἀναδίδωσι** (Muyldermans 1939: 254).

9 რომელთა C

10 მოსხეპაჲ BC

მონაზონი მრავლისა საქონლისა[1] უფალი ნავი არს ტკრთ-მძიმჱ[2] და სიმძაფრესა ღელვათასა ადვილად დაინთქის. ვითარცა ნავი წყლითა აღვსებული თითოეულისა[3] ღელვისაგან უმეტესად აღივსებინ, ეგრეთვე მრავალმონაგები ზრუნვათაგან შთაიშთობვის.

უპოვარი მონაზონი მოგზაურ არს განკუართული, რომელმან ყოველსა ადგილსა პოის[4] სადგური. უპოვარი მონაზონი [B295r] არ-წივი არს მაღლად მფრინვალე, მაშინ დაშრი[ა]ლდის[5] საზრდელად, ოდეს ჯერ-არნ და საჯმარსა ეძიებნ. ესევითარი [A364v] მონაზონი უმაღლეს[6] არს ყოვლისა განსაცდელისა და ეკიცხევს საწუთროსა და ამაღლდების საუკუნოდ, განეშორების ქუეყანისათა და იქცევის სავანეთა ზეცისათა, რამეთუ ფრთენი სუბუქნი ჰქონან, არა დამ-ძიმებულნი ზრუნვათაგან და საურავთა. ჭირი თუ რაჲმე[7] მოუჯდის ანუ სავნებელი, ადვილად დაუტევის ადგილი იგი ვნებისაჲ, სიკუდილი თუ მოიწიის, სიხარულით განვიდეს[8] ამიერ სოფლით, რამეთუ არა შეკრულ არნ სული მისი საკრველითა ქუეყანისაჲთა. ხოლო დამძიმებული იგი მრავალთაგან მონაგებთა, შეკრულ არნ საურავთაგან ფრიადთა და ვითარცა ძაღლი ჯაჭვთა დაბმულ არნ, და უკუეთუ იძულებით შეემთხჳოს ადგილითი-ადგილად შეცვალებაჲ, ჴსენებაჲ იგი მონაგებთაჲ თანა-უტჳრთავნ, ვითარცა

---

1 საქონლისა] მონაგებისა BC, πολυκτήμων (PG 79, 1152, C 1)

2 ტკრთმძიმე B

3 თითუეულისა C

4 პოვის B

5 დაშრიელდის ABC. *ლექსიკური ერთეული* ***«დაშრიალება»*** *დასტურდება «შატბერდის კრებულში»: „რაჟამს* **დაშრიალდის** *მათ ზედა, ვითარცა გუელი იგი, მარილ იქმნიან და ვერ ჭამის მათგან“ (შატბ. კრებ. გვ. 307; შდრ. ზ. სარჯველაძის «ლექსიკონი», სადაც მოხმობილია აღნიშნული ციტატა და მოცემულია განმარტება:* ***«ჩასვლა»****).*

6 უმაღეს B

7 რამე B

8 განვიდის BC

ტკრთი მძიმჱ[1] და ზრუნვაჲ უსარგებლოჲ და ჴსენებითა მათითა მარადის გული ელმინ ძლიერად[2*].

მოიწიის თუ სიკუდილი, საწყალობელად დაუტევის ყოველი, სული აღმოჰჴდებინ და თუალთა ვერ მიირიდებნ საფასეთაგან და საუნჯეთა; იძულებით და უნებლიეთ მიითრევინ, ვითარცა მონაჲ ლტოლვილი და შეპყრობილი; **ჯორცთაგან განეშორებინ და მონაგებთაგან არა ჰნებავნ განშორებად**[3], რამეთუ უმეტეს წარმყვანებელთასა იმჭირავნ მას ვნებაჲ იგი ანგაჰრებისაჲ.

[C211r] ზღუაჲ არა აღივსების შედინებითა მდინარეთაჲთა *(შდრ. ეკლ. 1.7)* და გულისთქუმაჲ ვეცხლისმოყუარისაჲ არა განძღების[4] საფასითა, ორკეცად მო**[B295v]**იგის, **[A365r]** რომელი-იგი აქუნდა, მრჩობლისა მის სწადინ კუალად მრჩობლყოფად და მრავალწილობისა მისგან არა დასცხრების[5], ვიდრემდის მეყსა შინა უსარგებლოჲ იგი მოსწრაფებაჲ დააცხრვის სიკუდილმან.

მონაზონმან გონიერმან საჯმარსა ოდენ მიხედნის[6] ჯორცთასა და ნაკლულევანებაჲ მუცლისაჲ აღავსის პურითა და წყლითა. არა მოქენე არნ მდიდართა გულისთქუმათათჳს სანოაგეთაჲსა, არცა დაამონის აზნაურებაჲ გონებისაჲ უფალთა მრავალთა, რამეთუ კმა-იყვნიან ჴელნი მისნი მსახურებად საჯმარსა ჯორცთასა და მორეწად ბუნებითისა მის საზრდელისა. მონაზონი უპოვარი მოღუაწე არს დაუბრკოლებელი და მსრბოლი სუბუქი და ადრე მიიწიოს **„საგრობასა მას ზეცისა ჩინებისასა“** *(ფილ. 3.14)*. მონაზონსა ანგაჰარსა უხარინ შემოსავალთა ზედა მრავალთა, ხოლო უპოვარსა – გჳრგჳნოსნობასა ზედა სათნოებათასა.

---

1 მძიმე B

2 * ἀφῆκε τὰ κτήματα, καὶ τῇ λύπῃ μαστίζεται (PG 79, col. 1152, D 4-5): დატოვა ქონება და ტანჯავს მწუხარება] om.

3 განშორებაჲ BC

4 განძღის BC

5 დასცხრებინ BC

6 მიჰხედნის BC

მონაზონი[1] ვეცხლისმოყუარე შურებინ ძლიერად[2], ხოლო უპოვარი შეკუართულ არნ ლოცვასა და წიგნისკითხვასა. ვეცხლისმოყუარემან აღავსნის საუნჯენი ოქროჲთა, ხოლო უპოვარმან **„დაიუნჯის ცათა შინა“** *(შდრ. მათ. 6.20)*[3*], სადა-იგი პოოს სამკჳდრებელი საუკუნოჲ მადლითა ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი-უკუნისამდე, ამენ[4*].

[A374v; B304r] საკითხავი დ. თქუმული მწუხარებისათჳს[5*].

[B304v] მწუხარებაჲ არს მჭმუნვარებაჲ სულისაჲ, ნაშობი არს იგი[6] გულისსიტყუათა მრისხანებისათაჲ, რამეთუ გულისწყრომაჲ არს წადიერებაჲ შურისგებისაჲ, ხოლო ოდეს ვერ აღასრულის შურისგებაჲ შთავარდის მწუხარებასა. და სხუათაცა მრავალთა

---

1 მონოზონი A (A-სთვის ნიშანდობლივი მცდარი ფორმა «მონოზონი» B-ში ყოველთვის წარმოდგენილია მართებული ფორმით «მონაზონი». სწორედ ეს მართებული ფორმა გაგვაქვს ყველგან ძირითად ტექსტში იქაც კი, სადაც B ტექსტობრივად ნაკლოვანია. შდრ. ბერძნ. μοναχός, Sin. 35: «მონაზონი»)

2 ძრიელად A

3 * "Ἐπικατάρατος ὁ ποιῶν εἴδωλον, καὶ τιθεὶς ἐν ἀποκρύφῳ", ὡσαύτως καὶ ὁ ἔχων φιλαργυρίας πάθος · ὁ μὲν γὰρ προσκυνεῖ κίβδηλον ἀνωφελὲς, ὁ δὲ ἀγαλματοφορεῖ φαντασίαν πλούτου (PG 79, col. 1153, B 5-9): **„წყეულიმც იყოს კერპის გამკეთებელი და ფარულად დამდგმელი“** (შდრ. 2 რჯლ. 27.15), რადგან ვისაც ვერცხლისმოყვარეობის ვნება აქვს, ის ყალბ გამოუსადეგარს ეთაყვანება, ხოლო ეს სიმდიდრეზე ოცნებას ატარებს] om.

4 * ἐν οὐρανῷ (PG 79, col. 1153, B 5] add. სადა-იგი პოოს სამკჳდრებელი საუკუნოჲ მადლითა ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი-უკუნისამდე, ამენ.

5 * Οὐκ οἶδε πνευματικὴν ἡδονὴν λυπούμενος μοναχός (PG 79, 1156, B 13-14: მწუხარე მონაზონმა არ იცის სულიერი სიტკბოება) om.

6 იგი] - B

ვნებათა ნაშობი არს და მშობელი დაბნელებული ვნებაჲ[1] მწუხარებისაჲ[23*]. მწუხარებაჲ პირი არს ვეშაპისაჲ[4*] და მწუხარესა მას ეძიებს შთანთქმად. მწუხარებაჲ მატლი არს გულისაჲ და შჭამს მშობელსა მას მისსა[5]. ელმინ დედასა, რაჟამს შობნ შვილსა, ხოლო შვის რაჲ, სალმობისაგან[6] განეყენის *(შდრ. ინ. 16.21)*, გარნა მწუხარებაჲ შობასაცა შინა დიდთა აღადგენს სალმობათა[7], შემდგომად შობისა უმეტესთა მოატყუებს ჭირთა და ტკივილთა. მონაზონმან[8] ძლეულმან მწუხარებისაგან, არა იცის სიტკბოებაჲ სულისა[9] ნუგეშინისცემისაჲ[10*], ვითარცა პირმან დამწარებულმან[11] ნავთისაგან, ვერ იცნის გემოჲ თაფლისაჲ.

[A375r] მონაზონმან ძლეულმან მწუხარებისაგან, ვერ წარჰმართის გონებაჲ თჳსი ხედვათა მიმართ საღმრთოთა, ვერცა ლოცვაჲ წმიდაჲ და წესიერი შეწირის ღმრთისა, რამეთუ ყოვლისა კეთილისა დამახრწეველი არს მწუხარებაჲ. საკრველი ფერჴთაჲ

---

1 ვნებაჲ] + იგი B

2 მწუხარებაჲ B

3 * λύπην (PG 79, col. 1156, C 1)] add. და სხუათაცა მრავალთა ვნებათა ნაშობი არს და მშობელი დაბნელებული ვნებაჲ მწუხარებისაჲ.

4 * ვეშაპისაჲ] λέοντος (PG 79, col. 1156, C 2): ლომის.

5 მწუხარებაჲ პირი არს ვეშაპისაჲ და მწუხარესა მას ეძიებს შთანთქმად. მწუხარებაჲ მატლი არს გულისაჲ და შჭამს მშობელსა მას მისსა] მწუხარებაჲ მატლი არს გულისაჲ და შჭამს მშობელსა მას მისსა. მწუხარებაჲ პირი არს ვეშაპისაჲ და მწუხარესა მას ეძიებს შთანთქმად B

6 სალმობასა B

7 სალმობათა] + და B

8 მონოზონმან A

9 სულიერისა B

10 * სულისა ნუგეშინისცემისაჲ] πνευματικὴν (PG 79, col. 1156, C 8): სულიერი.

11 დამწარებულმან] დამწუხარებულმან B

დამახრწეველი არს სრბისაჲ[1] და მწუხარებაჲ დამაყენებელი არს ხედვათა სულიერთაჲ.

წარტყუენული ბარბაროზთაგან შეიკრვის[2] ჯაჭვთა და წარტყუენული ვნებათაგან შეიკრვის[3] მწუხარებითა. ვერარას შემძლებელ არს მწუხარებაჲ, უკუეთუ არა თანა-ჰყვებოდინ სხუანი ვნებანი, ვითარცა-იგი არავინ შეიკრვის საკრველითა, **[B305r]** უკუეთუ შემკრველი არა იყოს. შეკრული იგი მწუხარებითა ძლეულ არს ვნებათაგან და საკრველი იგი უტჯრთავს სამხილებელად ძლეულებისა მისისა, რამეთუ მწუხარებაჲ იქმნების გულისთქუმათან ამაოთა[4*]. რომელი მძლე ექმნას გულისთქუმათა, მძლე ექმნას[5] ვნებათა, ხოლო რომელი მძლე ექმნას ვნებათა, ვერ ერეოდის მას მწუხარებაჲ. კაცი მმარხველი არა შეწუხნის ვერ მიმთხუევისათჳს ჭამადთაჲსა; არცა სიწმიდისა მოყუარჱ[6] შეწუხნის ვერ აღსრულებისათჳს მწინკულევანისა[7] გულისთქუმისა;[8*] არცა სახიერი და მშჯდი შეწუხნის[9] ვერ შურისგებისათჳს; არცა მდაბალი შეწუხნის დაკლებისათჳს კაცობრივისა დიდებისა; არცა ვეცხლისმოძულე შეწუხნის წარწყმედისათჳს საფასეთაჲსა, რამეთუ ამათ ყოველთა უჯმნიეს ვნებათა მათგან სრულიად, და ვითარცა მჯედარსა შეჭურვილსა ჯოშან-ჯაჭვთა ვერ განეწონების ისარი, ეგრეთვე უვნებელი გონებაჲ, არა მოიწყლვის მწუხარებისაგან.

---

1 სრბისაჲ] სლვისაჲ **B**

2 შეიკრის **B**

3 შეიკრის **B**

4 * ὄρεξις δὲ παντὶ πάθει συνέζευκται **(PG 79, col. 1156, D 4-5:** ხოლო გულისთქმა შეუღლებულია ყოველგვარ ვნებასთან**) om.**

5 ექმნა **B**

6 სიწმიდისა მოყუარჱ] სიწმიდის მოყუარე **B**

7 მწიკულევანისა **A**

8 * βρωμάτων **(PG 79, col. 1156, D 8)] add.** არცა სიწმიდისა-მოყუარჱ შეწუხნის ვერ აღსრულებისათჳს მწინკულევანისა გულის-თქუმისა.

9 შეწუხდის **A**

ფარი მცველი არს მჴედრისაჲ და ზღუდჱ[1] მცველი არს ქალაქისაჲ, [A375v] ხოლო უვნებელობაჲ[2] უმეტესად შემჭურველი არს მონაზონისაჲ[3], რამეთუ ფარსა მრავალგზის წარჴდის[4] ისარი და მოწყლის მჴედარი იგი[5*], და ზღუდე ქალაქისაჲ დაარღჴის სიმრავლემან ბრძოლათამან, ხოლო უვნებელობასა არასადა მძლე ექმნის[6] მწუხარებაჲ. **რომელი მძლე ექმნას ვნებათა, უძლევიეს მწუხარებისადა,** ხოლო ძლეული იგი გულისთქუმათაგან ვერ განერეს საკრველთა მწუხარებისათა. რომელი იძლეოდის მწუხარებისაგან და იჩემებდეს უვნებელობასა, მსგავს [B305v] არს კაცისა, რომელი მწარედ სნეულ არნ და იჩემებნ სიმრთელესა. ვითარცა სნეული საცნაურ არნ ფერისა განლეულებითა და ძალისა მოკლებითა[7*], ეგრეთვე ვნებულსა მას ემხილებინ მწუხარებისაგან.

„**რომელსა უყუარდეს სოფელი**“ *(1 ინ. 2.15)*, არასადა დააკლდეს მწუხარებაჲ, ხოლო რომელმან შეურაცხ-ყოს სოფელი და საქმენი მისნი, იხარებდეს მარადის. ვეცხლისმოყუარე იზღვიოს თუ, შეწუხნის მწარედ, ხოლო რომელსა შეურაცხ-ეყვნენ საფასენი, შეუწუხებელად იყოს. დიდებისმოყუარე იგლოვნ, რაჟამს შეემთხჴის[8] უპატიობაჲ, ხოლო მდაბალმან შეიწყნარის შეურაცხებაჲ იგი, ვითარცა მოყუასი თჳსი.

ბრძმედმან განწმიდის ვეცხლი გამოცდილი, მწუხარებამან საღმრთომან განწმიდის გული ცოდვათაგან. დადნობაჲ ბრპენი-

---

1 ზღუდე B

2 უვნებლობაჲ B

3 მონოზუნისაჲ A

4 თანა-წარჴდის B

5 * Θυρεὸν μὲν γὰρ διέδυ βέλος ῥοίζῳ φερόμενον πολλάκις (PG 70, col. 1157, A 11-12)] add. და მოწყლის მჴედარი იგი.

6 ექმნას B

7 * ἀπὸ τοῦ χρώματος (PG 79, col. 1157, B 5)] add. და ძალისა მოკლებითა.

8 შეემთხჴას A

საჲ[1] ზედაჲს-ზედა მოაკლებს სასწორსა მისსა და მწუხარებაჲ სოფლიოჲ მოაკლებს ცნობასა კაცისასა.

ამისთჳს იტყჳს ნეტარი მოციქული პავლე[2], ვითარმედ: **„ღმრთისა-მიერი იგი მწუხარებაჲ სინანულსა ცხორებისასა შეუნანებელსა შეიქმს, ხოლო სოფლისა მწუხარებაჲ სიკუდილსა შეიქმს“** *(2 კორ. 7.10)*. **[A276r]** ორნი არიან საღმრთონი მწუხარებანი: ერთი-იგი ოდეს ცოდვათა თჳსთათჳს იგლოვდეს კაცი წესიერითა მწუხარებითა და სინანულითა ლმობიერითა შეუვრდებოდის უფალსა და ითხოვდეს წყალობასა; და მეორე, ოდეს-იგი განსაცდელი შეემთხჳის[3] ძმასა, გინათუ სულიერი, ანუ ჯორციელი და წესითა მით სულიერისა სიყუარულისაჲთა წუხდეს სულიერი იგი ღმრთისმოყუარე განსაცდელისა მისთჳს, რომელი შეემთხჳა მოყუასსა, ხოლო ამათ ორთა გარეშე სხუანი მწუხარებანი უწესო არიან **[B306r]** და მავნებელ[4*].

შეამრღჳის სახილველი თუალთაჲ არმურმან ჯშირმან და გონებაჲ მხედველი დააბნელის მწუხარებამან ვნებულმან. უფსკრულსა წყალთასა ვერ შეიწევის[5] ნათელი მზისაჲ და გულსა მწუხარებისაგან ძლეულსა ვერ განაბრწყინებს ნათელი გულისჯმისყოფისაჲ.

საწადელ არს ყოველთა კაცთა ნათელი მზისაჲ, ხოლო სულსა შეწუხებულსა იგიცა არავე საწადელად უჩს[6*]. რომელმან შეურაცხ-ყჳნეს გულისთქუმანი სოფლისანი, ვერ აწყინებდენ მას

---

1 პრპენისაჲ B

2 პავლჱ A

3 შეემთხჳას A

4 * διάνοιαν (PG 79, col. 1157, B 14)] add. ამისთჳს იტყჳს ნეტარი მოციქული პავლჱ... ხოლო ამათ ორთა გარეშე სხუანი მწუხარებანი უწესო არიან და მავნებელ.

5 შთაიწევის B

6 * Αἴσθησιν γεύσεως ἀφαιρεῖται ἵκτερος, καὶ ψυχῆς αἴσθησιν ἀφαιρεῖται λύπη (PG 79, col. 1157, C 4-6): სიყვითლე გემოს შეგრძნებას ართმევს და მწუხარება სულის აღქმას ამცირებს] om.

გულისსიტყუანი[1] მწუხარებისანი და სხუათა ვნებათანი, რამეთუ უფალი შემწე არს მისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი-უკუნისამდე, ამენ[2*].

[A386r; B315r] საკითხავი ე.
მრისხანებისათჳს
უფალო, გუაკურთხენ![3]

მრისხანებაჲ ვნებაჲ არს ბოროტი და განაცოფებს მომგებელსა მისსა[4*], განამჴეცებს სულსა მისსა და საზღვართაგან სიმშჴდისა და სიყუარულისათა განაშორებს[5*]. ქარმან სასტიკმან ვერ შეარყიის გოდოლი დამყარებული კლდესა ზედა[6*] და სული სახიერი და მშჴდი ვერ წარიტაცის გულისწყრომამან. ღელვანი ზღჳსანი აღძრნის სიმრავლემან ქარისამან და გული მრისხანჱ[7] შეაშფოთიან გულისსიტყუათა მოლალეთა და სასტიკებამან გულისწყრომისამან[8*]. მონაზონი მრისხანჱ[9] ეშჴ არს ველუ-

---

1 გულისთქუმანი B

2 * ὑπὸ λογισμῶν λύπης (PG 79, col. 1157, C 7-8)] add. და სხუათა ვნებათანი, რამეთუ უფალი შემწე არს მისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი-უკუნისამდე, ამენ.

3 უფალო, გუაკურთხენ!] - B

4 * და განაცოფებს მომგებელსა მისსა] καὶ τοὺς ἔχοντας γνῶσιν ἐξίστησιν εὐχερῶς (PG 79, col. 1153, C 1-2): და ჭვრეტის მქონესაც განაცოფებს.

5 * და საზღვართაგან სიმშჴდისა და სიყუარულისათა განაშორებს] καὶ πᾶσαν συντυχίαν ἐκκλίνειν ποιεῖ (PG 79, col. 1153, C 2-3): და ყოველგვარ ურთიერთობას განაშორებს.

6 * πύργον (PG 79, 1153, C 4)] add. დამყარებული კლდესა ზედა.

7 მრისხანე B

8 * ὑπὸ λογισμῶν ἀσυνέτων (PG 79, col. 1153, C 6] add. და სასტიკებამან გულისწყრომისამან.

9 მონაზონი მრისხანჱ] მონოზონი მრისხანე A

რი[1*], აღიძრის რაჲ გულისწყრომად[2*], კბილთა ლესავნ. ნისლმან ჴშირმან დააბნელის[3] ჰაერი და აღძრვამან გულისწყრომისამან შეამრღჳის გონებაჲ მრისხანისაჲ.

ღრუბელმან ზრქელმან[4] დაფარის მზისთუალი და გონებაჲ მრისხანისაჲ შეაშფოთის ძჳრისჴსენებამან. ლომი გალიაკსა შინა აღიძრვინ ჴსენებითა ნადირისაჲთა[5*] და მონაზონი მრისხანჱ[6] სენაკსა შინა შფოთებნ გულისსიტყუათაგან გულისწყრომისათა. [A386v] შუენიერ არს ხილვად ზღუაჲ მყუდროჲ და უღელვოჲ, არამედ უშუენიერეს არს გონებაჲ მშჳდი და დაწყნარებული.

ზღუასა[7] შინა მყუდროსა იშუებდიან თევზნი და გონებასა შინა დაწყნარებულსა ბრწყინვიდიან გულისჴმისყოფანი ღმრთივშუენიერნი. მონაზონი[8] სულგრძელი წყაროჲ არს მყუდროდ აღმოცენებული, რომელი ყოველთა ასუამნ სასუმელსა ტკბილსა სიმდაბლისასა[9*], ხოლო[10] გონებაჲ მრისხანისაჲ მარადის მრღჳე არს და ვერ ასუამს წყურიელსა[11] სასუმელ[B315v]სა წმიდასა, დაღაცათუ მისცეს, მრღჳესავე მისცემს და უჴმარსა. თუალნი მრისხანისანი მარადის შეშფოთებულნი არიან და სისხლიანნი, და

---

1 * ὀργίλος (PG 79, col. 1153, C 7)] add. ეშჳ არს ველური: **σύαγρος ἐρημικὸς** (Muyldermans 1939: 255).

2 * აღიძრის რაჲ გულისწყრომად] εἴδέ τινα (PG 79, col. 1153, C 7): დაინახავს ვინმეს.

3 დააბნილის A

4 სქელმან B

5 * აღიძრვინ ჴსენებითა ნადირისაჲთა] κινεῖ τοὺς στρόφιγγας συνεχῶς (PG 79, col. 1153, C 11): ამოძრავებს შეკრულ ხუნდებს.

6 მონაზონი მრისხანჱ] მონოზონი მრისხანე A

7 ზღუა B

8 მონოზონი A

9 * προσηνὲς ποτὸν (PG 79, col. 1153, D 2)] add. სიმდაბლისასა.

10 ხოლო] და A

11 წყურიელთა B

მოასწავებენ დაუწყნარებლობასა გულისა მისისასა, ხოლო პირი სულგრძელისაჲ წრფელ არნ, მყუდრო და შუენიერ და თუალნი მისნი წესიერად მხედველ.

სიმშჳდე[1] კაცისაჲ ჴსენებულ არს წინაშე ღმრთისა *(შდრ. ფს. 131.1)* და სული წრფელი და განშორებული რისხვისაგან ტაძარ სულისა წმიდისა იქმნების. მიიდრიკის[2] უფალმან თავი გულსა შინა სულგრძელი[A387r]სასა და სავანე წმიდისა სამებისა იქმნის გონებაჲ მშჳდობისმოყუარჱ[3]. მელთა დაიმკჳდრონ სულსა შინა ძჳრისმოჴსენესა და მჴეცთა დაიბუდონ გულსა შინა მეშფოთისასა.

ივლტინ კაცი პატიოსანი სავანისაგან ბილწისა და ანგელოზნი მშჳდობისანი[4*] განეშორნიან სულისაგან ძჳრისმოჴსენისა[5*]. განიშორე მრისხანებაჲ სულისაგან შენისა და გულისწყრომაჲ ნუმცა დაივანებს გულსა შინა შენსა და არა შეშფოთნე შენ ჟამსა ლოცვისასა[6*]. გულისსიტყუანი მრისხანისანი ნაშობნი არიან იქედნისანი და სჭამენ[7] გულსა მას მშობელსა მათსა.

ლოცვაჲ მრისხანისაჲ საკუმეველი არს საძაგელი *(შდრ. ეს. 1.13)* და ფსალმუნებაჲ მეშფოთისაჲ ჴმაჲ არს საწყინოჲ. ძღუენი ძჳრისმოჴსენისაჲ მსხუერპლი არს დამპალი და დამატლებული, და ვერ მიეახლოს საკურთხეველსა წმიდასა *(შდრ. ლევ. 22.22)*. სიზმართა შეშფოთებულთა ხედავნ გულმწყრალი და ზედამოსლვაჲ მჴეცთაჲ

---

1 სიმშჳდეჱ A

2 მიიდრიკოს B

3 მშჳდობისამოყუარე B

4 * ანგელოზნი მშჳდობისანი] Θεὸς (PG 79, 1156, A 5): ღმერთი.

5 * Ὕδωρ ἐτάραξεν ἐμπεσὼν λίθος, καὶ καρδίαν ἀνδρὸς λόγος κακός (PG 79, col. 1156, A 6-7): წყალს ამღვრევს ჩავარდნილი ქვა და ადამიანის გულს – ბოროტი სიტყვა] om.

6 * ὃν τρόπον γὰρ ἀχύρων καπνὸς ταράσσει ὀφθαλμοὺς, οὕτω μνησικακία νοῦν, ἐν καιρῷ προσευχῆς (PG 79, col. 1156, A 10-12): როგორც ჩალის კვამლი აღიზიანებს თვალს, ასევე ძვირისხსენება – გონებას, ლოცვის ჟამს] om.

7 შჭამენ B

ეოცებინ მრისხანესა. ხოლო კაცი სულგრძელი [A387v; B316r] და მშჯდი თანაზრახვითა წმიდათაჲთა[1*] გამოეძიებნ სიტყუათა სულიერთა, და ჩუენებათა შინა ღამისათა მოიღებნ განმარტებასა საიდუმლოთასა მადლითა უფლისაჲთა, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი-უკუნისამდე, ამენ[2*].

[A398r; B322v] საკითხავი ვ. მოწყინებისათჳს

მოწყინებაჲ არს უძლურებაჲ სულისაჲ, ხოლო უძლურ არს სული, ოდეს არა იყოს წესსა ზედა ბუნებისა თჳსისასა, ვერცა [A398v] წინა-აღუდგებოდის ახოვნად განსაცდელთა. რამეთუ ვითარცა სარგებელ არს საზრდელი გუამისა მრთელისა, ეგრეთვე განსაცდელი სულისა ახოვნისა.

ქარი ჩრდილოჲსაჲ, რომელსა ეწოდების ბორეა[34*], ზრდის ნაყოფთა და განსაცდელნი დაამტკიცებენ მოთმინებასა სულისასა. ღრუბელი ურწყული იდევნების ქართაგან და [B323r] გონებაჲ უთმინოჲ – სულისაგან მოწყინებისა. ცუარი გაზაფხულისაჲ ზრდის ნაყოფთა ყანისათა და სიტყუაჲ სულიერი აღამაღლებს წესიერებასა სულისასა.

სული მოწყინებისაჲ იოტებს მონაზონსა სენაკისაგან თჳსისა, ხოლო რომელსა აქუნ[5] მოთმინებაჲ, მყუდროებით არნ მარადის.

უძლურთა ხილვასა იჩემებნ მოწყინჷ[6], გარნა თჳსსა უთმინოებასა თანა-ჰყვებინ. მონაზონი მოწყინე მალე არნ მსახურებასა

---

1 * ἀγγέλων (PG 79, col. 1156, B 4): ანგელოზების] om.

2 * μυστηρίων λύσεις (PG 79, col. 1156, B 6)] add. მადლითა უფლისაჲთა, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი-უკუნისამდე, ამენ.

3 ბორია B

4 * Βορέας ἄνεμος (PG 79, col. 1157, D 3-4)] add. რომელსა ეწოდების ბორეა.

5 აქუნდეს B

6 მოწყინე B

და მცნებისა აღსრულებად შეერაცხის თჳსისა ნებისა შედგომაჲ. მორჩი უძლური მიდრიკის ნიავმან წულილმან[1] და განზრახვამან მიმოსლვისამან მიიზიდნის მონაზონი მოწყინჱ[2]. [A399r] ხჱ კეთილად დამყარებული ვერ შეარყიის სიმრავლემან ქარისამან და მოწყინებამან ვერ წარიტაცის სული განმტკიცებული შიშითა ღმრთისაჲთა[3*].

მონაზონი მრორინჱ[4] ქარქუტი[5] არს ველისაჲ, მცირედ დაყუდნის და კუალად მიმოიტაცებინ[6*]. უძლურსა არა კმა-ეყვის ერთი საზრდელი და მონაზონი მოწყინჱ[7] არა დაშჯერდებინ[8] ერთსა საქმესა[9*].

თუალი მოწყინისაჲ კარსა ხედავნ და გონებასა მისსა სტუმართა[10] მოსლვაჲ ეოცებინ. იჭივლის კარმან და[11] ახლდის, ჴმაჲ ესმის და სარკუმლით გაიხედნის და არა განეშორის მიერ, ვიდრემდე მოეწყინის ფრიად.

---

1 წურილმან A

2 მონაზონი მოწყინჱ] მონოზონი მოწყინე A

3 * ἐρηρεισμένην ψυχήν (PG 79, col. 1160, A 1)] add. შიშითა ღმრთისაჲთა.

4 მონაზონი მრორინჱ] მონოზონი მრორინე A

5 ქარქუეტი B

6 * Φυτὸν μεταφερόμενον οὐ καρποφορεῖ, καὶ μοναχὸς κυκλευτὴς οὐ ποιήσει καρπὸν ἀρετῆς (PG 79, col. 1160, A 3-5): ადგილშეცვლილი მცენარე ნაყოფს არ იძლევა და მოხეტიალე მონაზონი სათნოების ნაყოფს არ გამოიღებს] om.

7 მონაზონი მოწყინჱ] მონოზონი მოწყინე B

8 დასჯერდებინ B

9 * Φιληδόνῳ οὐκ ἀρκέσει μία γυνὴ, καὶ ἀκηδιαστῇ μοναχῷ οὐκ ἀρκέσει μία κέλλα (PG 79, col. 1160, A 6-8): სიამოვნებისმოყვარე ერთ ცოლს არ დასჯერდება და მოწყინე (უდები) მონაზონი ერთ კელიას არ იკმარებს] om.

10 სტუმართ B

11 და] + იგი B

წიგნსა იკითხავენ რაჲ მოწყინჱ[1], ზედაჲს-ზედა ეფქნარებენ და შეპყრობილ არნ ძილისაგან ფრიად, თუალთა იმუსრავენ და ჯელთა იწუადინებნ და თუალნი წიგნისაგან მიარიდნის და ხედავენ კედელთა, კუალად მოიქცის და მცირედ იკითხის, და დასასრულსა საკითხავთასა[2] გამოეძიებნ და რვეულთა თუალავნ[3*], მერმე შეკრიბის წიგნი და სასთუნალ [B323v] დაიდვის, მიწვის და დაი[A399v]ძინის ძილითა ღრმითა[4*], ვიდრემდის შიმშილმან განაღჳძის და ზრუნვად ჭამადისა აღადგინის. მონაზონი მოწყინჱ[5] უდებ არს[6] ლოცვასა და ზარ-აცნ თქუმად სიტყუათა ვედრებისათა უფლისა მიმართ[7*].

ვითარცა სნეულმან ვერ იტჳრთის ტჳრთი მძიმჱ[8], ეგრეთვე მოწყინემან ვერ აღასრულის საქმჱ[9] სულიერი, რამეთუ ვითარცა უძლურისა მის დაჳსნილ არნ ძალი გუამისაჲ, ეგრეთვე მოწყინისა – სიმჳნჱ[10] სულისაჲ. მოწყინებაჲ განკურნის მოთმინებამან და სიყუარულმან მოღუაწებისა[11] და სურვილმან საუკუნოჲსა ცხორებისამან[12*]. განაწესე საზომი საქმისა შენისაჲ და ნუ

---

1 მოწყინე B

2 საკითხავისასა B

3 * ψέγει τὸ γράμμα καὶ τὴν κόσμησιν (PG 79, col. 1160, B 9-10): აზიანებს ნაწერსა და მის მორთულობას] om.

4 * ღრმითა] οὐ πάνυ βαθὺν (PG 79, col. 1160, B 12): არა ძალიან ღრმით.

5 მონაზონი მოწყინჱ] მონოზონი მოწყინე A

6 არნ B

7 * და ზარ-აცნ თქუმად სიტყუათა ვედრებისათა უფლისა მიმართ] καὶ οὐ μὴ λαλήσει ποτὲ ῥήματα προσευχῆς (PG 79, col. 1160, B 15 – C 1): და ზოგჯერ არ ამბობს ლოცვის სიტყვებს.

8 მძიმე B

9 საქმე B

10 სიმჳნე B

11 მოღუაწებისამან B

12 * და სიყუარულმან მოღუაწებისა და სურვილმან საუკუნოჲსა

განეყენები, ვიდრემდის აღასრულო იგი, და ილოცევდი ჴშირად და წადიერებით და ივლტოდის შენგან სული მოწყინებისაჲ შეწევნითა ქრისტესითა[1], რომლისაჲ არს დიდებაჲ თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე, ამენ[2*].

[A411v; B330v] საკითხავი ზ.

ცუდადმზუაობრობისათჳს.

უფალო, გუაკურთხენ![3]

ცუდადმზუაობრობაჲ ვნებაჲ არს უგუნური და ყოველსა თანა საქმესა კეთილსა შეეთხზნების და არა განეშორების, ვიდრემდე განაჴმოს[4*].

ცხორებისამან] καὶ τὸ πάντα ποιεῖν μετὰ πολλῆς προσεδρείας καὶ φόβου Θεοῦ (PG 79, col. 1160, C 5-6): და ყველაფრის დიდი ყურადღებით კეთებამ და ღვთის შიშმა.

1 ქრისტეᲘსითა A

2 * καὶ πνεῦμα ἀκηδίας φεύξεται ἀπὸ σοῦ (PG 79, col. 1160, C 9-10)] add. შეწევნითა ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე, ამენ.

3 ~ გუაკურთხენ, უფალო! B

4 * συμπλέκεται (PG 79, col. 1160, C 15)] add. და არა განეშორების, ვიდრემდე განაჴმოს. Συγκέχυται γραμμὴ χαραχθεῖσα καθ' ὕδατος, καὶ ἀρετῆς πόνος ἐν κενοδόξῳ ψυχῇ. Λευκὴ γέγονε χεὶρ καλυπτομένη κόλπῳ, καὶ κρυπτομένη πρᾶξις φωτὸς ἐκλάμπει φαιδρότερον. Σμίλαξ περιπλέκεται δένδρῳ, καὶ ὅταν φθάσῃ ἄνω ξηραίνει τὴν ῥίζαν, κενοδοξία δὲ ταῖς ἀρεταῖς παραφύεται, καὶ οὐκ ἀφίσταται, ἕως ἂν ἐκκόψῃ τὴν δύναμιν (PG 79, col. 1160, C 15 – D 7): წყალზე გამოსახული ხაზი აიმღვრევა და სათნო საქმეც – დიდებისმოყვარე სულში („**წერილი წყალთა ზედა მსწრაფულ აღიჴოცის და შრომაჲ სათნოებისაჲ სულისაგან მზუაობრისა უჩინო იქმნის**“ [Q 34, 412v]). უბეში დაფარული ხელი თეთრი გახდა (იხ. გამ. 4.6) და დაფარული საქმეც სინათლეზე უბრწყინვალესად ბრწყინავს

ტევანი ყურძნისაჲ, მდებარჱ[1] მიწასა ზედა, ადრე დალპის და სათნოებაჲ, თანამყოფი ზუაობისაჲ, მსწრაფლ წარწყმდების. **მონაზონი[2] მზუაობარი მუშაკი არს უმადლოჲ, შრომაჲ თავსიდვის და სასყიდელი ვერ მიიღის.** ვაშკარანმან [A412r] განჯურეტილმან ვერ დაჰმარხის შთათებული და ზუაობამან ცუდმან წარწყმიდის სასყიდელი შრომათაჲ[3].

მარხვაჲ მზუაობრისაჲ კუამლი არს ცეცხლისაჲ და მსგავსად მისა ჰაერად განილევის. ვითარცა მტუერი აგავის ქარმან, ეგრეთვე ქველისსაქმე[4] უჩინო ყვის ზუაობამან. ვითარცა სროლაჲ ქვისაჲ ვერ მიიწევის[5] ზეცას, ეგრეთვე ლოცვაჲ კაცთმოთნისაჲ ვერ აღვალს წინაშე ღმრთისა.

ცუდადმზუაობრობაჲ კლდე[6] არს დაფარული ზღუასა შინა, უკუეთუ ეცეს მას ნავი, შეიმუსროს და ტჯრთი დაენთქას. კაცმან გონიერმან დამალის საუნჯე[7] თჳსი და მონაზონმან[8] ბრძენმან დაფარნის შრომანი თჳსნი. ფუტკარსა ჰბაძავნ მოღუაწჱ[9] მეცნიერი, გარეთ იკრებნ ყუავილსა და ფარულად შურებინ გოლეულსა[10*].

(იხ. ლკ. 8.17). სურო ხეს ეხვევა და როცა ზევით მიაღწევს, ფესვს ახმობს, დიდებისმოყვარეობაც სათნოებებთან თანაიზრდება და არ შორდება, სანამ ძალას არ წაართმევს] om.

1 მდებარე B

2 მონოზონი A

3 შრომათათაჲ A

4 ქველისსაქმეჱ A

5 მიიწიის B

6 კლდეჱ A

7 საუნჯეჱ A

8 მონოზონმან A

9 მოღუაწე B

10 * καὶ ἀρετῆς πόνους μοναχὸς συνετός (PG 79, col. 1161, A 8)] add. ფუტკარსა ჰბაძავნ მოღუაწჱ მეცნიერი, გარეთ იკრებნ ყუავილსა და ფარულად შურებინ გოლეულსა: **Μέλισσαν μιμεῖται**

უბანთა ზედა აწუევნ ზუაობაჲ ლოცვად, ხოლო კაცი გონიერი საუნჯესა შინა ილოცავნ *(შდრ. მათ. 6.5-6)*.

ვაჭარმან უგუნურმან განაქიქის სიმ[A412v]დიდრჱ[1] თჳსი და მრავალნი აღადგინნის შურად და ჯდომად თჳსა[2]. ხოლო შენ, ძმაო, მალევდ საუნჯესა შენსა, რამეთუ გზასა ხუალ ავაზ[B331r] აკთასა, ვიდრემდის მიიწიო ქალაქსა მას უშიშსა და კუალად იჯმარო შენი იგი მონაგები.

გზად გულისჯმა-ყავ[3] ავაზაკითა სავსედ საწუთროჲ ესე და ქალაქად მშჳდობისად საუკუნოჲ იგი ცხორებაჲ. ნუ იქადი ვიდრეღა მოგზაურ იყო, რამეთუ უგუნურება არს ესე და მაბირებელ მბრძოლთა, ხოლო შე-რაჲ-თუ-ხჳდე ქალაქად, უშიშად იშუებდე და ვერვინ წარიტაცნეს შრომანი შენნი[4*].

სათნოებაჲ მზუაობრისაჲ[5] შესაწირავი არს განრყუნილი და ვერ აღვიდის[6] საკურთხეველად უფლისა *(შდრ. ლევ. 22.22)*. წერილი წყალთა ზედა მსწრაფლ აღიჯოცის და შრომაჲ სათნოებისაჲ

μοναχὸς πανοῦργος· ἔξωθεν μὲν φέρει τὰ ἄνθη, καὶ ἔσωθεν κηρίον ἐργάζεται (Muyldermans 1939: 249).

1 სიმდიდრე B

2 ჯდომად თჳსა] მჯდომად მისა B

3 გულისხმა-ყავ B

4 * χρήσῃ τοῖς σοῖς (PG 79, col. 1161, A 14)] add. გზად გულისჯმა-ყავ ავაზაკითა სავსედ საწუთროჲ ესე და ქალაქად მშჳდობისად საუკუნოჲ იგი ცხორებაჲ. ნუ იქადი ვიდრეღა მოგზაურ იყო, რამეთუ უგუნურება არს ესე და მაბირებელ მბრძოლთა, ხოლო შე-რაჲ-თუ-ხჳდე ქალაქად, უშიშად იშუებდე და ვერვინ წარიტაცნეს შრომანი შენნი: **Ὁδὸν νόμιζε τὸν παρόντα βίον, πειρατῶν δὲ πληρωμένην καὶ πόλιν εὔνομον τὸν μέλλοντα αἰῶνα. Μὴ κομπάσῃς ἐν τῇ ὁδῷ, ἀπειρόκαλον τοῦτο, καὶ τοὺς ἐπιβούλους ἐρεθίζει ραδίως· ἐὰν οὖν φθάσῃς εἰς τὴν πόλιν εἰσελθεῖν πάντων τῶν ἀγαθῶν ἀπολαύσεις ἀκινδύνως λοιπὸν, καὶ οὐδεὶς τοὺς σοὺς διαρπάσει πόνους** (Muyldermans 1939: 250).

5 მზუაბრისაჲ A

6 აღვიდეს B

სულისაგან მზუაობრისა უჩინო იქმნის[1*]. ნუ ჰქადაგებ მოღუაწებასა მარხვისა შენისასა სასმენელად მრავალთა, ნუცა უჩუენებ[2] შრომათა შენთა საწამებელად სხუათა, [A413r] „რაჲთა მამამან შენმან, რომელი ხედავს[3] დაფარულთა, მოგცეს სასყიდელი ცხადად" *(მათ. 6.4; 6.6; 6.18)*, რამეთუ სათნოებაჲ დაფარული გამოჩნდების უბრწყინვალეს ნათლისა[4*].

მოწყინებაჲ დაჰჴსნის შრომათა სულისათა, ხოლო ზუაობაჲ მჴნე-ჰყოფს გონებასა დათლემულსა[5*], უძლური იგი განაძლიერის და მოხუცებული უქველეს ყვის ჭაბუკისა, უკუეთუ ოდენ ხედვიდენ მას თუალნი მრავალთანი.

---

1 * ეს ფრაზა – **„წერილი წყალთა ზედა მსწრაფლ აღიჴოცის და შრომაჲ სათნოებისაჲ სულისაგან მზუაობრისა უჩინო იქმნის“** [Συγκέχυται γραμμὴ χαραχθεῖσα καθ’ ὕδατος, καὶ ἀρετῆς πόνος ἐν κενοδόξῳ ψυχῇ (PG 79, col. 1160, C 15 – D 2)] – *ნაშრომის ᲜᲐ რედაქციაში მოცემული თავის დასაწყისში გვხვდება, პირველი წინადადების შემდეგ, Ვ ვერსიაში კი – ექვთიმესეული თარგმანის შესაბამისად.*

2 უჩუენებნ B

3 ჰხედავს B

4 * Θεοῦ (PG 79, col. 1161, B 1)] add. წერილი წყალთა ზედა მსწრაფლ აღიჴოცის და შრომაჲ სათნოებისაჲ სულისაგან მზუაობრისა უჩინო იქმნის. ნუ ჰქადაგებ მოღუაწებასა მარხვისა შენისასა სასმენელად მრავალთა, ნუცა უჩუენებ შრომათა შენთა საწამებელად სხუათა, **„რაჲთა მამამან შენმან, რომელი ხედავს დაფარულთა, მოგცეს სასყიდელი ცხადად“** (მათ. 6.6), რამეთუ სათნოებაჲ დაფარული გამოჩნდების უბრწყინვალეს ნათლისა: **Συγκέχυται γραμμὴ χαραχθεῖσα καθ’ ὕδατος, καὶ ἀρετῆς πόνος ἐν κενοδόξῳ ψυχῇ** (PG 79, col. 1160, C 15 – D 2). **"Ἐν νυκτὶ ἔσθιε κρέας τοῦ πάσχα" [Exod.** 12.8], **καὶ μὴ δημοσιεύσῃς λανθάνουσαν ἐγκράτειαν, μηδὲ ἐπιδείξῃς αὐτὴν ὡς ἐν φωτὶ μάρτυσι πολλοῖς· "ἵνα ὁ βλέπων ἐν τῷ κρυπτῷ πάτηρ ἀποδώσει σοι ἐν τῷ φανερῷ τὸν μισθόν" [Matt.** 6.6] (Muyldermans 1939: 250).

5 * დათლემულსა] ἀποπεπτωκότα Θεοῦ (PG 79, col. 1161, B 2): ღვთისგან განვრდომილს.

სუბუქ არნ მარხვაჲ და ლოცვაჲ და[1] მღჳძარებაჲ, რამეთუ ქებაჲ მრავალთაჲ განაღჳძებს გულსმოდგინებასა მაჩუენებელისასა[23*]. ნუ განჰყიდი შრომათა შენთა დიდებად კაცობრივად, ნუცა სცვალებ საუკუნესა მას დიდებასა[4] უნდოჲსა და წუთ-ერთისა მიმართ [B331v] ქებისა, რამეთუ დიდებაჲ ესე[5] კაცობრივი მიწასა შინა დამკჳდრებულ არს *(შდრ. ფს. 7.6)* და ქებულებაჲ მისი დაშრტის ქუეყანასა ზედა, ხოლო დიდებაჲ საღმრთოჲსა სათნოებისაჲ ეგოს უკუნისამდე მადლითა ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ თანა მამით და სუ[A413v]ლით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე, ამენ[6*].

[A421r; B336v] საკითხავი ᲦᲑ. თქუმული[7] ამპარტავანებისათჳს *გუაკურთხენ, უფალო!*[8]

ამპარტავანებაჲ სიმსივნᲦ[9] არს სულისაჲ, სავსᲦ[10] წუთხითა, ხოლო ოდეს დამწიფდეს, განიპოს და სიმყრალᲦ[11] ფრიადი აღმოუტეოს.

---

1 და] - A

2 მაჩუენებელთასა B

3 * τὴν προθυμίαν (PG 79, col. 1161, B 7)] add. მაჩუენებელისასა.

4 საუკუნესა მას დიდებასა] დიდებასა მას საუკუნოსა B

5 ესე] - B

6 * τὸν αἰῶνα (PG 79, col. 1161, B 11)] add. მადლითა ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე, ამენ.

7 თქუმული] - B

8 ანპარტავანებისათჳს (–გუაკურთხენ, უფალო!) A

9 სიმსივნე B

10 სავსე B

11 სიმყრალე B

გამოჩინებაჲ ელვისაჲ ჴმასა მოასწავებნ[1] ქუხილისასა და ცუდადმზუაობრობისა ვნებაჲ მოწევნასა აუწყებნ ამპარტავანებისასა. სული ამპარტავანისაჲ[2] სიმაღლედ აღვალნ დიდად და მიერ უფსკრულად წარწყმედისა თავი თჳსი[3] შთააგდის. ლოდი გამოეხეთქის[4] რაჲ კლდისაგან[5] მაღლისა, მძაფრიად შთაგორავნ და ამპარტავანი განეშორის რაჲ ღმრთისაგან, ადრე დაეცეს[67*]. რომელმან განაშორის[8] თავი თჳსი შეწევნისაგან ღმრთისა და თჳსსა ძალსა მიაჩემებნ სათნოებათა მოგებასა[9], ესევითარსა მას [A421v] სნებაჲ ბოროტი შჭირს ამპარტავანებისაჲ[10]. რამეთუ ვითარცა აღჴდის ბუდესა ზედა დედაზარდლისასა, მყის დაეცის, ეგრეთვე ქუე-დაცჴვიან, რომელნი მინდობილ იყვნენ თჳსსა ძალსა. სიმრავლ[ᲔᲑ][11] ნაყოფისაჲ ქუე-და[B337r]სდრეკს რტოებასა ხეთასა და სიმრავლ[ᲔᲑ][12] სათნოებათაჲ დაამდაბლებს გონებასა კაცისასა. ნაყოფი დამპალი არად საჴმარ არს და სათნოებაჲ ამპარტავანისაჲ[13] უჴმარ არს ღმრთისა.

---

1 მოასწავებს B

2 ამპარტავანებისაჲ B

3 თჳს B

4 გამოიხეთქის B

5 კლდისაგან] კმოდისაგან A

6 დაეცის B

7 * καταβάλλει (PG 79, col. 1161, C 6)] add. ლოდი გამოეხეთქის რაჲ კლდისაგან მაღლისა, მძაფრიად შთაგორავნ და ამპარტავანი განეშორის რაჲ ღმრთისაგან, ადრე დაეცეს: **Λίθος ἀπορραγεὶς ὄρους συντόμῳ ῥύμῃ, καταφέρεται καὶ ὁ ἀποστὰς Θεοῦ πίπτει ταχέως** (Muyldermans 1939: 251).

8 განაშოროს B

9 მოგონებასა A

10 შჭირს ამპარტავანებისაჲ] სჭირს ანპარტავანებისაჲ A

11 სიმრავლე B

12 სიმრავლე B

13 ამპარტავანებისაჲ B

სუეტმან ძლიერმან იტჳრთოს დირᲩ[1] სახლისაჲ და შიში ღმრთისაჲ შეურვებულ-ჰყოფს სულსა სათნოსა და მდაბალსა[2*]. ნუ მისცემ ამპარტავანებად სულსა შენსა და არასადა იხილნე უცნებანი საშინელნი. ხოლო კაცსა ამპარტავანსა დაუტეობს ღმერთი და მერმე იქმნების იგი სამღერელ ეშმაკთა.

ღამით ეუცნებინ ზედა მოსლვაჲ მჴეცთა ბოროტთა და მრავალთაჲ[3] და დღისი განილევინ გულისსიტყუათაგან მოშიშებისათა, რომელსა შინა ჰკრთებინ ზედაჲს-ზედა და მღჳძარე იყვის რაჲ, შეძრწუნდის აჩრდილისაგან მფრინველთაჲსა. ჴმამან ფურცლისამან [A422r] განაკრთუნის ამპარტავანი და ღელვამან წყლისამან შეაძრწუნის სული მისი, რამეთუ რომელმან განაგდოს თავი თჳსი შეწევნისაგან ღმრთისა, ძრწინ იგი უცნებათაგან უნდოთა.

ამპარტავანებამან[4] ზეცით შთამოყარნა ანგელოზნი მთავრითურთ მათით[5*], რომელი-იგი ვითარცა ელვაჲ შთამოვარდა ქუეყანად *(შდრ. ეს. 14.12; ლკ. 10.18)*, ხოლო სიმდაბლᲩ[6] კაცსა ზეცად აღიყვანებს და ანგელოზთა თანა-მოდასე ჰყოფს.

---

1 დჳრე B

2 * სუეტმან ძლიერმან იტჳრთოს დირᲩ სახლისაჲ და შიში ღმრთისაჲ შეურვებულ-ჰყოფს სულსა სათნოსა და მდაბალსა] Χάραξ βαστάζει κλῶνα κατάκαρπον, καὶ φόβος Θεοῦ ἐνάρετον ψυχήν (PG 79, col. 1161, C 14-15): სვეტი იტვირთავს ნაყოფიერ ტოტს და ღვთის შიში – სათნო სულს. Ὥσπερ βάρος καρποῦ καταράσσει κλῶνα, οὕτω ὑπερηφανία ἐνάρετον καταβάλλει ψυχήν (PG 79, col. 1161, C 15 – D 2): როგორც ნაყოფის სიმძიმე ტეხს ტოტს, ასევე ამპარტავნება დასცემს სათნო სულს] om.

3 მრავალთა B

4 ანპარტავანებამან A

5 * შთამოყარნა ანგელოზნი მთავრითურთ მათით] κατέβαλεν ἀρχάγγελον (PG 79, col. 1164, A 2): ჩამოაგდო მთავარანგელოზი.

6 სიმდაბლე B

რასა განჰსცხრები[1] და ჰზუაობ, კაცო? რად განლაღებულ ხარ[2*] და უმეტეს ღრუბელთა ჰმაღლოვი[3]? გულისჯმა-ყავ[4] ბუნებაჲ შენი, რამეთუ მიწაჲ ხარ და ნაცარ[5] *(შდრ. დაბ. 18.27)* და შემდგომად მცირედისა მტუერად განილევი, აწ ზუავ და საშინელ და მეყსეულად საჭმელ მატლთა[6*].

დიდ არს კაცი, ვიდრემდის ღმერთი შეეწეოდის, უკუეთუ მან დაუტეოს, უძლურ არს ბუნებით და ამაო. არა[B337v]რაჲ გაქუს კეთილი, კაცო, რომელი არა ღმრთისაგან მოგიღებიეს *(შდრ. 1 კორ. 4.7)*, შენ უკუე[7] ნიჭთა ზედა მეუფისათა რაჲსათჳს ჰმაღლოი, ვითარმცა შენ მაგიერ გაქუნდა?

მადლთა ზედა ღმრთისათა რაჲსათჳს, ვითარცა შენთა იქადი? იცან მომცემელი იგი და [A422v] ჰმადლობდი და ნუ ზუავ[8] ხარ და ამპარტავან[9];[10*] დაბადებული ხარ ღმრთისაჲ, ნუ დავიწყებ დამბადებელსა. ოდეს შეგეწეოდის ღმერთი, ნუ უვარ-ჰყოფ შემწესა მას შენსა.

უკუეთუ სიმაღლედ აღსრულ ხარ სათნოჲსა მოქალაქობისა, მას სახიერსა აღუყვანებიე. უკუეთუ წარგიმართებიან სათნოებანი, მისითა მადლითა და შეწევნითა წარგიმართებიან. აღიარებდი

---

1 განსცხრები B

2 * რასა განჰსცხრები და ჰზუაობ, კაცო? რად განლაღებულ ხარ] Τί μετεωρίζῃ, ἄνθρωπε (PG 79, col. 1164, A 5-6): რად ჰმაღლობ, ადამიანო? πηλὸς ὢν, καὶ σαπρία τῇ φύσει (PG 79, col. 1164, A 5): თიხა ხარ და ხრწნადი ბუნებით] om.

3 ჰმაღლოი A

4 გულისხმა-ყავ B

5 ნაცარი B

6 * Τί τὸν αὐχένα ἐπαίρεις τὸν μετ' ὀλίγον σηπόμενον (PG 79, 1164, A 9-10): რად სწევ ქედს მაღლა, რაც მალევე გახრწნადია] om.

7 უკუᲫ B

8 ჰზუავ B

9 ანპარტავან A

10 * და ჰმადლობდი და ნუ ზუავ ხარ და ამპარტავან] καὶ μὴ ἐπαίρου πολύ (PG 79, col. 1164, A 15): და ძალიან ნუ გაამაყდები.

ქველისმოქმედსა მას, რაჲთა ეგო შეურყეველად სიმაღლესა მას სათნოებათასა. კაცი ხარ ბუნებით უძლური, ეგე წესსა ზედა ბუნებისასა[1*]. მეცნიერ იყავ ნათესავისა შენისა, რამეთუ ერთისა ბუნებისანი ხართ და ნუ უარ-ჰყოფ ამპარტავანებისაგან თჳსებასა მას ბუნებითსა, დაღაცათუ იგი მდაბალ არს და შენ დიდებულ, არამედ თავადმან დაგბადნა ორნივე.

ნუ შეურაცხ-ჰყოფ უნდოსა მას და მდაბალსა, რამეთუ უმ-ტკიცეს დგას, ვიდრე შენღა[2], ქუეყანასა ზედა ვალს და არა ადრე დაეცეს, ხოლო მაღალი იგი უკუეთუ დაეცეს სიმაღლით, შეიმუსროს მეყსეულად. ამპარტავანებაჲ ეტლი არს შემმუსრველი[3] და რომელიცა აღჯდეს მას ზედა, მყის [A423r] დაეკუეთოს და დაილეწოს, ხოლო მდაბალი შეურყეველ და მტკიცე არნ მარადის, და ვერ მივიდეს[4] მის ზედა ფერჯი ამპარტავანისაჲ და ჯელმან ცოდვილისამან ვერ შეძრას იგი *(შდრ. ფს. 35.12)*[5*].

მონაზონი[6] ამპარტავანი ხᲫ არს უძიროჲ და ვერ დაუდგნეს სი[B338r]მძაფრესა ქარისასა, არამედ მეყსეულად დაეცეს[7*]. გონე-ბაჲ მდაბალი ქალაქი არს მოზღუდვილი და რომელი-იგი მკჳდრ

---

1 * ἐν τῷ ὕψει βέβαιος (PG 79, col. 1164, B 5)] add. სათნოებათასა. კაცი ხარ ბუნებით უძლური, ეგე წესსა ზედა ბუნებისასა: **Ἄνθρωπος εἶ, μεῖνον ἐν τοῖς ὅροις τῆς φύσεως** (Muyldermans 1939: 251).

2 ვიდრე შენღა] ვიდრეღა შენ B

3 შემუსრვილი A

4 მივიდის B

5 * συντριβήσεται (PG 79, 1164, C 1)] add. ამპარტავანებაჲ ეტ-ლი არს შემუსრვილი და რომელიცა აღჯდეს მას ზედა, მყის დაეკუ-ეთოს და დაილეწოს, ხოლო მდაბალი შეურყეველ და მტკიცე არნ მარადის და ვერ მივიდეს მის ზედა ფერჯი ამპარტავანისაჲ და ჯელმან ცოდვილისამან ვერ შეძრას იგი: **Σαθρὰ κλίμαξ ἡ ὑπερηφανία· καὶ ὁ ἐπιβαίνων αὐτῇ, ταχέως ἔκδιφρος γίνεται· ὁ δὲ ταπεινὸς βέβαιος ἕστηκε διαπαντὸς, καὶ οὐ μὴ σαλεύσῃ αὐτὸν ποτὲ ποὺς ὑπερηφανίας** (Muyldermans 1939: 251).

6 მონოზონი A

7 * ἀνέμου (PG 79, 1164, C 2)] add. არამედ მეყსეულად დაეცეს.

არნ მას შინა, უცთომელად ეგოს და უშიშად მპარავთაგან[1*]. სიტყუაჲ მდაბალი წამალი არს სულისაჲ, ხოლო ამპარტავანისა ზრახვაჲ სავსე არნ სილაღითა.

ლოცვაჲ მდაბალისაჲ სასმენელ არს უფლისა და მოწყალე-ჰყოფს სახიერსა მას[2*], ხოლო ამპარტავანისა ვედრებაჲ ვერ მიიწიოს წინაშე უფლისა[3*]. თუალი პატიოსანი[4] შუენიერ არნ[5] განრჩუნვილი ოქროჲთა და სული მდაბალი ბრწყინავნ სამკაულითა სათნოებათაჲთა. ოდეს მიიწიო სიმაღლედ სათნოებათა, მაშინ საკმარ არს შენდა კრძალულებაჲ ფრიადი, რამეთუ რომელი დაეცის[6] ქუეყანასა ზედა, ადვილად აღდგის[7], ხოლო რომელი მაღლით შთამოვარდის, სასიკუდინედ[8] დაეცის და შეიმუსრის[9*].

---

1 * და რომელი-იგი მკჳდრ არნ მას შინა, უცთომელად ეგოს და უშიშად მპარავთაგან] καὶ ὁ ἐνοικῶν αὐτῇ ἄσυλος ἔσται (PG 79, col. 1164, C 3-4): და მასში მცხოვრებნი უშიშად არიან. Μετεωρίζει κάρφος αὖρα ἀνέμου, καὶ ὑπερήφανον ἐπαίρει ἀπονοίας προσβολή· πομφόλυξ ῥαγεῖσα ἀφανισθήσεται, καὶ μνήμη ὑπερηφάνου ὄλλυται (PG 79, col. 1164, C 4-7): ჩალას ქარის ქროლვა მაღლა იტაცებს და ამპარტავანს უბიძგებს უგრძნობელობის შეტევით. გამსკდარი ბუშტი ქრება და ამპარტავნის ხსოვნაც ნადგურდება] om.

2 * θεὸν (PG 79, 1164, C 9)] add. და მოწყალე-ჰყოფს სახიერსა მას.

3 * ხოლო ამპარტავანისა ვედრებაჲ ვერ მიიწიოს წინაშე უფლისა] παροξύνει δὲ τὸν θεὸν δέησις ὑπερηφάνου (PG 79, col. 1164, C 9-10): ხოლო ამპარტავნის ვედრება უფლის შეურაცხმყოფელია. Στέφανος δῶματος ἐστιν ἡ ταπεινοφροσύνη καὶ τὸν ἀνελθόντα τηρεῖ ἀσφαλῶς (PG 79, col. 1164, C 10-11): სახლის გვირგვინი თავმდაბლობაა და შესულს უსაფრთხოდ იცავს] om.

4 თუალი პატიოსანი] თუალნი პატიოსანნი B

5 არიან B

6 დაეცეს B

7 აღდგეს B

8 სასიკუდინოდ A

9 * აქ ექვთიმესეულ თარგმანში წინადადებებს ადგილი აქვთ გაცვლილი. PG-ში გამოცემული ტექსტის მიხედვით, ჯერ წერია:

[A423v] უკუეთუ ივლტოდი ლაბან ასურისაგან, გულსმოდგინედ და მოსწრაფედ ივლტოდე და ნუ გრწამნ[1] მისი, წარგზავნასა თუ გიქადებდეს, რამეთუ რომლითა[2] წარგზავნასა იჩემებდეს[3], ღონესა ეძიებს ადგილობანს[4] ვნებათასა დამჭირვად, რამეთუ ენბნითა[5] და ქნარითა, ნესტჳთა და ბობღნითა თანა-ჰყვებინ რაჲ, მისდავე მიქცევად ღონე-ჰყოფნ გონებასა მას მლტოლვარესა, რაჲთამცა ჴმითა მით სასმენელითა სახიობათაჲთა შეკრა იგი და დაჰჴსნამცა სრბაჲ იგი კეთილი გემოჲთა მით ავაჯთა მანქანებისა მისისაჲთა *(შდრ. დაბ. 31.20-27)*. რომელსა აქუს გონებაჲ, გულისჴმა-ყავნ ძალი სიტყჳსა ამის.

კუერთხი სახჱ[6] არს სწავლისაჲ, რომელსა აქუნდეს იგი, წიაღჴდეს იორდანესა საწუთროჲსა ამის ცხორებისასა *(შდრ. დაბ. 32.10)*. კუერთხი ჴელსა შინა **[B338v]** მოგზაურისასა საჴმარ არს მისდა[7] ყოველსა შინა საქმესა მოგზაურობისა მისისასა და სიმდაბლჱ[8] გულსა შინა[9] მოღუაწისასა წარჰმართებს კეთილად ცხორებასა მისსა[10] მადლითა და შეწევნითა ქრისტესითა, რომელმან ჩუენთჳს

„ოდეს მიიწიო სიმაღლედ სათნოებათა...“ [Ὅταν ἀνέλθῃς εἰς τὸ τῶν ἀρετῶν ὕψος... (PG 79, col. 1164, C 11-15)], ხოლო შემდეგ – **„თუალი პატიოსანი შუენიერ არნ განრჩუნვილი ოქროჲთა და სული მდაბალი ბრწყინავნ სამკაულითა სათნოებათაჲთა“** [Λίθος τίμιος ἐμπρέπει σιαλώματι χρυσίου, καὶ πολλαῖς ἀρεταῖς φαιδρύνεται ταπείνωσις ἀνδρός (PG 79, 1164, C 15 – D 2)], რითაც PG-ს ტექსტი სრულდება კიდეც.

1 გრწმენის B

2 რომლითა-იგი B

3 იჩემებს B

4 ადგილობნსა A

5 ებნითა B

6 სახე B

7 მისა B

8 სიმდაბლე B

9 შინა] - B

10 მისსა] თჳსსა A

დაიმდაბლა თავი თჳსი [A424r] სიკუდილადმდე სიკუდილითაღა ჯუარისაჲთა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე[1] თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე, ამენ[2*].

გამოყენებული ლიტერატურა:

კეკელიძე 1960: კეკელიძე კ., მეოთხე საუკუნის საზღვარგარეთელი ქართველი მოაზროვნე და მოღვაწე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VI, თბ., 1960.

მახარაშვილი 1984: მახარაშვილი ს., ევაგრე პონტოელის ცხოვრება-მოღვაწეობა და მის შრომათა ქართული თარგმანი, ძველი ქართული მწერლობის მატიანე, I, თბ., 1984.

მშვენიერებათმოყვარეობა 2013: წმინდა მღვიძარეთა მშვენიერებათმოყვარეობა, I$_1$, ბერძნულიდან თარგმნა და სქოლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, თბ., 2013.

Catalogue 1895: Catalogue of the Greek Manuscripts on Mount Athos, Edited for the Syndics of the University Press by Spyr. P. Lambros, vol. I, Cambridge, 1895.

---

1 სიმტკიცეᲫ A

2 * ταπείνωσις ἀνδρός (PG 79, col. 1164, D 1-2)] add. უკუეთუ ივლტოდი ლაბან ასურისაგან, გულსმოდგინედ და მოსწრაფედ ივლტოდე... აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე, ამენ: ...**Ἐὰν ἀποδιδράσκῃς Λάβαν τὸν Σύρον, κρυφῇ ἀπόδραθι καὶ μὴ πιστεύσῃς αὐτῷ προπέμπειν ἐπαγγελλομένῳ· δι᾽ ὧν γὰρ προπέμπειν λέγει, διὰ τούτων καθέζεται. Μετὰ γὰρ μουσικῶν καὶ αὐλῶν καὶ τυμπάνων ἐξαποστέλλων, ἀνθέλκειν μηχανᾶται τὸν ἀποδιδράσκοντα νοῦν, τῇ τῶν φθόγγων περιηχήσει καταγοητεύων αὐτὸν, καὶ τὴν ὁρμὴν ἐκκλίνων τῇ συμπαθείᾳ τοῦ μέλους. Ράβδος παιδείας σύμβολον· ἣν ὁ ἔχων, διαβαίνει τὸν Ἰορδάνην τοῦ βίου. Ράβδος ἐν χειρὶ ὁδοιπόρου πρὸς πάντα χρησίμη· καὶ παιδεία τοῦ πρακτικοῦ ἀποστᾶσα, γίνεται ἡδονή**... (Muyldermans 1939: 251-252).

Catalogue 1925: Catalogue of the Greek Manuscripts in the Library of the Laura on Mount Athos, with Notices from other Libraries by Spyridon and Sophronios Eustratiades, Cambridge, 1925.

Muyldermans 1939: Muyldermans J., "Une nouvelle recension du De octo spiritibus malitiae de S. Nil", Le Muséon, Revue d'Études Orientales 52 (1939): 235-74.

Samir 1992: Samir Kh., 'Evagre le Pontique dans la tradition arabo-copte', in Marguerite Rassart-Derbergh and Julien Ries (eds.), Actes du IVe Congres Copte. Louvain-la- Neuve,5-1o septembre 1988, Publications de l'Institut Orientaliste de Louvain, 41 (Louvain-la-Neuve: Institut Orientaliste, 1992), 123-53.

SC 170: Sources chrétiennes 170, Évagre le Pontique, Traité pratique ou le moine, tome I, Introduction par A. Guillaumont et C. Guillaumont, Paris, 1971.

SC 171: Sources chrétiennes 171, Évagre le Pontique, Traité pratique ou le moine, tome II, Édition critique du texte grec, Traduction, Commentaire et tables par A. Guillaumont et C. Guillaumont, Paris, 1971.

Schenke 1984: Schenke H.-M., 'Ein koptischer Evagrius', in P. Nagel (ed.), Graeco-Coptica: Griechen und Kopten im byzantinischen Ägypten, Wissenschaftliche Beiträge der Martin-Luther-Universität (Halle-Wittenberg, 1984), 219-30.

Sinkewicz 2006: Evagrius of Pontus, The Greek Ascetic Corpus, Translation, Introduction and Commentary by Robert E. Sinkewicz, Oxford, 2006.

Spies 1932: Spies O., 'Die äthiopische Überlieferung der Abhandlung des Evagrius περὶ τῶν ὀκτῶ λογισμῶν', Oriens Christianus, 3rd ser., 7 (1932), 203-28.

PG: Patrologiae cursus completus, Series Graeca, accurante et recognoscente J. P. Migne, Paris, 1857-1866.

PL: Patrologiae cursus completus, Series Latina, accurante et recognoscente J. P. Migne, Paris, 1844-1880.

Fogielman 2015: Fogielman, Ch.-A., "Les deux traités à Euloge d'Evagre le Pontique: Introduction, édition critique, traduction, commentaire et notes", PhD diss, École pratique des hautes études, 2015.

Quasten 1986: Quasten J., Patrology, vol. III, The Golden Age of Greek Patristic Literature, Westminster, 1986.

Lasha **Tkebuchava**

The Treatise of Evagrius Ponticus «On the Eight Evil Spirits» and its Translation made by St. Euthymius the Athonite

The hereby Paper considers the work by Evagrius Ponticus *De octo spiritibus malitiae* and its translation by Euthymius the Athonite. The novel is considered to belong to St. Maximus the Confessor in Georgian theological scripts and is revealed as part of the *Talking Back on Passion*. The hereof ascetic monument *(Talking Back on Passion)* is the ascetic guideline consisting of *Antirrheticus* by Evagrius Ponticus (IV century) and his *De octo spiritibus malitiae*.

The Georgian fragments of the works by Evagrius Ponticus with the ancient pre-Athonian translation (Sin. 35, 907 ⵖ) exist, including the first two chapters of *De octo spiritibus malitiae* (*De gula* and *De luxuria*). The Greek original of the novel itself is known with the extended (B) and brief (A) versions. As it is revealed, both Georgian translations in editorial terms (pre-Athonian and by Euthymius the Athonite) follow the extended (B) version of the Greek text. At that, the translation by Euthymius the Athonite reveals particular proximity to the Athonian manuscript Lavra Γ 93 dated with the XI century.

ედიშერ ჭელიძე

წმ. მელქისედეკ კათოლიკოს-პატრიარქის ანდერძისა და ე. წ. მცხეთის აღაპის შესახებ

ბოლო წლებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ძველ საქართველოში არსებობდა **ტრადიცია** ქალაქ მცხეთის «აღაპის» აღნიშვნისა, თითქოსდა დაკავშირებული XI ს-ის წმინდა მოღვაწის, კათოლიკოს-პატრიარქ **მელქისედეკ I-ის** სახელთან, რომელსაც, როგორც გვარწმუნებენ, საკუთრივ **ხარების დღე** (25 **მარტი**) **დაუდგენია «მცხეთის აღაპის» ანუ მცხეთის კურთხევის დღედ**, რაც თურმე უწყვეტად აღესრულებოდა ყოველ წელს და გაუქმებულა მხოლოდ ეგზარქოსობის დროს.

ზემორე მოვლენა (ე. წ. «**მცხეთის აღაპის აღდგენა**») არაერთგზის ვრცლად გაშუქდა მედია-საშუალებებით. ამასთან, შესაბამის სიუჟეტებს მრავალი ზოგადი საეთერო კომენტარიც დაერთო, რომელთაგან ნიმუშისთვის დავიმოწმებთ ერთ-ერთს:

„მცხეთა იყო მუდამ აი, ამ დღეს *(ხარებას, ე. ჭ.)* მოხსენებული და **მელქისედეკ კათალიკოსმა ეს დღე**, როდესაც არაბების შემდგომ ის უკვე შემობრუნდება აქეთ და უფრო მძლავრად მოქმედებს კათალიკოსის, საჭეთმპყრობელის ხელი აქ, **მან დაადგინა მცხეთის აღაპის დღედ ანუ მცხეთის მოხსენება** და **ამ დღეს იკურთხებოდა ხოლმე წესით**, ესე ქრისტიანობაში მთელი ქალაქი იკურთხება

და განიწმინდება და განემზადება დღეს უკვე ხვალინდელი აღდგომისთვის“ *(საზგასმები აქაც და ქვემოთაც ყველგან ჩვენია, ე. ჭ.).*

ერთადერთი აზრი, რაც ზემორე ციტატის რთული სინტაქსიდან შეიძლება გამოვიტანოთ, ისაა, რომ მელქისედეკ კათალიკოსს **ხარების დღესასწაული (25 მარტი)** დაუდგენია **მცხეთის აღაპის** ანუ **მცხეთის მოხსენიების**, იგივე **მცხეთის კურთხევის** დღედ.

ანალოგიური ტექსტი მრავალგზის გაჟღერდა ინტერნეტ-საიტებზე. მაგალითად:

„XI ს-ში წმიდა კათალიკოს-პატრიარქის **მელქისედეკ I-ის მიერ შედგენილი ანდერძის** მიხედვით, **«ხარებობას» დადგინდა** წმიდა დედაქალაქ მცხეთის დღესასწაული და კურთხევის დღე. **«დაუდევ ამა წმიდასა დედაქალაქსა აღაპი დღე ხარებაი»**, – **ვკითხულობთ მატიანეში**. უკვე სამი წელია **აღდგა ტრადიცია** და „ხარებობას“ მცხეთის კურთხევა ხდება“[1].

კიდევ:

„შაბათს მცხეთა იკურთხება. XI ს-ში წმიდა კათალიკოს-პატრიარქის **მელქისედეკ I-ის მიერ შედგენილი ანდერძის** მიხედვით, **«ხარებობას» დადგინდა** წმიდა დედაქალაქ მცხეთის დღესასწაული და კურთხევის დღე. უკვე სამი წელია **აღდგა ტრადიცია**“[2].

„XI ს-ში წმიდა კათალიკოს-პატრიარქის **მელქისედეკ I-ის მიერ შედგენილი ანდერძის** მიხედვით, **«ხარებობას» დადგინდა** წმიდა დედაქალაქ მცხეთის დღესასწაული და კურთხევის დღე“[3].

დ ა. შ.

აშკარაა, რომ ზემორე ინფორმაციათა ავტორები გაუთვითცნობიერებელნი არიან როგორც **ძველ ქართულ ენაში**, ასევე

---

1 *https://old.sololaki.ru/qhvela-siakhle/dghes-mtskhethas-akurthkheben.*

2 *http://www.pictograph.club/instagram/orthodoxnino/4835473082.*

3 *https://1tv.ge/news/mghvdelmsakhurebi-dghes-mckhetas-akurtkheben/.*

– საეკლესიო ტერმინოლოგიაში, კონკრეტულად კი – ტერმინ **«აღაპისა»** და, აგრეთვე, **იმ კონტექსტის**, შინაარსში, სადაც ეს ტერმინი თითქოსდა ზემორე გაგებით იხსენიება.

საკითხიდან რომ არ გადავუხვიოთ, მოცემულ შემთხვევაში ჩვენ არ შევუდგებით ტერმინ **«აღაპის»** ისტორიის განხილვას[1], აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ **წმ. მელქისედეკ I-ის დროს** *(და ბევრად ადრეც)*, **ყოველ ანდერძ-კოლოფონსა თუ სავედრებელში** ეს ტერმინი აღნიშნავდა *(და დღესაც აღნიშნავს)* არა ზოგადად მოსახსენებელს ან კურთხევას, არამედ – მხოლოდ და მხოლოდ **მი-ცვალებულის საუკუნო მოსახსენებელს კონკრეტულ დღეზე, შესაბამისი წირვა-ლოცვითა და ტრაპეზობით**, რაც ნიშნავს, რომ **«აღაპი» ესაა მიცვალებულის «სულის საოხი» ანუ «ცოდვათშესანდობელი მოხსენიების» დღე.**

კ. კეკელიძე მიუთითებს:

„აღაპი – მკვდრის მოსახსენებელი ტრაპეზი, უფრო ზუსტად, პურისჭამა. ლაოდიკიის კრების 28-ე კანონი და VI მსოფლიო კრების 74-ე კანონი, რომელსაც ბალსამონი განმარტავს იმ საღვთო განწესებულებად, რაც ძველად ღირსპატიოსან ქრისტიანთა მიერ განემზადებოდა საეკლესიო მსახურთა და გლახაკთათვის **გარდაცვლილთა ნეტარებით მოსახსენებლად**“ *(შდრ.* **აღაპი – поминальная трапеза ПО УМЕРШЕМЪ, точнѣе «пированіе».** 28 прав. Лаод. Собора и 74 прав. V! всел. Соб., которое Вальсамонъ толкуетъ въ смыслѣ духовнаго учрежденія, предлагаемаго въ древности въ притворѣ церкви служителямъ церковнымъ и нищимъ благочестивыми христіанами ***въ блаженное воспоминаніе УМЕРШИХЪ***[2]*)*.

ტერმინი **«აღაპი»** ლიტურგიკული შინაარსით არაერთ ძეგლშია დამოწმებული. ამ ძეგლებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას

---

1 კერძოდ, არ შევეხებით უადრეს პერიოდში მის განუყოფელ კავშირს ევქარისტიასთან.

2 Іерусалимский Канонарь VII века [Грузинская версия], Тифлисъ, 1912, с. 323-324.

იქცევს **1083 წლის «პეტრიწონის ტიპიკონი»**, რომელშიც დიდი დომესტიკოსი **გრიგოლ ბაკურიანისძე** მკაფიოდ აღწერს, თუ როგორ უნდა აღასრულონ მისი გარდაცვლილი ნათესავების და თვით მისი გარდაცვალების-შემდგომი **ხსენება და აღაპი**.

აღნიშნულ აღწერილობას, კერძოდ, შეიცავს ზემოხსენებული «ტიპიკონის» 21-ე თავი სახელწოდებით:

„მცნებაჲ ძმათა მიმართ თუ ვითარ ჯერ-არს ყოფად საჴსენებელი ჩემი და **მიცვალებულთა** ჩემთაჲ და **აღაპისა ქმნაჲ**[1] და საფასისა განყოფაჲ დღესა **ჴსენებისა ჩუენისასა** და წყალობისა ყოფად გლახაკთა მიმართ“[2].

აღაპის საკითხს გრიგოლ ბაკურიანისძე ეხება, აგრეთვე, «ტიპიკონის» ბოლოს, სადაც კონკრეტულად უთითებს, ერთი მხრივ, **მისი**, მეორე მხრივ კი **მისი ძმისა და მამის სააღაპე** **დღეებსა და დღესასწაულებს:**

„საჰსრად სულთა ჩუენთათჳს და ყოველთა მიცვალებულთა ჩუენთა ესრეთ ჰყოფდენ: **ხარებასა დღესა** ყოველთა **ჟამი ჩემთჳს წირონ**. მას დღესა ტრაპეზი დაეგოს უხუებით. გლახაკთა უღონოთა განეყოს დრაჰკანი ათი. და მღდელთა ჟამისმწირველთა ექუსთა ვითა ზემო დაგჳწერია და განგჳწესებიან. სამთა და სამთა თჳთო დრაჰკანი. **ქრისტეს შობად** ყოველთა

---

1 შდრ. თვით ტექსტში **«სიყუარულისა ქმნაჲ»**, *ა. შანიძე, თხზულებანი, IX, თბ. 1986, გვ. 98.*

2 ა. შანიძე, თხზულებანი, IX, თბ. 1986, გვ. 58. შდრ. ბერძნ. Κεφ. κα. Παραγγελία γενομένη παρ᾽ ημῶν πρὸς τοὺς ἀδελφοὺς περὶ μνημοσύνου ἐμοῦ τε καὶ τῶν προσηκόντων ἐμοί, καὶ περὶ ἀγάπης καὶ ἑστιάσεως αὐτοῖς γινομένης κατὰ τὴν ἡμέραν, ἐν ᾗ μνημονευόμεθα, καὶ περὶ διανομῆς χρυσίνων τοῖς ἐν Χριστῷ ἀδελφοῖς, καὶ περὶ τοῦ πᾶσαν ἐλεημοσύνην εις τούτους ένδείξασθαι, *Paul Gautier, Le typikon du sébaste Grégoire Pakourianos, In: Revue des études byzantines, tome 42, 1984, p. 97. შდრ. ფრანგ. თარგმ. Exhortation que j'adresse aux frères à propos de ma commémoraison et de celle des miens,* **du repas** *qui leur sera servi le jour de ma commémoraison, de la distribution de pièces aux frères dans le Christ et de l'extrême charité à leur témoigner, Ibid. p. 96.*

მღდელთა **ყამი ჩემთჳს წირონ**. მას დღესა ტაბლაჲ დაეგოს ბრწყინვალე. და გლახაკთა უღონოთა განეყოს დრაჰკანი ათი და ექუსთა ყამისმწირველთა მიეცეს დრაჰკანი ორი. **მიგებებად** ყოველთა მღდელთა **ყამი ჩემთჳს წირონ**. ტრაპეზი დაეგოს უხუებით მას დღესა და გლახაკთა განეყოს დრაჰკანი ათი და ექუსთა ხუცესთა მიეცეს დრაჰკანი ორი. **განცხადებად** ყოველთა მღდელთა **ყამი ჩემთჳს წირონ**. მას დღესა ტაბლაჲ დაეგოს ბრწყინვალე, გლახაკთა განეყოს დრაჰკანი ათი და ექუსთა ხუცესთა მიეცეს დრაჰკანი ბ. **ფერისცვალებად** ყოველთა მღდელთა **ყამი ჩემთჳს წირონ**. მას დღესა ტრაპეზი დაეგოს უხუებით და გლახაკთა განეყოს დრაჰკანი ათი და ხუცესთა ექუსთა მიეცეს დრაჰკანი ორი. **ბზობად** ყოველთა მღდელთა **ყამი ჩემთჳს წირონ**. მას დღესა ტაბლაჲ დაეგოს უხუებით გლახაკთა განეყოს დრაჰკანი ათი და ექუსთა ხუცესთა მიეცეს დრაჰკანი ორი. **ესე ექუსნი საუფლონი დღესასწაულნი** ჩემ **გრიგოლისთჳს**, ზემო-ჴსენებულისა ამის მონასტრისა მაშენებელისათჳს, **განმიჩენიან, რაჲთა ჩემთჳს ალაპსა ჰყოფდენ** ამით სახითა. და კუალად **ამასვე პირსა ზედა** განვაწესებ და დავამტკიცებ **სანატრელისა ძმისა ჩემისა აბაზ მაგისტროსისათჳს: დიდსა პარასკევსა** ტაბლაჲ დაეგოს ჯერისაებრ და გლახაკთა განეყოს დრაჰკანი ათი და დაღაცათუ მას დღესა ყამის-წირვაჲ არა აღესრულების, არამედ უსისხლოჲსა მის მსხუერპლისა განახლებაჲ იქმნების, ჯერ-არს რაჲთა ექუსთა ყამის-მწირველთა ორი დრაჰკანი მიეცეს. **დიდსა შაბათსა** მღდელთა ყამი **ძმისა ჩემისა აბაზისთჳს** წირონ. მას დღესა ტაბლაჲ დაეგოს უხუებით, გლახაკთა განეყოს დრაჰკანი ათი, ექუსთა ხუცესთა მიეცეს დრაჰკანი ორი. **ალვსებასა დღესა** ყოველთა მღდელთა **ყამი ძმისა ჩემისათჳს წირონ**, ტრაპეზი დაეგოს ბრწყინვალე, გლახაკთა განეყოს დრაჰკანი ათი, ექუსთა ხუცესთა დრაჰკანი ორი. **ამაღლებად** ყოველთა **ძმისა ჩემისათჳს წირონ**, ტრაპეზი

დაეგოს უხუებით, გლახაკთა განეყოს დრაჰკანი ათი, ყამის-მწირველთა დრაჰკანი ორი. **სულისა წმიდისა მოსლვად** ყოველთა **ძმისა ჩემისათჳს ყამი წირონ**, ტაბლად დაეგოს ბრწყინვალე, გლახაკთა განეყოს დრაჰკანი ათი, ექუსთა ხუცესთა დრაჰკანი ორი. **დიდი ხუთშაბათი** ზემო დაიწერა **სანატრელისა მამისა ჩუენისა ბაკურიანისათჳს** და ათი დრაჰკანი დაგჳწერია გასაყოფელად გლახაკთა. კუალად მუნითცა მიეცეს მღდელთა ყამის-მწირველთა ორი დრაჰკანი. და **მიცვალებასა წმიდისა ღმრთის-მშობელისასა**, რომელ არს **დღესასწაული წმიდისა ეკლესიისა ჩუენისად**, და **თავის-კუეთასა წმიდისა იოვანე ნათლის-მცემელისასა** და **გიორგი-წმიდობად** ძმათა მონასტრისათა განეყოს თორმეტ-თორმეტი დრაჰკანი. ამათ სამთავე დღესასწაულთა ოცდა ათექუსმეტი დრაჰკანი მონასტრისა ჩუენისა მონაზონთა განეყოს, ყამის-მწირველთა და ყოველთა ძმათა ერთობით სწორად: ათორმეტი **ღმრთისმშობლისა მიცვალებად**, ათორ-მეტი **თავის-კუეთად**, ათორმეტი **გიორგი-წმიდობად**. რად-მეთუ არს უწყებად: უკუეთუ **ხარებად დიდსა ხუთშაბათსა** მიჳუდეს, ექუსთა მღდელთა ყამისმწირველთა, — სამთა **მამისა ჩუენისათჳს** წირონ და **სამთა ჩემთჳს**, ხოლო მათი განწესებული არა დააკლდეს, არცა რომელ ვითარ გლახაკთათჳს განგჳწესებია თითოეულისა დღესასწაულისად, არამედ წარსაგებელი ყოველი განეყოს. ეგრეთ-ვე **დიდსა პარასკევსა** და **დიდსა შაბათსა** და **აღვსებასა** უკუეთუ **ხარებად** მიჳუდეს, ესრეთ ჰყოფდენ“[1].

---

1 *იქვე, გვ.* **121-122.** *შდრ. გრიგოლ ბაკურიანისძის ძმისადმი განკუთვნილი* **აღაპის** *აღწერილობა: „განვაწესეთ უკუე საჳსენებელი ნეტარისა და კეთილად-ჳსენებულისა* **ძმისა ჩემისა აბაზ მაგისტროსისად** *ყოფად* **დღესა, რომელსა შინა** *მიიცვალა* **იგი — თუესა სეკდენბერსა ოცსა,** *წმიდისა მოწამისა ევსტათის დღესასწაულსა, რადთა დაეგოს მას დღესა შინა* **ტაბლად ბრწყინვალე და შუენიერი** *და აღსავსე ყოვლითა კეთილითა,*

აღნიშნული ტექსტისადმი დართულ «ლექსიკონში» **ა. შანიძე** მიუთითებს:

„**აღაპი** (ἀγάπη) – **მკვდრის** სულის მოსახსენებლად დაგებული ტრაპეზი[1].

ასევე, «ქართლის ცხოვრების» სალექსიკონო დანართში **ს. ყაუხჩიშვილი** ერთმნიშვნელოვნად განმარტავს:

„**აღაპი** – «**მიცვალებულთა** მოსახსენებელი», *ბერძნ.* ἀγάπη“[2].

უფრო ადრე, XIX ს-ის მიწურულს, ცნობილი ლექსიკოგრაფი **დ. ჩუბინაშვილი** შენიშნავდა:

„**აღაპი** – **მოხსენება მიცვალებულთა** ლოცვა-წირვითა და პურითა, **поминки**. **აღაპი გაუჩინეთ** – мы назначили **день поминок**“[3] *(შდრ.* ***поминки****-ის განმარტება:* **Поминки, поминок – ქელეხი, აღაპი.** =справить п. по усопшему – **მიცვალებულთათვის აღაპის გადახდა**“*)*[4].

დავიმოწმებთ, აგრეთვე, ა. ***ნეიმანის*** *განმარტებას:*

„**აღაპი** – სულთაობა, მიცვალებულთა მოხსენება, მიცვალებულების დღე, ... **ქელეხი**“[5].

რომელიცა მოეცეს ღმერთსა. მწუხრსა სუან ძმათა ორ-ორი კრასაული: სამხრად ოთხ-ოთხი, და რაოდენნი ყამის-მწირველნი იყვნენ მღდელნი მონასტერსა შინა და გარე სოხასტერთა და სოფელთა შინა, მას დღესა **ყოველთა მისთჳს წირონ ყამი** *და მიეცეს მას დღესა გასაყოფელად გლახაკთა დრაჰკანი სამეოც და ათორმეტი: და შემდგომად ღამის-თევისა და ყამის-წირვისა კუალად განეყოს დრაჰკანი ოცდა ოთხი ძმათა მათ მოსრულთა დღესა ჴსენებისა მისისასა“, დასახ. გამოც. გვ.* ***98-99.***

1 *დასახ. გამოც, გვ.* ***141.***

2 *ა. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ.* ***1978,*** *გვ.* ***38.***

3 *დ. ჩუბინაშვილი, ქართ.-რუს. ლექსიკონი, თბ.* ***1984,*** *გვ.* ***60-61.***

4 *რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბ.* ***1983,*** *გვ.* ***536.***

5 *ა. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ.* ***1978,*** *გვ.* ***38.***

„**ქელეხი** – ჭირის პური, რიგი, რიგობა, სულის ახსნა, რიგის გადახდა, **ა ღ ა პ ი**“[1].

ამასვე ნიშნავს «**აღაპი**» წმ. გიორგი მთაწმინდელის მიერ თარგმნილ «დიდ სვინაქსარში» *(შდრ. გამოცემაზე დართული განმარტება:* „**აღაპი** (ἀγάπη) – სიყვარულის ტრაპეზი, **მ ი ც ვ ა ლ ე ბ უ ლ ი ს ს უ ლ ი ს მ ო ს ა ხ ს ე ნ ე ბ ლ ა დ** განკუთვნილი ლოცვა და პურისჭამა მონასტერში“*)*[2].

შდრ. აგრეთვე:

„მოსახსენიებელი ტრაპეზი (აღაპი, ქელეხი): **ტ რ ა პ ე ზ ზ ე გ ა ა რ დ ა ც ვ ლ ი ლ თ ა მ ო ხ ს ე ნ ი ე ბ ი ს კ ე თ ი ლ მ ს ა ხ უ რ ე ბ ი თ ი ჩ ვ ე უ ლ ე ბ ა** დიდი ხანია ცნობილია. ის ჯერ კიდევ წინასწარმეტყველ იერემიასთანაა აღწერილი, საიდანაც ცხადდება, რომ ძველ იუდეველებს ჩვეულებად ჰქონდათ «გარდაცვლილთა გამო სანუგეშოდ ... მათთვის პურის განტეხვა» *(იერემია, 16.7*[3]*)*“[4].

ტერმინ «**აღაპის**» ზემომითითებული ლიტურგიკული მნიშვნელობა, *როგორც* აღვნიშნეთ, მრავალი წყაროთია დამოწმებული.

მაგალითად «**იერუსალიმის სააღაპე წიგნში**» ვკითხულობთ:

„ეორციელისა კურიაკესა **წ ი რ ვ ა ჲ** და **ა ღ ა პ ი** და **პ ა ნ ა შ ჯ დ ი ს ა უ კ უ ნ ო ჲ გ რ ი გ ო ლ ი დ რ ა ნ დ ე ლ ი ს ა ჲ**“[5].

„ყველიერისა შაბათსა **წ ი რ ვ ა** და **ა ღ ა პ ი ბ ა რ ა თ ა ს, შ ე უ ნ დ ვ ე ნ ღ მ ე რ თ მ ა ნ**; სამშაბათსა **ა ღ ა პ ი მ ი ს ი ს ა ძ მ ი ს ა ს ა ღ ი რ ი ს ი, შ ე უ ნ დ ვ ე ნ ღ მ ე რ თ მ ა ნ**“[6].

---

1 *იქვე, გვ.* **486.**

2 *დიდი, სვინაქსარი, დასახ. გამოც, გვ.* **141.**

3 *შდრ. OJ:* „*და არა განტყდეს პური ეუეზაჲ გლოვასა შინა მათსა* **ნ უ გ ე შ ი ნ ი ს ს ა ც ე მ ე ლ ა დ მ კ უ დ ა რ თ ა ზ ე დ ა**“. *G:* „*და არცა განტყდეს პური გლოვასა შინა მათსა* **ნ უ გ ე შ ი ნ ი ს ს ა ც ე მ ე ლ ა დ მ კ უ დ ა რ ს ა ზ ე დ ა**“.

4 *დაკრძალვის მართლმადიდებლური წესი, http://www.orthodox.ge/index.php?id=biblioteka/dakrdzalvis cesi.php*

5 *ელენე მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.), თბილისი* **1962,** *გვ.* **72.**

6 *იქვე, გვ.* **72.**

„ყველიერისა შაბათსა **წირვაჲ** და **აღაპი** **საუკუნოჲ** და **პანაშჳდი** **საღირ** **გარეყანის** **ძისაჲ**, **შეუნდვენ** **ღმერთმან**“[1].

„თევდორობად **აღაპი** **კახას-შვილისა** **გამრეკლისა**, **შეუნდვენ** **ღმერთმან**“[2].

„პირველსა კურიაკესა წმიდათა მარხვათასა **წირვა** და **აღაპი** **საუკუნოჲ** და **პანაშჳდი** **აფრიდონის** **ძისა** **არსლანისი**, **შეუნდვენ** **ღმერთმან**“[3].

„**ვახტანგს** **აღაპი** ბზობისა დღესა, და ვინცა მოშალოს, რისხავმსცა ღმერთი და ყოველნი მისნი“[4].

„ახალკუირიაკისა სამშაფჲათსა **აღაპი** ვაცას ძისა შოთასი, **შეუნდვენ** **ღმერთმან**“[5].

და ა. შ. და ა. შ.

საგულისხმოა, რომ **«ᲐᲦᲐᲞᲘ»** ანუ იგივე **«ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲝ ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ»**, წესისამებრ, **სიცოცხლეშივე განესაზღვრებოდათ იმ პირებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი რამ ᲨᲔᲡᲬᲘᲠᲔᲡ ეკლესია-მონასტერს**.

ამიტომ განმარტავენ:

„**აღაპი** – *ბერძნულად „ძმური ტრაპეზი“*, I: **ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲬᲘᲠᲕᲔᲚᲗᲐ ᲐᲦᲛᲜᲣᲡᲮᲕᲔᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ**; II: იგივე **ქელეხი**“[6].

კიდევ:

„**აღაპი** – *ბერძნ.* I: წიგნი, სადაც აღნიშნულია **ეკლესიის ან მონასტრის შემომწირველთა სახელები**; I: იგივეა, რაც **ქელეხი**“[7].

---

1 იქვე, გვ. 72.

2 იქვე, გვ. 72.

3 იქვე, გვ. 72.

4 იქვე, გვ. 76.

5 იქვე, გვ. 77.

6 უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი, შეადგინა ა. ელერდაშვილმა, I გამოც. თბ. 2006: «აღაპი».

7 ისტორიულ ტერმინთა სასკოლო ლექსიკონი, ი. გეგეჭკორი, ნ. მოლაშვილი, თბ. 2008: «აღაპი».

ამასვე სწამებს ზემოხსენებული **«სააღაპე წიგნის»** შემდეგი უწყება:

„გაუჩინეთ ჩუენ, ჯუარისმამამან ნეოფიტემ, გიორგი ლიპარიტელსა და თანამეცხედრესა მისსა ნესტან-დარეჯანს ჭილაძის ასულსა **საუკუნოდ აღაპი** წმიდისა გიორგისა დღესასწაულსა, და ვინცა შესცვალოს რისხავსმცა ღმერთი და ყოველნი მისნი წმიდანი. სანწკუ[1] **შემოსწირა** და მისად სამუქფოდ[2] გაუჩინეთ **წირვა** და აღაპი, ქრონიკონსა ტკ“[3].

ვნახოთ, აგრეთვე, **«ნიკორწმინდის XI საუკუნის სიგელი»:**

„ნუშ[4] შემოსწირა კუბასტი ბერძული ... **აღაპი გარდაეჴდების სულისა წმიდისა მოფენასა;** წორბელმან **შემოსწირა** ზნაკუას გლეხი ბ და მიწანი და **მისთვის აღაპი გარდაიხდების ჯვრისა გამოჩინებასა.** ვარაზ-ვაჩე ქველაის ძემ **შემოსწირა** ძისა მისისათვის ფუთს გლეხი ბ **და აღაპი გარდაეხდების დღესა ახალკვირიაკესა:** წირქუალელისა ძემან **შემოსწირა** გლეხი ზ ... და ამისთვის **გარდაეხდების აღაპი დღე ფერისცვალება** და **საფლავთა მისთა ზედა დაგვიდგენია ჟამის მწირველი** ა“[5].

კიდევ, **საბას ტაძრის წარწერა:**

„ოქროპირმან **შემოვსწირე** ... გამიკუეთეს **საუკუნე აღაპი** საუფლო[სა] პირველს[ა] დღესასწაულსა – **აღვსებასა დღეს[ა]**“[6].

---

1 შენაწირი ადგილის სახელია.

2 ე. ი. სანაცვლო მისაგებელად, საშღაურად.

3 იქვე, გვ. 77.

4 შემომწირველის სახელია.

5 მ. ბერძენიშვილი, ნიკორწმინდის «დაწერილი», მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 34, თბ., 1962, გვ. 35. იხ. აგრეთვე, ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. III, თბ. 1970, გვ. 27.

6 ვ. ბერიძემ აღნიშნული ანდერძის ტექსტი გამოაქვეყნა თავის წიგნში «სამცხის ხუროთმოძღვრება XIII-XVI საუკუნეებისა, თბ.

ამრიგად, რადგან **ტერმინ «ალაპის» როგორც «საუკუნო მოსახსენებლის»** მნიშვნელობა **უაშკარესია** და **იგი, ცხადია, საკუთრივ გარდაცვლილობას ანუ საუკუნო განსვენებულობას უკავშირდება**, როგორ შე-

---

1950». *ამ პუბლიკაციას გამოეხმაურა კ. კეკელიძე, რომელიც შეეხო ზემორე ანდერძის ტექსტსაც და ცთომილებად მიიჩნია ვ. ბერიძის მიერ* ***«აღვსებად»*** *გახსნა ქარაგმისა* ***«აღ˜ბასა».*** *თავის მხრივ, კ. კეკელიძემ მართებულ ფორმად ივარაუდა სიტყვა* ***«აღებასა»****, ვინაიდან, მისი კატეგორიული მითითებით,* ***«აღვსების»*** ***დღეს*** *არ შეიძლებოდა* ***ალაპის განწესება*** *(შდრ. „აღვსების ან* ***აღდგომის*** *დღეს* ***ალაპს არ უჩენდნენ არავის“****, ეტიუდები X, თბ.* ***1968, გვ. 187).*** *საკვირველია როგორ დაუშვა ასეთი სერიოზული შეცდომა ძველი ქართული ფილოლოგიის ამ უდიდესმა კორიფემ, თუმცა საქმე რომ შეცდომასთან გვაქვს, ეს აშკარაა, ვინაიდან* ***«ალაპს»*** *უმეტესწილად სწორედ გამორჩეულ დღესასწაულებზე (მათ შორის,* ***აღვსების ანუ აღდგომის დღეზეც****) დებდნენ. მაგალითისთვის, ისევ დავიმოწმებთ კონკრეტულ ნიმუშებს იერუსალიმის ზემოხსენებული «სააღაპე წიგნიდან»:* **„დიდსა აღვსებასა წირვაᲘ და ალაპი საუკუნოᲘ გრიგოლ ფანასკერტელისაᲘ,** *შეუნდვენ ღმერთმან.* **ალვსებასა დღესა წირვა და ალაპი საუკუნო** *მა... [ხელნაწერი არ იკითხება, ე. ჭ.]* **შეუნდვნეს ღმერთმან“** *(ე. მეტრეველის დასახ. პუბლიკაცია, გვ.* ***73);*** **„ალდგომასა ალაპი ხალილისი,** *შეუნდვნეს ღმერთმან“ (იქვე. შდრ. აგრეთვე, ზემოთ გრიგოლ ბაკურიანისძის მიერ თავისი თავისთვის* ***ალაპის დადება ექვს საუფლო დღესასწაულზე).*** *რაც შეეხება ვ. ბერიძის მიერ დადგენილ ტექსტს, მასში ცთომილება სხვა მხრივაა. კერძოდ, უაღრესად მცდარია იოტიანი სიტყვა* ***«საუფლოᲘ»****, ვინაიდან ამ სახით იგი* ***«ალაპს»*** *უკავშირდება და გამოდის, რომ* ***«ალაპია» საუფლო,*** *მაშინ როცა ამ სიტყვაში იოტა უფუნქციოა ანუ საქმე გვაქვს* ***იოტა-მეტობის*** *ცნობილ შემთხვევასთან, რაც ნიშნავს, რომ ეს სიტყვა მხოლოდ და მხოლოდ* ***აღვსებას*** *ეხება, გრამატიკულად მისი* ***მსაზღვრელია*** *და გულისხმობს იმას, რომ* ***«აღვსებაა» «საუფლო პირველი დღესასწაული».***

იძლება ვიფიქროთ, რომ წმინდა მელქისედეკმა **მცხეთის «ალაპი»** ანუ **მცხეთის «ქელეხი»** დააწესა? **ნუთუ იგი მცხეთას იმ ცოდვილ მიცვალებულად მიიჩნევდა, რომელსაც «სულის საოხი» ანუ «ცოდვათშესანდობელი მოხსენიების» დღე სჭირდებოდა?** ანკი იმაზე უფრო შეუსაბამო რა უნდა იყოს, რომ ვისაუბროთ **ქალაქის თუ სოფლის** (*ე. ი. **რომელიმე ფიზიკური ადგილის***) **«აღაპის»** (გნებავთ **«საეკლესიო მოსახსენებლის»**) **დაწესებაზე**, მაშინ როცა **«აღაპიც»** და **«მოსახსენებელიც»**, ცხადია, **მხოლოდ პიროვნებისადმია** (ისიც **გარდაცვლილისადმი**), **რომ საუკუნო მეოხება** გაეწიოს მას ანუ **საუკუნოდ «საოხი» იყოს მისთვის?**

მაშ, რამ განაპირობა ესოდენ გაუგონარი და მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა წიაღისთვის ყოვლითურთ უცხო მოვლენისა თუ აზრის აღმოცენება?

მიზეზი მარტივია:

წმ. მელქისედეკის «ანდერძის» ვერგაგება, რისი სათავეც, როგორც აღვნიშნავდით, ძველ ქართულში გაუთვითცნობიერებლობაა.

აღვნიშნავთ, რომ საეკლესიო მწერლობის ერთ-ერთი დიდად ფასეული დოკუმენტი – **წმ. მელქისედეკ I-ის სახელგანთქმული «ანდერძი»**, რაც დღემდე **ექვსგზის** არის გამოცემული, შესაბამის მონაკვეთს, *სადაც ვითომცდა **«მცხეთის აღაპზეა»** უწყება,* **ექვსივე პუბლიკაციის მიხედვით**, ამგვარად წარმოგვიდგენს:

„დაუდევ **ამას წმიდასა დედაქალაქსა მიგან** აღაპი დღე ხარებაი“[1].

---

*1 იხ. ნ. ბერძენიშვილი, მცხეთის საბუთი XI საუკუნისა, საქართველოს მუზეუმის მოამბე, VI, ტფ. 1929-1930 წწ., გვ. 290. **აგრეთვე:** ქართული ისტორიული საბუთები – IX-XIII სს., შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს: თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ და ნ. შოშიაშვილმა, თბ. 1984, გვ. 26.; **აგრეთვე:** ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი.*

ეს ტექსტი ახალ ქართულად ნიშნავს:

„დავუწესე **ამ წმინდა დედაქალაქში** აღაპის დღედ ხარება“.

როგორც უცხადესად ვხედავთ, საუბარია **მცხეთაში აღაპის დაწესებაზე ხარება-დღეს** *(თუ **ვისი** აღაპისა, ქვემოთ ვნახავთ)* და არანაირად – **მცხეთის** **აღაპის დაწესებაზე ხარება-დღეს**.

ამჯერად ის მასობრივად გავრცელებული ტექსტი ვნახოთ, რაც საფუძველი გახდა მცდარი ინფორმაციისა «მცხეთის აღაპის» შესახებ და რაც ზემოდამოწმებული ინტერნეტ-საიტების ციტატებში უცვლელად მეორდება:

„დაუდევ **ამა წმიდასა დედაქალაქსა** აღაპი დღე ხარებაი“.

როგორც ვხედავთ, **«ანდერძის» ნამდვილი ტექსტიდან ამოღებულია** შინაარსობრივი თავალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე თანდებული «**შიგან**», რითაც დიამეტრულად იცვლება წინადადების აზრი და ვიღებთ **აბსოლუტურად ყალბ ტექსტს**, რაც თითქოსდა გვაუწყებს იმის შესახებ, რომ ხარება დღეს «აღაპის დადება» მომხდარა «წმიდა დედაქალაქის-თვის» ანუ მცხეთისთვის.

მაგრამ დავუბრუნდეთ «ანდერძის» **ნამდვილ ტექსტს** და ვიკითხოთ:

თუ ზემორე ციტატაში «აღაპის დადება» მცხეთას არ გულის-ხმობს, მაშ **ვისი «აღაპის დადებაზეა» საუბარი?**

აქ უკვე აშკარავდება **მეორე ცთომილება**, რაც ნიშნავს იმას, რომ **ხსენებული ციტატა ამოგლეჯილია ბუნებრივი კონტექსტიდან**, ისე თითქოს იგი აზრობრივად თვითკმარი იყოს.

სინამდვილეში აღნიშნული ციტატის სახით საქმე გვაქვს **არა დასრულებული აზრის მქონე წინადადებასთან**, არამედ **მხოლოდ წინმსწრები სიტყვების დამაბოლოებელ მონაკვეთთან,**

---

*დოლიძემ, თბ. **1970**, გვ. **22**; **აგრეთვე:** თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, თბ. **1892**, გვ. **185**; **აგრეთვე:** თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, თბ. **1892**, გვ. **33** (არ ვუთითებთ დ. ჩუბინაშვილის **1863** წ-ის გამოცემას, რისი მეცნიერული ღირებულებაც მეტად მცირეა).*

რისი შინაარსიც **მარტოოდენ მთლიან კონტექსტში** შეიმეცნება.

დავიმოწმებთ სრულ ტექსტს:.

„და ტაოს ვიყიდე **სოფელი «ზადკარეკი»** ხუთითა აგარაჲთა[1], და ძაღლისხევს ვიყიდე **სოფელი «ორთაჲ»** სამითა აგარაჲთა. ესე **ორნივე სოფელნი** მათითა აგარაჲთა **ძმათა ჩემთა განძითა ვიყიდენ** და **დაუდევ** ამას წმიდასა დედაქალაქსა **შიგან აღაპი** დღე ხარებაი“[2].

ამრიგად, როგორც აშკარაა, მელქისედეკს ორი სოფელი (კერძოდ, «**ზედკარეკი**» და «**ორთაი**») შეუსყიდია არა თავისი ხარჯით, არამედ – **თავისი ძმების განძით**, რის გამოც მას **თავისი ძმებისთვის**, როგორც **შემომწირველთათვის**, მცხეთაში ანუ წმინდა დედაქალაქში **ხარება-დღე** (25 **მარტი**) **დაუწესებია «აღაპად» ანუ «მათი საუკუნო ხსენების დღედ»**[3].

ესაა **ერთადერთი მნიშვნელობა** ზემორე ტექსტისა, რაც აქარწყლებს «მცხეთის აღაპის» შესახებ შექმნილ

---

1 ე. ი. ***მამულით.***

2 იხ. ნ. ბერძენიშვილი, დასახ. შრომა, გვ. ***290. აგრეთვე:*** *ქართული ისტორიული საბუთები, დასახ. შრომა, გვ.* ***26.; აგრეთვე:*** *ქართული სამართლის ძეგლები, დასახ. შრომა, გვ.* ***22; აგრეთვე:*** *თ. ჟორდანია, I, გვ.* ***185, II,*** *გვ.* ***33.***

*3 შდრ. ანალოგიური ანდერძი: „**აღაპი დიდს ხუთშაბათს** გარდაიჴდიდენ.* ***ასი მარჩილი მოგუცა.*** *და ვინც დააკლოს და არ გადაიხადოს, რისხავმსცა მამა, ძე და სული წმიდაჲ და ყოველნი წმიდანი ღმრთისანი. ამინ“ (იერუსალიმის საღაპე წიგნი, დასახ. გამოც. გვ.* ***76).*** *შდრ. აგრეთვე, ზემოდამოწმებული ანდერძი: „გაუჩინეთ ჩუენ, ჯუარისმამამან ნეოფიტემ, გიორგი ლიბარიტელსა და თანამეცხედრესა მისსა ნესტან-დარეჯანს ჭილაძის ასულსა* ***საუკუნოდ აღაპი*** *წმიდისა გიორგისა დღესასწაულსა, და ვინცა შესცვალოს რისხავსმცა ღმერთი და ყოველნი მისნი წმიდანი. სანწკუ (სოფლის სახელია, ე. ჭ.)* ***შემოსწირა*** *და მისად სამუქფოდ (ე. ი. სანაცვლო მისაგებელად, ე. ჭ.) გაუჩინეთ* ***წირვა*** *და* ***აღაპი,*** *ქრონიკონსა ტᲩ“ (იქვე, გვ.* ***77).***

ცთომილებას და წმინდა მელქისედეკს აბსოლუტურად ათავისუფლებს იმ უმძიმესი ბრალდებისგან, რომ თითქოს მას მცხეთა **გარდაცვლილად** შეურაცხავს და **ამ მარადცოცხალი ქალაქისთვის, როგორც მიცვალებულისთვის, ვითომცდა საუკუნო აღაპის დღე დაუდგენია.**

საგულისხმოა, რომ «ანდერძის» მომდევნო ნაწილში **წმ. მელქისედეკი,** *ზედმიწევნით იმავე კონტექსტით,* უკვე **თავისი თავისადმი «აღაპის» დადებაზეც** გვაუწყებს:

„ამას წმიდასა დედაქალაქსა მიგან დავიდევ აღაპი თუესა იანვარსა კდ, დღესასწაულსა ყოველთა წმიდათასა; ღამის-თევით და ჟამისწირვით აღესრულებოდის“[1].

შეუძლებელია აქ არ გაგვახსენდეს **გრიგოლ ბაკურიანისძის მიერ ᲐᲦᲐᲞᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲐ ᲯᲔᲠ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲫᲛᲘᲡ ᲐᲑᲐᲖ ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲝᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ** და **შემდეგ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ**. კვლავ დავიმოწმებთ შესაბამის უწყებას:

„მცნებაᲲ ძმათა მიმართ თუ ვითარ ჯერ-არს ყოფად **სავსენებელი ჩემი** და **მიცვალებულთა ჩემთაᲲ** და **ᲐᲦᲐᲞᲘᲡᲐ ᲥᲛᲜᲐᲲ**[2] და საფასისა განყოფაᲲ დღესა **ᲕᲡᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲩᲣᲔᲜᲘᲡᲐᲡᲐ** და წყალობისა ყოფად გლახაკთა მიმართ[3]. განვაწესეთ უკუე სავსენებელი ნეტარისა და კეთილად-ვსენებულისა **ᲫᲛᲘᲡᲐ ᲩᲔᲛᲘᲡᲐ ᲐᲑᲐᲖ ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲝᲡᲘᲡᲐᲲ** ყოფად **დღესა, რომელსა შინა მიიცვალა იგი – თუესა სეკდენბერსა ოცსა,** წმიდისა მოწამისა ევსტათის დღესასწაულსა[4]. ... **ᲩᲔᲛᲗᲕᲡ ᲐᲦᲐᲞᲡᲐ ᲰᲧᲝᲤᲓᲔᲜ** ამით სახითა, და კუალად ამასვე პირსა ზედა **განვაწესებ და დავამტკიცებ**

---

1 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. შრ. გვ. 292. აგრეთვე: ქართული ისტორიული საბუთები, დასახ. შრ. გვ. 28; ქართული სამართლის ძეგლები, დასახ. შრ. გვ. 24; თ. ჟორდანია, I, გვ. 187, II, გვ. 34.

2 კვლავ შდრ. თვით ტექსტში «სიყუარულისა ქმნაᲲ“, ა. შანიძე, თხზულებანი, IX, თბ. 1986, გვ. 98.

3 ა. შანიძე, თხზულებანი, IX, თბ. 1986, გვ. 58.

4 იქვე, გვ. 98-99.

[აღაპსა] **სანატრელისა ძმისა ჩემისა აბაგ მაგისტროსისათჳს**“[1].

და ბოლოს, **აბსოლუტურად უეჭველი დადასტურება** იმისა, რომ წმ. მელქისედეკი ზემომოტანილ ტექსტში საუბრობს **არა მცხეთისადმი**, არამედ **კონკრეტულად თავისი ძმებისადმი აღაპის დადების შესახებ**, ესაა ანდერძის დამაბოლოებელი ნაწილი, სადაც კიდევ ერთხელ (**მესამეგზის**) გვხვდება ტერმინი «**აღაპი**» *(სულ ეს სამი დამოწმებაა ამ ტერმინისა ხსენებულ ტექსტში)*, ოღონდ – არა ვინმე სხვის მიმართ, არამედ – **ზემოაღნიშნული ორი აღაპის შესახებ კვლავ საუწყებლად**.

მოვისმინოთ:

„და **რომელმან ქართლისა კათალიკოზმან**, გინა **რამანცა გუარმან კაცმან** შემდგომად ჩემსა და შემდგომითი-შემდგომად, ვირემდის[2] წმიდაჲ ესე დედაქალაქი ეგოს, ნაქმარი და **განწესებული ესე სულისა ჩემისათჳს შეცვალოს**, რომელ ზემოჲთგან ქუემომდენ დაგჳწერია, რასაცა ჟამსა რაჲსაცა მიზეზისა მოღებითა **აქციოს**[3] და ამა საკურთხეველსა და საფლავთა ჩემთა ხუცესი და ესე გასარომელი[4] მისი მოაკლოს, **ანუ აღაპი ჩემი და ძმათა ჩემთაჲ შეცვალოს – ჰრისხავსმცა** მამაჲ, ძე და სულიწმიდაჲ, და წმიდაჲ კათოლიკე ეკლესიაჲ, სუეტი-ცხოველი, ხატი ღმრთეებისაჲ, წმიდაჲ ღმრთისმშობელი, ძელი ცხორებისაჲ და წმიდანი ესე მარტჳლნი, და კიდემცა არს წესთაგან საეკლესიოთა და ნაწილიმცა მისი იუდას თანა არს, რომელმან განყიდა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, და და-მცაისჯების უარისმყოფელთა ღმრთისათა თანა. ესე ვითა ზემოჲ დამიწერია, ესე ქუემოჲთ ჴელითა ჩემითა

---

1 *იქვე, გვ.* **121-122.**

2 *ვიდრემდის, სანამ.*

3 *გადააკეთოს, გააყალბოს.*

4 *სარჩო, გასამრჯელო.*

დამიმტკიცებია. ვინ აქციოს[1], კრულია დაუსაბამოჲსა ღმრთისა პირითა, წმიდისა ღმრთისმშობელისა მადლითა, წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა მადლითა, წმიდათა მოციქულთა მადლითა და ყოველთა წმიდათა მადლითა; კრულმცა არს სულით და ჴორცით ორსავე ცხორებასა ამისი გამტეხელი, და ვინ დაამტკიცოს, **ჯუარი და კურთხევაჲ აქუს**"[2].

ვინაიდან მელქისედეკი **მხოლოდ ორ «აღაპს» ახსენებს («ᲐᲦᲐᲠᲘ ᲩᲔᲛᲘ** და **ᲫᲛᲐᲗᲐ ᲩᲔᲛᲗᲐᲨᲘ»)** და ვინაიდან «ანდერძის» წინა ნაწილშიც **მხოლოდ ორგზის** არის დამოწმებული **«აღაპი»**, რომელთაგან ერთი, *როგორც აღვნიშნეთ,* **ის აღაპია, რაც მელქისედეკს საკუთარი თავისადმი დაუდგენია** *(24 იანვარს),* უნათლესია და უაშკარესია, რომ **მეორე «ᲐᲦᲐᲠᲘ»** *(ხარება დღეს)* **ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲛᲘᲡ ᲫᲛᲔᲑᲡ ᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲔᲑᲐ**.

და რა გამოდის?

მიუხედავად იმისა, რომ წმ. მელქისედეკ კათოლიკოსმა **ესოდენ საზარელი შემრისხველობითა და უმძიმესზე უმძიმესი დაწყევლით** წინდაწინ **ᲓᲐᲒᲐᲛᲝ** ყველა ის პირი, ვინც **შეცვლიდა მისი ანდერძის რომელიმე განაწესს**, მათ შორის, უმკვეთრესი ხაზგასმით – **«მისი და მისი ძმების აღაპს»** (*კვლავ შდრ.* „*რომელმან ქართლისა კათალიკოზმან, გინა რამანცა გუარმან კაცმან შემდგომად ჩემსა* ... **ᲐᲦᲐᲠᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲓᲐ ᲫᲛᲐᲗᲐ**

---

1 *გადააკეთოს, გააყალბოს.*

2 *ნ. ბერძენიშვილი, დასახ. შრომა, გვ.* **292.** ***აგრეთვე:*** *ქართული ისტორიული საბუთები, დასახ. შრომა, გვ.* **28.;** ***აგრეთვე:*** *ქართული სამართლის ძეგლები, დასახ. შრომა, გვ.* **24;** ***აგრეთვე:*** *თ. ჟორდანია,* **I,** *გვ.* **187, II,** *გვ.* **34-35.** *შდრ. წმ. გიორგი მთაწმინდელის ანდერძი «ფსალმუნთა" მისეული თარგმანზე:* „*უკუეთუ ვინმე* ... *ქართულთა დავითთა დაიწერდეს,* **ჯუარი აქუს და კურთხევაჲ**! *რომელმან კულა ჩუენი დავითი ზეპირით იძალოს, გინა ესე მრავლითა სისხლითა თარგმნილი წინა დაიდვას და დავითისა რყუნად და ზე-ქუე* **ქცევად** *დაუწყოს,* **საშჯელი მოჰვადენ ღმერთმან დღესა მას საშინელისა საშჯელისასა**!" *(ფსალმუნნი, მზ. შანიძის გამოც. თბ.* **1960,** *გვ.* **027).**

ჩემთაც შეცვალოს“), არათუ ეს არ იქნა დაცული, არამედ, პირიქით, მოხდა **კარდინალური შეცვლა ანდერძისა**, კერძოდ, **სრული უგულებელყოფა მელქისედეკის ძმების აღაპისა**[1] და, სანაცვლოდ, შემოტანა **გაუგონარი მკრეხელობისა – «მცხეთის აღაპისა»**.

ამრიგად, იმ მიზნით, რომ ზემორე თავზარდამცემი წყევლის მოქმედება გაუქმდეს და მას შეენაცვლოს **«ჯუარი და კურთხევაᲘ»**, აუცილებელია, *ღრმა სინანულთან ერთად,* **დაუყოვნებლივ აღდგეს ხარება-დღეს მელქისედეკისგან ნაანდერძევი აღაპი მისი ხორციელი ძმებისა.**

Edisher Chelidze

Concerning the Will of st. Melchisedek Catholicos-Patriarch and the so called «agape [funeral feast] of Mcheta»

The present research aims at correcting the text of the will of well-known **Catholicos-Patriarch of Georgia st. Melchidedek I.** This correction bears importance for understanding the real purpose of the will.

---

1 *რაც შეეხება საკუთრივ* ***მელქისედეკის აღაპს,*** *რადგან ეს მოღვაწე წმინდანია და ცათა შინა მკვიდრობს,* ***მის სულს საა-ღაპე შეწევნა აღარ სჭირდება,*** *რაც ნიშნავს, რომ* ***მისი აღაპი აღ-სრულებულია.***

დეკანოზი ბიძინა გუნია

კომენტარები საპასექო თხზულების «საუკუნო კალენდრის» ფრაგმენტებზე

1880 წელს, თბილისში, მელიქიშვილის სტამბაში დაიბეჭდა, საპასექო გამოთვლების ამსახველი ბროშურა სათაურით - **„საუკუნო კალენდარი“**. ამ გამოცემის ყდაზე გამოსახულია მარჯვენა ხელის მტევანი (ხელისგულით წინ), რომელზეც ნეკა თითიდან ცერისკენ იკითხება წარწერა - **„ჴელთა“**. ხელის მტევნის ქვემოთ მითითებულია, რომ აღნიშნული ბროშურა „შედგენილი და პირველად გამოცემულია ტფილისის კალოუბნის ეკლესიის მღვდლის გაბრიელ სოფრომაძისაგან“, რასაც ერთვის ეპიგრაფი: „თუმცა მშრომელი მოკვდების, ნაშრომი ხსოვნად დაშთების“.

აღნიშნული ნაშრომი მეცნიერული ღირებულების მქონეა და ორიგინალობის გამო მისი შესწავლა საყურადღებოდ გვესახება. მასში, პასქალურ-კალენდარული მახასიათებლების დადგენისას, ორივე ხელის მტევნის თითის ფალანგებით ათვლის ხერხია მოცემული.

თავდაპირველად „საუკუნო კალენდარის“ ტექსტს ფრაგმენტებად დავყოფთ და დავნომრავთ, რათა გაგვიადვილდეს სხვადასხვა პასქალურ-კალენდარულ მახასიათებლებს შორის აზრობრივი კავშირის წარმოჩენა. ასევე, ბუნდოვანების თავიდან აცილების მიზნით, წინსწრებად იმასაც ვიტყვით, რომ ბროშურაში საპასექო გამოთვლათა

ამსახველი ტექსტი ლოგიკურად შეუსაბამო თანმიმდევ-რობითაა წარმოდგენილი, რის გამოც დანომრილ ფრაგმენტებს განსხვავებული რიგითობით განვიხილავთ, ხოლო მათი იდენტიფიკაციის მიზნით, ყოველ მათგანთან ფრჩხილებში მივუთითებთ თავდაპირველად განჩინებულ ნომერს.

შენიშვნა: წინამდებარე სტატიაში „საუკუნო კალენდარში“ მოცემული „დიდი ტაბლიცის“ მონაცემების განხილვისაგან თავი შევიკავეთ (ერთი სტატიის ფარგლებში) მისი დიდი მოცულობის გამო.

მეტი სიცხადისათვის დამატებით იმასაც დავძენთ, რომ თუ საპასექო გამოთვლებში ნაკლებად გაცნობიერებული პიროვნება შეეცდება „საუკუნო კალენდარის“ მონაცემებზე დაყრდნობით აღდგომის დღის თარიღის დადგენას-თან დაკავშირებული გამოთვლების არსში წვდომას, მას ეს ერთობ გაუჭირდება. საქმე ისაა, რომ ნაშრომი არ შეიცავს მწყობრ სწავლებას პასქალიონთან დაკავშირებით. ამ თვალსაზრისით, „საუკუნო კალენდარის~ მონაცემები აისბერგის წვერს შეიძლება შევადაროთ, ხოლო მის უხილავ ნაწილში კი საპასექო გამოთვლათა თეორიული ასპექტები ვიგულისხმოთ, რაც ნათლად წარმოუჩენდა მკითხველს წარმოდგენილ გამოთვლებსა და მის თეორიულ წანამძღვრებს შორის არსებულ ლოგიკურ კავშირს.

ჩვენს სტატიაში, შეძლებისდაგვარად, ფრაგმენტების შინაარსის განხილვის გარდა, სწორედ ამ ამოცანის გადაჭრას ვისახავთ მიზნად.

I. „საუკუნო კალენდრის“ ტექსტი

ფრაგმენტი 1.

ჴელთა ესე ანუ საუკუნო კალენდარი არის შემდგარი მთვარის და მზის მოქცევითა, გინა ბრუნვითა, ვინაიდგან მთვარე ბრუნავს ცხრამეტ-სა წელსა შინა და მზე ოცდარვა წელსა შინა, როდესაც მთვარის მოქცევის **19** წელთა განვამრავლებთ მზის მოქცევის **28** წლითა მაშინ შესდგების **ᲥᲝᲠᲝᲜᲘᲙᲝᲜᲘ** ესე: ხუთასოცდათორმეტი წელიწადი, რომელთა რიცხვთა შინაცა მოიქცევიან ყოველნი ციურნი პლანეტნი, ხოლო როდესაც შესრულდება **532** წელიწადი, მაშინ

ყოველნი ციურნი პლანეტნი მოიქცევიან და მოვლენ თვისთავე ადგილთა, რომელთა ადგილთა ზედაცა სხდნენ პირველსა ინდიკტიონსა, ანუ დაწყებასა ქორონიკონისასა; მაშასადამე ისევ თავიდგანვე იწყების აღრიცხვა.

ფრაგმენტი 2. სწავლა მზის მოქცევისა არის სამგვარი: **1** მცხრალის წლისათვის **2** ნაკისათვის და **3** საზოგადო ჭელთა ზედან.

ფრაგმენტი 3. რადგანაც უსაჭიროეს არს საზოგადო სწავლა მზის მოქცევისა, ამისათვის ვიწყოთ ჭელითგან და ორი იგი დაუტეოთ.

ფრაგმენტი 4. სწავლა მზის მოქცევისა საზოგადო ჭელთა ზედან ესრეთ ჯერ არს: **1, 2, 3, 4, 5, 6, 7**, შვიდეული ესე ჭელთა ზედან ისწავლების, რაისათვისცა ჭელთად იწოდების. შვიდეული ესე უნდა შეჰქმნათ ოცდარვა რიცხვად, ვითარცა მზის მოქცევი.

ფრაგმენტი 5. უწყოდეთ, რომელ სათვალავი ესე შვიდზედ ზევით არ განი-წევს, არამედ ისევ თავიდგანვე იწყების, ამისათვის რომელ კვირიაკესა აქვს შვიდი დღე და ამა შვიდეულითა მოიპოვების თვეთა დადეგი დღე რომელსა დღესა-ცა რომელი თვე დადგების.

ფრაგმენტი 6. ჯერ არს, რათა გონება თქვენი სიბრძნით აგანამხედველოთ ნაკის წელიწადისათვის, რამეთუ, ვინაიდგან ერთი წელიწადი შეიცავს თვის შორის სამას სამოცდა ხუთსა დღესა და ექვსსა ჟამსა, ანუ საათსა. ნაკი წელიწადი ყოველთვის მეოთხე წელს მოვალს, ოთხჯერ ექვსი ჟამი შეადგენს ოცდა ოთხსა ჟამსა, მაშასადამე მეოთხე წელიწადსა მოემატების ერთი დღე ღამე, რომელიც იქმნების ნაკი და შეიცავს თვის შორის სამას სამოცდა ექვსსა დღესა.

ფრაგმენტი 7. აღრიცხვა ჭელთისა ესრეთ ჯერ არს: ერთი, ორი, სამი, (ოთხი დაუტევეთ) და სამსა ზედან მიათვალეთ, ანუ მოაბით ხუთი, მერმე ექვსი, შვიდი, ერთი (ორი დაუტევეთ) სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი (შვიდი დაუტევეთ) ერთი, ორი, სამი, ოთხი (ხუთი დაუტევეთ) ექვსი, შვიდი, ერთი, ორი (სამი დაუტევეთ), ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი (ერთი დაუტევეთ) ორი, სამი, ოთხი, ხუთი (ექვსი დაუ-ტევეთ) და შვიდი.

ფრაგმენტი 8. რომელსა ენებოს კეთილსა და გულის ხმიერსა მოსწავლე-სა ჭელთის ზეპირად დასწავლა, უნდა იწყოს აღრიცხვა მარცხენის ჭელის ცე-რის შემდეგის თითის ძირიდგან, ყოველსა თითსა აქვს ოთხი ნიშანი, მარცხენის ჭელისა ოთხის თითისა ოთხ-

ოთხი ნიშანი შეადგენს თექვსმეტსა რიცხვსა, მეჩ-ვიდმეტე რიცხვი გარდაიტანების მარჯვენა ჭელზედა და იწყების აღრიცხვა ნე-კის ძირიდგან და აღირიცხვების ვიდრე მესამე თითის წვერამდისინა. ამ სამის თითის ოთხ-ოთხი ნიშანი შეადგენს თორმეტსა რიცხვსა, მარცხენის ჭელისაც ზემოთ ნაჩვენები თექვსმეტი ზედ მივათვალოთ, შესრულდების **28** მზის მოქცევი. მაგალითებრ:



ფრაგმენტი 9. ხელთა ესე, ანუ შვიდეული თითის ძირიდგან ამისათვის იწყების, რომელ სამი წელიწადი სწორეთ ვალს და მეოთხე ნაკია, რომელიცა ერთ დღეს წარიმატებს და ყოველი თითის მწვერვალი მეოთხე ნიშანს შეადგენს სა-დაც დაემთხვევის ნაკი, ხოლო ესეცა უნდა უწყოდეთ, რომელ ყოველი თვითო ნაშანი ანუ რიცხვი ამ შვიდეულისა ითვლების ერთ მრთელ წლად, რომელიცა იწყების მარტის თვის პირველიდგან ვიდრე მომავალის წლის მარტის დადეგამდისინა.

ფრაგმენტი 10. უკეთუ ამა შვიდეულის რიგი შაგეშალოსთ იპყართ დასაბამითგან წელნი იმ წლამდე, რომელშიაც სდგეხართ და ოცდა რვეულად გამო-რიცხეთ, ანუ **28**-თა არიფმეტიკულად გაყავით, რომელი რიცხვიცა ოცდარვაზედ ნაკლები დაგრჩეთ, იწყეთ აღრიცხვა მარცხენის ხელის ცერის შემდეგის თითის ძირიდგან და სადა დასრულდეს მზის მოქცევი, იგი რიცხვი არს ხელთა მის წლისა, მას რიცხვსა ზედან დაუმატეთ თვეთა საძიებელი, მაგალითებრ: უკეთუ ეძიებდეთ მარტის დადეგსა რომელსა დღესაც დადგება, აიღეთ იმ წლის ჭელთა და მას ზედა მიათვალეთ მარტის საძიებელი ხუთი, უკეთუ შესდგეს ექვსი, მაშინ მარტი დადგება პარასკეობითა, უკეთუ შესდგეს შვიდი მაშინ მარტი დადგება შაბათობითა, უკეთუ შვიდზედ

მეტი შესდგეს მაშინ იქიდგან შვიდი გამორიცხეთ, უკეთუ დარჩეს ერთი მაშინ მარტი დადგება კვირაობითა, უკეთუ დარჩეს ორი მა-შინ დადგება ორშაბათობითა, უკეთუ სამი დარჩეს მაშინ სამშაბათობითა, უკეთუ ოთხი, მაშინ ოთხშაბათობითა და უკეთუ დარჩეს ხუთი მაშინ მარტი დადგება ხუთშაბათობითა. ეგრეთვე სხვა თვების საძიებლები დაუმატეთ ანუ მიათვალეთ ჴელთსა და რაც შესდგეს მას დღეს დადგეს ის თვე რომელიც თვისაც საძიებე-ლი მიათვალეთ ხელთასა. ამითი მოიპოების ყოველი თვეთა დადეგი და ეგრეთ-ვე ყოველივე დღესასწაულიცა, რომელსა დღესაცა დაემთხვევის.

ფრაგმენტი 11. თვეთა საძიებელნი ესენი არიან: მარტსა აქვს ხუთი (5); აპ-რილსა აქვს ერთი (1); მაისსა აქვს სამი (3); ივნისსა აქვს ექვსი (6); ივლისსა აქვს ერთი (1); აგვისტოს აქვს ოთხი (4); სეკტემბერსა აქვს შვიდი (7); ოკტომბერსა აქვს ორი (2); ნოემბერსა აქვს ხუთი (5); დეკემბერსა აქვს შვიდი (7); იანვარსა აქვს ორი (2); და ფებერვალსაცა აქვს ხუთი (5).

ფრაგმენტი 12. რასაკვირველია საჭიროდ არს რათა უწყოდეთ რომელსა თვესაცა რავდენი დღე აქვს. მაგალითებრ: მარტსა აქვს 31 დღე, აპრილსა 30, მაისსა 31, ივნისსა 30, ივლისსა 31, აგვისტოსა 31, სეკტემბერსა 30, ოკტომბერსა 31, ნოემბერსა 30, დეკემბერსა 31, იანვარსა 31, ხოლო ფებერვალსა სამ წელსა აქვს 28 დღე და მეოთხესა წელსა 29, რომელიცა იქმნების ნაკი.

ფრაგმენტი 13. უკეთუ გსურდესთ მოპოება ნაკის წლისა, შეადგინეთ და-საბამიდგან სოფლისა წელნი ვიდრე მდგომიარე წლამდე და ის შემდგარი მრთელი რიცხვი გაყავით არიფმეტიკულად ორითა (2), უკეთუ ბოლოს დარჩეს რიცხვი, რომელიც ორითა აღარ განიყოფება მაშინ ის წელიწადი არის მცხრალი და არა ნაკი, ხოლო უკეთუ მრთელი რიცხვი სრულებით განიყოფება ორითა და ბოლოს აღარა დარჩებარა, მაშინ სცანთ რომელ იგი წელიწადი არის ნაკი.

ფრაგმენტი 14. მოპოვება თვეთა დადეგის დღისა ჴელთათი და თვის საძიებელითა განიწევს ოცდა რვა წელიწადსა და შემდეგ ისევ თავიდგანვე იწყე-ბის, ვინაიდგან ჴელთა არის შემდგარი მზის მოქცევის ოცდა რვა რიცხვითა, როგორათაც არის ზემოთ ნაჩვენები; ამის გამო საჭიროდ ვსცანი აღწერვა ამა ქვემოთ ნაჩვენების საზოგადო თვეთა დადეგის საძიებელის ტაბლიცისა. მაგა-ლითებრ:

ფრაგმენტი 15.ტაბლიცა მაჩვენებელი საუკუნოდ რომელ დღეს რომელი თვე დადგების

ხელთა	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	ავგისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მზის მოქცევა Mm	სადაც ნაკია
1 (ა)	ვ	ბ	დ	ზ	ბ	ე	ა	გ	ვ	ა	გ	ვ	1	
2 (ბ)	ზ	გ	ე	ა	გ	ვ	ბ	დ	ზ	ბ	დ	ზ	2	
3 (გ)	ა	დ	ვ	ბ	დ	ზ	გ	ე	ა	გ	ე	ა	3	
5 (ე)	გ	ვ	ა	დ	ვ	ბ	ე	ზ	გ	ე	ზ	გ	4	ნაკი
6 (ვ)	დ	ზ	ბ	ე	ზ	გ	ვ	ა	დ	ვ	ა	დ	5	
7 (ზ)	ე	ა	გ	ვ	ა	დ	ზ	ბ	ე	ზ	ბ	ე	6	
1 (ა)	ვ	ბ	დ	ზ	ბ	ე	ა	გ	ვ	ა	გ	ვ	7	
3 (გ)	ა	დ	ვ	ბ	დ	ზ	გ	ე	ა	გ	ე	ა	8	ნაკი
4 (დ)	ბ	ე	ზ	გ	ე	ა	დ	ვ	ბ	დ	ვ	ბ	9	
5 (ე)	გ	ვ	ა	დ	ვ	ბ	ე	ზ	გ	ე	ზ	გ	10	
6 (ვ)	დ	ზ	ბ	ე	ზ	გ	ვ	ა	დ	ვ	ა	დ	11	
1 (ა)	ვ	ბ	დ	ზ	ბ	ე	ა	გ	ვ	ა	გ	ვ	12	ნაკი
2 (ბ)	ზ	გ	ე	ა	გ	ვ	ბ	დ	ზ	ბ	დ	ზ	13	
3 (გ)	ა	დ	ვ	ბ	დ	ზ	გ	ე	ა	გ	ე	ა	14	
4 (დ)	ბ	ე	ზ	გ	ე	ა	დ	ვ	ბ	დ	ვ	ბ	15	
6 (ვ)	დ	ზ	ბ	ე	ზ	გ	ვ	ა	დ	ვ	ა	დ	16	ნაკი
7 (ზ)	ე	ა	გ	ვ	ა	დ	ზ	ბ	ე	ზ	ბ	ე	17	
1 (ა)	ვ	ბ	დ	ზ	ბ	ე	ა	გ	ვ	ა	გ	ვ	18	
2 (ბ)	ზ	გ	ე	ა	გ	ვ	ბ	დ	ზ	ბ	დ	ზ	19	
4 (დ)	ბ	ე	ზ	გ	ე	ა	დ	ვ	ბ	დ	ვ	ბ	20	ნაკი
5 (ე)	გ	ვ	ა	დ	ვ	ბ	ე	ზ	გ	ე	ზ	გ	21	
6 (ვ)	დ	ზ	ბ	ე	ზ	გ	ვ	ა	დ	ვ	ა	დ	22	
7 (ზ)	ე	ა	გ	ვ	ა	დ	ზ	ბ	ე	ზ	ბ	ე	23	
2 (ბ)	ზ	გ	ე	ა	გ	ვ	ბ	დ	ზ	ბ	დ	ზ	24	ნაკი
3 (გ)	ა	დ	ვ	ბ	დ	ზ	გ	ე	ა	გ	ე	ა	25	
4 (დ)	ბ	ე	ზ	გ	ე	ა	დ	ვ	ბ	დ	ვ	ბ	26	
5 (ე)	გ	ვ	ა	დ	ვ	ბ	ე	ზ	გ	ე	ზ	გ	27	
7 (ზ)	ე	ა	გ	ვ	ა	დ	ზ	ბ	ე	ზ	ბ	ე	28	ნაკი
თვეთა	5	1	3	6	1	4	7	2	5	7	2	5	საძიებ.	

ამ ტაბლიცაში და ეგრეთვე შემდეგ დიდს ტაბლიცაშიაცა მსხდომარე ასოები ნიშნამენ: **ა**) კვირა დღესა, **ბ**) ორშაბათსა, **გ**) სამშაბათსა, **დ**) ოთხშაბათსა, **ე**) ხუთშაბათსა, **ვ**) პარასკევსა და **ზ**) შაბათსა.

ფრაგმენტი 16. სწავლა **მთვარის მოქცევისა** არის ორგვარი ხელსა ზედა აღრიცხვით თვინიერ საძიებელისა და აღწერვითა თა-

ვისის საძიებელითა. რადგანაც ესე მეორე უსაჭიროესარს თვისის საძიებელითურთ ამისათვის ვიწყოთ ამ გვარად და ჴელთა ზედან დაუტეოთ, მაგალითებრ: ერთი და ორი, ორი და ოცდა ორი, სამი და ათი, ოთხი და ოცდა ათი, ხუთი და თვრამეტი, ექვსი და შვიდი, შვიდი და ოცდა შვიდი, რვა და თხუთმეტი, ცხრა და ოთხი, ათი და ოცდა ოთხი, თერთმეტი და თორმეტი, თორმეტი და ერთი, ცა-მეტი და ოცდა ერთი, თოთხმეტი და ცხრა, თხუთმეტი და ოცდა ცხრა, თექვსმეტი და ჩვიდმეტი, ჩვიდმეტი და ხუთი, თვრამეტი და ოცდა ხუთი, ცხრამეტი და ცამეტი.

1 და **2.**
2 და **22.**
3 და **10.**
4 და **30.**
5 და **18.**
6 და **7.**
7 და **27.**
8 და **15.**
9 და **4.**
10 და **24.**
11 და **12.**
12 და **1.**
13 და **21.**
14 და **9.**
15 და **29.**
16 და **17.**
17 და **5.**
18 და **25.**
19 და **13.**

ფრაგმენტი 17. ამ აღრიცხვასა შინა პირველი ანუ წინათი რიცხვები არიან მეძიებელნი მეორეთა ანუ შემდეგთა რიცხვთა. პირველი იწოდების ათ-ცხრამეტურად, ხოლო მეორე ათცამეტურად. ამა შემდეგთა რიცხვებთა შინა, რომელნი რიცხვნიცა არიან ოცზედა მეტნი, მას რიცხვებითა. პასექი მოვალს მარტის თვეშია, ხოლო რომელნი რიცხვებიც არიან ოცზედა ნაკლებნი, მაშინ მის რიცხვებითა

პასექი მოვალს აპრილის თვეშია. მაგალითებრ: მარტის სათვალავნი ესენი არიან: **22; 30; 27; 24; 21; 29; 25;** ხოლო აპრილის სათვალავნი ესენი არიან: **2; 10; 18; 7; 15; 4; 12; 1; 9; 17; 5; 13.**

ფრაგმენტი 18. სწავლა პასექისა, ანუ წმიდა აღდგომის დღის მოპოებისა ესრეთ ჯერ არს: პირველად მოიპოვეთ ათ-ცამეტური ამ გვარად: შეადგინეთ დასაბამიდგან სოფლისა წელნი ვიდრე მდგომიარეს წლადმდე და ის შემდგარი მრთელი რიცხვი გაყავით არიფმეტიკულად ცხრამეტითა **(19)** და რაოდენიც რი-ცხვი ბოლოს დაგრჩეთ ჩამოთვალეთ თავიდგან ზემოთ ნაჩვენები ათცამეტური და რომელსა ათცამეტურზედ გათავდეს თქვენი ბოლოს დარჩომილი რიცხვი, ის იქმნება იმ წლის ათ-ცხრამეტური. უკეთუ იყოს თქვენსგნით მოპოებული ათ-ცამეტური ოცზედ მეტი მაშინ სცანთ რომელ იგი არს მარტის თვის სათვალავი. შემდეგ ამისა მოიპოვეთ ჴელთათი და თვის საძიებელითა მარტის თვის დადეგი დღე და იმ მოპოებულის დღიდგანა დასთვალეთ მარტის დღეები ვიდრემდისინ ათ-ცხრამეტურზედ მიხვიდოდეთ და რომელს დღეზედაც ათ-ცხრამეტური დას-რულდეს იგი დღე იქმნება ურიათ პასექი და იმ დღიდგან მომავალი კვირა დღე იქმნება ყოველთვის აუცილებლივ ჩვენი წმიდა აღდგომა.

ფრაგმენტი 19. უკეთუ ათ-ცამეტური იყოს ოცზედ ნაკლები, მაშინ სცანთ, რომელ იგი არს სათვალავი აპრილის თვისა, რა საკვირველია აქ მოიპოებთ ჴელთათი და თვის საძიებელითა აპრილის დადეგის დღესა და იმ დღიდგან დას-თვლით დღეებსა ვიდრემდის ათ-ცამეტურის რიცხვი შესრულდებოდეს და რომელს დღეზედაც ათ-ცამეტურის რიცხვი დასრულდება იგი დღე არს ურიათ პასექი და იმ დღიდგან მომავალი კვირა დღე მარადის იქმნების ჩვენი წმიდა აღდგომა. მაგალითებრ: ამა **1879** წელსა დასაბამიდგან სოფლისა წელნი ამ მდგომიარეს წლადმდე რომ გავყოთ მთვარის მოქცევითა **(19-თა)** ბოლოს დაგვრჩება **15**, ეს იქ-მნება მეძიებელი ცამეტეულისა ანუ ზემოთ ნაჩვენების შემდეგისა და ამ თხუთ-მეტამდინ რომ ათ-ცამეტური ჩამოვთვალოთ თავიდგანა დაგვიხვდება **29**. მაშა-სადამე ამ მდგომიარეს წელს ათ-ცამეტური გვაქვს **29**. რასაკვირველია როგორც ზემოთ განვმარტე ეს **29** იქმნება მარტის თვის სათვალავი, რადგანაც ოცზედ მე-ტია. ეხლა მოიპოვეთ მარტის დადეგის დღე ამ გვარად: ამ წელს ჴელთა გვაქვს **7** მარტის თვესაცა აქვს საძიებელი **5**. ეს

ორი 7 და 5 შესდგების 12, აქედგან გა-მოვრიცხოთ 7, (რადგანაც მრთელ კვირას აქვს მხოლოთ 7 დღე) დაგვრჩება ისევ 5 მაშასადამე ამ წელს მარტი დადგება ხუთშაბათობითა. ახლა ამ ხუთშაბათიდგან დავთვალოთ დღეები ვიდრე 29 ათ-ცამეტურამდე, სწორეთ დაგვხვდება დიდი ხუთშაბათი ვნების კვირიაკისა, რომელი დღეც იქმნების ურიათ პასექი და ამ ხუთშაბათიდგან მომავალი კვირა დღე არის ჩვენი წმიდა აღდგომა. ამ მარტის 29 მოვიდა ხუთშაბათობით. 30 იქმნება პარასკეებსა 31 შაბათსა და კვირასაც იქ-მნება ჩვენი წმიდა აღდგომა, ესე იგი აპრილის 1-სა, რადგანაც მარტის დღე 31 ზევით აღარ წავა.

ფრაგმენტი 20. სამზღვარნი პასექთა ესენი არიან: ათცამეტური დაემთხვევის ბზობის დღიდგანა ვიდრე დიდ შაბათამდე და რომელსა დღესაც უნდა დაემთხვიოს ის დღე იქმნება ურიათ პასექი და იმ დღეს იქმნება უცვალებლივ მთვარის 19-ტი მარტი იყოს გინა აპრილი, მაშასადამე ურიათ პასექი დაემთხვევის ანუ მოვალს მარადის მთვარის ცხრამეტსა რიცხვსა, ხოლო ჩვენი წმიდა აღდგო-მა მოვალს მარადის მთვარის ოციდგან ვიდრე ოცდა ექვსამდე, აგრეთვე მარტის 22 რიცხვიდგან ვიდრე აპრილის 25 რიცხვამდე. ამ ნაჩვენებ სამზღვრებს არა დროს არ გასცილდების წმიდა აღდგომა.

ფრაგმენტი 21. როგორათაც ათ-ცამეტური არის დამოკიდე-ბული მთვარის მოქცევაზედა, ეგრეთვე ზედნადებიცა არის დამო-კიდებული მთვარის მოქცევაზე-და, ესე იგი, როგორათაც არის მთვარე მბრუნავი 19 წელიწადსა, ეგრეთვე ათ-ცამეტურიცა და ზედნადებიცა და შემდეგ ცხრამეტის წლის შესრულებისა ისევ თავიდგანვე იწყებიან.

ფრაგმენტი 22. მთვარე მოიპოების ამ გვარად: ავიღებთ ზედნადებსა მთვა-რისასა მდგომიარეს წლისას, მასზედა დავათვლით მარადის ორსა, თვისთავსა და ნიადაგსა, შემდეგ მივათვლით თვეთა, იანვრიდგან მდგომიარის თვემდისინა და კვალად დავათვლით დღეებსა მდგომიარის თვისასა, მას დღემდე რომელსა დღესაცა ვეძიებთ მთვარის რიცხვსა და ბოლოს რაოდენიც შესდგების მითვლი-ლი რიცხვები, იმ რიცხვისა იქმნების მთვარე, ხოლო უკეთუ მითვლილმა რიცხ-ვებმა ოცდა ათზედ გარდაამეტოს მაშინ მრთელის შეკრებილის რიცხვებიდგან ოცდა ათს გამოვრიცხამთ და რაოდენიც დაგვრჩება იმ რიცხვისა იქმნების მთვა-რე.

ფრაგმენტი 23. ვინაიდგან ზედნადები არის მბრუნავი ცხრამეთსა წელი-წადსა შინა ვითარცა მთვარე, ამისათვის მყოფსა ზედნადებსა მარადის დავათვლით თერთმეტსა რიცხვსა და რაოდენიც შესდგების ეგოდენი იქმნების ზედნადები მდგომიარის წლისა. უკეთუ მითვლილის რიცხვითა გარდაემატების ოცდა ათსა, მაშინ მრთელის რიცხვიდგან გამოვრიცხამთ ოცდა ათსა და რაოდენიც დაშთების, ეგოდენი იქმნების მას წელს ზედნადები.

ფრაგმენტი 24. ხოლო ესეცა უწყოდეთ, რომელ მთვარის პირველად მოქცევიდგან თვრამეტს წლადმდე დაერთვის ზედნადებსა თერთმეტ-თერთმეტი, ხოლო მეცხრამეტეს წელიწადსა დაეთვლების თორმეტი. მაგალითებრ: პირველ მთვარის მოქცევასა ზედნადები იქმნების მარადის ოცდაათი, მას ზედა დაეთ-ვლების თვრამეტს წლადმდე თერთმეტ-თერთმეტი, ხოლო მეცხრამეტეს წელი-წადსა დაეთვლების თორმეტი, რომელითაც მარადის დაგვრჩების ცხრამეტი, ზედნადები. უკეთუ მარადის თერთმეტი დაეთვალა მაშინ ზედნადები აირევა.

ფრაგმენტი 25. ყოველნი მოძრავნი დღესასწაულნი, ანუ თუ ეკკლესიურნი მარხვის დაწყობილებანი არიან დამოკიდებულნი წმიდა აღდგომაზედა. მაგალითებრ: მოიპოვოთ რა დღე და რიცხვი წმიდა აღდგომისა, მას აქეთ **49** დღე უკუსთვალეთ ყველიერის აღების ღამე იქმნება, იმისი უკანა სწორი ხორციელის აღების ღამე იქმნება, იმის უკანა მეთოთხმეტეს დღეს მარხვანი დაიდების ეკ-ლესიაში საკითხავად. დიდს ხუთშაბათს იქით რაოდენიც დღე მაისის დადეგამდე დარჩება, მოციქულთ მარხვა ეგოდენი დღე გვექმნების.

ფრაგმენტი 26. აღდგომიდგან ოცდამეხუთე დღეს ზადიკობა არის მეორმოცე დღეს ამაღლება არის, მეორმოცდაათე დღეს სულის წმიდის მოსვლა არის, იმისი სწორი ყოველთა წმიდათა კვირიაკე არის და აღების ღამე მოციქულთა, ანუ სულის მარცხვისა.

ფრაგმენტი 27. უკეთუ ნაკის წელიწადი იყოს მაშინ აღდგომასა ზედა ოთხი დღე დაათვალეთ, ხოლო უკეთუ არა იყოს ნაკის წელიწადი, მაშინ სამი დღე დაათვალეთ და რაოდენსა მარტსა იყოს აღდგომა, ეგოდენსა, იანვარსა იყოს ხორცთა კრეფა და უკეთუ აპრილსა იყოს აღდგომა ეგოდენსა ფებერვალსა იყოს ხორცთ აკრეფა. ხორცთაკრეფის უწინარეს თორმეტის დღისა მარხვანი დაიწყობის საკითხავად ეკკლესიაში.

ფრაგმენტი 28. აღდგომასა ზედა **9** დღე დაათვალეთ და რაოდენი აპრილი შეიქმნას ეგოდენსა მაისსა იქმნება ამაღლება, ხოლო მარტიდგან ამაღლება ერ-თი დღე **39** აპრილს მოვალს და სხვა მაისში გადავალს და უკეთუ აპრილის რიცხვმან გარდაამეტოს მაშინ ივნისის იმ რიცხვში მოვალს ამაღლება რამდენსაც გარდაამეტებს. მხოლოთ თვესა სწორედ ჰრაცხედ და არ შაგეშალოსთ.

ფრაგმენტი 29. აღდგომიდგან თომას კირიაკედმდე მზგეფსია, ესე იგი ოთხშაბათ-პარასკეები მსხნილი. სულის წმიდის მოსვლიდამ ყოველთა წმიდათა კვირიაკედმდე მზგევსია. ქრისტეს შობიდგან, ხუთს იანვრადმდე მზგევსია. მეზვერისა და ფარისეველის კვირიაკე მზგეფსია. ყველიერის შვიდეულიც მზგეფსია.

ფრაგმენტი 30. უძრავნი ეკკლესიურნი დღესასწაულნი ამ კალენდარის ბო-ლოს იქმნებიან მოხსენებულნი (სოფრომაძე **1880: 3-14**).

II. **წ ი ნ ა თ ქ მ ა**

საპასექო გამოთვლათა თეორიული საფუძვლები ადრეულ საუკუნეებშია შემუშავებული. დახვეწილი სახე მან მიიღო **VI** საუკუნიდან მას შემდეგ, რაც **დიონისე მცირემ**, **532** წელს, საპასექო გამოთვლათა **532**-წლიანი ციკლი წარმოადგინა. აღნიშნულ მოქცევაზე დაყრდნობით, აღდგომის დღის დადგენის არაერთი ხერხი იქნა შემუშავებული. ვფიქრობთ, საპასექო გამოთვლათა შთამბეჭდავ ნიმუშებს **„საუკუნო კალენდარიც“** შეგვიძლია მივათვალოთ.

ჩვენს ადრინდელ სტატიაში მართლმადიდებლური პასქალიონის თაობაზე ვწერდით:

„პასქალიონი ეკლესიის მიერ დადგენილი სათანადო გამოთვლათა სისტემაა, რომლის მიხედვითაც ყოველი კალენდარული წლისათვის მაცხოვრის **ბრწყინვალე აღდგომის დღე** და მოძრავ საეკლესიო დღესასწაულთა თარიღები განისაზღვრება. ...

მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომის თარიღის დადგენასთან დაკავშირებული გამოთვლები პირობითად სამ ნაწილად იყოფა:

1. მოცემული წლისათვის მცხრალის (ანუ „საპასექო საკვლე-მთვარობის“) თვისა და რიცხვის გამოთვლა;

2. კვირის შვიდეულის დღის განსაზღვრა, რომელზეც მოიწევა მცხრალის თარიღი;

3. აღვსების, ანუ აღდგომის დღის დადგენა.

სწორედ ამ მიზნით, საპასექო გამოთვლათა **I ნაწილი** პასქალურ-კალენდა-რული მახასიათებლების: **„მთვარის მოქცევის“**, **„ზედნადების“**, **„მარტის ახალმთვარობის“**, **„სავსემთვარობის“** და **მცხრალის** ანუ **„საპასექო სავსემთვარობის“** დადგენას ეხება. საპასექო გამოთვლათა **II ნაწილი – „მზის მოქცევის“**, **„ზ-ეულის“** და **„დღისსაძიებლის“** გამოთვლას ემსახურება.

კვირის შვიდეულის რომელ დღესაც არ უნდა მოიწიოს „მცხრალი“, აღვსება ანუ აღდგომის დღე მომდევნო კვირა დღე იქნება, რისი დადგენაც საპასექო გამოთვლათა **III ნაწილს** განეკუთვნება“ *(თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის საღვთისმეტყველო-სამეცნიერო შრომები, V, გვ.* ***249-250****).*

„საუკუნო კალენდარში“ ფრაგმენტთა შინაარსობრივად მსგავსი ოთხი ჯგუფი შეიძლება გამოვყოთ, რომელთაც ასე წარმოვადგენთ:

1. საპასექო-კალენდარული შინაარსის მითითებები;

2. საპასექო გამოთვლათა I ნაწილი (კვირის შვიდეულის დღეთა თვის რიცხვებთან შესაბამისობის დადგენა);

3. საპასექო გამოთვლათა II ნაწილი (მცხრალის – **Ps** თარიღის დადგენა);

4. საპასექო გამოთვლათა III ნაწილი (აღვსების დღის დადგენა).

აღსანიშნავია, რომ „საუკუნო კალენდარში“ ზოგიერთი პასქალურ-კალენდარული მახასიათებელი განსხვავებული სახელითაა მოხსენიებული, ვიდრე ამას ჩვენ ზემოთ ვუთითებთ, რაც, რა თქმა უნდა, არანაირ სირთულეს არ ქმნის მათი არსის წვდომისას.

III. "საუკუნო კალენდარის" ფრაგმენტთა ანალიზი

§1. საპასექო-კალენდარული შინაარსის მითითებები

ა) ქვეყნის დასაბამი

ფრაგმენტი 0(19).

ამჟამად, **19** ფრაგმენტის მხოლოდ ერთი წინადადებაა ჩვენი კვლევის ობიექტი, კერძოდ: „მაგალითებრ: ამა **1879 წელსა** დასაბამიდგან სოფლისა წელნი ამ მდგომიარეს წლადმდე რომ გავყოთ მთვარის მოქცევითა (**19**-თა) ბოლოს დაგვრჩება **15**...“.

განმარტება:

ქვეყნის დასაბამიდან დროის ათვლისათვის სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული ქრონოლოგიური თარიღი – **ერა** იქნა შემოღებული: „ებრაული“ (**3761**); „რომაული“ (**4713**); „ალექსანდრიული“ (**5492**); ანიანე ალექსანდრიელის (**5500**); „ბიზანტიური“ (**5508**); „ქართული“ (**5604**) და მრავალი სხვა. მათ შორის გამოვყოფდით „ალექსანდრიულ“, ანიანე ალექსანდრიელის, „ბიზანტიურ“ და „ქართულ“ დასაბამებს, რადგან ქრისტიანულ ქვეყნებში **ქვეყნის დასაბამიდან ქრისტეშობამდე** დროის ინტერვალი სწორედ ზემომოხმობილ ქრონოლოგიური თარიღებს უკავშირდება.

კომენტარი:

(**19**) ფრაგმენტს ქვემოთ გამოწვლილვით განვიხილავთ, აქ წარმოდგენილ წინადადებაში კი ყურადღებას ქვეყნის დასაბამიდან დროის ათვლის საკითხს დავუთმობთ.

მოხმობილ წინადადებაში „სიტყვა-ფორმულაა“ მოცემული, რომელიც ერთ-ერთი პასქალურ-კალენდარული მახასიათებლის – „მთვარის მოქცევის“ (**Lm**) დადგენას მიემართება. თანამედროვე მათემატიკური სიმბოლოებით ზემორე „სიტყვა-ფორმულა“ შემდეგი სახით შეიძლება ჩავწეროთ:

$$Lm = \left| \frac{5508 + N}{19} \right|$$

გარდაქმნის შედეგად მივიღებთ:

$$Lm = \left| \frac{5508 + N}{19} \right| = \left| \frac{5510 - 2 + N}{19} \right| = \left| \frac{5510}{19} + \frac{N - 2}{19} \right| = \left| \frac{N - 2}{19} \right| = \left| \frac{1879 - 2}{19} \right| = 15$$

ფორმულებში ვერტიკალური კავებით (**AA**) გაყოფის შედეგად მიღებული ნაშთია აღნიშნული (რომლითაც შემდგომშიც

ვისარგებლებთ), **5508** – „ბიზანტი-ური დასაბამია“, N-ი ქრისტეშობიდან ათვლილი კალენდარული წლის რიგითი ნომერია (=**1879**წ.), ხოლო **19** კი „მთვარის ციკლია (იხ. ქვემოთ **4(1)** ფრაგმენტის I ქვეფრაგმენტი).

გაურკვეველი რომ არ დარჩეს ზემორე (ალგებრული) გარდაქმნის შედეგი, დამატებით განვმარტავთ, რომ **5510**-ის **19**-ზე გაყოფით **290** მიიღება. ამასთან, რადგან გაყოფის შედეგად მიღებული ნაშთის დადგენა გვაინტერესებს, **290** როგორც განაყოფის მთელი ნაწილი, ფორმულიდან „ამოვარდება“.

ამგვარად, განაყოფის ნაშთი **16** რომ ყოფილიყო, გამოთვლები „ქართულ დასაბამთან“ (**5604**წ.) იქნებოდა კავშირში, **18**-ის შემთხვევაში – „ალექსანდრიულ დასაბამთან“ (**5492**წ.), **7**-ის შემთხვევაში კი – ანიანე ალექსანდრიელის ერასთან (**5500**წ.) და ა.შ.

ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ „საუკუნო კალენდარში“ **„ბიზანტიურ ერასთან“** (**5508**წ.) გვაქვს საქმე. ასევე, დიდი ალბათობით ისიც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წინამდებარე საპასექო გამოთვლები **1879 წელს** დაიწერა, ხოლო **1880** წელს კი გამოიცა (როგორც ეს თხზულების გარეკანზეა მითითებული).

ბ) კალენდარული წელიწადი

ფრაგმენტი 1(12).

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი:

1(12) **ფრაგმენტის** ტექსტი დამატებით კომენტირებას არ საჭიროებს. რაც შეეხება თებერვლის თვეში დღეთა რაოდენობას (**28** და **29**), ამ საკითხს სხვა ფრაგმენტთა ტექტის განხილვისას შევეხებით.

ფრაგმენტი 2(6).

შ ი ნ ა ა რ ს ი:

ფრაგმენტში საუბარია წელიწადის ხანგრძლივობაზე, რომელიც **365** დღის და **6** საათის (ჟამის) ტოლია. მითითებულია, რომ კალენდარული წლების მიმდევრობაში ყოველი მეოთხე წელი ნაკიანია. ამასთან, განმარტებულია, რომ ოთხჯერ **6** საათი **24** საათს შეადგენს, ხოლო თუ (მცხრალი – დკ. ბ.გ.) წლის ხანგრძლივობას (**365** დღეს

– დკ. ბ.გ.) **24** საათი ანუ ერთი დღე დაემატება, **366** დღეს მივიღებთ, რაც გახლავთ კიდეც ნაკიანი წლის ხანგრძლივობა.

განმარტება:

წლის ხანგრძლივობის თაობაზე **წმიდა იოანე დამასკელის** სწავლებაში ამოვიკითხავთ: „ყოველ წელიწადს მთვარის თორმეტი თვე (**12×29,5=354** – დკ. ბ.გ.) თერთმეტი დღით ნაკლებია (**365–354=11** – დკ. ბ.გ.) **მზის თორმეტ თვეზე**, რომელ-თაც აქვთ სამასსამოცდახუთი დღე და მეოთხედი დღისა. ამიტომ, შეიკრიბება რა მეოთხედები, ყოველ მეოთხე წელს ერთი დღე შესრულდება (**4×1/4=1** – დკ. ბ.გ.), რასაც ეწოდება ნაკი, ხოლო ამგვარი წელი სამასსამოცდაექვსი დღის მქონე იქნება“ (დამასკელი **2000: 353**).

ამგვარად, აქ საუბარია **კალენდარულ წელიწადზე**, რომლის საშუალო მნიშვნელობაც (**3×365+366):4=365,25** დღე-ღამის ტოლია.

კომენტარი:

3(6) ფრაგმენტში წელიწადის ხანგრძლივობაში <u>კალენდარული წელიწადის</u> <u>საშუალო</u> მნიშვნელობა – **365** დღე და **6** საათი (**365,25**დღ.) იგულისხმება. ამასთან, მინიშნებაა **4**-წლიან <u>კალენდარულ ციკლზე</u>, რომელიც ნაკიანი წლის მონაცვლეობის პერიოდს ასახავს და სამ უბრალო (**365** დღ.) და ერთ ნაკიან (**366** დღ.) კალენდარულ წელს მოიცავს.

ბუნებრივი განმეორებადი პროცესებიდან, დროის ბუნებრივ ეტალონად იულიუსის კალენდარში ორი პერიოდული პროცესია მიღებული. პირველი დღე-ღამეა, ხოლო მეორე კი – „სირიუსის წელი“. ამ უკანასკნელის ხილული მოძრაობის (ჰელიაკური ამოსვლის) პერიოდი – <u>„სირიუსის წელი“</u> **365** დღე-ღამეს და **6** სთ-ს შეადგენს. აქ აღსანიშნავია ის გარემობა, რომ გამოჩენილი ავსტრიელი ასტრონომის თეოდორ ოპოლცერის (**1841-1886**წ.წ.) გამოთვლებით, მემფისის მერიდიანისთვის (გეოგრაფიული განედი **30°**), იგი ზუსტად **365** დღისა და **6** სთ-ის ტოლია (**Tსირ. = 365,25** დღ.) (კლიმიშინი **1985: 147**).

ამგვარად, ყოველ ოთხ წელიწადში კალენდარული წლის საშუალო მნიშვნელობა (**3×365+366):4=365,25** დღე-ღამის ტოლია, ანუ იულიუსის კალენდრის დროის ერთ-ერთ ძირითად ეტალონს (**T=365,25**დღე) ემთხვევა.

შენიშვნა: ფიზიკური სიდიდეების შერჩევა **ეტალონებად** (ერთეულებად), ოდენ შეთანხმების საგანს წარმოადგენს და არ არსებობს რაიმე პრინციპული მოტივი ამა თუ იმ ერთეულის უპირატესობისა მეორეზე (მატვეევი 1986: 16). **დროის ერთეულს** ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის განმავლობაში ცაზე ვარსკვლავებისა და მზის ხილული მოძრაობის მიხედვით საზღვრავდნენ (მატვეევი 1986: 17). მას შემდეგ, რაც შერჩეულია ესა თუ ის ეტალონი, რაიმე სიდიდის გაზომვა ამ ეტალონთან შედარების საფუძველზე აღესრულება.

დავძენთ იმასაც, რომ იულიუსის კალენდრის „სირიუსის წელთან" კავშირს არაერთი წყარო და მკვლევარი მიუთითებს (სამაგიდო...1983: 717; ჟუკოვი 2000: 41; ზელინსკი 1978: 65; კლიმიშინი 1985: 146-148 და სხვა).

ფრაგმენტი 3(13).

შ ი ნ ა ა რ ს ი:

ფრაგმენტში „სიტყვა-ფორმულაა" მოცემული, რომლის მეშვეობითაც დგინდება მცხრალია თუ ნაკიანი კალენდარული წელი.

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი - 1:

ფრაგმენტში შემდეგი სიტყვები იპყრობს ყურადღებას: „..შემდგარი მრთელი რიცხვი გაყავით არიფმეტიკულად ორითა (2)". აქ აშკარა შეცდომას აქვს ადგილი. კერძოდ, ნაცვლად **„ორისა"** უნდა ეწეროს **„ოთხი"** (ნაკიანი წლის მონაცვლეობის პერიოდი).

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი - 2:

თანამედროვე მათემატიკური სიმბოლოების გამოყენებით, ზემორე „სიტყვა-ფორმულა" „ბიზანტიური დასაბამისათვის" (5508) შემდეგი სახით შეიძლება წარმოვადგინოთ:

$$N_{\text{ნაკი}} = \left|\frac{5508+N}{4}\right| = \left|1377+\frac{N}{4}\right| = \left|\frac{N}{4}\right| = \left|\frac{1879}{4}\right| = 3 \quad (1)$$

როგორც ვხედავთ **1879** წელი მცხრალია.

საინტერესოა, რომ მსგავს ფორმულას მივიღებთ „ქართული დასაბამისთვისაც" (5604).

$$N_{\text{ნაკი}} = \left|\frac{5604+N}{4}\right| = \left|1401+\frac{N}{4}\right| = \left|\frac{N}{4}\right|$$

(1) ფორმულაში **4**-ი ნაკიანი წლის მონაცვლეობის პერიოდია.

ამგვარად, თუ გაყოფის შედეგად მიღებული ნაშთი **1, 2** ან **3**-ა, წელიწადი მცხრალია, ხოლო თუ ნაშთი ნულია – ნაკიანი. ასე მაგალითად: **2017, 2018** და **2019** წლები მცხრალია, ხოლო **2020** წელი კი ნაკიანი (ანუ თებერვლის თვე **29** დღიანია).

გ) კალენდარული ციკლები:

ფრაგმენტი 4(1).

შინაარსი:

ფრაგმენტში სამი მოქცევაა (ბრუნვა) მოხმობილი: მთვარის **19**-წლიანი, მზის – **28** და „ქორონიკონის“ – **532**-წლიანი ციკლები. ასევე, საუბარია „ქორონიკონის“ (**532** წლიანი პერიოდის) ციური პლანეტების მოქცევასთან კავშირზე.

რაც შეეხება „ჭელთას“, მასზე დაწვრილებით სათანადო ფრაგმენტების განხილვისას ვისაუბრებთ.

განმარტება:

საპასექო გამოთვლებს ხუთი ძირითადი **კალენდარული ციკლი** უდევს საფუძვლად: **4**-წლიანი, **19**-წლიანი „მთვარის ციკლი“, **28**-წლიანი „მზის ციკლი“, **532**-წლიანი ციკლი (დიდი ინდიქტიონი) და **15**-წლიანი (მცირე ინდიქტიონი).

მეტი სიცხადისათვის ეს **4(1)** ფრაგმენტი **3** ქვეფრაგმენტად დავყოთ:

1. ჭელთა ესე ანუ საუკუნო კალენდარი არის შემდგარი მთვარის და მზის მოქცევითა, გინა ბრუნვითა,

2. ვინაიდგან მთვარე ბრუნავს ცხრამეტსა წელსა შინა და მზე ოცდა რვა წელსა შინა, როდესაც მთვარის მოქცევის **19** წელთა განვამრავლებთ მზის მოქცევის **28** წლითა მაშინ შესდგების ქორონიკონი ესე: ხუთას ოცდა თორმეტი წელიწადი,

3. რომელთა რიცხვთა შინაცა მოიქცევიან ყოველნი ციურნი პლანეტნი, ხოლო როდესაც შესრულდება **532** წელიწადი, მაშინ ყოველნი ციურნი პლანეტნი მოიქცევიან და მოვლენ თვისთავე ადგილთა, რომელთა ადგილთა ზედაცა სხნდნენ პირველსა ინდიკტიონსა, ანუ დაწყებასა ქორონიკონისასა; მაშასადამე ისევ თავიდგანვე იწყების აღრიცხვა.

კომენტარი:

I ქვეფრაგმენტში ორ მოქცევაზე, ანუ კალენდარულ ციკლზეა საუბარი, რომელთა შესახებაც განვმარტავთ:

– **19-წლიანი „მთვარის ციკლი“** დროის ინტერვალია, რომლის გასვლის შემდეგაც მთვარის ფაზები თვის იგივე რიცხვებს, ანუ კალენდრის თავდაპირველ თარიღებს უბრუნდებიან.

შენიშვნა: აღნიშნული ციკლი არსებითად **მეტონის ციკლს** წარმოადგენს, რომელიც ქრისტეშობამდე **432** წელს ბერძენმა ასტრონომმა მეტონმა აღმოაჩინა, და, რომლის მიხედვითაც, **19** წელიწადი (T) დიდი სიზუსტით **235** მთვარის სინოდურ თვეს ($t_{\text{სინ}}$) უდრის (კლიმიშინი **1985: 53, 74**). ამდენად, ადგილი აქვს თანაფარდობას: $19 \times T = 235 \times t_{\text{სინ}}$.

– **28-წლიანი „მზის ციკლი“** დროის ინტერვალია, რომლის გასვლის შემდეგაც კვირის შვიდეულის დღეები თვის ერთსა და იმავე რიცხვებს ანუ კალენდრის თავდაპირველ თარიღებს უბრუნდებიან.

მე-2 ქვეფრაგმენტში უმთავრეს კალენდარულ ციკლზეა საუბარი, რომლის შესახებაც ვიტყვით:

– **532-წლიანი ციკლი** (დიდი ინდიქტიონი, ქორონიკონი) არის დროის ინტერვალი, რომლის გასვლის შემდეგ მეორდება მთვარის ფაზების, კვირის შვიდეულის დღეებისა და თვის რიცხვების განლაგება, ანუ აღდგომის დღესას-წაული ხდება პერიოდული. ამ ციკლს სააღდგომო მოქცევის ციკლსაც უწოდებენ. დიდი ინდიქტიონი (**532**) ოცდარვა **19**-წლიან „მთვარის ციკლსა“ (**532=28×19**) და ცხრამეტ **28**-წლიან „მზის ციკლს“ (**532=19×28**) მოიცავს.

მე-3 ქვეფრაგმენტში საუბარია „ქორონიკონის“ - **532** წლიანი ციკლის (დიდი ინდიქტიონის) ციური პლანეტების მოქცევასთან კავშირზე. ვფიქრობთ, აქ არაერთი გაურკვევლობაა:

ა) გაუგებარია, თუ რა იგულისხმება ციურ პლანეტებში („ყოველნი ციურნი პლანეტნი“), მზის სისტემის პლანეტები თუ მხოლოდ მზე და მთვარე, რომელთა ციკლებზეც არის საუბარი **1** და **2** ქვეფრაგმენტებში?

ბ) რას ნიშნავს სიტყვები: „...ყოველნი ციურნი პლანეტნი მოიქცევიან და მოვლენ თვისთავე ადგილთა“? მაგალითისათვის, პლანეტების ადგილსამყოფელს **ეკლიპტიკაზე** განლაგებულ

თანავარსკვლავედების მიხედვითაც განსაზღვრავ-დნენ. თუმცა ერთი რამ ცხადია, რომ ზემომოხმობილ ფრაგმენტში მოყვანილ სამ კალენ-დარულ ციკლს (**19, 28** და **532**) არანაირი პირდაპირი კავშირი არა აქვს მზისა თუ მთვარის მოძრაობის ასტრონომიულ მხარესთან, როგორც ამას განსახილველი ფრაგმენტის **3** ქვეფრაგმენტში ვკითხულობთ: „... პლანეტნი მოიქცევიან და მოვლენ თვისთავე ადგილთა“.

შენიშვნა: ცის სფეროს დიდ წრეწირს, რომელზეც წარმოებს ვარსკვლავებს შორის მზის **ხილული** წლიური მოძრაობა - **ეკლიპტიკა** ეწოდება. ეკლიპტიკა იმავე სიბრტყეში ძევს, რა სიბრტყეშიც მდებარეობს მზის გარშემო დედამიწის (ნამდვილი) გარემოქცევის ორბიტა. მზის გარშემო დედამიწის მოძრაობის ტრაექტორიაზე გამავალ სიბრტყეს **ეკლიპტიკის სიბრტყე** ეწოდება (ხარაძე 1991: 130).

თანავარსკვლავედებს შორის **ეკლიპტიკის** გასწვრივ 12 თანავარსკვლავედია განლაგებული. **მზესთან** დაკავშირებით ვიტყვით, რომ წელიწადის სხვადასხვა დროს, იგი თავისი ხილული გადაადგილებისას, სხვადასხვა თანავარსკვლავედში იმყოფება.

§2. **საპასექო გამოთვლათა I ნაწილი**
(კვირის შვიდეულის დღეთა თვის რიცხვებთან
შესაბამისობის დადგენა)

ა) **შესავალი**

მართლმადიდებლურ პასქალიონში უაღრესად მნიშვნელოვანია კვირის შვიდეულის დღის (S) დადგენა, რომელზეც **მცხრალის** იგივე **„საპასექო საკუთარობის“** (Ps) თარიღი მოიწევა. ამ საკითხის გადაწყვეტის მიზნით პასქალურ-კალენდარული მახასიათებლები **„ჯელთა“** – (X) და **„თვეთა საძიებელი“** – (Ts) უნდა დადგინდეს, ხოლო **„ჯელთა“**-ს (X) მნიშვნელობის გარკვევისათვის, წინდაწინ, **„მზის მოქცევის“** (Mm) გამოთვლაა საჭირო.

ქვემოთ, მითითებულ პასქალურ-კალენდარულ მახასიათებლებს შორის (გარდა „მზის მოქცევისა“) არსებულ მათემატიკურ კავშირს წარმოვადგენთ (გუნია **2011: 40**):

$$S = \left| \frac{X + Ts + Ps}{7} \right| \quad (2)$$

(2) ფორმულაში **X** – „ჭელთა“-ს რიცხვითი მნიშვნელობაა (იხ. **6(3), 7(4), 8(5), 9(7), 10(8)** და **11(9)** ფრაგმენტების **I** კომენტარი), **Ts** – „თვეთა საძიებელია“ (იხ. **12(11)** ფრაგმენტის კომენტარი), **Ps** – „საპასექო სავსემთვარობაა“, **7** – კვირის დღეთა ოდენობაა, ხოლო გაყოფის შედეგად მიღებული ნაშთი (S) კი კვირის შვიდეულის იმ დღის მანიშნებელია, რომელზეც „მცხრალი“ (Ps) მოიწევა. თვალსაჩინოებისათვის **№1** ცხრილს წარმოვადგენთ.

ამდენად, თუ განაყოფის ნაშთია – **1**, „მცხრალი“ კვირა დღეს მოიწევა, თუ **2** – ორშაბათს და ა.შ.

ცხრილი №1

Gგანაყოფის ნაშთი (S)	შვიდეულის დღე
1	კვირა
2	ორშაბათი
3	სამშაბათი
4	ოთხშაბათი
5	ხუთშაბათი
6	პარასკევი
0 (7)	შაბათი

ბ) „მზის მოქცევა“ (Mm)

ფრაგმენტი 5(2).

შინაარსი: ფრაგმენტში მცხრალ თუ ნაკიან კალენდარულ წელს „მზის მოქცევასა“ და მის დადგენაზეა საუბარი. ასევე, იკითხება მიზანდასახულობა „მზის მოქცევის“ ხელის მტევნის დახმარებით გამოთვლისა.

განმარტება:

„მზის მოქცევა“ (Mm) პასქალურ-კალენდარული მახასიათებელია, რომელიც ამა თუ იმ კალენდარული წლის რიგით ნომერს მიუთითებს **28**-წლიან „მზის ციკლში“.

„ბიზანტიური დასაბამისათვის“ **(5508)** იგი შეიძლება შემდეგი ფორმულით გამოითვალოს:

$$Mm = \left|\frac{Q}{28}\right| = \left|\frac{5508+N}{28}\right| = \left|\frac{5516-8+N}{28}\right| = \left|\frac{5516}{28}+\frac{N-8}{28}\right| = \left|197+\frac{N-8}{28}\right| = \left|\frac{N-8}{28}\right| \quad (3)$$

ამდენად, საბოლოოდ გვექნება:

$$Mm = \left|\frac{N-8}{28}\right| = \left|\frac{1879-8}{28}\right| = 23 \quad (4)$$

(3) ფორმულაში **Q** – ქვეყნის დასაბამიდან, **N** კი ქრისტეშობიდან ათვლილი
კალენდარული წლის რიგითი ნომერია. **28** – „მზის ციკლის“ პერიოდია (იხილეთ **4(1)** ფრაგმენტის **I** ქვეფრაგმენტის კომენტარი).

კომენტარი - 1:

აღსანიშნავია, რომ მსგავსად **28**-წლიანი „მზის ციკლისა“, „მზის მოქცევაც“ **(Mm) 28**-წლიანი პერიოდულობით ხასიათდება და მისი მნიშვნელობები **1**-დან **28**-ის ჩათვლით მონაცვლეობს.

კომენტარი - 2:

იმის გასარკვევად ნაკიანია თუ მცხრალი ჩვენთვის საინტერესო კალენდარული წელიწადი, იხილეთ **(1)** ფორმულა **(3(13)** ფრაგმენტის მეორე კომენტარში).

გ) „ჯელთა“ (X)

„ჯელთა“-ს მნიშვნელობის წარმოჩენისთვის მნიშვნელოვანია ფრაგმენტები:

6(3); 7(4); 8(5); 9(7); 10(8) და**11(9)**

ერთად განვიხილოთ ისინი:

შინაარსი:

ჩამოთვლილი ფრაგმენტები და მარცხენა და მარჯვენა ხელის მტევნის სქემატური ნახაზი, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პასქალურ-კალენდარული მახასიათებლის, კერძოდ, ზემოხსენებული **„ჯელთას“** დადგენას ემსახურება.

განმარტება - 1:

კალენდარული წლების მონაცვლეობასთან ერთად იცვლება კვირის შვიდე-ულის დღეთა თვის რიცხვებთან შესაბამისობა, და თუ თანმიმდევრულად ერთი კალენდარული წლიდან მეორეზე გადავალთ,

ადგილი ექნება კვირის შვიდეულის დღეთა ადრეულ თარიღებზე უკუწანაცვლებას (ყოველი უბრალო ანუ **365**-დღიანი წლისათვის **1**, ხოლო ნაკიანი, ე. ი. **366**-დღიანი წლისათვის კი **2** დღით).

თარიღთან შესაბამისობაში კვირის შვიდეულის დღეთა დასადგენად, ქვეყნის დასაბამიდან I კალენდარული წლის პირველი თვის პირველ **7** დღეს (**1, 2, 3, 4, 5, 6, 7**), ქართული ანბანის პირველი **7** ასო (**ა,ბ,გ,დ,ე,ვ,ზ**) განუკუთვნეს, ხოლო ამ ასოებს კი კვირის **შვიდეულის დღეები** მიუსადაგეს. ამასთან:

1) ქვეყნის დასაბამიდან შვიდეულის პირველ დღედ **პარასკევი** განაჩინეს (სამაგიდო...**1983: 602**);

2) **1 ÷ 7** კალენდარულ დღეს ანბანის პირველი **7** ასო უკუთანმიმდევრობით

(**ზ, ვ, ე, დ, გ, ბ, ა**) შეუსაბამეს (სამაგიდო...**1983: 602**);

3) ყოველი წლის **პირველ დღეს „გ“** ასო მიაკუთვნეს (ქვეყნის დასაბამიდან

პირველი დღის – პარასკევის მსგავსად) (იხ. ცხრილი №**2**).

და კვლავ დავძენთ: ასოთა უკუმიმდევრობა იმის „საკომპენსაციოდ“ განიწესა, რათა პასქალიონში **28**-წლიანი „მზის ციკლის“ შესაბამისი **„ჭელთას“** (**X**) ასოები, ანბანური თანმიმდევრობით განლაგდეს (იხ. ცხრილი №**3**, „კვირის“ ვერტიკალი).

ცხრილი №2

კვირის შვიდეულის დღეთა ანბანური შესაბამისობა								
პირდაპირი თანმიმდევრობით			**უკუ თანმიმდევრობით**					
1			**2**			**3**		
კვირა	**ა**	**1**	**კვირა**	**ა**	**1**	**პარასკევი**	**გ**	**3**
ორშაბათი	**ბ**	**2**	**ორშაბათი**	**ზ**	**7**	**შაბათი**	**ბ**	**2**
სამშაბათი	**გ**	**3**	**სამშაბათი**	**ვ**	**6**	**კვირა**	**ა**	**1**
ოთხშაბათი	**დ**	**4**	**ოთხშაბათი**	**ე**	**5**	**ორშაბათი**	**ზ**	**7**
ხუთშაბათი	**ე**	**5**	**ხუთშაბათი**	**დ**	**4**	**სამშაბათი**	**ვ**	**6**
პარასკევი	**ვ**	**6**	**პარასკევი**	**გ**	**3**	**ოთხშაბათი**	**ე**	**5**
შაბათი	**ზ**	**7**	**შაბათი**	**ბ**	**2**	**ხუთშაბათი**	**დ**	**4**
კვირა	**ა**	**1**	**კვირა**	**ა**	**1**	**კვირა**	**გ**	**3**

ცხრილი №3

28-წლიანი "ეზრის ციკლის"	ყოველი წლის I შვიდეულის დღეები, რომელთაც უკუთანმიმდევრობით ანბანის პირველი შვიდი ასო შეესაბამებათ						
წლები	**პარასკევი**	**შაბათი**	**კვირა**	**ორშაბათი**	**სამშაბათი**	**ოთხშაბათი**	**ხუთშაბათი**
1	გ	ბ	**ა**	ზ	ვ	ე	დ
2	დ	გ	**ბ**	ა	ზ	ვ	ე
3	ე	დ	**გ**	ბ	ა	ზ	ვ
4	ზ	ვ	**ე**	დ	გ	ბ	ა
5	ა	ზ	**ვ**	ე	დ	გ	ბ
6	ბ	ა	**ზ**	ვ	ე	დ	გ
7	გ	ბ	**ა**	ზ	ვ	ე	დ
8	ე	დ	**გ**	ბ	ა	ზ	ვ
9	ვ	ე	**დ**	გ	ბ	ა	ზ
10	ზ	ვ	**ე**	დ	გ	ბ	ა
11	ა	ზ	**ვ**	ე	დ	გ	ბ
12	გ	ბ	**ა**	ზ	ვ	ე	დ
13	დ	გ	**ბ**	ა	ზ	ვ	ე
14	ე	დ	**გ**	ბ	ა	ზ	ვ
15	ვ	ე	**დ**	გ	ბ	ა	ზ
16	ა	ზ	**ვ**	ე	დ	გ	ბ
17	ბ	ა	**ზ**	ვ	ე	დ	გ
18	გ	ბ	**ა**	ზ	ვ	ე	დ
19	დ	გ	**ბ**	ა	ზ	ვ	ე
20	ვ	ე	**დ**	გ	ბ	ა	ზ
21	ზ	ვ	**ე**	დ	გ	ბ	ა
22	ა	ზ	**ვ**	ე	დ	გ	ბ
23	ბ	ა	**ზ**	ვ	ე	დ	გ
24	დ	გ	**ბ**	ა	ზ	ვ	ე
25	ე	დ	**გ**	ბ	ა	ზ	ვ
26	ვ	ე	**დ**	გ	ბ	ა	ზ
27	ზ	ვ	**ე**	დ	გ	ბ	ა
28	ბ	ა	**ზ**	ვ	ე	დ	გ
1	გ	ბ	**ა**	ზ	ვ	ე	დ

№3 ცხრილის „კვირის“ ვერტიკალში **„ჭელთას“** ასოებია მითითებული, რომლებიც ზემომოთხოვნილი ანბანური თანმიმდევრობით არიან განლაგებული. აქ იმასაც შევნიშნავთ, რომ მე-**3** ცხრილში **ქვეყნის დასაბამიდან I 28**-წლიანი „მზის ციკლის“ წლები, იმავდროულად, ამ წლების „მზის მოქცევასაც“ წარმო-ადგენენ. ამდენად, სხვადასხვა კალენდარული წლის **„ჭელთას“** განსაზღვრისას ამ ცხრილით შეგვიძლია ვისარგებლოთ, რისთვისაც წინდაწინ „მზის მოქცევა“ **(Mm)** მე-**2** ფორმულით უნდა გამოვთვალოთ.

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა - 2:

კვირის შვიდეულის დღეთა თვის რიცხვებთან შესაბამისობის დასადგენად სათანადო ხერხია შემუშავებული, ხოლო გამოთვლათა შუალედურ რგოლს **„ჭელთას“** განსაზღვრა წარმოადგენს.

„ჭელთა“ (X) არის პასქალურ-კალენდარული მახასიათებელი, რომელიც ამა თუ იმ კალენდარული წლის დასაწყისისათვის პირველი **კვირა** დღის შესატყვის ასოს ან მის რიცხვით მნიშვნელობას მიუთითებს.

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი - 1:

„ჭელთა“-ს განსაზღვრა შემდეგი ფორმულითაც შეიძლება:

$$X = \left|\frac{Mm}{7}\right| + \left[\frac{Mm}{4}\right] \quad (5)$$

(5) ფორმულაში ოთხკუთხა კავებით **([ ])** განაყოფის მთელი ნაწილია აღნიშნული, **Mm** – მოცემული კალენდარული წლის „მზის მოქცევაა“, **7** – კვი-რის შვიდეულში დღეთა რაოდენობა, ხოლო **4** კი ნაკიანი წლის მონაცვლეობის პერიოდი (სერგი **1853: 33** და კლიმიშინი **1985: 70**).

ამგვარი სახელწოდება – „ჭელთა“ ამ ასოებმა (ციფრებმა) იმიტომ მიიღეს, რომ ძველად, ნაცვლად მათემატიკური ფორმულებისა, შვიდეულის დღეების თვის რიცხვებთან შესაბამისობას **ხელის მტევნის (თითების) ფალანგების** საშუალებით ადგენდნენ. შემდგომში ამ ხერხს **„დამასკელის ხელი“** ეწოდა, რომელიც, სავარაუდოა, უდიდესი საეკლესიო მამის წმიდა იოანე დამასკელის სახელთან იყოს დაკავშირებული (კლიმიშინი **1985: 263-272**).

პასქალურ-კალენდარული მახასიათებელი სახელად **„ჴელთა“** მოხსენებულია საღვთისმსახურო წიგნში „ჟამნი“ (ჟამნი **1899: 612-626**), საქართველოს ეკლესიის კალენდარში (კალენდარი **1972: 9**) და სხვა. საინტერსოა იმის გაჟღერებაც, რომ პასქალურ-კალენდარული მახასიათებელი „ჴელთა“ (X) სხვადასხვა წყაროებში სხვა სახელწოდებითაცაა მოხსენიებული. კერძოდ: **ზ-ეული** იგივე **შვიდეული** (N_7) (**A-38** ხელნაწერი. იხ გუნია **2011: 5**) ან **„საკვირაო ასოები“** (ნიკოლსკი **1995: 119**).

კომენტარი - 2:

„საუკონო კალენდარში“ **ხელთას** სახელით:

– ერთ შემთხვევაში <u>პასქალურ-კალენდარული მახასიათებელი</u> - **„ჴელთაა“** (X) მოხსენიებული,

– მეორე შემთხვევაში კი <u>ხელის მტევნები</u>. ასე მაგალითად: **6(3)** ფრაგმენ-ტში ვკითხულობთ: „...ამისთვის ვიწყოთ **ჴელითგან** და ორი იგი დაუტეოთ“; **7(4)** ფრაგმენტში ამოვიკითხავთ: „...შვიდეული ესე **ჴელთა** ზედან ისწავლების, რაისათვისცა ჴელთად იწოდების“ და სხვა...

კომენტარი - 3:

6(3), 7(4), 8(5), 9(7), 10(8), 11(9) ფრაგმენტების განხილვისას თვალი მივადევ-ნოთ **№1** სქემატურ ნახაზს და პარალელურად **№3** ცხრილს დავაკვირდეთ.

ფრაგმენტი 6(3).

განმარტება:

აქ, სავარაოდოდ, მარცხენა ხელის ცერა თითზეა საუბარი, რომლის ორი ფალანგა („დანაყოფი“) დაუნომრავია.

ფრაგმენტი 7(4).

განმარტება:

ფრაგმენტში შემდეგი სიტყვებია საყურადღებო:

„...შვიდეული ესე უნდა შეჰქმნათ ოცდა რვა რიცხვად, ვითარცა მზის მოქცევი“. აღნიშნულის საილუს-ტრაციოდ **№3** ცხრილის „კვირის“ ვერტიკალს მივაქციოთ ყურადღება, სადაც „ჴელთას“ ასოები **28** წლიანი მზი ციკლის (ამ შემთხვევაში იგივე **„მზის მოქცევის“ - Mm**) ყოველი წლის (იხილეთ პირველი ვერტიკალი) გასწვრივაა მითითებული.

ფრაგმენტი 8(5).

განმარტება:

ყურადღება მივაქციოთ მითითებას: „უწყოდეთ რომელ სათვალავი ესე შვიდზედ ზევით არ განიწევს, არამედ ისევ თავიდგანვე იწყების, ამისათვის რომელ კვირიაკესა აქვს შვიდი დღე...“.

ამ ფრაგმენტის შინაარსის გაცნობიერებისათვის კვლავ №3 ცხრილის „კვირის“ ვერტიკალს დავაკვირდეთ. აქ ზემოდან ქვემოთ „ჭელთას“ ასოები შვიდ-შვიდადაა ჩამოწერილი:

ა,ბ,გ,ე,ვ,ზ,ა; გ,დ,ე,ვ,ა,ბ,გ; დ,ვ,ზ,ა,ბ,დ,ე; ვ,ზ,ბ,გ,დ,ე,ზ.

ფრაგმენტი 9(7).

განმარტება:

ტექსტში ანათვალები ქვემოდან ზემოთ, თითიდან თითზე მონაცვლეობს, რაც №1 სქემატურ ნახაზზე თვალსაჩინოდ იხილვება:

– **მარცხენა მტევნის:** საჩვენებელ თითზე – **1,2,3,5;** შუა თითზე – **6,7,1,3;** არა თითზე -– **4,5,6,1;** ნეკა თითზე – **2,3,4,6.**

– **მარჯვენა მტევნის:** ნეკა თითზე – **7,1,2,4;** არა თითზე – **5,6,7,2;** შუა თითზე – **3,4,5,7.**

თითებზე ათვლილი ციფრების რაოდენობა **28**-ს შეადგენს (მარცხენა ხელზე **16**, ხოლო მარჯვენა ხელზე - **12**), რაც **28** – წლიან ციკლს უკავშირდება, და რის გამოც მარჯვენა ხელის ცერა თითზე ათვლა არ გრძელდება.

ფრაგმენტები 10(8) და 11(9).

განმარტება:

ვფიქრობთ, ზემომოხმობილი განმარტებების შემდგომ, ეს ფრაგმენტები დამატებით კომენტირებას არ საჭიროებენ. რაც შეეხება **11(9)** ფრაგმენტის ბოლო მითითებას **1 მარტთან** დაკავშირებით, ერთობ მნიშვნელოვან საკითხთან გვაქვს საქმე.

კომენტარი:

ზემოთ, წინათქმაში შევნიშნავდით, რომ საპასექო გამოთვლებმა დახვეწილი სახე **VI** საუკუნიდან მიიღო, მას შემდეგ, რაც **დიონისე მცირემ**, **532** წელს, საპასექო გამოთვლათა **532**-წლიანი ციკლი წარმოადგინა. აქ კი დავძენთ, რომ **VI** საუკუნიდან ბიზანტიაში ქვეყნის

დასაბამიდან **5508 წლიანი ერა** შემოიღეს, რომ-ლის დასაწყისიც **1 მარტს, პარასკევ** დღეს უკავშირდება (სამაგიდო...983: 599-600, 602; კლიმიშინი 1985: 238).

ასევე, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ქვეყნის დასაბამიდან I კალენდარული წლის პირველი შვიდეულის **პარასკევი** დღით დაწყება საპასექო გამოთვლათა თეორიის ერთ-ერთ ქვაკუთხედს წარმოადგენს, რაზეც არაერთი წყარო მიანიშნებს (სამაგიდო...1983: 602; ბულგაკოვი 1993: 704; ნიკოლსკი 1995: 120 და სხვა). 1 **მარტს** უკავშირდება ასევე ძირითადი საპასექო ციკლების (28, 19, 15 ქვეყნის დასაბამიდან ათვლაც (სერგი 1853: 12).

დ) „თვეთა საძიებელი“ (Ts)

ფრაგმენტი 12(11).

შ ი ნ ა ა რ ს ი:

ფრაგმენტში მოცემული თვეთა საძიებლის მნიშვნელობები ცხრილის სახით წარმოვადგინოთ (ცხრილი №4).

ცხრილი №4

თვეები	**თვეთა საძიებელი Ts**
მარტი	**5**
აპრილი	**1**
მაისი	**3**
ივნისი	**6**
ივლისი	**1**
აგვისტო	**4**
სექტემბერი	**7**
ოქტომბერი	**2**
ნოემბერი	**5**
დეკემბერი	**7**
იანვარი	**2**
თებერვალი	**5**

ე) „თვეთა დადეგი“ (T_d)

ფრაგმენტი 13(10).

13(10) ფრაგმენტი ოთხ ქვეფრაგმენტად დავყოთ:

1. „უკეთუ ამა შვიდეულის რიგი შაგეშალოსთ...“;

2. „...იპყართ დასაბამითგან წელნი იმ წლამდე, რომელშიაც სდგეხართ და ოცდა რვეულად გამორიცხეთ, ანუ **28**-თა არიფ-მეტიკულად გაყავით, რომელი რიცხვიცა ოცდა რვაზედ ნაკლები დაგრჩეთ, იწყეთ აღრიცხვა მარცხენის ხელის ცერის შემდეგის თითის ძირიდგან და სადა დასრულდეს მზის მოქცევი, იგი რიცხვი არს ხელთა მის წლისა,...“;

3. „მას რიცხვსა ზედან დაუმატეთ თვეთა საძიებელი, მაგალითებრ: უკეთუ ეძიებდეთ მარტის დადეგსა რომელსა დღესაც დადგება, აიღეთ იმ წლის ჴელთა და მას ზედა მიათვალეთ მარტის საძიებელი ხუთი, უკეთუ შესდგეს ექვსი, მაშინ მარტი დადგება პარასკებობითა, უკეთუ შესდგეს შვიდი მაშინ მარტი დადგება შაბათობითა, უკეთუ შვიდზედ მეტი შესდგეს მაშინ იქიდგან შვიდი გამორიცხეთ, უკეთუ დარჩეს ერთი მაშინ მარტი დადგება კვირაობითა, უკეთუ დარჩეს ორი მა-შინ დადგება ორშაბათობითა, უკეთუ სამი დარჩეს მაშინ სამშაბათობითა, უკეთუ ოთხი, მაშინ ოთხშაბათობითა და უკეთუ დარჩეს ხუთი მაშინ მარტი დადგება ხუთშაბათობითა“;

4. „ეგრეთვე სხვა თვების საძიებლები დაუმატეთ ანუ მიათვალეთ ჴელთსა და რაც შესდგეს მას დღეს დადგეს ის თვე რომელიც თვისაც საძიებელი მიათვალეთ ხელთასა. ამითი მოიპოების ყოველი თვეთა დადეგი და ეგრეთვე ყოველივე დღესასწაულიცა, რომელსა დღესაცა დაემთხვევის“.

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი:

I <u>ქვეფრაგმენტში</u> სიტყვები: „ამა შვიდეულის რიგი“ **„ჴელთას“** (X) ასოების **4** შვიდეულის თანმიმდევრობას მიემართება (იხ. **8(5)** ფარგმენტის განმარტება).

მე-2 <u>ქვეფრაგმენტში</u> **„ჴელთას“** (X) გამოთვლისათვის სიტყვა-ფორმულაა მოშველიებული, რომელიც **5(2)** ფრაგმენტის განმარტებაში **(3)** და **(4)** ფორმულებითაა წარმოდგენილი.

ამგვარად, მე-2 ქვეფრაგმენტში სიტყვა-ფორმულა **„მზის მოქცევის“** (Mm) დადგენას ემსახურება, რის შემდეგაც ეს სიდიდე (რიცხვი) მარცხენა ხელის მტევნის საჩვენებელი თითის ძირიდან ქვევიდან ზევით მიმდევრობით აითვლება. რომელ ფალანგაზეც გაჩერდება თვლა, ის ციფრი იქნება საძიებელი წლის **„ჯელთა“** (X).

მოვიტანთ მაგალითს: 2020 წლისათვის **„მზის მოქცევა“** (Mm) („ბიზანტიური დასაბამის“ (5508) გათვალისწინებით) 24-ის ტოლია, რადგან:

$$Mm = \left|\frac{N-8}{28}\right| = \left|\frac{2020-8}{28}\right| = 24 \quad (6)$$

თუ 24-ის გადათვლას მარცხენა ხელის მტევნის საჩვენებელი თითის ძირიდან დავიწყებთ, მივალთ მარჯვენა ხელის მტევნის არა თითის წვეროსთან, რომელსაც ციფრი 2 შეესაბამება (იხ. ხელის მტევნების სქემატური გამოსახუ-ლება), რაც იმას ნიშნავს, რომ 2020 წლის **„ჯელთა“** (X) 2-ის ტოლია.

მე-3 <u>ქვეფრაგმენტი</u> **„ჯელთასა“** (X) და **„თვეთა საძიებელის“** (Ts) შეჯამებით კალენდარული წლის ნებისმიერი თვის პირველი დღის კვირის შვიდეულის დღესთან შესაბამისობის დადგენას აღწერს. ანუ იმ კვირის შვიდეულის დღის დადგენაა შესაძლებელი, რომლითაც დაიწყება ესა თუ ის თვე. ამ სიდიდეს **„თვეთა დადეგი“** (T_d) ეწოდება, რომლის მოძიებაც თხზულებაში **მარტის** თვის მაგალითზეა განხილული. თვალსაჩინოებისათვის, **მე-3** ქვეფრაგმენტის მითითებების მიხედვით, „თვეთა დადეგის“ ცხრილი №5 წარმოვადგინოთ:

ცხრილი №5

„თვეთა დადეგი“ (T_d= X+ Ts)	**კვირის შვიდეულის დღეები**
6	პარასკევი
7	შაბათი
(8-7=)1	კვირა
(9-7=)2	ორშაბათი
(10-7=)3	სამშაბათი
(11-7=)4	ოთხშაბათი
(12-7=)5	ხუთშაბათი

ამგვარად, რადგან მარტის თვისათვის Ts=5-ს (იხ. „თვეთა საძიებელის“ (Ts) მნიშვნელობათა ცხრილი №4), ხოლო 2020 წლის **„ჴელთა“** X=2-ის ტოლია, 2020 წელს მარტის თვე შაბათი დღით დაიწყება (ვინაიდან X+Ts=5+2=7-ს, რაც №5 ცხრილის მიხედვით შაბათ დღეს შეესაბამება). აქ მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ წარმოდგენილი საპასექო გამოთვლები ძვ. სტილის თარიღებს უკავშირდება.

მე-4 ქვეფრაგმენტში **„ჴელთასა“** და **„თვეთა საძიებელის“** (Ts) შეჯამებით ნებისმიერი თვის **„თვეთა დადეგის“** (T_d) განსაზღვრაზეა საუბარი. ამასთან, მითითებაა, რომ აღწერილი ხერხით ნებისმიერი **დღესასწაულისათვის** შვიდეულის დღის განსაზღვრაა შესაძლებელი.

მოვიყვანთ მაგალითს. 2020 წლის (ძვ. სტ.) 23 აპრილს საქართველოს ეკლესია წმიდა გიორგის საზეიმო მსახურებას განაჩინებს. ისმის კითხვა: 2020 წლის 23 აპრილი შვიდეულის რომელი დღეა? დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად შემდეგ მსჯელობას მივმართოთ:

– აპრილის **„თვის საძიებელი“** 1-ის ტოლია (Ts=1) (იხ. ცხრილი №4);

– 2020 წლის **„ჴელთა“** 2 -ს უდრის (X=2) (იხ. ზემოთ);

– აპრილის „თვის დადეგი“ T_d= X+Ts=1+2=3;

– 2020 წელს 1 აპრილი სამშაბათია (იხ. ცხრილი №5).

ამგვარად, თუ 1 აპრილი სამშაბათია, (ძვ. სტ.) 23 **აპრილი** ოთხშაბათი დღე იქნება (იხ. ცხრილი №6).

ცხრილი №6

შვიდეულის დღეები	**აპრილის თვის თარიღები** (ძვ. სტ.)				
ორშაბათი	–	7	14	21	28
სამშაბათი	1	8	15	22	29
ოთხშაბათი	2	9	16	23	30
ხუთშაბათი	3	10	17	24	–
პარასკევი	4	11	18	25	–
შაბათი	5	12	19	26	–
კვირა	6	13	20	27	–

ვ) ყოველი თვის დასაწყისის შესაბამისი შვიდეულის დღე

ფრაგმენტი 14(14).

შინაარსი:

ფრაგმენტში მითითებაა, რომ **„თვეთა დადეგის“** (T_d) გამოთვლა (რომელიც **„ჭელთასა“** და **„თვეთა საძიებელის“** ჯამია (X+Ts) 28-წლიან ციკლთანაა კავშირში. ასევე, მინიშნებაა „ტაბლიცაზე“, რომლის „აღწერასაც“ 15(15) ფრაგმენტში ვიხილავთ.

კომენტარი:

„მზის მოქცევა“ 28-წლიანი პერიოდულობით ხასიათდება, რომელზეც უშუალოდაა დამოკიდებული **„ჭელთას“** (X) გამოთვლა. ამასთან, მეტი სიცხადი-სათვის, გავიხსენებთ, რომ: **„ჭელთა“** არის პასქალურ-კალენდარული მახასიათე-ბელი, რომელიც ამა თუ იმ კალენდარული წლის დასაწყისისათვის პირველი **კვირა** დღის შესატყვის ასოს ან მის რიცხვით მნიშვნელობას მიუთითებს.

ფრაგმენტი 15(15).

შინაარსი:

ფრაგმენტში „მარადიული“ ცხრილია („ტაბლიცა“) მოცემული, რომლის მიხედვით ყოველი თვის დასაწყისის შესაბამისი შვიდეულის დღის დადგენაა შესაძლებელი.

ასევე, ცხრილის ბოლოს მითითებაა, რომ „ტაბლიცაში“ (თვეთა „ვერტიკალებში“) მითითებული ასოები კვირის შვიდეულის დღეებს შეესაბამება: **ა** – კვირას, **ბ** – ორშაბათს, **გ** – სამშაბათს, **დ** – ოთხშაბათს, **ე** – ხუთშაბათს, **ვ** – პარასკევს და **ზ** – შაბათს.

კომენტარი:

ცხრილის სათაურში წერია სიტყვები: „...რომელ დღეს რომელი თვე დადგების“. „რომელ დღეში“ კვირის შვიდეულის დღეები იგულისხმება.

შენიშვნა: ამ ცხრილის **„ჭელთას“** ვერტიკალში ციფრების გვერდით, ფრჩხილებში, ასოები ჩვენს მიერაა მიწერილი, რათა ნათლად დავინახოთ №3 ცხრილის კვირის ვერტიკალის **„საკვირაო ასოებისა“** და `ტაბლიცას~ **„ჭელთას“** ვერტიკალის მონაცემთა იგივეობა.

თვალსაჩინოებისათვის `ტაბლიცას~ მონაცემების გამოყენებით 2020 წლის თვეთა დასაწყისის შესაბამისი კვირის შვიდეულის დღეები დავადგინოთ.

2020 წლის „მზის მოქცევა“ **Mm=24**-ს (იხ. **13(10)** ფრაგმენტის მე-**2** ქვეფრაგმენტის კომენტარი, ფორმულა **(6)**). „ტაბლიცაში“ „მზის მოქცევის“ ვერტიკალში რიცხვი **24** მოვიძიოთ და ამ რიცხვის მარცხნივ ჰორიზონტალს დავაკვირდეთ, რის შემდეგაც ამ ჰორიზონტალისა და თვეების ვერტიკალის გადაკვეთაზე მდებარე ასოები ამოვწეროთ: (მარტი) – **ზ**; (აპრილი) – **გ**; (მაისი) – **ე**; (ივნისი) – **ა** და ა.შ. ამდენად, **2020** წელს მარტი შაბათს დაიწყება, აპრილი – სამშაბათს, მაისი – ხუთშაბათს, ივნისი – კვირას და ა.შ.

„ტაბლიცა“

ხელმოა	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მზის მოქცევა Mm	სადაც ნაკია
1 (ა)	ვ	ბ	დ	ზ	ბ	ე	ა	გ	ვ	ა	გ	ვ	1	
2 (ბ)	ზ	გ	ე	ა	გ	ვ	ბ	დ	ზ	ბ	დ	ზ	2	
3 (გ)	ა	დ	ვ	ბ	დ	ზ	გ	ე	ა	გ	ე	ა	3	
5 (ე)	გ	ვ	ა	დ	ვ	ბ	ე	ზ	გ	ე	ზ	გ	4	ნაკი
6 (ვ)	დ	ზ	ბ	ე	ზ	გ	ვ	ა	დ	ვ	ა	დ	5	
7 (ზ)	ე	ა	გ	ვ	ა	დ	ზ	ბ	ე	ზ	ბ	ე	6	
1 (ა)	ვ	ბ	დ	ზ	ბ	ე	ა	გ	ვ	ა	გ	ვ	7	
3 (გ)	ა	დ	ვ	ბ	დ	ზ	გ	ე	ა	გ	ე	ა	8	ნაკი
4 (დ)	ბ	ე	ზ	გ	ე	ა	დ	ვ	ბ	დ	ვ	ბ	9	
5 (ე)	გ	ვ	ა	დ	ვ	ბ	ე	ზ	გ	ე	ზ	გ	10	
6 (ვ)	დ	ზ	ბ	ე	ზ	გ	ვ	ა	დ	ვ	ა	დ	11	
1 (ა)	ვ	ბ	დ	ზ	ბ	ე	ა	გ	ვ	ა	გ	ვ	12	ნაკი
2 (ბ)	ზ	გ	ე	ა	გ	ვ	ბ	დ	ზ	ბ	დ	ზ	13	
3 (გ)	ა	დ	ვ	ბ	დ	ზ	გ	ე	ა	გ	ე	ა	14	
4 (დ)	ბ	ე	ზ	გ	ე	ა	დ	ვ	ბ	დ	ვ	ბ	15	
6 (ვ)	დ	ზ	ბ	ე	ზ	გ	ვ	ა	დ	ვ	ა	დ	16	ნაკი
7 (ზ)	ე	ა	გ	ვ	ა	დ	ზ	ბ	ე	ზ	ბ	ე	17	
1 (ა)	ვ	ბ	დ	ზ	ბ	ე	ა	გ	ვ	ა	გ	ვ	18	
2 (ბ)	ზ	გ	ე	ა	გ	ვ	ბ	დ	ზ	ბ	დ	ზ	19	
4 (დ)	ბ	ე	ზ	გ	ე	ა	დ	ვ	ბ	დ	ვ	ბ	20	ნაკი
5 (ე)	გ	ვ	ა	დ	ვ	ბ	ე	ზ	გ	ე	ზ	გ	21	
6 (ვ)	დ	ზ	ბ	ე	ზ	გ	ვ	ა	დ	ვ	ა	დ	22	
7 (ზ)	ე	ა	გ	ვ	ა	დ	ზ	ბ	ე	ზ	ბ	ე	23	
2 (ბ)	ზ	გ	ე	ა	გ	ვ	ბ	დ	ზ	ბ	დ	ზ	24	ნაკი
3 (გ)	ა	დ	ვ	ბ	დ	ზ	გ	ე	ა	გ	ე	ა	25	
4 (დ)	ბ	ე	ზ	გ	ე	ა	დ	ვ	ბ	დ	ვ	ბ	26	
5 (ე)	გ	ვ	ა	დ	ვ	ბ	ე	ზ	გ	ე	ზ	გ	27	
7 (ზ)	ე	ა	გ	ვ	ა	დ	ზ	ბ	ე	ზ	ბ	ე	28	ნაკი
თვეთა	5	1	3	6	1	4	7	2	5	7	2	5	საძიებ.	

ამ ტაბლიცაში შედეგების გადამოწმების მიზნით **2020** წლის საეკლესიო კალენდარი გამოვიყენოთ, და რაც მთავარია არ დაგვავიწყდეს, რომ თვეთა დაწყება ძვ. სტილის თარიღებით მოვიძიოთ.

§3. **საპასექო გამოთვლათა II ნაწილი**
(მცხრალის – **Ps** თარიღის დადგენა)

ა) „**მთვარის მოქცევა**“ (**Lm**) და **მცხრალი** (**Ps**)

„მთვარის მოქცევასა“ და მცხრალთან მიმართებაში, თავდაპირველად, **16(16)**, **17(17)** ფრაგმენტები და მათთან კავშირში მყოფი „ვერტიკალური“ ცხრილი განვიხილოთ (იხილეთ **16** და **17** ფრაგმენტების მარცხენა მხარეს მდებარე ცხრილი).

შ ი ნ ა ა რ ს ი:

აღნიშული ფრაგმენტების შინაარსი უშუალო კავშირშია „ვერტიკალური“ ცხრილის მონაცემებთან, რომელიც „მთვარის მოქცევისა“ (**Lm**) და მცხრალის („საპასექო სავსემთვარობის“ – **Ps**) ურთიერთმიმართებას წარმოაჩენს. ამასთან, ამ ფრაგმენტებში, „ვერტიკალური“ ცხრილის მარცხენა სვეტის მონაცემები „**ათ-ცხრამეტურად**“ იწოდება, ხოლო მარჯვენასი კი - „**ათ-ცამეტურად**“.

დავაზუსტებთ, რომ „მთვარის მოქცევა“ (**Lm**) იგივე „**ათ-ცხრამეტურია**“, ხოლო „**ათ-ცამეტურში**“ კი **მცხრალის** („საპასექო სავსემთვარობა“ – **Ps**) მნიშვნე-ლობები იგულისხმება.

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა - 1:

„**მთვარის მოქცევა**“ (**Lm**) პასქალურ-კალენდარული მახასიათებელია, რომელიც ამა თუ იმ კალენდარული წლის რიგით ნომერს მიუთითებს **19**-წლიან „მთვარის ციკლში“.

იგი „ბიზანტიური დასაბამისათვის“ (**5508**) (**8**) ფორმულით გამოითვლება (იხ. **0(19)** ფრაგმენტის კომენტარი):

$$\mathrm{Lm} = \left| \frac{\mathrm{N} - 2}{19} \right| \quad (7)$$

კომენტარი - 1:

„მთვარის მოქცევისა“ – **Lm** („ათ-ცხრამეტურის“) და მცხრალის, იგივე „საპასექო სავსემთვარობის“ – **Ps** ურთიერთმიმართების თვალსაჩინოებისათვის ზემოხსენებული „ვერტიკალური“ ცხრილი „ჰორიზონტალურად“ წარმოვადგი-ნოთ (იხ. ცხრილი №7).

ცხრილი №7

„მთვარის მოქცევა“ Lm (ათ-ცხრამეტური)	მცხრალი Ps (ათ-ცამეტური)
1	2ა
2	22მ
3	10ა
4	30მ
5	18ა
6	7ა
7	27მ
8	15ა
9	4ა
10	24მ
11	12ა
12	1ა
13	21მ
14	9ა
15	29მ
16	17ა
17	5ა
18	25მ
19	13ა

ამ ცხრილიდან ნათლად ჩანს „მთვარის მოქცევისა“ (**Lm**) და მცხრალის („საპასექო სავსემთვარობის“ (**Ps**) მნიშვნელობების შესატყვისობა. ასევე შევნიშნავთ, რომ ცხრილში ასო **„ა“** აპრილის თვეზე მიანიშნებს, ასო **„მ“** კი მარტის თვეზე.

თუ გვსურს ამა თუ იმ კალენდარული წლისათვის **მცხრალის** („საპასექო სავსემთვარობის“ (**Ps**), იგივე „ათ-ცამეტურის“) დადგენა,

თავდაპირველად „მთვარის მოქცევას“ – **Lm** („ათ-ცხრამეტურს“) გამოვთვლით (8) ფორმულით, შემდეგ კი მე-7 ცხრილიდან **მცხრალის** მნიშვნელობას მოვიძიებთ. ასე მაგალითად: **1879** წლისთვის „მთვარის მოქცევა“ **8**-ის ტოლია (**Lm=8**) (იხ. **0(19)** ფრაგმენტის კომენტარი), შესაბამისად **მცხრალი** („საპასექო სავსემთვარობა“) – **15** აპრილს მოიწევა (იხ. ცხრილი №7).

განმარტება - 2:

მცხრალი (**Ps**) იმ „საპასექო“ სავსემთვარობის შესატყვისი თარიღის მაჩვენებელია, რომელიც უშუალოდ **აღვსების** (აღდგომის) წინ მოიწევა.

გულისხმისყოფისათვის დავძენთ, რომ მას შემდეგ, რაც (მარტის ან აპრილის თვეში) მცხრალის თარიღი და მისი შესატყვისი შვიდეულის დღე დადგინდება, აღვსება მომდევნო კვირა დღეს მოიწევა.

კომენტარი – 2:

პასქალიონში **მცხრალის** დასადგენად გარდა „მთვარის მოქცევისა“ (**Lm**) **„ზედნადების“** (**Z**) მოძიებაცაა აუცილებელი, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

ბ) „ზედნადები“ (Z)

ფრაგმენტი 18(21).

შინაარსი:

ფრაგმენტში მითითებულია, რომ **„ათ-ცამეტურისა“** (მცხრალი, „საპასექო სავსემთვარობა“ **Ps**) და **„ზედნადების“** (**Z**) დადგენა „მთვარის მოქცევაზეა“ (**Lm**) დამოკიდებული. ასევე, საუბარია ამ პასქალურ-კალენდარულ მახასიათებელთა **19**-წლიანი პერიოდულობის თაობაზე.

განმარტება:

„ზედნადები“ (**Z**) არის პასქალურ-კალენდარული მახასიათებელი, რომელიც ამა თუ იმ კალენდარული წლის დასაწყისისათვის (ანუ **1** მარტისათვის) მთვარის ასაკს მიუთითებს.

ჩვენს ერთ-ერთ ნაშრომში ვწერდით, რომ: „...არსებითად „ზედნადები“, კალენდარული წლის თარიღებსა და მთვარის ფაზების

დამაკავშირებელი რგოლია **19**-წლიან „მეტონის ციკლში“. ვიცით რა ამა თუ იმ კალენდარული წლის „მთვარის მოქცევა“ **(Lm)**, ადვილად დავადგენთ მის **„ზედნადებსაც“ (Z)** შემდეგი ფორმულით:

$$Z = \left| \frac{0 + 11(L\,m - 1)}{30} \right| \quad (8)$$

ამ ფორმულაში **0** (ნული) მთვარის ასაკის აღმნიშვნელი სიდიდეა **19**-წლიან „მთვარის ციკლის“ **I** წლის დასაწყისისათვის. **30** – სავსემთვარობიდან მომდევნო სავსემთვარობამდე დროის პერიოდია **($t_{\text{სინ.}}$=29,53059≈30)**, ხოლო **11** კი იმ დღეების ოდენობაა, რომლითაც **19**-წლიანი „მთვარის ციკლის“ ყოველი მომდევნო წლის დასაწყისის შესაბამისი **მთვარის ასაკის საანგარიშო მნიშვნელობები** განსხვავ-დებიან ერთმანეთისაგან“ (გუნია **2011: 23-24. 20**).

ფრაგმენტები 19(23).

შინაარსი:

ფრაგმენტში **„ზედნადების“ (Z) 19**-წლიან პერიოდულობაზეა მინიშნება, რაც **„მთვარის მოქცევის“ (Lm) 19**-წლიან ციკლზე დამოკიდებულებითაა განპირობე-ბული. ასევე, მითითებულია, რომ თითოეული **ზედნადების** მნიშვნელობას **11** ემატება და თუ ჯამი **30**-ზე მეტი აღმოჩნდება, მას **30** გამოაკლდება.

ფრაგმენტი 20(24).

განმარტება - 1:

მეტი სიცხადისათვის, **19(23)** დ **20(24)** ფრაგმენტთა მონაცემებზე დაყრდნო-ბით, **№8** ცხრილი შევადგინოთ და **20(24)** ფრაგმენტის მითითება გავითვალის-წინოთ: „პირველ მთვარის მოქცევასა ზედნადები იქმნების მარადის **ოც-და-ათი,** მას ზედა დაეთვლების თვრამეტს წლადმდე თერთმეტ-თერთმეტი, ხოლო მეცხრამეტეს წელიწადსა დაეთვლების თორმეტი“.

ამგვარად, **(8)** ფორმულაში თანმიმდევრულად **(1**-დან **19**-ის ჩათვლით) „მთვარის მოქცევის“ **(Lm)** მნიშვნელობები შევიტანოთ და **ზედნადებთა** მნიშვნელობები, ცხრილში, სათანადო ჰრიზონტალში ჩავწეროთ.

განმარტება - 2:

თუ (8) ფორმულაში **Lm=1**-ის მნიშვნელობას ჩავსვამთ, მივიღებთ, რომ **ზედნადები** 30-ის ტოლია (**Z=30**). როცა **Lm=2**, ზედნადები **Z** 11 იქნება, და თუ ასე გავაგრძელებთ, საბოლოოდ **№8** ცხრილის მონაცემებს მივიღებთ.

№8 ცხრილში ზედნადების მწკრივი, მარცხნიდან მარჯვნივ, **11**-ით იზრდება. ამასთან, „მთვარის მოქცევის“ მე-**19** წლის შესაბამისი ზედნადების მნიშვნელობას (**18**-ს) **12** უნდა დავუმატოთ, რათა „მთვარის მოქცევის“ **I** წლის შესაბამისი ზედნადების მნიშვნელობა – **30** მივიღოთ (იხ. ცხრილის მარცხენა **II** ვერტიკალი).

ცხრილი №8

„მთვარის მოქცევა“ Lm	ზედნადები Z
1	30
2	11
3	22
4	3
5	14
6	25
7	6
8	17
9	28
10	9
11	20
12	1
13	12
14	23
15	4
16	15
17	26
18	7
19	18

§4. საპასექო გამოთვლათა III ნაწილი
(აღვსების დღის დადგენა)

ფრაგმენტი 21(18).

21(18 ფრაგმენტი) **5** ქვეფრაგმენტად დავყოთ:

1. სწავლა პასექისა, ანუ წმიდა აღდგომის დღის მოპოებისა ესრეთ ჯერ არს:

2. პირველად მოიპოვეთ ათ-ცამეტური ამ გვარად: შეადგინეთ დასაბამიდგან სოფლისა წელნი ვიდრე მდგომიარეს წლადმდე და ის შემდგარი მრთელი რიცხვი გაყავით არიფმეტიკულად ცხრამეტითა **(19)** და რაოდენიც რიცხვი ბოლოს დაგრჩეთ

3. ჩამოთვალეთ თავიდგან ზემოთ ნაჩვენები ათცამეტური და რომელსა ათცამეტურზედ გათავდეს თქვენი ბოლოს დარჩომილი რიცხვი, ის იქმნება იმ წლის ათ-ცხრამეტური. უკეთუ იყოს თქვენსგნით მოპოებული ათ-ცამეტური ოცზედ მეტი მაშინ სცანთ რომელ იგი არს **მარტის** თვის სათვალავი.

4. შემდეგ ამისა მოიპოვეთ **ჴ**ელთათი და თვის საძიებელითა **მარტის** თვის დადეგი დღე და იმ მოპოებულის დღიდგანა დასთვალეთ მარტის დღეები ვიდრემდისინ ათ-ცხრამეტურზედ მიხვიდოდეთ და რომელს დღეზედაც ათ-ცხრამეტური დასრულდეს იგი დღე იქმნება ურიათ პასექი

5. და იმ დღიდგან მომავალი კვირა დღე იქმნება ყოველთვის აუცილებლივ ჩვენი წმიდა აღდგომა.

კომენტარი:

I <u>ქვეფრაგმენტში</u> აღვსების, ანუ პასექის (აღდგომის დღის) გამოთვლის წესზეა საუბარი, რომელიც შემდგომ ქვეფრაგმენტებშია განხილული.

მე-2 <u>ქვეფრაგმენტში</u> ათ-ცამეტურის (მცხრალის, „საპასექო სავსემთვა-რობის“ - **Ps**) დადგენის მიზნით „მთვარის მოქცევის“ – **Lm** („ათ-ცხრამეტურის“) გამოთვლის სიტყვა-ფორმულაა მოცემული.

ამ სიტყვა-ფორმულას ბიზანტიური დასაბამისა **(5508)** და **1879** წლისათვის შემდეგი სახე ექნება:

$$Lm = \left|\frac{5508+N}{19}\right| = \left|\frac{5510-2+N}{19}\right| = \left|\frac{5510}{19}+\frac{N-2}{19}\right| = \left|\frac{N-2}{19}\right| = \left|\frac{1879-2}{19}\right| = 15$$

ამგვარად, **1879** წლისათვის „მთვარის მოქცევა“ („ათ-ცხრამეტური“) **Lm=15**.

მე-3 ქვეფრაგმენტში ათ-ცამეტურის მეშვეობით ათ-ცხრა-მეტურის მოძიებაზეა საუბარი, რაც აშკარა ცდომილებაა, რადგან სწორედ ათ-ცხრამეტურის მოშველიებით ხდება ათ-ცამეტურის დადგენა.

ამგვარად, რადგან **1879 წლის** „ათ-ცხრამეტური“, ანუ „მთვარის მოქცევა“ **Lm=15**, **№7** ცხრილიდან ვადგენთ, რომ „ათ-ცამეტური“, იგივე მცხრალი, ანუ „საპასექო სავსემთვარობა“ **Ps=29 მარტს** მოიწევა.

მე-4 ქვეფრაგმენტში **„ჴელთასა“** (X) და **„თვეთა საძიებელის“** (Ts) მეშვეობით მარტის **„თვის დადეგის“** (T_d) მოძიებაზეა საუბარი, ხოლო ამ უკანასკნელის მეშვეობით კი – იუდეველთა პასექის დადგენაზე.

რადგან გამოთვლები **1879 წლის 29 მარტს** მიემართება, თავდაპირველად **1879** წლის **„ჴელთა“** დავადგინოთ, რისთვისაც „მზის მოქცევა“ გამოვთვალოთ. როგორც ზემოთ ვნახეთ, **Mm=23** (იხ. ფორმულა **(4)**).

ახლა, თუ **23**-ის გადათვლას მარცხენა ხელის მტევნის საჩვენებელი თითის ძირიდან დავიწყებთ, მივალთ მარჯვენა ხელის მტევნის არა თითის ფალანგაზე, რომელსაც ციფრი **7** შეესაბამება (იხ. ხელის მტევნების სქემატური გამოსახულება), რაც იმას ნიშნავს, რომ **1879** წლის **„ჴელთა“** **7**-ის ტოლია (**X=7**).

ამდენად, რადგან მარტის თვისათვის **Ts=5** (იხ. „თვეთა საძიებელის“ (**Ts**) მნიშვნელობათა ცხრილი **№4**), ხოლო **1879** წლის **„ჴელთა“** **7**-ის ტოლია, **1879 წელს** მარტის თვე **ხუთშაბათი** დღით დაიწყება (ვინაიდან **X+Ts=7+5=12-7=5**, რაც **№5** ცხრილის მიხედვით ხუთშაბათ დღეს შეესაბამება).

მე-**4** ქვეფრაგმენტისათვის შეჯამებულად ვიტყვით:

ა) **1879** წლის **1** მარტი ხუთშაბათია;

ბ) შესაბამისად **1879** წლის **29** მარტიც ხუთშაბათია (იხ. ცხრილი **№9**);

გ) მაშასადამე, **1879 წლის** მცხრალი, იგივე „ათ-ცამეტური“ ანუ **„საპასექო სავსემთვარობა“ – Ps=29 მარტს, ხუთშაბათ** დღეს მოიწევა, რომელიც არის კიდეც „ურიათ პასექი“.

ცხრილი №9

შვიდეულის Dღეები	**1879 წლის მარტის თვის თარიღები (ძვ. სტ.)**				
ორშაბათი	–	5	12	19	26
სამშაბათი	–	6	13	20	27
ოთხშაბათი	–	7	14	21	28
ხუთშაბათი	1	8	15	22	29
პარასკევი	2	9	16	23	30
შაბათი	3	10	17	24	31
კვირა	4	11	18	25	–

მე-5 ქვეფრაგმენტში აღვსების (აღდგომის) დღის დადგენის საბოლოო გამოთვლაა მითითებული:

„და იმ დღიდგან მომავალი კვირა დღე იქმნება ყოველთვის აუცილებლივ ჩვენი წმიდა აღდგომა“.

„იმ დღეში“ – მცხრალი, იგივე „ათ-ცამეტური“ ანუ „საპასექო სავსემთვარობა“ (Ps) იგულისხმება, რომელიც **1978** წელს **29** მარტს, ხუთშაბათს მოიწევა.

ამდენად, ამ ხუთშაბათი დღის მომდევნო კვირა დღე (ძვ. სტ.) **1 აპრილი** იქნება, რაც **1879** წლის აღვსების ანუ აღდგომის დღის მაჩვენებელია!

მიღებული შედეგი შეგვიძლია ადვილად გადავამოწმოთ, რისთვისაც **№10** ცხრილის მონაცები გამოვიყენოთ (ზელინსკი **1978: 111**):

ცხრილი №10

		28-ზე გაყოფის ნაშთები														
		9	15	4	10	5	11	6	17	1	7	2	13	3	8	
		20	26	21	27	16	22	23	0	12	18	19	24	14	25	
19-ზე გაყოფის ნაშთები	15	24		23		22		28		27		26		25		მარტი
	4	24		23		29		28		27		26		25		
	12	31		30		29		28		27		26		25		
	1	31		30		29		28		27		26		1		აპრილი
	9	31		30		29		28		3		2		1		
	17	31		30		5		4		3		2		1		
	6	31		6		5		4		3		2		1		
	14	7		6		5		4		3		2		8		
	3	7		6		5		4		3		9		8		
	11	7		6		5		11		10		9		8		
	0	7		6		12		11		10		9		8		
	8	14		13		12		11		10		9		8		
	16	14		13		12		11		10		16		15		
	5	14		13		12		11		17		16		15		
	13	14		13		19		18		17		16		15		
	2	14		20		19		18		17		16		15		
	10	21		20		19		18		17		16		22		
	18	21		20		19		18		24		23		22		
	7	21		20		19		25		24		23		22		

შენიშვნა: ამ ცხრილით სარგებლობისას მოცემული კალენდარული წლის რიგითი ნომერი (N) **28**-ზე და **19**-ზე უნდა გაიყოს. **28**-ზე გაყოფის ნაშთები ზევით – ჰორიზონტალურ სვეტში უნდა ვეძიოთ, ხოლო **19**-ზე გაყოფის ნაშთები კი ცხრილის მარცხენა მხარეს – ვერტიკალურ სვეტში. მიღებული ამ ორი რიცხვის (ნაშთების) შემცველი ვერტიკალისა და ჰორიზონტალის გადაკვეთაზე მდებარე რიცხვი აღდგომის დღის მაჩვენებელი იქნება.

ამგვარად, რადგან **1978**-ის **28**-ზე გაყოფის ნაშთია **3** (1978:28=67×28+3), ხოლო **19**-ზე გაყოფის ნაშთი კი – **17** (1978:19=98×19+17), №10 ცხრილის მეშვეობით ირკვევა, რომ **1978 წელს აღდგომა (ძვ. სტ.) 1 აპრილს მოიწევა**.

ფრაგმენტი 22(19).

21(19) ფრაგმენტი **5** ქვეფრაგმენტად დავყოთ.

1. უკეთუ ათ-ცამეტური იყოს ოცზედ ნაკლები, მაშინ სცანთ, რომელ იგი არს სათვალავი **აპრილის** თვისა, რა საკვირველია აქ მოიპოებთ ჴელთათი და თვის საძიებელითა აპრილის დადეგის დღესა და იმ დღიდგან დასთვლით დღეებსა ვიდრემდის ათ-ცამეტურის რიცხვი შესრულდებოდეს და რომელს დღეზედაც ათ-ცამეტურის რიცხვი დასრულდება იგი დღე არს ურიათ პასექი და იმ დღიდგან მომავალი კვირა დღე მარადის იქმნების ჩვენი წმიდა **აღდგომა**.

2. მაგალითებრ: ამა **1879** წელსა დასაბამიდგან სოფლისა წელნი ამ მდგომიარეს წლადმდე რომ გავყოთ მთვარის მოქცევითა (**19**-თა) ბოლოს დაგვრჩება **15**, ეს იქმნება მეძიებელი ცამეტეულისა ანუ ზემოთ ნაჩვენების შემდეგისა და ამ თხუთმეტამდინ რომ ათ-ცამეტური ჩამოვთვალოთ თავიდგანა დაგვიხვდება **29**. მაშასადამე ამ მდგომიარეს წელს ათ-ცამეტური გვაქვს **29**. რასაკვირველია როგორც ზემოთ განვმარტე ეს **29** იქმნება მარტის თვის სათვალავი, რადგანაც ოცზედ მეტია.

3. ეხლა მოიპოვეთ მარტის დადეგის დღე ამ გვარად: ამ წელს ჴელთა გვაქვს **7** მარტის თვესაცა აქვს საძიებელი **5**. ეს ორი **7** და **5** შესდგების **12**, აქედგან გამოვრიცხოთ **7**, (რადგანაც მრთელ კვირას აქვს მხოლოთ **7** დღე) დაგვრჩება ისევ **5** მაშასადამე ამ წელს მარტი დადგება ხუთშაბათობითა.

4. ახლა ამ ხუთშაბათიდგან დავთვალოთ დღეები ვიდრე **29** ათ-ცამეტურამდე, სწორეთ დაგვხვდება დიდი ხუთშაბათი ვნების კვირიაკისა, რომელი დღეც იქმნების ურიათ პასექი

5. და ამ ხუთშაბათიდგან მომავალი კვირა დღე არის ჩვენი წმიდა **აღდგომა**. ამ მარტის **29** მოვიდა ხუთშაბათობით. **30** იქმნება პარასკეებსა **31** შაბათსა და კვირასაც იქმნება ჩვენი წმიდა აღდგომა, ესე იგი აპრილის **1**-სა, რადგანაც მარტის დღე **31** ზევით აღარ წავა.

კომენტარი:

I <u>ქვეფრაგმენტის</u> შინაარსი ჩვენს მიერ **21(18)** ფრაგმენტის მე-**2**, მე-**3** და მე-**4** ქვეფრაგმენტების კომენტირებისას ჩატარებული გამოთველების იდენტურია.

II, III, IV და V ქვეფრაგმენტებში განხილულია **1978** წლისათვის აღდგომის დღის გამოთვლის მაგალითი.

აღვნიშნავთ, რომ ეს გამოთვლები ჩვენ დეტალურად განვიხილეთ **21(18)** ფრაგმენტის მე-**2**, მე-**3** და მე-**4** ქვეფრაგმენტების კომენტირებისას.

და ბოლოს საგანგებოდ აღვნიშნავთ, რომ „საუკუნო კალენდარის“ **20, 22, 25 26, 27, 28, 29** და **30** ფრაგმენტები არ განგვიხილავს, რადგან არ არიან უშუალო კავშირში აღდგომის დღის დადგენასთან.

შემოკლებათა განმარტება

ბულგაკოვი 1993: Булгаков С. Настольная книга Священно-Церковно-служителя, т. I. Москва: Издательский отдел Московского Патриархата, 1993.

გუნია 2011: გუნია ბ. ლიტურგიკული შტუდიები I, საპასექო გამოთვლები „მცხეთის დავითნის“ **A-38** ხელნაწერის მიხედვით. თბილისი: თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პატრისტიკისა და დოგმატიკის კათედრის შრომები, მე-**3** გამოცემა, **2011**.

დამასკელი 2000: წმიდა იოანე დამასკელი. მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა (თარგმანი და შენიშვნები **ედიშერ ჭელიძისა**). თბილისი: თბილისის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა, **2000**.

ზელინსკი 1978: Зелинский А. Конструктивные принципы древнерусского календаря. КОНТЕКСТ 1978. Литературно-теоретические исследования Института мировой литературы им. А. М. Горького Академии наук СССР, выпуск 7, Москва 1978.

კალენდარი 1972: საქართველოს ეკლესიის კალენდარი. თბილისი: საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, **1972**.

კლიმიშინი 1985: Климишин Н. Календарь и хронология. Москва: издательство „Наука“, изд. 2-ое, 1985.

მატვეევი 1986: Матвеев А.Н. Механика и теория относительности. Москва: Издательство „Высшая школа“, 1986.

ნიკოლსკი 1995: Никольский К. Пособие к изучению Устава Богослужения Православной Церкви. Москва: Паломник - правило веры, 1995.

ჟამნი 1999: (საღვთისმსახურო წიგნი) ჟამნი. თბილისი: გამომცემელრედაქტორი დეკანოზი ზაქარია ძინძიბაძე, 1999.

ᲟᲣᲙᲝᲕᲘ 2000: Игумен Илия (Жуков). Пасха и пасхалия. Санкт-Петербург: издательство Виктора Немтинова в Санкт-Петербурге, 2000.

სამაგიდო....1983: Настольная книга Священнослужителя, т.IV. Москва: издание Московской Патриархии, 1983.

სერგი 1853: Архимандрит Сергий. Руководство к Пасхалии. Москва: Типография В Готье, 1853.

სოფრომაძე 1880: მღვდელი გაბრიელ სოფრომაძე. საუკუნო კალენდარი. თბილისი: მელიქიშვილის სტამბა, 1880.

შრომები 2014: საღვთისმეტყველო-სამეცნიერო შრომები V. თბილისის სასულიერო აკადემია. თბილისი: 2014.

ხარაძე 1991: ხარაძე ე. ასტრონომიის საფუძვლები ტ. I. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, მე-2 გამოცემა, 1991.

Archpriest Bidzina Gunia

Comments on Fragments of Paschal Work «Eternal Calendar»

In 1880 a booklet of paschal calculations named - **"Eternal Calendar"** was published in a publishing house located on Melikishvili street in Tbilisi. There is a right hand depicted (palm's side) on the front cover of the publication with the inscription "Khelta" (of hands) written from little finger to thumb. There is inscription below the depicted hand that the booklet "was compiled and first published by priest Gabriel Sopromadze serving at Kaloubani church in Tbilisi," followed by the epitaph: "Although the worker will die the work will remain as memory."

The abovementioned work is of scientific value and we think it's noteworthy to study it due to its originality. Namely, while determining paschal calendar characteristics the method of counting on finger bones of both hands is presented.

We need to mention that the text depicting paschal calculations is presented in the booklet logically inconsistently, therefore we review the fragments numbered by us in different sequence though indicate their original numbers for their identification after each of them in brackets.

For more clarity we'd like to add that if someone less knowledgeable in paschal calculations tries to grasp the essence of calculations regarding determination of the Easter date on the basis of the data given in "Eternal Calendar" it will be quite challenging for him. The thing is that the work does not consist of coherent teaching concerning the Paschalis. In that respect we can compare data of "Eternal Calendar" with the tip of the iceberg and imply theoretical aspects of paschal calculations in the subsurface part of the iceberg, which would clearly present the logical connection existing between presented calculations and their theoretical preconditions to readers.

In our article besides reviewing content of the fragments, we've set as our goal to adress this task as far as possible.

Note: In the presented article we refrained from reviewing the data of "big table" given in "Eternal Calendar" due to its large volume within the framework of one article.

ანტიკა

მღვდელი იოანე ბონდარენკო

იოანე სინელის «კლემაქსის» გელათური თარგმანის მეოთხე თავი: «მორჩილებისათჳს»

ღირსი იოანე სინელის «კლემაქსი» ანუ (პეტრიწის მიხედვით) «სათნოებათა კიბე» ქართულად, როგორც ცნობილია, პირველად წმინდა ექვთიმე (ეფთვიმე) ათონელის მიერ ითარგმნა ქართულად X ს-ის მიწურულს ან XI ს-ის I მეოთხედში. მეორე თარგმანი ამავე ძეგლისა XIII ს-ის მოღვაწის პეტრე გელათელის სახელს უკავშირდება*.

კ. კეკელიძე აღნიშნავს: „ერთადერთი შრომა პეტრესი, რომელსაც მისი სახელი აწერია, არის იოანე სინელის „კლემაქსისა“ ფოტის სქოლიოებითურთ (A 39). ... . თუმცა იოანე სინელის კლემაქსი ნათარგმნი იყო ექვთიმე ათონელის მიერ, მაგრამ ის ... მკითხველს არ აკმაყოფილებდა, ვინაიდან სიტყვა-სიტყვით კი არ იყო ნათარგმნი, არამედ ექვთიმესებურად, თავისუფლად

** ი. ლოლაშვილის მოსაზრებით, აღნიშნული „გელათური კლემაქსი“ თარგმნილია არა პეტრე გელათელის, არამედ იოანე პეტრიწის მიერ (იხ. იოანე პეტრიწი „სათნოებათა კიბე“ **1968.** გვ. **66-68**), თუმცა ეს ვარაუდი არ მართლდება (იხ. ე. ფელიძე, ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია, თბ. **1996**, გვ. **652** და შემდგ.).*

და მარტივად. ამიტომ პეტრეს კვლავ გადმოუთარგმნია იგი გელათში **«კიბე გელათს ნაგები»** და დედნად აუღია ისეთი რედაქცია, რომელსაც თანდართული ჰქონდა ფოტი პატრიარქის სქოლიოები“*.

ქვემოთ წარმოვადგენთ „გელათური კლემაქსის" **მეოთხე თავის** სრულ ტექსტს ბერძნულ ორიგინალთან ერთად, რომ მკითხველისთვის ცხადი გახდეს აღნიშნული თარგმანის რთული ტერმინთსტრუქტურის სახე და რაობა**.

---

* *კ.კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1960, გვ. 333-334.*

** *პეტრე გელათელის საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიის შეფასებ ის. ე. ფელიძე, დასახ. წიგნი, გვ. 652-674).*

მეოთხე აღსავალი
ნეტარისათჳს და მარადის-ჴსენებულისა
მორჩილებისა [დ]

მოსწრაფეთამი ნამდჳლვე ჩუენთა და ქრისტეს მოღუაწეთა, რომელთათჳს სიტყუაჲ კეთილ-დადებით მოიწია, ყოვლისა ვიდრემე რამეთუ ნაყოფისა წინა-ძღჳს ყუავილი, ხოლო ყოვლისა მორჩილებისა – უცხოებაჲ ანუთუ სხეულისაჲ გინა ნებისაჲ, ორთა რამეთუ ამათ შინა სათნოებათა, ვითარ ოქროჲსა ფრთეთა, მიერ ზეცად მიმართ უცონელად[1] აღვალს მორჩილებაჲ წმიდაჲ. და უკუე მისთჳს სადმე სულის-შემწყნარებელმან ვინმე იგალობა: „**ვინ მომცნეს ფრთენი ვითარ ტრედისანი, და ავფრინდე** საქმითისა მიერ **და განვისუენო** ხედვისა მიერ და სიმდაბლისა“[2].

ნუცაღა ამის სახესა, ჯერ არს თუ, მჴნეთა მბრძოლთასა თანა-წარვჰრბით[3] სიტყჳთ საცხადო-ქმნად, თუ ვითარ უპყრიეს ფარი ღმრთის-მიმართისა და გამომძრცუე[25r]ლის[4]-მიმართისა

ΛΟΓΟΣ Δ΄
Περὶ τῆς μακαρίας, καὶ ἀειμνήστου ὑπακοῆς.

1. Πρὸς τοὺς πύκτας ἡμῖν λοιπὸν, καὶ τοῦ Χριστοῦ ἀθλητὰς περιὼν ὁ λόγος εὐθέτως κατήντησεν. Παντὸς μὲν γὰρ καρποῦ προηγεῖται ἄνθος· πάσης δὲ ὑπακοῆς ξενιτεία, ἢ σώματος, ἢ θελήματος. Ἐν ταῖς δυσὶ γὰρ ταύταις ἀρεταῖς, ὥσπερ ἐν χρυσαῖς πτέρυξι πρὸς τὸν οὐρανὸν ἀόκνως ἀνέρχεται ἡ ὁσία. Καὶ ἴσως περὶ αὐτῆς πνευματοδόχος τις ἐμελῴδησε. Τίς δώσει μοι πτέρυγας ὡσεὶ περιστερᾶς, καὶ πετασθήσομαι διὰ πρακτικῆς, καὶ καταπαύσω διὰ θεωρίας καὶ ταπεινώσεως;

2. Μηδ’ αὐτὸ τὸ σχῆμα, εἰ δοκεῖ, τῶν ἀνδρείων τούτων πολεμιστῶν παραδράμωμεν τῷ λόγῳ κατάδηλον ποιήσασθαι, πῶς τε τὸν θυρεὸν κατέχουσι τῆς πρὸς τὸν Θεὸν καὶ πρὸς τὸν γυμναστὴν

სარწმუნოებისაჲ, თჳთ მის მიერვე, ვითარ სათქუმელ არს, ყოვლისა ურწმუნოებისა, გინა მიმოვლისა გულისსიტყჳსა განმგებელთა. მახჳლისაცა სულისასა აღმპყრობელთა სამარადისოდ, და ყოველსა თავთა თჳსთა ნებასა მახლობელად მათსა მომწყუედელთა რკინისაცა ჯაჭჳ-ჭურთა სიმშჳდისა და მოთმინებისა მიერ აღმქუსუველთა[5] და ყოველსა გინებისა და წერტასა და ისარსა თავთა თჳსთაგან ამათ მიერ უკუნ-მაქცეველთა ჰქონან და ჩაფხუტნიცა მაცხოვარებისანი წინამდგომელისა ლოცვისა-მიერი საფარველი, ხოლო მდგომარე არიან შეწყობილ-ფერჯად, არა ოდეს, არამედ რომლისამე მსახურებადმი განმმარტებელნი, ხოლო რომლისამე ლოცვისა ზედა სამარადისოჲსა შეუძრველად მქონებელნი.

მორჩილებაჲ არს უვარყოფა სულისაჲ თჳსისაჲ ყოვლითურთ, სხეულისა მიერ ზედ-ჩუენებელი განცხადებულად. გინა მებრ-და სხუებრცა, მორჩილებაჲ არს მოკუდინებაჲ ასოთაჲ ცხოვლობასა შინა გონებისასა. მორჩილებაჲ არს გამოუკითხველი მოძრავობაჲ, ნეფსით სიკუდილი, გამოუძიებელი ცხორებაჲ, უზრუნველი ღელვაჲ, დაუწერტელი ღმრთისა სიტყჳსგებაჲ, უშიშობაჲ სიკუდილისაჲ, უღელვოჲ ნავი, მძინარე გზის-მავალობაჲ. მორჩილებაჲ არს საფლავ

πίστεως, ἐν αὐτῷ ὡς εἰπεῖν πάντα ἀπιστίας ἢ μεταβάσεως λογισμὸν ἀπωθούμενοι, τήν τε μάχαιραν τοῦ πνεύματος ἀνατείνοντες διηνεκῶς, καὶ πᾶν ἑαυτῶν θέλημα πλησιάζον αὐτοῖς ἀποκτείνοντες, θώρακάς τε σιδηροῦς πραότητος, καὶ ὑπομονῆς ἠμφιεσμένοι, πᾶσαν ὕβριν καὶ κέντησιν, καὶ βολίδα ἑαυτῶν δι’ αὐτῶν ἀποκρουόμενοι· ἔχουσί τε καὶ περικεφάλαιον σωτηρίου τὴν τοῦ προεστῶτος δι’ εὐχῆς σκέπην. Ἵστανται δὲ σύμποδες οὐδ’ ὅλως, ἀλλὰ τὸ μὲν εἰς διακονίαν προτείνοντες, τὴν δὲ ἐπὶ προσευχὴν ἀκίνητον ἔχοντες.

3. Ὑπακοή ἐστιν ἄρνησις ψυχῆς οἰκείας παντελὴς διὰ σώματος ἐπιδεικνυμένη ἐνεργῶς. Ἢ τάχα τὸ ἔμπαλιν, ὑπακοή ἐστι· νέκρωσις μελῶν ἐν ζώσῃ διανοίᾳ. Ὑπακοή ἐστιν ἀνεξέταστος κίνησις, ἑκούσιος θάνατος, ἀπερίεργος ζωή, ἀμέριμνος κίνδυνος, ἀμελέγητος [ἀμελέτητος] Θεοῦ ἀπολογία· ἀφοβία θανάτου, ἀκίνδυνος πλοῦς, ὑπνοῦσα ὁδοιπορία. Ὑπακοή ἐστι μνῆμα

ნებისაჲ და აღდგომაჲ სიმ[25v]დაბლისაჲ. არა ნაცვალ-იტყჳს, გინა განსჯის მკუდარი კეთილთა შინა, გინა ბოროტ საგონებელთა, რამეთუ კეთილმსახურებით მომაკუდინებელმან სულისა თჳსისამან არა სიტყუა-უგოს. მორჩილებაჲ[6] არს გარდადებაჲ განმსჯელობითისაჲ სიმდიდრესა შინა განმსჯელობითისასა, დასაბამი ვიდრემე მოკუდინებისა ასოთაჲსა და სხეულისა და სულისაჲ, ნებისა ტკივილი, ხოლო სისაშოვლე[7] ოდესმე ვიდრემე ტკივილი, ხოლო ოდესმე უტკივარობაჲ, ხოლო დასასრულ უგრძნობელობაჲ მებრვე ყოველი და შეუძრველობაჲ ტკივილისაჲ. მაშინ მეტკივნეულე [იხილვების]* და მოწყლული ცხოველი მკუდარი ნეტარეული ესე, რაჟამს იხილოს თავი თჳსი თჳსისა მოქმედად ნებისა, შიშნეული დამოკიდებასა თჳსისა ბრალისასა.

რაოდენთა სტადიონისა მიმართ გონიერისა აღსაარებისაჲსა ჴელ-გიყოფიეს გამოძრცუად, რაოდენთა უღლისა ქრისტესისა თჳსთა ზედა ქედთა აღებად გნებავს, რაოდენნი ამისგან თჳსისა ტჳრთისა ქედსა სხჳსასა ზედა-დადებად ისწრაფით, რაოდენნი თჳსთა სასყიდელთა აღწერად ნეფსით მოსწრაფე ხართ და ნაცვალად

* *აღდგენილია ბერძნულის მიხედვით (*πονῶν **ὁρᾶται***).*

Θελήσεως, καὶ ἔγερσις ταπεινώσεως· οὐκ ἀντερεῖ, ἢ διακρίνει νεκρὸς ἐν ἀγαθοῖς, ἢ τὸ δοκεῖν πονηροῖς. Ὁ γὰρ Θανατώσας αὐτοῦ εὐσεβῶς τὴν ψυχὴν, ὑπὲρ πάντων ἀπολογήσεται. Ὑπακοή ἐστιν ἀπόΘεσις διακρίσεως ἐν πλούτῳ διακρίσεως, 4. ἀρχὴ μὲν νεκρώσεως, καὶ ψυχῆς Θελήματος, καὶ μέλους σώματος πόνος· μεσότης δέ ποτε μὲν πόνος, ποτὲ δὲ ἀπονία· τέλος δὲ ἀναισΘησία λοιπὸν πᾶσα, καὶ ἀκινησία πόνου· τότε πονῶν ὁρᾶται, καὶ ἀλγυνόμενος ὁ ζῶν νεκρὸς οὗτος ὁ μακαρίτης, ὅταν ἑαυτὸν ὄψεται τὸ οἰκεῖον ποιοῦντα Θέλημα, δεδοικότα τὴν βασταγὴν τοῦ ἑαυτοῦ κρίματος.

5. Ὅσοι πρὸς τὸ στάδιον τῆς νοερᾶς ὁμολογίας ἐπεχειρήσατε ἀποδύσασΘαι· ὅσοι τὸν τοῦ Χριστοῦ ζυγὸν ἐπὶ τὸν οἰκεῖον αὐχένα ἆραι βούλεσΘε· ὅσοι ἐκ τούτου τὸ ἑαυτῶν φορτίον ἐπὶ τὸν τοῦ ἑτέρου τράχηλον ἐπιΘεῖναι σπουδάζετε· ὅσοι τὰς ἑαυτῶν ὠνὰς γράψαι ἑκουσίως σπεύδετε, καὶ ἀντ’

მათსა თავისუფლების-დაწერად თქუენდა გნებავს. რაოდენთა ჴელითა სხუათაჲთა აღმაღლებულთა ცურვად დიდისა ამის ზღჳსა და განწიაღებად[8] ხართ, მსწრაფლისა რაჲსმე და ფიცხლი[26r]სა გზისა მავალობად ჴელ-გიყოფიეს, ერთისა და მხოლოჲსა საცთურისა მის შორის მომგებელისა, ხოლო იწოდების იგი თჳთ-სჯულობად, ვინაჲ ამისი ყოვლითურთ უვარის-მყოფელი კეთილთა, რომელთა შინა ყოფად ჰგონებს და სულიერთაცა და ღმრთისსათნოთა პირველ სლვისა მიწევნულ არს, რამეთუ მორჩილებაჲ არს ურწმუნოებაჲ თავისა თჳსისაჲ კეთილთა შინა ყოველთა ვიდრე აღსრულებადმდე ცხორებისა.

მგულებელთა უფლისა მიერ თჳსთა მოდრეკად ქედთა განზრახვითა ვიდრემე და სიტყჳთა სიმდაბლისაჲთა და საკუთრებით მცხორებისა სხჳსა რწმუნებად უფლისა მიერ, პირველ შესვლისა ვიდრემე, არს თუ რაჲმე ტკივნეულობაჲ და გონიერებაჲ ჩუენ შორის მყოფი, მმართებელი განვიკითხოთ და გამოვიწულილოთ, რაჲთა ესრეთ ვთქუა და განვცადოთცა რაჲთა არა ნავტისამი, ვითარცა მმართებელისა, და სნეულისამი, ვითარ მკურნალისა, და ვნების-შინაჲსამი, ვითარ უვნებელისა, და პელაღონისამი, ვითარცა

ἐκείνων ἐλευθερίαν γραφῆναι ὑμῖν βούλεσθε· ὅσοι χερσὶν ἑτέρων ἀνυψούμενοι νηχόμενοι τὸ μέγα τοῦτο περαιοῦσθε πέλαγος, γνῶτε ὡς σύντομόν τινα, καὶ τραχεῖαν ὁδὸν βαδίζειν ἐπεχειρήσατε, μίαν πλάνην καὶ μόνην ἐν αὐτῇ κεκτημένοι, αὕτη δὲ καλεῖται ἰδιορυθμία· ὁ γὰρ ταύτην εἰς ἅπαν ἀπαρνησάμενος, ἐν οἷς δοκεῖ εἶναι καλοῖς, καὶ πνευματικοῖς, καὶ θεαρέστοις πρὸτοῦ βαδίζειν ἔφθασεν. Ὑπακοὴ γάρ ἐστιν ἀπιστία ἑαυτῷ ἐν τοῖς καλοῖς ἅπασι μέχρι τέλους ζωῆς.

6. Μέλλοντες ἐν Κυρίῳ τὸν ἑαυτῶν αὐχένα κλίνειν, σκοπῷ μὲν καὶ λόγῳ ταπεινοφροσύνης, καὶ κυρίως τὴν ἡμῶν σωτηρίαν ἑτέρῳ, ἐν Κυρίῳ πιστεύειν· πρὸ μὲν τῆς εἰσόδου, εἴπερ τις πονηρία, καὶ φρόνησις παρ’ ἡμῖν τυγχάνει, τὸν κυβερνήτην ἀνακρίνωμεν, καὶ ἐξετάσωμεν, καὶ, ἵν’ οὕτως εἴπω, πειράσωμεν, ἵνα μὴ τῷ ναύτῃ ὡς κυβερνήτῃ, καὶ τῷ νοσοῦντι ὡς ἰατρῷ, καὶ τῷ ἐμπαθεῖ ὡς ἀπαθεῖ, καὶ τῷ πελάγει ὡς

ლიმენისა, მიერ შთავრდომილთა მზად უპოოთ თავთა თჳსთა ნავ-
დანთქმულებაჲ. ხოლო შემდგომად სტადიონის-შინაჲსა ნამდჳლვე
კეთილ-მოსავობისა და დამორჩილებისაჲსა შესვლისა, ნუ მერმეცა
კეთილსა ჩუენსა ღუაწლის-დამდებელსა რასავე შინა ყოვლად
ყოვლითურთ განვიკითხავთ, დაღათუ რაჲცა მის შორის, ვითარცა
კაცისა შორის, ნუუკუე მერმეცა მცირედი [26v] ნაცოდავი ვიხილოთ,
ხოლო უკუეთუ არა, [არა]რაჲ დამორჩილებისაგან განმკითხველთა
სარგებელ-ვყოთ.

საჭიროობაჲ არს ყოველი მნებებელთად ზედამდგომელ[თ]ჲსა[9]
სარწმუნოებისა შეუორგულებელისა სამარადისოდ პყრობად და
ამათთა წარმართებათა გულთა შინა თჳსთა აღუჯოცელად დაც-
ვად, რაჲთა ოდეს ეშმაკთა ჩუენ ურწმუნოებაჲ მათდა მიმართი
დაგჳთესონ ჩუენ შორის ჯსენებულთაგან პირ-დაყოფილ ვყვნეთ
იგინი რამეთუ რაოდენ სარწმუნოებაჲ ყუავილოვნობს გულსა შინა,
ესოდენ სხეულიცა ისწრაფის მსახურებასა შინა, ხოლო ვინაჲთგან
ურწმუნოებადმი შეუბრკუმეს, დაეცა: **„ნამდჳლვე რამეთუ, რომე-
ლი არა სარწმუნოებისაგან, ცოდვა არს“**[10].

λιμένι περιπεσόντες, ἕτοιμον ἑαυτῆς εὑρήσωμεν ναυάγιον. Μετὰ δὲ τὴν ἐν τῷ σταδίῳ λοιπὸν τῆς εὐσεβείας, καὶ ὑποταγῆς εἴσοδον, μηκέτι τὸν καλὸν ἡμῶν ἀγωνοθέτην ἔν τινι τὸ σύνολον ἀνακρίνωμεν, κἄν τινα ἐν αὐτῷ ὡς ἐν ἀνθρώπῳ ἴσως ἔτι βραχέα πλημμελήματα θεασώμεθα. Εἰ δὲ μὴ, οὐδὲν ἐκ τῆς ὑποταγῆς οἱ ἀνακρίνοντες ὠφελούμεθα.

7. Ἀνάγκη πᾶσα τοὺς βουλομένους ἐν τοῖς ἐπιστατοῦσι πίστιν ἀδίστακτον διὰ παντὸς κατέχειν, τὰ τούτων κατορθώματα ἐν τῇ αὐτῶν καρδίᾳ ἀνεξάλειπτα, καὶ ἀείμνηστα φυλάττειν, ἵνα ὅτε οἱ δαίμονες ἡμῖν ἀπιστίαν πρὸς αὐτοὺς σπείρωσιν, ἐκ τῶν ἐν ἡμῖν μνημονευομένων ἀποφιμώσωμεν. Καθόσον γὰρ ἡ πίστις θάλλει ἐν τῇ καρδίᾳ, κατὰ τοσοῦτον καὶ τὸ σῶμα σπεύδει ἐν τῇ διακονίᾳ. Ἐπὰν δὲ εἰς ἀπιστίαν προσκόψῃ, ἔπεσε· Πάντως γὰρ ὃ οὐκ ἐκ πίστεως, ἁμαρτία ἐστίν.

რაჟამს შენ გულისსიტყუამან შენმან განკითხვაჲ ანუ დასჯაჲ წინამძღუანველისაჲ მოგივლინოს, ვითარცა სიძვისაგან განვლდი, ნუცაღა ყოვლად მისცემ გუელსა ამისსა მოცალებასა, ნუ ადგილსა, ნუ შესავალსა, ნუ დასაბამსა, არამედ ჴმობდ ვეშაპისა მიმართ: „ჰოჲ საცთურო არა მე მთავრისაჲ, არამედ მან ჩემი შეიწყნარა ბრალი, არა მე მისსა, არამედ იგი ჩემდა მსაჯულად დადგა“.

საჭურველად[11] ვიდრემე მამანი ფსალმუნებასა, ხოლო ლოცვასა ზღუდედ და საბანელად ყოფად უბიწოსა ცრემლსა განასაზღვრებენ, ხოლო ნეტარი მორჩილებაჲ აღსაარებად საჯეს, რომლისა თჳნიერ არავინ ვნების-შინათაჲ იხილავს ღმერთსა არასადა.

დამორჩილებული[12] თჳთ სჯულსა თავით თჳსით გამოიღებს, უკუეთუ უფლისთჳს ვიდრემე სრულიად მორჩილ[27г]-იქმნეს, დაღაცათუ არა ჰგონებდეს სრულიად, თავსა თჳსსა ბრალი განუძარცჳს, ხოლო უკუეთუ თავისა თჳსისა ნებაჲ რასაცა შინა აღასრულოს, დაღათუ ჰგონებდესცა [მორჩილებად]*, მას თავისა თჳსისა ტჳრთი ზედ-მოაქუს. ვინაჲთგან[13] უკუე ვიდრემე და მხილებათაგანცა

* *აღდგენილია ბერძნულის მიხედვით (*δόξει **ὑπακούειν***).*

8. Ἐπάν σε ὁ λογισμὸς ἀνακρῖναι, ἢ κατακρῖναι τὸν προηγούμενον ὑποβάλλῃ, ὡς ἀπὸ πορνείας ἀποπήδησον· μηδ’ ὅλως τῷ ὄφει τούτῳ παράσχῃς ἄδειαν· μὴ τόπον, μὴ εἴσοδον, μὴ ἀρχήν. Φθέγγου δὲ πρὸς τὸν δράκοντα· Ὦ ἀπατεών· οὐκ ἐγὼ τοῦ ἄρχοντος, ἀλλ’ αὐτὸς τὸ ἐμὸν κρῖμα ἀνεδέξατο· οὐκ ἐγὼ ἐκείνου, ἀλλ’ αὐτὸς ἐμοῦ κριτὴς καθέστηκεν.

9. Ὅπλον μὲν οἱ Πατέρες τὴν ψαλμῳδίαν, τὴν δὲ προσευχὴν τεῖχος, λουτῆρα δὲ τὸ ἄμωμον δάκρυον εἶναι ὁρίζονται· τὴν δὲ μακαρίαν ὑπακοὴν ὁμολογίαν ἔκριναν, ἧς χωρὶς οὐδεὶς τῶν ἐμπαθῶν ὄψεται τὸν Κύριον·

10. ὁ ὑποτακτικὸς αὐτὸς τὴν ψῆφον καθ’ ἑαυτοῦ ἐκφέρει εἰ μὲν *(განსხვავებული წაკითხვა cod. A: γὰρ)* διὰ Κύριον τελείως ὑπακούσει, εἰ καὶ μὴ δόξει τελείως, τὸ ἑαυτοῦ κρῖμα ἐξεδύσατο. Εἰ δὲ τὸ ἑαυτοῦ ἔν τισιν ἐκπληροῖ θέλημα, ἢ καὶ δόξει ὑπακούειν, αὐτὸς τὸ φορτίον ἐπιφέρεται· εἰ μέντοι αὐτὸν ἐλέγχων

მისდამი პირველ-მდგომი არა დასცხრა, ხოლო უკუეთუ დაიდუმა, რაჲსავე თქუმად არა მაქუს.

სიმარტივით[14] დამორჩილებულნი უფლისა მიერ კეთილსა სარგებელსა წიაღვლენ, არა აღმძრველნი თავთა თჳსთა გამომწულილველობისა მიერ ეშმაკთა მანქანებასა.

პირველ ყოველთაჲსა აღუვარებდეთ კეთილსა ჩუენსა მსაჯულსა და მხოლოსა, ხოლო ბრძანოს თუ, და ყოველთაცა რამეთუ წყლულნი საანჯმნო-ქმნილნი არა-წარემართნენ უძჯრესისამი, არამედ განიკურნნენ. საშინელ სადმე მისრულმან ზოგადცხორებულთამი კეთილისა მსაჯულისა და მწყემსისაჲ ვიხილე სამსჯავროჲ.

დაემთხჯა რამეთუ მყოფობასა ჩემსა მუნ ვისიმე ავაზაკთწესისგანისაჲ სამონაზუნოჲსამო მოსლვაჲ მოქალაქობისა, რომელსა რჩეულმან მწყემსმან და მკურნალმან მან უბრძანა დღეთა შორის შჳდთა განსუენებისა მიღებაჲ ყოვლისაჲ მხედველობისა-ძლით მხოლოჲსა ადგილის-შინაჲსა ქცევისა. შემდგომად უკუე[15] მეშჳდისა მომწოდებელი მისი თჳსად ჰკითხვიდა მწყემსი,

ὁ προεστὼς οὐκ ἐπαύσατο, εὖ ἂν ἔχοι· εἰ δὲ σεσιώπηκε, τί λέγειν οὐκ ἔχω.

11. Οἱ ἐν ἁπλότητι ὑποτασσόμενοι ἐν Κυρίῳ καλὸν δρόμον περαιοῦσι [cod. A. περαιοῦνται], μὴ κεκινηκότες ἑαυτοῖς δι’ ἀκριβολογίαν τὴν τῶν δαιμόνων πανουργίαν.

12. Πρὸ πάντων ἐξομολογησώμεθα τῷ καλῷ ἡμῶν δικαστῇ καὶ μόνῳ, εἰ δὲ κελεύει καὶ πᾶσι· μώλωπες γὰρ θριαμβευόμενοι, οὐ προκόψουσιν ἐπὶ τὸ χεῖρον, ἀλλ’ ἰαθήσονται. Φοβερόν που παραγενόμενος ἐν κοινοβίῳ καλοῦ κριτοῦ, καὶ ποιμένος ἑώρακα κριτήριον.

13. Τετύχηκε γάρ μου ἐκεῖσε ὑπάρχοντος, τινὰ ἐκ λῃστρικῆς τάξεως τῇ μοναδικῇ προσελθεῖν πολιτείᾳ, ὃν ὁ ἄριστος ἐκεῖνος ποιμὴν, καὶ ἰατρὸς ἐκέλευσεν ἐπὶ ἡμέρας ἑπτὰ ἀναπαύσεως ἁπάσης ἀπολαῦσαι πρὸς θεωρίαν καὶ μόνην τῆς ἐν τόπῳ καταστάσεως. Μετὰ οὖν τὴν ἑβδόμην προσκαλεσάμενος αὐτὸν κατ’ ἰδίαν ὁ ποιμὴν

უკუეთუ სათნო არსა მისსა თანა-მკჳდრობისა [27v] მათ თანა მოქმედებად, ხოლო ვითარ თანა-დამდებელად იხილა იგი ყოვლისა მიერ წადიერებისა, კუალად ჰკითხვიდა, რაჲ მის მიერ უადგილოჲ სოფელსა შინა მოქმედებულ არს, ვინაჲ იხილა რაჲ იგი სიტყჳსავე თანა ყოველთა გულსმოდგინებით აღმსაარებელად, კუალად მისისამი განმცდელი იტყოდა: „მნებავს შენი მეტყუელი, ყოვლისა ზედა ძმობისა საანჯმნო ქმნად ამათდა“. ხოლო ნამდჳლვე ცოდვისა თჳსისა მომძულებელმან მან და სირცხჳლისა ყოვლისა შეურაცხის-მყოფელმან შეუორგულებელად აღუთქუა: „და უკუეთუ გნებავს მეტყუელმან საშუალისაცა შორის ქალაქისა ალექსანდრეაჲსა“. ვინაჲცა შეჰკრებს მწყემსი ეკკლესიისა შორის ყოველთა ცხოვართა რიცხჳთ ორას[16] ოცდაათთა და საღმრთოჲსა შემოკრებისა სრულქმნასა რამეთუ იყო საუფლოჲ დღეთაჲ. შემდგომად სრულქმნისა სახარებისა შემოიყვანებს, ნამდჳლვე უბრალოსა მას დასჯილსა. ძმათა ვიეთმე მიერ-ზიდულსა და ზომიერადცემულსა, ჯელითაცა მართლ-უკუნ შეკრულსა და ფლასისა

* *ე. ი. მოკვდომად.*

შემდგომად სიკუდილისაცა აჩუენებდა მორჩილებასა და თქუა დიდისა მიმართ: „ვითარ, მამაო, კაცისა მორჩილების-მუშაკისა სიკუდილი შესაძლებ[49v]ელ?“ მაშინ ბერი, პირველ ზედამდგომელი მისი, შიშნეულ-ქმნილი პირსა ზედა ცრემლთა-თანა დავარდა და მთხოელი წინამძღურისაგან ლავრისა მახლობელად საჯსენოჲსა კელლინისაჲ ნამდჳლვე გონიერებით ცხონდა მუნ მეტყუელი სამარადისოდ მამათა, ვითარმედ: „მკლველობაჲ ვყავ“. საგონებელ არს ჩემდა, მამაო იოანნი, დიდისა[86] ამის ყოფად იოანნისა მეტყუელისა მკუდრისა მიმართ.

და რამეთუ სხუასაცა მე ნეტარი სული მისი, ვითარცა სხჳსა ვისთჳსმე, მომითხრობდა, გარნა თჳთ იგი იყო, ვითარცა უკუანაჲსკნელ გამოწულილვით შეუძლე სწავლად. რამეთუ „დაემოწაფა ვინმეო, – იტყოდა[87], – სხუაჲ მისვე მონასტირსა შორის ასიას შინა მონაზონსა ვისმე მშჳდსა ყოვლად და სახიერსა და მყუდროსა. და მხედველი თავისა თჳსისაჲ ბერისა მიერ პატივცემულად და ზრუნვილად განიხილავს კეთილად, რომელი მრავალთადა საცთომელ, და ევედრების ბერსა [+Gr: განტევებად მისსა]*, აქუნდა რამეთუ და სხუაჲცა

* *შდრ.* ἀπολῦσαι αὐτόν.

καὶ μετὰ θάνατον ὑπακοὴν ἐνδεικνύμενος, ἀπεκρίνατο πρὸς τὸν μέγαν· Πῶς, Πάτερ, ἀποθανεῖν δυνατὸν ἄνθρωπον ὑπακοῆς ἐργάτην; Τότε ὁ γέρων ὁ πρώην αὐτοῦ ἐπιστάτης, ἔμφοβος γενόμενος, ἐπὶ πρόσωπον σὺν δάκρυσι ἔπεσε, καὶ αἰτησάμενος τὸν τῆς λαύρας ἡγούμενον πλησίον τοῦ μνήματος κελλίον, ἐκεῖ σωφρόνως λοιπὸν ἔζησε, λέγων ἀεὶ τοῖς Πατράσιν, ὅτι Φόνον πεποίηκα. Ἐμοὶ δοκεῖ, Πάτερ Ἰωάννη, τὸν μέγαν τοῦτον Ἰωάννην εἶναι τὸν τῷ νεκρῷ λαλήσαντα.

121. Καὶ ἕτερον γάρ μοι ὡς περὶ ἄλλου τινὸς διηγήσατο ἡ μακαρία αὐτοῦ ψυχή· ἦν δὲ αὐτὸς, ὡς ὕστερον ἀκριβῶς μαθεῖν ἠδυνήθην. Ἐμαθήτευσε, φησὶν, ἕτερός τις ἐν τῇ αὐτῇ μονῇ τῆς Ἀσίας μοναχῷ τινι πράῳ καὶ ἐπιεικεῖ, καὶ ἡσυχίῳ· καὶ ὁρῶν ἑαυτὸν ὑπὸ τοῦ γέροντος ὡς τιμώμενον καὶ περιφρονούμενον, σκέπτεται καλῶς ὅπερ πολλοῖς σφαλερὸν, καὶ δυσωπεῖ τὸν γέροντα ἀπολῦσαι αὐτόν. Εἶχε γὰρ καὶ ἕτερον

თანა-მოწაფე, და არა მრავალ-საჭირველ იყო ქმნილი იგი. და გა-
მოვალს მისგან და დაადგინებს თავსა თჳსსა ეპისტოლისა მიერ
ზედამდგომელისაჲსა ზოგად-ცხორებულთასა შორის პონტოს შინა.
და პირველსა ვიდრემე ღამესა, რომელსა შინა ზოგად-ცხორებულთასა
შორის შევიდა, ხედავს თავსა თჳსსა ძილთა შინა ვიეთმე მიერ
სიტყჳს-დადებულად და შემდგომად სრულქმნისა ნამდჳლვე უსა-
შინელესისა მის სიტყჳს-დადებისა ნა**[50r]**კლულევანადცა თავსა
თჳსსა და თანა-მდებად ოქროჲსა ლიტრათა ასთა. განღჳძებულმან
უკუე განბჭო ხილული და თქუა: „მდაბალო ანტიოქე (რამეთუ ესე
იყოო სახელ მისსა) ნამდჳლვე მრავლად ვნაკლულევანებთ თანა-
ნადებისა ჩუენისა“. „დავადგერ რაჲ უკუეო, – იტყოდა, – ზოგად-
ცხორებულთასა შინა წელთა სამთა განუკითხველსა შინა მორჩი-
ლებასა, ყოველთა მიერ, ვითარცა უცხოჲ, შეურაცხქმნილი და ჭირ-
ვებული (რამეთუ არცაღა იყო მუნ სხუაჲ მონაზონი უცხოჲ), ვხე-
დევდ ვისმე კუალად ძილთა შინა მომცემელსა ჩემდა აღმოსაჩე-
ნისასა[88] ლიტრათა ათთა თანანადებისა ჩემისათა. ვინაჲ განღჳძებულ-
მან ვიცან სახილავი და ვთქუ: «ჯერეთ ათნია და ოდეს-მე სრულ-
ქმნად მეგულვების?» მაშინ ვეტყოდე თავსა თჳსსა: «მდაბალო ანტი-

μαθητὴν, καὶ οὐ πάνυ ἦν τὸ γινόμενον λυπηρόν. Ἐξέρχεται οὖν
ἐξ αὐτοῦ καὶ καθιστᾷ ἑαυτὸν δι’ ἐπιστολῆς τοῦ ἐπιστάτου ἔν
τινι τῶν κατὰ τὸν Πόντον κοινοβίων· καὶ τῇ πρώτῃ νυκτὶ, καθ’
ἣν εἰσῆλθεν εἰς τὸ κοινόβιον, ὁρᾷ κατὰ τοὺς ὕπνους ἑαυτὸν
ὑπό τινων λογοθετούμενον, καὶ μετὰ τὸ τέλος τοῦ φοβερωτάτου
ἐκείνου λογοθεσίου, λοιπαζόμενον καὶ χρεωστοῦντα χρυσίου
λίτρας ἑκατόν. Διυπνισθεὶς οὖν ἔκρινε τὸ ὁραθὲν, καὶ εἶπε·
Ταπεινὲ Ἀντίοχε (τοῦτο γὰρ ἦν ὄνομα αὐτῷ), ὄντως πολλὰ
λοιπαζόμεθα τοῦ χρέους ἡμῶν. Ὡς οὖν ἔμεινα, φησὶν, ἐν τῷ
κοινοβίῳ χρόνους τρεῖς ἐν ἀδιακρίτῳ ὑπακοῇ, ὑπὸ πάντων
ὡς ξένος εὐτελιζόμενος καὶ θλιβόμενος (οὐ γὰρ ἦν ἐκεῖσε
ἄλλος μοναχὸς ξένος), θεωρῶ πάλιν κατὰ τοὺς ὕπνους τινὰ
δόντα μοι ἀπόδειξιν δέκα λιτρῶν τοῦ χρέους μου. Διυπνισθεὶς
οὖν, ἔγνων τὸ ὅραμα, καὶ λέγω· Ἀκμὴν δέκα, καὶ πότε ἄρα
μέλλω ἀποπληρῶσαι;Τότε λέγω ἐμαυτῷ· Ταπεινὲ Ἀντίοχε,

ოქე, უმეტესისა შრომითა და უპატივოებისა არს საჯმარებაჲ». მიერითგან ნამდჳლვე ვიწყე ჩემებად განლიგებულობისა[89] არა ვინაჲვე დაცადებულმან მსახურებისაგან ყოვლითურთ, სადაჲთ-იგი მხედველნი ჩემნი ესევითარსა შინა წესსა და გულსმოდგინებასა მამანი უწყალონი, ყოველთავე უმძიმესთა საქმეთა მონასტრისათა ზედდამიწესებდეს მე. ზედ-დადგრომილმან უკუე ესევითარსა შინა ქცევასა წელთა ათსამმეტთა **[50r]** ვიხილენ პირველმოსრულნი და სრულიადისა უზრუნველობისა დამწერელნი ჩემდა თანანადებისანი. ვინაჲთგან უკუე რაოდენ მაჭირვებდეს მე მონასტრისანი იგი, მომჯსენებელი თანანადებისა ჩემისაჲ, მოვითმენდ სიმჯნით“. ამათ მე ყოვლადბრძენი იოანნი, მამაო იოანნი, ვითარცა რაჲ პირისაგან ვინაჲვე სხჯსა მომითხრობდა, რომლისათჯს და თავსაცა თჯსსა ანტიოხოს გარდაასახელა, გარნა თჯთ ესე იყო **[+Gr:** ჭეშმარიტად**]** ჯელითწერილისა მოთმინებისა მიერ განმხეთქელი სიმჯნით.

ხოლო და ვითარი იქმნა განმსჯელობითებრი წმიდაჲ ესე, მწუერვალობისაგან მორჩილებისა ვისმინოთ. ამისსა ვითარ-იგი იყო მონასტირსა შინა წმიდისა საბაჲსსა, მოვიდეს ჭაბუკნი მონაზონნი სამნი

περισσοτέρου κόπου καὶ ἀτιμίας χρεία· ἐκ τότε οὖν ἠρξάμην τὸν ἔξηχον ὑποκρίνεσθαι μὴ μέντοι ἀργῶν τῆς διακονίας τὸ σύνολον· ὅθεν ὁρῶντές με ἐν τῇ αὐτῇ τάξει καὶ προθυμίᾳ οἱ ἀνελεήμονες Πατέρες, πάντα τὰ τῆς μονῆς μοι βαρέα ἔργα ἐπέταττον. Ἐπιμείνας οὖν τῇ τοιαύτῃ διαγωγῇ ἐπὶ δεκατρία ἔτη, εἶδον τοὺς πρώην ὀφθέντας μοι ἐλθόντας αὖθις, καὶ τελείαν ἀμεριμνίαν τοῦ χρέους μοι γράψαντας. Ὅτε οὖν εἰ ἔθλιβόν με, τῆς μονῆς ἔν τινι τοῦ χρέους μου ὑπομιμνησκόμενος, γενναίως ὑπέφερον, ταῦτά μοι ὁ πάνσοφος Ἰωάννης, Πάτερ Ἰωάννη, ὡς ἐκ προσώπου δῆθεν ἄλλου διηγήσατο· διὸ καὶ Ἀντίοχον ἑαυτὸν μετωνόμασεν. Οὗτος δὲ ἦν ὡς ἀληθῶς ὁ τὸ χειρόγραφον δι’ ὑπομονῆς διαῤῥήξας γενναίως·

122. οἷος δὲ καὶ γέγονε διακριτικὸς ὁ ὅσιος ἐκ τῆς ἄκρας αὐτοῦ ὑπακοῆς, ἀκούσωμεν. Καθεζομένῳ τούτῳ ἐν τῇ μονῇ τοῦ ἁγίου Σάββα προσῆλθον τρεῖς νεώτεροι μοναχοὶ

დამოწაფებად მნებებელნი მისნი, რომელთა მსტუმრებელმან შეიწყნარნა თჳს-შორის მხიარულებით, შრომასა მოგზაურობისასა აღსუბუქებად მნებებელმან. შემდგომად უკუე მესამისა დღეთაჲსა ეტყჳს მათ ბერი: „უწყი, ძმანო, რამეთუ კაცი მე მეძავი ვარ და ვერ ძალმიც შეწყნარებად ვისსამე თქუენგანისა". ხოლო იგინი არა დაჰბრკოლდეს, უწყოდეს რამეთუ მოქმედებაჲ ბერისაჲ. ვითარ უკუე ყოვლად მრავლად მვედრებელთა ბერისათა რწმუნებად მისსა ვერ შეუძლეს ყოვლითურთ, მერმე დაყარნეს თავნი თჳსნი ფერჴთამი მისთა მვედრე[51r]ბელთა განკანონებადღა სადმე მის მიერ, ვითარ და სადა დაჯდომად თანა-ედვა. რწმუნებული უკუე ბერი და მცნობელი, ვითარმედ სიმდაბლისა-თანა და მორჩილებისა შეიწყნარებენ, ეტყჳს ერთსა: „ჰნებავს შენი უფალსა, შვილო, სამყუდროოსა შინა ადგილსა მამისა თანა დამორჩილებისა შორის დაჯდომად". ეტყჳს და მეორესაცა: „წარსრულმან **განყიდე ნებაჲ შენი და მიეც ღმერთსა** და აღიღე ჯუარი შენი და ითმენდ ზოგად-ცხორებულთასა შინა და შესაკრებელსა ძმათასა და ნამდჳლვე გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა“. მერმეცა უკუე ეტყჳს მესამესაცა: „აღიღე მშჳნვისა-თანა შენისა

μαθητεῦσαι αὐτῷ βουλόμενοι· οὓς ὑποδεξάμενος παραυτίκα ἐφιλοξένησεν, ἀσμένως τῶν τῆς ὁδοιπορίας κόπω ἀναψύξαι βουλόμενος. Μετὰ τρίτην οὖν ἡμέραν λέγει αὐτοῖς ὁ γέρων· Φύσει, ἀδελφοὶ, ἄνθρωπος πόρνος εἰμὶ, καὶ οὐ δύναμαι δέξασθαί τινας ἐξ ὑμῶν. Ἐκεῖνοι δὲ οὐκ ἐσκανδαλίσθησαν· ἐγίνωσκον γὰρ τὴν ἐργασίαν τοῦ γέροντος. Ὡς οὖν πολλὰ παρακαλέσαντες αὐτὸν, πεῖσαι ὅλως οὐκ ἴσχυσαν, τότε ῥίπτουσιν ἑαυτοὺς εἰς τοὺς πόδας αὐτοῦ· δυσωποῦντες κἂν κανονισθῆναι παρ’ αὐτοῦ, ὅπως τε καὶ ὅπου καθίσαι ὀφείλουσιν. Εἴξας οὖν ὁ γέρων, καὶ γνοὺς ὅτι μετὰ ταπεινώσεως καὶ ὑπακοῆς δέχονται, λέγει τῷ ἑνί· Βούλεταί σε ὁ Κύριος, τέκνον, ἐν ἡσυχαστικῷ τόπῳ μετὰ πατρὸς ἐν ὑποταγῇ καθεσθῆναι. Λέγει καὶ τῷ δευτέρῳ· Ἀπελθὼν **πώλησόν σου τὰ θελήματα, καὶ δὸς Θεῷ**· καὶ ἆρον τὸν σταυρόν σου, καὶ καρτέρει ἐν συνοδίᾳ καὶ κοινοβίῳ ἀδελφῶν· καὶ πάντως ἕξεις θησαυρὸν ἐν οὐρανοῖς. Εἶτα καὶ τῷ τρίτῳ λέγει· Ἀναλαβοῦ σὺν τῇ πνοῇ σου

განუყოფელად სიტყუაჲ მეტყუელისაჲ: დამთმენელი სრულიად ესე ცხონდეს. და წარვედ და, შესაძლებელ თუ, ნუ უტევებ კაცთა ბუნებისა შორის უგანმცდელესსა და უფიცხლესსა, შენისა უფლისა მიერ გამომძრცუელისასა და მომთმენებელმან თითოეულსა დღესა სუ ვითარცა სძე და თაფლი კდემაჲ და შფოთებაჲ“. ხოლო ძმაჲ იგი იტყოდა დიდისა მიმართ იოანნისსა: „და უკუეთუ უდებებასა შინა, მამაო, ესევითარი ვიდოდის, რაჲ?“ ხოლო ბერმან: „დაღათუ მისიძავად იხილო, ნუ განსდგები მისგან, არამედ თქუ თავსა შორის: მოყუასო, რომლისათჳსცა მოხუედ? და მაშინ იხილო უჩინოქმნილი შენგან განბერილებაჲ[90] და დაჭნობილად განჴურვებაჲ“.

ვიღუაწოთ ყოვლითა ძალითა [51v] ყოველთა შეშინებად ღმრთისაგან მნებებელთა, რაჲთა არა სათნოების-გამოსაძრცუელსა შინა სიბოროტე უფროჲსღა თავთა თჳსთა და სიჰავე, მძჳნვარებაჲ და სიმანქანე, ბოროტ-მსრბოლობაჲ და რისხვაჲ მოუგოთ, რამეთუ იქმნების და არა საკჳრველ, ვინაჲთგან ვიდრემდე უსწავლელ ვიდრემე იყოს გინათუ მენავე, ანუთუ ქუეყნის-მოქმედი კაცი. არ ესეოდენ ძჳნად მისსა მეფისა აღიჭურვან მტერნი.

ἀχωρίστως τὸν λόγον τὸν φάσκοντα· Ὁ ὑπομείνας εἰς τέλος, οὗτος σωθήσεται. Καὶ ἄπελθε, εἰ δυνατὸν, μὴ ἐάσῃς ἐν ἀνθρώπων φύσει ἐπιπληκτικώτερον, ἢ ἀποτομώτερον τοῦ σοῦ ἐν Κυρίῳ γυμναστοῦ, καὶ καρτερήσας καθ’ ἡμέραν πίνε ὡσεὶ μέλι καὶ γάλα μυκτηρισμὸν καὶ χλευασμόν. Ὁ δὲ ἀδελφός φησι πρὸς τὸν μέγαν Ἰωάννην· Κἂν ἐν ἀμελείᾳ, Πάτερ, ὁ τοιοῦτος παρέχεται τί; Ὁ δὲ γέρων· Κἂν πορνεύοντα αὐτὸν θεάσῃ, μὴ ἀποστῇς· ἀλλὰ λέγε καθ’ ἑαυτόν· Ἑταῖρε, ἐφ’ ᾧ πάρει; Τότε ὄψει ἐκ σοῦ ἀφανιζομένην φυσίωσιν καὶ μαραινομένην πύρωσιν.

123. Ἀγωνισώμεθα δυνάμει πάσῃ πάντες οἱ τὸν Κύριον φοβηθῆναι βουλόμενοι, ἵνα μὴ ἐν τῷ τῆς ἀρετῆς γυμνασίῳ, ἐκεῖσε πονηρίαν ἑαυτοῖς μᾶλλον καὶ κακίαν, δεινότητά τε καὶ πανουργίαν, κακεντρέχειαν, καὶ ὀργὴν ἐπικτησώμεθα. Γίνεται γὰρ, καὶ οὐ θαῦμα. Ἕως μὲν γὰρ ἰδιώτης ἐστὶν, ἢ ναυτικὸς, ἢ γηπόνος ἄνθρωπος, οὐ τοσοῦτον κατ’ αὐτοῦ οἱ τοῦ βασιλέως ἐχθροὶ ὁπλίζονται.

ხოლო[91] ვინაჲთგან მიმღებელად ბეჭდისა და ფარისა და მახჳლისა და ლახურისა და მშჳლდისა და სტრატიოტისა სამოსლითა შემოსილი იხილონ იგი, მაშინ იგინიცა კბილთა მისისამი იღრჭენენ და ნამდჳლ მოწყუედად მისსა მეცადინეობენ, რომლისა-ძლით ნუ დავიძინებთ.

ვიხილენ უმანკონი და კეთილნი ჩჩჳლნი სხოლიონსა შინა სიბრძნისა-ძლით და სწავლულებისა და სარგებელისა აღყვანებულნი, და არარაჲს მუნ თჳნიერ მძჳნვარებისა და სიბოროტისა განსწავლულნი ნეშტთა მათ თანა მქცეობისაგან. გონების-მქონებელმან გულისჯმა-ყავნ.

შეუძლებელ ჯელოვნების-მოსწავლეთაჲ სულ-ყოვლობით არა დღითი-დღე წარმატებაჲ მას შინა, გარნა რომელნიმე წარმატებასა სცნობენ, ხოლო რომელნიმე განგებულებით უმეცარ არიან.

რჩეული[92] ტრაპეზის-მჯდომარე[93] თითოეულსა მწუხრ[52r]სა დღისა მის შესაძინებელსა გინა ზღვევასა ნამდჳლვე აღჰრიცხუავს, ხოლო ვერ ძალ-უც სიცხადით ცნობად, არათუ ჟამითი-ჟამად ფიცრისა შორის წარჰსახვიდეს.

Ἐπὰν δὲ αὐτὸν τὴν σφραγῖδα λαβόντα καὶ τὴν ἀσπίδα, καὶ τὴν μάχαιραν καὶ τὴν ῥομφαίαν, καὶ τὸ τόξον, καὶ τοῦ στρατιώτου τὸ ἔνδυμα ἠμφιεσμένον θεάσωνται, τότε καὶ αὐτοὶ τοὺς ὀδόντας κατ’αὐτοῦ βρύχουσι, καὶ πάντως ἀνελεῖν αὐτὸν δοκιμάζουσι. Διόπερ μὴ ὑπνώ[σ]σωμεν.

124. Ἑώρακα ἄκαιρα καὶ κάλλιστα νήπια ἐν σχολῇ διὰ σοφίαν, καὶ παιδείαν, καὶ ὠφέλειαν παραγενόμενα· καὶ μηδὲν ἐκεῖσε εἰ μὴ δεινότητα καὶ κακίαν παιδευθέντα ἐκ τῆς τῶν λοιπῶν συνδιατριβῆς. Ὁ νοῦν ἔχων νοήσει.

125. Ἀδύνατον τοὺς τέχνην μανθάνοντας ὁλοψύχως μὴ καθ’ ἡμέραν προκόπτειν ἐν αὐτῇ· ἀλλ’ οἱ μὲν τὴν προκοπὴν ἐπιγινώσκουσιν· οἱ δὲ οἰκονομικῶς ἀγνοοῦσιν.

126. Ἄριστος τραπεζίτης καθ’ ἑσπέραν τὸ τῆς ἡμέρας κέρδος ἢ ζημίαν πάντως ψηφίζει· οὐ δύναται δὲ σαφῶς γνῶναι, εἰ μὴ καθ’ ὥραν ἐν τῷ πινακιδίῳ σημειοῦται.

რამეთუ ჟამადობითნი სიტყჳს-დადებანი დღითი-დღედსა განანათლებენ[94], რაჟამს ყუედრებული და ზედ-დაჴმობილი უგუნური იწერტებოდის და ნაცვალსიტყუაობადცა მეცადინეობს, უკუეთუ მსწრაფლ ზედ-განმცდელსა მისსა მუჴლთმოდრეკაჲ მისცეს, არა დამდაბლებისა ძლით, არამედ ყუედრებათ-დაცხრომად მნებებელი. გუემული დუმენ და შეიწყნარენ სულის-სადაგველნი,[95] უფროჲსღა სიწმიდის-მნათობნი და დაცხრომასა მკურნალისასა მაშინ მოუდრეკდ მას. რამეთუ გულისწყრომისა შორის ნუუკუედა არცაღა შენანებაჲ შეიწყნაროს.

ყოველთა მიმართ ვიდრემე, ხოლო გარნა ორთა ამათ მიმართ ვნებათა შესაკრებელის-შინათა ჩუენ ჟამითი-ჟამად ვიღუაწოთ მუცელ-ბორგნეულობისამი და ნავღელ-ფიცხელობისა[96], რამეთუ თჳსთა ნივთთა ერისა შორის ჰპოებენ ესე.

დამორჩილების-შინათა ეშმაკი შეუძლებელთა სათნოებათა გულისთქუმასა შთაუვლენს, ეგრეთვე და მყუდროების-შინათაცა უთჳსოთა წინა-დაუდებს. განაღე ქუეშ-დაწესებულთა გამოუცდელთა გაგონებაჲ და ჰპოო მუნ შე[52v]ცთომილი გონებაჲ, ესე იგი არს გულისთქუმაჲ მყუდროებისაჲ, მარხვისაჲ უმწუერვალე-

127. Τὰ γὰρ καθ’ ὥραν λογοθέσια τὸ καθημερινὸν φωτίζουσι· ὅταν ὀνειδιζόμενος, ἢ κατακρινόμενος ὁ ἄφρων δάκνηται, καὶ ἀντιλέγειν δοκιμάζει, ἢ συντόμως τῷ ἐπιπλήττοντι μετάνοιαν δέδωκεν, οὐ ταπεινώσεως χάριν, ἀλλὰ τοὺς ὀνειδισμοὺς παῦσαι βουλόμενος· τυπτόμενος σιώπα, καὶ καταδέχου ψυχῆς καυστῆρας, μᾶλλον δὲ ἁγνείας φωστῆρας. Παυσαμένου τοῦ ἰατροῦ, τότε τούτῳ μετανόει· ἐν τῷ θυμῷ γὰρ ἴσως οὐδὲ τὴν μετάνοιαν δέχεται.

128. Πρὸς πάντα μὲν, πλὴν ἴσως πρὸς τὰ δύο ταῦτα πάθη οἱ ἐν συνοδίαις καθ’ ὥραν ἀγωνισώμεθα· πρὸς τὴν κοιλιομανίαν, καὶ τὴν ὀξυχολίαν· τῶν οἰκείων γὰρ ὑλῶν ἐν τῷ ὄχλῳ εὐποροῦσι.

129. Τοῖς ἐν ὑποταγῇ ὁ διάβολος ἀδυνάτων αὐτοῖς ἀρετῶν ἐπιθυμίαν ἐμβάλλει, ὁμοίως καὶ τοῖς ἐν ἡσυχίᾳ τὰ ἀνοίκεια ὑποτίθεται· ἀνάπτυξον ὑποτακτικῶν ἀδοκίμων διάνοιαν, καὶ εὑρήσεις ἐκεῖ πεπλανημένην ἔννοιαν, ἐπιθυμίαν ἡσυχίας, νηστείας ἀκρο-

სისაჲ, ლოცვისა დაუბნეველისაჲ, უცუდდიდებობისა უმწუერვალესისაჲ, ჴსენებისა დაუვიწყებელისა განსლვისაჲ, სამარადისოჲსა ლმობიერებისაჲ, ურისხველობისა ყოვლითურთისაჲ, დუმილისა ღრმისაჲ, სიწმიდისა ზესთ-გარდარეულისაჲ, რომელთა განგებულებით წინა-შესავალთა შინა უღონო-ქმნილნი გარდავლდეს შეცთუნებულნი, რამეთუ პირველ ჟამისა მტერმან ძიებად ამათდა აქმნია მათ, რაჲთა არა-დამთმენელნი ჟამსა შინა მიემთხჳნენ ამათ. ჰნატრის რამეთუ მემყუდროეთამი მაცთური მორჩილთა უცხოთ-მოყუარებასა, მსახურებასა, ძმათ-მოყუარებასა და თანა-ქცევასა, სნეულთა მსახურებასა, რაჲთა იგინიცა უთმინოდ იმოქმედნეს მაცთურმან.

ძჳრ ვიდრემე ჭეშმარიტად სიტყჳთ მყუდროებისა გამოთქუმაჲ და მათ მხოლოთაჲ, ესე იგი არს საღმრთოჲსა ნუგეშინისცემისა ტკივილთა სანუგეშინისცემოდ და ბრძოლათა სასაქმიეროდ მომგებელთაჲ.

მოქმედებისა მიმართ ჩუენთა ვნებათაჲსა და ქუეშ-დაწესებათაცა განვსჯიდეთ და განვარჩევდეთ მშუენვარობით. იყავნ შენდა,

τάτης, προσευχῆς ἀρεμβάστου, ἀκενοδοξίας ἄκρας, μνήμης ἀνεπιλήστου ἐξόδου, διηνεκοῦς κατανύξεως, ἀοργησίας παντελοῦς, σιωπῆς βαθείας, ἁγνείας ὑπερβαλλούσης. Ὥνπερ κατ’ οἰκονομίαν ἐν προοιμίοις ἀποροῦντες, εἰκῆ μετεπήδησαν ἀπατηθέντες. Πρὸ γὰρ καιροῦ ζητῆσαι αὐτοὺς, ὁ ἐχθρὸς ταῦτα πεποίηκεν, ἵνα μὴ ὑπομείναντες ἐν τῷ καιρῷ τούτων ἐπιτύχωσι. Μακαρίζει παρ’ ἡσυχασταῖς ὁ ἀπατεὼν τῶν ὑπηκόων τὴν φιλοξενίαν, τὴν διακονίαν, τὴν φιλαδελφίαν, καὶ συνδιαγωγὴν, τὴν τῶν νοσούντων ὑπηρεσίαν, ἵνα κἀκείνους ἀνυπομονήτους κατὰ τοὺς προτέρους ἀπεργάσηται ὁ πλάνος.

130. Σπανίων μὲν γὰρ, ὡς ἀληθῶς τὸ λόγῳ τῆς ἡσυχίας μετέρχεσθαι· κἀκείνων μόνων τῶν τὴν θείαν παράκλησιν πρὸς τὴν τῶν πόνων παραμυθίαν, καὶ πολέμων συνέργειαν κτησαμένων.

131. Πρὸς τὰς ποιότητας ἡμῶν τῶν παθῶν, καὶ τὰς ὑποταγὰς διακρίνωμεν, καὶ ἐκλεξώμεθα πρεπόντως. Ἔστω σοι περὶ

გულისთქუმისამი მქონებელისა და მიდრეკადისა, გამომძრცუელიცა, მო[53r]ღუაწე და უნუგეშინისცემოჲ საზრდელისა მიმართ და არა უფროჲსღა საკჳრველთმოქმედი და მზაჲ ყოვლისად შეწყნარებადმი და ტრაპეზად. იყავნ შენდა, ქედ-მაღლად მყოფისა, ფიცხელი და არ-მიმშუები და ნუ მშჳდი და კაცთ-მოყუარე. ნუ ვეძიებთ[97] წინა-მცნობელთა, ნუცა წინა-მხედველთა, არამედ პირველ ყოვლისა ნამდჳლვე მდაბალ-მზრახვალთა და ჩუენ-შორისისა მომზავებელთა სენისათა გუარისაგანცა და დასაჯდომელისა.

იყავნ შენდა ამბაკჳროჲსებრ პირველმოჳსენებულისა მართლისა და ესეცა მორჩილებისა მიმართ კეთილი გუარი, ესე იგი არს მარადის გონებაჲ, ვითარმედ განგცდის წინა-მდგომელი შენი და არმიუმთხუეველ იქმნე ოდესცა. რაჟამს ზედ-გამცდელობასა დაუცხრომელად უმეტესი სარწმუნოებაჲ და სიყუარული მისსა-მიმართი მიიღო, სული წმიდაჲ უხილავად დამკჳდრებულ არს სულსა შინა შენსა და ძალმან მაღლისამან ზედ-დაგიჩრდილა შენ, უწყოდე. გარნა ნუ იქადი, ნუცა იხარებ, სიმჳნით მომთმინებელი გინებათა და უპატიოებათაჲ, არამედ უფროჲსღა იგლოვდ, რამეთუ გინების ღირსი რაჲმე იმოქმედე და აღაშფოთე სული ძჳნად შენდა.

τὸ λάγνον ἀκρατῶς ἔχοντι καὶ ῥέποντι γυμναστὴς, ἀσκητὴς, καὶ ἀπαράκλητος πρὸς τροφὴν, καὶ μὴ μᾶλλον θαυματοποιὸς, καὶ ἕτοιμος παντὶ εἰς ὑποδοχὴν καὶ τράπεζαν. Ἔστω σοι ὑψαύχενι ὄντι ὀξὺς καὶ ἀπαραχώρητος, καὶ μὴ πρᾶος καὶ φιλάνθρωπος· μὴ ζητῶμεν προγνώστας, μηδὲ προβλέπτας· ἀλλὰ πρὸ πάντων πάντως ταπεινόφρονας, καὶ τῇ ἐν ἡμῖν νόσῳ ἁρμοδίους ἐκ τρόπου καὶ τοῦ καθίσματος.

133. Ἔστω σοι κατὰ τὸν Ἀββάκυρον τὸν προμνημονευθέντα δίκαιον, καὶ οὗτος καλὸς πρὸς ὑπακοὴν ὁ τρόπος, τὸ ἀεὶ λογίζεσθαι, ὅτι πειράζει σε ὁ προεστὼς, καὶ οὐ μὴ ἀστοχήσεις ποτέ. Ὅταν ἐπιπλήσσοντος ἀπαύστως, πλείονα τὴν πρὸς αὐτὸν πίστιν καὶ ἀγάπην προσλαμβάνῃς, Πνεῦμα ἅγιον ἀοράτως ἐν τῇ ψυχῇ σου ἐνῴκησε, καὶ δύναμις Ὑψίστου ἐπεσκίασέ σοι, γίνωσκε. Πλὴν μὴ καυχῶ, μηδὲ χαῖρε, γενναίως ὑποφέρων τὰς ὕβρεις καὶ τὰς ἀτιμίας· ἀλλὰ μᾶλλον θρήνει, ὅτι ὅλως ἄξιόν τι ὕβρεως διεπράξω, καὶ ἐτάραξας ψυχὴν κατὰ σοῦ.

ნუ საკჳრველ-გიჩნს რომელსა ვიტყჳ რამეთუ მოსე მაქუს ვაქილად. უმჯობეს არს ღმრთისამი **[53Ბ]** და არა მამისამი მიმართ ჩუენისა ცოდვად რამეთუ ღმრთისა ვიდრემე განრისხებასა მძღუანველსა ჩუენსა დაგებად მისსა ჩუენდა მომართ ძალ-უც, ხოლო ამისსა ჩუენ მიერ აღშფოთებასა მოწყალეყოფად ჩუენ ძლით არავინ გუაქუს. ჩემდა უკუე საგონებელ არს ერთისამი გონებისა აღსლვაჲ მრჩობლთავე.

განვიხილოთ და განვსაჯოთ და განვიფრთხოთ, ოდეს ვიდრემე შესმენილთა მწყემსისამი მადლობით მოთმინებად და მყუდროებად თანა-გუაც, ხოლო ოდეს მისსა მიმართ გულსავსებისა ყოფად. საგონის ჩემდა, ყოველთა ზედა უპატიობის-მშობელთა ჩემდამო დუმილად (რამეთუ შესაძინებელისაჲ არს ჟამი), ხოლო რომელნი პირისა მიმართ სხჳსა აღვიდოდინ, მათ ზედა სიტყჳსგებად საკრველისა ძლით სიყუარულისა და განუჯსნელისა მშჳდობისა.

რაოდენნი მორჩილებისაგან განვლდეს, ამათ მიგითხრან ამისი სარგებელი, რამეთუ მაშინღა ცნეს, რომელსა ცასა შინა მდგომარე იყვნეს.

134. Μὴ θαμβηθῇς, ἐφ’ ᾧ μέλλω λέγειν· Μωϋσῆν γὰρ ἔχω συνήγορον· συμφέρον εἰς Θεὸν, καὶ μὴ εἰς πατέρα ἡμῶν ἁμαρτῆσαι· Θεοῦ μὲν γὰρ παροργισθέντος, ὁ ἡμῶν ὁδηγὸς καταλλάξαι αὐτὸν πρὸς ὑμᾶς δύναται, τούτου δὲ ὑφ’ ἡμῶν παραχθέντος, τινὰ τὸν ἐξιλεούμενον λοιπὸν ὑπὲρ ἡμῶν οὐκ ἔχομεν. Ἐμοὶ δὲ δοκεῖ εἰς μίαν δόξαν ἀνατρέχειν τὰ ἀμφότερα.

135. Σκοπήσωμεν καὶ διακρίνωμεν, καὶ νήψωμεν· ποτὲ μὲν κατηγορούμενοι πρὸς τὸν ποιμένα εὐχαρίστως ὑπομένειν, καὶ ἡσυχίως ὀφείλομεν· ποτὲ δὲ πρὸς αὐτὸν πληροφορίαν ποιήσασθαι. Ἐμοὶ δοκεῖ ἐπὶ πᾶσι μὲν τοῖς ἀτιμίαν ἡμῖν προξενοῦσι σιωπᾷν· κέρδους γὰρ ὥρα ἐστίν· ἐπὶ δὲ τοῖς εἰς πρόσωπον ἑτέρου ἀνατρέχουσιν ἀπολογεῖσθαι, διὰ τὸν σύνδεσμον τῆς ἀγάπης, καὶ τῆς ἀλύτου εἰρήνης.

136. Ὅσοι ἐξ ὑπακοῆς ἀπεπήδησαν, οὗτοί σοι ἀναγγελοῦσι τὴν ταύτης ὠφέλειαν. Τότε γὰρ ἔγνωσαν ἐν ποίῳ οὐρανῷ ἵστανται.

უვნებელობისა მიმართ და ღმრთისა მსრბოლი, ყოველსა დღესა, რომელსა შინა არა იგინოს, ზღვეულებად მრავლად გონებს.

ვითარ-იგი ხენი, რყეულნი ქართა მიერ, სიღრმედმი შთაავლინებენ ძირთა, ესრეთვე მორჩილებასა შინა მავალნი ძლიერთა და შეუძრველთა მოიგებენ სულთა.

ვინცა, მყუდროებით მჯდო[54r]მარემან, ცნა თჳსისა უძლურებისაჲ და მოსრულმან განყიდა თავი თჳსი მორჩილებად, ამან, ბრმად მყოფმან, უჭირველად ქრისტეს მიმართ აღიხილნა.

დეგით, დეგით და, კუალად ვიტყჳ, დეგით, მსრბოლნი, ძმანი იღუწიდით, მსმენელნი თქუენ-ძლით მღაღადებელისა ბრძნისანი: „ვითარ ოქროჲ უფალმან სადნობელსა შინა, ხოლო უფროჲსღა ზოგად-ცხორებულთასა შინა, გამოცადნა იგი და ვითარ ყოვლად-დასაწუველი მსხუერპლისაჲ შეიწყნარნა იგი წიაღთა შინა თჳსთა“[98], რომლისა დიდებაჲ და სიმტკიცე საუკუნე, მამისა თანა დაუსაბამოჲსა და სულისა წმიდისა და თაყუანისსაცემელისა. ამინ.

137. Ὁ πρὸς τὴν ἀπάθειαν καὶ τὸν Θεὸν τρέχων, πᾶσαν ἡμέραν, ἐν ᾗ οὐ λοιδορεῖται, πολλὴν ζημίαν λογίζεται,

138 ὥσπερ τὰ δένδρα ὑπὸ τῶν ἀνέμων σειόμενα, βαθείας ῥίζας καταβάλλουσιν· οὕτω καὶ οἱ ἐν ὑπακοῇ διατρίβοντες ἰσχυρὰς καὶ ἀσαλεύτους ψυχὰς κέκτηνται.

139. Ὅστις καθ’ ἡσυχίαν καθήμενος, ἐπέγνω τὴν ἑαυτοῦ ἀσθένειαν, καὶ μετελθὼν πέπρακεν ὑπακοῇ, οὗτος τυφλὸς ὢν, ἀκόπως πρὸς Χριστὸν ἀνέβλεψε.

140. Στῆτε, στῆτε, καὶ πάλιν ἐρῶ, στῆτε τρέχοντες, ἀδελφοὶ ἀθληταὶ, ἀκούοντες περὶ ὑμῶν τοῦ σοφοῦ ἐκείνου βοῶντος· Ὡς χρυσὸν ὁ Κύριος ἐν χωνευτηρίῳ, μᾶλλον δὲ ἐν κοινοβίῳ ἐδοκίμασεν αὐτοὺς, καὶ ὡς ὁλοκαύτωμα θυσίας προσεδέξατο αὐτοὺς ἐν τοῖς κόλποις αὐτοῦ· ᾧ ἡ δόξα, καὶ τὸ κράτος αἰώνιον σὺν Πατρὶ ἀνάρχῳ καὶ Πνεύματι ἁγίῳ καὶ προσκυνητῷ. Ἀμήν.

სწორრიცხჯ მახარებელთაჲ – ხარისხი,
მოღუაწე დეგ, მსრბოლი უშიშად.
წინა-რბიოდა ოდეს პეტრესსა იოანნი,
ხოლო წინ-დაეწესა აწ
მორჩილებაჲ სინანულისა.
პირველმიწევნული* ვიდრემე –
მორჩილებისა სახე,
ხოლო სხუაჲ – სინანულისა***.**

---

* *იოანე ღვთისმეტყველი.*

** *პეტრე მოციქული.*

*** *იგულისხმება, რომ პეტრე მოციქული არის სახე სინანულისა, ხოლო იოანე – მორჩილებისა. სახარებისეული უწყების მიხედვით (ი. 20.4) იოანემ მიასწრო საფლავთან პეტრეს, რაც ასკეტური ეგზეგეზისის მიხედვით ნიშნავს მორჩილების წინმსწრებობას სინანულისადმი. აღ-ვნიშნავთ, რომ ჩვენთვის ცნობილი ბერძნული პუბლიკაციების კვალობაზე ზემორე ტექსტის დამაბოლოებელი ნაწილი ქართულში ამგვარი უნდა ყოფილიყო:* **„პირველმიწევნული ვიდრემე მორჩილებისა, ხოლო სხუაჲ სინანულისა-ძლითად სახედ დადგომილ არს“** *(შდრ. რუს. თარგმ. Сия степень равночислена Евангелистам. Мужайся, подвижник; стремись вперед без страха. Некогда Иоанн опередил Петра, а здесь послушание положено прежде покаяния;* ***ибо предваривший ученик представлял образ послушания, а другой – покаяния****).*

Ἰσάριθμος εὐγγελιστῶν βαθμός.
Ὁ ἀθλητὴς στῆκε, τρέχων ἀφόβως.
Προέδραμέ ποτε Πέτρου Ἰωάννης·
προτέτακται δὲ νῦν
ὑπακοὴ μετανοίας.
Ὁ μὲν γὰρ προλαβῶν ὑπακοῆς,
ὁ δὲ ἕτερος περὶ μετανοίας
τύπον καθέστηκεν.

სქოლიოები

1. **„უცონელად“**. ბერძნულშია **„ἀόκνως“** (PG. 88. col 677). *ექვთ:* **„დაუყენებელად“** („კლემაქსი“ 1965, გვ. 56). *რუს:* **„безленостно“** („Лествица“ 1898, стр. 20).
2. ფს. 54.7
3. **„თანა-წარვჰრბით“**. ბერძნულ ტექსტშია: **„παραδράμωμεν"**(PG. 88. col 677). *ექვთ:* **„თანა-წარვჰკდებით“** („კლემაქსი“ 1965, გვ. 56). *რუს:* **„ратников“** („Лествица“ 1898, стр. 20).
4. **„გამომძრცუელის“** – ბერძნ. **„τὸν γυμναστὴν“** (PG. 88. col 677). *ექვთ:* **„მოძღურისა“** (კლემაქსი 1965, გვ. 56). რუს: **„наставнику“** („Лествица“ 1898, стр. 20).
5. **„აღმქუსუველთა“** – ბერძნულშია: **„ἠμφιεσμένοι“** (PG. 88. col 677). *ექვთ:* **„შემოსილ არიან“** („კლემაქსი“ 1965, გვ. 56). *რუს:* **„будучи одеты“** („Лествица“ 1898, стр. 20).
6. *აშიაზე ფოტიოსის კ*Ბ *სქოლიო:* **„განმსჯელობითისა გარდადებაჲ არს, ვითარცა ბოროტად-მჩენთა შინა ბრძანებული მორჩილებაჲ, ვითარცა-იგი ბრძანებული მდინარესა შინა შთაგდებად ყრმისა და სხუაჲ ფურნესა შინა, რამეთუ არ-გამკითხველნი თავთა შორის თჳსთა, ვითარმედ ბოროტად არს წარმართებდე განუკითხველად დასაბამითგან მორჩილებასა შედგომილნი“**.
7. **„სისაშოვლე“** – ბერძნ. **„μεσότης"** (PG. 88. col 680). *ექვთ:* **„საშუალი“** („კლემაქსი“ 1965, გვ. 58). *რუს:* **„средина“** („Лествица“ 1898, стр. 21).
8. **„განწიაღებად“** – ბეძნულშია: **„περαιοῦσθε“** (PG. 88. col 680). *ექვთ:* **„წიაღ-ხუალთ“** („კლემაქსი“ 1965, გვ. 58). *რუს:* **„переплываете“** („Лествица“ 1898, стр. 21).
9. **„ზედამდგომელობაჲსა“** – ბერძნულში გვაქვს: **„ἐπιστατοῦσι“** (PG. 88. col 680). შდრ. *რუს:* **„наставникам“** (Лествица 1898. стр. 22).
10. რომ. 14, 23.

11. *აშიაზე ფოტიოსის* **კთ** *სქოლიო გადაფხეკილია და ვერ იკითხება. მოვიტანთ სქოლიოს ექვთიმე ათონელის თარგმანიდან:* **„ვითარ იტყჳს, თუ თჳნიერად მორჩილებისა არავინ იხილოს უფალი, და ვითარ იხილა მარიამ ეგჳპტელმან და მამამან ანტონი, და სხვათა მრავალთა. გარნა ესრეთ გულისსხმა-ვყოთ სიტყუაჲ ესე, ვითარმედ რომელი იქმნას ესრეთ მჯურვალე და დაამორჩილნეს ჯორცნი სულსა, და მხილებაჲ იგი სჳნიდისისაჲ, რომელ არს გონებაჲ მამხილებელი, ბოროტ-ყოს მსაჯულ თავისა თჳსისა. და აღეგზნას მის შორის მძაფრი სიყუარულისა ღმრთისა, ცეცხლი იგი მორჩილ-ქმნა საღმრთოთა მცნებათა, და პირველ ხილულისა მორჩილებისა მიიწია უხილავსა მას, მათ უკუე წმიდათა, რომელნი თჳნიერ მორჩილებისა წარემართნეს. ვინაჲთგან ესევითარი იგი ცეცხლი საღმრთოჲ მოიგეს, ამისთჳს იქმნნეს ესევითარი, არამედ ძნელ არს და ძნიადსაპოვნელ ესევითარი საქმე, და რომელსა ესევითარი გულისსიტყუაჲ და საქმე არა მოეგოს, იგი თჳნიერ მორჩილებისა ვერ იხილავს პირსა ღმრთისასა. რამეთუ ანუ ჯერ არს რაჲთა ღმრთისა მცნებათა მორჩილ იქმნას კაცი, და მისწუთეს ესევითარსა საზომსა, ანუ მოიგოს მოძღურისა მორჩილებაჲ და მის მიერ მიიწიოს ღმრთისა მორჩილებასა, და თჳთ მოძღურის-მორჩილება ღმრთისა-მორჩილება არს, რამეთუ მისისა მცნებისათჳს მორჩილობს, მორჩილი მოძღუარსა“** („კლემაქსი“ 1902, გვ. 60).

12. *აშიაზე ფოტიოსის* **ლ** *სქოლიო გადაფხეკილია და ვერ იკითხება. მოვიტანთ სქოლიოს ექვთიმე ათონელის თარგმანიდან:* **„მდაბალი არასადა დაირწმუნებს თუ: «კეთილად ვმორჩილობ», არცა თუ: «მიპოვიეს შენდობაჲ ცოდვათაჲ», და ესევითარსა მას ჭეშმარიტად უპოვიეს შენდობა. ხოლო რომელი ამპარტავან იყოს, იგი ურჩ არს და ჰგონებნ თუ კეთილად მორჩილობს და უპოვიეს შენდობაჲ ცოდვათაჲ, არამედ არასადა უპოვიეს ესევითარსა მას შენდობაჲ“** („კლემაქსი“ 1902, გვ. 60).

13. *და ვერ იკითხება.*

14. *აშიაზე ფოტიოსის* **ლბ** *სქოლიო გადაფხეკილია. შდრ. ექვთიმეს თარგმანის სქოლიო:* **„გამოწულილვასა მას იტყჳს, რაჟამს მოწა-ფე გამოიწულილვიდეს სიტყუათა მოძღურისათა, თუ: «ესე რად მრქუა მე», ანუ «მას რასამე რად იტყოდა»“** (1902, გვ. 60).

15. აშიაზე ფოტიოსის **ლგ** *სქოლიო* გადაფხეკილია და არ *იკითხება.*

16. გელათურში და ექვთიმესთან გვაქვს: „**ორას** ოცდაათთა“. ბერძნულ ორიგინალში სახეზეა არა „**ორას** ოცდაათთა“, არამედ „**სამას** ოცდაათთა“: „**ἀριθμὸν τριακόσια τριάκοντα**“ (PG. 88. col.681). იგივე „**სამას ოცდაათთა**“ გვაქვს რუსულ თარგმანში: „**триста тридцать**“ („Лествица“ 1898, стр. 24).

17. „**წარსურიდა**“ – ბერძნ. „**ἐχάραττεν**“ (PG. 88. col. 684). *ექვთ:* „**აღჰკოცდა**“ (კლემაქსი 1965, გვ. 64). *რუს:* „**изглаждал**“ („Лествица“ 1898, стр. 25).

18. ფს.31,5.

19. „**დაუყდუნვებელი**“ – ბერძნ. „**ἄπαυστος**“ (PG. 88. col. 685). ექვთიმესთან ვხვდებით: „**დაუცხრომელიცა**“ („კლემაქსი“ 1965, გვ. 66). *რუს:* „**всегдашними**“ („Лествица“ 1898, стр. 26).

20. „**წუენთ-მოქმედისა**“ – ბერძნ. „**τοῦ ὀψοποιοῦ**“ (PG. 88. col. 685). *ექვთ:* „**მზარეულისა**“ („კლემაქსი“ 1965, გვ. 66). *რუს:* „**повар**“ („Лествица“ 1898, стр. 26).

21. „**ადვილ-გარდარყუნისა**“ – ბერძნ. „**εὐτραπελίας**“ (PG. 88. col. 688). ექვთიმესთან: „**კადნიერებისა**“ („კლემაქსი“ 1965, გვ. 67). *რუს:* „**кощунство**“ („Лествица“ 1898, стр. 26).

22. „**ნეფსით-ცნობელობად და ღმრთივ-წარმართებულობად** მიწევნად“ – ბერძნ. „**ἑκουσιόγνωμον, καὶ θεοκατόρθωτον ἐληλακότας**" (PG. 88. col. 688). *ექვთ:* „**ნებსითისა და ღმრთივ-წარმართებულისასა** მიწევნულად“ („კლემაქსი“ 1965, გვ. 69). *რუს:* „пришли ... **произвольной и Богоисправленной**“ („Лествица“ 1898, стр. 27).

23. „**ჰავ-მსრბოლად ყოვლად და უგბილად, მძუნვარედ და ზესთ-მჩენად**“ – ბერძნ. „**κακεντρεχῆ πάνυ, καὶ ὠμὸν, δεινόν τε, καὶ ἀγέρωχον**“ (PG. 88. col. 689). ექვთიმესთან ვხვდებით: „**სიფიცხესა შინა და უდებებასა და მზუაობარ და მოქადულ**“ („კლემაქსი“ 1965, გვ. 70). *რუს:* „**Коварен, суров, зол и горд**“ („Лествица“ 1898, стр. 28).

24. „კლემაქსის“ რუსულ თარგმანში აღნიშნულია: „**По гречески железо – „σιδηρος“ так что здесь выходит созвучие слов в переводе не передаваемое „τῷ σιδηρῷ Ἰσιδώρῳ“** („Лествица“ 1898, стр. 28).

25. გამონათქვამი: „**რამეთუ, მიღებული ვარ**“ აღნიშნავს, ადამიანის უკეთური სულით შეპყრობილობას, ბერძნულშია: „**ὅτι ἐπιληπτικός**

εἰμι“ (PG. 88. col. 689). ექვთიმესთან ვხვდებით თავისუფალ თარგმანს: „**რამეთუ ცოფ და ნავღლიან ვარ**“ („კლემაქსი“ 1965, გვ. 71). რუსულ თარგმაშია: „**Я одержим злым духом**“ („Лествица“ 1898, стр. 28).

26. „**მოუჰაზრველისა მოთმინებისა**“ – ბერძნულშია: „**ἀνείκαστον ὑπομονὴν**“ (PG. 88. col. 689). *ექვთ:* „**ძლიერად მოთმინებისა**“ („კლემაქსი“ 1965, გვ. 71). *რუს:* „**безпримернаго ... терпения**“ („Лествица“ 1898, стр. 29).

27. I კორ. 13, 5.

28. „**ნივთ-ბორგნეულად**“ – ბერძნ. „**ὑλομανοῦσαν**“ – ად (PG. 88. col. 693). ექვთ: „**კდემისამან**“ („კლემაქსი“ 1965, გვ. 75). *რუს:* „**дичает**“ (Лествица 1898. стр. 31).

29. 2 ტიმ. 4, 2. გელათური თარგმანი: „**ზედ-დაადეგ, შეჰრისხენ, ზედ-განცადენ იგინი, ჟამიერად, უჟამოდ**“.

30. რომ. 8, 38.

31. „**თან-შეერთებული ქუეშ-დაწესებისაჲ**“ – *ბერძ:* „**ὑποταγῇ συνημμένη**“ (PG. 88. col. 693). ექვთ. „**მორჩილებასა**“ („კლემაქსი“ 1965, გვ. 77). *რუს:* „**соединен....повиновением**“ („Лествица“ 1898, стр. 32).

32. „**ადამანტებრსა მომჭირნეობასა**“ – ბერძნ. „**ἀδάμαστον καρτερίαν**" (PG. 88. col. 693). ექვთ. „**მოთმინებაჲ მრავალთა**“ („კლემაქსი“ 1965, გვ. 77). *რუს:* „**неутолимою твердостию**“ („Лествица“ 1898, стр. 32). აღვნიშნავთ, რომ ამ სიტყვების მომდევნო ტექსტი („გინებათა ზედა წინამდგომელისათა, იყუს ოდესმე და დევნათაცა“) ბერძნულის მინისეულ გამოცემას აკლია, თუმცა არის სლავურში: въ настоѧщаго | запрѣщенихъ и досадахъ. ест | егда и ѿгнанихъ *(http://oldlexicons.ru/lestvica rgada).*

33. „**სიტყუასა და საზღვარსა**“ – მინის გამოცემაში (და მასზე დაფუძნებილ თარგმანებში) სახეზეა მხოლოდ «**საზღვარსა**» (ὅρον), თუმცა მათე ბლასტარისის პერიფრაზში გვაქვს: τὸν τοῦ πατρὸς ὅρον καὶ **λόγον**, *E. D. Mason, The Metaphrasis of St John of Sinai's Ladder of Divine Ascent by Matthaios Blastares, A thesis submitted for the degree of Doctor of Philosophy at Royal Holloway, University of London, 2019, ᲗᲐ. 189.*

34. *აშიაზე ფოტიოსის* **ლდ** *სქოლიო:* „**რომელ არს გულისჴმისყოფა დასასრულად საქმისა ფარული ჭამაჲ, რამეთუ ეჭამა ტჳრთ-**

თაგან ღუწათაჲსა და არა ცოდვისა ზედა იტყჳს, ვითარცა ვიეთნიმე [...] გულისჯმა-ჰყოფენ, თუ არა არამცა [... ბილწებასა შეუნდობდა. *აქვე ვურთავთ სქოლიოს ექვთიმე ათონელის თარმანიდან:* **„რაჲ იყო ცთომაჲ იგი, გარნა ფარულად ჭამაჲ, რამეთუ ტჳრთისა მისგან ჯორთაჲსა რაჲმე ეჭამა და აღუარა, და არათუ სიძვასა იტყჳს, ვითარცა ვიეთმე უგუნურთა მოიგონეს, თუ არა ვითარმცა ღიმილით იტყოდა სიძჳსათჳს მოძღუარი იგი“** („კლემაქსი“ 1902, გვ. 73).

35. **„ზესთ-უმახჳლესქმნილი“** – ბერძნ. **„ὑπερφυὲς“** (PG. 88. col. 697). ექვთ: **„უაღესი ბუნებისაჲ“** („კლემაქსი“ 1965, გვ. 81). *რუს:* **„удивительное“** („Лествица“ 1898, стр. 34).

36. **„მჳროჲსა“** – ბერძნ. **„τοῦ μύρου“** (PG. 88. col. 697). *ექვთ:* **„ევლოგიაჲ“** („კლემაქსი“ 1965, გვ. 82). *რუს:* **„миро“** („Лествица“ 1898, стр. 35).

37. **„მრავალ-ვგამოვმწულილველობდ“** – ბერძ. **„πολυπραγμονήσαντος"** (PG. 88. col. 700). ექვთ. **„ვჰკითხე მას“** („კლემაქსი“ 1965, გვ. 83). რუს: **„прилежно допытывался“** („Лествица“ 1898, стр. 35).

38. **„ზმარაღდოჲსა“** – „მწვანე მინერალი“, „зеленый минерал“ (Дворецкий. „Древнегреческо – русский словарь“ том II. 1958. стр 1488). ბერძნ. **„σμαράγδῳ“** (PG. 88. col. 700). ექვთ: **„სამარაგდოჲთა“** („კლემაქსი“ 1965, გვ. 83). რუს: **„смарагдом“** („Лествица“ 1898, стр. 36).

39. **„მოწლეობისა“** – ბერძნ. **„εὐμενείας“** (PG. 88. col. 700). ექვთ. **„მსიარულებით და ტკბილად“** („კლემაქსი“ 1965, გვ. 84). *რუს:* **„расположение“** („Лествица“ 1898, стр. 36).

40. ფილ. 4, 13.

41. ინ.13, 35.

42. **„თანა-იეზოე“** – ბერძნ.**„συναυλίσθητι"**(PG. 88. col. 701). *ექვთ:* **„დაადგერ“** („კლემაქსი“ 1965, გვ. 86). *რუს:* **„водворись“** („Лествица“ 1898, стр. 37).

43. **„მეუღონოე“** – ბერძნულშია: **„διαπορῶν“** (PG. 88. col. 701). ექვთიმესთან თავისუფალი თარგმანია: **„საკჳრველებით“** (გვ. 86). რუს: **„в недоумении“** („Лествица“ 1898, стр. 37).

44. ფს. 132, 1.

45. **„ეკლოვან-მეტყუᲭლებანი“** – ბერძნ. **„ἀκανθολογήματα“** (PG. 88. col. 701). ექვთიმესეული თარგმანი არ არის ზედმიწევნითი

ბერძნული ორიგინალსა: „**უსარგებლოთა სიტყუათა**“ („კლემაქსი“ 1965, გვ. 87). რუსული თარგმონი ზედმიწევნითია: „**тернословие**“ („Лествица“ 1898, стр. 37).

46. აშიაზე: „**მეუბნართათჳს ეკკლისიისა შინა**“

47. „**ბაიათ-ფურცელნიცა**“ – ბერძნ. „**θαλλοὺς**“ (PG. 88. col. 704), ექვთ: „**ბაიაჲ**“ („კლემაქსი“ 1965, გვ. 89). რუსული თარგმანი ოდნავ გავრცობილია: „**ветвей для плетения корзин**“ („Лествица“ 1898, стр. 39).

48. ფს. 23, 6.

49. *აშიაზე ფოტიოსის* **ლე** *სქოლიო გადაფხეკილია და ვერ იკითხება.*

50. ფს.93, 19.

51. ფს. 70, 20.

52. „**ზღვეულებად**“ – ბერძ: „**ζημίαν**"(PG. 88. col. 705). *ექვთ:* „**დაჭირვება**“ („კლემაქსი“ 1965, გვ. 94). *რუს:* „**потерею**“ („Лествица“ 1898, стр. 41).

53. *აშიაზე ფოტიოსის* **ლვ** *სქოლიო:* „**ამათ [...] ურჩებასა და ზუაობასა**“. *ასევე ვურთავთ სქოლიოს ექვთიმე ათონელის თარგმანიდან:* „**ურჩებასა იტყჳს ამპარტავნებასა**“ („კლემაქსი“ 1902, გვ. 83)

54. *აშიაზე ფოტიოსის* **ლზ** *სქოლიო:* „**ჰბრძავს, მანქანობს, ისწრაფის რამეთუ ურჩნი არიან მოსწრაფენი და [...]**“.

55. „მოღუაწებისაგან **გამოჰფხურნეს**“ – ბერძნ. „**τῆς ἀθλήσεως ἀποσπάσῃ**“ (PG. 88. col. 708). *ექვთ:* „**გამოიტაცნა** მოღუაწებისა მისგან“ (კლემაქსი 1965, გვ. 95). *რუს:* „**отторгнуть от подвига**“ („Лествица“ 1898, стр. 42).

56. *აშიაზე:* „**წამალი თუალისაჲ** [...]. ბერძნ. „**κολλούριον**"(PG. 88. col. 708). ექვთ. „**საოლავითა**“ („კლემაქსი“ 1965, გვ. 97). რუს: „**целебная мазь**“ („Лествица“ 1898, стр. 43).

57. ზირ. 34, 23.

58. „მაცხოვარებისა **მომვაჭრებელი**“ – ბერძნ. „**σωτηρίαν πραγματευόμενος**"(PG. 88. col. 709). ექვთ. „ცხორებასა მათსა **ეძიებდა**“ (კლემაქსი 1965, გვ. 99). *რუს:* „**ищя** спасения“ („Лествица“ 1898, стр. 44).

59. *აშიაზე ფოტიოსის* **ლᲘ** *სქოლიო:* „**მდაბალი და მორჩილი ზუაობისა ვნებათა არა ჰმონებს, ხოლო ვნებათა დაუმონებელი ნამდჳლვე უვნებელად იცნობების, ხოლო უვნებელი ყოვლად**

დაწყნარებულ არს და მშუდ, ვიდრეღა მორჩილებაჲ შობს უვნებელობასა საშუალ დამდაბლებისა, და უვნებელობაჲ შობს და შეამტკიცებს დამდაბლებასა, რათა იყოს ასული სიმტკიცე დედისა.“ *აქვე ვურთავთ სქოლიოს ექვთიმეს თარგმანიდან:* **„მორჩილებაჲ დასაბამი არს სიმდაბლისაჲ, რამეთუ რომელმან არა იცნას თავი თჳსი, ვითარმედ ნაკლულევან არს სათნოებათაგან, მორჩილებად სხჳსა ვერ ძალ-უც, და ესრეთ ცნობაჲ თავისა თჳსისა უძლურებისაჲ სულსა მოიყუანებს მორჩილებად, ხოლო მორჩილებაჲ შიშითა ღმრთისაჲთა შეპყრობილი, შობს სიმდაბლესა, და სიმდაბლე განსდევნის სიმაღლესა, ხოლო ესრეთ იქმნების კაცი სახლ უვნებელობისა“** („კლემაქსი“ 1902. გვ.86).

60. ფს. 135, 23,24.

61. *აშიაზე სქოლიო ექვთიმე ათონელის თარგმანიდან:* **„მარიამ დაჲ მოსესი“** („კლემაქსი“ 1902, გვ. 87).

62. **„შესაკრებელსა“** – ბერძნ. **„τὴν συναγωγήν“** (PG. 88. col. 709). რუს. **„сонм Иудейский“** („Лествица“ 1898, стр. 45).

63. ეკლეს. 5,9.

64. აღვნიშნავთ, რომ ხელნაწერში ორი გვერდი დატოვილია აღრიცხვის გარეშე. აღრიცხვა გრძელდება შემდეგი გვერდიდან. ამის გამო, ჩვენ ცარიელი კავებით [ ] გამოვყავით აღნიშნული გვერდების დასაწყისები და მივყვებით ხელნაწერში მითითებულ პაგინაციას.

65. **„ზეშთ-აღმოასრულებენ“** – ბერძნულშია: **„ὑπεραναπληροῦσι“** (PG. 88. col. 712). ექვთიმეს თარმანში აღნიშნული ბერძნული ტერმინის შესატყვისი არ გვხვდება. რუს: **„с изобилием“** („Лествица“ 1898, стр. 46).

66. იგავ.4, 25.

67. იხ. სქოლიო 156.

68. *აშიაზე ფოტიოსის* **ლთ** *სქოლიო:* **„ქუეშ-დაწესებულთა იტყჳს შესაკრებელთა შინა [...] იტყჳს, არა [...] ზედა ბრალობისამი და შეურაცხებისა მოყურისა მოქმედებდ, სათნოებასა თვალითცა თჳსით და გონებასა შინა შენსა, ნუცა სიტყჳსა მიერ, ნუცა მოძღურობისა გამომაჩინებელ ამისსა, ხოლო უკუეთუ დასჯისა მიმართ ადჳლ-გიჩნს, ნუცაღა დაფარვად რაჲმე გაქუს მოქმედებაჲ უმეტეს სხუათაჲსა, არამედ იყავნ მათდა**

ყოვლით მსგავსი, ხოლო მოქმედებად იტყჳს მოუკლებელსა ლოცვასა და ტირილსა [...].

69. „**მოთმინედ ვიშჭობჳთ**“ – ბერძნულში გვაქვს შემდეგი ორსიტყვედი: „**ὑπομονητικοὶ κρινόμεθα**" (PG. 88. col. 713). ექვთიმესთან სახეზეა თავისუფალი თარგმანი: „**მოთმინედ ვიწოდნეთ**“ („კლემაქსი“ 1965, გვ. 104). რუს: „**называтся терпеливыми**“ („Лествица“ 1898, стр. 47).

70. ლკ. 17, 10.

71. *აშიაზე ფოტიოსის* **მ** *სქოლიო:* „**უსიტყუსა სტანჯავს მამაჲ დუმილისა დაჩემებულისაგან ჰმართებს ჩუᲪულებასა, რამეთუ რომელიმე იჭუᲪულობისა სახე არს და უფროჲსღა, რაჟამს ვინმე სიმართლისა თანა-მყოფობდეს, ხოლო რომელნიმე ჯმნულ-მოძრავად სულიერთა ტკივილთა შინა მყოფსა იმოქმედებს, გინა საძნაურთა შინა მოქმედებათა, რამეთუ ჰგონებენ ვიეთნიმე თჳსსა უსიტყობასა გულსავსემყოფელნი წესისა პყრობად, გარნა არა მორჩილთა მიმართ იყოს წესი კუთნვილი, ვითარ-იგი არს მორჩილი ჭეშმარიტი**“.

72. იობ. 16, 2. *აქვე აშიაზე ფოტიოსის* **მა** *სქოლიო:* „**კაცთ-მოთნებისა მჩემებლობამან და სიმარჯჳანობამან ზ[რ]დად უწყიან და მომსრბოლობს ერი დამდაბლებად შემჭნარობასა სახისასა დაჩემებულსა უჩუეულობასა სახელისმდებელი, რომელთა-ძლით შემოსრბათა ზედა აღმაღლებულნი ზუაობისაგან ლმობიერობენ, რომელთა განმხილველმან ყოვლად ზედმიწევნით მრავალგუარყოფად სიბოროტე მამამან განასაზღვრა.**

73. *აშიაზე:* „**დადგრომისადმი დამორჩილებასა შინა ვიდრემე სიკუდიდმდე**“.

74. „**ქარტად**“ – *ბერძ:* „**χάρτῃ**" (PG. 88. col. 716). *ექვთ:* „**ქარტითა**“ (გვ. 107). *რუს:* „**хартии**“ („Лествица“ 1898, стр. 49).

75. *აშიაზე:* „**ესე იგი არს, ნუ უდებ ხარ წარსლვად მიერ**“

76. *აშიაზე:* „**ესე იგი არს, ურჩსა**“

77. *აშიაზე:* „**ვეცხლწყალსა იტყჳს**“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტექსტში მოცემული „**წყლებრად ვეცხლად**“ ანუ „ვერცხლის წყლად“ ზედმიწევნით გადმოსცემს ბერძნულს: „**ὑδράργυρος ἄργυρος**“ (PG. 88. col. 716). *ექვთ:* „**ვეცხლწყალი**“ („კლემაქსი“ 1965, გვ. 109). *რუს:* „**ртуть**“ („Лествица“ 1898, стр. 50).

78. „**მიეჰაზრვიან**“ – *შდრ.* „**παρεικάζονται**" (PG. 88. col. 717). *ექვთ:* „**მიმსგავსებულ**“ („კლემაქსი“ 1965, გვ. 110). *რუს:* „**уподобляются**“ („Лествица“ 1898, стр. 50).

79. *აშიაზე:* „**მორჩილებასა იტყჳს დიდად**“

80. ფს. 67,11.

81. *აშიაზე:* „**შეისწავე რამეთუ ლოცვითობაჲ ესრეთ გულისჯმაიყოფების, ვითარმედ სცხონდებიმცა, ხოლო განსაზღვრებითი, ვითარმედ ცხოვნებულ ხარ, და ესე ღრამატიკოსთა სიტყუათ-სახელებ არიან**“

82. *აშიაზე ფოტიოსის* **მბ** *სქოლიო:* „**ორთა ვიეთმე შემოიყუანებს ბრძანებულთა, რომელთაგანი რომელიმე მგრძნობელი არ-განსუენებით მყოფისაჲ ბრძანებასა ზედა გამოეთხოა, ხოლო სხუაჲ და იგიცა მეცნიერი გარნა მორჩილ-ქმნილივე, ვინ უკუეო – იტყჳს – უმჯობესი ქმნა? ვიტყჳთ უკუე, ვითარმედ თითოეული თჳსსა შინა ჟამსა საქებელ, რამეთუ შეყვანებითმან ვიდრემე უმჯობესი ქმნას უცილობელად მორჩილქმნილმან, რამეთუ ჯერეთ გამოსაცდელთაგანი არს, ხოლო ჟამის-აღმოსაჩენსა მრავალსა მიმცემელმან კეთილად-ყოს, არა-მოქმედმან და რამეთუ უფროჲსღა მორჩილ იქმნას არმორჩილ-ქმნილი, რამეთუ არა მერმეცა ვითარცა მონამან სიტყჳთი მოღებაჲ, არამედ ვითარცა ძემან და მეგობარმან ცნობითისა მამისაჲსა გამომკულეველმან აღასრულოს განზრახვაჲ**“.

83. „**იოანნი მე ყოვლადი საბაიტელი**“ – *ბერძნ.* „**Ἰωάννης μοι ὁ πάνυ, ὁ Σαβαΐτης**"(PG. 88. col. 720). *ექვთ:* „**იოვანი საბაიტელი, რომელი იყო საბერძნეთით**“ („კლემაქსი“ 1965, გვ. 113). *რუს:* „**Великий Иоанн Савваит**“ („Лествица“ 1898, стр. 52).

84. *აშიაზე ფოტიოსის* **მგ** *სქოლიო:* „**უტანჯველობასა ვიეთნიმე მხოლოჲსა ზედა სიძვისა დასდებენ, ხოლო ესე ყოვლისა ზედა შემწიკულებისა არ-მაშფოთებელსა წინ-გაგონებისასა, და ვითარ შეჰგავს მტაჯველსა და არ-მიმშუებელსა გარ-დასლვად შემდგომთა მიმართ უტანჯველად სჯის, და რამეთუ გულისწყრომისა მიერ ბერი იგი და მიმართებისა პირუტყებრისა აღიძრვოდა.**“

85. „**ხოლო იყო მოთმინებაჲ მისი არა უსიტყუ**“ – ბერძნ. „**Ἦν ἡ ὑπομονὴ αὐτοῦ οὐκ ἄλογος**“ (PG. 88. col. 720). ექვთიმესთან აღნიშნული წინადადება არ გვხვდება („კლემაქსი“ 1965, გვ.

113). რუსულ თარგმანშია: „**терпение же послушника было не безрасудное**“ („Лествица“ 1898, стр. 52). უფრო გასაგები, რომ იყოს ქართველი მკითხველისთვის მოტანილი წინადადება, იგი ასე შეიძლება გადმოიცეს: „ხოლო მისი (აკაკის) მოთმინება იყო „**οὐκ ἄλογος**“ – **არა უგონო, არა გაუცნობიერებელი**“ (რუს. „**не безрасудное**“).

86. აშიაზე: „**დიდსა იტყჳს იოანნი საბაიტელსა**“.

87. *სქოლიო ექვთიმე ათონელის თარგმანიდან:* „**ამას იტყჳს, ვითარმედ პატივ-იცემებოდა ჯორციელად და შეურაცხ-იქმნებოდა სულიერად, რამეთუ არა ზრუნვიდა სულისა მისისათჳს**“ („კლემაქსი“ 1902, გვ. 97).

88. *აშიაზე:* „**ქარტასა იტყჳს აღმოსაჩენად, რომელსა აღმოსაჩენი მდებარე იყოს საქმისაჲ**“

89. „**ჩემებად განლიგებულობისა**“ – გადმოსცემს ბერძნულ: „**τὸν ἔξηχον ὑποκρίνεσθαι**“ (PG. 88. col. 721). *ექვთ:* „იჩემებდა სისულელესა“ („კლემაქსი“ 1965, გვ. 116). *რუს:* „**начал я притворятся лишенным разсудка**“ („Лествица“ 1898, стр. 54).

90. „**განბერილებაჲ**“ – ბერძნ. „**φυσίωσιν**"(PG. 88. col. 724). ექვთ. „**ამპარტავნებაჲ**“ („კლემაქსი“ 1965, გვ. 118). *რუს:* „**возношение**“ („Лествица“ 1898, стр. 55).

91. *აშიაზე ფოტიოსის* **მდ** *სქოლიო:* „**«ბეჭდად» ნათლისღებასა იტყჳს. «ფარად» – საწუთოჲსაგან სივლტოლასა, უმზრუნველობისაგან შემზადებულსა. «მახჳლად» – მწყემსისა-მიმართისა სარწმუნოებასა, «ლახურად» – ნებათა უარისყოფასა, «მშჳლდად» – ლოცვასა, რომლისა მიერ ეშმაკნი დაივლინებიან, ხოლო «სამოსლად სამჴედროდ» – სათნოებათა შესამოსელსა**“

92. *აშიაზე ფოტიოსის* **მე** *სქოლიო:* „**თავისა თჳსისამი დღითიდღე სიტყჳს-დამდები და განმსჯელი და ზრუნვის-შინად მქონებელი ცხორებისაჲ, ესე რჩეული საქმეთა თჳსთა ტრაპეზის მჯდომარე არს**“. *აქვე ვურთავთ სქოლიოს ექვთიმე ათონელის თარგმანიდან:* „**რომელი მარადღე გამოეძიებდეს თავსა თჳსსა და განიკითხვიდეს და ტკივილით და ზრუნვით იყოს ცხორებაჲ მისი, და თუ ვითარ გარდაიხადა დღე იგი და ღამე, იგი არს კეთილი ვაჭარი საქმეთა თჳსთაჲ**“ („კლემაქსი“ 1902, გვ. 102).

93. „**ტრაპეზის-მჯდომარე**“ – ბერძნ. „**τραπεζίτης**"(PG. 88. col. 724). აღნიშნავს **ვაჭარს, ფულის გადამხურდავებელს**. რუსულად:

меняла (იხ. Дворецкий, Древнегреческо-русский словарь, том II, 1958. стр 1639). ამიტომაც წმ. ექვთიმე ათონელი აღნიშნულ სიტყვას ასე თარგმნის: „**ვაჭარმან**“ („კლემაქსი“ 1965, გვ. 120). *რუს.* „**купец**“ („Лествица“ 1898, стр. 55).

94. *აშიაზე:* „**ხოლო ტრაპეზის-მსხდომარე არიან ტაბლათა ზედა ოქროჲს-საცვლელთა მსხდომარენი ვაჭრობად**“.

95. „**სულის-სადაგველნი**“ – ბერძნ. „**ψυχῆς καυστῆρας**“ (PG. 88. col. 725). *ექვთ:* „**წამალთა მათ სულისათა**“ („კლემაქსი“ 1965, გვ. 120). *რუს:* „**душевныя прижигания**“ („Лествица“ 1898, стр. 56).

96. „**მუცელ-ბორგნეულობისამი და ნავღელ-ფიცხელობისა**“ – *ბერძ:* „**κοιλιομανίαν, καὶ τὴν ὀξυχολίαν**“ (PG. 88. col. 725). *ექვთ:* „**ნაყროვანებასა და მრისხანებასა**“ („კლემაქსი“ 1965, გვ. 120). *რუს:* „**чревонеистовства и вспыльчивости**“ („Лествица“ 1898, стр. 56).

97. *აშიაზე ფოტიოსის* **მვ** *სქოლიო:* „**მეტყუელი უმჯობეს არს ღმრთისამი კეთილ-მლხინებელობასა და კეთილ-შემნმდობელობასა ღმრთისასა მიჩუᲪნებს ჩუენ მამაᲘ სახეობითა სიტყუათაᲘთა. ხოლო ძნელ-შემნდობელობასა ცნობისასა კაცობრივად მრავალგზის და სათნოებიანთაცა ქონებად იჭუეულ ქმნილი და მაღალთა**“.

98. იგავ. 3.6.

Priest Ioane Bondarenko

Fourth chapter «On Obedience» of Gelati translation of Ladder by John Sinaites

The present chapter ‘On Obedience’ is taken from the A 39 manuscript which is appended by a study from philological, textological and terminological point of view. All this shows the level of approximation of the old Georgian translation made in Gelati and the Greek original. Besides, the footnotes include certain terms from Ekvtime’s and Russian translations of the same chapter of Ladder of Paradise and are compared to the original.

ჰომილეტიკა

ლაშა ტყებუჩავა

«სტოდიერის»
წმ. გიორგი მთაწმინდელისეული თარგმანი

ღირსი თეოდორე სტუდიელი (759-826 წწ.), აღმსარებელი მოძღვარი და წინამძღვარი სტუდიელთა მონასტრისა, არამარტო მოსაგრეობითი ცხოვრებითა და სარწმუნოებისადმი თავდადებით გამოირჩეოდა, არამედ – საღვთისმეტყველო მოღვაწეობითაც. მისი მრავალრიცხოვანი შრომები მოიცავს საეკლესიო ლიტერატურის ყველა ძირითად ჟანრს: კანონიკურს, დოგმატურს, ლიტურგიკულს, აგიოგრაფიულს, ეგზეგეტურს, ასკეტურს, ჰომილეტიკურს.

წმ. თეოდორეს ნაშრომთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წმ. გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილი «სწავლანი სულიერნი» იგივე «სტოდიერი», რომელიც მოიცავს დიდი მარხვისა და აღდგომის-შემდგომი პერიოდის (ზატიკის) ქადაგებებს[1]. ამას გარდა, წმ. თეოდორეს მემკვიდრეობიდან ქართულად თარგმნილია სამი სადღესასწაულო სიტყვა: 1. «სიტყუაჲ შესხმისაჲ პოვნისა პატიოსნისა თავისა დიდებულისა წინამორბედისა და ნათლის-

---

1 გაბიძაშვილი 2010: 298. // წმ. თეოდორე სტუდიელის დიდი მარხვის ქადაგებები შეტანილია «მარხვათა» საღთისმსახურო წიგნში [იხ.: ტრიოდიონი 1901]. «მარხვანიდან» გამოკრებილი დიდი მარხვის საკითხავები გამოცემულია [იხ.: წმ. თეოდორე 2002; წმ. თეოდორე 2005].

მცემელისა იოვანესი» (მთარგმნელი – ეფრემ მცირე); 2. «სიტყუაჲ შობისათჳს ყოვლადწმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა მარადის ქალწულისა მარიამისა»[1]; 3. «თავისკუეთისათჳს იოვანე ნათლისმცემელისა»[2].

გიორგი მცირე წმ. გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილ რამდენიმე წიგნს მისსავე «ცხორებაში» ჩამოთვლის და მათ შორის ასახელებს: «წიგნი თეოდორე სტუდიელისაჲ, სწავლანი დიდთა მარხვათა საკითხავი»[3].

ეს ე. წ. «სტოდიერი» გიორგის 1042 წელს დეკანოზობაში უთარგმნია, როგორც ამას ვიგებთ მისივე ანდერძიდან:

„ლოცვა-ყავით, წმიდანო მამანო, გიორგისთჳს დეკანოზისა მთაწმიდელისა, ვისაცა მოიწინენ სწავლანი ესე სულთა განმანათლებელნი, ნეტარისა მამისა თეოდორე აღმსარებელისა, სტუდიელთა მამასახლისისა თქუმულნი. დიდითა გულსმოდგინებითა და ფრიადითა ხარკებითა და მადლითა მამისა ეფთჳმესითა ვთარგმნე წმიდაჲ ესე წიგნი ახლად მე, გლახაკმან კაცმან გიორგი, მთაწმიდას, ქართველთა მონასტერსა. შრომისათჳს ლოცვა-ყავით, წმიდანო მამანო. ხოლო ითარგმნა მიქაელის მეფობასა და დაინუსხა სიკუდილსა მისსა, ქორონიკონსა სდბ“[4].

---

1 *იხ.*: *გოგუაძე* 1986: 102-114.

2 *კეკელიძე* 1957: 57-58.

3 *ჩვენი საუნჯე* 1960: 370.

4 A 1347, 202v-203r (XII *ს.*); *კეკელიძე* 1980: 219. // A 500-*ში* (254r-v) «*დეკანოზის*» *ნაცლად წერია* «*წინამძღუარი*», *რაც შეცდომა უნდა იყოს, რადგან ჯერ კიდევ* 1043 *წელს ივერთა მონასტრის წინამძღვრად ჩანს სტეფანე ხარტულარი* [*იხ.*: *კეკელიძე* 1980: 219]. // H 368-*ში მთარგმნელად დასახელებულია ესაია*: **„ლოცვაჲ-ყავთ, წმიდანო მამანო, მწერლის ესაიაჲსათჳს და მისის მეუღლის გულბუდახისთჳს, ვინაცა მოიწინენ სწავლანი ესე საღმრთოჲ, განსანათლებელნი, ნეტარისა მამისაჲ თეოდორე აღმსარებელისა, სტოდიელთა მამასახლისისა თქუმულნი, რამეთუ დიდითა გულსმოდგინებითა, ფრიადითა ხარკებითა და მადლითა მამისა ეფთჳმისათა ვთარგმნე წმიდაჲ ესე წიგნი, მე**

***

წმ. თეოდორე სტუდიელის «სწავლანი სულიერნი» ქართულად მრავალი ხელნაწერითაა მოღწეული. ესენია: **A 500, XI** ს., **17r-200r; A 1347, XII** ს., **18r-158v; A 148, XII-XIII** ს., **1v-232v; A 388, XII-XIII** ს., **2v-96r; A 202, XVII** ს., **1r-81v** (თავნაკლული); **A 223, XVII-XVIII** ს., **1v-102v; A 419, XVII** ს., **1r-117v; A 431,** მარხვანი, **1731** წ., **30v-219v; A 809, 1693** წ., **1r-73r; A 1342, XVI** ს., **1r-112v; H 368, XVI** ს., **1r-173v; H 882, XVI-XVII** ს., **186r-213v; S 3473, XVII** ს., **1r-71r; Q 105-ა, XVIII** ს., **947r-984r; Q 632, XVIII** ს., **938r-1049v; Q 636, XVII-XVIII** ს., **1r-101v; ცარქ. 40, XVI** ს., **გვ. 1-69; K 38,** გულანი, **1579-1612** წწ., **1058r-1084v; K 52, XIV-XV** ს., **1r-131r; K 126, XVIII** ს., **1r-87v**[1]; **Vat. Borg. 8**[2].

აღსანიშნავია, რომ ხელნაწერთა უმრავლესობა დიდი მარხვის ქადაგებებს შეიცავს დიდ ოთხშაბათამდე, მათში ბზობის შაბათისა და კვირის საკითხავები არ გვხვდება.

A 1342 (XVI ს) არის ერთადერთი ხელნაწერი, რომელშიც შეტანილია «სწავლანი» ყველიერის კვირიაკიდან დიდი შაბათის ჩათვ-

გლახაკმან ესაიაჲ“ (206r-v).

1 *გაბიძაშვილი* **2006: 325-326.**

2 ***Vat. Borg. 8*** *წარმოადგენს ვატიკანის ბიბლიოთეკაში არსებულ ქართულ ხელნაწერს, რომელიც კარდინალ სტეფანო ბორჯიას ფონდშია დაცული. დათარიღებული არაა; შეადგენს 186 ფურცელს; ეტრატი; 19,5×15 სმ.; ნუსხური; თავნაკლული; გადამწერი ელია (186a-186b), გადაწერილია ჯურის(?) წმ. გიორგის მონასტრისთვის [ქართული ხელნაწერი 2018: 110]. ხელნაწერს შემოუნახავს წმ. თეოდორე სტუდიელის დიდი მარხვის ქადაგებები: პირველი შვიდეულის სამშაბათიდან (რაკი ორშაბათის სწავლისგან მხოლოდ ბოლო ნაწილია არის გადარჩენილი); მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე კვირის სწავლანი სრულად (1-150a); მეექვსე შვიდეულის მოძღვრებანი ორშაბათიდან – ბზობის პარასკევამდე (150b-172b); ამას მოსდევს ვნების ორშაბათისა და სამშაბათის (172b-183b) სწავლანი და სააღდგომო («აღვსებასა») ქადაგება (180a-183b); ბოლოს კი – წმ. იოანე ოქროპირის «აღვსებასა შემდგომად ამბორისყოფისა საკითხავი» (183b-186a) [თარხნიშვილი 1994: 293-294].*

ლით, ასევე ბზობის შაბათისა და ბზობის კვირისთვის განკუთვნილი საკითხავები[1]. **Q 636**-ში (**XVII-XVIII** ს) «სწავლათა სულიერთა» ტექსტი წყდება ვნების კვირიაკის ოთხშაბათის ქადაგებაზე: «... ესე მოვიძულოთ და საცხორებელი იგი საუკუნო აღვირჩიოთ»[2], შესაბამისად, თუკი დასახელებულ ხელნაწერში დიდი ოთხშაბათის საკითხავი შეიტანეს, გამოდის, რომ მასში ქადაგებები დიდი შაბათის ჩათვლითაც უნდა ყოფილიყო, რომლებიც შემდეგ დაიკარგა.

ამ ხელნაწერებს, სადაც დიდი მარხვის ქადაგებების რიცხვი გაზრდილია, უნდა მივათვალოთ «მარხვათა» შემცველი ნუსხა **A 431**-ც (**1731** წ.), მასში «სწავლანი» გადანაწილებულია დიდი მარხვის მთელ პერიოდზე, საკითხავები იწყება ყველიერის კვირიაკიდან და სრულდება ბზობის კვირიაკის ქადაგებით (იქვეა ბზობის შაბათის საკითხავიც)[3].

ამრიგად, «სწავლათა სულიერთა» შემცველი ხელნაწერებიდან თვრამეტში ქადაგებები იწყება ყველიერის კვირიაკიდან და სრულდება დიდი სამშაბათის ქადაგებით, მათგან არცერთში არ გვხვდება ბზობის შაბათისა და კვირის საკითხავები. მართალია, ხელნაწერ **A 148**-ის (**XII-XIII** ს) აღწერილობაში წერია, რომ მასში «სწავლანი» წარმოდგენილია დიდ შაბათამდე[4], მაგრამ აღნიშნულ ნუსხაში სათაურის შემცველი პირველი გვერდი აღდგენილია **XIX** ს-ის მხედრულით, ხოლო თავად ხელნაწერისეული ტექსტი დიდ ოთხშაბათამდეა.

როგორც ვხედავთ, სამ ნუსხაში (**A 431**, **A 1342** და **Q 636**) დიდი მარხვისთვის განკუთვნილი ქადაგებების რიცხვი გაზრდილია, ხელნაწერ **A 1342**-ში «სწავლათა სულიერთა» დამატებად წარმოდგენილია ექვსი ქადაგება:

1. «შაბათსა ბზობისასა, ლაზარობად, სარწმუნოებისათჳს და სიყუარულისა და ქალწულებისა»; 2. «კჳრიაკესა ბაიაობისასა, საღმრთოდ ცხორებისათჳს და ნეტარისა მის

---

1 *იხ.:* *აღწერილობა* **1954: 420-424.**

2 *იხ.:* *აღწერილობა* **1958: 89.**

3 *იხ.:* *აღწერილობა* **1986: 94-99.**

4 *აღწერილობა* **1976: 202.**

მოქალაქობისათჳს ჩუენისა, რომელ ვიჩინენით»; 3. «ვნების კვირიაკისა ოთხშაბათსა, მიბაძვისათჳს ქრისტეს ვნებათასა და ჴსენებაჲ მამათაჲ»; 4. «წმიდასა და დიდსა ხუთშაბათსა, ვითარმედ ჯერ-არს ჴსენებაჲ ქრისტეს ვნებისაჲ, რაჲთა განკრძალულად ვეზიარებოდეთ ქრისტეს საიდუმლოთა»; 5. «დიდსა პარასკევსა, ვითარმედ ჯერ-არს, რაჲთა მარადის ვიჴსენებდეთ და განვიცდიდეთ საკჳრველებით ვნებათა ქრისტესთა»; 6. «დიდსა შაბათსა წმიდისა აღჴსებისასა, რაჲთა გულისჴმა-ვყოფდეთ ძალსა საიდუმლოსასა გამოჴსნისა ჩუენისათჳს ქმნილთა და ვისწრაფოთ სათნოყოფად ღმრთისა»[1].

ჩვენი აზრით, დიდი მარხვის «სწავლათა სულიერთა» გიორგისეული თარგმანი თავდაპირველად მხოლოდ **43** ქადაგებას შეიცავდა, დანარჩენი **6** კი, ვფიქრობთ, მოგვიანებით დაემატა. ცნობილია, რომ დიდი ოთხშაბათიდან აღდგომამდე საეკლესიო მსახურება ტიპიკონურად მეტად დატვირთულია, ხოლო ბზობის შაბათი და კვირა დიდ საუფლო დღესასწაულს უკავშირდება, ამიტომ, სავარაუდოა, გიორგის ამ დღეებისათვის ქადაგებები აღარ უნდა ეთარგმნა, თუმცა ამ აზრის განსამტკიცებლად ქართული თარგმანის ტექსტოლოგიურ-ფილოლოგიური შესწავლაა საჭირო. რაც შეეხება, თითოეული საკითხავის ბერძნულ წყაროს, ამ საკითხს ქვემოთ შევეხებით. აღსანიშნავია, რომ დასახელებული **6** ქადაგებიდან ბერძნულ წყაროს ზედმიწევნით არცერთი არ მისდევს. ქართული თარგმანი ერთგვარად თავისუფალი და გავრცობილი სახისაა, თუმცა ზოგ მონაკვეთში, პირიქით, ტექსტი შეკვეცილია. ნათელია, რომ მთარგმნელი ცდილობს საკითხავები შინაარსობრივად დაუკავშიროს მოცემული დღის თემატიკას.

«სტოდიერში» დიდი მარხვისთვის განკუთვნილ ქადაგებებს მოსდევს ზატიკის პერიოდის «სწავლანი», ეს ქადაგებები რიცხვით თხუთმეტია და შემდეგ ხელნაწერებში გვხვდება: **A 500, XI** ს., **200v-254r; A 1347, XII** ს., **159r-202v**[2]**; H 368, XVI** ს., **174r-206r;**

---

1 *აღწერილობა* **1954: 424.**

2 *ხელნაწერ* **A 1347** *აღწერილობაში ზატიკის პერიოდის «სწავლანი»*

K 52, XIV-XV ს., **131r-172r; H 368, XVI** ს., **174r-206r**[1]. მათგან **H 368** ზატიკის პერიოდის «სწავლათა სულიერთა» **15** ქადაგებიდან შეიცავს მხოლოდ **10**-ს. დასახელებულ ნუსხას აკლია: **III, VII, XI, XII** და **XIII** სიტყვა. ზოგიერთ ხელნაწერში მხოლოდ პირველი, სააღდგომო («აღვსებასა») ქადაგებაა შეტანილი, დანარჩენი **14** კი აკლია, ეს ნუსხებია: **A 148, XII-XIII** ს., **233r-235v**[2]; **A 388, XII-XIII** ს., **96r-97r**[3]; **A 202, XVII** ს., **78r-80v** და **Vat. Borg. 8, 180r-183v**[4]. ხელნაწერ **A 202**-ში, «აღვსების» ქადაგების გარდა, «შუაზატიკის» **(81r-v)** საკითხავიც გვხვდება[5].

ამრიგად, როგორც ვხედავთ, «სტოდიერის» გიორგი მთაწმიდელისეული თარგმანი შედგება დიდი მარხვისა და ზატიკის პერიოდის ქადაგებებისაგან. მისი შემცველი **21** ხელნაწერიდან ზატიკის საკითხავებით ძირითადად მხოლოდ **4** ნუსხაა წარმოდგენილი **(A 500, A 1347, H 368** და **K 52)**. თუმცა «სტოდიერი» მხოლოდ ამ ქადაგებებით არ ამოიწურება.

აღსანიშნავია, რომ დასახელებულ სამოძღვრო ძეგლს სრულად მხოლოდ ქუთაისური ხელნაწერი **K 52** შეიცავს, მასში წარმოდგენილია: ***1.*** «სწავლანი სულიერნი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუ‾ნისა თეოდორე აღმსარებელისა, სტუდიელთა წინამძღურისა თჳსთა მოწაფეთა მიმართ ყველიერისა კჳრიაკითგან ვიდრე დიდად ოთხშაბათამდე...» ***(1r-131r)***; ***2.*** «წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუ‾ნისა თეოდორე აღმსარებელისა, სტუდიელთა წინამძღურისა, სწავლანი თჳსთა მოწაფეთა მიმართ» ***(131r-172r)***; ***3.***

ცალკე არ არის გამოტანილი [იხ.: აღწერილობა 1954: 429-430].

1 *ე. გაბიძაშვილის ბიბლიოგრაფიაში ზატიკის პერიოდის «სწავლათა სულიერთა» შემცველი ხელნაწერები შეცდომით არის მითითებული. იხ.: გაბიძაშვილი* **2006: 326.**

2 *აღწერილობა* **1976: 203.**

3 *აღწერილობა* **1985: 151.**

4 *თარხნიშვილი* **1994: 294.**

5 *აღწერილობა* **1980: 6-7.**

«ანდერძი წმიდისა მამისა და აღმსარებელისა თეოდორე სტუდიელთა მამასახლისისაჲ» ***(172r-181v)***; ***4.*** «ზედაწერილი წმიდისა მამისა ჩუ(ნ)ნისა და აღმსარებელისა თეოდორესი, სტუდიელთა წინამძღურისაჲ» ***(181v-183v)***[1]; ***5.*** «ებისტოლე ნავკრატი მონაზონისაჲ, აღსრულებისათჳს თეოდორე სტუდიელისა» ***(183v-201r)***[2].

«სტოდიერის» შემცველი უძველესი ქართული ხელნაწერია **A 500 (XI ს)**, რომელიც ნავკრატი მონაზონის «ებისტოლის» თავ-ნაკლული ტექსტით იწყება **(1r-17r)**, ამავე ეპისტოლეს შეიცავს **A 1347**-ც **(1r-17v)**[3]. ხაზი უნდა გაესვას **H 1771**-ის მნიშვნელობასაც, რომელიც წარმოადგენს შვიდფურცლიან ნუსხას, სადაც ტექსტი იწყება «სტოდიერში» შეტანილი «ზედაწერილით»[4]. **A 1347**-ისა და **H 1771** ნუსხების ვიზუალური დათვალიერებაც კი ცხადს ხდის, რომ ისინი ერთიდაიმავე ხელნაწერს წარმოადგენენ. ამას ადასტურებს შემდეგი მონაცემებიც: **A 1347** მთავრდება წმ. სოფრონ იერუსალიმელის ავტორობით ცნობილი ჰაგიოგრაფიული თხზულებით «ცხორებაჲ წმიდისა და ნეტარისა მარიამ მეგჳპტელისაჲ», რომელიც ქართულად თარგმნილია წმ. ექვთიმე ათონელის მიერ. დასახელებულ ხელნაწერში აღნიშნული ნაშრომის ტექსტი ნაკლულია და მოიცავს **214v-221v** გვერდებს[5]. **H 1771**-ში ბოლო სამი ფურცელი წარმოადგენს ფრაგმენტს სწორედ ამავე თხზულებიდან, ეს მონაკვეთია: «ხოლო ვითარ-იგი ვტირ̃ოდე, ვიხილე ზედაკერძო ადგილისა მის, სადა ვდეგ, აღმოსავალით კერძო ხატი წმიდისა ღმრთისმშობელისა... [ვიდრ̃ემდის ტკბილი იგი ნათელი არა] გამომიჩნდის და შემაურ̃ვებელნი...» **(5r-7v)**.

ამას გარდა, **A 1347**-ისა **H 1771**-ის ტექსტების შესწავლისას გაირკვა: **1. H 1771**-ის **1v**-ზე მთავრდება წმ. თეოდორეს «ანდერძი»;

---

1 *აღწერილობა* **1953: 180-181.**

2 *«ებისტოლე ნავკრატი მონაზონისაჲ» ხელნაწერ* **K 52**-*ის აღწერილობაში ცალკე არ არის გამოტანილი.*

3 *გაბიძაშვილი* **2004: 214-215.**

4 *გაბიძაშვილი* **2004: 214.**

5 *აღწერილობა* **1954: 430.**

2. H 1771-ის 1r გვერდით იწყება «ზედაწერილი», რომელიც გრძელდება **2r-v** გვერდებზე და მთავრდება **A 1347-ის 1v-ზე; 3. A 1347-ის 1r-ზე** იწყება ნავკრატის «ებისტოლე» და გრძელდება **H 1771-ის 3r-4v-ზე**, მანდვე მთავრდება ხელნაწერის **(H 1771)** «ბ» (მეორე) რვეული და წყდება ტექსტი. მოცულობიდან გამომდინარე დაკარგული მონაკვეთი უნდა შეადგენდეს ერთ ფურცელს, რის შემდეგაც **A 1347-ის 3r-ზე** კვლავ შეწყვეტილი «ებისტოლე» გრძელდება ვიდრე დასასრულამდე.

ვფიქრობთ, მოტანილი მონაცემები ცხადს ხდის, რომ **H 1771** წარმოადგენს **A 1347** ნუსხის დაკარგული ფურცლებიდან შემდგარ ხელნაწერს. როგორც ითქვა, **H 1771-ის 4v-ზე** მთავრდება ხელნაწერის მეორე რვეული, ანუ მის წინ უნდა ყოფილიყო კიდევ **16** ფურცელი[1]. აქედან გამომდინარე, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ **A 1347** სრულად შეიცავდა «სტოდიერს» და იწყებოდა წმ. თეოდორეს «ანდერძით»[2], რომელსაც მოსდევდა **„ზედაწერილი“**[3] და შემდეგ ნავკრატის «ებისტოლე».

---

1 *ხელნაწერის ერთი რვეული შეიცავს* **8** *ფურცელს.*

2 *როგორც ითქვა,* **H 1771-ის 1v-ზე** *შემონახულია სწორედ ხსენებული «ანდერძის» დამაბოლოოებელი მონაკვეთი.*

3 *ჩვენი აზრით, «ზედაწერილი» უნდა წარმოადგენდეს წმ. თეოდორეს „ანდერძის“ წარწერას, ამაზე მეტყველებს ქართული თარგმანი, რომლის შემცველ ხელნაწერებში „ანდერძს“ მოსდევს ხსენებული „ზედაწერილი“. ამას გარდა, „ანდერძის“ ბერძნული დედანი მთავრდება წმ. თეოდორეს გარდაცვალების თარიღის ზუსტი ჩვენებით. დასახელებული მონაკვეთი „ანდერძის“ გიორგისეულ თარგმანს აკლია, თუმცა „ზედაწერილის“ ბერძნულ ტექსტში და მის ქართულ თარგმანში იგი კვლავ მეორდება. მოვიტანთ „ანდერძიდან“ აღნიშნულ ადგილს:* "Ἐκοιμήθη ὁ παναγιώτατος Πατὴρ ἡμῶν καὶ μέγας ὁμολογητὴς Θεόδωρος ἐτῶν ὑπάρχων ἑπτά καὶ ἑξήκοντα· μηνὶ Νοεμβρίῳ, ια΄. ἡμέρᾳ Κυρθακῇ, ὥρᾳ ς΄. Ἰνδ, ε΄. ἔτ. ϛτλε΄." **(PG 99, col. 1824, D 11-14).** „მიიძინა უწმინდესმა ჩვენმა მამამა და დიდმა აღმსარებელმა თეოდორემ, დაბადებიდან 67-ე წელს, 11 ნოემბერს, კვირა დღეს, 6 საათზე, მე-5 ინდიქტიონს, 6335-ე წელს“. *მსგავსი მონაკვეთი «ზედაწერილის» გიორგისეულ თარგმანში ასეა:* „აღესრულა

XI ს-ის ხელნაწერ **A 500**-შიც იგივე ვითარება ჩანს. ისიც უეჭველად სრულად შეიცავდა «სტოდიერს», მასში **14r**-ზე იწყება მეექვსე რვეული, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ **A 500**-ს დასაწყიში ფურცლები საკმაოდ აკლია. უნდა აღინიშნოს **H 368 (XVI** ს) ნუსხაც, მასში ტექსტი წყდება წმ. თეოდორეს «ანდერძზე»: „... რამეთუ არა რა თუნიერ სამთა მათ... დაწყნარებისათა წმიდათა ლკ...“ **(209v)**, თავად «ანდერძის» ტექსტი კი შემორჩენილია მხოლოდ სამი ფურცლით **(206v-209v)**[1].

სავარაუდოდ, **H 368**-შიც სრულად იყო «სტოდიერის» ხუთივე ნაწილი და მასშიც, ისევე როგორც **K 52**-ში, «ანდერძი», «ზედაწერილი» და «ებისტოლე» ხელნაწერის ბოლოში უნდა ყოფილიყო მოთავსებული.

ამრიგად, გაირკვა, რომ «სტოდიერი» სრულად მხოლოდ ოთხ ქართულ ხელნაწერში დასტურდება, ესენია: **A 500 (XI** ს), **A 1347 (XII** ს), **H 368 (XVI** ს) და **K 52 (XIV-XV** ს), მათგან სამი არასრულადაა შემორჩენილი, ხოლო წიგნს სრულად მხოლოდ **K 52** წარმოგვიდგენს. თავად ძეგლი ხუთი ნაწილისაგან შედგება: **1.** წმ. თეოდორე სტუდიელის «ანდერძი» **("TESTAMENTUM" PG 99, col. 1813-1824); 2.** «ზედაწერილი...» **("Ἐπίγραμμα..." PG 99, col. 105-108); 3.** «ებისტოლე ნავკრატი მონაზონისაჲ, აღსრულებისათჳს თეოდორე სტუდიელისა» **("NAUCRATII CONFESSORIS ENCYCLICA, DE OBITU SANCTI THEODORI STUDITAE" PG 99, col. 1825-1850); 4.** «სწავლანი სულიერნი... ყველიერისა კჳრიაკითგან ვიდრე დიდად ოთხშაბათამდე»; **5.** ზატიკის პერიოდის «სწავლანი». აქედან, უძველეს ხელნაწერებში, **A 500**-სა **A 1347**-ში «ანდერძი», «ზედაწერილი» და «ებისტოლე» თავშია შეტანილი, ხოლო მოგვიანო ნუსხებში, **H 368**-სა და **K 52**-ში – ბოლოში.

უფლისა მიერ წმიდაჲ და დიდი მამაჲ ჩუენი, ქრისტეს მსახური და აღმსარებელი თეოდორე... თუესა ნუენბერსა ათერთმეტსა, დღესა კჳრიაკესა, ჟამსა ვ-სა, ინდიკტიონსა ხუთსა, წელთა დასაბამითგან სოფლისაჲთ ექუს ათას სამას ოცდამეათხუთმეტესა“ **(H 1771, 1r).**

1 *აღწერილობა* **1946: 269.**

***

ბერძნულად წმ. თეოდორეს სწავლათა ორი კრებულია ცნობილი: «დიდი კატექეტური სწავლანი» (ἡ Μεγάλη Κατήχησις) და «მცირე კატექეტური სწავლანი» (ἡ Μικρὰ Κατήχησις). დიდი 251 ქადაგებისგან შედგება, ხოლო მცირე – 134-ისგან.

Vita B[1] წმ. თეოდორეს სწავლათა შესახებ ამბობს:

„მან შეადგინა... ის წიგნი, რომელმაც მოაღწია ჩვენამდე, კვირაში სამჯერ იკითხება და ეწოდება «მცირე კატექეტური სწავლანი» (τῶν Μικρῶν λεγομένην Κατηχήσεων)[2], რიცხვით ასოცდათოთხმეტამდე, ისინი ნათქვამია მომზადების გარეშე ძმებთან ჩვეულებრივი საუბრისას; «დიდ კატექეტურ სწავლათა» (Μεγάλων Κατηχήσεων) მეორე, მესამე და მეოთხე წიგნი, რომლებიც არა მომზადების გარეშე, არამედ დაფიქრებულად შექმნა და გამოსცა მან; სხვათა შორის, მათში და სხვებშიც მისი პირიდან გამოსული სიტყვის მადლი ცხადდება; ანდა, ჩემი აზრით, ღვთივგაბრძნობილ მამათა არცერთ სხვა წიგნს არ შეუძლია იმდენად დიდი სარგებლის მოტანა თანამცხოვრებთა კრებულისთვის, როგორც ჩვენი მამის აღნიშნულ კატექეტურ სწავლებებს, რადგან ისინი ავლენენ სათნოების ყველა სახეობას და ბრძნულად იძლევიან ყველანაირ მკურნალობას განსხვავებული და სხვადასხვაგვარი სნეულებების წინააღმდეგ და აღაორძინებენ განათლებასა და სინანულს მკითხველთა სულებში. მისგან, ასევე,

---

1 PG 99, col. 264 A – B.

2 *აქ აღსანიშნავია, რომ წმ. თეოდორე მომავალ წინამძღვარს თავის «ანდერძში» მცნებად უდებს, რათა კვირაში სამჯერ იქადაგოს: „დაიცვა მტკიცედ, რაჲთა ჰყოფდე სწავლასა სამგზის შჯდეულსა შინა და ყოველთა მწუხრთა, გინა თუ შენ მიერ, გინა თუ სხჳსა შვილთა შენთაგანისა, ვინაჲთგან მამათა მიერ მოცემულ არს ესე და საცხორებელ“* (K 52, 177v. // *იხ.:* PG 99, col. 1820, ια′). *როგორც ჩანს, ამისთვის სწორედ „მცირე კატექეტური სწავლანი“ გამოიყენებოდა, მასში ქადაგებებს მითითებული აქვთ დრო საეკლესიო წლის შესაბამისად. თავიდან «სწავლანი» გათვლილი იყო საკვირაო და სადღესასწაულო დღეებზე, ხოლო შემდეგ – ოთხშაბათსა და პარასკევზე* (Гроссу 1907: 209).

შედგენილია შესხმითი სიტყვები (πανηγορική), რომლებშიც მან ზოგიერთს საუფლო და ღვთისმშობლის დღესასწაულებიდან და დიდებული ნათლისმცემლისა და წინამორბედის ყველა დღესასწაულს და ზოგიერთ სხვა სახელგანთქმულ წმინდანს შეასხა ხოტბა შესხმითი სიტყვების გამოჩენილ მწერლებზე არანაკლებ“[1].

წმ. თეოდორეს სწავლათა აქ მითითებული სამი კრებულის წარმომავლობა (1. «მცირე კატექეტური სწავლანი»; 2. «დიდი კატექეტური სწავლანი»; 3. «შესხმითი სიტყვების წიგნი») უსათუოდ უძველეს პერიოდს უკავშირდება, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს ნავკრატისა და ნიკოლოზის სახელებთან, წმ. თეოდორეს უახლოეს მოწაფეებთან და წინამძღვრობაში მის უშუალო მემკვიდრეებთან.

ეჭვი არაა, სტუდიელთა წინამძღვრის სწავლანი სისტემურად ჩაიწერებოდა ან თავად მისგან ან მისი მოწაფეებისგან, ასე რომ, მათი შეკრება ერთ მთლიანობად არ წარმოადგენდა განსაკუთრებულ სირთულეს მისი უახლოესი მოწაფეებისთვის[2].

«მცირე კატექეტურ სწავლათა» შემცველი ბერძნული ხელნაწერების უდიდესი ნაწილი შემორჩა არამარტო აღმოსავლეთში, არამედ დასავლეთშიც (პირველი ლათინური თარგმანი შესრულდა XVII ს-ის დასაწყიში ი. ლავინის მიერ ორი ვატიკანური ხელნაწერიდან. აღნიშნული თარგმანი გამოსცა ჟ. მინმა Patrologia Gareca-ს 99-ე ტომში[3]).

1770 წელს ვენეციაში გამოიცა წმ. თეოდორე სტუდიელის 95 კატექეტური სწავლა, საიდანაც მოგვიანებით შესრულდა სლავური (პაისი ველიჩკოველის მიერ) და რუსული (ოპტინის უდაბნოს საძმოს მიერ) თარგამნები.

1888 წელს Novae Patrum Bibliothecae-ს IX ტომში პირველად გამოიცა «მცირე კატექეტურ სწავლათა» ბერძნული ტექსტი ახალ ლათინურ თარგმანთან ერთად.

---

1 Гроссу 1907: 206-207.

2 Гроссу 1907: 207.

3 *იხ.*: PG 99, col. 509-688.

წინასიტყვაში გამომცემელი ჯ. კოზზა-ლუზი (Cozza-Luzi) აღნიშნავს, რომ ბერძნული ტექსტი აღებულია X-XI ს.-ის პალიმფსესტიდან, რაც მხოლოდ ზოგადად შეუდარდა ზოგიერთ სხვა ხელნაწერს.

1891 წელს ე. ოვრეის მიერ პარიზში გამოიცა აღნიშნული კრებულის კრიტიკულად დადგენილი ბერძნული ტექსტი გარდინას მიერ რედაქტირებული ლათინური თარგმანით[1]. ოვრეიმ თავის გამოცემაში გამოიყენა სხვადასხვა საუკუნის 12 ხელნაწერი, მათ შორის უძველესი, კოლბერტიული (COLBERT 1018), X საუკუნისაა[2].

რაც შეეხება «დიდ კატექეტურ სწავლას», იგი სამი ნაწილისაგან შედგება:

პირველი მოიცავს 87 სწავლას, მეორე – 124-ს, ხოლო მესამე – 40-ს[3].

ამ კრებულიდან იმავე Novae Patrum Bibliothecae-ს IX ტომში გამოცემულია 87 სწავლა ა. მაის მიერ შესრულებული ლათინური თარგმანით[4], დარჩენილ «სწავლათაგან» კი ნაწილი კოზზამ გამოსცა, მომდევნო, X ტომში[5].

«დიდ კატექეტურ სწავლათა» მეორე ნაწილის გამოცემისთვის დიდი შრომა გასწია რუსეთის არქეოგრაფიულმა კომისიამ, რომელმაც დასახელებული წიგნის ბერძნული ტექსტი 1904 წელს პაპადოპულო-კერამევსის რედაქტორობით მკითხველისთვის ხელმისაწვდომი გახადა[6].

---

1 *იხ.*: Auvray 1891.

2 Гроссу 1907: 209-210.

3 Соколов 1907: CVIII.

4 Гроссу 1907: 211-212. // *კოზზას გამოცემული ტექსტის შედარება წმ. თეოფანეს მიერ რუსულად თარგმნილ „დიდ კატექეტურ სწავლათა“ ტექსტთან* (Доброт. т. 4), *აჩვენებს, რომ კოზზა-ლუზის გამოცემაში შევიდა სწავლანი აღნიშნული კრებულის სამივე წიგნიდან* [Гроссу 1907: 212].

5 *იხ.*: Cozza-Luzi 1888-1905.

6 Гроссу 1907: 214-215. // *იხ.*: Μεγάλη Κατήχησις 1904.

***

კ. კეკელიძის მიერ «სწავლანი სულიერნი» დაკავშირებულია **PG 99, col. 509-901**-თან[1]. ეს დაკავშირება ბოლომდე სწორი არაა, რადგან **PG 99, col. 509-688** წარმოადგენს «მცირე კატექეტურ სწავლათა» ლათინურ თარგმანს, ხოლო **PG 99, col. 687-902** გულისხმობს წმ. თეოდორეს მიერ წარმოთქმულ **13** სიტყვას **(ORATIONES).** კ. კეკელიძე შეცდომით **13** სიტყვასაც «სწავლათა სულიერთა» დედნად თვლის, თუმცა «მცირე კატექეტურ სწავ-ლათა» შემთხვევაში არ ცდება, სადაც ჰომილიები სწორედ იმ **15** ქადაგებით იწყება, რომლებიც გიორგისეულ თარგმანში წარმოდგენილია როგორც ზატიკის პერიოდის «სწავლანი». ამრიგად, «სტოდიერის» აღნიშნულ **(V)** ნაწილს შეესაბამება: **Auvray 1891: 1-57; PG 99, col. 509-530.**

რაც შეეხება დიდი მარხვის «სწავლათა» საკითხს, როგორც აღმოჩნდა, მასში შეტანილი ჰომილიები აღებულია წმ. თეოდორეს ქადაგებათა ორი ბერძნული კრებულიდან. კერძოდ, მათგან უმეტესი ნაწილი თარგმნილია «მცირე კატექეტურ სწავლათაგან» (ἡ Μικρὰ Κατήχησις), ხოლო **13** – «დიდ კატექეტურ სწავლათაგან» (ἡ Μεγάλη Κατήχησις). ქართულ თარგმანში ზოგჯერ გაერთიანებულია ორი სხვადასხვა ჰომილია და წარმოდგენილია როგორც ერთი საკითხავი. ქვემოთ ვაჩვენებთ «სტოდიერში» წარმოდგენილი თითოეული ქადაგების ბერძნულ დედანს.

ზატიკის პერიოდის «სწავლანი»

1. „აღვსებასა, რაჲთა მოღუაწებით აღვასრულებ-დეთ ყოველსავე ცხორებასა ჩუენსა“ (A 500, 200v-203r). ΚΑΤΗΧΗΣΙΣ Α. ΠΕΡΙ ΤΟΥ ΕΝΑΓΩΝΙΩΣ ΔΙΑΝΥΕΙΝ ΤΟΝ ΟΛΟΝ ΗΜΩΝ ΒΙΟΝ **(Auvray 1891: 1-3)**[2].

2. „შემდგომად აღვსებისა და ჴსენებასა წმიდისა დომენტისსა, ვითარმედ ჯერ-არს ჩუენდა სიკუდილი ნებსითითა სიკუდილითა და წესიერებისათჳს“ (A 500, 203r-207r). ΚΑΤΗΧΗΣΙΣ Β. ΟΤΙ ΧΡΗ ΑΠΟΘΝΗΣΚΕΙΝ ΗΜΑΣ

---

1 *კეკელიძე* **1957: 57.**

2 *იხ.*: **PG 99, col. 509-510.**

ΑΕΙ ΤΟΝ ΠΡΟΑΙΡΕΤΙΚΟΝ ΘΑΝΑΤΟΝ ΚΑΙ ΠΕΡΙ ΕΥΤΑΞΙΑΣ (Auvray 1891: 4-7)[1].

3. „შემდგომად აღვსებისა, ვითარმედ ჯერ-არს ჩუენდა სლვაჲ ღირსად მონაზონებისა აღთქუმისა და დევნულებისა, რომლითა დევნულ ვართ უფლისათჳს“ (A 500, 207r-210v). **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ Γ**. ΟΤΙ ΔΕΙ ΠΕΡΙΠΑΤΕΙΝ ΗΜΑΣ ΑΞΙΩΣ ΤΟΥ ΜΟΝΑΔΙΚΟΥ ΕΠΑΓΓΕΛΜΑΤΟΣ ΚΑΙ ΤΟΥ ΔΙΩΓΜΟΥ ΟΥ ΔΕΔΙΩΓΜΕΘΑ ΔΙΑ ΚΥΡΙΟΝ (Auvray 1891: 8-11)[2].

4. „შემდგომად წმიდისა აღვსებისა, რაჲთა ვეკრძალნეთ თავთა თჳსთა და ვევლტოდით მავნებელთა ადგილთა და სახეთა ცოდვისათა“ (A 500, 211r-214r). **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ Δ**. ΠΕΡΙ ΤΟΥ ΠΡΟΣΕΧΕΙΝ ΕΑΥΤΟΙΣ ΚΑΙ ΦΕΥΓΕΙΝ ΤΟΥΣ ΟΛΕΘΡΙΟΥΣ ΤΟΠΟΥΣ ΚΑΙ ΤΡΟΠΟΥΣ ΤΗΣ ΑΜΑΡΤΙΑΣ (Auvray 1891: 11-14)[3].

5. „შემდგომად აღვსებისა, საშინელისა მისთჳს სამშჯავროჲსა და რაჲთა კრძალულად გარდავიჴ-დიდეთ დღეთა ცხორებისა ჩუენისათა“ (A 500, 214r-217r). **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ Ε**. ΠΕΡΙ ΤΟΥ ΦΟΒΕΡΟΥ ΚΡΙΤΗΡΙΟΥ ΚΑΙ ΠΕΡΙ ΤΟΥ ΑΣΦΑΛΩΣ ΔΙΑΜΕΙΒΕΙΝ ΤΑΣ ΗΜΕΡΑΣ ΤΗΣ ΠΑΡΟΥΣΗΣ ΗΜΩΝ ΖΩΗΣ (Auvray 1891: 15-18)[4].

6. „შუვა ზატიკსა, ვითარმედ ჯერ-არს განსულ-ნელებაჲ თავთა თჳსთაჲ მოგებითა სათნოებათაჲთა“ (A 500, 217r-220r). **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ ς**. ΟΤΙ ΔΕΙ ΕΥΩΔΙΑΖΕΙΝ ΕΑΥΤΟΥΣ ΔΙΑ ΤΗΣ ΤΩΝ ΑΡΕΤΩΝ ΑΝΑΛΗΨΕΩΣ (Auvray 1891: 18-21)[5].

7. „ითქუა უწინარეს ამაღლებისა, ამაღლებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა და რაჲთა სათნოდ ღმრთისა ვიქცეოდით თავთა შორის თჳსთა“ (A 500,

---

1 *იხ.*: PG 99, col. 510-511.

2 *იხ.*: PG 99, col. 512-513.

3 *იხ.*: PG 99, col. 513-514.

4 *იხ.*: PG 99, col. 514-515.

5 *იხ.*: PG 99, col. 515-517.

220r-223v). **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ Ζ**. ΠΕΡΙ ΤΗΣ ΑΝΑΛΗΨΕΩΣ ΤΟΥ ΕΩΤΗΡΟΣ ΗΜΩΝ ΙΗΣΟΥ ΧΡΙΣΤΟΥ ΚΑΙ ΤΟΥ ΘΕΑΡΕΣΤΩΣ ΑΝΑΣΤΡΕΦΕΣΘΑΙ ΕΝ ΕΑΥΤΟΙΣ (Auvray 1891: 22-25)[1].

8. „ვითარმედ ჯერ-არს წმიდითა გონებითა ზიარებაჲ წმიდათა საიდუმლოთა, რომელი-ესე ითქუა ამაღლებასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა“ (A 500, 223v-226v). **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ Η**. ΟΤΙ ΔΕΙ ΜΕΤΑ ΚΑΘΑΡΟΥ ΕΥΝΕΙΔΟΤΟΣ ΜΕΤΕΧΕΙΝ ΤΩΝ ΑΓΙΑΣΜΑΤΩΝ ΡΗΘΕΙΣΑ ΕΝ ΤΗ ΑΝΑΛΗΨΙΜΩ (Auvray 1891: 25-28)[2].

9. „გარდამოსლვისათჳს სულისა წმიდისა და სიკუდილისათჳს უბადრუკისა ევპრეპიანესსა, ითქუა პირველ მარტჳლიისა“ (A 500, 226v-233r). **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ Θ**. ΠΕΡΙ ΤΗΣ ΚΑΘΟΔΟΥ ΤΟΥ ΑΓΙΟΥ ΠΝΕΓΜΑΤΟΣ ΚΑΙ ΤΟΥ ΘΑΝΑΤΟΥ ΤΟΥ ΤΑΠΕΙΝΟΥ ΕΥΠΡΕΠΙΑΝΟΥ (Auvray 1891: 28-35)[3].

10. „ყოველთა წმიდათათჳს და ვითარმედ არა სისხლთა დათხევითა ხოლო იქმნების წამებაჲ, არამედ ცხორებისა მიერცა საღმრთოჲსა და კეთილისა მოქალაქობისა“ (A 500, 233r-237r). **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ Ι**. ΟΤΙ ΟΥΧ ΟΙ ΔΙ' ΑΙΜΑΤΟΣ ΜΟΝΟΙ ΜΑΡΤΥΡΕΣ ΑΛΛΑ ΚΑΙ ΟΙ ΔΙΑ ΒΙΟΥ ΕΝΘΕΟΥ ΠΟΛΙΤΕΥΟΜΕΝΟΙ (Auvray 1891: 35-39)[4].

11. „პირველსა კჳრიაკესა, მისივე სწავლაჲ მშჳდობისათჳს“ (A 500, 237r-239v). **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ ΙΑ**. ΔΙΔΑΣΚΑΛΙΑ ΠΕΡΙ ΕΙΡΗΝΗΣ (Auvray 1891: 39-42)[5].

12. „მეორესა კვირიაკესა, ვითარმედ ჯერ-არს შიშითა და სიყუარულითა ღმრთისაჲთა გარდაჴდაჲ ცხორებისა ჩუენისაჲ და დაძინებისათჳს ძმისა ევდუკიმოჲსსა“ (A 500, 240r-242v). **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ ΙΒ**. ΟΤΙ ΧΡΗ ΜΕ' ΑΙΔΟΥΣ ΚΑΙ ΑΓΑΠΗΣ ΘΕΟΥ ΔΙΑΜΕΙΒΕΙΝ ΤΟΝ ΒΙΟΝ ΗΜΩΝ

---

1 *იხ.*: PG 99, col. 517-518.

2 *იხ.*: PG 99, col. 518-519.

3 *იხ.*: PG 99, col. 519-522.

4 *იხ.*: PG 99, col. 522-523.

5 *იხ.*: PG 99, col. 523-524.

ΚΑΙ ΠΕΡΙ ΤΗΣ ΚΟΙΜΗΣΕΩΣ ΤΟΥ ΑΔΕΛΦΟΥ ΕΥΔΟΚΙΜΟΥ (Auvray 1891: 42-45)[1].

13. „მესამესა კჳრიაკესა, ჴსენებისათჳს სიკუდილისა და სიტყჳსმიცემისა საქმეთა ჩუენთათჳს წინაშე საშინელისა მის სამშჯავროჲსა“ (A 500, 243r-246v). **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ ΙΓ**. ΠΕΡΙ ΜΝΗΜΗΣ ΘΑΝΑΤΟΥ ΚΑΙ ΑΠΟΛΟΓΙΑΣ ΤΩΝ ΒΕΒΙΩΜΕΝΩΝ ΗΜΙΝ ΕΠΙ ΤΟΥ ΦΟΒΕΡΟΥ ΚΡΙΤΗΡΙΟΥ (Auvray 1891: 45-49)[2].

14. „შემდგომად ჴსენებისა წმიდისა მოწამისა თეოდორესსა, საღმრთოჲსა მოქალაქობისა ჩუენისათჳს და რაჲთა არა გუეშინოდის განსაცდელთა შინა“ (A 500, 246v-250r). **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ ΙΔ**. ΠΕΡΙ ΤΗΣ ΕΝΘΕΟΥ ΗΜΩΝ ΠΟΛΙΤΕΙΑΣ ΚΑΙ ΟΥ ΜΗ ΥΠΟΠΗΣΣΕΙΝ ΕΝ ΤΟΙΣ ΠΕΙΡΑΣΜΟΙΣ (Auvray 1891: 49-53)[3].

15. „შემდგომად ჴსენებისა წმიდისა წინამორბედისა. მოძღურებაჲ პატივისათჳს და თაყუანისცემისა წმიდათა ხატთაჲსა“ (A 500, 250r-254r). **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ ΙΕ**. ΔΟΓΜΑΤΙΚΗ ΠΕΡΙ ΤΙΜΗΣ ΚΑΙ ΤΗΣ ΠΡΟΣΥΚΝΗΣΕΩΣ ΤΩΝ ΑΓΙΩΝ ΕΙΚΟΝΩΝ (Auvray 1891: 53-57)[4].

„სწავლანი სულიერნი“ (დიდი მარხვის პერიოდი)[5]

1. „სწავლანი სულიერნი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა თეოდორე აღმსარებელისა, სტუდიელთა წინამძღურისაჲ თჳსთა მოწაფეთა მიმართ, ყველიერისა კჳრიაკითგან ვიდრე დიდად

---

1 *იხ.*: PG 99, col. 524-525.

2 *იხ.*: PG 99, col. 525-527.

3 *იხ.*: PG 99, col. 527-528.

4 *იხ.*: PG 99, col. 528-530.

5 Μεγάλη Κατήχησις (*„დიდი კატექეტური სწავლანი“*) *გამოცემები სრულად ვერ მოვიძიეთ, ამიტომ ვუთითებთ მის რუსულ თარგმანს, ხოლო ფრჩხილებში ვწერთ* μεγ. I-*სა ან* μεγ. II-*ს, რაც ნიშნავს, რომ ქადაგება აღებულია აღნიშნული კრებულის ან პირველი ანდა მეორე ნაწილიდან.*

ოთხშაბათამდე, რომელნი წარიკითხვიან მარხვათა, შემდგომად სერობისა ლოცვისა“ (A 500, 17r-19v). **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ ΝΓ** (53). ΚΑΙ ΟΤΙ ΤΟΥ ΑΛΗΘΙΝΟΥ ΥΠΗΚΟΟΥ ΚΑΙ ΥΠΟΤΑΚΤΙΚΟΥ ΑΛΗΘΗΣ ΝΗΣΤΕΙΑ ΕΣΤΙΝ Η ΕΚΚΟΠΗ ΤΟΥ ΟΙΚΕΙΟΥ ΘΕΛΗΜΑΤΟΣ (Auvray 1891: 191-193)[1].

2. „ორშაბათსა პირველისა შჯდეულისასა, მარხვისათჳს და უვნებელობისა, რომელი თქუა დაწყებასა მარხვათასა“ (A 500, 19v-24r). **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ ΝΔ** (54). ΠΕΡΙ ΝΗΣΤΕΙΑΣ ΚΑΙ ΑΠΑΘΕΙΑΣ ΡΗΘΕΙΣΑ ΕΝ ΑΡΧΗ ΤΩΝ ΝΗΣΤΕΙΩΝ (Auvray 1891: 193-197)[2].

3. „სამშაბათსა პირველისა შჯდეულისასა, ჴსენებისათჳს სიკუდილისა და სიტყჴსგებისა საქმეთა ჩუენთათჳს წინაშე საშინელისა მის სამშჯავროჲსა“ (A 500, 24r-29r). **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ ΙΓ** (13). ΠΕΡΙ ΜΝΗΜΗΣ ΘΑΝΑΤΟΥ ΚΑΙ ΑΠΟΛΟΓΙΑΣ ΤΩΝ ΒΕΒΙΩΜΕΝΩΝ ΗΜΙΝ ΕΠΙ ΤΟΥ ΦΟΒΕΡΟΥ ΚΡΙΤΗΡΙΟΥ (Auvray 1891: 45-49)[3].

4. „ოთხშაბათსა პირველისა შჯდეულისასა, მოკუდინებისათჳს ვნებათაჲსა და სამკალისათჳს სულიერისა“ (A 500, 29r-35r). **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ Ις** (16). ΠΕΡΙ ΝΕΚΡΩΣΕΩΣ ΤΩΝ ΠΑΘΩΝ ΚΑΙ ΤΟΥ ΠΝΕΥΜΑΤΙΚΟΥ ΘΕΡΙΣΜΟΥ (Auvray 1891: 57-60); **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ ΙΖ** (17). ΠΕΡΙ ΤΟΥ ΠΝΕΥΜΑΤΙΚΟΥ ΘΕΡΙΣΜΟΥ ΚΑΙ ΤΗΣ ΕΠΙΤΕΤΑΜΕΝΗΣ ΑΣΚΗΣΕΩΣ ΤΩΝ ΤΟΥ ΧΡΙΣΤΟΥ ΘΕΡΑΠΟΝΤΩΝ (Auvray 1891: 61-64)[4].

5. „ხუთშაბათსა პირველისა შჯდეულისასა, განშუენებისათჳს უხრწნელისა მის სამკჳდრებელისა ჩუენისა სათნოებათა სამკაულითა“ (A 500, 35v-39v). **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ ΝΕ** (55). ΠΕΡΙ ΤΟΥ ΚΑΤΑΚΟΣΜΕΙΝ ΤΗΝ

---

1 იხ.: PG 99, col. 580-581.

2 იხ.: PG 99, col. 581-582.

3 ΚΑΤΗΧΗΣΙΣ ΙΓ *სინამდვილეში არის ზატიკის პერიოდის* XIII *ქადაგება:* „*მესამესა კვირიაკესა...*“ (A 500, 243r-246v). // *იხ.*: PG 99, col. 525-527.

4 იხ.: PG 99, col. 530-532.

ΑΦΘΑΡΤΟΝ ΗΜΩΝ ΟΙΚΙΑΝ ΔΙΑ ΤΗΣ ΤΩΝ ΑΡΕΤΩΝ ΑΝΑΛΗΨΕΩΣ (Auvray 1891: 197-201)[1].

6. „პარასკევსა პირველისა შჯდეულისასა, საღმრთოჲსა მოქალაქობისათჳს“ (A 500, 39v-45r). **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ ΙΔ** (14). ΠΕΡΙ ΤΗΣ ΕΝΘΕΟΥ ΗΜΩΝ ΠΟΛΙΤΕΙΑΣ ΚΑΙ ΟΥ ΜΗ ΥΠΟΠΗΣΣΕΙΝ ΕΝ ΤΟΙΣ ΠΕΙΡΑΣΜΟΙΣ (Auvray 1891: 49-53)[2].

7. „შაბათსა პირველისა შჯდეულისასა, რაჲთა მჴნე და მტკიცე ვიყვნეთ მართალსა შინა სარწმუნოებასა“ (A 500, 45r-49r). **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ ΝΑ** (51). ΠΕΡΙ ΤΟΥ ΕΥΘΑΡΣΟΥΣ ΚΑΙ ΑΝΔΡΕΙΟΥΣ ΕΙΝΑΙ ΕΝ ΤΩ ΠΑΡΟΝΤΙ ΔΙΩΓΜΩ (Auvray 1891: 183-187)[3].

8. „პირველსა კჳრიაკესა, წმიდათა მარხვათასა, რაჲთა გამოვზარდოთ სული ხედვათა მიერ სულიერთა“ (A 500, 49r-52r). **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ Νς** (56). ΠΕΡΙ ΤΟΥ ΜΗ ΥΠΕΡ ΔΥΝΑΜΙΝ ΕΚΤΕΙΝΕΣΘΑΙ ΗΜΑΣ ΕΝ ΤΟΙΣ ΚΑΤΑ ΘΕΟΝ ΣΠΟΥΔΑΣΜΑΣΙ ΚΑΙ ΤΟΥ ΔΙΑΤΡΕΦΕΙΝ ΤΗΝ ΨΥΧΗΝ ΕΝ ΤΟΙΣ ΠΝΕΥΜΑΥΙΚΟΙΣ ΘΕΩΡΗΜΑΣΙΝ (Auvray 1891: 201-203)[4].

9. „ორშაბათსა მეორისა შჯდეულისასა, რაჲთა არა გჳყუარდენ სოფლისა ამის საშუებელნი და სურვილისათჳს საუკუნეთა კეთილთაჲსა“ (A 500, 52r-56r). **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ ΙΗ** (18). ΠΕΡΙ ΑΠΡΟΣΠΑΘΕΙΑΣ ΤΩΝ ΤΗΔΕ ΗΔΕΩΝ ΚΑΙ ΕΦΕΣΕΩΣ ΤΩΝ ΑΙΩΝΙΩΝ ΑΓΑΘΩΝ (Auvray 1891: 64-67)[5].

10. „სამშაბათსა მეორისა შჯდეულისასა, სულიერისა დღესასწაულისათჳს, რაჲთა მივემთხჳნეთ სასუფეველსა ცათასა“ (A 500, 56r-59v). **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ ΚΓ** (23).

---

1 *იხ.*: PG 99, col. 582-584.

2 ΚΑΤΗΧΗΣΙΣ ΙΔ *სინამდვილეში არის ზატიკის პერიოდის* XIV *ქადაგება:* „შემდგომად ჴსენებისა წმიდისა მოწამისა თეოდორესსა...“ (A 500, 246v-250r). // *იხ.*: PG 99, col. 527-528.

3 *იხ.*: PG 99, col. 577-579.

4 *იხ.*: PG 99, col. 584-585.

5 *იხ.*: PG 99, col. 532-534.

ΠΕΡΙ ΤΗΣ ΕΝΤΑΥΘΑ ΠΝΕΥΜΑΤΙΚΗΣ ΠΑΝΗΓΥΡΕΩΣ ΚΑΙ ΕΠΙΤΕΥΞΕΩΣ ΤΗΣ ΒΑΣΙΛΕΙΑΣ ΤΩΝ ΟΥΡΑΝΩΝ (Auvray 1891: 84-86)[1].

11. „ოთხშაბათსა მეორისა შჯდეულისასა, რაჲთა დავიცვათ სული ჩუენი განმხრწნელთა ვნებათაგან“ (A 500, 59v-62r). **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ ΝΖ** (57). ΠΕΡΙ ΤΟΥ ΦΥΛΑΤΤΕΙΝ ΤΗΝ ΨΥΧΗΝ ΑΠΟ ΤΩΝ ΦΘΟΡΟΠΟΙΩΝ ΠΑΘΩΝ (Auvray 1891: 203-206)[2].

12. „ხუთშაბათსა მეორისა შჯდეულისასა, რაჲთა არა აღმოვაცენოთ ეკალნი და კუროჲსთავნი ვნებათანი, არამედ რაჲთა ტევანნი სათნოებათანი გამოვიხუნეთ“ (A 500, 62v-66r). **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ ΚΕ** (25). ΠΕΡΙ ΤΟΥ ΜΗ ΕΚΦΕΡΕΙΝ ΑΚΑΝΘΑΣ ΚΑΙ ΤΡΙΒΟΛΟΥΣ ΠΑΘΩΝ ΑΛΛΑ ΚΑΡΠΟΦΟΡΕΙΝ ΤΟΥΣ ΤΗΣ ΑΡΕΤΗΣ ΒΟΤΡΥΑΣ (Auvray 1891: 91-94)[3].

13. „პარასკევსა მეორისა შჯდეულისასა, ერთობისათჳს და სიყუარულისა და მჴნედ ტჳრთვად ტკივილთა სათნოებისათა და მიმთხუევად სასუფეველსა ცათასა“ (A 500, 66v-69r). **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ ΝΗ** (58). ΠΕΡΙ ΟΜΟΝΟΙΑΣ ΚΑΙ ΑΓΑΠΗΣ ΚΑΙ ΤΟΥ ΥΠΟΙΣΑΙ ΓΕΝΝΑΙΩΣ ΤΑ ΕΠΙΠΟΝΑ ΤΗΣ ΑΡΕΤΗΣ ΥΠΕΡ ΤΟΥ ΤΥΧΕΙΝ ΒΑΣΙΛΕΙΑΣ ΟΥΡΑΝΩΝ (Auvray 1891: 206-209)[4].

14. „შაბათსა მეორისა შჯდეულისასა, მოქალაქობისათჳს კეთილისა და ჴსენებისათჳს სიკუდილისა და მერმისა მისთჳს მოსაგებელისა“ (A 500, 69r-75r). **Оглашение** 59 (μεγ. II). О благоволении Божием и о власти над собою – братиям обители "Трехвратной" (Творения 2010: 442-444)[5].

---

1 *იხ.*: PG 99, col. 539-540.

2 *იხ.*: PG 99, col. 585-586.

3 *იხ.*: PG 99, col. 542-543.

4 *იხ.*: PG 99, col. 586-587.

5 *იხ.*: Μεγάλη Κατήχησις 1904: 416-425.

15. „მეორესა კჳრიაკესა მარხვათასა, რაჲთა მშჳდობით და მყუდროებით აღვასრულებდეთ დღეთა მარხვისათა სასოებითა საუკუნოჲსა ცხოვრებისაჲთა“ (A 500, 75v-78r). **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ ΝΘ** (59). ΠΕΡΙ ΤΟΥ ΗΠΙΩΣ ΚΑΙ ΕΥΜΑΡΩΣ ΔΙΑΝΥΕΙΝ ΗΜΑΣ ΤΑΣ ΗΜΕΡΑΣ ΤΩΝ ΝΗΣΤΕΙΩΝ ΕΠ ΕΛΠΙΔΙ ΤΗΣ ΑΤΕΛΕΥΤΗΤΟΥ ΖΩΗΣ (Auvray 1891: 209-212)[1].

16. „ორშაბათსა მესამისა შჳდეულისასა, მადლობისათჳს და მოთმინებისა“ (A 500, 78r-82v). **Оглашение** 19 (μεγ. II). О благодарении и терпении (Творения 2010: 378-379)[2].

17. „სამშაბათსა მესამისა შჳდეულისასა, მარხვისათჳს, არა ხოლო ჭამადთაგან, არამედ ყოველთა ვნებათაგან“ (A 500, 82v-88v). **Оглашение** 33 (μεγ. II). 0 воздержании не только от пищи, но и от страстей, сказанное в Святую Четыредесятницу (Творения 2010: 401-403)[3].

18. „ოთხშაბათსა მესამისა შჳდეულისასა, ამიერ განსლვისა ჩუენისათჳს მყისსა შინა, და რაჲთა კრძალულად დავიცვნეთ საცნობელნი და გონებაჲ უჯეროთა გულისთქუმათაგან“ (A 500, 89r-91v). **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ Ξ** (60). ΠΕΡΙ ΤΗΣ ΕΝΘΕΝΔΕ ΑΘΡΟΑΣ ΜΕΤΑΧΩΡΗΣΕΩΣ ΚΑΙ ΔΙΔΑΣΚΑΛΙΑ ΠΕΡΙ ΥΟΥ ΑΣΦΑΛΩΣ ΤΗΡΕΙΝ ΤΑΣ ΕΑΥΤΩΝ ΑΙΣΘΗΣΕΙΣ ΚΑΙ ΤΟΝ ΝΟΥΝ ΑΠΟ ΤΩΝ ΕΚΤΟΠΩΝ ΕΠΙΘΥΜΙΩΝ (Auvray 1891: 212-214)[4].

19. „ხუთშაბათსა მესამისა შჳდეულისასა, რაჲთა მადლობით მოვითმენდეთ მწუხარებათა მომავალთა ჩუენ ზედა“ (A 500, 91v-95v). **Оглашение** 32 (μεγ. II). О том, чтобы с благодарностью переносить скорби нашей во Христе жизни (Творения 2010: 400-401)[5].

---

1 *იხ.*: PG 99, col. 587-588.

2 *იხ.*: Μεγάλη Κατήχησις 1904: 131-136.

3 *იხ.*: Μεγάλη Κατήχησις 1904: 238-246.

4 *იხ.*: PG 99, col. 588-589.

5 *იხ.*: Μεγάλη Κατήχησις 1904: 232-237.

20. „პარასკევსა მესამისა შჯდეულისასა, მოთმინებისათჳს განსაცდელთაჲსა და მარხვისათჳს“ (A 500, 95v-98r). **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ ΞΑ** (61). ΟΤΙ ΟΥ ΔΕΙ ΥΠΟΒΑΛΛΕΙΝ ΕΑΥΤΟΥΣ ΕΝ ΤΟΙΣ ΠΕΙΡΑΣΜΟΙΣ ΚΑΙ ΠΕΡΙ ΝΗΣΤΕΙΑΣ (Auvray 1891: 214-217)[1].

21. „შაბათსა მესამისა შჯდეულისასა, რაჲთა არა უდებ-ვიქმნნეთ თჳსისა ცხორებისათჳს, ვიდრე სიკუდილდმდე“ (A 500, 98v-104r). **Оглашение** 34 (μεγ. II). О том, чтобы до самой смерти избегать нерадения в деле спасения (Творения 2010: 403-405)[2].

22. „კჳრიაკესა მესამესა, რაჲთა განვაგდოთ ჩუენგან ყოველი მოწყინებაჲ და აღვდგეთ საქმედ სულიერისა“ (A 500, 104r-109r). **Оглашение** 40 (μεγ. II). О том, чтобы нам отбросить всякое уныние и пробудиться для духовной работы (Творения 2010: 413-414)[3].

23. „ორშაბათსა მეოთხისა შჯდეულისასა, რაჲთა განვეკრძალნეთ სწავლათაგან და მხილებათა წმიდათა მამათაჲსა“ (A 500, 109r-112v). **Оглашение** 42 (μεγ. II). О том, чтобы внимать угрозам и наставлениям святых отцов (Творения 2010: 416-417)[4].

24. „სამშაბათსა შუვამარხვისასა, საშინელისა მისთჳს დღისა, საშჯელისა და მერმისა მისთჳს მოსაგებელისა“ (A 500, 113r-118v). **Оглашение** 45 (μεγ. II). О страшном дне Суда и [о брате], отступившем и по-иудейски привлекающем нас к мирскому суду (Творения 2010: 421-423)[5].

25. „ოთხშაბათსა შუვამარხვისასა, ვითარმედ აღვსებაჲ ესე სახე არს მერმისა მის და საუკუნოჲსა აღვსებისაჲ“ (A 500, 119r-122r). **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ ΞΖ** (66). ΟΤΙ

---

1 *იხ.*: PG 99, col. 589-590.

2 *იხ.*: Μεγάλη Κατήχησις 1904: 247-254.

3 *იხ.*: Μεγάλη Κατήχησις 1904: 286-292.

4 *იხ.*: Μεγάλη Κατήχησις 1904: 299-304.

5 Ibid. 323-330.

ΤΟ ΠΑΣΧΑ ΤΟΥΤΟ ΤΥΠΟΣ ΕΣΤΙ ΠΡΟΣ ΤΟ ΜΕΛΛΟΝ ΚΑΙ ΑΙΩΝΙΟΝ ΠΑΣΧΑ ΚΑΙ ΠΕΡΙ ΥΠΟΜΟΝΗΣ ΚΑΙ ΑΝΔΡΕΙΑΣ (Auvray 1891: 230-233)[1].

26. „ხუთშაბათსა შუვამარხვისასა, მადლობისათჳს და წესიერებისა“ (A 500, 122v-127v). **Оглашение** 49 (μεγ. II). О благодарении и благочинии (Творения 2010: 428-429)[2].

27. „პარასკევსა შუვამარხვისასა, ვითარმედ მოკუდინებითა ვნებათაჲთა და აღდგომითა სათნოებათაჲთა იქმნების მარადღე დღესასწაულობაჲ და ზატიკობაჲ საღმრთოჲ“ (A 500, 127v-130r). **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ ΞΖ** (67). ΟΤΙ ΕΝ ΤΗ ΝΕΚΡΩΣΕΙ ΤΩΝ ΠΑΘΩΝ ΚΑΙ ΤΗ ΑΝΑΣΤΑΣΕΙ ΤΩΝ ΑΡΕΤΩΝ ΤΟΥΤΟ ΕΣΤΙ ΤΟ ΕΟΡΤΑΖΕΙΝ ΚΑΘ ΕΚΑΣΤΗΝ ΚΑΙ ΠΑΣΧΑΖΕΙΝ ΚΥΡΙΩ ΤΩ ΘΕΩ (Auvray 1891: 233-236)[3].

28. „მეოთხესა შაბათსა, ვითარმედ თანა-აც წინამძღუარსა, რაჲთა ასპარეზსა შინა სათნოებისასა მავალთათჳს ყოველსავე იქმოდის, რომელი მოსწრაფებად მოიყვანებს, რაჲთა მტერთა მიმართ ძლევაჲ აღიღონ და გჳრგჳნნი საუკუნენი ღუაწლისა დამდებელისა ღმრთისაგან მიიხუნენ“ (A 500, 130v-138v). **Оглашение** 84 (μεγ. II). О том, что игумену для бегущих на ристалище мученического послушания подобает делать все, что их приводит в мужество, дабы, одержав победу над врагами, они получили от Подвигоположника Бога венцы (Твор. 2010: 481-483)[4].

29. „მეოთხესა კჳრიაკესა, წარმწყმედელისა კადნიერებისათჳს, და რაჲთა მადლობით თავს-ვისხნეთ სნეულებანი“ (A 500, 138v-143v). **Оглашение** 2 (μεγ. I). О пагубном бесстыдстве, а также о том, чтобы с благодарностью переносить болезни (Творения 2010: 190-192).

---

1 *იხ.*: PG 99, col. 597-599.

2 *იხ.*: Μεγάλη Κατήχησις 1904: 352-358.

3 *იხ.*: PG 99, col. 599-600.

4 *იხ.*: Μεγάλη Κατήχησις 1904: 589-599.

30. „ორშაბათსა მეხუთისა შჳდეულისასა, საღმრთოჲსა მოქალაქობისათჳს და შურისა კეთილისა და სათნოებათა წარმართებისათჳს“ (A 500, 143v-150r). **Оглашение 6** (μεγ. I). О присносветлом покаянии и о том, чтобы мы путем смирения прилежали ко всему благому (Творения 2010: 200-202).

31. „სამშაბათსა მეხუთისა შჳდეულისასა, რაჲთა წინაშე თუალთა ჩუენთა გუაქუნდეს ჟამი სიკუდილისაჲ და მას შინა ყოფადი სიტყჳსგებაჲ, და ვითარმედ ვერ ღირს არიან აწინდელნი ესე ჭირნი მერმისა მისთჳს სასოებისა“ (A 500, 150r-155v). **Оглашение 9** (μεγ. I). О разлучении души от тела и о том, что в ту минуту оказывает великую помощь слезная молитва (Твор. 2010: 206-208).

32. „ოთხშაბათსა მეხუთისა შჳდეულისასა, რაჲთა განვიწმიდნეთ თავნი თჳსნი ყოვლისაგან შეგინებისა სინანულისა მიერ ღმრთივმონიჭებულისა“ (A 500, 155v-158r). **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ ΠΒ** (82). ΠΕΡΙ ΤΟΥ ΚΑΘΑΙΡΕΙΝ ΕΑΥΤΟΥΣ ΑΠΟ ΠΑΝΤΟΣ ΜΟΛΥΣΜΟΥ ΔΙΑ ΤΗΣ ΘΕΟΔΩΡΗΤΟΥ ΜΕΤΑΝΟΙΑΣ (Auvray 1891: 281-284)[1].

33. „ხუთშაბათსა ე:ზ, ვითარმედ ჯერ-არს ჩუენდა, რაჲთა ყოვლითა წადიერებითა და გულსმოდგინებითა ვიქმოდეთ ცხორებასა ჩუენსა“ (A 500, 158r-161r). **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ ΠΘ** (89). ΟΤΙ ΔΕΙ ΜΕΤΑ ΠΑΣΗΣ ΠΡΟΘΥΜΙΑΣ ΚΑΙ ΠΡΟΑΙΡΕΣΕΩΣ ΚΑΤΕΡΓΑΖΕΣΘΑΙ ΤΗΝ ΣΩΤΗΡΙΑΝ ΗΜΩΝ (Auvray 1891: 304-306)[2].

34. „პარასკევსა ე:ზ, ვითარმედ არა ჯერ-არს, რაჲთა განუღოთ კარი ეშმაკსა შეწყნარებითა ბოროტთა გულისსიტყუათაჲთა“ (A 500, 161r-164r). **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ ϟ** (90). ΟΤΙ ΟΥ ΔΕΙ ΑΝΟΙΓΕΙΝ ΘΥΡΑΝ ΤΩ ΔΙΑΒΟΛΩ ΔΙΑ ΤΗΣ ΠΑΡΑΔΟΧΗΣ ΤΩΝ ΠΟΝΗΡΩΝ ΕΝΘΥΜΗΣΕΩΝ (Auvray 1891: 307-309)[3].

---

1 *იხ.*: PG 99, col. 616-617.

2 *იხ.*: PG 99, col. 625-626.

3 *იხ.*: PG 99, col. 626-627.

35. „შაბათსა ე:ზ, რაჲთა გულსმოდგინედ წინააღუდგეთ ბრძოლასა უკეთურთა ეშმაკთასა“ (A 500, 164r-167r). **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ ΚΑ** (91). ΠΕΡΙ ΤΟΥ ΠΡΟΘΥΜΩΣ ΑΝΤΙΠΑΡΑΤΑΤΤΕΣΘΑΙ ΕΝ ΤΩ ΠΟΛΑΜΩ ΤΩΝ ΑΛΙΤΗΡΙΩΝ ΔΑΙΜΟΝΩΝ (Auvray 1891: 310-313)[1].

36. „მეხუთესა კვიარიაკესა, კაცთმოყუარებისათჳს ქრისტეს მეუფისა და სათნოდ წარმართებისათჳს გონებისა გამოუთქმელთა მათ მიმართ დაბადებულთა მისთა შუნიერებისა“ (A 500, 167r-171r). **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ ΡΑ** (101). ΠΕΡΙ ΤΗΣ ΕΝΑΝΘΡΩΠΗΣΕΩΣ ΤΟΥ ΔΕΣΠΟΤΟΥ ΧΡΙΣΤΟΥ ΑΠΟΚΛΑΥΣΕΩΣ ΤΕ ΤΩΝ ΑΠΟΣΤΑΤΗΣΑΝΤΩΝ ΑΔΕΛΦΩΝ ΗΜΩΝ ΚΑΙ ΔΙΔΑΣΚΑΛΙΑ ΠΕΡΙ ΤΗΣ ΕΑΥΤΩΝ ΑΣΦΑΛΕΙΑΣ (Auvray 1891: 346-349)[2]; **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ Ρ** (100). ΠΕΡΙ ΤΟΥ ΔΕΞΙΩΣ ΑΠΕΥΘΥΝΕΙΝ ΤΟΝ ΝΟΥΝ ΠΡΟΣ ΤΑ ΑΡΡΗΤΑ ΤΗΣ ΔΗΜΙΟΥΡΓΙΑΣ ΤΟΥ ΘΕΟΥ ΚΑΛΛΗ (Auvray 1891: 343-345)[3].

37. „ორშაბათსა ვ:ზ, ვერაგობისათჳს მზაკვარისა მის გუნლისა, და ვითარმედ ჭეშმარიტითა სიმდაბლითა და გზასა სამეუფოს სლვითა განვერნეთ მისთა მათ მრავასახეთა მანქანებათა“ (A 500, 171r-174r). **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ ΡΒ** (102). ΠΕΡΙ ΤΗΣ ΠΑΝΟΥΡΓΙΑΣ ΤΟΥ ΔΟΛΕΡΟΥ ΟΦΕΩΣ ΚΑΙ ΟΤΙ ΤΗ ΑΛΗΘΙΝΗ ΤΑΠΕΙΝΩΣΕΙ ΚΑΙ ΒΑΣΙΛΙΚΗ ΟΔΩ ΠΟΡΕΥΟΜΕΝΟΙ ΔΙΑΦΥΓΟΙΜΕΝ ΑΥΤΟΥ ΤΑΣ ΠΟΛΥΜΟΡΦΟΥΣ ΜΗΧΑΝΑΣ (Auvray 1891: 349-352)[4].

38. „სამშაბათსა ვ:ზ, სიყუარულისათჳს წმიდისა და უზაკველისა მორჩილებისა და საშინელისა მისთჳს განკითხვისა მართლისა მის მიერ მსაჯულის[ა]“ (A 500, 174r-176v). **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ ΡΔ** (104). ΠΕΡΙ ΤΗΣ ΕΙΔΙΚΡΙΝΟΥΣ ΚΑΙ ΑΛΗΘΙΝΗΣ ΑΓΑΠΗΣ ΚΑΙ ΥΠΟΤΑΓΗΣ ΠΡΟΣ ΤΟΝ

---

1 *იხ.*: PG 99, col. 627-628.

2 *იხ.*: PG 99, col. 639-640.

3 *იხ.*: PG 99, col. 638-639.

4 *იხ.*: PG 99, col. 640-641.

ΚΑΘΗΓΟΥΜΕΝΟΝ ΚΑΙ ΤΗΣ ΦΟΒΕΡΑΣ ΕΤΑΣΕΩΣ ΤΟΥ ΔΙΚΑΙΟΥ ΚΡΙΤΟΥ (Auvray 1891: 356-359)[1].

39. „ოთხშაბათსა მეექუსისა შჯდეულისასა, ჴსენებისათჳს სიკუდილისა“ (A 500, 176v-183v). **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ ΠΗ** (88). ΠΕΡΙ ΜΝΗΜΗΣ ΘΑΝΑΤΟΥ (Auvray 1891: 300-303)[2]; **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ ΡΖ** (107). ΠΕΡΙ ΜΝΗΜΗΣ ΘΑΝΑΤΟΥ ΚΑΙ ΤΟΥ ΜΗ ΑΜΕΛΩΣ ΔΙΑΚΕΙΣΘΑΙ ΕΝ ΤΗ ΜΕΤΑΛΗΨΕΙ ΤΩΝ ΑΓΙΑΣΜΑΤΩΝ (Auvray 1891: 366-370)[3].

40. „ხუთშაბათსა მეექუსისა შჯდეულისასა, დიდისა მისთჳს დღისა და გამოჩინებისა დიდისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა“ (A 500, 183v-187v). **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ ΡΙΒ** (112). ΠΕΡΙ ΤΗΣ ΤΕΛΕΥΤΑΙΑΣ ΗΜΕΡΑΣ ΚΑΙ ΕΠΙΦΑΝΕΙΑΣ ΤΟΥ ΜΕΓΑΛΟΥ ΘΕΟΥ ΚΑΙ ΣΩΤΗΡΟΣ ΗΜΩΝ ΙΗΣΟΥ ΧΡΙΣΤΟΥ (Auvray 1891: 384-388)[4].

41. „პარასკევსა ბზობისა, ვითარმედ რომელთა ჭირთა შინა და იწროებათა აღასრულონ ცხორებაჲ ესე, უჭირველითა და გამოუთქუმელითა განსუენებითა იშუებდენ“ (A 500, 187v-192v). **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ ΞΘ** (69). ΟΤΙ ΟΙ ΕΝ ΘΛΙΨΕΣΙ ΚΑΙ ΣΤΕΝΟΧΩΡΙΑΙΣ ΤΟΝ ΒΙΟΝ ΔΙΑΜΕΙΨΑΝΤΕΣ ΑΛΥΠΟΥ ΤΙΝΟΣ ΚΑΙ ΑΡΡΗΤΟΥ ΗΔΟΝΗΣ ΑΠΟΛΑΥΟΥΣΙΝ (Auvray 1891: 239-242); **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ Ο** (70). ΠΕΡΙ ΤΟΥ ΥΠΟΙΣΑΙ ΗΜΑΣ ΠΑΣΑΝ ΒΑΣΑΝΟΝ ΚΑΤΑ ΜΙΜΗΣΙΝ ΤΟΥ ΤΕ ΧΡΙΣΤΟΥ ΚΑΙ ΤΩΝ ΑΓΙΩΝ (Auvray 1891: 242-245)[5].

42. „ორშაბათსა ვნების კჳრიაკისასა, ცხოველსმყოფელისა ვნებისათჳს მაცხოვრისა, და სწავლაჲ სიმდაბლისა და მოთმინებისათჳს“ (A 500, 192v-196v). **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ ΟΒ** (72). ΠΕΡΙ ΤΟΥ ΣΩΤΗΡΙΟΥ ΠΑΘΟΥΣ ΚΑΙ

---

1 *იხ.*: PG 99, col. 643-644.

2 *იხ.*: PG 99, col. 623-624.

3 *იხ.*: PG 99, col. 646-648.

4 *იხ.*: PG 99, col. 653-654.

5 *იხ.*: PG 99, col. 601-604.

ΔΙΔΑΣΚΑΛΙΑ ΠΕΡΙ ΤΑΠΕΙΝΟΦΡΟΣΥΝΗΣ ΚΑΙ ΥΠΟΜΟΝΗΣ (Auvray 1891: 250-253)[1].

43. „სამშაბათსა ვნების კჳრიაკისასა, ცხოველს-მყოფელისა ვნებისათჳს ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა“ (A 500, 196v-200v). **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ ΟΓ** (73). ΠΕΡΙ ΤΟΥ ΠΑΘΟΥΣ ΤΟΥ ΚΥΡΙΟΥ ΗΜΩΝ ΚΑΙ ΔΕΣΠΟΤΟΥ ΙΗΣΟΥ ΧΡΙΣΤΟΥ (Auvray 1891: 254-257)[2].

მოგვიანო ხანის ქართულ ხელნაწერებში დაცული «სწავლანი»

44. „შაბათსა ბზობისასა, ლაზარობად, სარწმუ-ნოებისათჳს და სიყუარულისა და ქალწულებისა“. **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ ΡΙΓ** (113). ΠΕΡΙ ΠΙΣΤΕΩΣ ΚΑΙ ΑΓΑΠΗΣ ΚΑΙ ΠΑΡΘΕΝΙΑΣ (Auvray 1891: 388-391)[3]. *აქ მოტანილი ბერძნული წყარო ქართული თარგმანის მხოლოდ ნახევარს წარმოადგენს, მეორე ნახევრის ბერძნული დედანი ჯერჯერობით დაუდგენელი რჩება.*

45. „კჳრიაკესა ბაიაობისასა, საღმრთოდ ცხორებისათჳს და ნეტარისა მის მოქალაქობისათჳს ჩუენისა, რომელ ვიჩინენით“. **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ ΡΛΑ** (131). ΠΕΡΙ ΤΗΣ ΕΝΘΕΟΥ ΠΟΛΙΤΕΙΑΣ ΚΑΙ ΜΑΚΑΡΙΑΣ ΔΙΑΓΩΓΗΣ ΗΜΩΝ (Auvray 1891: 456-460)[4]; **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ ΡΘ** (109). ΠΕΡΙ ΤΗΣ ΚΟΙΜΗΣΕΩΣ ΤΟΥ ΑΔΕΛΦΟΥ ΘΕΟΣΩΣΤΟΥ ΚΑΙ ΤΟΥ ΕΥΣΕΒΩΣ ΚΑΙ ΟΣ ΩΣ ΔΙΑΒΙΩΝΑΙ (Auvray 1891: 374-377)[5]. *აქ ქართული თარგმანის ბოლო ნაწილი ბერძნული კრებულის **109**-ე ქადაგებას მხოლოდ მეორე ნახევრიდან (**376** გვ.-დან) მისდევს.*

46. „ვნების კვირიაკისა ოთხშაბათსა, მიბაძვისათჳს ქრისტეს ვნებათასა და ჴსენებაჲ მამათაჲ“. **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ Μ** (40). ΠΕΡΙ ΤΟΥ ΠΟΛΙΤΕΥΕΣΘΑΙ ΗΜΑΣ ΕΝ ΚΑΙΝΟΤΗΤΙ

---

1 *იხ.*: PG 99, col. 605-606.

2 *იხ.*: PG 99, col. 606-607.

3 *იხ.*: PG 99, col. 654-655.

4 *იხ.*: PG 99, col. 682-683.

5 *იხ.*: PG 99, col. 649-650.

ΖΩΗΣ ΚΑΘΩΣ ΔΙΑ ΤΟΥ ΑΓΙΟΥ ΣΧΗΜΑΤΟΣ ΕΠΗΓΓΕΛΜΕΘΑ (Auvray 1891: 146-149)[1].

47. „წმიდასა და დიდსა ხუთშაბათსა, ვითარმედ ჯერ-არს ჴსენებაჲ ქრისტეს ვნებისაჲ, რაჲთა განკრძალულად ვეზიარებოდეთ ქრისტეს საიდუმლოთა“. **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ ΠΘ** (89). ΟΤΙ ΔΕΙ ΜΕΤΑ ΠΑΣΗΣ ΠΡΟΘΥΜΙΑΣ ΚΑΙ ΠΡΟΑΙΡΕΣΕΩΣ ΚΑΤΕΡΓΑΖΕΣΘΑΙ ΤΗΝ ΣΩΤΗΡΙΑΝ ΗΜΩΝ (Auvray 1891: 304-306)[2]; **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ ΡΖ** (107). ΠΕΡΙ ΜΝΗΜΗΣ ΘΑΝΑΤΟΥ ΚΑΙ ΤΟΥ ΜΗ ΑΜΕΛΩΣ ΔΙΑΚΕΙΣΘΑΙ ΕΝ ΤΗ ΜΕΤΑΛΗΨΕΙ ΤΩΝ ΑΓΙΑΣΜΑΤΩΝ (Auvray 1891: 366-370)[3]. *აქ ბერძნული კრებულის **107**-ე ქადაგება ქართულ თარგმანში უკვე მეორედ არის გამოყენებული, პირველად იგი ითარგმნა მეექვსე შვიდეულის ოთხშაბათის საკითხავისთვის (იხ.: **39**). აღნიშნული თარგმანი გიორგი მთაწმიდელისეული თარგმანისგან განსხვავდება, რაც ამყარებს აზრს, რომ მოგვიანო პერიოდში „სტოდიერისთვის“ დამატებით კიდევ ექვსი ქადაგება ითარგმნა და ისინი წმ. გიორგი მთაწმიდელს არ უნდა ეკუთვნოდეს.*

48. „დიდსა პარასკევსა, ვითარმედ ჯერ-არს, რაჲთა მარადის ვიჴსენებდეთ და განვიცდიდეთ საკჳრველებით ვნებათა ქრისტესთა“. **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ ΟΗ** (78). ΠΕΡΙ ΤΟΥ ΝΟΥΝΕΧΩΣ ΑΚΟΥΕΙΝ ΤΩΝ ΑΓΙΩΝ ΓΡΑΦΩΝ (Auvray 1891: 268-272)[4]. *აქ ქართულ თარგმანს დამატებული აქვს დასაწყისი მონაკვეთი, შემდეგ უკვე მისდევს ბერძნულს.*

49. „დიდსა შაბათსა წმიდისა აღვსებისასა, რაჲთა გულისჴმა-ვყოფდეთ ძალსა საიდუმლოსასა გამოჴსნისა ჩუენისათჳს ქმნილთა და ვისწრაფოთ სათნოყოფად ღმრთისა“[5]. **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ Π** (80). ΔΙΔΑΣΚΑΛΙΑ ΠΕΡΙ ΠΙΣΤΕΩΣ (Auvray 1891: 275-278)[6]; **ΚΑΤΗΧΗΣΙΣ ΟΘ** (79).

---

1 *იხ.*: PG 99, col. 562-563.

2 *იხ.*: PG 99, col. 625-626.

3 *იხ.*: PG 99, col. 646-648.

4 *იხ.*: PG 99, col. 612-613.

5 *აღწერილობა* 1954: 424.

6 *იხ.*: PG 99, col. 614-615.

ΟΤΙ ΟΥ ΧΡΗ ΑΘΥΜΕΙΝ ΑΛΛ' ΑΝΔΡΙΖΕΣΘΑΙ ΕΙΣ ΤΟ ΕΡΓΟΝ Ο ΚΕΚΛΗΚΕΝ ΗΜΑΣ Ο ΘΕΟΣ (Auvray 1891: 272-275)[1]. *აქ ქართული თარგმანი საკმაოდ გავრცობილია.*

***

«სწავლათა სულიერთა» მიმართება მის ბერძნულ დედანთან სქემის სახით ამგვარად წარმოგვიდგება:[2]

1 = 53; 2 = 54; 3 = 13; 4 = 16+17; 5 = 55; 6 = 14; 7 = 51; 8 = 56; 9 = 18; 10 = 23; 11 = 57; 12 = 25; 13 = 58; 14 = 59 (μεγ. II); 15 = 59; 16 = 19 (μεγ. II); 17 = 33 (μεγ. II); 18 = 60; 19 = 32 (μεγ. II); 20 = 61; 21 = 34 (μεγ. II); 22 = 40 (μεγ. II); 23 = 42 (μεγ. II); 24 = 45 (μεγ. II); 25 = 66; 26 = 49 (μεγ. II); 27 = 67; 28 = 84 (μεγ. II); 29 = 2 (μεγ. I); 30 = 6 (μεγ. I); 31 = 9 (μεγ. I); 32 = 82; 33 = 89; 34 = 90; 35 = 91; 36 = 101+100; 37 = 102; 38 = 104; 39 = 88+107; 40 = 112; 41 = 69+70; 42 = 72; 43 = 73. // 44 (I ნახ.) = 113; 45 = 131+109 (II ნახ.); 46 = 40; 47 = 89+107; 48 = 78; 49 *(არასრულად)* **= 80+79.**

ამრიგად, როგორც გაირკვა, «სწავლანი სულიერნი» ქართულად თარგმნილია წმ. თეოდორეს ქადაგებათა ორი კრებულიდან (ἡ Μεγάλη Κατήχησις და ἡ Μικρὰ Κατήχησις). უმთავრეს წყაროდ გამოყენებულია «მცირე კატექეტური სწავლანი», ხოლო მეორე კრებულიდან, რომელიც «დიდ კატექეტურ სწავლათა» სახელით არის ცნობილი, თარგმნილია 13 ქადაგება, მათგან 10 – კრებულის მეორე ნაწილიდან, 3 კი – პირველიდან.

ჩვენი აზრით, «სტოდიერის» გიორგი მთაწმიდელისეულ თარგმანს მოგვიანებით ანონიმი მთარგმნელის მიერ კიდევ ექვსი ქადაგება დაემატა. ისინი მოგვიანო ხანის სამ ხელნაწერში გვხვდება (სრულად მხოლოდ A 1342-ში) და, ბზობის შაბათისა და კვირის საკითხავებთან ერთად, სწავლებებს დიდი ოთხშაბათიდან – დიდი შაბათის ჩათვლით შეიცავს.

---

1 *იხ.*: PG 99, col. 613-614.

2 *ქართ. = ბერძ.*; μεγ. = *Μεγάλη Κατήχησις (კრებულის I ან II ნაწილი); Μικρὰ Κατήχησις-დან ქადაგებების ნუმერაციას ვუთითებთ სპეციალური აღნიშვნის გარეშე.*

ამასთან, ზატიკის პერიოდის «სწავლანი», რომლებიც 15 ქადაგებისგან შედგება, ასევე, «მცირე კატექეტურ სწავლათაგან» არის თარგმნილი და აღნიშნული კრებულის პირველ 15 საკითხავს წარმოადგენს. ამდენად, ვფიქრობთ, უკვე შესაძლებელია «სტოდიერის» შემადგენლობის დასახელება და მისი ბერძნული წყაროს მითითება.

ტექსტისათვის

წმ. თეოდორე სტუდიელის სწავლათა გიორგი მთაწმიდელისეული თარგმანი ქართულად «სტოდიერის» სახელითაა ცნობილი, რომელიც ხუთი ნაწილისაგან შედგება. წინამდებარე ნაშრომში აღნიშნული კრებულიდან გამოსაცემად მომზადებულია ოთხი ნაწილი:

1. **„ანდერძი წმიდისა მამისა და აღმსარებელისა თეოდორე სტუდიელთა მამასახლისისაჲ“;**
2. **„ზედაწერილი წმიდისა მამისა ჩუენისა და აღმსარებელისა თეოდორესი, სტუდიელთა წინამძღურისაჲ“;**
3. **„ებისტოლე ნავკრატი მონაზონისაჲ, აღსრულებისათჳს თეოდორე სტუდიელისა“;**
4. **„წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა თეოდორე აღმსარებელისა, სტუდიელთა წინამძღურისა, სწავლანი თჳსთა მოწაფეთა მიმართ“** *(ზატიკის პერიოდის სწავლანი).*

ტექსტები ძირითადად მომზადებულია ოთხი ნუსხის მიხედვით:

A 500, XI ს., (**A** ლიტერი);

A 1347, XII ს., (**B** ლიტერი);

K 52, XIV-XV ს., (**C** ლიტერი);

H 368, XVI ს., (**D** ლიტერი).

მათგან, **K 52**-ის გარდა, ხელნაწერები მეტ-ნაკლებად არასრულადაა შემორჩენილი. იმის გამო, რომ **H 1771** წარმოადგენს **A 1347**-ის დაკარგული ფურცლებისგან შემდგარ ხელნაწერს, მას მივანიჭეთ **b** (პატარა ასოთი) ლიტერი, რითაც ხაზს ვუსვამთ მის

განუყოფლობას **A 1347** ნუსხისგან. გამოცემაში მითითებულია ყველა გამოყენებული ხელნაწერის პაგინაცია.

ტექსტს ახლავს კრიტიკული აპარატი. ქართულ ხელნაწერთა ვარიანტულ სხვაობებს გამოვყოფთ არაბული ციფრებით – **1, 2, 3,** და ა.შ.; ჩვენეულ შენიშვნებს ვუთითებთ გამუქებული შრიფტით. ერთი ვარსკვლავით **(*)** აღვნიშნავთ ტექსტში დადასტურებულ ბიბლიურ ციტაციას, ორი ვარსკვლავით **(**)** – ბერძნულ დედანთან შედარების შედეგებს.

სქოლიოში ჩამოტანის გარეშე «უ^ჱ» კომპლექსს ყველგან ვასწორებთ «უე»-თი. აგრეთვე, აპარატში არ ჩაგვაქვს გვიანდელ ხელნაწერთათვის დამახასიათებელი ჲ-მეტობანი და ჲ-ნაკლებობანი.

A 1347-ში «ჳ»-ის ნაცვლად ხშირად წერია «უ» ანდა «უი», ხოლო «უ»-ს მაგიერ ზოგჯერ გვხვდება «ჳ», «ჲ»-ს ნაცლად კი – «ი», მსგავს ვარიანტულ სხვაობებს სქოლიოში არ ვუთითებთ.

წმ. თეოდორეს «ანდერძის», «ზედაწერილისა» და ნავკრატის «ებისტოლის» ბერძნულ დედნად გამოვიყენეთ **Migne**-ს პატროლოგიის **(PG) 99**-ე ტომი, ხოლო ზატიკის პერიოდის «სწავლანი» შევუდარეთ "Μικρὰ Κατήχησις"-ის კრიტიკულ გამოცემას: **Sancti patris nostri et confessoris Theodori Studitis Praepositi Parva catechesis, graecum textum e codicibus multis nunc primum critice descriptum, uti et latinam P.J. Harduini, ... interpretationem nondum vulgatam edidit Emmanuel Auvray, ... et annotatione historica instruxit A. Tougard, Paris, 1891: 1-57.**

add. აბრევიატურა აღნიშნავს სიტყვის ან სიტყვათა მატებას, **om.** – კლებას.

ზოგჯერ ტექსტებში ვარიანტულ სხვაობებს დართული აქვს ბერძნული შესატყვისი, რითაც მივანიშნებთ, თუ რის საფუძველზე ავირჩიეთ ძირითად ტექსტში გატანილი წაკითხვა. **Migne**-ს გამოცემული ბერძნული ტექსტიდან მოტანილ სიტყვებსა და წინადადებებს აღვნიშნავთ **PG 99**-ით, ხოლო **Auvray**-ის გამოცემას – **Gr.** ნიშნით, რომელთაც ახლავს გვერდისა და სვეტის ნომერი.

[C172r; D206v] ანდერძი წმიდისა მამისა ჩუენისა[1] და აღმსარებელისა თეოდორე სტუდიელთა მამასახლისისა[2**]

მესმოდა საღმრთოჲსა დავითისი, იტყჳნ რაჲ[3]: **„განვემზადე და არა შევძრწუნდი“** {4*}, და კუალად თქჳს რაჲ: **„განმზადებულ არს გული[5] ჩემი შენდამი[6], ღმერთო, განმზადებულ არს“**{7*}[8**]

ვინაჲთგან ზედაჲს-ზედა სნეულებასა შთა[C172v]ვარდა უბადრუკი ესე გუამი ჩემი, შვილნო და ძმანო და მამანო, და ვერ შემძლებელ ვარ თქუენ ყოველთა [D207r] პირისპირ მოყვანებად დღესა განსლვისა ჩემისასა თითოსახეთა ადგილთა შენებისათჳს მონასტერთაჲსა, გინა თუ მისლვად სამე რომლისაცა საჳმრისათჳს[9] მოწევნულისათჳს ჟამისა მიცვალებისა ჩემისასა ამის ცხორებისაგან.

ვინაჲცა ჯეროვნად და კრძალულად შევჰრაცხე, რაჲთა უსწრო და დავდვა თქუენ თანა ანდერძი ესე, რომელსა შინა გესმეს უკუანაჲსკნელი ჴმაჲ ჩემი და სცნათ, თუ ვითარ მრწამს

---

1 ჩუენისა] - C

2 ** Ἀναγινώσκεται δὲ αὕτη πρὸ τῆς κοιμήσεως αὐτοῦ (PG 99, col. 1813, A 2-3)] om.

3 რაჲ] - D

4 * ფს. 118,60.

5 გული] სული D, ἡ καρδία (PG 99, col. 1813, A 7)

6 შენდამი] - D

7 * ფს. 56,8.

8 ** ἡ καρδία μου (PG 99, col. 1813, A 7)] add. შენდამი, ღმერთო, განმზადებულ არს

9 რომლისაცა საჳმრისათჳს] - D

და ვითარ ვზრახავ, და თუ[1] ვითარსა დაგიტეობ შემდგომად ჩემსა წინამძღუარსა[2], რაჲთა ესრეთ ერთობით იქცეოდით და[3] მშჯდობითა ქრისტესმიერითა, რომელი-იგი ზეცად რაჲ ეგულებოდა ამაღლებაჲ, დაუტევა თჳსთა მოწაფეთა და მოციქულთა უფალმან[4].

[რწმენის შესახებ (Περὶ πίστεως)]

მრწამს მამაჲ და ძე და სული წმიდაჲ და ერთარსებაჲ და დაუსაბამოჲ სამებაჲ, [D207v] ვითარცა ნათელ-მიღებიეს და შობილ ვარ და აღზრდილ ვარ. ღმერთსა მამასა [C173r] აღვიარებ, ღმერთსა ძესა[5], ღმერთსა სულსა წმიდასა[6], სამებასა ერთღმრთეებით, ვითარცა კუალად ერთარსებასა სამგუამოვნებით, რამეთუ სამებაჲ ერთღმრთეებაჲ არს ერთარსებისათჳს, დაღაცათუ განიყოფვის სამგუამოვნებისათჳს. ეგრეთვე აღვიარებ ერთსა სამებისაგანსა უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა კაცთმოყუარებისათჳს აურაცხელისა ჯორციელად მოსრულად, ცხორებისათჳს ნათესავისა ჩუენისა, წმიდისაგან და ყოვლადუბიწოჲსა ღმრთისმშობელისა[7] ჯორცშესხმულსა თჳნიერ თესლისა კაცობრივისა და საშოჲსაგან[8] მისისა, საღმრთოთა სიტყუათაებრ, შჯულითა ბუნებისაჲთა შობილსა, ორკეცად ორისა[D208r]თჳს ბუნებისა ყოვლითურთ სრულსა ღმრთეებითა, რამეთუ არა შეიცვალა, რაჲ იგი იყო, და ყოვლითურთ სრულსა კაცებითა, რამეთუ არა რაჲთ[9] იყო ნაკლულ, რომელი-იგი მიიღო. და იგივე ერთგუამოვნებითა, და

---

1 თუ] - D

2 დაგიტეობ შემდგომად ჩემსა წინამძღუარსა] წინამძღუარსა დაგიტევებ შემდგომად ჩემსა D

3 და] - D

4 უფალმან] - D

5 ~ ძესა ღმერთსა D

6 ღმერთსა სულსა წმიდასა] სულსა ღმერთსა D

7 ღმრთისმშობელისა] + და მარადის ქალწულისა მარიამისაგან D

8 საშოჲსა D

9 რაჲ D

ვითარცა ორითა ბუნებითა[1] ცნობილ არს, ეგრეთვე ნებითა და საქმითა, რომელთა შინა იქმოდა შემსგავსებულად საღმრთოჲსა და კაცობრივისა.

[C173v] ამათ[2] თანა გარე-მივაქცევ ყოვლისავე წვალებისა და[3] ვერაგობისა საცთურსა, და შეუდგ წმიდათა და სოფლიოთა[4] ექუსთა კრებათა, და კუალად ნიკეას[5] მეორესა მცირედრე უწინარეს შეკრებულთა ქრისტეანობისა ცილისმწამებელთათჳს. თაყუანის-ვცემ[6] და შევიტკბობ წმიდათა[7] და პატიოსანთა ხატთა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესთა[8], ღმრთისმშობელისა[9], მო[D208v] ციქულთა, წინაჲსწარმეტყუელთა, მოწამეთა და[10] ყოველთა წმიდათა და მართალთა[11]. და[12] ვითხოვ, რაჲთა წმიდითა მეოხებითა მათითა მოწყალე მექმნას ღმერთი. შეუვრდები და ამბორს-უყოფ სარწმუნოებით და შიშით ნაწილთა მათთა[13] ყოვლადწმიდათა, ვითარცა საღმრთოჲთა მადლითა აღსავსეთა.

მერმეცა და ყოველთა წიგნთა ღმრთივსულიერთა ძუელისა და ახლისა შჯულისათა შევიწყნარებ, და ეგრეთვე ყოველთა ღმერთშემოსილთა მამათა და მოძღუართა და მოღუაწეთა ცხორებასა და აღწერილსა.

---

1 და ვითარცა ორითა ბუნებითა] - D

2 ამას D

3 და] - C

4 მსოფლიოთა D

5 ნიკიას D

6 თაყვანს-ვსცემ D

7 წმიდათა] თანა D

8 ქრისტესსა D

9 ღმრთისმშობელისასა D

10 და] მღდელთმოძღუართა, მამათა D

11 მართალთასა D

12 და] - D

13 მათ D

ხოლო ესე ვთქუა გონებაცთომილისა მის პამფილესათჳს, აღმოსავალით მოსრულისა და ამათისა შემასმენე[C174r]ლისა, ხოლო ვიტყჳ[1] მარკოზს, ესაიას, ბარსანოფის, დორეთეს, და ისუ[D209r]ქ[ი]ონს. გარნა არა ბარ[სანოფის][2] და ესაიას და[3] დოროთეს[4], უთაოთა[5] თანა უთაოთა, და ათ რქად წოდებულისა მის თანარქათა, და წმიდისა სოფრონის მიერ ებისტოლესა შინა მისსა[6] შეჩუენებულთა, არამედ სხუათა რომელთამე მამათა [7**] მოცემულისაებრ კითხვითა მღდელთმოძღუარისა ჩუენისა წმიდისა ტარასი პატრიარქისაჲთა, და სხუათა სარწმუნოებისა ღირსთა პირთაჲთა მათისა ქუეყანისაგან და აღმოსავალით მოსრულთა[8], ვინაჲ[9] ხატი ბარსანოფისი წმიდასა შესამოსელსა დიდისა ეკლესიისასა გამოსახულ არს[10] წმიდათა მამათა თანა, ანტონისსა, და ეფრემისსა, და სხუათა, და[11] რამეთუ მოძღურებასა შინა მათსა არარაჲ[12] მიპოვნიეს უწესოებაჲ, არამედ უფროჲსღა მრავალი სარგებელი და შესაძინელი სულისაჲ. ვითარ ამათთჳსცა[13] [D209v][14]

---

1 და ამათისა შემასმენელისა, ხოლო ვიტყჳ] - D

2 დორეთეს, და ისუქიონს. გარნა არა ბარსანოფის] - C, Δωρόθεον, καὶ Ησύχιον. Οὐ μὴν Βαρσανούφιον (PG 99, col. 1816, B 5-6)

3 და] - D

4 დიოროთეს D

5 უთავოთა D

6 მისა C

7 ** οὓς ἐγὼ πατροπαραδότως ἀποδέχομαι (PG 99, 1816, B 11)] om.

8 აღმოსრულთა D

9 ვინაცა D

10 წმიდა შესამოსელსა დიდისა ეკლესიისასა გამოსახულ არს] - D

11 და] - C

12 არა D

13 ვითარ ამათთჳსცა] ვიდრემდის ამისთჳს D

14 **H 368-ში (D ლიტერი) 209v გვერდი დაზიანებულია და ძნელად იკითხება.**

კრებისა მიერითა გამოძიებითა გამოჩნდეს რაჲმე ბრალი, რამეთუ უკუეთუ ესენი გამოჩნდენ იგი ზემო შეჩუენებულნი [C174v] გინა თუ სხუანი მათ მიერ წვალებასა შთავრდომილნი, წყეულმცა არიან[1], და[2] შეჩუენებულ, და ყოვლად შეჩუენებულ[3] მამისგან და ძისა და სულისა წმიდისა.

ამათ თანა აღვიარებ წესსაცა მონაზონებისასა მაღლად და აღმატებულად და ანგელოზებრივად[4], და განმწმედელად ყოვლისა ცოდვისა სრულისა ცხორებისა მიერ, შჯულდებისაებრ მოღუაწეთაჲსა წმიდისა და დიდისა ბასილის მიერ[5] დადებულისა, და არა ზოგს რაჲმე, ვითარცა-იგი იქმან ვიეთნიმე, რომელსამე ჰყოფენ და რომელსამე დაუტეობენ, რამეთუ არა არს თჳნიერ სამთა მათ სახეთა დაწყნარებისათა, ვითარცა კლემაქსსა[6] შინა ჩუენებულ არს, სხუებრ რაჲმე სჯულიერად ცხორებაჲ.

ესე არიან სამნი იგი სახენი, რომელთა შინა შეკრებულ არს ყოველივე სამონაზნოჲ ცხორებაჲ, რაჲთა ანუ განშორებულად იყოს მონაზონი და მარტოებით ილოცვიდეს, ანუ ერთსა თანა გინა ორისა თანა დაყუდებით, ანუ რაჲთა [C175r] კრებულსა შინა ჯდეს მოთმინებით.

და მერმე ესეცა საცნაურ იყავნ [7**] რამეთუ არა ჯერ-არს არცა მონისა მოგებად, და არცა პირუტყჳსა ნეზუთაგანისა, შეუმსგავსებელობისათჳს აღთქუმისა და წესისა ჩუენისა და

---

1 არია C

2 და] + კუალად D

3 და ყოვლად შეჩუენებულ] - D

4 ანგელოზებრივად] ანგზებრივად C, - D

5 მიერ] - D

6 აქედან H 368-ში (D ლიტერი) ტექსტი წყდება.

7 ** ἐπιβιῶναι (PG 99, col. 1816, D 2) add. ესე არიან სამნი იგი სახენი, რომელთა შინა შეკრებულ არს ყოველივე სამონაზნოჲ ცხორებაჲ, რაჲთა ანუ განშორებულად იყოს მონაზონი და მარტოებით ილოცვიდეს, ანუ ერთსა თანა გინა ორისა თანა დაყუდებით, ანუ რაჲთა კრებულსა შინა ჯდეს მოთმინებით [იხ.: კლემაქსი 1986: 221 (1,LIII)]. და მერმე ესეცა საცნაურ იყავნ.

საბრჯისათჳს სულთაჲსა. და ესე წარმოვთქუ მოკლითა თხრობითა, რამეთუ არა არს ჟამი ესევითართა განფენისაჲ, არამედ რაჲთა არავინ ჩუენსა შემდგომად იჭუეულ იქმნას უჯეროსა ზრახვასა ჩემთჳს, ესრეთ ვრახავ და მართლმადიდებლობით ვადიდებ.

[წინამძღვრის შესახებ (Περὶ τοῦ καθηγουμένου)]

ესე უკუე ესრეთ იყავნ, ხოლო მეორედ ჯერ-არს თქუმაჲ წინამძღურისათჳს. აწ უკუე დაგიტეობ თქუენ პირველად უფალსა და მამასა ჩემსა და მამასა თქუენსა, წმიდასა შეყენებულსა მამად და მნათობად მოძღურად, რამეთუ იგი ჩუენსაცა და თქუენსაცა უწინარეს იყო უფლისა მიერ, და არს თავ და წინამძღუარ, დაღაცათუ განაშორა თავი თჳსი ქრისტეს მიმსგავსებულისა სიმდაბლისათჳს და იყოფების დაყუდებით, რომლისა წინამძღ[C175v]ურობითა და ლოცვითა მრწამს, ვითარმედ სცხონდეთ თქუენ, უკუეთუ ჯეროვანი მორჩილებაჲ და სარწმუნოებაჲ მისა მიმართ დაიმარხოთ. და მერმე ზოგადითა წამებითა ღმრთივშუენიერად და წინამძღურობითა მამულისა განზრახვისაჲთა დაადგინეთ, რამეთუ რომლისაჲ სთნდეს ყოველსა ძმობასა და ჩუენიცა ნებაჲ მიმდგომ არს.

არამედ მოვედ, ჰ მამაო და ძმაო, ვინცა ეგე ხარ, აჰა ესერა შეგვედრებ შენ წინაშე ღმრთისა და რჩეულთა ანგელოზთა მისთა ყოველსა ქრიტეს მიერ ძმობასა, რაჲთა მიითუალო იგი. ხოლო თუ ვითარ შეიწყნარნე? თუ ვითარ უძღოდი? თუ ვითარ დაიცვნე? ვითარცა კრავნი ქისტესნი, ვითარცა ასონი შენნი საყუარელნი, რაჲთა ჰფუფუნებდე და იღუწიდე და გსურდის კაცად-კაცადისა ცხორებაჲ სწორითა საზომითა სიყუარულისაჲთა, რამეთუ სწორებით არს სიყუარული ასოთა გუამისაჲთაჲ კაცადკაცადისა თანა. განახუენ ნაწლევნი შენნი წყალობითა, შეიტკბენ ყოველნი მოღუაწებითა, და [მ]წყსე[ნ] [...] [1**] იგინი უფლისა მიერ. [C176r] ფრთხილ ყავ გონებაჲ შენი გონიერებითა, განაღჳძე

---

1 ** აქ ტექსტის გადაშლილი მონაკვეთი ბერძნული დედნის მიხედვით ასე იკითხება: τεθήνησαι αὐτούς · ἀναμόρφωσον αὐτούς · τελείωσον αὐτοὺς (PG 99, col. 1817, B 10-11). მწყსენ იგინი, შესცვალენ იგინი, განასრულენ იგინი.

გულსმოდგინებაჲ სულისა შენისა სიმჯნითა, განამტკიცე გული შენი სარწმუნოებითა და სასოებითა, წინა-უძღოდე მათ ყოველსა შინა კეთილსა[1] საქმესა, წინა-განეწყვე საცთურთა მბრძოლთა მიმართ, შემწე-ეყავ, წარჰმართენ, შეიყვანენ იგინი სათნოებათა ადგილსა, განუყავ მათ უვნებელობისა ქუეყანაჲ. რომლისათჳს გამცნებ შენ, მცნებათა ამათ პყრობაჲ თანა-გაც საჭიროდ და თანაწარუვალად.

[მცნებები წინამძღვრისთვის (Ἐντολαὶ τῷ καθηγουμένῳ)]

არა შესცვალო წესი და კანონი, რომელი მიიღე სიმდაბლისა ჩემისაგან ყოველსა შინა, თჳნიერ ჭირისა რაჲსამე.

არარაჲ მოიგო სოფლისაჲ ამის, არცა იუნჯებდე თჳსაგან თავისა შენისა, ვიდრე ერთად ვეცხლადმდეცა.

არა განჰყო სული და გული შენი სიყუარულითა და ზრუნვითა გარეშე ღმრთისა მიერ რწმუნებულთა და ჩემ მიერ მითუალულთა სულიერთა შვილთა და ძმათა შენთაჲსა. არცა ოდესმე ჯორციელად თჳსთა მიმართ, არცა ნათესავთა, არცა მეგობართა, **[C176v]** არცა მოყუასთა. არცა იჯუმიო [ა'...][2**] შენისა მონასტრისაჲ, არცა ცოცხალმან, არცა შემდგომად სიკუდილისა მოწყალების სახედ, გინა დამკჳდრებით ზემოთქუმულთა ამათ ზედა. რამეთუ არა სოფლისაგან ხარ, რაჲთა მისცემდე სოფლისათა. გარნა თუ ვინ სადამე მოვიდეს ერისკაცობისაგან მონაზონებად და მისთჳს იღუაწო მიმსგავსებულად წმიდათა მამათაჲსა.

არა მოიგო მონაჲ, არცა თჳსად საჯმრად, არცა შენდა რწმუნებულისა მონასტრისა, არცა აგარაკთა ხატად ღმრთისა შექმნული კაცი, რამეთუ ესე სოფლიოთა ხოლო შენდობილ არს, ვითარცა-იგი ქორწილიცა. ხოლო შენ თანა-გაც მიმადლებაჲ თავისა შენისაჲ მონად ძმათა შენთა ერთსულთა სიყუარულით, დაღაცათუ გარეშითა სახითა ვითარცა უფალი შჩან და მოძღუარი.

არა დაიდგა პირუტყჳ დედალთა და ნეზუთა ნათესავისაჲ საჯმრად მსახურებისა, რომელსა-ეგე გიჯმნიეს მდედრთაგან ყოვ-

---

1 კეთილისა C

2 ** აქ ძნელად ამოსაკითხი სიტყვის ნავლად ბერძნულში წერია: χρήση (PG 99, col. 1817, D 3) – სახმარი.

ლითურთ, არცა მონასტერსა შინა, ა[C177r]რცა აგარაკთა, ვითარცა არავინ ღირსთა და წმიდათა მამათა ჩუენთაგანმან იჯუმია და არცა თჳთ ბუნებაჲ გუაწუევს.

არა ამჯედრებულ იყო ცხენთა და ჯორთა, თჳნიერ ჭირისა, არამედ ქრისტეს მსგავსად ქუეით ხჳდოდი, ანუ თუ კარაული იყავნ საჯედრად შენდა.

დაიცვა ყოველივე ძმათა შორის მტკიცედ, რაჲთა ზიარად იყოს და განუყოფელად, და ნუმცა რაჲ არს განთჳსებულ თჳთოეულისა უფლებით, ვიდრე და ნემსადმდეცა. ხოლო შენნი ჯორცნი და სული განყოფილ იყვნედ სწორებითა სიყუარულისაჲთა, არა თუმცა სხუაჲ რაჲმე ყოველთათჳს სულიერთა შვილთა და ძმათა შენთა.

არა ჰყო ერისკაცისა თანა ძმობილობაჲ, არცა სჳნდიკნოზობაჲ, რომელი-ეგე ლტოლვილ ხარ სოფლისაგან და ქორწილისა, რამეთუ არა პოვნილ არს მამათა შორის და უკუეთუმცა[1] პოვნილ არს, მცირედ სადამე და ესე არა შჯულიერად.

არა ისეროდე დედაკაცისა თანა, თჳნიერ ჯორციელად დედისა და დისა [C177v] შენისა, გინა თუ მოწესისა, გინა თუ ერისკაცისა, ვითარცა ბრძანებენ მამანი, არა უწყი, თუ ჭირი რაჲმე გაიძულებდეს.

არა იყო მიმომავალ და მრავალმოურნე და თჳნიერ ჭირისა დამტეობელ თჳსისა სამწყსოჲსა. რამეთუ საყუარელ არს, და მოიცალოცა რაჲ სამწყსოსა შინა, შეთუ ვითარ უძლო შენ ცხოვნებად მრავალსახეთა და მრავალსაზრუნვალთა მათ სიტყჳერთა ცხოვართა.

დაიცვა მტკიცედ, რაჲთა ჰყოფდე სწავლასა სამგზის შჳდეულსა შინა და ყოველთა მწუხრთა, გინა თუ შენ მიერ, გინა თუ სხჳსა შვილთა შენთაგანისა, ვინაჲთგან მამათა მიერ მოცემულ არს ესე და საცხორებელ.

არა მისცე, რომელსა იტყჳან მცირე სქემაჲ და მერმე ვითარცა დიდი, რამეთუ ერთი არს სქემაჲ, ვითარცა ნათლისღებაჲცა, ვითარცა წმიდათა მამათა იჯუმიეს.

---

1 უკუეთუცა C

არა გარდაჴდე[1] შჯულსა და კანონსა წმიდათა მამათასა, და პირველ ყოველთა საღმრთოჲსა და დიდისა ბასილისსა. არამედ ყოველი რასაცა იტყოდი, გინა იქმოდი, [C178r] ესრეთ ქმენ, ვითარცა წამებაჲ გაქუნდეს წერილთაგან, გინა თუ შენისა მამულისა ჩუეულებისაგან, თჳნიერ გარდასლვისა მცნებასა ღმრთისასა.

არა დაუტეო სამწყსოჲ შენი და სხუად მიიცვალო, ანუ თუ უფროჲსსა პატივსა ახჳდე, გარეშე განზრახვისა თჳსისა შენისა ძმობისა.

არა ჰყო სიყუარული მოწესისა თანა, არცა მიხჳდე სადედოსა მონასტერსა, არცა მარტოებით ეზრახო **ენკრატისსა გინა დედაკაცსა**, გარნა თუ სამე ჭირი გაიძულებდეს და მაშინცა თანაყოფასა ორისავე კერძისა პირთასა, რამეთუ ერთი, ვითარ იტყჳან, ადვილ არს ცთომად.

არა განაღო კარი მონასტრისაჲ შესლვად ყოვლისა დედაკაცისა, თჳნიერ დიდისა ჭირისა, ხოლო უკუეთუ შესაძლებელ იყოს ფარულად შეწყნარებაჲ, არცა ესე განსაგდებელ არს.

არა ჰყო თავისა შენისა სადგურად გინა თუ სულიერთა შვილთა შენთა სახლი ერისკაცთაჲ, რომელსა შინა იყჳნენ დედანი ზედაჲს-ზედა მიმავალ, არამედ გა[C178v]მოირჩიო კაცთა ღმრთისმოშიშთაჲ მგზავრობისა და საჭიროჲსა საჳმრისა აღსრულებად.

არა მოიგო ყრმაჲ მოწაფედ კელინსა შენსა რეცა წყალობით, არამედ პირისაგან უეჭუელისა და თითოსახეთა ძმათა მიერ მსახურებაჲ შენი აღასრულო.

არა მოიგო სამოსელი შეცვალებული და მრავალსასყიდლისაჲ, თჳნიერ სამღდელოჲსა, არამედ მდაბლითა მამებრ შეიმოსო და შეისხაცა.

არა იყო მშუებელ, განმცხრომელ, გემოთმოყუარე, არცა თავისა შენისა საზრდელისათჳს, არცა უცხოთა შეწყნარებისათჳს, რაჲთამცა ამისთჳს ჰზრუნევდი, რამეთუ არს ესეცა ნაწილისაგან საშუებელისა ამის ცხორებისა.

---

1 გარდაჴდეს C

არა იუნჯო ოქროჲ მონასტერსა შინა, არამედ ნამეტნავი ყოვლისავე საჯმრისაჲ მისცე გლახაკთა განღებითა ბჭისაჲთა, ვითარცა წმიდანი მამანი ჰყოფდეს.

არა იპყრა ადგილი შეკრძალული და განმგეობისა ზრუნვაჲ, არამედ იყავნ შენდა კლიტედ დიდი იგი სულთა ზ[C179r] რუნვაჲ და განჯსნაჲ და შეკრვაჲ, სიტყჳსაებრ უფლისა. ხოლო ოქროჲ და სხუაჲ საჯმარი ჯელთ-უდვა განმგეთა და კელართა და რომელიცა დაადგინო თჳთოეულსა მსახურებასა. ცხად არს, რაჲთა ყოველთა ჯელმწიფებაჲ შენ გაქუნდეს და განაგებდე, ვითარცა განიზრახვიდე უხუცესთა თანა, რომლისაცა პირისათჳს და მიითლვიდე სიტყუასა თჳთოეულისა განგებისასა.

არა აღირჩიო უმჯობესსა ძმათასა, არცა პატივ-სცე პირსა ყოვლისავე კაცისა წარჩინებულისა და ჯელმწიფისასა საწუთროსა ამას ცხორებასა, არცა დაეყენო ვიდრე სისხლთამდის დაცვისათჳს საღმრთოთა შჯულთა და მცნებათაჲსა დადებად სულისა შენისა.

არაჲ ჰქმნე და არცა რაჲ ჰყო თჳსისაებრ ნებისა ყოველსა შინა საქმესა სულიერსა და ჯორცთასა, პირველად თჳნიერად განზრახვისა და ლოცვისა უფლისა და მამისა შენისა და მერმე წარჩინებულთა მეცნიერებითა და ღმრთისმოშიშებითა წინა[C179v] მდებარისაებრ სახისა, რამეთუ ნუუკუე ერთისაჲ საჯმარ იყოს ანუ[1] ორთაჲ ანუ სამთაჲ ანუ თუ უმრავლესთაჲ, ვითარცა გუემცნო მამათაგან და ვერჩდითცა.

ესე ყოველი და სხუაჲ რაოდენი მიიღე, დაიმარხო და დაიცვა, რაჲთა კეთილი გეყოს შენ და წარმართებულ უფლისა მიერ, რამეთუ წინააღმდგომისა შიშ არს თქუმადცა და მოგონებადცა.

[მცნებები ძმებისთჳს (Ἐντολαὶ τοῖς ἀδελφοῖς)]

მოვედით თქუენცა, შვილნო ჩემნო და ძმანო, და ისმინეთ უძლურისა ჯმისა ჩემისაჲ. მიითუალეთ და შეიწყნარეთ უფალი და წინამძღუარი თქუენი, ვითარცა გამოირჩიეთ იგი ყოველთა, რამეთუ არავისა ჯერ-არს არა რომლითა სახითა აღრჩევაჲ სხჳსა რაჲსამე ცხორებისაჲ გარეშე მისა, რომელი დადებულ არს და ესე

1 ანო C

არს საკრველი უფლისა მიერ. შეიტკბეთ იგი, ვითარცა შემდგომი[1] ჩემი, და მოწლებით და პატივით ხედევდით მას; და მორჩილებისა კანონი შჯულიერად, ვითარცა ჩემდა მომართ და ეგრეთვე მისა მიმართ დაიცევით; ნუ შეურაცხ-ჰყოფთ უფლისა მიერ [C180] ახლად დადგომასა მისსა; ნუ ეძიებთ უმეტეს რასამე მინიჭებულთა მისდა სულისა მიერ წმიდისა მადლთასა. კმა-არს მისდა პყრობაჲ, რაჲ-იგი სიმდაბლისა ჩემისაგან მცნებულ არს, და **„უკუეთუ გიყუარ მე“**, შვილნო ჩემნო, **„მცნებანი ჩემნი დაიმარხენით“**{2*}. და მშჯდობაჲ გაქუნდინ თავთა შინა თჳსთა, ანგელოზებრივი აღთქუმაჲ თქუენი უტყუველად დაიმარხეთ ზეცისათა მობაძვად ქცევითა.

სოფელი მოიძულეთ და ნუ მიიქცევით საქმეთა მიმართ სოფლისათა. განჴსნილნი საკრველთაგან სიყუარულისა მისისათა, ნუ კუალად შეიკრვით ჴორციელთა მიმართ სიყუარულითა.

[B2r][3] უვარისმყოფელნი[4] ყოველსავე შუენიერებასა წარმავალსა საწუთროჲსა[5] ამის ცხორებისასა, ნუ სულმოკლებისათჳს განუდგებით მორჩილებისა თქუენისა მოღუაწებასა და იქმნებით სიხარულ ეშმაკთა.

სრბასა შინა მორჩილებისასა ვიდრე აღსასრულადმდე[6] დაითმინეთ, რაჲთა სიმართლისა დაუჭნობელნი გჳგჳნნი მიიხუნეთ. და სიმდაბლით [C180v] ქცევითა უვარისმყოფელ თჳსისა ნებისა[7] იქმნნეთ, და მას ხოლო განიცდიდეთ, რომელი წინამძღურისა თქუენისაგან გებრძანოს. და **„უკუეთუ ესე უწყით, ნეტარ ხართ, უკუეთუ დაიმარხოთ ესე, ვიდრე აღსასრულადმდე“**{8*}. რამეთუ

---

1 შედგომი C

2 * ინ. 14,15.

3 *A 1347-ში (B ლიტერი) აქედან იწყება წმ. თეოდორე სტუდიელის „ანდერძის“ თავნაკლული ტექსტი. აქ 2r გვერდი დაზიანებულია და ძნელად იკითხება.*

4 უვარმქნელნი B

5 საწუთოჲსა C

6 აღსასრულამდე C

7 ნებისა] შობისა C, Θελήματος (PG 99, col. 1824, A 15)

8 * შდრ. ინ. 13,17.

მწყობრმან მოწამეთამან შეგიწყნარნეს თქუენ, და გჯრგჯნშემოსილნი სასუფეველსა ცათასა საუკუნეთა კეთილთა მიერ იშუებდეთ[1].

[ეპილოგი (Ἐπίλογος)]

და ამიერითგან, შვილნო ჩემნო, ცხოვნდით, რამეთუ გზასა წარვალ მოუქცეველსა, რომელი ყოველთა საუკუნითგანთა წარვლეს, რომელსა და თქუენცა მცირედ უკუანაჲს[B2v]კნელ, ჰმსახუროთ რაჲ, სოფლისაჲ წარხჳდეთ.

ხოლო არა უწყი, ძმანო ჩემნო, თუ სადა წარვალ, ანუ[2] ვითარი შემემთხუევის მე საშჯელი, ანუ ვითარმან ადგილმან შემიწყნაროს მე, რამეთუ საქმე კეთილი არა ვქმენ წინაშე ღმრთისა ერთიცა, და ხოლო ყოვლისვე ცოდვისა თანამდებ ვარ.

გარნა მხიარულ ვარ და ვიშუებ, რამეთუ სოფლისაგან ზეცად წარვალ, და ბნელისაგან – ნათლად, და მონებისაგან – აზნაურებად, და მწირობისაგან – [C181r] ჭეშმარიტად მკჳდრობად, და უცხოთაგან და უცხოებისა, ვითარცა **„მწირ ვარ მე და წარმავალ, ვითარცა ყოველნი მამანი ჩუენნი“**{3*}, – ჩემთა მიმართ სამკჳდრებელთა. მერმეცა კადნიერადრე ვიტყოდი, რამეთუ მეუფისა ჩემისა მიმართ წარვალ და უფლისა მიმართ[4] და ღმრთისა, **„რომელი შეიყუარა სულმან ჩემმან“**{5*}, რომელი ვიცან მამად, დაღაცათუ არა ვჰმსახურე[6] მას, ვითარცა ძემან, რომელი მოვიგე ყოველთა წილ, დაღაცათუ არა ვჰმონე, ვითარცა მონამან ერთგულმან.

[b1v] ესე უგუნურებით ვთქუ, ხოლო თქუენთჳს ვმეტყუელე, რაჲთა გულსმოდგინე იქმნეთ[7] და ილოცვიდეთ ცხორებისა ჩე-

---

1 აქედან A 1347-ში ოთხი სტრიქონი არ იკითხება (ანუ 2r გვერდის ბოლომდე).

2 ანუ] + თუ C

3 * ფს. 38,13.

4 წარვალ და უფლისა მიმართ] - C

5 * ქება 3,3.

6 ვმსახურე B

7 იქმნნეთ C

მისათჳს[1]. და უკუეთუ ამას მივემთხჳო, აჰა ესერა, სიტყუასა მოგცემ[2] თქუენ წინაშე ჭეშმარიტებისა[3], რამეთუ არა დავდუმდე[4] კადნიერად ვედრებად უფლისა და მეუფისა ჩემისა თქუენ ყოველთათჳს, რაჲთა სცხონდეთ, რაჲთა კეთილი გეყოს, რაჲთა განჰმრავლდეთ[5] სადიდებელად მისა [6**]. და ველოდი კაცად-კაცადისა თქუენისა ხილვასა და შევიწყნარებდე თჳთუეულსა[7] სოფლით გამოსლვისა მიერ და შევიტკბობდე. რამეთუ ესევითარი სასოებაჲ [C181v] მაქუს ფრიად, სახიერებამან მისმან ერთბამად, ვითარცა აქა, დამმარხნეს ჩუენ ყოველნი მერმესა მას საუკუნესა დაცვითა მცნებათა მისთაჲთა გალობად ყოვლადწმიდისა სიმტკიცისა მისისა[8].

გეჯსენნედ[9], შვილნო, უძლურნი ესე სიტყუანი ჩემნი და ვედრი ჩემი დაიმარხეთ ქრისტე იესუჲს მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ[10] არს დიდებაჲ და სიმტკიცე თანა[11] მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ [12**].

---

1 ჩუენისათჳს C

2 მიგცემ C

3 ჭეშმარიტისა C

4 დავდუმნე C

5 განჰმრავლდეთ] განჰმართლდეთ C, πληθύνησθε (PG 99, col. 1824, C 14-15)

6 ** πληθύνησθε (PG 99, col. 1824, C 14-15)] add. სადიდებელად მისა

7 თითოეულსა C

8 მისა C

9 გეჯსენედ C

10 რომლისა b

11 და სიმტკიცე თანა] - b

12 ** Ἐκοιμήθη ὁ παναγιώτατος Πατὴρ ἡμῶν καὶ μέγας ὁμολογητὴς Θεόδωρος ἐτῶν ὑπάρχων ἑπτά καὶ ἑξήκοντα· μηνὶ Νοεμβρίῳ, ια΄. ἡμέρᾳ Κυρθακῇ, ὥρᾳ ς΄. Ἰνδ, ε΄. ἔτ. ζτλε΄. (PG 99, col. 1824, D 11-14).

[b1r] ზედაწერილი
წმიდისა მამისა ჩუენისა და აღმსარებელისა
თეოდორესი სტუდიელთა წინამძღურისაჲ[1]

აღესრულა უფლისა მიერ წმიდაჲ და დიდი მამაჲ ჩუენი, ქრისტეს მსახური და აღმსარებელი თეოდორე, მრავალგანთქუმული წინამძღუარი სტუდიისაჲ, რომელმანცა წმიდაჲ ესე და სულთა სარგებელი წიგნი აღწერა მეათორმეტესა წელსა ქრისტეს ჭეშმარიტებისათჳს მესამედ ექსორიობისა მისისა ჟამთა, კუნძულსა შინა დიდისა მოწამისა ტრჳფონისსა[2], ბითჳნიისა სამთავროსა მახლობელად სავაჭროსა, რომელსა ეწოდების აკრიტა. თუესა ნუენბერსა ათერთმეტსა[3], დღესა კჳრიაკესა, ჟამსა ვ-სა[4], ინდიკტიონსა ხუთსა[5], [C182r] წელთა დასაბამითგან სოფლისაჲთ ექუს ათას სამას ოცდამეათხუთმეტესა.

და რაჲთა შემოკლებულად მიგითხრა[6], ესრეთ იყო ცხორებაჲ ღმერთშემოსილისა მის მამისა. სიჩჩჳთგან[7] ჰასაკისაჲთ სრულად გონიერებითა გამოჩნდა და[8] საღმრთოსა მადლსა ღირს-იქმნა, [b2r][9] და ოცდამეორესა წელსა ჰასაკისა მისისასა ჯჳუარი უფლისაჲ აღიღო და უღელსა ქუეშე მისსა ქედი თჳსი მოუდრიკა, და სიტყჳსაებრ

მიიძინა უწმინდესმა ჩვენმა მამამა და დიდმა აღმსარებელმა თეოდორემ, დაბადებიდან 67-ე წელს, 11 ნოემბერს, კვირა დღეს, 6 საათზე, მე-5 ინდიქტიონს, 6335-ე წელს] om.

1 წინამძღურისა b

2 ტურიფონისსა C

3 ათერთმეტსა] ი'ა C

4 ვ-სა] ვ C

5 ხუთსა] ე C

6 გითხრა C

7 სიჩჩოჲთგან C

8 და] - C

9 **H 1771-ში 1v გვერდზე წმ. თეოდორე სტუდიელის „ანდერძის“ ფრაგმენტია შემორჩენილი.**

სახარებისა, სოფლისაგან იჯმნა[1] [2**]. და უბიწოჲთა და საღმრთოჲთა მოქალაქობითა ათცამეტ წელ მორჩილებითა მაღლითა და მოღუაწებისა ღუაწლითა მჯნედ სრბაჲ თჳსი აღასრულა, და საღმრთოჲთა გამორჩევითა წინამძღურობისა ზრუნვაჲ მიითუალა, და ოცდაათურმეტი წელი დაყო მას შინა, და მონაზონებისა შრომითა და მიმდემი მარხვითა, სიტყჳსაებრ მოციქულისა: **„მოაკუდინნა ასონი ქუეყანისანი“**[3*], და ყოველნი სათნოებანი წარჰმართნა, ვითარცა სხუამან – ერთი, და ჭირნი მრავალნი [C182v] და განსაცდელნი თჳთოსახენი[4] – მცნებათა[5] უფლისათა გამოწულილვით[6] დაცვითა, და საღმრთოთა წერილთა გამოძიებითა, რომლისად თავს-ისხნა, და მრავალნი მონასტერნი აღაშენნა, და მრავალთა წარუძღუა მეცნიერებად ჭეშმარიტებისა, [b2v] და მრავალთა მამად და წინამძღურად იწოდა, და ღმერთსა წარუდგინნა იგინი, და თავსა მოქალაქობისასა აღიყვანნა. ესრეთ მადლისა მიერ წინაჲთვე[7] წოდებული და პირველ შობისა ცნობილი და განჩინებული აღსარებისა ხარისხსა აღვიდა, და მას შინა ტრფიალებითა საღმრთოჲთა აღტყინებული და შურისა თეზბიტელებრისა თანამსრბოლი მრავალთა წარჯდა[8], უფროჲს ყოველთა კადნიერებისათჳს ჭეშმარიტებისა და ქადაგებისა წერით და უწერელად, ვითარცა-იგი წამებენ მის მიერ აღწერილნი, რომელთა მიერ უმძჯნვარესად[9] აღბორგდეს მისთჳს მდევარნი, და მრავლითა წყლულებითა და ექსორიობითა და პყრობილები-

---

1 იჯმნაჲ b

2 ** εὐαγγελικῶς ἀποταξάμενος (PG 99, col. 105, C 10-11)] add. სოფლისაგან იჯმნა

3 * შდრ. კოლ. 3,5.

4 თითოსახენი C

5 მცნებათა] უფლისაჲათათა C

6 გამოწულილვითა C

7 წინაჲთვე] - C

8 წარჰჯდა C

9 უმძუინვარეს b

თა[1] დასაჯეს იგი. და [C183r] ამათ შინა რაჲ იყო და იქცეოდა თჳნიერ სულმოკლებისა, და ვითარმცა ვინ თქუა[2], ვითარმედ: აღორძნდებოდა ჰასაკითა მრავალმოღუაწე იგი და მრავალმოთმინე მამაჲ. სამეოცდამეშჳდესა [B1v] წელსა საწუთროჲსა ამის ჟამთა მისთაჲსა[3] ჯორცთაგან განვიდა, და უფლისა მიმართ მიიცვალა, და შეეძინა წმიდათა მისთა და ნეტართა მამათა **„მოხუცებული და სავსე დღითა კეთილითა[4]“{5*}**, და მათ თანა იშუებს საუკუნეთა მათ შინა[6] კეთილთა.

ესე არს სამგზის სანატრელისა მის მამისა სიმჯნე, და ესე არს ნებსითისა[7] მის მოწამისა ახოვნებაჲ, და ესე არს სათნოებათა მზისა მის ბრწყინვალებაჲ, რომლისაჲ ვითარმცა ვინ თქუა, ვითარცა უჩინოჲ ხატი და უფსკრულისაგან წუეთი და ვითარცა ბევრისაგან ერთი, ესრეთ არს აღწერილი ესე მრავალჟამისა მათ[8] მოღუაწებათა მისთა თანა[9]. რომლისა მეოხებითა განათლებულთა ნათლითა მეცნიერებისაჲთა და სათნოდ მონებითა უფლისაჲთა გჳპოვნიესმცა [C183v] შენდობაჲ ცოდვათაჲ და[10] ღირს-ვიქმნეთ გლახაკნი ესე მიმთხუევად სასუფეველსა ცათასა უკუნისამდინ. ამინ[11].

---

1 პყრობილობითა C

2 თქუნა b

3 მისთასა C

4 კეთილითა] - C

5 * დაბ. 25,8.

6 შინა] - C

7 ნეფსითისა C

8 მის C

9 ~ თანა მისთა C

10 და] რაჲთა C

11 უკუნისამდინ. ამინ] გიბრალოს შენ ღმერთმან C

[B1r] ებისტოლე ნავკრატი მონაზონისაჲ, აღსრულებისათჳს თეოდორე სტუდიელისა

უფლისათჳს დევნულთა და ყოვლითკერძო განთესულთა სულიერთა ძმათა და მამათა, ნავკრატი, ცოდვილი მონაზონი, უფლისა მიერ გიკითხავ!

ვიდრე[1] აქამომდე, ძმანო ჩემნო პატიოსანნო და მამანო[2], დავაცადე გლახაკი ესე წიგნი ჩემი დღითი-დღე დროებითა და ჩემ შორის მაქუნდა მწუხარებაჲ. და ესე ვქმენ მრავლისა მიზეზისათჳს[3], რომელთა ვითარ ვჰგონებ, არცა პატიოსნებაჲ თქუენი უმეცარ არს. და პირველყოვლისა, რამეთუ ვერ თავს-ვიდებდი, რაჲთამცა გექმენ თქუენ მოციქულ მწუხარებისა, ხოლო ვიტყჳ დაძინებასა ნეტარისა და ყოვლადქებულისა მამისა ჩუენისასა. გარნა ვინაჲთგან, ვითარცა ვხედავ, რამეთუ არა ხოლო თუ აქა, არამედ ვიდრე შორადმდეცა განთქუმულ არს საკჳრველი ესე სასმენელი, ვიდრეღა მრავალნი არცაღათუ დაირწმუნებენ, უკუეთუ [C184r] ნანდჳლვე [b3r] გარდაიცვალა მსახური იგი უფლისაჲ, და არა ვჰგონებ, უკუეთუმცა არა თქუენდაცა მოწევნულ იყო ჩუენ მიერ სირცხჳლითა დადუმებული ესე, ვინაჲცა დაღაცათუ არა მენება, იძულებით აღწერად მოვედ, რაჲთა აწ უგანცხადებულესად მიგითხრა, რომელი-იგი სხუათაგანცა გასმიეს, და ესე არა ულმობელად, არცა უცრემლოდ. რამეთუ ვინმცა დაღაცათუ ქვისაჲმცა აქუნდა გული, არამცა გარდამოადინნა ცრემლნი მჯურვალენი, გულისჯმა-ყო-მცა[4] რაჲ ზოგადი ესე დაჭირვებაჲ ეკლესიისაჲ? და რომელიმცა ანდამატისა[5] სული მოეგო, არა

---

1 ვიდრე] ვითარცა C

2 და მამანო] - C

3 მიზეზისათჳს] მწუხარებისათჳს C, διὰ πολλὰ (PG 99, col. 1825, A 8-9)

4 გულისჯმა-ყო-ცა C

5 ადამანტისა b

ყოვლითურთ[1] გარეგან საზღვართა ბუნებისათა განსრულებული[2], რომელიმცა არა მოიწყლა მოულოდებელისა ამის სმენისაგან და ბუნებრივისა ტკივილსა აღიძრა?

არამედ, ეჰა, უბადრუკებაჲ ჩემი! ვითარისაღა ჟამისათჳს დავიმარხე საწყალობელი ესე? და ვითარიღა წინა-ედვა ჭირვეულსა ცხორებასა ჩემსა სიკუდილსა მითხრობად, [b3v; C184v] რომელი-იგი არა თავისა[3] თჳსისათჳს ცხოველ იყო, არამედ ქრისტესა?

ჰე, ჭეშმარიტად დაიძინა ზიარმან მამამან ჩუენმან, რომელსა ფრიად უყუარდით თქუენ და გწყალობდა, ვითარცა შვილთა ჭეშმარიტთა, ვითარცა მოქმედთა ქრისტეს ვენაჯისათა, ვითარცა[4] ძეთა მორჩილებისათა, ვითარცა მჯედართა უფლისათა, ვითარცა აღმსარებელთა უტყუველთა, ვითარცა მის თანა დამაშრუალთა და მის თანა მოღუაწეთა ყოვლადვე და ყოველსა შინა[5**].

შეისუენა ზოგადმან მამამან ჩუენმან, ქუეყანისა ანგელოზმან და ზეცისა კაცმან, ტაძარმან მან ქალწულებისამან უბიწომან,

---

1 არა ყოვლითურთ] - b

2 განსრული C

3 თავისა] + თავისა b

4 ვითარცა] ვიდრე C

5 ** Κεκοίμηται ὁ κοινὸς Πατὴρ ἡμων, ὁ τοῦ Χριστοῦ ἀληθῶς, καὶ μαθητὴς, καὶ μιμητής· τὸ σκεῦος τῆς ἐκλογῆς· τὸ στομα τῆς Ἐκκλησίας· τὸ κλέος τῶν ἱερέων· τὸ τῆς πίστεως ἔρεισμα· ὁ τῶν μοναζόντων κανῶν· ὁ εὐαγγελικὸς ποιμήν· ἡ ἀποστολικὴ καρδία· τῶν ὁμολογητῶν ὁ ἐξαίρετος· ὁ προαιρετικὸς μάρτυς· ὁ τῆς ὀρθοδοξίας ἥλιος· ὁ οἰκουμενικὸς διδάσκαλος. Καὶ, ὦ τοῦ ἀκούσματος! κεκοίμηται ὁ κοινὸς Πατὴρ ἡμῶν ὁ μεγαλοφωνότατος τῆς ἀληθείας κῆρυξ· ὁ ἀένναος τῆς διδασκαλίας βρυτήρ· ὁ μυριόνους τῇ θεοσκόπῳ κυβερνήσει· ὁ θαυμαστὸς βουληφόρος· ὁ πιστὸς οἰκονόμος τῶν τοῦ Θεοῦ μυστηρίων· ὁ τῆς ἐπουρανίου Ἱερουσαλὴμ πολίτης· ὁ κεκαθαρμένος νοῦς· ἡ χρυσειδὴς ψυχή· ἡ εὔηχος τοῦ Πνεύματος λύρα· τὸ ἐνδιαίτημα τῆς μακαρίας καὶ ἀρχικῆς Τριάδος. Καί γε αὖθις ἀρῶ, οὐ παρακλήσεως ἕνεκα· τίς γὰρ ἄν καὶ λόγος ἐξευρεθείη τοσαύτης συμφορᾶς ἰατρός; ἀλλὰ τὴν περιοδυνίαν τῆς ταπεινῆς ἡμῶν καρδίας, ἐκ τῆς φωνῆς ταύτης ὑμῖν διασημαίνοντες (PG 99, col. 1828, A 1 – B 5)] om.

მრავალფერმან მან[1] და მრავალსახემან სიბრძნემან სულისამან, ჯელოვანმან მან გულისჯმისმყოფელმან და ერთგულმან ქრისტეს მსახურმან, ბრწყინვალემან მან თუალმან ქრისტეს გუამისამან, მოთმინებისა მოღუაწემან მან და მძლემან ხატთაბრძოლისა წვალებისამან, სიმართლისა საჭურველითა წყალობისა წყარომან [b4r] და განკრძალულმან უფლისა შჯულისმმარხველმან და ფასისსაცავმან მან სათნოებათამან, რომელი-იგი სიტყჳთა ტკბილ [C185r] იყო და ზრახვითა – საწადელ. და ვინ შემძლებელ არს სიტყჳთ აღწერად, რაოდენნი და რაბამნი სახელნი მიანიჭნა მას საღმრთომან მადლმან ყოველთა მათ საქმით აღსრულებითა და ყოველთა მოციქულებრ[2] შეყუარებითა?

ეჰა, ეჰა, მარადის სასურველნო[3], რაჲ არს ჩუენი ესე, გლახაკთა ამათ, საჲდუმლოჲ? და რაჲ არს სიბრძნე ესე ღმრთისაჲ გამოუთქუმელი[4]? აწ მივმდეს იერემიაჲს გოდებანი, და უკუეთუ სხუამან ვინმე სანატრელთა მათ კაცთაგანმან სიდიდე განსაცდელისა სადმე იგლოვა. დაეცა კაცი ჭეშმარიტად სუეტი და სიმტკიცე ეკლესიისაჲ, უფროჲსღა იგი სანატრელისა[5] მის[6] ცხორებისა მიმართ ამაღლდა და ჩუენგან წარვიდა, ხოლო შიშ არს, ნუუკუე სიმტკიცესა მას მისსა ზედა არა დამტკიცებულ იყვნენ ვიეთნიმე, და დაეცნენ და სიმ[b4v]პალე მათი ემხილოს. დაიჯშა პირი, რომელი იწურთიდა შჯულსა უფლისასა დღე და ღამე, და კუალად კადნიერებასა და სიმართლესა და სიტყუათა მადლი-სათა [C185v] აღსაშენებელად სარწმუნოებისა აღმოაცენებდა. წარვიდა გონიერებისაგან ზრახვაჲ ჭეშმარიტად ღმრთისა მიერ აღძრული. დაწუხნა თუალი[7] იგი მართლიად მხედველი და

1 ~ მან მრავალფერმან C

2 მოციქულთაებრ C

3 სასურველნო] საყუარელნო C, ὦ ἀειπόθητοι (PG 99, 1828, C 3-4)

4 გამოუთქმელი b

5 სანატრელისა] ჭეშმარიტისა b, τὴν μακαρίαν (PG 99, 1828, C 9)

6 მის] - C

7 თჳალი b

მართლიად[1] განმრჩეველი კეთილი უმჯობესისაჲ უდარესისაგან. დადუმდეს ბაგენი იგი მცველნი შჯულსა უფლისასა და სამართლისა, მსგავსად ანგელოზისა ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისა. შეიკრა ენაჲ იგი ოქრო-სიტყუაჲ[2] და საღმრთოთა ბრძანებათა[3] ჴმამაღლად მღაღადებელი. დაყუდნა ჴელი იგი შუენიერად მწერალი, ებისტოლეთა მიერ სოფლისა განმამდიდრებელი და მრავალთა მეცნიერებად ჭეშმარიტებისა მომქცეველი. დადგეს ფერჴნიცა იგი შუენიერნი {4*}, განკაფულნი ღამისთევათა[5] შინა ზედგომითა, და მრავალთა მახარებელნი მშჯდობისა და კეთილისნი. დაყუდნა გონებაჲ იგი მხედველი[6] და სიღრმეთა სულისათა გამომეძიებელი და შორით წინაჲსწარმხედველი და წინაჲსწარმცნობელი უცთომელი. დაიფარა მიწასა შინა გუამი წმიდაჲ მოღუაწებისა შრო[C186r] მითა განლეული, და მრავალთა ექსორიობათა, და პყრობილობათა, და წყლულებათა და მიმოსლვათა მიერ განფრდილი. ესევითარი არს, ჰ სანატრელნო, ჩემნი ესე მამაჲ და მოძღუარი, მეორე აბრაჰამ, რომლისა ღმრთისა მიერ სიტყუაჲ უმეტეს და რომლისა ნათესავი უფროჲს რიცხჳსა. ნათლისმცემელისა მიმსგავსებული, ეჰა, მოშურნე მადლისაჲ ფინეზ, ახალი სამოელ, **„გამორჩეული ბევრეულთაგან“** {7*}, რომლისა სათნოებასა მიუთხრობენ მრავალნი ქალაქნი, ქუეყანანი და ჭალაკნი, და რომლისა მოღუაწებასა და ცხორებასა განსთქუმენ კიდენი ქუეყანისანი ჯეროვნად. რამეთუ ვინ სადა ესრეთ ანუ სათნოებაჲ შეიყუარა, ანუ სიბოროტე მოიძულა?

---

1 მართლიად] - C

2 ოქროჲ-სიტყუაჲ b

3 ბრძანებათა] სიტყუათა C, δογμάτων (PG 99, col. 1829, A 3)

4 * შდრ. ეს. 52,7.

5 ღამისთევასა C

6 აქ H 1771-ში (b ლიტერი) მთავრდება „ბ“ (მეორე) რვეული და წყდება ტექსტი, ხოლო 5r-7v გვერდები მოიცავს „მარიამ მეგჯპტელის ცხორების“ ფრაგმენტს. დაკარგული მონაკვეთი აღვადგინეთ K 52-ის (C ლიტერი) მიხედვით.

7 * ქება 5,10.

ვის ესრეთ სუროდა ღმრთისა და შეყუარებულ იქმნა მის მიერ? ვის შეშურდა შური უფლისაჲ ესრეთ და არარაჲ აღრჩია[1] სიყუარულსა მისსა, ვიდრე სიკუდილადმდე? ვინ ესრეთ შეუდგა კუალსა წმიდათა მამათა ცხორებისასა და თანამსრბოლ ექმნა [C186v] განუძღომელად? [2**] ვინ **„მოაკუდინნა ასონი ქუეყანისანი“** {3*} ესრეთ, სიტყჳსაებრ მოციქულისა, და განწმიდა თავი თჳსი და ტაძარ უფლისა ყო იგი? {4*} ვინ წინამძღუარ ერისა იქმნა ესრეთ, და ებრძოლა წინააღმდგომთა, და სტყორცნა ჯელოვნებით და დასცნა ძლევითა ქებულითა? ვინ იყო უმახჳლეს მისსა წინაჲსწარ ხილვად ყოფადსა? ვინ ესრეთ მტკიცე და შეურყეველ სახითა, და წესითა საღმრთოჲთა და ელვისა უმალესსა განცდად საქმესა? და სადა არს ჩემდა ჟამი უმრავლესისა თქუმად, რომელი ყოველთადა ცხად არს, დაღაცათუ ჩუენ არა ვთქუათ და თანა-წარჰვჯდეთ განგრძობისათჳს და ებისტოლისა[5]?

ვაჲმე, ვაჲმე, ძმანო ჩემნო პატიოსანნო, [B3r][6] რომელნი აწცა მრავლითა ჭირითა და მწუხარებითა განკაფულ ხართ, ხოლო ესრეთ სასიკუდინედ არა რომლისა მიერ წყლულ ხართ სულითა. აწ მოიწყლა ყუავილი ჩუენი და სამკაული შუენიერი [7**] ხოლო ეკლესიაჲ ჭმუნავს და მწუხარე არიან ერნი, [C187r] რამეთუ

---

1 აღირჩია C

2 ** ἐμίσησε (PG 99, col. 1829, B 6) add. ვის ესრეთ სუროდა ღმრთისა და შეყუარებულ იქმნა მის მიერ? ვის შეშურდა შური უფლისაჲ ესრეთ და არარაჲ აღრჩია სიყუარულსა მისსა, ვიდრე სიკუდილადმდე? ვინ ესრეთ შეუდგა კუალსა წმიდათა მამათა ცხორებისასა და თანამსრბოლ ექმნა განუძღომელად?

3 * შდრ. კოლ. 3,5.

4 * შდრ. 1 კორ. 6,19.

5 ეპისტოლისა C

6 **A 1347-ში (B ლიტერი) აქედან გრძელდება შეწყვეტილი ტექსტი.**

7 ** აწ მოიწყლა ყუავილი ჩუენი და სამკაული შუენიერი] Νῦν ἀπήνθηκεν ἡμῖν κόσμος ὁ κάλλιστος (PG 99, col. 1829, C 5)

მოაკლდა მბრძოლი, და აღფრინდა[1] გულისჯმისმყოფელი და **„საკჳრველი მზრახვალი“{2*}**.

ამიერითგან ეძიებდინ სამღდელოჲ კრებული თავსა, აღმსაარებელნი[3] – თანამოღუაწესა, ღუაწლსა შინა მყოფნი – მასწავლელსა, სნეულნი – მკურნალსა, მწუხარენი – ნუგეშინისმცემელსა, განსაცდელთა შინა მყოფნი – თანამზრუნველსა[4], ობოლნი – მამასა, ქურივნი – ზედამდგომელსა, გლახაკნი – გამომზრდელსა, მიმძლევრებულნი – შემწესა და ჯელისამპყრობელსა[5], ყოველნივე თჳსთა სახელთაგან წოდებულნი თჳსისა ვნებისადა[6] შემსგავსებულსა გოდებასა[7] იქმოდეთ ამის ნეტარისგან, და ამათსა უმრავლესთა[8] და [B3v] ურიცხუთა მადლთა მიერ, და სათნოებითა გჳრგჳნოსნისა და ზეგარდამო შემსგავსებულად[9] სახელისა[10] წოდებულისა.

ჩუენ, გლახაკნი ესე, ყოველთა თანა და პირველ ყოველთასა აწ დაობლებულნი, და განყოფილნი ჯორციელად, დავშთით მხოლონი. ვიქმნენით, ვითარცა-იგი პირველ, და გლოვით და მწუხარედ[11] ვრორინებთ. [C187v] ვიქმნენით საყუედრელ წინააღმდგომთა და სიხარულ ბოროტად მადიდებელთა. აეღო ჩუენ ზედა ხატთა მბრძოლთა პირი{12*}, **„შევირაცხენით ჩუენ მათ თანა, რომელნი**

---

1 აფრინდა C

2 * ეს. 9,6.

3 აღმსარებელნი C

4 თანამზრუნველსა] + მიმძლევრებულნი – შემწესა და ჯელისამპყრობელსა C

5 მიმძლევრებულნი – შემწესა და ჯელისამპყრობელსა] - C

6 ვნებისადა] ვნებისა თჳსსა და C

7 გოდებასა] გონებასა C

8 უმრავლესთასა C

9 შემსგავსებულისა C

10 სახელისა] - C

11 მწუხარებით C

12 * შდრ. ფს. 21,14.

შთავლენან მღჳმესა“{1*}, ვითარცა იტყჳს მგალობელი[2]. ვიქმნენით ჩუენ, **„ვითარცა სირი მხოლოჲ სართულსა ზედა თჳსსა“** {3*}, **„მცირედღა და-მცა-ემკჳდრა ჯოჯოხეთს შინა სული ჩუენი“** {4*}. უღონო ვიქმნენით, წარვიწირენით თავნი თჳსნი. ვიქმნენით ჩუენ სოფლისა მისათხრობელ მწუხარისა ოჳრებისა, ვითარღა გამოწულილვით **„ვემსგავსენით ჩუენ ვარხუსა მას უდაბნოჲსასა**?“ {5*} მის ყოვლადქებულისა მიცვალებამან [B4r] სალმობითა აღავსნა გლახაკნი გულნი ჩუენნი, და ცრემლითა შესუარნა დაბნელებულნი თუალნი ჩუენნი, და სულთქუმითა[6] გულითადითა, და დუღილითა და აღმოდუღილითა, და მდუღარებითა საცნობელნი სულისა ჩუენისანი. და საწუთროჲ ესე ცხორებაჲ საძულველ-ყო, და სიკუდილი – საწადელ. და სულიერი არე [C188r] ზამთრად გარდაგჳქცია, და მრავალთა მიერ სასწრაფოჲ ჩუენდა საწყინო იქმნა.

და ჩუენი ცხორებაჲ ესრეთ არს, ჰ, ყოვლადქებულნო, სავსე კუნესითა და[7] სალმობითა, უმეგობრო, უდღესასწაულო, რომელსა არა აქუს არცა ერთი ნუგეშინისცემაჲ, რამეთუ ყოვლითკერძო ივლტის გლახაკი გულისსიტყუაჲ და არა სადაჲთ აქუს დაყუდებაჲ, თჳნიერ ხოლო ღმრთისა და სანატრელისა[8] მის საფლავისა[9] მიხედვისა.

ხოლო თუ თქუენ ვითარ იყოფვით, დაღათუ არა უმეცარ ვარ, გარნა ვიკითხავ, ჰ, საწადელნო, რამეთუ რაჲმცა სთქუთ[10]

---

1 * ფს. 27,1; 87,5.

2 მგალობელი] + დავით C

3 * ფს. 101,8.

4 * ფს. 93,17.

5 * ფს. 101,7.

6 სულთქმითა B

7 და] - C

8 ნატრულისა C

9 საფლავსა B

10 რაჲმცა სთქუთ] რაიმცა სთქჳთ B

სხუაჲ, გარნა ესრეთვე ყოფაჲ უეჭუელად, [B4v] რამეთუ უკუეთუ, ვითარცა იტყჳს, ვითარმედ: **„დაღათუ[1] ევნებინ ერთსა ასოსა, მის თანა ევნებინ ყოველთა ასოთა“{2*}**. ხოლო რამეთუ ასონი ხართ თქუენ და პატიოსანთაგანნი, ყოვლითურთ ცხად არს. ვინაჲცა საცნაურ არს, რამეთუ ჩუენ თანა გელმის. რამეთუ უკუეთუ ვინ მოვიდეს თქუენგანი, ვინღა მიეგებოს წინა ბრწყინვალითა პირითა, [C188v] და განმარტებულითა ჴელითა შეიწყნაროს, და შეიტკბოს, და ამბორს-უყოს პატიოსანთა პირთა თქუენთა? ვინღა ჰკითხოს ჯეროვანი და სულთა სარგებელი? ვინღა მხიარულ-ყვნეს შეწუხებულნი ტკბილად შჯულისდებითა? ვინ სასოწარკუეთილთა ნუგეშინის-სცეს? ვინ შეურვებულნი გულისსიტყუათა მიერ და განჴურებულნი განაგრილნეს? ვინ მოსწრაფე ყვნეს ღუაწლთა მიმართ? ვინ განაძლიერნეს ღმრთისმსახურებისა მიმართ? ვინ აღადგინნეს სიმჴნისა მიმართ? ვინ აღლესნეს ჭეშმარიტებისა მიმართ? ვინ განკურნეს[3] სნეულებისაგან? ვინ შორს [B5r] მყოფთა წიგნებითა ეტყოდის სარგებელსა[4]? ვინ ესრეთ შეიყუაროს და პატიოსანი სული თჳსი[5] ქრისტეს მიმსგავსებულად დადვას კაცად-კაცადისათჳს, ვითარ ღმრთივმონიჭებულმან მან მწყემსმან და მოძღუარმან თეოდორე?

და რად საჴმარ არს მრავლისმეტყუელებაჲ ნეტარისა მის ქველისსაქმისათჳს? [C189r] რომელთა დაჭირვებასა, უკუეთუ გულისჴმა-ვჰყოფდეთ და აღვსთუალვიდეთ, არცა თუ ებისტოლისა[6] საზომი კმა-ეყოს. და კუალად, არცა ადვილ არს სიმჴნეთა მისთა სიმრავლესა აღწერით მითხრობად სულისაგან ჩუენისა გლახაკისა, ესრეთ მწუხარებითა დანთქმულისა.

რამეთუ რაჲმცა იყო სათნოებათა მისთაგანი ღირს დავიწყებისა ანუ დადუმებისა? არამედ, ვაჲმე, უბადრუკსა! რამეთუ დამავიწყდა

---

1 დაღათუ] და თუ B

2 * 1 კორ. 12,26.

3 განკურნნეს C

4 სარგებლისათჳს C

5 თჳსი] + თჳთოეულისათჳს C

6 ეპისტოლისა C

თავი ჩემი სურვილითა თქუმულთაჲთა დაყოვნებად სატკივართა ამათ თხრობათა შინა აღძრულსა სიტკბოებითა მათითა, და მოჯს[B5v]სენებაჲ ნეტარისა მის ქველისსაქმეთა თქუენდა მიმართ ქმნილთაჲ ნუგეშინისცემად თქუენდა ვაგონე, არამედ წინააღმდგომი შემემთხჳა, რამეთუ ამათ მიერ უფროჲსღა დავსძინებ[1] სალმობასა მოწყლულთა სულთა თქუენთასა, და აღვატყინებ ალსა გულთა თქუენთა ტკივნეულთასა[2], და აღვა[C189v]ორძინებ ვნებასა მწუხარებისასა, და აღვავსებ ცრემლითა თუალთა ძმობისა თქუენისათა.

არამედ მოვედით ჩემდა, ჰ, მამანო ქებულნო და ძმანო საყუარელნო, და ნუ ვიდრე აქამომდინ[3] ხოლო დავადგენთ[4] გულისსიტყუასა ჩუენსა, ნუცა დავიჯსნებით და დავეცემით მწუხარებითა, რაჲთა არა ვიყუედრნეთ ჩუენცა დიდისა მის მოციქულისა მიერ, არამედ აღვიდეთ დასაბამითგანთა საქმეთა, და ვიხილოთ პირველისა მამისა ჩუენისაჲთგან და ვიდრე აქამომდე და პირველ სხუათაჲსა, [A1r][5] რომელნი ღმერთსა სათნო-ეყვნეს სათნოჲთა მოქალაქობითა და ცხორებითა. ხოლო ვიტყჳ [B6r] პირველ შჯულისა მამათა, მამადმთავართა[6], აბრაჰამს, ისაკს, იაკობს, და პირველ მათსა და შემდგომად მათსა, და შჯულსა შინა – მოსეს და აჰრონს[7], და შემდგომად მათსა[8] მსაჯულთა და წინაჲსწარმეტყუელთა, და მადლსა შინა – მოციქულთა, მოწამეთა, აღმსარებელთა, მღდელთმოძღუართა და მამათა, ვიდრე ამის კეთილად მოჯსენებულისადმდე[9].

---

1 დავსძინე C

2 თქუენთა ტკივნეულთასა] თქუენთასა ტკივნეულთა C

3 აქამომდე C

4 დავადგრებით C

5 A 500-ში (A ლიტერი) აქედან იწყება თავნაკლული ტექსტი.

6 მამათმთავართა C

7 აჰრონის B

8 მათსა] - C

9 მოჯსენებულისამდე C

და თუ, ვითარ თითოეულმან[1] ამათმან თჳსსა [C190r] შორის ნათესავსა ქცევითა კეთილითა[2] ჰმსახურა ღმერთსა, მისდა მიცემულთა ჟამთაებრ ღმრთისა მიერ, და კუალად მისსავე[3] მიიქცია. და ნუ შეგაწუხებნ თქუენ [A1v] ამის ყოვლადქებულისა მიცვალებაჲ, არამედ უფროჲსად გახარებდინ. რამეთუ ზემოჴსენებულთა მათ[4] თანა, ვითარცა სწორად მათსა მოღუაწჱ და მოქალაქჱ[5] ჭეშმარიტად აღირაცხა და ზიარ-იქმნა. და კუალად, რამეთუ არცა მოკლებულ არს ჩუენდა, ვინებოთ თუ, არამედ ჩუენ თანა არს, უკუეთუ, ვითარცა-იგი მან თქუა, და **„მცნებანი მისნი დავიმარხნეთ“**{6*}, და უმეტეს ძალ-უც აწ მეოხებაჲცა[7] და შეწევნაჲცა, [B6v] ვითარცა სახედ[8] **„პირველ სარკითა და იგავითა, ხოლო აწ პირისპირ“** {9*} უწმიდესად[10] და უბრწყინვალესად ჰმსახურებს ღმერთსა და შესწირავს. და დაღათუ მცირედ უწინარეს იწყო სლვად ღმრთისა მიმართ, არამედ გზა-გჳყოფს ჩუენ და განგჳმზადებს [A2r] მერმესაცა მას[11] სამკჳდრებელსა და განსასუენებელსა, უკუეთუ ოდენ სათნოდ უფლისა ვცხონდებოდით, და ვითარცა-იგი მან დამიმოწაფნა ჩუენ საქმით და სიტყჳთ.

ესე ნუგეშინის-სცემდინ ნეტა[C190v]რთა სულთა თქუენთა. ამათ მიმართ ხედევდინ განწმედილი გონებაჲ თქუენი, და შაბათობდინ და განისუენებდინ. ხოლო სამგზის სანატრელისა მის მამისა მცნებათა და შჯულისდებათა დღე და ღამე მოუკლებელად

---

1 თჳთოეულმან C

2 კთილითა B

3 მისავე BC

4 ამათ BC

5 მოღუაწე და მოქალაქე BC

6 * შდრ. ინ. 15,10.

7 მეოხებაჲ B

8 სახედ] - C

9 * შდრ. 1 კორ. 13,12.

10 უწმინდესად B

11 მერმესაცა მას] მერმესა მასცა BC

იჴსენებდით განკრძალულად მათ შინა მოცალებითა და წურთითა, რამეთუ ესრეთ ღმერთსაცა სათნო-ვეყვნეთ[1], რომლისადა შეყოფილ ვართ, და წინამდებარჱ[2] ღუაწლი სიწმიდით[3] აღვას[A2v]რულოთ, და იდიდოს იგი ჩუენ მიერ და ჩუენ მადიდნეს მის მიერ, და მერმესა [B7r] მას საუკუნესა განმიმზადოს ჩუენ სასუფეველი ცათაჲ.

და ესე წარმოვთქუ[4], დაღაცათუ[5] უმეტეს ებისტოლისა შეირაცხოს ვიეთგანმე, ხოლო თანანადებისა თანა[6], ვითარცა არცა თუ კერძოჲ ებისტოლისაჲ[7], რამეთუ არცა თუ წიგნი დაიტევს აღწერისა პირსსა, არამედ, ვითარცა სულმცირედ[8] წარვლეთ[9**], ერთბამად: ნეტარისა მისცა სიმჴნეთათჴს, და გლახაკისა და ჭირვეულისა სულისა ჩუენისა უწყებათა, და ძმობისა თქუენისა სიყუარულისა [C191r] სიტყჴსგებათა და რეცა ნუგეშინისცემათა[10].

ხოლო უწყი კეთილად[11], რამეთუ ეძიებთ, თუ [A3r] ვითარ იყო ნეტარისა მის დაძინებაჲ და ვითარი სნებაჲ, და რაჲოდენ[12] დღე[13] სნეულებაჲ; და კულად, თუ ვითარნი[14] იყვნეს კურნებისა და წარგზავნისა სიტყუანი, და თუ რაბამი ანდერძი და ბრძანებაჲ; და

---

1 სათნო-ვეყუნეთ B

2 წინამდებარე BC

3 სიწმინდით B

4 წარმოვთქუი B

5 დაღათუ B

6 თანა] თჴნ B

7 ებისტოლისაჲ] + არს B

8 სულმცირეთა C

9 ** ἐπιστολῆς (PG 99, 1833, D 8)] add. რამეთუ არცათუ წიგნი დაიტევს აღწერისა პირსსა, არამედ, ვითარცა სულმცირედ წარვლეთ.

10 ნუგეშინისცემასა A

11 კეთილად] კუალად C

12 რავდენ B, რაოდენი C

13 დღე] - C

14 ვითარ C

კუალად, თუ ვინ იყვნეს უკუანაჲსკნელსა მას ჟამსა მიცვალებისა მისისასა თანა მოღუაწენი და მსახურნი, და სხუაჲ რაჲოდენი[1] არს ესევითარი. და ვინ შემძლებელ არს წერით მითხრობად თქუენდა, **[B7v]** ანუ ვითარმანმცა სულმან გარეშე ვნებისა მყოფმან უძლო აღწერად კნონოდენიცა? არამედ, რაჲთა ნუგეშინისცემაჲცა[2] რაჲმე ჰპოვოთ[3], შემოკლებულად მიგითხრა თქუენ.

სნებაჲ უკუე იყო პირველითგანი **[A3v]** ჩუეულებისაებრ, ხოლო ვიტყჳ სტომაქისასა, რომელი-იგი მრავალჟამისა ექსორიობათა და პყრობილობათაგან, და მათ შინა სრულიადისა უღუაწობისაგან და იწროებისა[4] აღორძინდა, და უკურნე**[C191v]**ბელ იქმნა, და რაჲთურთით საზრდელისა[5] უგემურობად შთააგდო, და ესეოდენ განძჳნდა, ვიდრეღა პირველ სიკუდილისაცა, ვითარცა მკუდარი იხილვებოდა ნეტარი იგი. რომლისა მიერ ოთხ[6] დღე ცხედარსა ზედა მიიჭრა დასაბამსა ნოემბერისასა და ნებითა ღმრთისაჲთა კუალად განძლიერდა. არამედ ეჰა, სამგზის სანატრელისა მის სულისა სიმაღლჱ[7] და ახოვნებაჲ! რამეთუ არცა თუ სნებასა **[A4r]** მას შინა ენება განსუენებისა გინა ნუგეშინისცემისა რაჲსმე მიღებად, ესრეთ სრულიად მოეძულა[8] ცხორებაჲ ესე. **[B8r]** რამეთუ კნინღა და მოკლებულ იყო სიგრძითა დღეთაჲთა და სიბერითა განლეულ, და კუალად ფრიადთა მათ ჭირთაგან დაჳსნილ, და მსგავსად დავითისა[9]: **„არა სცემდა ძილსა თუალთა მისთა, არცა ჰრულსა წამთა მისთა[10], არცა განსუენებასა**

---

1 რაოდენი **BC**

2 ნუგეშინისცემაჲ **BC**

3 ჰპოოთ **B**

4 იწროებისაგან **C**

5 საზრდელსა **B**

6 ოთხე **C**

7 სიმაღლე **BC**

8 მოიძულა **C**

9 დავითისსა **C**

10 მისთა] + და **B**; არცა ჰრულსა წამთა მისთა] - **C**

ვორცთა თჳსთა[1], ვიდრემდის[2] პოვა ადგილი უფლისაჲ“ {3*}, და ჭეშმარიტად პოვა. და რაჲმე არს ესე? მოუკლებელი იგი და ვითარცა თანა წარუვალი ჩუეულებისაებრ მის მიერ აღმოთქუმული დღითი-დღე[4] ცხორებისა მოძღურებაჲ, რომელი-იგი ცხედარსაცა[5] რაჲ [C192r] მდე[A4v]ბარე იყო, ვინაჲთგან ვერ ეძლო ჴმამაღლად სიტყუაჲ მის მიერ შეკრებულთა ძმათა მიმართ, მიუთხრა იგი ერთსა მწიგნობართაგანსა და მიუგებდა იგი მეორისა ჴმითა, რომელი-იგი ჩუენცა აღვწეროთ, რაჲთა მის მიერ ცნას ყოველმან გონიერმან, რამეთუ არცა თუ ნეტარსა მას დაძინებასა თჳსსა უმეცარ იყო, დაღაცათუ იგავით წარმოთქუა, რამეთუ ესრეთ იტყჳს:

[B8v] "ძმანო და მამანო, დავსნეულდი და კუალად ლოცვითა თქუენითა მოვიქეცა. გარნა ვიდრემდის გუეგულების მოსლვაჲ კუალადისა[6] მიმართ? რამეთუ განაღა უეჭუელად მოვიდეს სიკუდილისა[7] დღჱ[8], ოდეს-იგი არღარა ჰქონდის ადგილი კუალადსა, რომელი განმყოფდეს მე თქუენგან, და წარმგზავნიდეს [A5r] ამიერ. არამედ არა ჯერ-არს ამისთჳს განზრახვაჲ სიობლისაჲ, რამეთუ უტყუველ არს, რომელმან-იგი თქუა: **„არა დაგიტევნე თქუენ ობლად“ {9*}**, **„და აჰა ესერა მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა, და ვიდრე აღსასრულადმდე[10] სოფლისა“ {11*}**, და კუალად, რამეთუ ვიხილნეთ ურთიერთას მას დღესა შინა, [C192v] ხოლო

1 თჳსთა] მისთა B

2 ვითარმედ C

3 * შდრ. ფს. 131,4.

4 დღითი-დღე] - B

5 ცხედარსა C

6 კუალადისა] კეთილისა C, τὸ πάλιν (PG 99, col. 1837, A 4)

7 სიკუდილისა] კუალადისა C, ἐπιθάνατιος (PG 99, 1837, A 4-5)

8 დღე BC

9 * ინ. 14,18.

10 აღსასრულემდე BC

11 * მათ. 28,20.

ვიხილავთმცა სიხარულსა შინა გამოუთქუმელსა და ცხორებასა დაუსრულებელსა. ხოლო თუ რაჲ შემემთხჳა სნეულებასა შინა, უწყით, ვითარ შეპყრობილ ვიქმენ ცხროჲსაგან და დაუთმენელი თრთოლაჲ შემედვა, და მერმე, ვითარ მყისსა შინა შთავვარდი დღე ყოველ მჯურვალებად შემწუველად. და ესრეთ რაჲ ვი[A5v]გუემებოდე, განვიზრახე თავსა შორის ჩემსა, ვითარმედ ნუუკუე და[1] მერმესა მას საშჯელსა [B9r] ტარტაროზისა სატანჯველისაგან იქმნების შთავრდომაჲ ცეცხლად გეჰენიისა, და ნუუკუე ორთა სატანჯველთა ანუ თუ უმრავლესთა თანამდებ იქმნების უბადრუკი კაცი.

გარნა გინა თუ ერთსა, გინა თუ ორთა, გულისჯმისსაყოფელ არს აქათა ამათ სალმობათაგან წინადაუდგრომელი იგი რისხვაჲ ღმრთისაჲ ცოდვილთა ზედა და მრავლითა შიშითა და ძრწოლითა განკრძალვად, აქაჲთვე არა შთავრდომად მოუთმენელთა მათ სატანჯველთა შინა. რამეთუ აწინდელი ესე დევნულებაჲ, რომელთა[C193r]მე [A6r] ნივთად სათნოებისა ეპოვა, „**რომლისა მიერ განბრწყინდეს, ვითარცა მნათობნი სოფელსა შინა, რომელთა აქუნდა სიტყუაჲ ცხორებისაჲ სიქადულად ჩემდა (უკუეთუ ჯერ-არს თქუმად) დღესა მას შინა ქრისტესსა**“{2*}. რამეთუ რომელი კეთილი არა ქმნეს? ანუ რომელსა წარმატებასა არა მოვიდეს? რამეთუ თავნიცა თჳსნი აცხოვნნეს[3] და სხუათაცა აცხოვნებენ, განისწავლნეს განსაცდელითა, გამოიჯურვნეს ჭირითა [B9v] მსგავსად ოქროჲსა, და სხუათათჳსცა ჰსუროდა[4], და მაცხოვრად მრავალთა გამოჩნდეს თანამოღუაწეთაცა თჳსთა და უცხოთაცა, რომელთა თანა იყავნ ნაწილი ჩემი და რომელთაცა ჰნებავს ჩემ თანა შერაცხვაჲ.

[A6v] ხოლო რომელთამე და ამათ მცირედთა **ნივთ სიბოროტის** თჳთრჩულობითა[5] ცხორებითა და ვითარცა გამოჯუებითა[6]

---

1 და] - C

2 * შდრ. ფილ. 2,15-16.

3 აცხოვნეს B

4 სუროდა BC

5 ნივთ სიბოროტისა თჳთრჩულობით BC

6 გამოჯურვებით C

მორჩილებისაგან იქმნეს თავისა თჳსისა სირცხჳლი. ვინაჲცა ჟამი არს მსგავსად წერილისა თქუმად, ვითარმედ: **„დაბნელდა სახჱ[1] პირისა მათისაჲ[2], ვითარცა განრყუნილი“{3*}**, რომელთა მიმართ ჴმა-ვყოთ: **„ძენო უშჯულონო, [C193v] რომელთა დაუტევეთ უფალი“{4*}**, და შესცვალეთ წესიერებაჲ სამონაზნოჲსა ცხორებისაჲ, ალაგნი მართალნი არა გქონან, არამედ ვითარცა მკელობელნი მიმოსდრკებით, და აქა და იქი ეკუეთებით და მიმოიტაცებით, განეყენენით[5] კრებულსა თქუენსა, დედათა ემეგობრებით და ჰყუარობთ, რომელნიმე მარტოებით[6] იყოფებით, და რომელნიმე მონათა იფრდით აქამომდე, და არიან ვიეთნიმე, რომელნი[7] ვაჭრ[B10r][8]ობით ცხორებენ გონებითა ვეცხლისმოყუარითა. არა შეგაშინებს თქუენ არცა წყევაჲ საწინაჲსწარმეტყუელოჲ, არცა თქუმაჲ სამოციქულოჲ, არცა სწავლაჲ ჩემისა სიგლახაკისაჲ, ხოლო ვითარცა ვისწავე, ვითარმედ და ესევითართა ამათგანი ვინმე ქალსაცა ვისმე დაემოყურა[9], და წარტაცებად მისა და შეურაცხყოფად ღმრთისა ფერჯნი თჳსნი განჰმზადნა[10].

რასა იტყჳ, უბადრუკო და საწყალობელო? არა უწყია რაოდენგზის ჰგალობდი: **„ვიდრემე ვიდე სულისა შენისაგან? და პი[C194r]რისა შენისაგან ვიდრემე ვივლტოდი?“{11*}** ყოვლადვე სიყუარულად მოხუედა გუელისა თანა, რომელმან აცთუნა ევა

---

1 სახე BC

2 მათისა B

3 * გოდება 4,8.

4 * ეს. 1,4.

5 განეყვენით B

6 აქედან A 500-ს (A ლიტერი) ფურცლები აკლია.

7 რომელნი C

8 აქ A 1347-ში (B ლიტერი) მთავრდება „გ“ (მესამე) და იწყება „დ“ (მეოთხე) რვეული.

9 დაემოყურა] დაემეგობრა C

10 განმზადნა B

11 * ფს. 138,7.

და მის თანა გამოჯადა სამოთხით ადამ[1], პირველი მამაჲ ჩუენი. ყოვლადვე იგონება უარისყოფად ქრისტესა, რომელსა შეეყავ ქალწულებისა აღთქუმითა, და შეყოფად ცოდვასა, რომლისა მიერ სიკუდილი სოფლად შემოჯდა? არა გესმისა[2] წერილისა, რომელი იტყჳს ესევითარისა მოქმედთათჳს, ვითარმედ: **„მატლი მათი არა მოაკლდეს[3] და ცეცხლი არა დაშრტეს[4]?“**{5*} [B10v] არა გესმა[6] მოციქულისა, რომელსა იტყჳს, ვითარმედ: **„მეძავნი და მემრუშენი საჯნეს ღმერთმან?“**{7*}[8**] რაჲმე შეიძინო უშჯულოებისა მაგის აღსრულებითა? ანუ არა ბნელია[9] და მახული[10] განმკუეთელი გულისა შენისაჲ? ანუ არა მთხრებლია სასოწარკუეთილებისაჲ? ანუ არა თჳთ იგი მაცთური შენი სატანა, რომელი შიშთვილსა გაიძულებდეს შენ შეტკბობად, ვითარცა ოდესმე იუდას?

განიფრთხვე, რომელი-ეგე დაბნელებულ ხარ; ევლტოდე მახესა სიკუდილისასა, რომელი-ეგე შებრკოლებულ ხარ; [C194v] და ნუ შთაჰჯდები ფსკერსა ჯოჯოხეთისასა, უკუეთუ არა აქაცა კაენის ცხორებითა სცხონდე სულთქუმით და ძრწოლით, სივლტოლით ყოვლისაგან პირისა მეცნიერისა[11], და მერმესა მას საუკუნესა დაისაჯო ცეცხლსა მას შინა გეჰენიისასა. რაჲმე უკუე ვყო, მე, უბადრუკმან ამან, გარეშემოწერილმან ერთსა ადგილსა,

---

1 ~ ადამ სამოთხით C

2 გესმის C

3 მოაკლდების C

4 დაშრტების C

5 * ეს. 66,24; მარკ. 9,44.

6 გესმისა C

7 * ებრ. 13,4.

8 ** Καὶ αὖθις· Εἴ τις τὸν ναὸν τοῦ Θεοῦ φθείρει, φθερεῖ τοῦτον ὁ Θεός (PG 99, 1840, B 4-5). და ასევე, **„რომელმან ტაძარი ღმრთისაჲ განხრწნეს, განხრწნეს იგიცა ღმერთმან“** (1 კორ. 3,17)] om.

9 ბნელი C

10 მახჯლი C

11 მეცნიერებისა C

ყოველთა ამათ მიმართ ზემოჯსენებულთა? რაჲ ვყო სხუაჲ, გარნა სულთქუმისა და წამებისა და მო[B11r]მავალისა მის მახჯლისათჯს უწყებისა? და უკუეთუ ისმინონ და მოიქცენ ცთომილისაგან სლვისა მათისა და წარწყმედად მიმყვანებელისა[1], თავთაცა თჯსთა იყვნენ მაცხოვარ და ჩემისაცა სიმდაბლისა. ხოლო უკუეთუ არა, მხოლოთა აღმოივსონ ბოროტი, მხოლონი წარვიდენ ცეცხლად, რომელი აღაგზნეს; მხოლოთა **„მიეჴადოს მომსრველი საუკუნოჲ პირისაგან უფლისა და პირისაგან დიდებისა ძლიერებისა მისისა, რაჟამს მოვიდეს დიდებად წმიდათა შორის მისთა[2] [A7r][3] და საკჯრველებად ყოველთა შორის“** {4*}, რომელნი სარ[C195r] წმუნოებით მსგავსად მცნებათა მისთა ვიდოდეს, რაჲთა მათ მისცეს შემსგავსებული პატივი, ხოლო წინააღმდგომთა მათ – განმზადებული მათთჯს დაუსრულებელი სატანჯველი.

ხოლო თქუენ, ძმანო ჩემნო, კეთილად ვიდოდეთ, გეკედრები, რაჲთა თქუენგან განფენილმან სიტყუამან{5*} სათნოებისამან ურჩნიცა იგი მოიყვანნეს[6] ცნობასა ჭეშმარიტებისასა{7*}. **„ყოველსა[8] თავს-იდებდით, ყოველსავე მოითმენდით, ყოველსავე ირწმუნებდით“**{9*}, [10**] [B11v] რაჲთა ყოველნივე ყოველსა შინა სათნო-

---

1 მიმყვანებელისა] მახლობელისა C

2 A 500-ში (A ლიტერი) დაკარგულია ეს მონაკვეთი: **„იყოფებით და რომელნიმე მონათა იფრდით აქამომდე... რაჟამს მოვიდეს დიდებად წმიდათა შორის მისთა“.**

3 A 500-ში (A ლიტერი) 7r გვერდი დაზიანებულია.

4 * 2 თეს. 1,9-10.

5 * შდრ. 1 თეს. 1,8.

6 მოიყვანეს B

7 * შდრ. 2 ტიმ. 2,25.

8 ყოველსავე C

9 * შდრ. 1 კორ. 13,7.

10 ** ყოველსა თავს-იდებდით, ყოველსავე მოითმენდით, ყოველსავე ირწმუნებდით] πάντα ὑπομένοντες (PG 99, col. 1841, A 3). ყველაფრის მომთმენნი.

ეყვნეთ უფალსა, და ვიჯსნეთ სატანჯველთაგან, და მივემთხჯნეთ სასუ-ფეველსა ცათასა მისვე თავადისა ქრისტეს [A7v] ღმრთისა ჩუენისა მიერ, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცჱ[1] თანა მამით და სუ-ლით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ".

ხოლო შემდგომად მეოთხისა დღისა, რამეთუ ხვალისაგან იყო კჳრიაკჱ[2], რომელსა შინა ჩუეულებისაებრ დაჯდა წინაშე[3] ნეტარი იგი, და ვითარცა წარიკითხეს სწავლაჲ მისი, რაჲ იქმნა? განძლიერდა გულსმოდგინებითა, ვითარცა თქუმულ არს, ვითარმედ: **„გულსმოდგინებაჲ სიმრთელესა მისცემს და სურვილი [C195v] მკუდართა აღადგინებს“**. და ვითარცა ჯერ-იყო მსხუერპლისა შეწირვაჲ, რომლისა დღითი-დღე მრავლითა სურვილითა აღასრულებდა სამგზის სანატრელი იგი, [A8r] შევიდა ტაძრად სიწმიდით მსახურებად[4] უფლისა და შეწირვად უსისხლოჲსა მსხუერპლისა.

და ვითარცა ყოველივე აღასრულა წესიერად, და მუნ მდგომარენი იგი აზიარნა, და სრულ-ყო [B12r] მსახურებაჲ თჳსი, მიერ ტრაპეზად აღვიდა და ისტუმრნა კეთილად, რამეთუ მოსრულ-იყვნეს ვიეთნიმე მამათა და აღმსარებელთაგანნი, და ამიერ[5] მიცვალებისა სიტყჳთა ეუბნა მათ და ეზრახა და ესრეთ წარავლინნა[6] მშჳდობით. და ესე არა თუ ხოლო მაშინ[7] ქმნა, ვითარცა უწყით, არამედ[8] ყოველნივე ჟამნი სანატრელისა[9] მის და წმიდისა ცხორებისანი სხუაჲ არარაჲ იყვნეს, არამედ საწურთელ სიკუდილისა და გულის[A8v]სათქუმელ ამიერ განსლვისა და

---

1 სიმტკიცე BC

2 კჳრიაკე BC

3 წინაშე] - C

4 მსახურებასა C

5 მიერ C

6 წარავლინნა] + იგინი C

7 ~ მაშინ ხოლო B

8 არამედ] რამეთუ C, - B

9 სანატრელისანი C

ქრისტეს თანა ყოფისა{1*}. რომლისა ჯსენებისა თუ რაოდენი და რაბამი ღუაწლი აქუნდა ყოვლადვე და მოსწრაფებაჲ? [C196r] რაჲთა დღითი-დღე წარემატებოდის თჳსაგან თითოეულისა[2] თანა და ზოგად ყოველთა, რად საკმარ არს თქუმაჲცა, რამეთუ საქმენი ღაღადებენ? ხოლო აწ უფროჲსი და უმეტესი.

და ვითარცა მცირედი ჟამი[3] წარჯდა, რაჟამს-იგი[4] ყოვლითურთ განსლვისა მიმართ განმზადებულ იყო, და ვითარ-იგი ზედაჲს-ზედა მივიდოდე მისა და ვიქცევოდე[5] წინაშე მისსა, რომელი-იგი ყოველსავე ნებისაებრ ღმრთისა იქმოდა და იტყოდა, ეგრეთვე ქრისტეს მსგავსად სიმდაბლითა არა [B12v] უღირს-იჩინა [A9r] სიტყუად ჩუენისა სიმდაბლისა[6] ესრეთ, ვითარმედ: ნუუკუე და-რაჲმე[7]-ვაკლეთ, რომელი საჭიროდ თანა-გუედვა თქუმად? ნუუკუე ზედანადები რაჲმე ჩუენი უგულებელს-ვყავთ? ესრეთ და ესევითართათჳს ნეტარი იგი და მრავალმოურნე[8] სული[9] იღუწიდა და ზრუნვიდა. და ხვალისაგან, რომელი[10] იყო სამშაბათი, რომელსა შინა მოიწია ჯსენებაჲ პავლე დიდისა აღმსარებელისაჲ[11], ვითარცა ღმრთისმოყუარემან და წმიდათა მეგობარმან, კუალად[12] აღასრულა საღმრთოჲ მსხუერპლი[13] და ჯსენებაჲ იგი[14] წმიდისა მის შეამკო.

---

1 * შდრ. ფილ. 1,23.

2 თჳთოეულისა C

3 ჟამი] - C

4 რაჟამს C

5 ვიქცეოდე BC

6 სიმდაბლისა] ცხორებისა C, ταπεινώσει (PG 99, col. 1842, C 7)

7 რამე A

8 მრავალმოურნეჲ A

9 სული] + მისი C

10 რომელ C

11 აღმსარებელისა B

12 კუალად] კეთილად BC, καὶ αὖθις (PG 99, col. 1844, A 3)

13 ~ მსხუერპლი საღმრთოჲ C

14 იგი] - B

[C196v] და ვითარცა მწუხრი მოიწია, ჩუეულებისაებრ მის თანა მსხდომარეთა მრავლითა სიტყჳთა **[A9v]** ეზრახა, და მიერ სენაკად თჳსად შევიდა, და წესისაებრ ფსალმუნებაჲ და ლოცვაჲ თჳსი[1] აღასრულა, და მიწვა ცხედარსა ზედა. და მეოთხესა ჟამსა შეუჯდა მას ტკივილი სალმობისა მის თჳსისაჲ[2] ჩუეულებისაებრ და ესრეთ ჯმა-უყო ვისმე ძმათაგანსა, რომელსა[3] ეძინა წინაშე სენაკისა მისისა, და მიუთხრა მას **[B13r]** სალმობაჲ თჳსი, და მეყსეულად შემოკრბეს ძმანი. და ესრეთ განვლო ღამჱ[4] იგი მოლხინედრე, და ხვალისაგან მოუწოდა ყოველთა მათ მუნ მყოფთა და მიუთხრნა მათ ნუგეშინისცემისა სიტყუანი. ხოლო თუ ვითარნი იყვნეს იგინი? ვითართა ეტყჳნ დღითი-დღე **[A10r]** და[5] რომელთა მოჳსენებაჲ არაოდეს მოაკლო[6] ღამით და დღით, ხოლო ესე უმეტეს:

"ძმანო და მამანო, სასუმელი ესე ზოგადი[7] არს, რომელი შესუეს ყოველთა მამათა ჩუენთა. ამასვე შევსუამ მეცა და წარვალ მამათა ჩემთა თანა. იხილეთ მცნებაჲ იგი[8], **[C197r]** რომელი შეგვედრე თქუენ, სარწმუნოებაჲ თქუენი შეუძრველად დაიცევით და ცხორებაჲ შეუგინებელად. რამეთუ უმეტესისა[9] რაჲსმე თქუმად[10] ვერ ძალ-მიც, რამეთუ ყოველივე თანანადები წინაჲსწარვე მითქუამს და მისწავებიეს".

და შესძინა ესეცა, ჭეშმარიტად მშჳდობისა და სიყუარულისა შვილმან მან: "უფალსა ჩუენსა[11] მღდელთმოძღუარსა **[A10v]**

---

1 თჳსი] - C

2 თჳსისა B

3 რომელთა A

4 ღამე BC

5 და] - C

6 მოაკლდა B

7 ზოგად C

8 ეგე B

9 უმეტისისა A

10 რაჲსმე თქუმად] თქუმად რაჲსამე C

11 ჩუენსა] + იესუ ქრისტესა C

მოწიწებით და პატივით ჩემ მიერ მოკითხვაჲ [B13v] მიუძღუანეთ, და სხუათა მამათა მღდელთმოძღუართა და მღდელთა[1], ქრისტეს აღმსარებლთა და უფლისათჳს დევნულთა, და ყოველთა ძმათა, მეგობართა და მეცნიერთა, და სარწმუნოებისა ღუაწლთათჳს ჩუენ თანა დამაშურალთა, დიდთა და მცირეთა".

არამედ ეჰა, სანატრელისა მის სულისა და სათნოებათა მოყუარისა, რომელი არცა თუ მას ჟამსა სხუასა რასმე იწურთიდა ანუ[2] ზრუნვიდა, გარნა ხოლო ღმრთისა სათნოსა და ღმრთისა დიდებასა. ამისთჳსცა იკითხა რაჲ სიმდაბლისა ჩუენისა მიერ შერისხულთა მათ და განკანონებულთა ძმათათჳს, ვითარმედ ნუუკუე [A11r; C197v] და[3] უცხოჲ რაჲმე ბრძანოს, მოგჳგო ჭეშმარიტად წყალობისმოყუარემან მან და ქრისტეს მიმსგავსებულმან მკურნალმან[4]: **„უფალმან შეუნდვენ ყოველთა“**. და შესძინა დასარწმუნებელად, ვითარცა ჭეშმარიტად სარწმუნომან, ბრძანებული იგი ღმრთისაგან მონისა თჳსისა მოსეს მიერ, და სამგზის ჯუარი დასწერა და თქუა: **„ღმერთი მშჳდობისაჲ იყავნ სულისა თქუენისა თანა“**{5*}. და ყოველნი-იგი მუნ მყოფნი მოიკითხნა ამბორისყოფითა წმიდითა და დაადგრა [B14r] ეგრეთვე. და მეყსეულად მიმო-განისმა[6] ჰანბავი მისი, და მოვიდა სიმრავლჱ[7] ერისაჲ არამცირედი. და ესრეთ დაყო ორი[8] დღჱ[9], და კაცად-კაცადსა მომავალსა აკურთხევდა ჯუარისწერით, და[10] [A11v] ამბორს-უყოფდა, და მყუდროებით მიუგებდა, და

---

1 და მღდელთა] - B

2 ანუ] გარნა BC

3 და] - C

4 მკურნალმან] - B

5 * შდრ. რიცხ. 6,26.

6 მიმო-განითქუა C

7 სიმრავლე BC

8 ური B

9 დღე BC

10 და] + და A

ულოცვიდა სამგზის სანატრელი იგი, და წარჰგზავნიდა მშჯდობით, და თითოეულსა[1] ჯსენებისა ღირსსა[2] და ცხორებისა საგზალსა დაუტეობდა[3].

ხოლო კჳრიაკესა, რომელსა შინა ჯსენებაჲ[4] აღესრულებოდა[5] დიდისა მოწამისა მინაჲსი[6], ილოცა ჩუეულე[C198r]ბისაებრ, და მერმე ეზიარა წმიდათა საიდუმლოთა, და იცხო ჩუეულებისაებრ[7] და დაიბეჭდა ცხოველსმყოფელი იგი მსხუერპლი, და აღიპყრნა სიმაღლესა ჯელნი თჳსნი და ილოცა. და ვითარ ჟამსა ოდენ მეექუსესა შეატყუა თავსა თჳსსა მოუძლურებაჲ, და ბრძანა მდუმ[A12r]რიად სანთელთა აღნთებაჲ, და მიერითგან ვიწყეთ გალობად, და ვითარ ვიტყოდეთ მუჯლსა ამას[8], რომელსა შინა იტყჳს: **„უკუნისამდე არა [B14v] დავივიწყენ[9] მე სიმართლენი[10] შენნი, რამეთუ ამას შინა მაცხოვნე მე“{11*}**, მისცა სული თჳსი წმიდაჲ და ნეტარი წმიდათა ანგელოზთა[12].

ესრეთ იქმნა სამგზის სანატრელისა მის დაძინებაჲ, ვითარცა ესერა შემოკლებულად წარმოვთქუთ[13], და სარბიელსა მას მო-

---

1 თჳთოეულსა C

2 ჯსენებისა ღირსსა] ღირს ჯსენებისა C

3 დაუტეებდა B

4 ჯსენებაჲ] - C

5 ~ აღესრულებოდა ჯსენებაჲ B

6 მონაჲს + ჯსენებაჲ C

7 და მერმე ეზიარა წმიდათა საიდუმლოთა და იცხო ჩუეულებისაებრ] - C

8 მას BC

9 დავივწყნე A, დავივიწყნე C

10 სიმართლენი] სიტყუანი AC, τῶν δικαιωμάτων (PG 99, col. 1845, B 2)

11 * ფს. 118,93.

12 ანგელოზთა] + და C

13 წარმოვთქჳთ B

ღუაწებისა მისისასა[1] სრულყოფაჲ, და ესე არს მრავალთა მათ[2] ღუაწლთა და შრომათა და ოფლთა მისთა უკუნითი[3]-უკუნისამდე განსუენებაჲ.

არამედ, ჰ, ვითარმე უცრემლოდ გამოგისახო თქუენ შემდგომითი[A12v]-შემდგომად აღტყინებულმან გულისსიტყუათაგან და განკრთომილმან გონებითა [4**]? არამედ მაცადეთ მე, რაჲთა მცირედ დავიყოვნო [C198v] თხრობასა ამას შინა, რამეთუ კეთილ არს ამისიცა არა თანაწარსლვაჲ.

მდებარე უკუე იყო სამგზის სანატრელი იგი, ვითარცა უცხოჲ რაჲმე საკჳრველი, პატივოსანი[5] ხილვითა, ანგელოზისა მსგავსი სახითა, რაჟამს-იგი, ვითარცა შარავანდედი ნათლისაჲ წარვიდა პატივოსნისა[6] მის გუამისა მისისაგან უფლისა მიმართ დიდებული იგი სული მისი, რომლისა თანა და რომლითა[7] [B15r] ჰმსახურა ყოვლადწმიდასა სამებასა. და მეყსეულად დაერთო პირველმოსრულთა მათ ერთა სხუაჲ სიმრავლჱ[8] ფრიადი, [A13r(155r)] რომელთა თანა იყვნეს მღდელთმოძღუარნი და მღდელნი[9], მონაზონნი და ერისკაცნი წარჩინებულნი და მთავარნი, და მოაქუნდა თითოეულსა[10] შემსგავსებული ნეტარისა მის დაფლვისაჲ[11] და შემურვისაჲ[12], რომელთამე – კერეონნი სპეტა-

---

1 მისისა B

2 მათ] - C

3 უკუნითი] უკანაჲსკნელი C

4 ** გონებითა] τῇ καρδίᾳ (PG 99, col. 1845, B 11). გულითა

5 პატიოსანი BC

6 პატიოსნისა BC

7 რომელთა C

8 სიმრავლე BC

9 და მღდელნი] - C

10 თჳთუჱულსა B, თჳთოეულსა C

11 დაფლვისა BC

12 შემურვისა B

კისაგან და მრავალსასყიდლისა[1], და რომელთამე – ტილონი შუენიერნი, და სხუათა – ეზოები პორფირები, და სხუათა – ჭურჭელი ოქროჲსა[2] და ვეცხლისა პატივოსანი[3], და რომელთამე – ნელსაცხებელი [C199r][4] და საკუმეველი, და რომელსამე – რომელი, და სხუასა – სხუაჲ, რაჲთა არა განვაგრძო სიტყუაჲ ჩემი. ხოლო ყოველნივე სარწმუნოებით ისწრაფდეს, რაჲთამცა ღირსი რაჲმე ჴსენებისაჲ წმიდათა მათ ნაწილთა შეწირეს [A13v] და პატიოსანსა მას[5] საფლავსა მისსა დადვეს.

ხოლო დღესა მას და ღამესა შინა იქმნა ზამთარი ფიცხელი, ვითარცა-იგი პირველ დიდისა პეტრე[6] ალექსანდრიელისა ზე, და იხი[B15v]ლვებოდა ხილვაჲ საკჳრველი. რამეთუ ყოველთავე შეურაცხ-ყვეს და უგულებელს-ყვეს ზღუაჲ, და ჰაერი და რღუნაჲ მდინარეთაჲ, და განსაცდელი ჴელმწიფეთაჲ, და სხუაჲ რაჲოდენიცა[7] რაჲ იყო, ყოველივე უგულებელს-ყვეს, მონათა – მსახურებაჲ უფალთაჲ[8], და განმგეთა – განმგეობაჲ[9], და ვაჭართა და მენავეთა – ვაჭრობაჲ, და მოგზაურთა და მგზავრთა – თჳსი გზაჲ. და ყოველნი დაესხნეს მის ზედა, და ჰხედვიდეს[10] მას, ვითარცა საღმრთოსა საუნჯესა, და [A14r][11] რაჲთა

---

1 მრავალსასყიდლისაჲ B

2 ოქროისა B, ოქროჲსაჲ C

3 ვეცხლისაჲ პატიოსანი BC

4 **აქედან K 52-ში (C ლიტერი) ხუთი გვერდი (199r-201r) დაწერილია XVII-XVIII ს.; გადამწერი იოანე კაკნიაშვილი (201r) [აღწერილობა 1953: 180].**

5 მას] - C

6 პეტრე] - C

7 რაოდენიცა BC

8 უფალთა B

9 გამგეთა – გამგეობაჲ C

10 ხედვიდეს BC

11 **A 500-ში აქედან იწყება „ვ“ (მეექვსე) რვეული.**

უსაკუთრესადრე[1] ვთქუა, ვითარცა სულიერსა და სიტყუად შემ-ძლებელსა.

და ესრეთ სანთლებითა და გალობითა [C199v] ჯეროვანითა[2], ღამისთევითა და წმიდითა ვედრებითა, ხვალისაგან, ვითარცა შეწირეს მსხუერპლი, ჟამსა მეხუთესა დაიდვა საღმრთოსა შინა[3] საფლავსა, რომელ არს ლარნაკი ძვლისაჲ[4], არა უჭირველად, არცა უშრომელად ზედადასხმისათჳს სიმრავლესა ერისასა, რაჲთამცა მიიღეს რაჲმე პატივოსანთა[5] მათ სახუეველთა მისთაგან, ანუ თუ წმიდათა [B16r] ნაწილთა. გარნა ყოველსავე ზედა დაიდვა, და დაიდგა[6] თჳსსა სართულსა, ადგილსა რომელსა ჩუეველ[7] იყო [A14v] სამგზის სანატრელი იგი წერად საღმრთოთა წერილთა და მსახურებად უფლისა, რამეთუ ესე აქუნდა მას, მსგავსად მოციქულისა[8], ჭირსა მასცა[9] შინა დევნულებისასა და სიბერესა[10] ჴელითსაქმრად თჳსა[11].

და ესრეთ შეეძინა მამაჲ მამათა, მღდელი – მღდელთმთავარ-თა, და პირველ ცხორებისაცა აღმსარებელი – აღმსარებელთა, მოწამეთა – ნებსითი იგი მოწამჱ[12], მოძღუართა – მოძღუარი, ქადაგთა – დიდი იგი ჭეშმარიტებისა საყჳრი. და შევსძინო

---

1 უსაკუთრესადრე] უსაკჳრველესადრე C, ἢ μᾶλλον οἰκειότερον (PG 99, col. 1848, A 8-9)

2 ჯეროანითა B, ჯეროვნითა C

3 საღმრთოსა შინა] - B; შინა] - C

4 ძვლისაჲ] ძელისაჲ C; ლარნაკი ძვლისაჲ] γλωσσοκόμῳ (PG 99, col. 1848, B 1). სარკოფაგი

5 პატიოსანთა C

6 დაიდგა] + იგი C

7 ჩუჱულ BC

8 მოციქოლისა A

9 მას C

10 სიბერსა A

11 თჳსად BC

12 მოწამე BC

ესეცა, მოღუაწჷ[1] – მოღუაწეთა, წმიდაჲ – სიწმიდისმოყუარეთა, უცხოთმოყუარჷ[2] – უცხოთმოყუარეთა, მდაბა[C200r] ლი – მდაბალთა, [A15r] რომელი ყოვლად ყოველთა ექმნა კეთილ ღმრთივშუენიერად, რაოდენ შესაძლებელ არს, რაჲთა ყოველნი, გინა თუ უმრავლესნი შეიძინნეს{3*} სამოციქულოჲთა სათნოებითა განმტკიცებულმან. და აწ მან, მსგავსად მოციქულისა, სრბაჲ [B16v] თჳსი აღასრულა{4*}, და იქცევის ცათა შინა, და ანგელოზთა ბანაკსა თანა დღესასწაულობს, **„ადგილსა საყოფელსა საკჳრველსა ჴმითა ზატიკობისაჲთა“** {5*}, და იშუებს უფლისა მიერ საუკუნეთა მათ შინა კეთილთა, და მიერ წყალობით მოგუხედავს და მჴურვალეთა ვედრებათა ჩუენ გლახაკთათჳს უფლისა მიმართ[6] შესწირავს.

ხოლო ჩუენ გლახაკთა სასოებითა[7] ნუგეშინის-ვიცეთ, და მადლ[A15v]ობით მოვითმინნეთ მწუხარებანი, და სანატრელსა მას ჴმასა ვღაღადებდეთ: **„უფალმან მოგუცა და[8] უფალმანცა მიგჴღო[9], ვითარცა უფალსა უნდა, ეგრეცა იქმნა“**{10*}. რამეთუ რაჲცა იქმნა, ნებითა ღმრთისაჲთა იქმნა, რომელი ყოველსავე უმჯობესად[11] განაგებს, ვითარცა იტყჳს საღმრთოჲ მოციქული, ვითარმედ: **„განზრახვასა მისსა ვინ წინა-აღუდგების[12]?“**{13*}

---

1 მოღუაწე BC

2 უცხოთმოყუარე BC

3 * შდრ. 1 კორ. 9,22.

4 * შდრ. 2 ტიმ. 4,7.

5 * შდრ. ფს. 41,5.

6 უფლისა მიმართ] - C

7 სასუებითა B, სათნოებითა C

8 და] - BC

9 მოგჴღო B

10 * იობ. 1,21.

11 უმჯობესსა A

12 წინა-აღუდგეს C

13 * რომ. 9,19.

ხოლო ესე, რომელ ბუნებითი ვნებაჲ შეგუემთხუევის, და ვითარცა ობოლნი ვგოდებთ, და ვითარცა ჭეშმარიტად ღმრთის-[C200v]მოყუარესა[1] და შვილთმოყუარესა მამასა მოვიჴსენებთ, ნუ ვინ გუაბრალებს უფროჲსთა, რამეთუ დღითი-დღე, ვითარცა მფრინველთა ვხედავთ [B17r] ძმათა [A16r] ჩუენთა: სხუასა სხუაგნით და სხუაგნით, რომელთამე ახლოჲთ და რომელთამე შორით, მამულისა ამის საფლავისა მიმართ მომავალთა, შესუარულთა მტუერითა, და მჭუნვარეთა[2] პირითა, უვარცხნელთა თმითა და აღვსებულთა ცრემლითა, მიმოტაცებულთა და სიღრმეთაგან გულისათა მტირალთა, ვიდრეღა და[3] მებრვე[4] ხილვისაგან იცნობების სახჱ[5] მათი ყოველთა მიერ, და სხუათა უმრავლესთა მამულთა ქველისსაქმეთაგან სულიერად და ჯორციელად შუებულთა, და ესე ყოველი შესწუავს გონებათა ჩუენთა[6] [7**].

[A16v] ხოლო თქუენ, ჰ, სანატრელნო, ნუუკუე და სწორი[8], გინა უმრავლესიცა მიზეზი სთქუათ მწუხარებისა თქუენისაჲ, ვითარცა დაშთომილთა ხილვისაგან ყოვლადნეტარისა[9] მის დაძინებასა, და ჰგოდებდეთ და სტიროდით. არამედ სმენილთა ამათ მიერ და მერმეთა მათთჳს სასოებათა[10] და ჴმისა მი[C201r] სთჳს, რომლითა ესავთ სმენასა, ნუგეშინისცემულ იქმნენით და

---

1 ღმრთისმოყუარეს C

2 მჭუნვარითა B

3 და] - C

4 ~ მებრვე და B

5 სახე BC

6 გონებასა ჩუენსა C

7 ** და სხუათა უმრავლესთა მამულთა ქველისსაქმეთაგან სულიერად და ჯორციელად შუებულთა, და ესე ყოველი შესწუავს გონებათა ჩუენთა] ἀλλὰ μὴν καὶ ἑτέρους πλείονας τῶν πατρικῶν ἀπολελαυκότων εὐεργεσιῶν κατ’ ἀμφότερα (PG 99, col. 1849, A 11-12).

8 სწორი] + და C

9 ყოვლადსანატრელისა C

10 სასოებათა] საშუჱბელთა B

განისუენეთ და შემდგომითი-შემდგომად ილოცეთ, [B17v] რაჲთა კეთილი სრბაჲ თქუენი თჳნიერ სულმოკლებისა დაიცვას [1**], და ჩუენისაცა სიგლახაკისათჳს მოუკლებელად ილოცევდით, რამეთუ ჩუენცა ვილოცავთ პატივოსნებისა[2] თქუენისათჳს, დაღაცათუ კადნიერებაჲ[3] არს[4]. [A17r]

ყოველსავე[5] კრებულსა თქუენსა[6] წმიდასა სხუათავე თანა ძმებურად მოვიკითხავთ თქუენ მიერ. ჩუენთანანი ყოველნი მოიკითხვენ სიწმიდესა[7] თქუენსა. და ერთობით ღირს-მყვენინ ჩუენ ლოცვითა წმიდისა მამისა ჩუენისაჲთა სასუფეველსა მისსა მიმთხუევად, რამეთუ მისი არს სუფევაჲ[8], ძალი და დიდებაჲ მამისა თანა სულით წმიდითურთ, ყოვლადვე[9] აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ[10]. [11**]

---

1 ** არამედ სმენილთა ამათ მიერ და მერმეთა მათთჳს სასოებათა და ჴმისა მისთჳს, რომლითა ესავთ სმენასა, ნუგეშინისცემულ იქმნენით და განისუენეთ და შემდგომითი-შემდგომად ილოცეთ, რაჲთა კეთილი სრბაჲ თქუენი თჳნიერ სულმოკლებისა დაიცვას] Ἀλλ’ οὖν διὰ τῶν ἀκουσθέντων, καὶ ἐλπιζομένων παρηγορήθητε καὶ ἀναψύξατε, καὶ πρὸς τὸ ἑξῆς ἔχεσθε τοῦ καλοῦ ὑμῶν δρόμου ἀνολιγώρως (PG 99, col. 1849, B 1-4).

2 პატიოსნებისა BC

3 კადნიერება B, უკადნიერება C

4 არს] - A

5 ყოველსა C

6 თქუენსა] - C

7 სიწმინდესა B, სიწმიდეს C

8 სუფევაჲ] + და B

9 ყოვლადვე] - C

10 **აქ A 500-ში ტექსტის დასასრულს წერია: „ქრისტე, შეიწყალე გიორგი ამისი გამომთარგმნელი. ამინ, იყავნ“, ხოლო A 1347-ში – „ქრისტე, შეიწყალე ფრიად ცოდვილი მიქაელ. ამინ“. აქვე A 1347-ში მთავრდება „დ“ (მეოთხე) რვეული, თუმცა „ე“ (მეხუთე) რვეულს აკლია პირველი ფურცელი, რის შემდეგაც იწყება „სწავლანი სულიერნი“.**

11 ** τὴν ἁγιωσύνην ἐμῶν (PG 99, col. 1849, B 9)] add. და ერთობით ღირს-მყვენინ ჩუენ ლოცვითა წმიდისა მამისა ჩუენისაჲთა

[A200v; B159r; C131r; D174r] წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა თეოდორე აღმსაარებელისა[1], სტუდიელთა[2] წინამძღურისა, სწავლანი თჳსთა მოწაფეთა მიმართ[3]

I აღვსებასა[4], რაჲთა მოღუაწებით აღვასრულებდეთ ყოველსავე[5] ცხორებასა[6] ჩუენსა

გუაკურთხენ, მამაო![7]

ძმანო და მამანო, ვინაჲთგან მად[A201r]ლითა ქრისტესითა ღირს-ვიქმნენით აღსრულებად წმიდასა აღვსებასა[8], კუალად ჩუენსავე საქმესა შეუდგეთ, რაჲთა ერთბამად ვიქმოდითცა[9] და ვიჯსენებდეთცა[10] ცხოველსმყოფელთა[11] ვნებათა მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესთა. და რამეთუ აღვსებაჲ[12] თანა-წარგუჯდა[13], ნუმცა თანა-წარგუჯდე[C131v]ბის ჩუენ ამათი ჯსენებაჲ, [D174v] არამედ მარადის წინაშე თუალთა[14] გუაქუნდინ

სასუფეველსა მისსა მიმთხუევად, რამეთუ მისი არს სუფევაჲ, ძალი და დიდებაჲ მამისა თანა სულით წმიდითურთ, ყოვლადვე აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

1 აღმსარებელისა CD

2 სტჳდიელთა B, სტოდიელთა D

3 მიმართ] + ქრისტე, წარგჳმართე A, ქრისტე, წარგუიმართე B

4 აღუსებასა B

5 ყოველსავე] ყოველსა D, - C

6 ცხოვრებასა A

7 გუაკურთხენ, მამაო!] - AC

8 აღუსებასა B, ~ აღვსებასა წმიდასა C

9 ვიქმოდით D

10 ვიჯსენებდეთ A

11 ცხოველსმყოფელთა] + მათ D

12 აღუსებაჲ B

13 თანა-წარგუჯდა] + და D

14 ~ თუალთა წინაშე D

მაცხოვარებისა[1] ჩუენისა ვნებანი: ჯუარცუმაჲ, დაფლვაჲ და აღ-
დგომაჲ, რაჲთა მათითა[2] ჯსენებითა წარუტყუენველ ვიყვნეთ[3]
ვნებათაგან. და უკუეთუ სამე[4] წარვიტყუენნეთ უკრძალველობითა,
მსწრაფლ [B159v] მივხედნეთ ჯუარცუმულსა იესუს, **„უფალსა
დიდებისასა“** {5*} [A201v] და[6] მეესეულად აღმოგჳბრწყინდეს
კურნებაჲ სულთა ჩუენთაჲ. რამეთუ ესრეთვე ისრაჱლი, პირველ[7]
ოდეს-იგი იკბინებოდა გუელთაგან, მიხედვითა გუელსა მას
რვალისასა განიკურნებოდა{8*}. და არა უმეცარ ხართ, რამეთუ
ბოროტნი გულისსიტყუანი სახედ გუელთა უკბენენ სულთა
და აღავსებენ გესლითა, რომელი რაჟამს იქმნას, ყოვლითა
მოსწრაფებითა[9] ჯერ-არს აღმოფხურაჲ, რაჲთა არა უკურ[D175r]
ნებელი წყლულებაჲ შექმნას დაყოვნებამან.

განიცადეთ არჱ[10], რამეთუ აღმაორძინებელ[11] არს სისხლისაჲ[12]
და **„ჴორც**[C132r]**თა გული უთქუამს სულისათჳს და სულსა
– ჴორცთათჳს“** {13*}, და ერთისა შეძინებაჲ, მეორისა დაკლება
იქმნების. ამიერითგან [A202r] ვეკრძალნეთ, რაჲთა ყოველივე
საქმჱ[14] ჩუენი სისწორით იყოს: საზრდელი, სასუმელი, ძილი და

---

1 მაცხოვრისა CD

2 ამათითა D

3 ვიყვნეთ] ვიქმნნეთ D

4 სამე] სადა C

5 * შდრ. ფს. 23,7-10.

6 და] - C

7 ~ პირველ ისრაჱლი D

8 * იხ. რიცხ. 21,9; ინ. 3,14-15.

9 მოსწრაფებითა] - C

10 არე BCD

11 აღმაორძინებელი CD

12 სისხლისა B

13 * გალ. 5,17.

14 საქმე BCD

სხუაჲ, რაოდენი არს ესევითარი, რაჲთა არა მიიმძლავროს[1] სული, არამედ აქუნდეს ძლევაჲ ჯორცთა ზედა.

[B160r] რომელი რბინ სარბიელსა შინა, არა თუ რაჟამს ერთი სტადიონი გინა ორი ირბინოს, მაშინ იქადაგების მძლედ, არამედ რაჟამს ყოველნი სარბიელნი წარასრულნეს. და ჩუენცა უკუე, არათუ რაჟამს[2] მარხვანი გინა ზატიკნი[3**] აღვასრულნეთ, **[D175v]** არამედ არა თუ ყოველივე ცხორებაჲ[4] ჩუენი მოღუაწებით წარვლოთ, ვერსადა განვერნეთ მახეთა ეშმაკისათა[5] და ვერცა ძლევისა გჳრგჳნი დავიდგათ.

აწ უკუე, ჰ ძმანო, კუალადცა ვიღუაწოთ ღუაწლი კეთილი, კუალადცა დავშურეთ[6] **[A202v]** სათნოებისათჳს, კუალადცა აღვიკრძალნეთ მარხვითა, კუალადცა დავიმონნეთ ჯორცნი, კუალადცა **[C132v]** დავსცნეთ[7] ვნებანი, **„ყოვლადვე სიკუდილი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი ჯორცთა შინა ჩუენთა ვიტჳრთოთ“ {8*}, „ყოვლადვე საშჯელი სიკუდილისა თავთა შორის[9] თჳსთა[10] გუაქუნდინ“ {11*}**, რამეთუ, აჰა ესერა, და ჩუენცა უეჭუელად[12] მოვკუდეთ, ვითარცა მამანი და ძმანი ჩუენნი, და მივიცვალნეთ **[B160v]** ამიერ, და წარვიდეთ ადგილთა უცხოთა, და ვიხილნეთ

---

1 მიმიმძლავროს D

2 რაჟამს] - C

3 ** მარხვანი გინა ზატიკნი] τεσσαρακοστὴν ἢ τὴν πεντηκοστὴν (Gr. 2,23).

4 ცხოვრებაჲ A

5 ეშმკითა D

6 დავშუურეთ A

7 ჯორცნი, კუალადცა დავსცნეთ] - D

8 * შდრ. 2 კორ. 4,10.

9 შორის] შინა C

10 თჳსთა] ჩუენთა CD

11 * შდრ. 2 კორ. 1,9.

12 ~ უეჭუელად და ჩუენცა C

ხილვანი, რომელნი არა სადა გუეხილვ[D176r]ნენ. და[1] საშინელ არიან თქუმულნი ესე და განცჳბრებითა აღსავსე, რომელსა[2] ოდენ გონებაჲ აქუნდეს. ამისთჳსცა მარადის შეშინებულ და შეძრწუნებულ ვიყვნეთ და ვსცვიდეთ საცნობელთა[3] ჩუენთა[4] [A203r] სმენისაგან ამაოჲსა, და ხილვისაგან ვნებულისა, და ყნოსისაგან დამჴსნელისა, და ყოვლისაგან საქმისა ბოროტისა, და ყოვლად[5] ყოვლითურთ სრულებით და უნაკლულოდ თავნი თჳსნი წმიდად შევწირნეთ ღმრთისა, რაჲთა სათნო-ვეყვნეთ მას და მკჳდრ ვიქმნნეთ [C133r] საუკუნეთა მათ კეთილთა ქრისტეს[6] იესუჲს[7] მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და ძლიერებაჲ თანა მამით და წმიდით სულითურთ[8], აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ[9].

II შემდგომად აღვსებისა და ჴსენებასა[10] წმიდისა დომენტისსა[11], ვითარმედ ჯ[D176v]ერ-არს ჩუენდა სიკუდილი ნებსითითა სიკუდილითა და წესიერებისათჳს

გუაკურთხენ, მამაო![12]

[B161r] ძმანო და მამანო, აღვსებაჲ გარდაჴდა და დღესასწაული დასრულდა, არამედ არა [A203v] სიხარულიცა და დღესასწაულობაჲ, რამეთუ არა წარსრულ არიან ესენი, უკუეთუ

1 და] - D

2 რომელთა D

3 საცნობელთა] + სულისა C

4 ჩუენისათა C

5 ყოვლადვე CD

6 ქრისტე BC

7 იესუჲს] - A

8 სულით წმიდითურთ CD

9 უკუნისამდე. ამინ] გაბრიელს შეუნდვენ ღმერთმან C

10 ჴსენებაჲ B, ჴსენებისა C

11 დომენტისა BC

12 მამაო] უფალო C; გუაკურთხენ, მამაო!] - A

ოდენ გუნებავს, რამეთუ ჯერ-არს ჩუენდა მარადის სიხარული და დღესასწაულობაჲ სულიერი, ვითარცა თქუმულ არს: **„გიხარ ოდენ მარადის უფლისა მიერ და კუალად გეტყჳ: გიხარ ოდენ“**{1*}. ხოლო ვითარმე იქმნას ესე? უკუეთუ განახლებულად გუაქუნდეს მარადის ჴსენებაჲ ვნებათა მათ მაცხოვრისა ჩუენისა იესუ[2] ქრისტესთა, ვითარმედ: **„უფალი დიდებისაჲ ჩუენთჳს ჯუარს-ეცუა“**{3*}; და ვითარმედ დაეფლა, და ვითარმედ მესამესა დღესა აღდგა, და თანა-აღმადგინნა და თავისა [C133r] თჳსისა თანა ცხოველ-მყჳნა ჩუენ, **„რაჲთა ცხოველნი არღარა თავთა თჳსთათჳს ცხოველ ვიყჳნეთ, [A204r] არამედ ჩუენთჳს მომკუდარისა[4] და აღდგომილისა“**{5*}, რაჲთა საკადრებელ იყოს ჩუენთჳსცა სიტყუად მოციქულისა [B161v] თანა, ვითარმედ: **„ცხოვე[D177r]ლ არღარა მე ვარ, არამედ[6] ცხოველ არს ქრისტჱ[7] ჩემ შორის, ხოლო რომელ-ესე ცხოველ ვართ[8], სარწმუნოებითა ცხოველ ვართ[9] ძისა ღმრთისა თანა[10], რომელმან-იგი შემიყუარა მე და მისცა თავი თჳსი ჩემთჳს“**{11*}, ესე არს აღსასრული საიდუმლოჲსა[12], რაჲთა მკუდარ[13] ვიყჳნეთ სოფლისა და ცხოველ ღმრთისა, და

---

1 * ფილ. 4,4.

2 იესუ] - AB

3 * შდრ. 1 კორ. 2,8.

4 მომკუდრისა CD

5 * 2 კორ. 5,15.

6 ცხოველ არღარა მე ვარ, არამედ] - D

7 ქრისტე BCD

8 ვარ BC

9 ვარ BC

10 ღმრთისა თანა] ღმრთისაჲთა B; ცხოველ ვართ ძისა ღმრთისა თანა] ძისა ღმრთისა ცხოველ ვარ D

11 * გალ. 2,20.

12 საიდუმლოჲსაჲ BC, საიდუმლოსაჲ D

13 მკუდრად C

ამისთჳს თანა-გუაც შემდგომად აღვსებისაცა[1] განფრთხობაჲ და მღჳძარებაჲ, ლოცვაჲ და სინანული, ტირილი და განათლებაჲ, და **„მარადის სიკუდილისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესისა[2] ჴორცთა შინა ჩუენთა ტჳრთვაჲ“** {3*}, და მარადღე [A204v] სიკუდილი ნებსითი[4] და მარადის განსლვაჲ ჴორცთაგან და მისლვაჲ უფლისა, განშორ[D177v]ებითა ჴორციელთა ზრუნვათაჲთა.

[C134r] ნუ იტყჳ, ვითარმედ: აწ არღარა მარხვანი არიან, რამეთუ ფრთხილისათჳს მარადის მარხვანი არიან[5]. ნუ იტყჳ, ვითარმედ: მრავალი ჟამი დავყაჳ მარხვასა[6] და მოღუაწებასა შინა[7] [8**] [B162r] და განსუენებაჲ მიჴმს[9], რამეთუ არა არს განსუენებაჲ აქა. ნუ იტყჳ, დავბერდი სათნოებასა[10] შინა და არა მეშინის, რამეთუ მარადის შიში არს ძლევისაჲ, რამეთუ მრავალნი დაბერებულნი სათნოებასა შინა ერთსა წამსა თუალისასა მთხრებლსა შინა ცოდვისასა შთასთხინა ეშმაკმან. **„ამისთჳს, რომელი ჰგონებდეს დგომასა, ეკრძალენ,** [A205r] **ნუუკუე დაეცეს“** {11*}; და რომელი ჰგონებდეს დაცვასა, ეკრძალენ, ნუუკუე არა დაიცვას.

გუაქუნდინ უკუე საცოჲ და კრძალვაჲ და საზო[D178r]მი ძილსა შინა და ჭამასა და სუმასა და სხუასა ყოველსავე, რაჲცა იყოს, რაჲთა შეიწრდენ და დაყუდნენ ჴორცნი, რაჲთა არა მსგავსად კიცჳსა შუებულისა უკბინონ აღჳრთა და შთამჭრან ჩუენ პარეხსა ცოდვისასა.

---

1 აღსებისაცა B

2 ქრისტესა D

3 * შდრ. 2 კორ. 4,10.

4 ნეფსით C

5 რამეთუ ფრთხილისათჳს მარადის მარხვანი არიან] - D

6 მარხვასა] + შინა D

7 შინა] - D

8 ** მარხვასა და მოღუაწებასა შინა] ἐν τῇ ἀσκήσει (Gr. 5,22).

9 მიჴმსო D

10 სათნოებათა D

11 * 1 კორ. 10,12.

[C134v] გამცენ[1] უკუე პირველსა მას სწავლასა შინა, ვითარმედ: ნუ იქცევით მა**[B162v]**რტოებით ადგილთა შინა დაფარულთა და ვიეთნიმე[2] კუალად მათვე შინა იქცევით. **„რაჲ გნებავს? კუერთხითა მოვიდე თქუენდა, ანუ სიყუარულითა, სულითა მშჯდობისაჲთა[3]?“{4*}** ანუ შფოთითა? არა გეკდიმებისა[5**], რამეთუ გამცენ ყოვლად **[A205v]** და არა ისმენთ[6]? და უფროჲსღა თქუენ, რომელთა-ეგე იხილეთ შერისხვაჲ ძმისა თქუენისაჲ ამის პირისათჳს და არა განეკრძალენით. აწ უკუე დაიცვენით თავნი თქუენნი, რაჲთა არა ამითვე სახითა შთაჰვარდეთ ვინმე **[D178v]** კუალადცა ურჩებასა, რამეთუ არა ცუდად და ამაოდ იქმნებიან სწავლანი. და **„რამეთუ არა არს ღმერთი შფოთისაჲ, არამედ მშჯდობისაჲ, ვითარცა ყოველთა შინა ეკლესიათა წმიდათასა“{7*}**, ამისთჳსცა **„ყოველივე შუენიერად და წესიერად იქმნებოდენ“{8*}**, **„რაჲთა ყოველსა შინა იდიდებოდის ღმერთი ჩუენ მიერ“{9*}**.

და ძმანი ეგე რომელნი აქაჲთ გინა იქით **[C135r]** მიმოხუალთ[10], ეკრძალენით თავთა თჳსთა, სადა და ვითარ **[B163r]** დასხდებოდით, გინა იქცეოდით[11]. ნუ ვითარცა განხევებულნი, **[A206r]** არამედ ვითარცა შეკრულნი სულითა; ნუ ვითარცა უხილავნი, არამედ ვითარცა ხულილნი უფლისა მიერ, რომელი-იგი ხედავს ყოველსავე ძრვასა და საქმესა[12] თქუენსა. ნუ უბანთა

---

1 გამცენ] + თქუენ C

2 ვიეთმე A

3 მშუიდობისაჲთა B; სულითა მშჯდობისაჲთა] - D

4 * 1 კორ. 4,21.

5 ** τε πραότητος (Gr. 6,35)] add. ანუ შფოთითა? არა გეკდიმებისა

6 ისმინეთ D

7 * 1 კორ. 14,33.

8 * 1 კორ. 14,40.

9 * შდრ. 1 პეტრე 4,11.

10 მოხუალთ AB

11 დასხდებოდეთ, გინა იქცეოდეთ D

12 საქმესა] ქცევასა C

და ფოლოცთა[1] შინა ჰრორინებთ, არამედ დაყუდნებოდეთ[2] სასტუმროთა შინა თქუენთა, და ლოცვასა და ფსალმუნებასა [D179r] და ჯელთსაქმარსა თქუენსა განკრძალულ იყვენით. ნუ იუნჯებთ, ვითარცა ვეცხლისმოყუარენი თავთა თჳსთათჳს[3], არამედ კმა-ეყოფოდეთ[4] მუნ მყოფთაცა, **„რამეთუ თავადმან თქუა, ვითარმედ[5]: «არა დაგიტეო შენ, არცა დაგაგდო შენ»** {6*}, **ვინაცა საკადრებელ არს თქუმად ჩუენდა: „უფალი არს მწე ჩემდა, არა შემეშინოს მე[7], რაჲ მიყოს მე[8] კაცმან?“** {9*}

„მოიჳსენეთ ძმაჲ თქუენი და ხე[A206v]**დევდით გამოსლვასა ცხორებისა მისისასა და ჰბაძევდით სარწმუნოებასა მისსა“** {10*}, რომელ არს ნეტარი დომენტიანე, [C135v] რომლი[B163v]სათჳს ვგალობდით და რომლისა საჳსენებელი წმიდათა თანა. თუ ვითარი ვაჭრობაჲ მოივაჭრა და რაბამი მოქალაქობაჲ აღასრულა, რამეთუ ჭირითა და ღუაწლითა მცირედითა დაიმკჳდრა შუებაჲ საუკუნოჲ კაცმან უნდომან ჯორციელად, არამედ ვინაჲთ[D179v] განსათნოებაჲ აღირჩია და შეიტკბო[11**] და ღმერთი შეიყუარა[12], აღამაღლა იგი ღმერთმან და მსგავსად წერილისა მის, ვითარმედ[13]: **„მადიდებელნი ჩემნი ვადიდნე და შეურაცხისმყოფელნი ჩემნი**

---

1 ფოლორცთა D

2 დაყუდდებოდეთ B, დაყუდნებოდეთ CD

3 თქუენთათჳს D

4 კმა-იყოფოდეთ D

5 ვითარმედ] - D

6 * იესო 1,5.

7 მე] - BD

8 * ფს. 117,6.

9 * ებრ. 13,5-6.

10 * შდრ. ებრ. 13,7.

11 ** აღირჩია და შეიტკბო] εἵλετο (Gr. 7,59)

12 შეიყუარა] + და D

13 ვითარმედ] + მე D

შეურაცხ-იქმნენ“{1*}. სიხარული უკუე ჯერ-არს ესევითართათჳს, ძმანო, და მხიარუ[A207r]ლებაჲ, არამედ არარაჲ არს სარგებელი, უკუეთუ არა ჩუენცა ვაჩუენოთ ახოვნებაჲ და თავით თჳსით მოვიგნეთ სათნოებანი. ვაჩუენოთ უკუე ჩუენცა მსგავსად ძალისა ცნობაჲ სულიერი და[2] სიყუარული ღმრთისაჲ, რაჲთა გუაქუნდეს ნაწილი წმიდათა თანა [3**] ქრისტეს[4] იესუჲს მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სი[C136r]მტკიცჱ[5] თანა მამით და სულით წმიდითურთ[6], აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ[7].

III [B164r] შემდგომად აღვსებისა, ვითარმედ ჯერ-არს ჩუენდა სლვაჲ ღირსად მონაზონებისა აღთქუმისა და დევნულებისა, რომლითა დევნულ ვართ უფლისათჳს[8]

გუაკურთხენ, მამაო![9]

ძმანო და მამანო, მხიარულ ვართ და გჳხარის ჩუენ გლახაკთა ამათ, რამეთუ გხედავთ თქუენ [A207v] წლითი-წლად

---

1 * 1 მეფ. 2,30.

2 და] - A

3 ** არამედ არარაჲ არს სარგებელი, უკუეთუ არა ჩუენცა ვაჩუენოთ ახოვნებაჲ და თავით თჳსით მოვიგნეთ სათნოებანი. ვაჩუენოთ უკუე ჩუენცა მსგავსად ძალისა ცნობაჲ სულიერი და სიყუარული ღმრთისაჲ, რაჲთა გუაქუნდეს ნაწილი წმიდათა თანა] ἀλλ᾽ οὐδὲν ὄφελος ἐὰν μὴ καὶ τὰ παρ᾽ ἑαυτῶν συνεισενέγκωμεν· συνεισφέροντες δὲ κατὰ τὸ δύνατον ἕξομεν καὶ ἡμεῖς μερίδα μετὰ τῶν ἁγίων (Gr. 7,62-64).

4 ქრისტე BC

5 სიმტკიცე BCD

6 თანა მამით და სულით წმიდითურთ] - B

7 უკუნისამდე. ამინ] გაბრიელს შეუნდვენ ღმერთმან C

8 ეს ქადაგება H 368-ში (D ლიტერი) არ გვხვდება.

9 გუაკურთხენ, მამაო!] - C

მოწევნულთა ჩუენდა და[1] ვითარცა მეორესა ზატიკსა ვზატიკობთ მოსლვასა თქუენსა, არამედ ვინაჲთგან თქუენ ჯორციელსა მოგუართუამთ ჩუენ, ვითარცა რაჲ ვის ჯელ-გეწიფების[2] კაცად-კაცადსა[3], მოვედით[4] უკუე და ჩუენცა, მსგავსად ძალისა ჩუენისა სულიერი შევწიროთ თქუენდა.

გლოცავ თქუენ, ძმანო და გევედრები სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რაჲთა ღირსად მონაზონებისა თქუენისა აღთქუმისა ხჳდოდით და აღსარებისა[5], რომელი აღიარეთ და დევნულებისა, რომლითა [B164v] იდევნენით უფლისათჳს, რაჲთა **„მოქალაქობაჲ კეთილი გა[C136r]ქუნდეს სოფელსა შინა, რაჲთა რომლითა-იგი ძჳრსა გჳზრახვენ ჩუენ, ვითარცა ბოროტის-მოქმედთა, [A208r] სირცხჳლეულ იქმნენ და კდემულ, ჰხედ-ვიდენ[6] რაჲ ქრისტეს მიერ უბიწოსა სლვასა თქუენსა“**[7*].

რამეთუ არიან ვიეთნიმე[8], რომელნი ძმაცუვენ ბიწიანყოფად აღსარებასა ამას ქრისტესსა, ვითარმცა მიზეზი იყო განდგომილებისაჲ[9] და ცოდვისაჲ[10**], რომლისა თქუმადცა ვძრწი. და იტყჳან, ვითარმედ: უმჯობეს არს ზიარებაჲ წვალებისაჲ ქრისტესთჳს დევნულებისა, რომელთა საშჯელი ცხად არს და განზრახვაჲ მათი მსგავს არს ბალამისსა[11], რომელმან დაუგო[12] საცთური ძეთა ის-

---

1 და] - B

2 ჯელ-გუწწიფების BC

3 კაცად-კაცადისა B

4 მოედით A

5 აღსაარებისა BC

6 ხედვიდენ BC

7 * შდრ. 1 პეტრე 2,12; 3,16.

8 ვინმე BC

9 განდგომილებისა BC

10 ** განდგომილებისაჲ და ცოდვისაჲ] πορνείας (Gr. 8,13).

11 ბალამისა B

12 დაუგუ A

რაჱლისათა{1*}. რამეთუ ორნი არიან სიძვანი: ერთი ჯორცთაჲ და მეორე[2] სარწმუნოებისაჲ. აწ უკუე რომელი შესცთეს მწვალებელთა ზიარებითა, იგი არს მემრუშჱ[3] სარწმუნოებითა და [A208v] მის თანა [B165r] იმრუშებს ძალითაცა და ჯორცითაცა. აწ უკუე რომელნი-იგი[4] ზრახვენ ზრახვასა მას ბოროტსა, ეგევითარნი-იგი [C137r] მაცთურნი არიან და გონებითა მაღალნი[5] [6**], რომელნი მოინადირებენ დაუმტკიცებელთა სულითა.

ხოლო თქუენ, ძმანო, ჩუენთჳსცა და წინააღმდგომთა მათთჳსცა ჭეშმარიტებისათა უმეტესად განაკრძალეთ ცხორებაჲ თქუენი, კეთილად ქცევითა იქცევოდეთ[7] და კეთილად ქცევითა განიკანონებოდეთ, ვითარცა იტყჳს: **„კაცად-კაცადსა თქუენსა ფსალმუნებაჲ აქუს, მოძღურებაჲ აქუს, სიტყუაჲ აქუს, ყოველივემცა აღსაშენებელად იქმნების“**{8*}. უკუეთუ განსლვაჲ ჯერ-იყოს, განვიდეთ მოშიშებით, რაჲთა ბრწყინვიდეს პირი ჩუენი მადლითა სარგებელად მხილველთა. [A209r] უკუეთუ სადმე[9] შეგუემთხჳოს უბნობაჲ დედათაჲ, ვეზრახნეთ მრავლითა კრძალულებითა, დავიცვნეთ თუალნი ჩუენნი მიხედვისაგან, რაჲთა არა [B165v] შევიღოთ გულად საწერტელი და ისარი გულისთქუმისაჲ, და რაჲთა[10] მოკლედ ვთქუა, **„ყოველსავე სადიდებელად ღმრთისა ვიქმოდით“** {11*}, **„რომელმან-იგი**

---

1 * იხ. რიცხ. 25,1-2; 31,16; გამოცხ. 2,14.

2 მეორეჱ A

3 მემრუშე BC

4 რომელნი A

5 გონებითა მაღალნი] გონება ცთომილნი BC

6 ** ეგევითარნი-იგი მაცთურნი არიან და გონებითა მაღალნი] φρεναπάται (Gr. 8,21).

7 იქცეოდეთ C

8 * 1 კორ. 14,26.

9 სამე BC

10 რაჲთა] - C

11 * 1 კორ. 10,31.

შემიყუარნა ჩუენ და მის[C137v]ცა თავი თჳსი ჩუენთჳს“ {1*}, რომლისა სიყუარული განაკრთობს ტრფიალსა[2] და არა უტევებს, რაჲთა თავისა თჳსისა იყოს, არამედ ტრფიალისა. და ესე ცხად არს ჯორციელისა ტრფიალისაგან, რამეთუ რაჟამს ეტრფიალოს ვინმე დედაკაცსა, ყოვლითურთ მისცემს თავსა თჳსსა ტრფიალსა მას, და მისა მიმართ იყნოსს და მას ჰხე[A209v]დავს[3] და იგი ეუცნების[4]. დაღაცათუ მზეჲ[5] ვინ უჩუენოს[6], არა უნებნ[7] მიხედვად მისა[8], არამედ ტრფიალი იგი ჰსწადინ[9]. დაღაცათუ ტაბლაჲ ვინ დაუდგას, არა ჰნებავნ მიღებაჲ საზრდელისაჲ, არამედ სასურველისა[10] მის. რაჲმე უკუე არს უშუენიერეს მეუფისა ქრისტესსა[11]? გინა რაჲმე არს უტკბილეს სანატრელსა მას [B166r] სიყუარულსა მისსა? ანუ არა იგი არსა **„შუენიერ სიკეთითა უფროჲს ძეთა კაცთაჲსა?“** {12*} ანუ არა იგი არსა **„სიტკბოება და ყოვლითურთ საწადელ“** {13*}, მსგავსად წერილისა? და ამას გუაუწყებენ წმიდანი და იტყჳან მჳურვალებასა მას სიყუარული[C138r]სა მისისასა, რამეთუ რომელიმე გალობს, ვითარმედ: **„ვითარცა ჰსურინ[14] ირემსა წყაროთა** [A210r]

---

1 * ეფ. 5,2.

2 ტრფიალთა C

3 ხედავს B

4 ეოცნების B

5 მზე B

6 და მას ჰხედავს და იგი ეუცნების. დაღაცათუ მზეჲ ვინ უჩუენოს] - C

7 უნებენ A, უნებს B

8 მისსა C

9 სწადინ BC

10 სასურველისაჲ BC

11 ქრისტესა B

12 * ფს. 44,3.

14 * ქება 5,16.

14 სურინ BC

მიმართ წყალთაჲსა[1], ეგრეთ ჰსურინ[2] სულსა ჩემსა შენდამი ღმერთო“{3*}; და სხუაჲ იტყჳს, ვითარმედ: **„ტრფიალი ჩემი ქრისტჱ[4] ჯუარცუმულ არს“{5*}**; და სხუაჲ კუალად, ვითარმედ: **„უკუეთუ სიყუარული ქრისტესი განფენილ არს თქუენ შორის“{6*}**, განღა-იკითხეთ ესე, რამეთუ **„ერთი ყოველთათჳს მოკუდა, ნუუკუე ყოველნი მოსწყდენა[7]? და ყოველთათჳს მოკუდა[8], რაჲთა ცხოველნი არღარა თავთა თჳსთათჳს ცხოველ იყვნენ[9], არამედ მათთჳს მომკუდრისა და აღდგომილისა“{10*}**.

ესევითარითა სიყუარულითა **„შეიყუარა ღმერთმან სოფელი“{11*}**, და ესრეთ შეყუარებულ იქმნა წმიდათა მიერ მიუწთომელად[12] და უზომოდ. [B166v] ხოლო ჩუენ ვინაჲთგან გრილად გჳყუარს იგი[13], ამისთჳს წარვიტყუენვით ბოროტთა გულისსიტყუათა მიერ და [A210v] ჯორციელთა გულისთქუმათა, რამეთუ შევიტკბობთ სალმობასა სიმრთელისა წილ, და სიმწარესა სიტკბოებისა წილ, და შფოთსა მშჳდობისა წილ. არამედ <u>გევედრები, ძმანო, განვიფრთხოთ</u>[14] [C138v] მარადის და

1 წყალთასა B

2 სურის B, სურიან C

3 * ფს. 41,1.

4 ქრისტე BC

5 * წმ. ეგნატი 1988: 622 (12,VII).

6 * შდრ. რომ. 5,5.

7 მოსწყდენა B

8 ნუუკუე ყოველნი მოჰსწყდენა? და ყოველთათჳს მოკუდა] - C

9 იყუნენ B

10 * 2 კორ. 5,14-15.

11 * ინ. 3,16.

12 მიუწდომელად BC

13 გრილად გჳყუარს იგი] არა გუაქუს მჳურვალებაჲ სიყუარულისა B, χλιαρῶς ἀγαπῶμεν αὐτὸν (Gr. 11,54)

14 განვიფრთხოთ, გევედრები, ძმანო C

განვიწმიდოთ[1] სული ჩუენი ესევითართა ამათ[2] წარმწყმედელთა გულისთქუმათაგან, რაჲთა მოვიგოთ ქრისტჱ[3] თანამკჳდრად. რამეთუ სადაცა იყოს სიწმიდჱ[4], მუნცა არს ქრისტჱ[5] და ესე არს ნეტარი იგი და საწადელი ცხორებაჲ[6], რაჲთა ესრეთ მოქალაქობითა დავიმკჳდროთ ჩუენ სასუფეველი ცათაჲ ქრისტეს[7] იესუჲს მიერ უფლისა ჩუენისა[8], რომლისაჲ[9] არს დიდებაჲ და სიმტკიცჱ[10] თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ[11].

IV [A211r] შემდგომად წმიდისა აღვსებისა[12], რაჲთა ვეკრძალნეთ თავთა თჳსთა [D180r] და ვევლტოდით[13] მავნებელთა ადგილთა და სახეთა ცოდვისათა

გუაკურთხენ, მამაო![14]

[B167r] ძმანო და მამანო, მომიწოდს ჩუენ ჟამი ესე შემდგომად დღესასწაულისა კუალად მოსლვად[15] ზრახვად თქუ-

1 განვიწმინდოთ B

2 მათ C

3 ქრისტე BC

4 სიწმინდე BC

5 ქრისტე BC

6 ცხოვრებაჲ A

7 ქრისტე BC

8 ჩუენისაჲ B

9 რომლისა B

10 სიმტკიცე BC

11 ამინ] + გაბრიელს შეუნდვენ ღმერთმან C

12 აღჳსებისა B

13 ვევლტოდეთ D

14 მამაო] უფალო C; გუაკურთხენ, მამაო!] - A

15 მოსლვად] + და D

ენდა და ჩუეულებისაებრ მიცემად სწავლისა, ვინაცა მოვე-
დით[1] გულსმოდგინედ, რამეთუ მებრვე ამისთჳს დადგინებულ
ვართ და ვაჲ არს ჩუენდა, არა თუ გე[C139r]ტყოდით, რაოდენი
შეჰგავს. რაჲმე უკუე[2] ვთქუათ აწინდელსა ამას ჟამსა? ვითარმედ[3]
თითოეულმან[4] თქუენმან, ვითარცა რაჲ[5] ვაჭარმან გონიერმან
შეიკრიბა თავისა თჳსისა სიმდიდრჱ[6] სულიერი[7] დღეთა ამათ
შინა წმიდათა მარხვათასა და წმიდად აღვსებად, ვითარცა
ნავთსა[A211v]ყუდელად შემოვიდა მრავლითა და პატივოსნითა[8]
ტჳრთითა სათნოებათაჲთა[9] აღგებული, რომელ არს მარხვაჲ,
[D180v] მღჳძარებაჲ, ლოცვაჲ, საქმისმოყუარებაჲ[10] და რაოდენი
არს ესევითარი სიწმიდისა მოსწრაფებაჲ. ამიერითგან ზრუნვაჲ
არა მცირედი თანა-გუაც დაცვად ესევითარისა ამის სიმდიდრისა,
[B167v] რამეთუ არა თუ ვითარცა ხილულისა ნავთსაყუდლისათჳს[11]
და ეგრეთვე სულიერისათჳს გულისჴმა-იყოფების[12], რამეთუ მუნ
ვითარცა ვინ შევიდეს, მიერითგან უზრუნველ არნ და უურავ
ღელვათათჳს და განსაცდელთა ზღჳსათა, ხოლო აქა წინააღმდგომი
იქმნების, [C139v] რამეთუ განსუენებითა ჴორცთაჲთა უმეტეს
განძჳნდებიან ვნებანი [A212r] და იწყებენ კუეთებად, ვითარცა
ნიავქარნი სასტიკნი, სულნი უკეთურებისანი: სული სიძვისაჲ,
სული ნაყროვნებისაჲ, სული ვეცხლისმოყუარებისაჲ, სული

---

1 მოვედ C, მოდით D

2 უკუეთუ D

3 ვითარმედ] რამეთუ D

4 თუთჳჱულმან B

5 რაჲ] - D

6 სიმდიდრე BCD

7 სულიერი] - C

8 პატიოსნითა BCD

9 ტჳრთითა სათნოებათაჲთა] სათნოებითა ტჳრთითა D

10 საქმისა მოყუარებაჲ D

11 ნავთსაყუდელისათჳს D

12 ჴმა-იყოფების C

მოწყინებისაჲ, სული მწუხარებისაჲ, სული [D181r] ამპარტავანებისაჲ, და შიშ[1] არს, ნუუკუე ნავთსაყუდელსა შინა საწყალობელად დავინთქნეთ.

მიხედნა ოდესმე განუკრძალველად წმიდამან დავით ცოლსა ურიაჲსსა[2] და რაჲ-იგი შეემთხჳა, უწყიან, რომელნი იკითხვენ{3*}. **„ჭამა იაკობ და[4] განძღა და განწიხნა საყუარელი იგი თჳსი“** {5*}; შეეხო ვინმე უნებლიაჲთ[6] და აღეგზნა [B168r] გულისთქუმითა და გამოშვა უშჯულოებაჲ[7]. იხილე, რომელსა-ეგე გესმის და ევლტოდე მავნებელთა ადგილთა და სახეთა ცოდვისათა, [A212v] განკანონე თავი შენი, და თუალნი, და სასმენელნი, და[8] ყნოსაჲ, და გემოჲსხილვაჲ, და[9] შეხებაჲ, ჭამაჲ და სუმაჲ [C140r] და ძილი, რაჲთა დაუნთქმელად ეგო ღელვისაგან[10] ვნებათაჲსა. და ესეცა საცნაურ იყავნ, რამეთუ რომელი ხილულსა ამას ზღუასა ვიდოდის, უნებლიაჲთ[11] მოიწევიან მის ზედა ნიავქარნი და[12] ღელვ[D181v]ანი, ხოლო რომელი უხილავსა ამას[13] ზღუასა ვიდოდის, თჳთ არს უფალ ღელვათაცა და მყუდროებისაცა. რამეთუ რომელმან[14] უჯერონი გულისსიტყუანი ახოვნებით წარიოტნეს, აღივსოს იგი

---

1 შიში D

2 ურიაჲსასა D

3 * იხ. II მეფ. 11.

4 და] - C

5 * რჯლ. 32,15.

6 უნებითაჲთ A, უნებლიეთ C, უნებელიაჲთ D

7 უსჯულოებაჲ CD

8 და] - D

9 და] - D

10 ღალვათაგან CD

11 უნებლიათ AD

12 ნიავქარნი და] - D

13 მას D

14 რომელმან] - AB

მყუდროებითა და თანამოგზაურად თჳსად[1] მოიგოს[2] სული წმიდაჲ, ვითარცა წერილ არს წმიდისა არსენისთჳს. ხოლო რომლისა საცნობელნი დაჳსნილ იყვნენ[3] და მსგავსად ნიავქართა[4] შეიკრებდეს უჯეროთა გულ[B168v]ისთქუმათა, [A213r] ეგევითარი-იგი[5] თავით თჳსით აღსძრავს ღელვათა ბოროტთა. რომელმან არა თუ ადრე დააყუდნეს ღელვანი იგი გულისსიტყუათანი[6], არამედ[7] მოიწიოს მის ზედა აღმოთქუმაჲ[8] საწყალობელისა მის ჴმისაჲ: [C140v] **„მოვედ მე სიღრმესა გულსა ზღჳსასა და მოქცევამან[9] დამნთქა მე“{10*}.**

აწ უკუე, იყავნ საცოჲ გულისსიტყუათა ზედა მარადის და[11] ნუმცა მიიზიდვის უმჯობესი უდარესისაგან, არამედ უფლებსმცა სული და მიიყვანებს უმჯობესისა მიმართ. ან[D182r]უ არა უწყითა, რაჲ-იგი მოაწია ცოდვამან? ანუ არა ამან შემოიყვანა სოფლად სიკუდილი? არა ამან განხრწნაა ყოველი ქუეყანაჲ?[12] არა ამან აღავსოა სოფელი[13] სიკუდილითა და საფლავითა, დასაბამითგან და[14] ვიდრე [A213v] აქამომდე? რამეთუ **პირველ მცნებისა გარდასლვისა უხრწნელ იყო კაცი და არარაჲ აქუნდა**

---

1 თჳსა B; თჳსად] - D

2 მოიგო D; თჳსად მოიგოს] მოიგოს თჳსსა C

3 იყუნენ B

4 ნიავქართასა D

5 ეგევითარი D

6 გულისსიტყუათაგანი C

7 არამედ] - D

8 აღთქუმაჲ D

9 მოქცევმან AB

10 * ფს. 68,3.

11 და] - D

12 არა ამან განხრწნაა ყოველი ქუეყანაჲ?] - D

13 სოფელი] + ესე BD

14 და] - D

პირველთქუმულთა ამათგანი, უკუეთუმცა ადამს დაეცვა მცნებაჲ იგი დამბადებელისაჲ [B169r] უქცეველად. ესევე არს მიზეზ[1] საუკუნეთა მათ სატანჯველთა; ესე არს უშრეტისა მისცა[2] ცეცხლისა აღმაგზებელ[3]; ესე არს დაუ[C141r]სრულებელისა[4] მის[5] მატლისა აღმაორძინებელ[6]; ამან **„კაცი, პატივსა შინა მყოფი, პირუტყუთა უგუნურთა[7] მიმსგავსებითა უგუნურად გამოაჩინა“{8*}**.

ვინაჲთგან უკუე ესევითარი სასიკუდინჱ[9] არს და წარმწყმედელი, ყოვლითა ძალითა ვივლტოდით[10] მისგან, ძმანო და შევიტკბოთ [A214r] სათნოებაჲ პატივოსანი[11], რომელი [D182v] კაცთა ანგელოზად გამოაჩინებს, და სიკუდილსა მძლე ექმნების, და[12] ეშმაკთა[13] დასთრგუნავს, და მთავარსა მას ამის[14] სოფლისასა შეჰმუსრავს, და სასუფეველსა ცათასა დაგჳწინდებს, რომელსა[15] ღირმსცა ქმნულ[16] ვართ ყოველნი მიმთხუევად მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა თანა

1 მიზეზი BD

2 მის D

3 აღმაგზნებელი D

4 დაუსრულებელისა] დაუშრეტელისა C, ἀτελευτήτου (Gr. 14,47)

5 მისცა C

6 აღმაორძინებელი D

7 უგუნურთა] - D

8 * შდრ. ფს. 48,13.

9 სასიკუდინე BCD

10 ვევლტოდით CD

11 პატიოსანი BCD

12 და] - D

13 ეშმაკსა D

14 ამის] - C

15 რომლისა CD

16 ქმნულ] - D

მამასა სულით წმიდითურთ დიდებაჲ[1] და სიმტკიცჱ[2], აწ და მარადის და უკუნითი. ამინ[3].

V [B169v] შემდგომად აღვსებისა[4], საშინელისა მისთჳს სამშჯავროჲსა და რაჲთა კრძალულად გარდავიჯდიდეთ[5] დღეთა ცხორებისა ჩუენისათა[6]

გუაკურთხენ, მამაო![7]

[C141v] ძმანო და მამანო, მიმყოვრებაჲ[8] ესე ამის ცხორებისაჲ ნუმცა [A214v] იქმს[9] თქუენ შორის უდბობასა[10], ნუცა დაჴსნილობასა[11], ნუცა სულმოკლებასა[12], არამედ უფროჲსღა მოსწრაფებასა[13], არამედ უფროჲსღა[14] მორჩილებასა[15] [16**] და

---

1 ~ დიდებაჲ სულით წმიდითურთ C

2 სიმტკიცე CD; თანა მამასა სულით წმიდითურთ დიდებაჲ და სიმტკიცჱ] არს დიდებაჲ B

3 ამინ] - AC

4 აღუსებისა B

5 კრძალულად გარდავიჯდიდეთ] კრძალულებისა გარდავვლიდეთ + და D

6 ჩუენისათა] + ქრისტე, შეიწყალე გიორგი თარგმანი A

7 მამაო] უფალო B; გუაკურთხენ, მამაო!] - AC

8 მიმოყოვრებაჲ B

9 იქმნების D

10 უდბობისა D

11 ნუცა დაჴსნილობასა] - D

12 სულმოკლებისა D

13 მოსწრაფებისა D

14 უფროჲსად D

15 არამედ უფროჲსღა მორჩილებასა] - C

16 ** ἀγωνίαν μᾶλλον (Gr. 15,2-3)] add. არამედ უფროჲსღა მორჩილებასა

გულსმოდგ[D183r]ინედ მოღუაწებასა[1] სათნოყოფად ღმრთისა, ვითარცა მიახლებულთა სიკუდილსა[2].

ხოლო არავინ მონაჲ მიახლებული სიტყჳსმიცემად უფლისა თჳსისა, გინა მოციქული მიმავლინებელისა თჳსისა[3], უდებ არნ, არამედ ესეოდენი[4] ღუაწლი აქუნ[5], ვიდრეღა განკრთომილად საგონებელ არნ მის მიერ. ეგრეთვე ჩუენცა, ვინაჲთგან მივეახლებით[6] უფალსა, უფროჲსღა მოგუეახლების ჩუენ უფალი და საშინელი იგი სიტყჳსგებაჲ და სამშჯავროჲ [7**], ოდეს-იგი **„შიშუელნი და ქედდადრეკილნი“** {8*} [A215r] წარვდგეთ[9] ყოველნი [B170r] სიტყჳსმიცემად საქმეთა ჩუენთათჳს და მოღებად გინა თუ სასუფეველისა ცათასა[10], გინა თუ ტანჯვისა[11] საუკუნოჲსა. და ვინმცა იყო, რომელი [C142r] უდებ[12] იქმნა? გინა[13] დაჴსნილ[14] ესევითართა ამათ საქმეთათჳს და არა უმძრაფრეს[15] ცეცხლისა მოსწრაფჱ[16] და ფრთხილ აღსრულებად ნებასა უფლისა თჳსისასა? რაჲთა [D183v] არა

1 მოღუაწებისა D

2 სიკუდილისა D

3 გინა მოციქული მიმავლინებელისა თჳსისა] - D

4 ესოდენი BCD

5 აქუს D

6 მივეახლებთ A

7 ** λογοθέσιον (Gr. 15,8)] add. და სამშჯავროჲ

8 * ებრ. 4,13.

9 წარვდეთ A

10 ცათაჲსა B

11 სასუფეველისა ცათასა, გინა თუ ტანჯვისა] - D

12 უდებ] + იყო რომელ D

13 გინა] და C, - D

14 დაჴსნილი B

15 უმძლაფრეს B, უმძაფრეს D

16 მოსწრაფე BCD

იპოვოს[1], ვითარცა **მონაჲ იგი, რომლისანი შეიკრნეს ჴელნი და ფერჴნი**[2] **და განიჴადა სასძლოჲსა მისგან**[3*]. ხოლო უკუეთუ ესე სახჱ[4] არა შეგუაშინებს ჩუენ, მაშა[5] აქაჲსა ამის სახისაგან ვისწავოთ[6] ყოფადი იგი, ხოლო ვიტყჳ საწუთროჲსა ამის საქმეთა[7**].

არა ვჰხედავთა[8] მტერთა მეფისათა, ვითარ რომელნიმე საპყრობილებითა[9] [A215v] იჭირვიან, და[10] რომელნიმე გუემითა განიკითხვიან, და რომელნიმე ექსორიობად წარიცემიან[11], და სხუათა თუალნი აღმოეჴდებიან[12], და რომელნიმე სიკუდილითა დაიშჯებიან[13]? ხოლო რომელთა[14] არა[15] უცოდავს, იხილე კუალად, ვითარ იგინიცა[16] შიშით [B170v] დგანან წინაშე მისსა[17] და ძრწოლით ჰმსახურებენ[18] მას. და აქა და იქი მძიმეთა და

1 იპოოს BD

2 და ფერჴნი] - C

3 * იხ. მათ. 22,11-13.

4 სახე BCD

5 მაშა] - C

6 ვისწაოთ BC, ვისწავეთ D

7 ** τὰ μέλλοντα (Gr. 16,16)] add. ხოლო ვიტყჳ საწუთროჲსა ამის საქმეთა

8 ვხედავთა BC, ხედავთა D

9 საპყრობილითა C

10 რომელნიმე საპყრობილებითა იჭირვიან და] - D

11 წარიტაცებიან D

12 აღმოეჴადებიან BD

13 დაისაჯებიან BCD

14 რომელთაჲ B

15 არაჲ BC

16 ~ იგინიცა ვითარ D

17 მისა B

18 მსახურებენ B

საჭიროთა საქმეთა და ბრძოლათა[1] რაჲ წარიგზავნებოდინ[2], [D184r] არავინ [C142v] იკადრებს ურჩებასა გინა სიტყუსგებასა[3]. ხოლო უკუეთუ განხრწნადისა მეფისათჳს ესრეთ იქმნების, რაოდენ უფროჲს უხრწნელისა მის მეუფისა და უფლისა[4] უფლებათაჲსათჳს[5] ჯერ-არს ესრეთ ქმნაჲ შიშით და ძრწოლით, და არარას უფროჲს[6] განწესებულისაჲ ქმნად, **„ანუ სიმდიდრესა[7] სიტკბოებისა მისისასა შეურაცხ-ჰყოფა[8] და სახიერებასა და სულგრძელებასა?“** ვითარცა იტყჳს წერილი, **„და უმეცარ ხარ[9], რამეთუ სიტკბოებაჲ ღმრთისაჲ სინანულად[10] მოგიყვანებს შენ? ხოლო შენ[11] სიფიცხლითა მაგით შენითა და შეუნანებელითა გულითა იუნჯებ თავისა შენისა რისხვასა დღედ რისხვისა და გამოცხადებისა და მართლმსაჯულობისა ღმრთისა, რომელმანიგი მიაგოს კაცად-კაცადსა [D184v] საქმეთა მათთაებრ“{12*}**.

ესე შეგუაშინებდინ ჩუენ, და ყოველთა დღეთა [B171r] ჩუენთა შიშით და კრძალვით გარდავიჯდიდეთ, განვაგდებდეთ ძილსა თუალთაგან ჩუენთა, და განთიად მსთ[C143r]უად აღვდგებოდით, და ფრთხილად და მღჳძარედ ვილოცვიდეთ, რაჟამს აღდგომისათჳს უფლისა ზოგად არა ვილოცვიდეთ ჟამთა, რაჲთა განმზადებულნი ვიწყებდეთ შრომად საქმესა

---

1 ბრძოლად C

2 წარგზავნებოდინ A, წარიგზავნებოდიან D

3 სიტყჳსაგებასა D

4 უფლისათჳს D

5 უფლებათაჲსა BD

6 აქედან A 500-ს (A ლიტერი) ერთი ფურცელი აკლია.

7 სიმდიდრე D

8 შეურაცხ-ჰყოფ B

9 ხართ D

10 სინანულად] + სინანულად B

11 შენ] - BC

12 * რომ. 2,4-6.

ჩუენსა, გინა თუ კელარი საკელროჲსასა[1], გინა თუ მზარაული სამზარაულოჲსასა[2], გინა თუ მსახური მსახურებისასა, გინა თუ ნუგეშინისმცემელი ნუგეშინისცემისასა, და რაჲთა მოკლედ ვთქუა, ყოველნი ყოველსა შინა მშჯდობასა ვჰყოფდეთ. ნუმცა სადა არს დრტჯნვაჲ, ნუმცა სადა[3] არს ურჩებაჲ, ნუმცა სადა არს ღაღადებაჲ, ნუმცა სადა არს ცილო[D185r]ბაჲ, ნუმცა მანკიერებაჲ დაფარული, რაჲთამცა გარეშე აქუნდა რეცა სახე მშჯდობისაჲ, ხოლო შინაგან ზრდიდა მანკიერებასა და ვითარცა დახუდა ჟამი, უკბენდა[B171v]მცა, ვითარცა გუელი, ანუ ვითარცა აქლემი ძჯრისმოჯსენე[45].

[A216r] იქმნა ყუედრებაჲ, გინა შეწუხებაჲ, ანუ სხუაჲ რაჲმე [C143v] ესევითარი, და კუალად იქმნა სინანული და შენდობაჲ და სიყუარული? და წარჯდა ვნებაჲ იგი [6**]. ნუ კუალად აღაგზნებთ[7] გულისსიტყუათა[8], ნუცა მსგავსად წერილისა: **„მიაგებთ ბოროტსა ბოროტისა წილ, ნუცა გინებასა გინებისა წილ, არამედ უფროჲსად[9] აკურთხევდით და უწყოდეთ, რამეთუ მებრვე ამისთჳს იჩინენით, რაჲთა დაიმკჳდროთ თქუენ კურთხევაჲ. რა-**

---

1 საკელროისასა B; გინა თუ კელარი საკელროჲსასა] - D, εἴτε ὁ κελλαρίτης ἐν τῷ κελλαρίῳ (Gr. 17,36-37)

2 სამზარეულოისა B

3 სადა] - D

4 ~ ძჯრისმოჯსენე, ვითარცა აქლემი D

5 **ეს მონაკვეთი: „განწესებულისაჲ ქმნად... ანუ ძჯრისმოჯსენე ვითარცა აქლემი“ A 500-ში (A ლიტერი) დაკარგულია.**

6 ** იქმნა ყუედრებაჲ, გინა შეწუხებაჲ, ანუ სხუაჲ რაჲმე ესევითარი, და კუალად იქმნა სინანული და შენდობაჲ და სიყუარული? და წარჯდა ვნებაჲ იგი] Ἐγένετο ὀνειδισμὸς καὶ παρῆλθεν. Ἐγένετο μετάνοια; ἐξ εἰλικρινείας ἡ ἄφεσις (Gr. 17,43-44).

7 აღაგზნებთ] + სიყუარულითა C

8 გულისსიტყჳთა A, გულისსიტყჳათა B, გულისსიტყუათაჲთა C, λογισμοῖς (Gr. 17,44)

9 უფროჲსლა BCD

მეთუ რომელსა ჰნებავს ცხორებაჲ და უყუარან მას ხილვად დღენი კეთილისანი“, ვითარცა წერილ არს, „**დააცხრვენ**[1] **ენაჲ თჳსი**[2] **ბო**[D185v]**როტისაგან**[3**] და ყავნ კეთილი, მოიძიენ[4] მშჳდობაჲ და მისდევდინ[5] მას, რამეთუ თუალნი უფლისანი მართალთა ზედა და ყურნი მისნი[6] ლოცვათა მათთა[7] ზედა, ხოლო პირი უფლისაჲ [A216v] მოქმედთა ზედა ბოროტისათა“{8*}; და ესე უდარესნი სათნოებანი არიან, ხოლო რომელნი არიან უმაღლესნი? [B172r] „**ბრძოლაჲ ჩუენი მთავრობათა მიმართ და ჴელმწიფებათა, სოფლისმპყრობელთა მიმართ**[9] **ამის ბნელისათა**“ {10*}, და მოწევნული[C144r]სა ამის მიმართ[11] დევნულებისა, რომლისათჳს გჳთქუმენ[12] და მრავალფერად გუაშინებენ. აწ, უკუეთუ[13] უდარესთა მათ შინა უჴმარ ვიპოვნეთ, ვითარ წარვჰმართნეთ უმაღლესნი ესე? რამეთუ[14] „**რომელი მცირესა ზედა სარწმუნო იყოს, იგი დიდსაცა ზედა სარწმუნო იქმნების**“{15*}, ვითარცა იტყჳს უფალი.

---

1 დააცხრვე BCD

2 თჳსი] შენი D

3 ** καὶ χείλη αὐτοῦ τοῦ μὴ λαλῆσαι δόλον. Ἐκκλινάτω ἀπὸ κακοῦ (Gr. 17,49-50) „**და ბაგენი მისნი ნუ იტყჳედ ზაკუვასა. მოიქეცინ ბოროტისაგან**“ (1 პეტრე 3,10-11)] om.

4 მოიძიე BC

5 მისდევდი BD

6 მისი D

7 ლოცვათა მათთა] ლოცვა მათსა C

8 * 1 პეტრე 3,9-12; ფს. 33,13-17.

9 და ჴელმწიფებათა, სოფლისმპყრობელთა მიმართ] - D

10 * ეფ. 6,12.

11 ამის მიმართ] ამისთჳს D

12 გჳთქუამს D

13 უკუეთუ] უკუ^{ცუ} C

14 რამეთუ] რომელი D

15 * ლკ. 16,10.

ვინაჲთგან უკუე, თქუენ[1] მცირედსაცა ზედა და მრავალსაცა[2] სარწმუნოდ გამოჰშჩნდით[3] მადლითა ქრისტესითა აღსარებისა[D186r] თჳსცა და მორჩილებისა, ნუ[4] ვინაჲ მისდრკებით[5], არამედ [A217r] ორკერძო[6] სრულ-იქმნენით და განმტკიცებულ ყოვლისათჳს საქმისა კეთილისა, და „**ნუცა ერთითა რაჲთ სცემთ დაბრკოლებასა, რაჲთა არა იგმოს მსახურებაჲ თქუენი**“{7*}, არამედ რაჲთა სათნო-ეყვნეთ უფალსა[8] ყოველსავე შინა და დაიმკჳდროთ სასუფეველი ცათაჲ[9] [B172v] ქრისტეს[10] იესუჲს მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცჱ[11] თანა მამით და სულით წმიდითურთ[12], აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

VI [C144v] **შუვა ზატიკსა, ვითარმედ ჯერ-არს განსულნელებაჲ[13] თავთა თჳსთაჲ მოგებითა სათნოებათაჲთა**

გუაკურთხენ, მამაო![14]

ძმანო და მამანო, ქრისტეს აღდგომასა ყოველმან დაბადებულმან ზამთრისა იგი მჭმუნვარებაჲ, ვითარცა მოკუდავე-

---

1 თქუენ] - D

2 ~ და მრავალსაცა ზედა D

3 გამოშჩნდით B, გამოსჩნდით CD

4 ნუ] თუ D

5 მიჰდრკებით D

6 ორკერძოვე D

7 * 2 კორ. 6,3.

8 უფალსა] ქრისტესა C, τῷ Κυρίῳ (Gr. 18,64)

9 დაიმკჳდროთ სასუფეველი ცათაჲ] დაემკჳდრნეთ სასუფეველსა ცათასა B

10 ქრისტე C

11 სიმტკიცე BC; და სიმტკიცჱ] - D

12 სულით წმიდითურთ] ყოვლად წმიდით სულითურთ D

13 განსურნელებაჲ BC

14 გუაკურთხენ, მამაო!] - AC

ბაჲ[1] რაჲმე განაგდო და კუალად მხიარულ არს და ორძის, რამეთუ აჰა [D186v] ესერა ვხედავთ ქუეყანასა [A217v] შემოსილსა მწუანვილითა, და ნერგთა – ყუავილითა, და პირუტყუთა[2] – მხიარულებითა, და ზღუასა – მყუდროებითა, და ყოველსავე უმჯობესად შეცვალებულსა. არამედ ვთქუა იგი, რომლისა პირისათჳს ესე წარმოვთქუ[3], რამეთუ უკუეთუ უსულონი და პირუტყუნი ესრეთ შეიმკვებიან და განშუენდებიან აღდგომასა[4] თანა ბრწყინვალესა და ყოვლად დიდებულსა[5], რაოდენ უფროჲს და უმეტეს თანაგუაც [B173r] ჩუენ[6] განშუენებაჲ და განათლებაჲ ცხორებისა ჩუენისაჲ, რომელნი ესე სიტყჳთა და ხატებითა ღმრთისაჲთა პატივცემულ ვართ და განსულნელებაჲ[7] სულთაჲ[8]. [C145r] რამეთუ ჭეშმარიტად სულნელება[9] არს ქრისტესა სათნოებითა განშუენებული, და მეწამების მოციქული და იტყჳს, ვითარმედ: [A218r] „**ქრისტეს** [D187r] **სულნელებანი[10] ვართ ღმრთისა მიერ ცხორებულთა[11] მათ შორის და წარწყმედულთა: რომელთამე სულად სიკუდილითი სიკუდილად და რომელთამე სულად ცხორებითი[12]-ცხორებად**“ {13*}.

---

1 მოკუდაობაჲ C

2 პირუტყთა B

3 წარმოვთქჳ B

4 ადგომასა A

5 ბრწყინვალესა და ყოვლად დიდებულსა] დიდებულსა და ყოვლად ბრწყინვალესა D, τῇ ὑπερλάμπρῳ (Gr. 19,17-18)

6 ჩუენ] - C

7 განსურნელებაჲ BC, განსულნელებულ D

8 სულითა CD

9 სურნელება BC

10 სურნელებანი BC

11 ცხოვრებულთა A, ცხოვნებულთა D

12 ცხოვრებითი A

13 * 2 კორ. 2,15-16.

და ამის თანა, ამისიცა ჯერ-არს თქუმაჲ, ვითარმედ **ადამ პირველ მცნებისა გარდასლვისა სულნელება[1] იყო ღმრთისა და უკუდავებითა[2] და უხრწნელებითა განბრწყინვებულ და საღმრთოთა ხილვათა მიერ აღტაცებულ,** ვინაჲცა, ვითარცა ველი რაჲმე სულნელი და ყუავილოვანი, შესაბამად თჳსა, სამოთხესა შინა იქცეოდა და **ფშოდა სათნოებათა.** და კუალად ისაკ მამათმთავარმან[3] იყნოსა რაჲ სული სულნელებისაჲ[4] იაკობისგან ძისა თჳსისა, [B173v] იტყოდა: **„აჰა ესერა სულნელებაჲ ძისა ჩემისაჲ,** [A218v] **ვითარცა სულნელებაჲ აგარაკისა სავსისაჲ, რომელი აკურთხა უფალმან“** {5*}. საცნაურ არს უკუე, [D187v] ვითარმედ სულიერსა [C145v] სულნელებასა[6] მოასწავებდა[7].

აწ უკუე ჩუენცა, ჶ ძმანო, **ვფშოდით სულნელებასა სულიერსა,** რომელსა თითოეული[8] შეჰმზადებს[9] შეზავებითა სათნოებათაჲთა, ვითარცა ჭეშმარიტად ჯელოვანი მენელსაცხებლჱ[10]. რამეთუ ესე არს მიჰრონი კურთხეული[11], რამეთუ ესე არს ნელსაცხებელი ღმრთისაჲ.

ესე მიჰრონი მოიზიდავს ანგელოზთა და წარსდევნის ეშმაკთა; ამის ნელსაცხებელისა მიერ[12] რბიოდეს ქალწულნი შემ-

---

1 სურნელება BC

2 უკდავებითა B

3 მამადმთავარმან B

4 სურნელებისაჲ B

5 * დაბ. 27,27.

6 სულნელებასა] სათნოებასა C, τῆς ὀσμῆς (Gr. 20, 21)

7 მოასწავებს D

8 თჳთუჱული B

9 შემზადებს B

10 მენელსაცხებლე BCD

11 რამეთუ ესე არს მიჰრონი კურთხეული] - D

12 მიერ] - D

დგომად იესუჲსა[1], ვითარცა იტყჳს ქებაჲ ქებათაჲ {2*}; ამით სულნელებითა[3] ჩუენცა ვრბიოდით[4] მარადის, და აწ კართა ზედა მოწევნულსა წმიდასა ამას შუვა[5] ზატიკსა წადიერად [A219r] ვდღესასწაულობდეთ, ვინაჲთგან[6] წერილ არს: **„და ვითარცა დღესასწაული იგი გან-ოდენ-ზოგებულ[7] იყო, აღვიდა იესუ ტაძრად და ასწავებდა და დაუკჳრდებოდა [B174r] ჰურიათა და იტყოდეს: ვითარ ამან წიგნი იცის უსწავლელად[8]?“** {9*} გარნა [D188r] ესე იყო პირველ ვნებისა, ხოლო აწ, შემდგომად აღდგომისა ეჩუენებოდა და თანა-იქცეოდა[10] წმიდათა მოციქულთა და [C146r] აუწყებდა მათ დაფარულთა და გამოუთქუმელთა[11] საიდუმლოთა, და[12] ეჰა, მიუწდომელი იგი სიმდაბლჱ[13]! რამეთუ შემდგომად აღდგომისა საზრდელი მიიღო, დაღაცათუ არღარა უჴმდა წმიდათა მათ ჴორცთა მისთა, არამედ რაჲთა აღდგომაჲ თჳსი სარწმუნო ყოს, ჭამაცა და სუაცა[14] და განიხილაცა გუერდი[15], და რომელთა-იგი ეგონა, ვითარმედ სული არს, [A219v] ესრეთ

---

1 იესუჲსა BCD

2 * იხ. ქება 1,3.

3 სურნელებითა A

4 ვრბიოდეთ D

5 შუა BCD

6 ვინაჲთგან] ვითარცა D

7 გა-ოდენ-ზოგებულ A

8 ~ უსწავლელად წიგნი იცის D

9 * ინ. 7,14-15.

10 თანა-ექცეოდა CD

11 გამოუთქმელთა D; და აუწყებდა მათ დაფარულთა და გამოუთქუმელთა] - B

12 და] - D

13 სიმდაბლე BCD

14 სუმაცა D

15 გუჱრდიცა განიხილა D

ჰრქუა[1]: „**იხილენით ველნი ჩემნი და ფერჴნი ჩემნი[2], რამეთუ თავადი მე ვარ; ველი შემახეთ და იხილეთ, რამეთუ სულსა ჴორცცა და ძუალ არა ასხენ, ვითარ[3] მე მხედავთ, რამეთუ მასხენ**“ {4*}.

რასა იტყჳ ამისთჳს, ჲ, ქრისტესმბრძოლო! **უკუეთუ ჴორცნი და ძუალნი ასხენ, გამოხატვაჲ არა აქუსა[5]?** უკუეთუ [D188v] **მეორჱ[6]** ესე არა აქუს, არცა პირველი აქუნდა. გარნა თავადი წამებს თავისა თჳსისათჳს [B174v] გამოხატვასა მდუმრიადცა, **რამეთუ ორივე ესე ურთიერთას დაამტკიცებს, გამოხატვაჲ — ჴორცთა და ჴორცნი — გამოხატვასა** [7**]. გარნა ხატთამბძოლნი ვინაჲთგან [C146v] სწორად მანიქეველთა წვალებენ, სწორიცა მათი[8] „**მიეჴადოს საშჯელი[9]**, [A220r] **მომსრველი საუკუნოდ[10]**“ {11*}, მსგავსად წერილისა.

ხოლო ჩუენ, ძმანო, ვინაჲთგან მართლმადიდებლობითა[12] და[13] კეთილითა გონებითა[14**] გურწამს უფალი ჩუენი იესუ ქრისტჱ[15]

---

1 ჰრქუა] + მათ B

2 და ფერჴნი ჩემნი] - D

3 ვითარცა C

4 * ლკ. 24,39.

5 აქუსაა D

6 მეორე BCD

7 ** ὁμολογητικὰ πέφυκεν εἶναι (Gr. 21,46)] add. გამოხატვაჲ – ჴორცთა და ჴორცნი – გამოხატვასა

8 სწორნიცა მათივე D

9 სასჯელი D

10 საუკუნოჲ BCD

11 * 2 თეს. 1,9.

12 მართლმადიდებლობით BCD

13 და] - B

14 ** ὀρθοδοξῳ (Gr. 21,49)] add. და კეთილითა გონებითა

15 ქრისტჱ] ქრისტე BD, - C

ხატსა შინა ხილვად და თაყუანისცემად, შემსგავსებული სარწმუ-
ნოებისა ჩუენისაჲ ვაჩუენოთ მოქალაქობაჲ – წმიდაჲ, განსრუ-
ლებული და უნაკლულოჲ, რაჲთა არა ერთკერძო ვკელობდეთ,
არამედ ორკერძ[D189r]ოვე მტკიცე ვიყვნეთ და რჩეულ და [1**]
ღირს-ვიქმნეთ[2] მიმთხუევად სასუფეველსა ცათასა ქრისტეს[3]
იესუჲს მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმ-
ტკიცჱ[4] თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და
უკუნითი-უკუნისამდე. ამინ[5].

VII ითქუა უწინარეს[6] ამაღლებისა, [B175r] ამაღლებისათჳს უფლისა ჩუენისა[7] იესუ ქრისტესა და რაჲთა სათნოდ ღმრთისა ვიქ[A220v]ცეოდით თავთა შორის თჳსთა[8]

გუაკურთხენ, მამაო![9]

ძმანო და მამანო, აჰა ესერა კართა ზედა მოიწია ჩუენდა
დღესასწაული დღე[C147r]სასწაულთაჲ, ამაღლებაჲ მაცხოვრისა[10]
ჩუენისა იესუ ქრისტესი, და რაბამ არს საიდუმლოჲ ესე და
უაღრეს[11] ბუნებათა, რამეთუ ამაღლდების ბუნებაჲ ჩუენი უმაღლეს
ცასა ცათასა, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „**მადლითა ხართ**

---

1 ** ἀμφότερα (Gr. 21,52)] add. მტკიცე ვიყვნეთ და რჩეულ და

2 ღირს-ვიქმნეთ BC

3 ქრისტე C

4 სიმტკიცე BCD

5 უკუნისამდე. ამინ] გაბრიელს შეუნდვენ ღმერთმან C; მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ] - A

6 ითქუა უწინარეს] იკითხვის წინადღით B

7 უფლისა ჩუენისა] - C

8 ეს ქადაგება H 368-ში (D ლიტერი) არ გვხვდება.

9 უფალო] მამაო C; გუაკურთხენ, მამაო!] - A

10 მაცხოვრისა] უფლისა A, Σωτῆρος (gr. 22,2)

11 უვაღრეს C

გამოჴსნილ“ {1*}; და ვითარმედ: **„თანა-აღმადგინნა და თანა-დამსხნა ზეცათა შინა ქრისტე იესუჲს მიერ“ {2*}, „რომელი არს მარჯუენით ღმრთისა“ {3*}, „უმაღლეს უფროჲს ყოველთა მთავრობათა და ჴელმწიფებათა და ძალთა და ყოველსა სახელსა, სახელდებულსა არა ხოლო თუ ამას სოფელსა, არამედ – მერმესაცა, და ყოველივე დაამორჩილა ქუეშე ფერჴთა მისთა, და [A221r] იგი მოსცა თავად უფროჲს ყოვლისა ეკლესიასა, რომელ-იგი არს გუამი მისი და აღსავსებაჲ, რომელმან-იგი ყოველი ყოველსა შინა აღავსო“ {4*}**. ჰხედავთა[5], თუ [B175v] ვითარსა დიდებასა ამაღლდა კაცობრივი ბუნებაჲ? ქუეყანით – ზეცად და ხრწნილებისაგან – უხრწნელებად. რაოდენიმცა ვინ შრომაჲ თავს-იდვა, რაჲთამცა იქმნა საყუარელ ქუეყანისა და განხრწნადისა [C147v] მეფისა, არამედ ჩუენ დაღაცათუ უცხოქმნილ ვიყვენით და მტერ გონებითა საქმეთა მიერ ბოროტთა, არა ხოლო თუ ოდენ დავეგენით[6] ღმერთსა და მამასა უფლისა ჩუენისა მიერ იესუ ქრისტესსა[7], არამედ **ძეობისა პატივსაცა აღვიწიენით[8]**, და **აწ არს ბუნებაჲ ჩუენი ზეცათა შინა, ყოვლისა ხილულისა და უხილავისა დაბადებულისა მიერ თაყუანისცემული**.

[A221v] ესევითარი არს დიდებულებაჲ მიუთხრობელისა კაცთ-მოყუარებისა სახიერისა ღმრთისა ჩუენისაჲ, და ესე გულისჴმა-ყო ნეტარმან მოციქულმან და ჴმა-ყო: **„რაჲ-იგი არს სასოებაჲ ჩინებისა მისისაჲ, და რაჲ-იგი არს სიმდიდრჱ[9] მკჳდრობისა**

1 * ეფ. 2,5; 2,8.

2 * ეფ. 2,6.

3 * რომ. 8,34; შდრ. ეფ. 1,20.

4 * ეფ. 1,21-23.

5 ხედავთა BC

6 ~ დავეგენით ოდენ BC

7 ქრისტესა BC

8 აღვიწიენით] ღირს ვიქმნენით C, ἀνεδράμομεν (Gr. 23,18)

9 სიმდიდრე BC

მისისაჲ წმიდათა შორის, და რაჲ არს გარდარეული სიდიდჱ[1] ძლიერებისა მისისაჲ ჩუენდა მომართ მორწმუნეთა [B176r] შეწევნისაებრ სიმტკიცისა ძლიერებისა მისისა, რომელი-იგი იქმნა[2] ქრისტჱს მიერ“ {3*}. და იხილე[4], თუ რაჲ იქმნა? მოვიდა ჩუენდა ყოვლად სახიერი იგი ქალწულებრივისა შობისა მიერ, ჰმსახურა შემსგავსებულთა შჯულთა ბუნებისათა, აღვიდა [C148r] ჯუარად და დაჰმშჭუალა[5] მას ზედა ჯელითწერილი ჩუენი, შთაჯდა ქუესკნელთა ქუეყანისათა და [A222r][6] დაჰჯსნნა სალმობანი სიკუდილისანი და თანა-აღადგინა კაცობრივი ბუნებაჲ, და მერმე ამაღლდა დიდებით და წარუდგინა თავი თჳსი ჩუენთჳს ღმერთსა და მამასა. და რაჲთა მოკლედ ვთქუა, ესე არიან ბრწყინვალებანი ამის დღესასწაულისანი, ამას განვიცდიდეთ, ძმანო, და რამეთუ ვართ ჯორცნი ქრისტესნი, შევიკდიმოთ ნიჭისა ამისგან, დავიცვათ აზნაურებაჲ, ნუ განვსცემთ მადლსა. **„ნუ ვჰყოფთ ასოთა ქრისტესთა ასო მეძვის“ {7*}**, არამედ უფროჲსღა განვიწმიდნეთ თავნი თჳსნი გულისსიტყუათაგანცა და საქმეთა, [B176v] უფროჲსღა **„განვეშორნეთ ჯორციელთა გულისთქუმათა[8], რომელნი-იგი განეწყობვიან სულისა მიმართ“ {9*}**. კეთილი ქცევაჲ გუაქუნდინ [A222v] თავთა შორის თჳსთა: მშჯდი, მყუდროჲ, მორჩილი, მდაბალი და დაწყნარებული, რამეთუ ესე არს სანატრელი ცხორებაჲ[10], ხოლო შუებაჲ და განცხრომაჲ, სიცილი და დაუწყნარე[C148v]ბელობაჲ

---

1 სიდიდჱ] სიდიდე B, სიმდიდრე C, μέγεθος (Gr. 23,24)

2 ქმნა AC

3 * ეფ. 1,18-20.

4 იხილე] - C

5 დაამსჭუალა B, დამსჭუალა C

6 **A 500-ში 222r-ზე მინაწერია: „ქორონიკონსა რკიზ (1449 წ.) დიდი სიკუდილი იყო სამცხესა“.**

7 * შდრ. 1 კორ. 6,15.

8 ჯორციელსა გულისთქუმასა C

9 * შდრ. 1 პეტრ. 2,11.

10 ცხოვრებაჲ A

და რაოდენიცა არს უჯეროჲ, მიუშუათ სოფლისმოყუარეთა და ჯორცთმოყუარეთა, **„რომელნი ხედვენ და არა ხედვენ, ესმის და არა ესმის“** {1*}, რამეთუ დაბრმობილნი გულნი ჰქონან და ყურნი დამძიმებულნი, რაჲთა ვერ განარჩიონ კეთილი ბოროტისაგან, და ნათელი – ბნელისაგან, და ცხორებაჲ – სიკუდილისაგან, არამედ განმზადებულნი მივლენ ცეცხლად. რამეთუ ცეცხლი არს გულისთქუმაჲ ჯორცთაჲ, არამედ დაუბრკოლებელად მირბიან მისა[2]. მთხრებლ არს [A223r] ვეცხლისმოყუარებაჲ და შთაჯდად მას შინა არა დასცხრებიან, არამედ თავით თჳსით ნებსითსა მას ეშმაკსა [B177r] მოიტაცებენ, რომელნი-იგი ვაებისა, ვიდრეღა ნეტარებისა ღირს არიან, რამეთუ ჭეშმარიტი იგი კეთილი განიშორეს და მოსპოლვადი იგი ხრწნილებაჲ შეიტკბეს.

ხოლო ჩუენ, ძმანო, შევიკრძალოთ აღსაარებაჲ ჩუენი, **„რომელსაცა ზედა ვდგათ და ვიქადით სასოებითა ღმრთისამიერისა დიდებისაჲთა“** {3*}. შეუდგეთ მოღუაწებასა, [C149r] რომელი მოიღუაწეს წმიდათა და უფროჲსღა, რომელსა-ესე აწღა უგალობდით, ნეტარმან პახუმი. კეთილად ვხედვიდეთ, კეთილად ვისმენდეთ, კეთილად ვშურებოდით, ყოველთა ასოთა კეთილად ვიჯუმევდეთ, ვითარცა სიტყჳსა მიერ წარმართებულნი და[4] [A223v] სიტყჳსა მსახურნი, რაჲთა[5] დავიმკჳდროთ აღთქუმული[6] იგი საუკუნოჲ ცხორებაჲ ქრისტე იესუჲს მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ[7] არს დიდებაჲ და სიმტკიცჱ[8] თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

---

1 * მათ. 13,13; შდრ. ეს. 6,9-10; მარკ. 4,12; ლკ. 8,10; ინ. 12,40; საქმე 28,26; რომ. 11,8.

2 მისსა C

3 * რომ. 5,2.

4 და] + და A

5 რაჲთა] და A

6 აღთქმული B

7 რომლისა AC

8 და სიმტკიცჱ C

VIII ვითარმედ ჯერ-არს წმიდითა გონებითა ზიარებაჲ წმიდათა საიდუმლოთა, რომელი-ესე ითქუა ამაღლებასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა[1]

გუაკურთხენ, მამაო![2]

[B177v] ძმანო და მამანო, ამაღლებაჲ მოიწია და დღეასასწაული ესე აღსასრული არს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეს განგებულებისაჲ, რამეთუ[3] ნებისაებრ მამულისა[4] ყოველი რაჲ აღასრულა, **„ამაღლდა დიდებით[5]“ {6*}** და **„თანა-აღმამაღლნა და თანა-დამსხნა ჩუენ ზეცათა შინა“ {7*}** წმიდათა მათ მიერ ჯორცთა თჳსთა. **„და[8] ეჰა, სიმდიდრჱ[9] ესე დიდებისა მისისაჲ! და** [A224r] **ეჰა, გარდა**[C149v]**რეული ესე დიდებაჲ ძლიერებისა მისისაჲ!“ {10*}** რამეთუ მდაბალი ესე [D189v] და უნდოჲ ბუნებაჲ ჩუენი საყდართა მათ[11] სამეუფოთა

---

1 ვითარმედ ჯერ-არს წმიდითა გონებითა ზიარებაჲ წმიდათა საიდუმლოთა, რომელი-ესე ითქუა ამაღლებასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა] ამაღლებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა, ვითარმედ ჯერ-არს წმიდითა გონებითა ზიარებაჲ წმიდათა საიდუმლოთა B, ამაღლებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა და ვითარმედ ჯერ-არს წმიდითა გონებითა ზიარებაჲ წმიდათა საიდუმლოთა D

2 გუაკურთხენ, მამაო!] - AC, + უფალო, შეიწყალე ცოდვილი მიქაელ B

3 რამეთუ] რომელმან C

4 მამულისა] მამისა D, τὸ παρτικὸν (Gr. 25,3)

5 დიდებით] - D

6 * 1 ტიმ. 3,16.

7 * ეფ. 2,6.

8 და] - D

9 სიმდიდრე BCD

10 * ეფ. 1,18-19.

11 მათ] - C

აღიყვანა, ყოველთა მიერ ზეცისა ძალთა თაყუანისცემული. ესე განვიცადოთ, ძმანო, და შევიკდიმოთ და შევძრწუნდეთ [1**] სიმდიდრისაგან ამის ნიჭისა და ღირსად თავისა მის ჩუენისა ვმოქალაქობდეთ, ვითარცა ასონი ქრისტესნი, ვითარცა ჯორცნი და თანამკჳდრნი და[2] მოყუასნი[3] მისნი, **„სიწმიდითა და მეცნიერებითა, სულგრძელებითა და სიტკბოებითა, სულითა წმიდითა[4], სიყუარულითა შეუორგულებელითა[5],** [B178r] **სიტყჳთა ჭეშმარიტებისაჲთა, ძალითა ღმრთისაჲთა“** {6*}, ყოვლითა მორჩილებითა და სიმდაბლითა, ყოვლითა მოღუაწებითა და კრძალულებითა. ნუმცა [A224v] რაჲ არს ჩუენ თანა უჯეროჲ და ნუმცა რას ვიქმთ გარეშე მცნებისა, რამეთუ რომელი შეაგინებდეს ჯო[D190r]რცთა თჳსთა, არა არს ასო ქრისტესა[7]; და რომელი ძჳრსა იჳსენებდეს, არა არს ასო ქრისტესა; რომელი სხუასა რასმე ვნებასა აღასრულებდეს, არა არს ასო ქრისტესა[8] და არცა ღირს არს ზიარებად წმიდათა [C150] საიდუმლოთა, რამეთუ იტყჳს მოციქული: **„გამოიცადენ კაცად-კაცადმან თავი თჳსი და ესრეთ პურისა მისგან[9] ჭამენ და სასუმელისა[10] მისგან[11] სუნ, რამეთუ რომელი ჭამდეს და სუმიდეს უღირსებით, დასასჯელად თავისა თჳსისა ჭამს და სუამს, რამეთუ არა განიკითხნა[12] ჯორცნი უფ-**

1 ** შევიკდიმოთ და შევძრწუნდეთ] σεβασθῶμεν (Gr. 26,10)

2 და] - B

3 მოყუასნი] მოყუარენი C

4 წმიდითა] + და D

5 შეუორგულებელითა] - D

6 * 2 კორ. 6,6-7.

7 ქრისტესაო C

8 რომელი სხუასა რასმე ვნებასა აღასრულებდეს, არა არს ასო ქრისტესა] - C

9 მისგანი A

10 სასუმლისა B

11 მისგანი ABC

12 გამოიკითხნა D

ლისანი. ამისთჳს მრავალ არიან თქუენ შორის უძლურ და სნეულ [A225r] და წვანან მრავალნი, რამეთუ უკუეთუმცა თავთა თჳსთა განვიკითხევდით, არა[B178v]მცა განვიკითხენით, ხოლო გან-თუ-ვიკითხვით, უფლისა მიერ განვისწავლებით, რაჲთა არა სოფლისა თანა დავისაჯნეთ“ {1*}. ვინაჲცა [D190v] წმიდა-ვიქმნნეთ[2] და უბიწო[3], რაჲთა ღირსად გუეწოდოს ასო ქრისტესა და ესრეთ ვეზიარებოდით წმიდათა საიდუმლოთა.

და ესე, რომელ ოდესმე უკრძალველობითა ჩუენითა აღეტყინების ჩუენ შორის გულისთქუმაჲ ბოროტი, გინა რისხვაჲ, გინა შური[4], გინა სიძულილი, ანუ სხუაჲ რაჲმე ღმრთისა საძულელი[5], არა საკჳრველ არს, არამედ [C150v] რაჲთა მოსწრაფედ კუალად ვეგებოდით პირველსავე წესსა და განვიკურნებოდით[6] და ნუ დავი[A225v]ყოვნებთ სიბოროტესა შინა, რამეთუ დაყოვნებასა და დადრგომასა[7] თანაწარუვალი აქუს საშჯელი[8]. ანუ არა სიკუდილი მეყსა შინა[9] მოიწევისა? აჰა ესერა, გუშინ მივედით ხილვად ეპისკოპოსისა და ვპოვეთ[10] იგი სიმძიმესა შინა ყოვლითურთ განლეული მჯურვალებისაგან, [B179r] და ყოვლითურთ წარწირული ურვისაგან და სულმოკლებისა [11**], იმიერ და ამიერ მხედველი და არა ვინაჲ შეწევნისა მპოვნე[D191r]ლი, გარნა ხოლო გონებისაგან, გინა თუ კეთილისა, გინა თუ ბოროტისა.

---

1 * 1 კორ. 11,28-32.

2 ვიქმნეთ B

3 უბიწო] უჯორცო D, καθαιρώμεθα (Gr. 27,26)

4 გინა რისხვაჲ, გინა შური] - D

5 ანუ სხუაჲ რაჲმე ღმრთისა საძულელი] - D

6 პირველსავე წესსა და განვიკურნებოდით] - D

7 ~ დადგრომასა და დაყოვნებასა BD

8 სასჯელი C

9 მეყსა შინა] მეყსეულად C

10 ვპოეთ BD

11 ** ურვისაგან და სულმოკლებისა] ἐξ ἀθυμίας (Gr. 27,35)

რაჲმე არს? ანუ არა ჩუენცა ეგრეთვე შეგუემთხჳოსა? გარნა რაჲ არს ესე სიზმარი და აჩრდილი მერმეთა მათ თანა სატანჯველთა? რამეთუ **„ცეცხლი იგი არა დაშრტების და მატლი არა [A226r] მოკუდების“** {1*}, და[2] ბნელი არა განქარდების[3], საკრვე[C151r]ლნი არა განიჳსნებიან, ტარტაროზი არა განილევის[4], ღრჭენაჲ კბილთაჲ არა დასცხრების, და სხუანი იგი **ყოველნი სატანჯველნი საუკუნო არიან და დაუსრულებელ.**

ამას ყოველსა გონიერად გულისჳმა-ვჰყოფდეთ, ძმანო, და ნუმცა ვართ მოყუარე ვნებათა, ნუცა მოშურნე, ნუცა მანკიერ, ნუცა მრისხანე, ნუცა ძჳრისმეტყუელ, [B179v] ნუცა მტყუვან[5], ნუცა სხჳსა რაჲსმე წინააღმდგომისა მოქმედ, არამედ მშჳდობისმყოფელ და[6] მტკიცე და [D191v] ლმობიერ და[7] სახიერ და ღმრთისმოშიშებით **„ურთიერთას ვიყუარებოდით“** {8*}, და ყოველსავე ბრძანებულსა ჩუენდა[9] ვიქმოდით, რაჲთა სატანჯველთაგან განვერნეთ [A226v] და საუკუნესა ცხორებასა ღირს-ვიქმნნეთ ქრისტეს[10] იესუჲს მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ[11].

---

1 * შდრ. მარკ. 9,44, 46, 48; ეს. 66,24.

2 და] - D

3 განქარდების] + და D

4 განილევის] + და D

5 მტყუან C; ნუცა ძჳრისმეტყუელ, ნუცა მტყუვან] - D

6 და] - D

7 და] - D

8 * ინ. 13,34; 15,12; 1 ინ. 3,11; 4,7.

9 ~ ჩუენდა ბრძანებულსა D

10 ქრისტე BC

11 ამინ] - B; აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ] - C; თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ] - D

IX გარდამოსლვისათჳს სულისა წმიდისა და სიკუდილისათჳს უბადრუკისა ევპრეპიანესსა[1]. ითქუა პირველ მარტჳლიისა[2]

გუაკურთხენ, მამაო![3]

ძმანო და მამანო, მეერგასისესა[4] დღესა მო[C151v]ვიწიენით, გარდამოსლვასა სულისა წმიდისასა, ვითარცა იტყჳს უფალი, ვითარმედ[5]: **„უკუეთუ მე არა წარვიდე, ნუგეშინისმცემელი იგი არა მოვიდეს თქუენდა; ხოლო უკუეთუ წარვიდე, მოვავლინო იგი[6] თქუენდა[7] და მოვიდეს იგი[8]“ {9*}** და **„გიძღოდის თქუენ[10] ყოველსა [B180r] ჭეშმარიტებასა“ {11*}**. ეჰა, ა[D192r]ღთქუმაჲ დიდებული, რამეთუ არა ანგელოზი, არცა კაცი აღუთქუა[12] [A227r] მოვლინებად, არამედ თავადი იგი და **თანაარსი** [13**] სული. აღვიდა უკუე ზეცად მხოლოდშობილი ძჱ[14] ღმრთისაჲ, მამული რაჲ აღასრულა საქმჱ[15] და გარდამოჴდა სული წმიდაჲ[16], არა სხუაჲ

---

1 ევპრეპიანესა B, ევპროპიანესა D

2 მარტჳლისა A; პირველ მარტჳლიისა] უწინარეს მარტჳლისასა D

3 მამაო] უფალო A; გუაკურთხენ, მამაო!] - C

4 მეერგასესა BCD

5 ვითარმედ] - D

6 იგი] ნუგეშინისმცემელი D, αὐτὸν (Gr. 29,1)

7 თქუენდა] - D

8 იგი] + თქუენდა D

9 * ინ. 16,7-8.

10 თქუენ] - D

11 * ინ. 16,13.

12 აღთქუმაჲ D

13 ** თანაარსი] συμφυὲς (Gr. 29,8)

14 ძე BCD

15 საქმე BCD

16 სული წმიდაჲ] + მამული რაჲ აღასრულა საქმე B

ღმერთი, ნუ იყოფინ! არამედ „**სხუაჲ ნუგეშინისმცემელი**“ {1*}, ვითარცა წერილ არს[2]. ჰ, გამოუთქუმელი[3] კაცთმოყუარებაჲ! ნუგეშინისმცემელ[4] ჩუენდა იქმნების ღმერთი და ნუგეშინის-სცემს[5] ჭირვეულსა მას და განკაფულსა სულსა, რაჲთა არა მოუძლურდეს განსაცდელთა შინა, და წამებს წმიდაჲ მოციქული და იტყჳს: „**გარეშე – ბრძოლანი, შინაგან – შიშნი, არამედ რომელმანიგი ნუგეშინის-სცის მდაბალთა**[6], **ნუგე**[C152r]**შინის-მცა ჩუენ ღმერთმან მოსლვასა მას ტიტესსა**“ {7*}. ნუგეშინის-სცემს გულსა მას[8] შეშინებულსა შიშისაგან ეშმაკთაჲსა და აღიყვანებს მას [A227v] ნუგეშინისცემითა სიმჴნედ [B180v] დაუპყრობელად. და წამებს ნეტარი[9] [D192v] დავით და იტყჳს: „**რამეთუ შენ**[10], **უფალი, შემეწიე მე**[11] **და ნუგეშინის-მეც მე**“ {12*}. ნუგეშინის-სცემს მტერქმნულსა[13] ამას[14] გონებასა მოგებად მშჯდობისა და მყუდროებისა[15], ვითარცა იტყჳს მოციქული: „**ქრისტესთჳს უკუე**[16]

---

1 * ინ. 14,16.

2 არს] + და C

3 გამოუთქმელი BD

4 ნუგეშინისმცემელი D

5 ნუგეშინის-ცემს B

6 მდაბალთა] მგლოარეთა C, τοὺς ταπεινοὺς (Gr. 29,15); ნუგეშინის-სცის მდაბალთა] - D

7 * 2 კორ. 7,5-6.

8 მას] - D

9 ნეტრ A

10 შენ] - D

11 მე] - BD

12 * ფს. 85,17.

13 მტერქმნულსა] ნეტარქმნულსა C

14 მას BCD

15 მყუდრუᲑბასა B; მოგებად მშჯდობისა და მყუდროებისა] - C

16 უკუეთუ CD

ვციქუთ, ვითარცა ღმერთი[1] გლოცავს ჩუენ მიერ; გევედრებით[2] უკუე ქრისტესთჳს: დაეგენით ღმერთსა“ {3*}.

იხილეა სიმდაბლჱ[4] ესე გამოუთქუმელი?[5] იხილეა ნიჭისა ამის სიმაღლჱ[6]? ზეცათა შინა მხოლოდშობილი ძჱ[7] მეოხ არს ჩუენთჳს მამისა მიმართ, ვითარცა წერილ არს: **„რომელი არს მარჯუენით ღმრთისა და რომელი მეოხ არს ჩუენთჳს“ {8*}**. და ქუეყანასა ზედა სული წმიდაჲ ნუგეშინის-გუცემს მრავალსახედ და მრავალფერად [9**]. **„რაჲ უკუე მივაგოთ უფალსა ამის ყოვლისათჳს?“ {10*}** [A228r] გარნა თუ ჴმაჲ იგი მგალობელისაჲ აღვიღოთ[11] და ვთქუათ: **„ყოველთა ძუალთა ჩემთა თქუან: უფალო, უფალო, ვინ[12] გემსგავსოს შენ? [C152v] რამეთუ იჴსენ გლ[B181r]ახაკი ჴელთაგან ძლიერისათა[13] და[14] გლახაკი და[15] დავრდომილი – მიმომტაცებელთაგან მათთა[16]“ {17*}**; და კუალად:

---

1 ღმერთი] - D

2 გევედრები B

3 * 2 კორ. 5,20.

4 სიმდაბლე BC

5 იხილეა სიმდაბლჱ ესე გამოუთქუმელი?] - D

6 სიმაღლე BCD

7 ძე BCD

8 * რომ. 8,34.

9 ** მრავალსახედ და მრავალფერად] πολυτρόπως (Gr. 30,27)

10 * ფს. 115,3.

11 აღვიღოთ] აღმოვთქუათ C

12 ვინმე D

13 გლახაკი ჴელთაგან ძლიერისათა] - D

14 და] - BD

15 და] - AB

16 მისთა C, მისთაჲ D

17 * ფს. 34,10.

„შეწევნა არს ჩემდა სახელითD193r]ა უფლისაჲთა, რომელმან ქმნნა[1] ცანი და ქუეყანაჲ“ {2*}; და **„არა თუმცა უფალი შემეწია მე, კნინღა-და[3] და-მცა-ემკჳდრა ჯოჯოხეთს შინა სული ჩემი“ {4*}**; და კუალად: **„უფალი არს მწე ჩემდა, არა შემეშინოს, რაჲ მიყოს მე კაცმან?“ {5*}**

აწ უკუე, ვინაჲთგან ესევითარი გუაქუს ნუგეშინისმცემელი, რომელ არს სული წმიდაჲ, უბრძოლელი[6] იგი ძლიერებაჲ, დიდი ჯელისამპყრობელი და ღმერთი და[7] მაცხოვარი, ნუ გეშინინ, ძმანო [8**], [A228v] შიშისაგან მტერისა! ნუცა შევძრწუნდებით წინააღმდგომთა მათ ძალთაგან! არამედ ვითარმცა-იგი[9] გუაქუნდა წინამძღუარად და მმართებელად ჩუენდა[10], მოღუაწებისა და აღსარებისა ღელვანი სიმჯნით და ახოვნებით თავს-ვისხნეთ მერმეცა დღისა და დღისა[11] უბი-წოდ გარდაჯდითა. ნუ [B181v] შევიტყუვებით[12] საცთურითა ვეშაპისაჲთა, ნუ მო[C153r]ვმდგრდებით მოუკლებელთა მისთა ბრძოლათაგან. და[D193v]ვშრიტოთ ტრფიალებაჲ ჯორცთაჲ, ვითარცა დამწუველი[13] სახლსა სულისა ჩუენისასა, რამეთუ არა არს გემოვნებაჲ, არამედ სალმობაჲ ბოროტი, არა არს მხიარულებაჲ, არამედ განცჳბრებაჲ გონებისაჲ და მწუხარებაჲ

---

1 ქმნა BC

2 * ფს. 120,2; 123,8.

3 და] - BD

4 * ფს. 93,17.

5 * ფს. 117,6.

6 უბრძოლველი BD

7 და] - D

8 ** καὶ πατέρες (Gr. 30,38)] om.

9 ვითარცა-იგი D

10 ჩუენდა] + ახოვნებით C

11 დღისა] ღამისა BC, ἡμέρας (Gr. 30,42)

12 შევიტყჷბით B, შევიტყუებით C

13 დამწველი D

დამაქცეველი[1]. და ესე უწყიან[2] [A229r] განფრთხობილთა ჯორ-ცთა სიცოფისაგან და რომელთა ღმრთისა მიმართ ხოლო[3] აქუს ტრფიალებაჲ. რომლისა[4] რაჲმცა იყო უტკბილეს და უფროჲს საშუებელ? რამეთუ[5] კნინღა ესევითარი-იგი[6] ჯორცთა შინა უვაღრეს[7] ჯორცთაჲსა[8] არს, და სოფელსა შინა – უზეშთაეს სოფლისა, და ცხორებასა ამას შინა უვაღრეს[9] ხილულისა ამის ცხორებისა ცხორებს, რომლისა მიერ ღელვანი იგი მადლისანი, აღძრულნი მყუდროჲთა მით ნავითა სულისაჲთა, დაწყნარებასა გამოუ[B182r]თქუმელსა[10] იქმან სულსა შინა მისსა.

არამედ რაჲმე არს უბადრუკებაჲ ესე? [11**] რამეთუ გემოთმოყუარე[D194r]ბისაგან[12] ვიძლევით ჩუენ, რომელი-ესე[13] ბოროტითა მიდრეკითა მიგუ[C153v]დრეკს და შეცვალებითა შეგუცვალებს[14], ვიდრეღა [A229v] არა გჳტევებს კეთილისა რაჲსმე[15] განცდად [16**], არამედ ქუეყანად მიმართ ხედვად, და ჯორცთა

---

1 დამაქცეველი] დაუტევნელი D, ἀλλοίωσις (Gr. 31,47)

2 უწყიან] იციან C

3 ხოლო] სხუაჲ D, μόνον (Gr. 31,48)

4 რომლისა] სულისა D, Οὗ (Gr. 31,48)

5 რამეთუ] და D

6 ესევითარ D

7 უაღრეს ABD

8 უვაღრეს ჯორცთაჲსა] - C

9 უაღრეს BC; ცხორებასა ამას შინა უვაღრეს] ცხორებისა ამის შინა უაღრეს D

10 გამოუთქუმელსა] მრავალსა D, μάλιστα (Gr. 31,53)

11 ** არამედ რაჲმე არს უბადრუკებაჲ ესე?] Ἀλλὰ τί (Gr. 31,54)

12 გემოთმოყუარეობისაგან D

13 რომელი ესრეთ BCD

14 შეგუცუვალებს D

15 რაჲსამე CD

16 ** ვიდრეღა არა გჳტევებს კეთილისა რაჲსმე განცდად - Gr. 31,55.

მიმართ[1] და სისხლთა, ამისთჳსცა ყოვლითურთ უცხო-გუყოფს ჩუენ სახიერისაგან ღმრთისა ჩუენისა[2].

არა გესმა[3], რაჲ-იგი შეემთხჳა საწყალობელსა ევპრეპიანოსს[4]? რამეთუ აწღა გუეუწყა ჩუენ[5], ვითარმედ მოკუდა, და მოკუდა[6] *(ვაჲმე უბადრუკსა!)*[7] არა საწუთროჲთა სიკუდილითა[8], არამედ საუკუნოჲთა, ვინაჲთგან შეეყო დედაკაცსა და მას შინა მოკუდა. ჰ, რაჲღა[9] შეემთხჳა უბადრუკსა?! უწყით განაღა, თუ ვითარ ბრწყინვიდა ნათელი პირველ[10] თავსა ზედა მისსა[11] კეთილადმორწმუნეობისა და სათნოდ ქცევისა[12]? არა ჩემ თანა [B182v] პყრობით იქმნაა[13] აღმსარებელებრ[14] პირველსა მას პყრობილობასა[15]? [16**] არა [A230r] იკო[D194v]ნომოსობისა[17] პატივსა აღვიდა საკუდიისა[18] მონასტერსა? არა აწინდელსა ამას

---

1 ხედვად და ჯორცთა მიმართ] - D

2 ჩუენისა] - D

3 გესმაა C, გესმაჲა D

4 ევპრეპიოსს C

5 ჩუენ] + რამეთუ D

6 და მოკუდა] - D

7 ვაჲმე უბადრუკსა] - C

8 სიკუდილითა] + ვაიმე საწყალობელსა C

9 რაჲღღა A

10 პირველი B

11 ~ მისსა ზედა D

12 ქცევისაჲ BC

13 იქმნა B

14 აღმსაარებელებრ BD, აღმსაარებლებრ C

15 პყრობილებასა D

16 ** ὁμολογητικῶς (Gr. 32,63)] add. პირველსა მას პყრობილობასა

17 იკონმოსობისა A

18 აღვიდაა საკუდისა CD

აღსარებასა[1] განიშიშულაა[2] ღუაწლთა [C154r] მიმართ, და ორგზის იგუემა და სიმჯნით თავს-იდვა? და მერმე რაჲ აქუნდა, ვითარცა იკონომოსსა[3], გუადრუცი[4] მონასტრისაჲ და მას შინა შთადებული[5], შესცთა ვეცხლისმოყუარებითა და მომედგრდა ოქროჲთა, და განიგუმირა მსგავსად იუდაჲსსა[6] და განყიდა უფალი. ჶ-მე, ვინაჲცა განიძარცუა ქალწულებისა[7] აღთქუმაჲ და მსგავსად გეეზისსა[8] მოიყიდნა აგარაკნი და ვენაჯნი, ზროხაჲ და ცხოვარი [9*], და დაიმკჳდრა არა ხოლო[10] თუ კეთროვნებაჲ მისი, არამედ უძჳრესი[11] ფრიად და[12] მრავალწილად მოსასრველი საუკუნოჲ და ცეცხლი უშრეტი [13**].

იხილეთ, ძმანო ჩემნო, თუ რაჲ [A230v] ქმნა [B183r] ვეცხლისმოყუარებამან. და ვივლტოდით[14] ვ[D195r]ნებისა ამისგან, გევედრები, ვითარცა შინა-განცემისა[15] სავაჭროჲსაგან. იხილეთ, თუ რაჲ მოაწია ურწმუნოებამან. ვივლტოდით[16] ბნელისა ამის-

---

1 აღსაარებასა B, აღსაარებასაჲ D

2 განიშიშჳლა B *(ე. ი. იასპარეზა, იმორკინალა).*

3 იკონმოსსა A

4 გუანდრუცი B

5 შთასადებელი CD

6 იუდაჲსა C

7 ქალწულისა D

8 გეეზისსა] გეეზისა B, გეენისა D

9 * იხ. IV მეფ. 5.

10 ხოლო] - BCD

11 უძჳრესი] უაღრესი D

12 და] - D

13 ** τὸ δεινότερον (Gr. 32,72)] add. და მრავალწილად მოსასრველი საუკუნოჲ და ცეცხლი უშრეტი

14 ივლტოდით D

15 შინა-განცემასა D

16 ვევლტოდით C

გან[1], ვითარცა მეუფისა შეერთებისა დამკსნელისა; ვივლტოდით[2] სხჳსაცა ყოვლისავე ვნებისაგან, [C154v] რომელნი მოიცვენ საწყალობელსა სულსა, გულისწყრომასა ვიტყჳ და შურსა[3], მრისხანებასა და[4] თავისა თჳსისა[5] სიყუარულსა, თჳთრჩულობასა[6] და განთჳსებულად რაჲსამე ქონებასა. ივლტოდეთ მარტოებით ყოფისაგან, რაჲთა განერნეთ უფლისა მიერ ბრძანებულსა წყევასა, რამეთუ იტყჳს[7]: **„ვაჲ მარტოსა, რამეთუ უკუეთუ დაეცეს არა არს, რომელმან აღადგინოს იგი“** {8*}. ვითარცა [A231r] შეემთხჳა, რომლისათჳს არს სიტყუაჲ ჩუენი, რამეთუ უკუეთუმცა ყოფილ იყო ვინ[9] მის თანა, დაღაცათუ დაეცა, თანაშეწევნითა მისითამცა[10] დგომილ იყო [B183v] კუალად, და კუალად[11] ეტირამცა ცო[D195v]დვისა მისთჳს და შეენანა [12**]. ვინაჲთგან კულა არავინ[13] აქუნდა, წარწყმდა საწყალობელი იგი და მოისპო და წარვიდა თჳსსა ადგილსა. ტირილითა და ტყებითა სავსე არს, ძმანო, ჰანბავი[14] ესე და შიშითა და ძრწოლითა – სახჱ ესე[15].

---

1 ამის D

2 ვევლტოდით C

3 შურსა] + და D

4 და] - D

5 თჳსისა] - D

6 თჳთშჯულობასა C

7 იტყჳს] + ვითარმედ B

8 * ეკლ. 4,10.

9 ~ ვინ ყოფილ იყო BCD

10 მისითააღმცა D

11 და კუალად] - D

12 ** τὴν ἁμαρτίαν (Gr. 33,83)] add. და შეენანა

13 არა AC

14 ჰამბავი CD

15 ესჱ A; სახე ესე BC; და შიშითა ... სახჱ ესე] - D

და კუალად იტყჳს, ვითარმედ: **„რომელი დგეს, ეკრძალენ, ნუუკუე დაეცეს“** {1*}; და რომელი კეთილად [C155r] რბიოდის[2], იხილენ, ნუუკუე შეუბრკუმეს და განიცდიდინ დაცემასაცა[3] ამის[4] ზემო ჴსენებულისასა. რამეთუ ნუუკუე და ჰგონამცა ვინ, თუ ანგელოზი დაეცეს, ვიდრეღა[5] ძმაჲ იგი, [A231v] გარნა მიერულა რაჲ უდებებითა, დაეცა და მიზეზი იყო ვეცხლისმოყუარებაჲ.

ხოლო არამცა გეტყოდე თქუენ ვეცხლისმოყუარებისათჳს, უკუეთუმცა არა მიმოდაბნეულ იყვენით[6] აწინდელისა ამის დევნულებისაგან და საჴმარ იყო თქუენდა [B184r] საფასჱ[7] სულთა თქუენთა საზრდელად[8], რამეთუ უკუეთუ არა ეკრ[D196r] ძალნეთ ძლიერად, შთასცჴვეთ თქუენ სამჴედურსა მას ვეცხლისმოყუარებისასა. ამის მიერ ვიეთმე არცა თუ მოყუასნი ჰნებვან, არამედ ოქროჲ; ამის მიერ არცა ძმობისა სიყუარულსა[9] შეიტკბობენ, რაჲთა ვნებანი შეიტკბნენ; ამის მიერ ვერცაღა[10] ფერჴნი დაყუდნებიან[11], არამედ აქა და იქი, ვითარცა ძაღლნი რბიან, რაჲთა ნუუკუე სადმე[12] მორწმუნეთაგან ვეცხლი შეიძინონ; [A232r] ამის მიერ [C155v] ვიეთმე[13] მონათა ვნებისათა მონანი მო-

---

1 * 1 კორ. 10,12.

2 რბიოდეს D

3 განიცდიდენ დაცემაჲსა D

4 ამას B

5 თუ ანგელოზი დაეცეს, ვიდრეღა] თუ ვითარცა ანგელოზი არა დაეცემის, ეგრეთვე D

6 ვიყვენი D

7 საფასე BC

8 ~ საზრდელად სულთა თქუენთა BC; საფასჱ სულთა თქუენთა საზრდელად] - D

9 ძმობისა სიყუარულსა] სიყუარულსა ძმობისასა C

10 ვერცა D

11 დაყუდდებიან B

12 სადამე C; სადმე] - D

13 ვიეთნიმე D

იგნეს[1] და წარწყმიდეს[2] საღმრთოჲსა მის აზნაურებისა პატივი. სხუანი კუალად სხჳსა საჴმრისათჳს წარვლენ, რომელი არა უჴმს საჭიროდ [3**], და რეცა საჴმრად თჳსად[4] შეიკრებენ[5], და ვაჭარ და მსყიდელ მექულბაგეთაებრ დასხდებიან და შესაძინელად თჳსად[6] ვაჭრობენ.

[B184v] იხილეთ, ძმანო, საშჯელი ღმრთისაჲ, და იხილეთ საშინელი იგი და დაუძინებელად **[D196v]** მხედველი თქუენი თუალი ღმრთისაჲ, რომელსა არარაჲ დაეფარვის, არცა თუ დაფარულთა შინა გულისათა ქმნილი, არა თუმცა გარეშითა[7] კაცითა. იხილეთ საშჯელიცა[8] სიკუდილისაჲ, რამეთუ[9] აჰა ესერა ორთა ძმათა ჩუენთა შეისუენეს: მილმან და ბარნაბა, და პირველ ამათსა სხუათა, **[A232v]** და ერთი ერთისა[10] შემდგომად წარვალთ. ნუმცა ვინ წარჰყავს სიკუდილსა განუმზადებელი[11], გევედრები[12], ნუცა დაუმტკიცებელი[13], რამეთუ არამცირჱ[14] ბოროტი არს განვრდომაჲ[15] ღმრთისაგან, **[C156r]** და განვრდომაჲ სასუფეველისაგან ცა-

---

1 მოიგეს B

2 წარწყმდეს D

3 ** ἐπείγοντα (Gr. 33,99)] add. რომელი არა უჴმს საჭიროდ

4 თჳსსა C

5 შეიკრებენ] შეიყუარებენ D, συγκομίζονται (Gr. 33,99)

6 თჳსსა C

7 გარეშეთა D

8 საშჯელი B, სასჯელიცა C

9 რამეთუ] - D

10 ერთსა C

11 ნუმცა ვინ წარჰყავს სიკუდილსა განუმზადებელი] ნუმცა ვის წარიყვანს სიკუდილი განუმზადებელსა D

12 გევედრები] - D

13 დაუმტკიცებელსა D

14 მცირე BCD

15 ვრდომაჲ D

თაჲსა, და საშჯელი[1] და მისაგებელი[2] საუკუნოჲ[3], რომლისა მოგონებასაცა ვერ დაუთმობს ყოველი ჯორციელი, არა თუმცა საქმით გამოცდასა, რომელი-ესე უეჭუელად მოიწევის [B185r] მის ზედა, რომელმან არა ყოს სათნო ღმრთისაჲ[4]. რაჲთა[5] უკუე ჩუენ[6] გლახაკთა[7] განრომად შეუძლოთ[8] **„მომ[D197r]ავალისა მისგან რისხვისა ძეთა ზედა ურჩებისათა[9]“** {10*}, ვყოთ ბრძანებული ჩუენდა, გევედრები[11], და ვჰმსახუროთ[12] ღმერთსა ამიერითგან, და რომელიცა რაჲ ვინ შეატყუას თავსა თჳსსა, ვითარმედ [A233r] ნაკლულ[13] არს, განიწმიდენ თავი თჳსი და განაახლენ სული თჳსი ნებასა ზედა ღმრთისასა, რამეთუ **„მახლობელ არს იგი ყოველთა, რომელნი ხადიან მას“** {14*}, და[15] დღითი-დღე სინანულსა მიელის[16], და დღითი-დღე აღიხუამს ცოდვათა ჩუენთა და მარადის ვედრებით გულოცავს, რაჲთა აღვირჩიოთ ჩუენ ცხორებაჲ საუკუნოჲ,

---

1 სასჯელი C

2 მოსაგებელი A

3 განვრდომაჲ სასუფეველისაგან ცათაჲსა, და საშჯელი და მოსაგებელი საუკუნოჲ] გამოვრდომაჲ სასუფევლისაგან ცათასა, სასჯელისა და მისაგებელისა საუკუნოჲსა D

4 სათნო ღმრთისაჲ] სათნოჲ უფლისაჲ BCD

5 რაჲთა] - D

6 ~ ჩუენ უკუᲫ D

7 გლახაკთა] + ამათ ვითარ D

8 ~ შეუძლოთ განრომად D

9 ურჩებისათა] + გევედრები D

10 * შდრ. ეფ. 5,6.

11 გევედრები] - D

12 ვმსახუროთ B

13 ნაკლულევან C

14 * ფს. 144,18.

15 და] - D

16 მოელის CD

რომელსა ღირსმცა ვართ მიმთხუევად ქრისტეს[1] იესუას მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და ძლიერებაჲ[2] თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ[3].

X. [C156v] ყოველთა წმიდათათჳს და ვითარმედ[4] არა სისხლთა დათხევითა ხოლო იქმნების წამებაჲ, არამედ[5] ცხორებისა [B185v] მიერცა[6] საღმრთოჲსა და კეთილისა მოქალაქ[D197v]ობისა.

გუაკურთხენ, მამაო![7]

ძმანო და მამანო, წმიდაჲ მარტჳლიაჲ [A233v] დღესასწაული არს დღესასწაულთაჲ, რომლისა დღესასწაულობად ღირს-ვიქმნენით, ხოლო დღესასწაული[8] არს ესეცა ყოველთა წმიდათაჲ, რომლისადა მიახლებულ ვართ. ხოლო ვინაჲთგან დღესასწაულისა[9] თჳსი[10] არს კეთილისა რაჲსმე[11] მოგებაჲ გულისსიტყჳსა მიერ საღმრთოჲსა, გულისჴმა-ყავთღა[12], უკუეთუ ჯერ-გიჩნს, თუ რაოდენ და რაბამ არიან მოჴსენებულნი ესე

1 ქრისტე ABC

2 ძლიერებაჲ] სიმტკიცე D

3 და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ] - C; აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ] - D

4 ვითარ D

5 არამედ] - D

6 მიერცა] და D

7 გუაკურთხენ, მამაო!] ევლოგის, პატერ! A, - C

8 დღესასწაულთა D

9 დღესასწაული D

10 დღესასწაულისა თჳსი] დღესასწაულისათჳს C

11 რაჲსამე C

12 გულისჴმა-ვყოთღა C

წმიდანი. და ვინმცა უძლო აღრაცხვად[1] ვარსკულავთა[2] ცისათა[3] და ქჳშათა ზღჳსკიდისათა, რომელთა კნინღა და უზეშთაეს არიან სიმრავლითა ყოვლისა სოფლისა მოწამენი, რომელნი სარწმუნოებით ერეოდეს წინააღმდგომთა მათ ძალთა და ახოვნებით განეწყვნეს წყობისა მიმართ მძლევართაჲსა, **[A234r]** დათრგუნეს ცეცხლ**[D198r]**ი, შეურაცხ-ყვეს მახჳლი[4], **[B186r; C157r]** არად შეჰრაცხეს[5] მძჳნვარებაჲ მჳეცთაჲ და ყოვლისავე საძნაურისა მიმართ აღიჭურნეს, რამეთუ შეჰრაცხნეს[6] სატანჯჳველნი საშუებლად და სისხლთა დათხევანი[7] – სიხარულად. და ესევითარითა სასოებითა ვიდოდეს ნაკუერცხალთა ზედა ცეცხლისათა, დაშრიტეს საჯუმილი აღტყინებული და ქმნნეს[8] ბუნებითა[9] უზეშთაესნი ბუნებისანი[10], განაკჳრვნეს მეფენი და მოწყლნეს იგინი წამებითა, ხოლო რასა წამებდეს, ვითარმედ: **„იესუ ქრისტე არს[11] ძჱ[12] ღმრთისაჲ[13] და სახელითა მისითა მოგუეცემის ცხორებაჲ საუკუნოჲ“ {14*}**, ვითარცა წერილარს. გარნა რაჲ-მე არს, სისხლთა დათხევითა ხოლო იქმნესა[15]

---

1 აღრიცხუვად C

2 ვარსკულვთა A

3 ცისათა] - D

4 შეურაცხ-ყვნეს მახჳლნი D

5 შერაცხეს D

6 შეჰრაცხნე D

7 დათხევითა D

8 ქმნეს BD

9 ბუნებათა C

10 ბუნებანი C

11 ~ არს ქრისტე BCD

12 ძე BCD

13 ღმრთისაჲ] + შობილი ქალწულისაგან D

14 * შდრ. ინ. 20,31; 1 ინ. 5,11.

15 იქმნესა BC

მოწამენი[1]? – არა, ნუ იყოფინ, არამედ საღმრთოჲთა [A234v] მოქალაქობითაცა და უბიწოჲთა[2] ცხორებითა, [D198v] რამეთუ იტყჳს მოციქული: **„იქცეოდეს ხალენებითა და თხის ტყავებითა ნაკლულევანნი, ჭირვეულნი, ძჳრხილულნი, რომელთა ღირსვე არა იყო სოფელი ესე, [B186v] უდაბნოთა ზედა შეცთომილნი და მთათა და ქუაბთა და [C157v] ჴუერელთა ქუეყანისათა“** {3*}. და მცირედ ქუემორე[4]: **„ესეოდენი[5] მაქუს გარემოდგომილი ჩუენდა სიმართლჱ[6] წმიდათა მოწამეთაჲ, სიმძიმჱ[7] ყოველი განვიშოროთ და მსწრაფულ მომავალი იგი ცოდვაჲ[8], მოთმინებით[9] ვრბიოდით წინამდებარესა მას ჩუენსა ღუაწლსა და ვხედვიდეთ[10] სარწმუნოებისა ჩუენისა წინამძღუარსა[11] და სრულებისა მოქმედსა იესუს“** {12*}. ხედავა[13], რამეთუ ზოგად მოწამედ უწოდა ყოველთავე [A235r] სიწმიდისა ტრფიალთა და მოთმინებისა მიერ საჭიროჲსა ცხორებისა მტჳრთველთა?

აწ უკუე ჩუენცა, [D199r] ჰ ძმანო, წამებასა ამას შინა დაწესებულ ვართ, რამეთუ თავსდებითა და მოთმინებითა ჩუენითა – მრავალსაჭირველსა ამას მოქალაქობასა ჯუარშემოსილისა ამის ცხორებისასა[14], და დაცვითა ჩუენითა – ქალწულებისა აღ-

1 მოწამე D

2 უბიწოდ D

3 * ებრ. 11,37-38.

4 ქუემორე] + იტყჳს D

5 ესოდენი D

6 სიმართლე BCD

7 სიმძიმე BCD

8 ცოდვაჲ] + და D

9 მოთმინებითა D

10 ვხედეთ D

11 წინამძღუარსა] - C

12 * ებრ. 12,1-2.

13 ხედავთა CD

14 ცხორებისა D

თქუმასა, და[1] დამარხვითა ჩუენითა მორჩილებისა წა[B187r]მებასა უტყუველად ვწამებთ, ვითარმედ: **„იესუ არს ქრისტჱ[2], ძჱ[3] ღმრთისაჲ[4]“ {5*}**. ვწამებთ[6], ვითარმედ საშჯელი[7] არს და მიგებაჲ; ვწამებთ, ვითარმედ სიტყუაჲ [C158r] მივსცეთ წინაშე საშინელისა მის ქრისტეს საყდრისა საქმეთა ჩუენთათჳს[8]. წინააღუდგეთ ეშმაკსა, მტერსა მას ქრისტესსა, რომელი გუტანჯავს და გუგუემს [A235v] მრავალფერთა გულისსიტყუათა მიერ და წარმწყმედელთა გემოთა, ვითარცა მტარვალთა მიერ უწყალოთა [9**], რაჲთა უვარ-ვყოთ, ვითარმედ არა არს ღმერთი, რამეთუ [D199v] განხრწნილნი საქმეთა მიერ ბოროტთა[10] ერჩიან და თანა-ეწამებიან წინააღმდგომსა[11], და საქმეთა მიერ ღაღადებენ, ვითარმედ არა არს ღმერთი, თქუმულისა მისებრ წმიდისა დავითისა: **„თქუა უგუნურმან გულსა თჳსსა: არა არს ღმერთი“ {12*}**. რამეთუ უკუეთუმცა არა იყო[13] დავიწყებაჲ ღმრთისაჲ სულსა შინა[14] კაცთასა, ვითარცა-რაჲ უარისყოფაჲ[15] რაჲმე, ვერმცა

---

1 და] - D

2 ქრისტე BC; ქრისტჱ] - D

3 ძე BCD

4 ღმრთისაჲ] + შობილი მარიამ ქალწულისაგან D

5 * ინ. 20,31.

6 ვწამებ D

7 სასჯელი CD

8 საქმეთა ჩუენთათჳს] საქმეთათჳს C

9 ** ἡδονῶν (Gr. 37,37)] add. ვითარცა მტარვალთა მიერ უწყალოთა

10 საქმეთა მიერ ბოროტთა] ბოროტთა საქმეთა D

11 წინააღმდგომთა D

12 * ფს. 13,1; 52,1.

13 ყო B

14 შინა] - C

15 უვარისყოფა D

უძლო გონებასა[1] შთაგდებად გემოთა შინა ჯორციელთა **[B187v]** და მიდრეკად შერეულებისა მიმართ ცოდვისა: მთრვალობისა, ბილწებისა, სიმღერისა, შუებისა, ანგაჰრებისა, კერპთმსახურებისა **[A236r]** და სხჳსა ყოვლისავე[2] მიმართ, რომელიცა-რაჲ არს უწესოებაჲ **[C158v]** და სიბოროტჱ[3] **[4**]**, და მიერითგან წარიტაცოს რაჲ[5] ღმრთისაგან, შეიდგენს[6] კუალსა თჳსსა ესევითარსა მას სულსა და მოატყუებს დაუშრეტელსა მას[7] ცეცხლსა[8] საუკუნოჲსა სატანჯჳ**[D200r]**ელისასა. ეჰა, ვითარღა საწყალობელ არს საცთური ესე[9] და უბოროტეს – აღსასრული საცთურისაჲ.

ხოლო ჩუენ, ჵ ძმანო, ვითარცა მოწამეთა ქრისტესთა, მერმეცა ვწამოთ[10] წამებაჲ იგი კეთილი[11], მერმეცა აღვიაროთ კეთილი იგი აღსაარებაჲ[12] და ვიხარებდეთ ყოველთა თანა წმიდათა, რამეთუ ღირს-ვიქმნენით[13] წამებად ქრისტესთჳს და **„არა მოუდრიკნეთ[14] მუჴლნი ჩუენნი[15] ბაალს“ {16*}**, ხოლო ვიტყჳ

1 გონებასა] + კაცთასა C

2 ყოვლისა D

3 სიბოროტე BCD

4 ** რომელიცა-რაჲ არს უწესოებაჲ და სიბოროტჱ] τῶν ἐκτόπων (Gr. 37,46)

5 ~ რაჲ წარიტაცოს B; რაჲ] - C

6 შეიდგეს D

7 სულსა და მოატყუებს დაუშრეტელსა მას] - D

8 ცეცხლისა D

9 ესჱ A

10 ~ ვწამოთ მერმეცა C

11 ~ კეთილი იგი წამებაჲ BCD

12 აღსარებაჲ D

13 ღირს-ვიქმნნეთ D

14 მოუდრიკენით BC

15 თქუენნი B

16 * შდრ. III მეფ. 19,18; რომ. 11,4.

გულისთქუმასა[1] ჯორცთასა და სხუათა მათ გემოთა [B188r] საწუთროჲსათა[2]. [A236v] ნუ ვირწმუნებთ მისსა, მოგუაგონებდეს[3] რაჲ მორჩილებისა უარისყოფისა მიზეზთა, არამედ დღითი-დღე ვითარცა სტადიონსა შინა ვიღუწიდეთ მოწყლულნი, არამედ არა დაჴსნილნი[4]; განმჴნობილნი, არამედ არა შეგინებულნი. და მერმე რაჲ არს წამებისა ამისგან [C159r] შესაძინელი, იცით განაღა? რამეთუ მოწამენი ვი[D200v]სნიმე სოფელსა ამას შინა თანაზიარ სიხარულისა მისისა[5] იქმნებიან და საქმეთა მათთჳს[6], რომელთათჳს[7] ეწამნეს, თანამონაწილედ გამოჩნდებიან. ამისთჳსცა გულისჴმისსაყოფელ არს, ვითარმედ ქრისტეს მოწამენი, რომელთა წამეს მისთჳს ყოველსა შინა და წამებისათჳს ჭეშმარიტისა მოუთმენელნი ტანჯვანი თავს-ისხნეს, მერმესა მას [A237r] საუკუნესა[8] თანამკჳდრად გამოჩნდენ, ვითარცა იტყჳს მოციქული, ვითარმედ: **„რაჟამს ქრისტჱ[9] გამოცხადნეს, ცხორებაჲ[10] ჩუენი, მაშინ თქუენცა გამოჰსცხადნეთ[11] მის თანა დიდებით“**{12*}. [B188v] რომელთა თანა[13] ჩუენცა წამებაჲ ჩუენი სრულ-ვყოთ[14], რამეთუ

---

1 გულისთქმასა D

2 საწუთოჲსათა D

3 მოგუუაგონებდეს A

4 დაჴსნილნი] + არამედ C

5 თანაზიარ სიხარულისა მისისა] ზიარ სისხლისა მის D, κοινωνοὶ τῆς εὐφροσύνης (Gr. 38,60-61)

6 მათთათჳს C, მათთაჲთჳს D

7 რომელთა C

8 საუკუნოსა A

9 ქრისტე BCD

10 ცხოვრებაჲ A

11 გამოსცხადნეთ BCD

12 * კოლ. 3,4.

13 დიდებით, რომელთა თანა] - D

14 სრულ-ვყოთ] რომელ ვყოთ D

გრძელ არს და ცხორებისა[1] მიერ ყოვლისა, ვიდრეღა სოფელსა შინა ვიყვნეთ[2], რაჲთა ღირს-ვიქმნნეთ[3] საუკუნეთა მათ მოსაგებელთა[4] საშუებელსა[5] და ქრისტეს თანა საუკუნოდ სიხარულსა[6], რამეთუ მისა შუენის დიდებაჲ[7], პატივი და თაყუანისცემაჲ თანა მამით და სულით წმიდითურთ[8], აწ და მარადის და უკუნისამდე. ამინ[9].

XI პირველსა კვრიაკესა, მისივე სწავლაჲ მშჯდობისათჳს[10]

გუაკურთხენ, მამაო![11]

ძმანო და მამანო, მშჯდობისა დღჱ[12] არს კვრიაკჱ[13], რამეთუ მბრძოლი იგი მას შინა წარ[C159v]მოტყუენა უფალმან და [A237v] ჰრქუა მოწაფეთა: **„მშჯდობაჲ თქუენ თანა“** {14*}, ხოლო ესე თქუა, არათუ მათ ხოლო დაუმკჳდრა მშჯდობაჲ, ანუ

---

1 ცხოვრებისა A (ასეა სხვა შემთხვევებშიც ამ ნუსხაში)

2 რამეთუ გრძელ არს და ცხორებისა მიერ ყოვლისა, ვიდრეღა სოფელსა შინა ვიყვნეთ] - D

3 ღირს-ვიქმნეთ B

4 მოსაგებელთა] კეთილთა B, ἀμοιβῶν (Gr. 39,70)

5 საშუჱბელთა D

6 ~ სიხარულსა საუკუნოდ B

7 დიდებაჲ] + და BD

8 თანა მამით და სულით წმიდითურთ] მამისა და ძისა და სულისა წმიდისა B

9 ამინ] - A, წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნისამდე. ამინ] - C

10 ეს ქადაგება H 368-ში (D ლიტერი) არ გვხვდება.

11 გუაკურთხენ, მამაო!] - AC

12 დღე BC

13 კვრიაკე BC

14 * ლკ. 24,36; ინ. 20,19; 20,21.

ერთსა დღესა შინა[1] შეაყენა, არამედ ყოველთა და ყოვლადვე მასვე მშჯდობასა უღაღადებს, ვითარცა ჩუენცა, გლახაკთა ამათ.

აწ უკუე, ვინაჲთგან მშჯდობაჲ გუაქუს, მშჯდობასა ვჰყოფდეთ თავთა შორის თჳსთა გარეშითა კაცითა ესრეთ, რაჲთა არა [B189r] გუაქუნდეს მტერობაჲ ძმათა ჩუენთაგანისა ვისმე[2], არამედ ყოველთა მიმართ სიყუარული, ვითარცა იტყჳს, ვითარმედ: **„ამით ცნან ყოველთა, ვითარმედ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკუეთუ იყუარებოდით ურთიერთას“** {3*}, ხოლო შინაგანითა კაცითა ესრეთ, რაჲთა მშჯდობაჲ გუაქუნდეს და მყუდროებაჲ გულისსიტყუათაგან და [4**] ვნებათა[5] წარმწყმედელთა, რაჲთა ესრეთ შეუძლოთ [A238r] მოციქულისა თანა თქუმად, ვითარმედ: **„მშჯდობაჲ გუაქუს[6] ღმრთისა მიმართ ქრისტე იესუჲს მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისა მიერ დაგებაჲ ესე მოვიღეთ მადლისაჲ ამის სარწმუნოებითა, რომელსაცა ზედა ვდგათ და ვიქადით სასოებითა დიდებისა[7] ღმრთისაჲთა“**+{8*}. [C160r] ხოლო ვინაჲთგან მიმოქცევადისა ბუნებისანი ვართ, და მოიწევის ჩუენ ზედა შერყევაჲ და მიმოკუეთებაჲ, და ესე[9] უეჭუელად, მეესეულად აღვისწრაფოთ პირველისავე მყუდროებისა ჩუენისა და მოვიგოთ მშჯდობაჲ ღმრთისა მიმართ, **„რამეთუ იგი არს მშჯდობაჲ ჩუენი, რომელმან შექმნა [B189v] ორივე ერთად და შუაკედელი[10]**

---

1 ~ შინა დღესა B

2 ვისიმე BC

3 * ინ. 13,35.

4 ** ἡσυχίαν (Gr. 40,11)] add. გულისსიტყუათაგან და

5 ვნებთა A

6 გუაქს B

7 დიდებისა] - C

8 * შდრ. რომ. 5,1-2.

9 ესᲫ A (ასეა სხვა შემთხვევებშიც ამ ნუსხაში)

10 შუაკედელი BC

ზღუდისაჲ მის დაჰვსნა[1], მტერობაჲ იგი ჴორცითა[2] თჳსითა, შჯული იგი მცნებათაჲ მათ ბრძანებით განაქარვა, რაჲთა ორივე იგი დაჰბადოს [A238v] მას შინა ერთად ახლად კაცად ყოფად მშჳდობისა, და დააგნეს ორნივე იგი ერთითა მით ჴორცითა ღმერთსა, ჯუარისა მიერ მოკლა მტერობაჲ იგი მას შინა“ {3*}. ესე არს საქმჱ[4], რომელი აღასრულა უფალმან, ვითარცა იტყჳს მამისა მიმართ: **„საქმჱ[5] აღვასრულე, რომელი მომეც მე, რაჲთა ვყო“** {6*}, ესე იგი არს, ვითარმედ მშჳდობაჲ ვყავ შორის ზეცისათა და ქუეყანისათა, ესრეთ მშჳდობისა და სიყუარულისა ძედ გამოგუაჩინნა ჩუენ. [C160v] ხოლო უკუეთუ ვინმე იტყოდის: ვითარ[7] ეგების ესე, რაჲთა არა ვიყვნეთ ჩუენ მარადის ბრძოლასა შინა? ვინაჲთგან იტყჳს მოციქული, ვითარმედ: **„არა არს ბრძოლაჲ ჩუენი ჴორცთა მიმართ და სისხლთა, არამედ მთავრობათა [B190r] მიმართ და ჴელმწიფებათა, სოფლისმპყრობელთა მიმართ ამის ბნელისათა, [A239r] სულთა მიმართ უკეთურებისათა, რომელ არიან ცასა ქუეშე“** {8*}. ესრეთ ვჰრქუათ[9] მას[10], ვითარმედ: თუ ვითარი არს და რაბამი ბრძოლაჲ ესე, გჳჩუენებს ჩუენ, არა თუ რაჲთა ვჰბრძოდით[11], რამეთუ იტყჳს სხუასა ადგილსა: **„გულისსიტყუათა დავარღუევთ და ყოველსა სიმაღლესა, ამაღლებულსა მეცნიერებასა ზედა**

---

1 დაჳსნა B

2 ჴორცითა] + მით C

3 * ეფ. 2,14-16.

4 საქმე BC

5 საქმე BC

6 * ინ. 17,4.

7 ვითარმედ C

8 * ეფ. 6,12.

9 ვრქუათ BC

10 მათ C

11 ვბრძოდით BC

ღმრთისასა, და წარმოვსტყუენავთ ყოველსა მეცნიერებასა მორჩილებად ქრისტესა, და მზა-ვართ შურისგებად ყოველსა ურჩებისაგან“ {1*}.

ხოლო რომელი ესრეთ განმზადებულ იყოს, საცნაურ არს, ვითარმედ მას დაუყუდებიეს ბრძოლაჲ და მშჯდობით იქცევის. არამედ ნუ საწყინო გიჩნ[2], ძმანო ჩემნო, რაჟამს ესევითარსა რას[161r]მე[3] ვიტყოდი და ესევითართათჳს გამოვეძიებდე[4] [5**], რამეთუ არა ურგებ არს, [A239v] არამედ ფრიადცა სარგებელ, რამეთუ გზა-უყოფს სიტყუაჲ საქმისა მიმართ.

[B190v] სხუანი უკუე სოფლისათჳს იტყოდენ და რაოდენნი არიან სოფლისანი[6], ვითარ მუშაკობისა[7], ვაჭრობისა, შესაძინელისა და ჭირვებისა და სხუათა მათთჳს ამაოებისა მოსწრაფებათა. ხოლო ჩუენ რაჲ ვთქუათ სხუაჲ, ანუ რაჲ ჯერ-არს თქუმად?[8] არამედ სულისათჳს, და უცხო ქმნისათჳს ვნებათაგან, და მოგებად სათნოებათა, და განშორებისათჳს სულისა ჯორცთაგან, და წარდგინებისათჳს წინაშე საყდარსა ქრისტესსა, საშჯელისათჳს, და მიგებისა, და თავადისა მისთჳს სასუფევლისა ცათაჲსა, რომლისა ღირსმცა ქმნულ ვართ ჩუენ დამკჳდრებად მადლითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რამეთუ მისა შუენის დიდებაჲ და სიმტკიცჱ[9] თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნისამდე. ამინ[10].

---

1 * 2 კორ. 10,4-6.

2 გიჩნს C

3 რასამე C

4 გამოვეძიებდეთ C

5 ** ესევითართათჳს გამოვეძიებდე] περὶ τὰ τοιαῦτα καταγινόμενος καὶ τοῦτο κἀκεῖνο διεξετάζων καὶ διερευνώμενος (Gr. 41,41-42)

6 სოფლისაგან C

7 მოშაკობისა A

8 რაჲ ჯერ-არს თქუმად] რასა ვიტყოდით C

9 სიმტკიცე BC

10 ამინ] - A, + გაბრიელს შეუნდვენ ღმერთმან C

XII [A240r; C161v] მეორესა კვირიაკესა, ვითარმედ ჯერ-არს შიშითა და სიყუარულითა ღმრთისაჲთა გარდაჯდაჲ ცხორებისა [B191r] ჩუენისაჲ და დაძინებისათჳს ძმისა ევდუკიმოჲსსა[12]

გუაკურთხენ, მამაო![3]

ძმანო და მამანო, დღჱ ესე კჳრიაკისაჲ, რომელსა დღეს ვდღესასწაულობთ, კმა არს ჩუენდა სახედ სწავლისა, უკუეთუ ოდენ ვერჩდეთ, რამეთუ ამას შინა აღმადგინნა ჩუენ უფალმან ჩუენმან[4] იესუ ქრისტემან დაცემულნი ცოდვითა; ამას შინა ცხოველ-მყვნა ჩუენ მომკუდარნი ურჩულოებითა[5] და წინადაუცუეთილებითა ჴორცთა ჩუენთაჲთა; ამას შინა განმიღო ჩუენ კუალად სამოთხჱ[6] შუებად ძელისა მისგან ცხორებისა, რომელ არს ცხოველსმყოფელი ჴორცი და სისხლი მისი[7]; ამას შინა ვმაღლოით სიკუდილსა ზედა და მსგავსად [A240v] საწინაჲსწარმეტყუელოჲსა[8] მის ჴმისა ვღაღადებთ: **„სადა არს სიკუდილო საწერტელი შენი? ანუ სადა არს[9] ჯოჯოხეთო ძლევაჲ შენი?“ {10*}** ძლეულ ხარ მის მიერ, რომელმანიგი თქუა: **„ნუ გეშინინ, რამეთუ მე მიძლევიეს სოფლისადა“ {11*};** და მერმეცა ვთქუა მსგავსად მოციქულისა: [B191v; C162r] ამას შინა ღმერთმან და მამამან **„თანა-აღმადგინნა და თანა-დამსხნა**

---

1 ევდოკიმოჲსა BC

2 ეს ქადაგება H 368-ში (D ლიტერი) არ გვხვდება.

3 მამაო] უფალო A; გუაკურთხენ, მამაო!] - C

4 ჩუენმან] - B

5 უშჯულოებითა B, უსჯულოებითა C

6 სამოთხე BC

7 მისი] ქრისტესი B, αὐτοῦ (Gr. 42,7)

8 საწინაჲსწარმეტყუელისა B

9 სადა არს] - B

10 * ოს. 13,14; 1 კორ. 15,55.

11 * ინ. 16,33.

ჩუენ ზეცათა შინა ქრისტეს[1] იესუჲს მიერ, რაჲთა აჩუენოს ჟამთა მათ მომავალთა გარდამატებული იგი სიმდიდრჱ[2] მადლისა თჳსისაჲ სიტკბოებით ჩუენდა მომართ ქრისტეს მიერ“ {3*}. და ჰ, გამოუთქუმელნი იგი ნიჭნი მისნი! თუ სადაჲთ სადა აღმიყვანნა[4] ჩუენ? სიკუდილისაგან – ცხორებად, ბნელისაგან – ნათლად, მონებისაგან – აზნაურებად, მტერობისაგან [A241r] – საკუთრად საყუარელად, და ესეოდენად, ვიდრეღა **„თანახატ მსგავსებასა მას ძისა თჳსისასა“** {5*} გამომაჩინნა ჩუენ. რაჲ არს მიუთხრობელი ესჱ[6] მადლი? რაჲ არს გარდარეული ესჱ სიმდიდრჱ[7] ჩუენდა მომართ სიყუარულისა მისისაჲ? რამეთუ მხოლოდშობილი ძჱ[8] მისი მისცა საჳსრად ჩუენ ყოველთათჳს. ჟამი არს თქუმად მგალობელისა თანა: **„ვინმე იტყოდის საკჳრველებათა შენთა, უფალო, და სასმენელ-ყვნეს ყოველნი ქებულებანი შენნი?“** {9*}

[B192r] აწ უკუე შევიყუაროთ იგი, რომელმან **„შემიყუარნა ჩუენ“** {10*}, და მოვკუდეთ მისთჳს, **„რომელი მოკუდა** [C162v] **ჩუენთჳს“** {11*}, და რაჲთურთით ნუ მივიქცევით სისხლთა მიმართ და ჯორცთა, ნუცა ზაკუვითა გუელისაჲთა[12] [A241v] შევსცთებით, ნუცა გემოთა სოფლისათა შევიწყნარებთ, ნუცა ნაყოფსა ცოდვისასა მოვისთულებთ, რომლისაგან არს სიკუდილი, რამეთუ წერილ არს: **„ნებსით რაჲ ვცოდვიდეთ, შემდგომად მოღებისა**

---

1 ქრისტე BC

2 სიმდიდრე BC

3 * ეფ. 2,6-7.

4 აღმომიყვანნა C

5 * შდრ. რომ. 8,29.

6 ესე BC

7 ესე სიმდიდრე BC

8 ძე BC

9 * ფს. 105,2.

10 * 1 ინ. 4,10.

11 * 1 თეს. 5,10; შდრ. რომ. 14,8.

12 გუელისაჲთა] მტერისაჲთა C, τοῦ ὄφεως (Gr. 43,26)

ცნობისა[1] ჭეშმარიტებისასა, არღარა ცოდვათათჳს დააკლდების მსხუერპლი, არამედ საშინელი რაჲმე მოლოდებაჲ საშჯელისაჲ[2], და ცეცხლისა შური შეშჯამდეს წინააღმდგომთა“ {3*}. ამისთჳსცა **„შიშით და ძრწოლით ვჰმონებდეთ უფალსა“** {4*}, გონიერებით და გულისჴმისყოფით გარდავიჴდიდეთ ცხორებასა, მოთმინებით და განკითხვით ვიპყრობდეთ სამსახურებელთა, გამოწულილვითა ფრიადითა, არა ხოლო [B192v] სულიერთა საქმეთათჳს, არამედ [A242r] ჴორციელთათჳსცა, ვიდრე შეშისა დაწუვამდეცა და წყლისა წარგებად, რამეთუ ესენიცა, ვითარცა ჰხედავთ[5], კუნძულსა [C163r] ამას შინა ნაკლულევანებით არიან; და ამას ყოველსა ზედა საშჯელსა სიკუდილისასა იგონებდეთ[6], რამეთუ აჰა ესერა ევდოკიმოსცა, ძმაჲ ჩუენი, მიიცვალა უფლისა მიმართ. და უკუეთუ სიკუდილი ძმისა ჩუენისაჲ არა გონიერ მყოფს ჩუენ, მაშა ვინღა მომაქცინეს ჩუენ? და უკუეთუ საიდუმლოჲ სიკუდილისაჲ არა განმსწავლის ჩუენ, მაშა რამანღა შეუძლოს აღკრძალვად ჩუენდა წარმწყმედელთა[7] ვნებათაგან? რამეთუ ვიდრეღა ვიტყოდით და განვიზრახვიდეთ ამას რასმე, გინა მას რასმე, მეყსეულად მოიწიოს დღჱ[8] იგი საშინელი[9] სიკუდილისაჲ, რომელი-იგი საშინელ არს და ძნიად [A242v] შესამთხუეველ შეპყრობილთათჳს ცოდვათა მიერ, და რომელთა აღუვარებელნი [B193r] ცოდვანი ჰქონდინ, სახებოროტთა, ურჩთა და[10] თჳთრჩულთა[11], ხოლო ტკბილ და საწადელ –

---

1 ცნობასა A

2 სასჯელისაჲ C

3 * ებრ. 10,26-27.

4 * შდრ. ებრ. 12,28.

5 ხედავთ BC

6 იგონებდით BC

7 წარწყმედულთა A

8 დღე BC

9 საშინელი] - C

10 და] - C

11 თჳთშჯულთა C

ღმრთისმოყუარეთა და სათნოებისამოყუარეთა, ღმრთისმოშიშთა, მდაბალთა და მორჩილთა[1], რომლისათჳსცა გევედრები და მოგაჯსენებ, ძმანო ჩემნო, ესევითარნი გულისსიტყუანი მოვიგნეთ, [C163v] და განვეშორნეთ ვნებათაგან ყოვლითა ძალითა ჩუენითა, შეუდგეთ სიყუარულსა ქრისტესსა სათნოებათა აღსრულებითა და დავემტკიცნეთ მას ზედა [2**], რაჲთა ესრეთ სრულ-ვყოთ ცხორებაჲ ჩუენი და სასუფეველი ცათაჲ დავიმკვიდროთ ქრისტეს[3] იესუჲს მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცჱ[4] თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ[5] [6**].

XIII [A243r] მესამესა კჳრიაკესა, ჯსენებისათჳს სიკუდილისა და სიტყჳსმიცემისა[7] საქმეთა ჩუენთათჳს წინაშე საშინელისა მის სამშჯავროჲსა[8]

გუაკურთხენ, მამაო![9]

[B193v] ძმანო და მამანო, დღჱ[10] ესე აღდგომისაჲ არს, ხოლო მე სიკუდილისათჳს ვიტყჳ, რამეთუ უწყით, თუ ვითარ ზედაჲს-

---

1 ~ მორჩილთა და მდაბალთა BC

2 ** διαπράττοντες (Gr. 45,52)] add. და დავემტკიცნეთ მას ზედა

3 ქრისტე AC

4 სიმტკიცე B; და სიმტკიცჱ] - C

5 და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ] გაბრიელს შეუნდვენ ღმერთმან C

6 ** **აქ A 500-ში 242v გვერდის დასასრულს წერია: „ლოცვაყავთ გიორგისთჳს თარგამანისა“.**

7 სიტყჳსგებისა C

8 **ეს ქადაგება H 368-ში (D ლიტერი) არ გვხვდება. „სტოდიერის“ დიდი მარხვის ქადაგება: „სამშაბათსა პირველისა შვიდეულისასა...“ აღებულია ამ საკითხავის ტექსტიდან.**

9 გუაკურთხენ, მამაო!] - AC

10 დღე BC

ზედა და[1] შემდგომითი-შემდგომად განვლენ ცხორებისა ამისგან ძმანი ჩუენნი და მამანი. და ესე სხუაჲ არარაჲ არს, არამედ უწყებაჲ, ვითარმედ კნინღა და ჩუენცა მივიცვალებით ამიერ, ხოლო მივიცვალებით, არა საწუთროთა და ქუეყანისა ადგილთა და საყოფელთა, არამედ უნივთოთა და სამარადისოთა სავანეთა, რომელთაგან არა არს მოქცევაჲ ერთგზის წარსრულთაჲ. და საშინელ არს **[C164r]** სიკუდილისათჳს სმენაჲ, ხოლო უსაშინელ არს, რაჟამს თუალითა იხილვოს, **[A243v]** ვითარ-იგი ჩუენ პირველ ექუსისა დღისა ხალკიტისა[2] წინამძღურისაჲ[3] ვიხილეთ. რამეთუ ვინაჲთგან მივეწიფენით მას უკუანაჲსკნელსა აღმოფშჳნვასა, ფრიად განვკჳრდით[4] საქმესა მას ზედა, თუ ვითარ ერთსა შინა წამსა თუალისსა **[B194r]** ჩუენ თანა იყო, და ჩუენგან განგუეყო და მიეცა სიკუდილსა. და ჭეშმარიტად საშინელ არს სმენაჲ და განსაკჳრვებელ ხილვაჲ. თქუა უკუე, ვიდრე სულიერღა იყო ნეტარი იგი, ესევითარი რაჲმე სიტყუაჲ, ვითარმედ: **„ვერ ვეწიფე“**[5] **[6***]**, და სიტყუასა თანა შეძრა თავი[7] ჴელითურთ, ხოლო სახჱ[8] სიტყჳსა[9] მის არა გამოაცხადა. ხოლო ჩუენ გულისჴმა-ვყავთ, თუ[10] რაჲსათჳს არა იქმნა გამოცხადებაჲ. და ესე[11] ვთქუ არა მისდა შესმენად, ნუ იყოფინ! არამედ თავისა თჳსისა შეშინებად და თქუენდა

---

1 და] - C

2 ხალკიდისა B, ხალკიისა C, τῆς Χαλκίτου (Gr. 46,9)

3 წინამძღურისა B

4 განვიკჳრდით A, გავიკჳრდით B

5 ესევითარი რაჲმე სიტყუაჲ, ვითარმედ: **„ვერ ვეწიფე“**] - B; სიტყუაჲ, ვითარმედ: **„ვერ ვეწიფე“**] - C

6 ** ვერ ვეწიფე] Ἐφθάσθην μικρόν (Gr. 46,14-15) მცირედღა დავეწიფე (**„საშაბათსა პირველისა შვიდეულისასა...“**, A 500, 25r).

7 თავიცა B

8 სახე BC

9 სიტყჳსაჲ C

10 თუ] - A

11 ესე] - C

განსაკრძალველად, რაჲთა არა [A244r] მივიწინეთ ესევითარისა ჴმისა აღმოთქუმად ჟამსა სიკუდილისასა, არამედ განმზადებულსა და შეუშფოთებელსა, რამეთუ წერილ არს: **„განვემზა[C164v]დე და არა შევძრწუნდი“** {1*}. ხოლო ვერსადა ვპოვოთ ესე, არა თუ დღითი-დღე თავთა თჳსთა ვეკრძალებოდით, და წარმართებულნი დავიმარხნეთ კრძალულად, და უდებქმნილნი [B194v] განვჰმართნეთ მოღუაწებით[2], და ესრეთ განვემზადებოდით მარადის, ვითარცა ზეცას[3] აღმავალნი. რამეთუ ვის წინაშე წარვდგებით, მითხართღა, ანუ არა ყოველთა მსაჯულისა და ღმრთისა[4]? რომლისა **„მოდრკეს ყოველი მუჴლი ზეცისათა და ქუეყანისათა და ქუესკნელისათაჲ[5], და ყოველმან ენამან აღუვაროს[6]“** {7*}. და რომელი სიტყჳსმიცემაჲ გუეგულების? არა ყოვლისავე ცხორებისა ჩუენისათჳსა, საქმით და სიტყჳთ და [A244v] გონებით? მე უკუე რაოდენგზისცა მოვიჴსენო ესე, ძრწოლაჲ შემიპყრობს და ვჰგონებ, ვითარმედ მეყსეულად მოიწიოს[8]. ხოლო თქუენდა ჴერ-არს, რაჲთა უშიშ იყვნეთ. ხოლო თქუენ გეტყჳ კეთილად მორჩილთა და რომელნი ყოველსავე ზრუნვასა მორჩილებისა[9] სიტყჳსა მიმართ მიაგდებენ[10], რამეთუ ესევითარი არს [C165r] ჭეშმარიტისა მორჩილისა[11] ცხორებაჲ. ხოლო ვითარიმე სიტყჳსგებაჲ განიმზადონ თავთა თჳსთათჳს[12] წინაშე

---

1 * ფს. 118,60.

2 მოღუაწებად C

3 ზეცად C

4 ღმრთისაა C

5 ქუესკნელისაჲთა B

6 აღუაროს C

7 * ფილ. 2,10-11.

8 მოიწიოსო B

9 ~ მორჩილებისა ზრუნვასა C

10 მიაგდებთ C

11 მორჩილისა] - C

12 თჳსთა C

საშინელისა ქრისტეს საყდრისა, [B195r] რომელნი მორჩილებისა წესთა განჰრყუნიან[1], რომელნი განთჳსებულად ცხორებენ, და უწესოდ იქცევიან აქა და იქი, და სლვაჲ ფერჳთაჲ არა აქუს, რომელნი ვეცხლით ფრდილთა მონათა მიმოიყვანებენ? ეჰა, ჩემი ესე უბადრუკებაჲ! ვითარ საბაძველ არს [A245r] უკეთურებაჲ? და ვითარ უკუნ-იქცეს მართლუკუნ წრფელად მავალნი მონაზონებისა მოქალაქობასა? რომელთათჳს იტყჳს: **„უმჯობეს იყო მათდა, არა ცნობაჲ გზისა მის სიმართლისაჲ, ვიდრე ცნობაჲ და უკუნქცევაჲ მოცემულისა მისგან მათდა წმიდისა მცნებისა. შეემთხჳა მათ ჭეშმარიტისა მისებრ იგავისა: ძაღლი მიექცა ნათხევარსა თჳსსა და ღორი ინწუბა სანგორელსა მწჳრისასა“** {2*}. რასა იტყჳ, მოყუასო? მარტოქმნილი და სოფლისაგან ლტოლვილი და განჴსნილი ყოვლისავე მსოფლიოჲსა [C165v] სიყუარულისა [B195v] და ზიარებისაგან, მონასა მოიყვანება? მოიყვანე უკუე ცოლიცა, რამეთუ ორივე ესე სოფლისა[3] და მსოფლიოთადა მიცემულ არს, ხოლო რომელთა მიერ ჯუარ[A245v]შემოსილი ესე ცხორებაჲ ჭეშმარიტებით აღრჩეულ არს, ორივე ესე უცხო არს მათგან. არამედ, ვითარ ვჰგონებ, ცოდვაჲ არს მიზეზ ყოვლისა ბოროტისა, რამეთუ ვინაჲთგან ვნებათმოყუარე ვართ და ვეცხლისმოყუარე, და[4] შევძინო ესეცა, და დედათმოყუარე. არა გუნებავს ძმისა თანა მკჳდრობაჲ, არამედ მარტოებაჲ[5], რაჲთა არა გუეახლოს მხილველი და მამხილებელი დაფარულთა საქმეთაჲ, რომელ არს მონებაჲ მონაგებთაჲ, ვითარცა ჭეშმარიტად განფრდილთა ცოდვითა, და მონათა ჴორცთა და სისხლთასა. ამის მიერ იქმნების დაჴსნაჲ, და დაბრკოლებაჲ, და დაცემაჲ[6] ჭეშმარიტებით და არა იჭუეულებით[7];

---

1 განჰჳრყუნიან B

2 * 2 პეტრე 2,21-22.

3 სოფლისადა C

4 და] - B; და ვეცხლისმოყუარე, და] - C

5 მარტოვებით C

6 ~ და დაცემაჲ, და დაბრკოლებაჲ C

7 იჭუᲔლებით B

ამის მიერ ვიგლოვ და მწუხარე ვარ, რამეთუ [B196r] ვამხილებ და უწამებ[1], და არავინ არს, რომელმანცა ისმინა. არამედ რასა იტყჳს, [A246r] ვითარმედ: **„უკუეთუ[C166r]მცა არა მოვედ და ვეტყოდე მათ, ცოდვაჲმცა არა აქუნდა, ხოლო აწ მიზეზი არა აქუს ცოდვათა მათთათჳს“** {2*}. **„ვიანაჲცა უბრალომცა ვარ გლახაკი ესე სისხლისაგან ესევითართაჲსა“** {3*}, და სრულიადიმცა მოკუეთაჲ მომეწია მათ ზედა, მსგავსად მცნებისა მის, რომელი ბრძანებს {4*}, არამედ ვინაჲთგან დევნულებაჲ არს, ჯერეთ[5] ვადროებ, რაჲთა ნუუკუე სადმე[6] განიფრთხონ ესევითართა მათ საფრჳისაგან ეშმაკისა[7], მოკუფხლვილთა მის მიერ და შეწყუდეულთა ნებასა მისსა.

ხოლო თქუენ, კურთხეულნო უფლისა მიერ, რომელნი ერთმანერთისა თანა და ურთიერთარს[8] ორნი გინა სამნი ზოგადცხორებულთა წესისაებრ სცხონდებით, ხოლო უკუეთუ უმრავლესნი[9] იყვნენ ერთად, უმეტესისაცა ქებისა ღირს არიან [10**], [A246v] რომელნი სახლთა შინა იყოფვით [B196v] და არასადა განხუალთ უჟამოდ, თჳნიერ საჭიროჲსა რაჲსმე[11], და უფროჲსღა უბანთა და კრებათა, რომელნი ურთიერთარს[12] [C166v] ჰმსახურებთ, და ამის მიერ[13] ჰმეუფებთ სოფელსა ზედა, და მონებრივისა მონათა მონებისაგან

---

1 და უწამებ] - B

2 * ინ. 15,22.

3 * შდრ. საქმე 20,26.

4 * იხ. 1 კორ. 5,13.

5 ჯერთ A

6 სადამე C

7 ეშმაკთაჲსა C

8 ურთიერთას AC

9 უმრავლესნი] უმეტესნი C

10 ** ხოლო უკუეთუ უმრავლესნი იყვნენ ერთად, უმეტესისაცა ქებისა ღირს არიან] τὸ δὲ πλέον πλεῖον καὶ ἐγκωμίου (Gr. 49,65)

11 რაჲსამე C

12 ურთიერთას AC

13 ამის მიერ] ამით C

წმიდა იქმნებით, რომელნი ყოველსავე ღმრთისმოყუარებით შუენიერად აღასრულებთ. **„განა-მცა-მრავლებულ არს თქუენ შორის მადლი და მშჳდობაჲ“ {1*}**, **„და გიხილვანმცა კეთილნი ზეცისა იჴრუსალემისანი[2]“ {3*}**, ქრისტეს[4] იესუჲს მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ[5] არს დიდებაჲ და სიმტკიცჴ[6] თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ[7].

XIV შემდგომად ჯსენებისა წმიდისა მოწამისა თეოდორესსა[8], საღმრთოჲსა მოქალაქობისა ჩუენისათჳს და რაჲთა არა გუეშინოდის[9] [D201r] განსაცდელთა შინა[10]

გუაკურთხენ, მამაო!

[A247r] ძმანო და მამანო, ზრახვაჲ ჯერ-არს ჩუენდა და არა დუმილი მრავალჟამ, რამეთუ დუმილი ძილსა იქმს სულისათჳს, ხოლო ძილი მიზეზი არს სიკუდილისაჲ, რომლისათჳს[11] ილოცვიდა წმიდაჲ დავით და იტყოდა: **[B197r] „განანათლენ თუალნი ჩემნი, ნუუკუე დავიძინო მე[12] სიკუდიდ[13]“ {14*}**. ხოლო სიტყუაჲ აღძრუ-

---

1 * 1 პეტრე 1,2.

2 იერუსალიმისანი C

3 * ფს. 127,5.

4 ქრისტე C

5 რომლისა A

6 სიმტკიცე BC

7 ამინ] - A; აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ] - C

8 თეოდორესა BC

9 გუეშინოდეს C

10 **„სტოდიერის“ დიდი მარხვის ქადაგება: „პარასკევსა პირველისა შვიდეულისასა...“ აღებულია ამ საკითხავის ტექსტიდან.**

11 ძილი მიზეზი არს სიკუდილისა, რომლისათჳს] - D

12 მე] - A

13 სიკუდილად A

14 * ფს. 12,4.

ლი გულსა შინა, **„წყაროჲ არს წყლისა მდინარისაჲ ცხორებად საუკუნოდ“** {1*}, რომლისა[2] რაჲმცა იყო უფროჲს [C167r] სარგებელ? და ესე უწყოდა ნეტარმან მოციქულმან და იტყოდა: **„სიტყუაჲ ქრისტესი დამკჳდრებულ იყავნ თქუენ შორის[3] მდიდრად ყოვლითა სიბრძნითა, ასწავებდით და ჰმოძღურიდით თავთა თჳსთა“** {4*}. ხედავა[5], რამეთუ სწავლად და მოძღურებად თავთა თჳსთა გჳბრძანებს ჩუენ, და არა თჳსისა [A247v] ხოლო[6] მოჯსენებისა კმაყოფად?

მე უკუე გლახაკი ესე, რაოდენგზისცა გეტყოდი თქუენ, აღვიარებ, ვითარმედ [D201v] სარგებელ მეყოფვის, რამეთუ აღმოუწოდ თავსა თჳსსა შერეულებისაგან ამის ცხორებისა, და უფრთხილეს ვიქმნები, და თჳსთა ცოდვათა გულისჴმისყოფად მოვალ. და ჭეშმარიტად[7] შერეულებაჲ არს ცხორებაჲ ესე, რამეთუ დღითი-დღე სიტყუანი ბოროტნი აღიძრ[B197v]ვიან მას შინა და სმენანი ამაონი[8] ზედა დართვითა ეშმაკისაჲთა წინააღმდგომთა გულისსიტყუათა მიერ. და ჯერ-არს მარადის განყრაჲ ამათი[9] სიტყჳსა მიერ[10] და წმიდად წარდგინებაჲ გონებისაჲ და კრძალვაჲ, რომლისათჳს-[C167v]იგი ვიჩინენით[11]. ხოლო რაჲსათჳს ვიჩინენით?[12] – **„მონებად ღმრთისა ცხოველისა და ჭეშმარიტისა და მოლოდებად ძისა მისისა ზეცით, რომელი-იგი** [A248r]

1 * შდრ. ინ. 4,14.

2 რომლისაჲ BC

3 შორის] თანა C

4 * კოლ. 3,16.

5 ხედავთა C

6 ~ ხოლო თჳსისა D

7 ჭეშმარიტად] - C

8 ამაონი] ბოროტნი B, μάταιαι (Gr. 50,16)

9 მათი C

10 და ჯერ-არს მარადის განყრაჲ ამათი სიტყჳსა მიერ] - D

11 ვიჩინენით] ვისწავეთ B, κείμεθα (Gr. 50,19)

12 ხოლო რაჲსათჳს ვიჩინენით] - BC

აღადგინა მკუდრეთით, იესუ, მჴსნელი ჩუენი, რისხვისაგან მომავალისა“ {1*}, ვითარცა წერილ არს[2].

ხოლო არავინ არს მონაჲ, რომელიმცა მოელოდა მეუფესა[3] თჳსსა და არცა ბრალეული მსაჯულსა[4], დაეძინამცა[5] და [D202r] განისუენებდა და განსცხრებოდა, არამედ ფრთხილ არნ და მღჳძარე და ზრუნავნ შემთხუევასა, რომელსა მოციქული კუალად[6] გჳჩუენებს და იტყჳს, ვითარმედ: **„თავადი უფალი ბრძანებითა, და ჴმითა ანგელოზთმთავრისაჲთა[7] და საყჳრითა ღმრთისაჲთა გარდამოჴდეს ზეცით, და მკუდარნი [B198r] იგი ქრისტესმიერნი აღდგენ პირველად[8], მაშინღა ჩუენ ცხოველნი ესე, რომელნი[9] დაშთომილ ვიყჳნეთ[10], მათ თანავე აღვიტაცნეთ[11] ღრუბლითა ჰაერთა ზედა, შემთხუევად უფლისა, [A248v] და ესრეთ მარადის უფლისა თანა ვიყოფოდით“ {12*}**.

არამედ ვიეთნი? – გლახაკნი სულითა, მგლოვარენი, წმიდანი გულითა, მშჳდნი, მშჳდობის[C168r]მყოფელნი, და[13] მოწყალენი[14] **{15*}**, და რომელთა უღელი მორჩილებისაჲ იტჳრთეს, და რო-

---

1 * 1 თეს. 1,9-10.

2 რისხვისაგან მომავალისა, ვითარცა წერილ არს] - D

3 მეუფესა] უფალსა C

4 მსაჯულსა] + თჳსსა B, + და D

5 დაიძინამცა D

6 კუალად] კეთილად B, πάλιν (Gr. 51,25)

7 ანგელოზთა მთავრისაჲთა D

8 პირველ D

9 რომელ CD

10 ვიყჳენით D

11 აღვიტაცენით D

12 * 1 თეს. 4,16-17.

13 და] - D

14 და მოწყალენი] - C

15 * იხ. მათ. 5,3-9.

მელთა აღთქუმაჲ უტყუველად დაიმარხეს, ესენი იყოფოდინ[1] ქრისტეს თანა [2**], ხოლო ბორო[D202v]ტისმოქმედნი, და ურჩნი, და თავჯედნი, შეურაცხისმყოფელნი აღთქუმისანი, და უარისმყოფელნი მორჩილებისანი, და სხუათა უწესოებათა მოქმედნი, არცა აღიტაცნენ ღრუბლითა, არცა იყოფოდინ[3] უფლისა თანა, არამედ საწყალობელი[4] **„საშჯელი მიეჯადოს, მომსრველი[5] საუკუნოდ პირისაგან უფლისა და პირისაგან დიდებისა ძლიე[A249r]რებისა მისისა“** {6*}. რომელი-ესე ნუმცა არს თქუენ[B198v]თჳს მოგონებად და სიტყუად. ამისთჳს ჯერ-არს განფრთხობაჲ და ზრუნვაჲ ცხორებისა ჩუენისაჲ, ვინაჲთგან უწყით, რამეთუ[7] დევნულებაჲ წინაშე პირსა ჩუენსა არს და განსაცდელნი მახლობელ ჩუენდა, რამეთუ აჰა ესერა სხუათავე თანა შეპყრობილ იქმნა იკონმოსიცა[8] ძმისა გრიგოლისი. და თუ რაჲ შემთხუევად არს[9], [C168v] არა უწყით, და ვითარ გულის[D203r(205r)][10]ჯმა-ვჰყოფ[11], მოახლებულ არიან ჩუენდა[12] განსაცდელნი, არამედ ნუ გუეშინინ[13], ნუცა შევძრწუნდებით აღძრულთა ამათთჳს განსაცდელთა, რამეთუ **„უკუეთუ ღმერთი ჩუენ კერძო არს, ვინ არს წინააღმდგომ**

---

1 იყოფოდიან BC, იყოფებოდინ D

2 ** συνέσονται (Gr. 51,34)] add. ქრისტეს თანა

3 იყოფოდიან BC, იყოფებოდიან D

4 საწყალობელი] - D

5 მიეჯადოს, მომსრველი] - D

6 * 2 თეს. 1,9.

7 რამეთუ] ვითარმედ D

8 იკონომოსიცა BCD

9 არს] - D

10 **აქედან H 368-ში (D ლიტერი) ფურცლები არეულია, ამიტომ არასწორ პაგინაციას ვასწორებთ, ხოლო ხელნაწერში მითითებულ პაგინაციას ვსვამთ ფრჩილებში.**

11 გულისჯმა-ვყოფ B, გულისჯმა-ყოფთ C, გულისჯმა-ვყოფთ D

12 ჩუენდა] - D

13 გეშინინ C

ჩუენდა?“ {1*} და უკუეთუ პირველთა მათ დევნულებათა ჩუენ თანა იყო, ვითარ არა აწინდელთაცა [A249v] იყოს ჩუენ თანა, გლახაკთა ამათ განმჯნობად და განძლიერებად ჩუენდა ყოვლისავე მიმართ, აღთქუმისაებრ თჳსისა? ანუ თუ რაჲმე ყონ წინააღმდგომთა მათ[2] ჩუენთა[3], კუალად გუდევნენა[4]? „**არამედ უფლისაჲ არს** [B199r] **ქუეყანაჲ და სავსებაჲ მისი**“ {5*}. კუალად პყრობილ-გუყვნენა? არამედ არარაჲ არს ქრისტესთჳს პყრობილობისა[6] უტკბილეს[7]. კუალად გუგუემნენა? არამედ უმრავლესთა გჳრგჳნთა მიზეზ გუექმნენ ჩუენ[8]. უკუეთუ კულა მოგუაკუდინნენ? არამედ უფალიცა ჩუენი მოკუდა, ვითარცა იტყჳს, ვითარმედ[9]: „**უ**[D203v(205v)] **კუეთუ მის თანა მოვსწყდეთ**[10], **მის თანაცა ვცხონდეთ**[11]; **და უკუეთუ დავი**[C169r]**თმინოთ, მის თანა ვსუფევდეთ**“ {12*}.

ესევითარი იყო ნეტარი და[13] დიდი მოწამჱ[14] ქრისტესი თეოდორე, რომლისაცა ჴსენებაჲ აღვასრულეთ, [A250r] რომელმან[15]

---

1 * რომ. 8,31.

2 მათ] - C

3 ანუ თუ რაჲმე ყონ წინააღმდგომთა მათ ჩუენთა] - D

4 გუდევნნენა CD

5 * ფს. 23,1.

6 პყრობილებისა C

7 ქრისტესთჳს პყრობილობისა უტკბილეს] უტკბილეს ქრისტესთჳს პყრობილებასა D

8 ჩუენ] - D

9 ვითარმედ] - D

10 მოვსწყდეთ] მოსწყდეთ B, მოვკუდეთ D

11 ვცხონდეთ] ვიდიდნეთ B; მის თანაცა ვცხონდეთ] მის თანაჲ ვცხოვნდეთ D, συζήσομεν (Gr. 52,54)

12 * 2 ტიმ. 2,11-12.

13 ნეტარი და] - D

14 მოწამე BCD

15 რომელმან] რამეთუ D

ყოველივე ქრისტესთჳს სიხარულით[1] თავს-იდვა. ჩუენცა, გლახაკნი ესე, ამითვე სასოებითა ვჰმონებდეთ უფალსა; ამითვე წადიერებითა მოვითმენდეთ ყოველსა ჭირსა და მწუხარებასა და იწროებასა, რაჲთა მორჩილებისა მიერ და აღსაარებისა[2] ღირს-ვიქმნეთ[3] დამკჳდრებად სასუფეველსა ცათასა ქრისტეს[4] იესუჲს მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცჱ[5] თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

XV [B199v] შემდგომად ჴსენებისა წმიდისა წინამორბედისა. მოძღურებაჲ პატივისათჳს[6] და თაყუანისცემისა წმიდათა ხატთაჲსა

გუაკურთხენ, მამაო![7]

ძმანო და მამანო, გუშინ ვინაჲთგან ვიდღესასწაულეთ ჴსენებაჲ წინამორბედისაჲ, შემოვიდა ჩუენდა ჴსენებაჲცა მონასტერსა შინა ცხორებისაჲ, თუ ვითარ ვიყვენით მაშინ ყოველნივე [A250v] **„ერთობით სახლსა შინა ღმრთისასა [C169v] მავალ“** {8*} ზოგებით, და[9] ვითარ ვართ აწ განთესულ სხუაჲ სხუაგან თითოსახეთა[10] ადგილთა და ქუეყანათა, არამედ ვინაჲთგან სიტყჳსათჳს ღმრთისა[11] არს განთესვაჲ ესე, სიხარული თანა-გუაც მცნებისა მისებრ ბრძანებულისა, რამეთუ იტყჳს: **„გიხარიდენ და მხიარულ**

---

1 ~ სიხარულით ქრისტესთჳს C

2 აღსარებისა BC

3 ღირს-ვიქმნეთ B

4 ქრისტე AC

5 სიმტკიცე BCD

6 აქედან H 368-ში (D ლიტერი) ერთი ფურცელი დაკარგულია.

7 მამაო] უფალო B; გუაკურთხენ, მამაო!] - A

8 * შდრ. ფს. 54,15; 1 ტიმ. 3,15.

9 და] + თუ C

10 თჳთოსახეთა B

11 ღმრთისაჲ B

იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქუენი დიდ[1] არს ცათა შინა“ {2*}; და მერმე, რამეთუ ვემსგავსებით მეუფესა ჩუენსა, რამეთუ თქუა: **„უკუეთუ მე მდევნნეს[3], თქუენცა გდევნნენ[4], უკუეთუ სიტყუანი ჩემნი დაიმარხნეს, თქუენნიცა დაიმარხნენ, არამედ ესე ყოველი გიყონ თქუენ [B200r] სახელისა ჩემისათჳს, რამეთუ არა იციან მომავლინებელი ჩემი“ {5*}**. რამეთუ ჭეშმარიტად, ვითარცა ჰურიათა არა იციან მამაჲ, ვინაჲთგან ძჱ[6] არა შეიწყნარეს, ეგრეთვე ხატთამბრძოლთა [A251r] არა იციან ქრისტჱ[7], ვინაჲთგან ხატი მისი არა შეიწყნარეს, და ჭეშმარიტებაჲ ცხად არს, ხოლო გულისჴმისმყოფელი – ერთი ათასისაგან.

მიხედენითღა გონებასა მათსა ბო[C170r]როტსა, ორად განყოფილსა, ოდესმე ყოვლადვე[8] არა გამოხატვად ხატსა[9] ქრისტესსა და ოდესმე გამოხატვად, გარნა სწორად გამოხატულისა ბრძოლათა და მჴეცთაჲსა, ვითარცა იტყჳან, და ვითარმედ არა ჯერ-არსო თაყუანისცემაჲ მისი, რამეთუ არცა ცხენისა, გინა ჯარისა, გინა ძაღლისა, გინა ლომისა, გინა ვეფხისა[10], გინა გუელისა, გინა მფრინველისა, გინა თევზისა ხატი თაყუანის-იცემებისო. რომელთათჳს ვისმცა აქუნდა[11] [D204r] გონებაჲ და არა სულთ-[B200v]ითქუნა? ანუ ვინმცა არა გარდამოადინნა ცრემლნი?

---

1 დიდი BC

2 * მათ. 5,12; ლკ. 6,23.

3 მდევნეს BC

4 გდევნენ BC

5 * ინ. 15,20-21.

6 ძე BC

7 ქრისტე BC

8 ყოვლად C

9 გამოხატვად ხატსა] გამოხატვადსა B

10 ვეფხისა] + გინა ლომისა B

11 **ეს მონაკვეთი: „და თაყუანისცემისა წმიდათა ხატთაჲსა... რომელთათჳს ვისმცა აქუნდა“ H 368-ში (D ლიტერი) დაკარგულია.**

[A251v] რამეთუ ხატსა ქრისტესსა, რომლისაგან ეშინის ანგელოზთა და ძრწიან ეშმაკნი, არა შეიკდემენ მჴეცთა და ოთხფერჴთა[1], ქუეწარმავალთა და მფრინველთა და სხუათა ესევითართა თანა აღრაცხვად და შეურაცხყოფად. ჰ, საშინელისა მოგონებისა და უსაშინელისასა კადნიერებისა! და მერმე რაჲ? ხატსა კაცისასა კაცად სა**[C170v]**ხელ-სდებენ, და ჴარისასა – ჴარად, და ვირისასა – ვირად, და აქლემისასა – აქლემად, და კაკბისასა – კაკბად, და სხუათა ერთსახეთა და[2] თჳთოსახეთა[3] ეგრეთვე, ანუ თუ ცხოველთა, ანუ თუ ნერგოასა[4]. ხოლო[5] ქრისტესსა, გინა თუ[6] ღმრთისმშობლისასა, გინა თუ ვისმე[7] ყოველთა წმიდათაგანისასა[8] არა თავს-იდებენ წოდებად ხატად [9**], გინა სახელად მათდა ვიეთნი[10] იყვნენ, არამედ ლიტონად ხატად უწოდენ **[A252r; B201r]** და თუ ვისი **[D204v]** არღარა შესძინებენ, რაჲთა არა ამის[11] მიერ განიქიქნენ და ემხილოს [12**], ესრეთ არიან გმობითა და უგუნურებითა აღსავსე.

ხოლო თქუენ, ძმანო, მოიცალეთ[13] და გულისჴმა-ყავთ მერმეცა თქუმულთა ამათ ზედა წმიდათა მამათა მიერ და ჩუენ მიერ,

---

1 ოთხფერჴთა] + და D

2 ჴარისასა – ჴარად, და ვირისასა – ვირად, და აქლემისასა – აქლემად, და კაკბისასა – კაკბად, და სხუათა ერთსახეთა და] ყოველთა და მჴეცთა და პირუტყუთა D

3 თუთუსახეთა B, თითოსახეთა D; და თჳთოსახეთა] - C

4 ნერგთაჲსა B, ნერგთა CD

5 ხოლო] + ხატსა D

6 თუ] + წმიდისა D

7 ვისმე] - B

8 წმიდათაგანისა C, წმიდათაგანისსა D

9 ** ხატად] κατὰ τὸ πρωτότυπον (Gr. 55,31)

10 ვიეთნი] + იგი D

11 მის D

12 ** განიქიქნენ და ემხილოს] εἰρχθῶσιν (Gr. 55,33)

13 მოიცალეთ] - B

გლახაკთა ამათ, რამეთუ ადგილნი იგი რომელთა ქრისტჱ[1] იშვა, წმიდანი და თაყუანისსაცემელნი[2] არიან და[3] სახელ-ედების, და[4] დაღათუ ვინ ქვაჲ გინა[5] მიწაჲ მოიღოს მიერ, ესრეთ შეურაცხიეს, ვითარცა დიდი და წმიდაჲ საუნჯჱ[6]. [C171r] რაოდენ უკუე პატივისსაცემელ არს და თაყუანისსაცემელ[7] ხატი ქრისტესი, რომლისა მიერ, ვითარცა სარკესა[8] შინა, იგი თავადი იხილვების და თაყუანის-იცემების, რამეთუ ესე არს ბუნებაჲ ხატისაჲ, რაჲთა გამოხატულისა მის[9] სახჱ[10] მოაქუნდეს. და ესეცა მისწავიეს, ვითარმედ ჰრომს [A252v] კლიტეთაცა[11] თავისა მის მოციქულთაჲსა პეტრესთა [D205r(203r)] პატივ-სცემენ, დაღაცათუ უფალმან არა ხილულნი [B201v] კლიტენი მისცნა მას, არამედ სიტყჳსამიერი[12] შეკრვაჲ და განჳსნაჲ {13*}, ხოლო მათ ვეცხლისანი[14] შეჰმზადნეს[15] და წინაშე დასხმენ[16] თაყუანისსაცემელად, ესეოდენი[17] არს სარწმუნოებაჲ მათი. რამეთუ მუნ დაფუძნებულ არს განუკუეთელი

1 ქრისტე BCD

2 ~ თაყუანისსაცემენლნი და წმიდანი D

3 და] + წმიდა C

4 და] - CD

5 გინა] ანუ D

6 საუნჯე BCD

7 და თაყუანისსაცემელ] - D

8 სარკესა] საკრველსა D

9 მის] მიერ D

10 სახე BCD

11 კლიტეთა D

12 სიტყჳსამიერ C

13 * იხ. მათ. 16,19.

14 ვეცხლისამიერი B

15 შემზადნეს D

16 დასხნეს C, დაჰსხმენ D

17 ესოდენი D

იგი კლდ[1] სარწმუნოებისაჲ, სიტყჳსაებრ უფლისა {2*}, ხოლო აქა, ვითარ ჩანს, განმრავლებულ არს ურწმუნოებაჲ და უშჯულოებაჲ[3]. ამისთჳსცა მე, გლახაკსა ამას, მელმის გული და საშჯელისაგან[4] დუმილისა მეშინის, და მცირედ და კნინოდენ ვმეტყუელებ იძულებით. რამეთუ უკუეთუ მწვალებელნი არა დასცხრე[C171v] ბიან თჳსაგან და საეროდ, წერით და უწერელად, მგმობარსა მას [A253r] ენასა ძრვად ქრისტესთჳს, ჩუენ არცა სახლთა შინა მსხდომარეთა[5] ვთქუათა[6] ურთიერთას ჯეროვანი? და ვითარ თავს-ვიდვათ[7] რისხვაჲ უფლისაჲ? ანუ ვითარ[8] ვემსგავსნეთ მამათა ჩუენთა, რომელთა ესე[B202r]ვითართა ჟამთა შინა დ[D205v(203v)] უმილი და დაცადებაჲ განცემად ჭეშმარიტებისა თქუეს?

აწ უკუე სათქუმელ არს და სასმენელ და განსაკრძალველ საქმით და სიტყჳთ[9], რამეთუ წმიდანი მოციქულნი არა საღმრთოჲთა ხოლო[10] ქადაგებითა, არამედ უბიწოჲთა და სათნოჲთა ცხორებითა მძლე-ექმნეს[11] სოფელსა, ვინაჲცა განანათლებდეს დაბნელებულთა, რომელთა კუერთხი ხოლო და ვაშკარანი აქუნდა. რომელთა მივემსგავსნეთ, ძმანო, და ორკერძოვე სათნო-ვიქმნეთ[12], და კმა-ვეყოფვოდით[13] ჩუენთანათა. ნუ [A253v] ვეცხლისმოყუარე ვართ,

---

1 კლდე BCD

2 * იხ. მათ. 16,18.

3 უსჯულოებაჲ CD

4 სასჯელისაგან D

5 მჯომარეთა C

6 ვთქუათ D

7 თავს-იდვათ B

8 თავს-ვიდვათ რისხვაჲ უფლისაჲ? ანუ ვითარ] - D

9 სიტყჳთ] + და BC

10 ხოლო] - D

11 მძლე-ექმნეს BC

12 სათნო-ვიქმნეთ B

13 კმა-ვეყოფოდით A, კმა-ვიყოფვოდით CD,

არამედ უპოვარ, ხოლო ესე არა თქუენთჳს, არამედ შორიელთათჳს მითქუამს, ნუმცა ვიქმთ განსლვასა უჟამოსა, [C172r] ნუმცა ვიქცევით დედათა თანა, რომელთაგან იქმნების სიკუდილი. და[1] უკუეთუ ესრეთ ვი[D206r]ქცევოდით[2], იდიდებოდის ღმერთი ჩუენ შორის, და განდიდნეს წინამდებარჱ[3] ესე ღუაწლი აღსა[B202v] რებისა[4] ჩუენისაჲ. შეიკდიმონ წინააღმდგომთაცა მცირედ-მცირედ[5] მოქცევად, ხოლო უკუეთუ არა ესრეთ ვიყვნეთ, შიშ არს, ნუუკუე ნეტარებისა წილ საშჯელი[6] საუკუნოჲ მოვიღოთ. ხოლო თავადმან ღმერთმან მშჯდობისამან, რომელი შესცვალებს ყოველსა[7] და შეჰმზადებს[8] უმჯობესად, დაამშჯდენ ეკლესიაჲ თჳსი, და თქუენ გონიერ გყვენინ [A254r] და ყოველნივე გაცხოვნენინ ზეცათა სასუფეველსა მისსა[9] ქრისტეს[10] იესუჲს მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ[11] არს დიდებაჲ და სიმტკიცჱ[12] თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ[13].

---

1 და] - D

2 ვიქცეოდით BCD

3 წინამდებარე BCD

4 აღსაარებისა BC

5 მცირედ-მცირედ] მცირედ D

6 სასჯელი D

7 ყოველთა C

8 შემზადებს B

9 მისსა] თჳსსა BCD + ღირს-გუყვენ D

10 ქრისტე AC

11 რომლისა BD

12 სიმტკიცე BCD

13 მარადის და უკუნითი უკინისამდე. ამინ] გაბრიელს რომელს შეუნდვენ C

გამოყენებული ლიტერატურა

აღწერილობა 1946: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), აკად. ს. ჯანაშიას საერთო რედაქციით, I, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1946.

აღწერილობა 1953: ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, ხელნაწერთა აღწერილობა, I, შედგენილია და დასაბეჭდად მომზადებულია მუზეუმის მეცნიერი მუშაკის ე. ნიკოლაძის მიერ, რედაქტორი ...პროფ. კ. კეკელიძე, თბილისი, 1953.

აღწერილობა 1954: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია), IV, კორნელი კეკელიძის საერთო რედაქციით, თბილისი, 1954.

აღწერილობა 1958: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ახალი (Q) კოლექციისა, II, ილია აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1958.

აღწერილობა 1976: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, I_2, ელენე მეტრეველის რედაქციით, თბილისი, 1976.

აღწერილობა 1980: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, I_3, ელენე მეტრეველის რედაქციით, თბილისი, 1980.

აღწერილობა 1985: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, I_4, ელენე მეტრეველის რედაქციით, თბილისი, 1985.

აღწერილობა 1986: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, II_1, ელენე მეტრეველის რედაქციით, თბილისი, 1986.

გაბიძაშვილი 2004: გაბიძაშვილი ე., ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, 1, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, თბილისი, 2004.

გაბიძაშვილი 2006: გაბიძაშვილი ე., ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, 2, ასკეტიკა და მისტიკა, თბილისი, 2006.

გაბიძაშვილი 2010: გაბიძაშვილი ე., შრომები II, ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური ნარკვევები, თბილისი, 2010.

გოგუაძე 1986: ძველი მეტაფრასული კრებულები (სექტემბრის საკითხავები), ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და საძიებლები დაურთო ნარგიზა გოგუაძემ, ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, VII, თბილისი, 1986.

თარხნიშვილი 1994: ქართული ეკლესიის ისტორია, მასალები და გამოკვლევები, 1, მიქელ თარხნიშვილი, წერილები, რედაქტორი ლილი ხევსურიანი, თბილისი, 1994.

კეკელიძე 1957: კეკელიძე კ., უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში, ეტიუდები ძველი ქართული მწერლობის ისტორიიდან, V, თბილისი, 1957.

კეკელიძე 1980: კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი, 1980.

კლემაქსი 1986: **„ღირსისა მამისა ჩუენისა იოანე სინა მთის მამასახლისისა კლემაქსი, რომელ არს კიბე“**, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბილისი, 1986.

ტრიოდიონი 1901: ტრიოდიონი, რომელ არს სამ-საგალობელი, სტამბა ექვთიმე ხელაძისა, ტფილისი, 1901.

ქართული ხელნაწერი 2018: ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ, შეადგინეს მაია კარანაძემ, ვლადიმერ კეკელიამ, ლელა შათირიშვილმა და ნესტან ჩხიკვაძემ, ნესტან ჩხიკვაძის რედაქციით, თბილისი, 2018.

ჩვენი საუნჯე 1960: ჩვენი საუნჯე, I, ტომი გამოსაცემად მოამზადა სოლ. ყუბანეიშვილმა, **„ნაკადული“**, თბილისი, 1960.

წმ. ეგნატი 1988: **„ეპისტოლენი წმიდისა ეგნატი ღმერთშემოსილისანი“**, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბილისი, 1988.

წმ. თეოდორე 2002: წმიდა თეოდორე სტუდიელის ქადაგებანი დიდ მარხვაში, ტექსტები გამოაქვეყნა დეკანოზმა ზაქარია მაჩიტაძემ, ზუგდიდი, 2002.

წმ. თეოდორე 2005: წმიდა თეოდორე სტუდიელის ქადაგებანი დიდ მარხვაში, შემდგენელი დეკანოზი ბესარიონ ბულაშვილი, თბილისი, 2005.

Auvray 1891: Emmanuel Auvray, Sancti Patris Nostri et Confessoris Theodori Studitis Praepositi Parva Catechesis, Paris, 1891.

Cozza-Luzi 1888-1905: Sancti Theodori Studitae sermones parvae catecheseos, Ed. J. Cozza-Luzi, in A. Mai, Nova patrum bibliotheca. T. 9-10, Roma, 1888-1905.

PG: Patrologiae cursus completus, Series Graeca, accurante et recognoscente J.P. Migne, Paris, 1857-1866.

Гроссу 1907: Гроссу Н., Преподобный Феодор Студит, Его время, жизнь и творения, Киевь, 1907.

Соколов 1907: Соколов И. И., Преподобный Феодор Студит, его церковно-общественная и богословско-литературная деятельность, Санкт-Петербург, 1907.

Творения 2010: Преподобный Феодор Студит, Творения, Том 1 (ПСТСО 5), Нравственно-аскетические творения, Сибирская Благозвонница, Москва, 2010.

Μεγάλη Κατήχησις 1904: Του οσίου Θεοδώρου του Στουδίτου Μεγάλη Κατήχησις, Βιβλίον δεύτερον, εκδοθέν ὑπό της Αυτοκρατορικής Αρχαιογραφικης Επιτροπής, Ἐν Πετρουπόλει, 1904.

Lasha Tkebuchava

The Translation of «Stodieri» made by St. George the Athonite

The Compendium of Sermons by St. Theodore the Studite in the ancient Georgian ecclesiastic scripts is known as the *Stodieri,* translated and composed by St. George the Athonite. The hereby Paper is dedicated to determination of the composition of the above-mentioned monument and identification of its Greek source. As it is

revealed, the *Stodier* is composed of five parts: 1. *Testamentum* by St. Theodore the Studite (**PG 99, col.** 1813-1824); 2. *Epigramma...* (**PG 99, col.** 105-108); 3. *Nauctatii Confessoris Encyclica…* (**PG 99, col.** 1825-1850); 4. Ecclesiastic Studies of the Great Lent (theological studies); 5. Studies of Zatika period (after the Great Lent).

The 4th part of the Compendium (Ecclesiastic Studies of the Great Lent (theological studies)) is purposed for the period of the Great Lent and concludes 43 sermons in the ancient manuscripts and 49 sermons in some later lists. They have been provided from two compendiums of the studies by St. Theodore – the Small and Great Catechisms (*ἡ Μεγάλη Κατήχησις* and *ἡ Μικρὰ Κατήχησις*). The studies of Zatika period are also translated from the Small Catechism (part 5 of the *Stodier*), which consists of 15 initial sermons of the hereof compendium. The Paper provides the Greek source of each study.



რატი სტურუა

წმ. მარკოზ მონაზონის ასკეტური ეპისტოლის ძველი ქართული თარგმანი

ბიოგრაფიული ცნობები წმ. მარკოზ მონაზონის შესახებ

წმ. მარკოზ **მონაზონ**ის ცხოვრების შესახებ ცნობები მეტად მწირია. შემონახულია მისი ათი ნაშრომი. ამათგან ცხრას აჯსენებს პატრიარქი ფოტი *(820-893 წწ.)* თავის ნაშრომში «**ბიბლიოთეკა**».

უწყება მორკოზის შესახებ გვხვდება წმ. გიორგი მთაწმინდელის მიერ თარგმნილ «**დიდ სვინაქსარში**»:

„ხოლო იყო ნათესავით ანკუირიელი და ორმეოცისა წლისამან იჯმნა სოფლისაგან და წარვიდა სკიტეს და დაყო მოღუაწეობასა შინა სამეოცი წელი და ასისა წლისაჲ აღესრულა“.

ამავე ძეგლში წმ. მარკოზის ჯსენება დადებულია 5 მარტს.

მარკოზის მოღვაწეობის ეპოქად უთითებენ V ს. შუა წლებს, სამოღვაწეო ადგილად კი - მცირე აზიას. როგორც ირკვევა, მარკოზი მაკარი დიდის მოწაფე ყოფილა[1].

***1** Georges-Matthieu de Durand (éd.), Marc le Moine. Revue des études byzantines Année 2001 59 pp. 268-269.*

გიორგი ამარტოლი *(გიორგი მონაზონი — IX ს.)* ნაშრომში «**ქრონოგრაფი**» წმ. მარკოზ მონაზონს წმ. იოანე ოქროპირის მოწაფედ ასახელებს (ამ აზრს იზიარებს ნიკიფორე კალისტეც[1]).

რამდენიმე ბერძნულ ხელნაწერში მარკოზ მონაზონის ნაშრომის წინასიტყვაობად წარმოდგენილია მისი ცხოვრების მოკლე აღწერილობა, სადაც ჯსენებული მოღვაწე გაიგივებულია მარკოზ მეუდაბნოესთან (**«ასკეტთან»**, **«განდეგილთან»**), წარმოშობით ათენიდან, რომელიც, ასევე, ეგვიპტის უდაბნოში მოღვაწეობდა. მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ სწორედ ეს წმინდა მამა *(მარკოზ მეუდაბნოე)* არის მოჯსენიებული წმ. პალადი ჰელენოპოლელის «ლავსაიკონში» და სოძომენეს «საეკლესიო ისტორიაში», ხოლო სხვა მკვლევრები ზემორე ისტორიულ წყაროებში დასახელებულ პიროვნებას V ს-ის მარკოზ მონაზონთან აიგივებს[2].

დიურანის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ მარკოზი ზოგჯერ მოიჯსენიება ეპითეტით **«განდეგილი»**, **«განშორებული»**, ის განდეგილი მაინც არ უნდა ყოფილიყო. ეს თვალსაზრისი საფუძველს მოკლებული გვეჩვენება.

წმ. მარკოზი ისიქაზმის ფუძემდებლადაც მოიჯსენიება.

ცნობილია წმ. მარკოზის პაექრობები მელქისედეკიანელებთან, ნესტორიანელებთან, ევტიქიანელებთან, მესალიანელებთან.

წმ. მარკოზის შრომათა ძველი ქართული თარგმანებიდან კ. კეკელიძე ასახელებს ორს: 1) „თქუმული: მდურაჲ და ყვედრებაჲ ურთიერთას თავისა თჳისისა სულისა და გონებისა მხილებაჲ" *(ჲტჰ. 69, 260-270)* და 2) „ებისტოლე წმიდისა მამისა ჩუენისა მარკოზისი თჳსისა მოწაფისა ნიკოლაჲს მიმართ, ფრიად სასურველისა შვილისა ნიკოლაჲს მიმართ მარკოზის მიერ მონაზონისა"[3]. სწორედ ეს მეორე ნაშრომი, რომლის ქართული თარგმანი **წმ. ექვთიმე მთაწმინდელს** მიეკუთვნება, იქცა ჩვენი შესწავლის საგნად.

***1** Patrologia Graeca, CXLVI, XIV, 30.*

***2** Марк Подвижник, преподобный. Аскетические творения, 2013, 232 с.*

***3** იხ.კ.კეკელიძე, ეტიუდები V, გვ. 96*

მარკოზ მონაზონის აქამდე უცნობი ოთხი თხზულების ძველი ქართული თარგმანი *[1 «წინაგანწყობაჲ სქოლასტიკოსისაჲ»; 2 «სამოთხისათჳს და შჯულისა სულიერისა»; 3 «სიტყუაჲ მელქისედეკისათჳს»; 4 «კითხვაჲ მისივე ნეტარისა მამისა მარკოზის მიმართ წმიდიდსა ნათლისღებისთჳის»]* ე. ჭელიძის მიერ არის იდენტიფიცირებული, რომლიც აღნიშნულ ნაშრომთა მთარგმნელად ეფრემ მცირეს მიიჩნევს[1].

ბერძნული და ქართული ტექსტების შდარებითი ანალიზის შეჯამება

ძირითადი განსხვავებანი შემდეგია:

ა) ბერძნული ტერმინები (მაგ. συνείδησις, οἰκονομία, μορφή, χαρακτήρ, εἰκών და სხვ.) წმ. ექვთიმე მთაწმინდელის მიერ თარგმნილია არათანმიმდევრულად, სხვადასხვა შესატყვისებით.

ბ) გარკვეულ შემთხვევებში მთარგმნელი ბერძნულ ტერმინებს დაზუსტება-განმარტებასაც ურთავს, რომ უფრო გასაგები გახადოს ისინი ქართველი მკითხველისთვის.

გ) ბერძნული ზმნის მიმღეობანი ქართულ თარგმანში ხშირად პირიანი ფორმითაა გადმოცემული, რაც სრულიად ბუნებრივია, თუმცა ერთგან გვხვდება პირიქითაც: ბერძნული პირიანი ფორმა ქართულად მიმღეობად არის გადმოტანილი.

კარგადაა ცნობილი, რომ წმ. ექვთიმეს თარგმანების უმეტესობა არ არის სიტყვა-სიტყვითი თარგმანი ბერძნული ტექსტისა.

ჩვენს შემთხვევაში თარგმანი ბერძნულ ტექსტთან მიმართებით დიდად არც განვრცობილია და არც შემოკლებული. შეიძლება ითქვას, რომ ეს თარგმანი საკმაოდ ახლოს დგას ბერძნულ დედანთან.

---

1 იხ. წმინდა მღვთარეთა მშვენიერებათმოყუარეობა, ბერძნულიდან თარგმანა და სქოლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, ტ. I გვ. 645; ტ. II გვ. 74

ტექსტისთვის

ჩვენი მიზანი იყო წმ. მარკოზის ნაშრომის ექვთიმესეული თარგმანის კრიტიკული ტექსტის დადგენა. ხელთ გვქონდა თარგმანის ორი ხელნაწერი: **A: A 1101,** რომელიც თარიღდება **1047** წლით და **B: H 2853,** რომელიც **XVIII** საუკუნეშია გადაწერილი. ძირითად ტექსტად, ცხადია, ავიღეთ **A** ლიტერით აღნიშნული **A 1101** ხელნაწერი.

ქართული თარგმანი შევუდარეთ ბერძნულ ტექსტს, რაც ორგზის არის გამოცემული (ჟ. მინის **Patrologia Graeca**-ში და წმ. ნიკოდიმე მთაწმინდელის ასკეტურ კრებულში «**ფილოკალია**» – «**მშვენიერებისმოყუარეობა**»). ვინაიდან შედარებისას ბერძნულის ძირითად ტექსტად ვიყენებდით ჟ. მინის პუბლიკაციას (**PG**), ქართული თარგმანი თავებად დავყავით სწორედ ამ გამოცემის მიხედვით.

თარგმანის ბერძნულ ტექსტთან შედარებამ გვიჩვენა, რომ ექვთიმესეული თარგმანი, როგორც აღვნიშნეთ, საკმაოდ ახლოს დგას ორიგინალთან. აქვე გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ექვთიმე ათონელი თარგმნისას, როგორც ჩანს, ჩვენთვის უცნობ ბერძნულ რედაქციასაც იყენებდა.

კრიტიკული აპარატის გარდა ტექსტს ახლავს ლექსიკონი, სადაც განმარტებულია შედარებით იშვიათი სიტყვა-ტერმინები.

ებისტოლე წმიდისა მამისა ჩუენისა მარკოზისი თჳსისა მოწაფისა[1] ნიკოლაჲს მიმართ,

ფრიად სასურველისა შვილისა ნიკოლაჲს მიმართ მარკოზის მიერ მონაზონისა.

გუაკურთხენ მამაო

[A 209v; B 40r]

1. ვინაჲთგან პირველად ფრიად მოსწრაფე იყავ ზრუნვად სულისათჳს შენისა და ფრიადი მჯურვალებაჲ გაქუნდა საღმრთოჲსა[2] ცხორებისათჳს და გუკითხევდ ჩუენ[3] მარადის თავისა თჳსისათჳს, თუ ვითარითა შრომითა შესაძლებელ არს შესლვად განსასუენებელსა[4] მას სასუფევლისასა[5] ანუთუ ვითარითა მჯურვალებითა ვინ შეუძლოს მიახლებად უფლისა[6], და გჳთხრობდი ჩუენ, ვითარ-იგი მოსწრაფე იყავ შენ მიახლებად უფლისა მოქალაქობითა კეთილითა, მარხვითა **[A210r]** და[7] შრომითა[8], მღჳძარებითა ფრიადითა და ძლიერითა ლოცვითა, და კუალად, თუ ვითარნი ბრძოლანი და საკრველნი[9] ჯორციელთა[10] ვნებათანი აღიძვროდეს[11] ბუნებასა შინა ჯორცთასა ვნებად რჩულისა მის მიერ ცოდვათაჲსა, რამეთუ[12], რომელი-იგი

---

1 მოწფისა A

2 საღმრთოსა B

3 ჩვენ *(აქაც და ყველგან)* B

4 განსასუენებელსა B

5 სასუფეველისასა B

6 უფლისაჲ B

7 და - B

8 შრომითა და B

9 საკრველნი] საკვირველნი B

10 ჯორცთა B

11 აღიძროდეს B

12 რამეთუ - B

წინააღუდგების რჩულსა მას გონებისა ჩუენისასა, და უფროჲს ყოვლისა[1] ჰგოდებდი[2] ორთა მათთჳს ვნებათა, **გულისწყრომისა და გულისთქუმისა,** და[3] გჳთხრობდი,[4] თუ ვითარ უფროჲს ყოვ-ლისა გაჭირვებდეს შენ იგინი და ეძიებდი სიტყუათა სწავლისათა და ღონისძიებასა რასმე, თუ ვითარითა შრომითა და მოღუაწებითა[5] შეუძლო ძლევად ვნებათა მათ. ხოლო ჩუენ მას ჟამსა რაჲზომცა შესაძლებელ იყო,[6] პირისპირ სიყუარულსა შენსა ვეუბნეთ და გასწავეთ სწავლაჲ[7] სულისა სარგებელი და გიჩუენეთ გზაჲ, თუ ვითარითა შრომითა და მოღუაწებითა შემძლებელ არს სული გულისსმისყოფითა და შეწევნითა სახიერისა ღმრთისაჲთა ძლევად ბოროტთა მათ ვნებათა, რომელნი აღმოცენდებიან გულსა მას შინა, და უმეტეს[8] ორთა მათ პირველთქუმულთა მათ მძჯნვარეთა ვნებათა, რამეთუ რომელიცა ვნებაჲ ჩუეულებისაგან ბოროტისა დანერგულ იყოს სულსა შინა და უფროჲს[9] სხუათასა ჰმთავრობდეს[10] მას, და ადრე წარიტყუენვოდის[11] მისგან სული იგი, თანა-აც, რაჲთა უმეტესი [B40r] და უზეშთაესი ღუაწლი[12] და ბრძოლაჲ მოიგოს მისა მიმართ, ვიდრემდის დაიმორჩილნეს ჯორცნი იგი და პირუტყუებრივნი ძალნი უკეთურებისანი, რომელთა-იგი პირველ ჰმორჩილებდა და წარტყუენულ იყო მათ მიერ ფრიადისა მისგან ბრძოლისა გულის[A210v]სიტყუათა მათ ბოროტთაჲსა და წურთითა

---

1 უფროს B

2 ჰგოდებდი] ჰგონებდი B

3 და ბილწებისა B

4 გვითხრობდ B

5 მოღუაწებით B

6 იყოს B

7 სწავლა B

8 უმეტესად B

9 უფროს B

10 ჰმთავრობდეს] ჰმძლავრობდეს B

11 წარიტყუენოდის B

12 ღუაწი B

მით მათითა. ვინაჲთგან უკუე ჯორციელად განგეყვენით, პირითა
და არა გულითა, და მოვედით უდაბნოსა ამას[1] ჭეშმარიტთა
მათ მუშაკთა და მოღუაწეთა მიმართ ქრისტესთა, რაჲთა ჩუენცა
მცირედ-რაჲმე ვიღუაწოთ, დავშურეთ ძმათა ამათ[2] და მამათა
თანა, რომელნი იღუწიან ძალთა მათ მიმართ წინააღმდგომისათა
და ახოვნად ებრძვიან ვნებათა, რაჲთა ჩუენცა განვაგდოთ ჩუენგან
დაკსნილობაჲ და დაუტეოთ ყოველივე **უდებებაჲ** და ჴელვყოთ
მოღუაწებასა და მოსწრაფებასა სათნოყოფად ღმრთისა,[3] ამისთჳს
უკუე ვინებე მცირედისა რაჲსამე სწავლისა და ნუგეშინისცემისა
მოწერად შენისა სიყუარულისა[4] მიმართ სარგებელად სულისა,
რაჲთა რომლისათჳს პირისპირ გეტყოდე, იგივე მცირესა ამას სწავ-
ლასა შინა ჰპოო და მოიგო ამის მიერ სარგებელი რაჲმე სულისაჲ.

2. პირველად უკუე, ჰოჲ შვილო, ესე იყავნ დასაბამი მო-
ღუაწებისა[5] შენისაჲ,[6] რაჲთა დაუვიწყებელად და სამარადისოდ და
უცალებელითა წურთითა იჴსენებდე[7] ყოვლადვე კაცთმოყუარებათა
მათ ღმრთისათა[8] და განგებულებათა მისთა, და ქველისმოქმედე-
ბათა, რომელნი უქმნიან შენ თანა საცხორებელად[9] სულისა
შენისა, და ნუ დაჰფარავ მათ უკეთურებითა დავიწყებისაჲთა და
მოუჴსენებელ-იქმნები მრავალთა მათ ქველისმოქმედებათა მისთა,
რაჲთა არა ესრეთ[10] უსარგებლოდ და უმადლოდ[11] გარდაიჴადნე[12]

---

1 მას B

2 მათ B

3 ღმრთისაჲ B

4 სიყურულის B

5 მოღვაწებისა B

6 რაჲთა B

7 იჴსენებდე B

8 ღმრთისაჲთა B

9 საცხოვარებელად B

10 ესრეთ - B

11 უმადლოდ ესრეთ B

12 გარდაიჴადენ B

ჟამნი ცხორებისა[1] შენისანი, რამეთუ რაჟამს კაცსა ესრეთ მა-
რადის აქუნდეს ესევითართა[A211r] საქმეთა ჴსენებაჲ, ექმნების[2]
საწერტელ და უწერტს გულსა და აღსძრავნ[3] მას აღსარებად
სულითა შემუსრვილითა და მოიყვანის იგი მოსწრაფებასა კეთილსა
და სიმდაბლესა და მადლობასა ღმრთისასა და ისწრაფინ, რაჲთამცა
დიდისა მის სახიერებისა ღმრთისაჲ ნაცვალი რაჲმე მიაგო, ესე
იგი არს, წესი კეთილი და მოქალაქობაჲ[4] საღმრთოჲ და სხჳსა[5]
ყოვლისავე[6] საღმრთოჲსა სათნოებისა მოღუაწებაჲ,[7] რომელი-იგი
ძალსა მისა[8] არნ, და[9] რაჲთა მარადის იწურთიდეს სიტყუასა მას
წინაჲსწარმეტყუელისასა[10], ვითარმედ: „რაჲ მივაგო მე[11] უფალსა
ყოვლისათჳს, რომელი-ესე მოვაგო მე?" *(ფს. 115.3)*, რამეთუ, რა-
ჟამს სულმან მოიჴსენნეს[12] ქველისმოქმედებანი იგი კაცთმოყუარისა
ღმრთისანი, რომელნი შობითგან უქმნიეს მის თანა, ანუთუ ვითართა
ღელვათაგან მრავალგზის იჴსნა[13] ანუთუ ვითართა[14] ბოროტთა
და ცოდვათა შინა მრავალგზის შთავარდის[15] ნეფსით თჳსით და
არა განწირა იგი სახიერმან ღმერთმან, არცა მისცა სასჯელითა
მით მართლითა ღირსებისაებრ მისისა სულთა მათ ბოროტთა და

---

1 ცხოვრებისა B

2 მექნების B

3 აღძრავნ B

4 მოქალაქობა B

5 სხვისა B

6 ყოვლისავე] ფრიად B

7 მოღვაწება B

8 მისსა B

9 და - B

10 წინაწარმეტყუელისასა A

11 მე - B

12 მოიჴსენეს B

13 იხსნა B

14 ვითართა ღელვათაგან B

15 შთავარდა B

უკეთურთა წარსაწყმედელად და სიკუდილად, არამედ სულგრძელ იქმნა მის ზედა კაცთმოყუარე იგი[1] მეუფე და უგულებელს-ყვნა ცოდვანი მისნი და დაიცვა იგი წარუწყმედელად[2] და მოელოდა მოქცევასა მისსა, და იგი უკეთურთა მათ სულთა ნეფსით თჳსით ვნებათა მიერ ჰმსახურებდა, ხოლო ღმერთი ჰფარვიდა და არა უტევა სრულიად წარწყმედად, არამედ ყოვლითკერძო განგებულებითა თჳსითა იღუწიდა ცხო[A211v]რებასა[3] მისსა, და უკუანაჲსკნელ[4] სულითა მით მისითა სახიერითა წაჰმართა[5] იგი გზასა ცხორებისსა და შთაუგდო გულსა მისა სიყუარული ცხორებისა ამის[6] მონაზონებისაჲ და განაძლიერა იგი სიხარულით[7] [B41r] დატევებად სოფლისა და ყოვლისავე საცთურისა ჯორციელთა მათ გულისთქუმათაჲსა[8], და ანგელოზებრივითა მით ხატითა შეამკო და ანგელოზებრსა მას დასსა თანა მონაზონთასა შეჰრთო[9] და მიუძღუა[10] მას მამათა თანა წმიდათა და ძმათა სულიერთა.

ხოლო ვისმცა აქუნდა გონებაჲ კეთილი და ამათმცა გულისსიტყუათა იგონებდა, და არამცა ყოველნი დღენი თჳსნი[11] შემუსრვითა გულისაჲთა გარდაიჯადნა, რამეთუ ესეზომნი ქველისმოქმედებანი პოვნა ღმრთისა[12] მიერ, რომელსა-იგი არარაჲ კეთილი ექმნა წინაშე მისსა, და არა უმტკიცესი სასოებაჲ[13] მოიგოსა?

---

1 იგი - **B**

2 წარწყმედელად **B**

3 ცხორებასა **B** *(ასეა ყველგან)*

4 უკანასკნელ **B**

5 წარმართა **B**

6 მის **B**

7 სიხარულით - **B**

8 გულისთქუმათასა **B**

9 შერთო **B**

10 მუძღვა **B**

11 მისნი **B**

12 ღმრთისაჲ **B**

13 სასოებაჲ] სათნო

და იგონებდეს, ვითარმედ: «უკუეთუ რაჟამს-იგი არცა ერთი რაჲ კეთილი მექმნა მე, არამედ უფროჲსად ფრიად[1] მეცოდა[2] წინაშე მისსა[3] არაწმიდებითა ჯორცთაჲთა[4] და სხჯთა მრავლითა ბოროტითა, და მან არა ცოდვათა ჩემთაებრ მიყო მე, არცა ურჩულოებათა ჩემთაებრ მომაგო მე, არამედ სახიერებითა თჳსითა ესეზომნი ნიჭნი და მადლნი მომანიჭნა ცხორებად სულისა ჩემისა, ხოლო უკუეთუ ამიერითგან მივსცე თავი ჩემი მონებასა მისსა მოქალაქობითა კეთილითა და წარმართებითა სათნოებათაჲთა[5], არა უმეტესთა უზეშთაესთა მადლთა სულიერთა ღირს-მყოსა და განმაძლიეროს და წარმიმართოს ყოვლისავე საქმისა მიმართ კეთილისა?».

[A212r] და ესრეთ რომელსა მარადის[6] ესევითარნი გულის-სიტყუანი აქუნდენ და არა დაივიწყებდეს ქველისმოქმედებათა მათ ღმრთისათა, ესევითარი-იგი წაჰმართებს თავსა თჳსსა და აიძულებს[7] ყოვლისავე მოღუაწეობისა მიმართ კეთილისა და ყოვლისავე სიმართლისა[8] და მარადის გულსმოდგინე და მზა არნ[9] აღსრულებად ნებასა ღმრთისასა[10].

3. ამისთჳს უკუე, ჰოი შვილო საყუარელო, ვითარცა გაქუს თჳთ[11] მადლითა ღმრთისაჲთა **ბუნებითი სიბრძნე**[12], ეგრეთვე ის-

ბა B

1 ფრიად - B

2 მეცოდა] მეტყოდა B

3 ~მეტყოდა წინაშე მისსა ფრიად B

4 ჯორცთათა B

5 სათნოებათათა B

6 მარადის] მას B

7 აიძულებდეს B

8 ყოვლისავე სიმართლისა - B

9 არს B

10 ღმრთისაჲ B

11 თვით B

12 φυσικὴν σύνεσιν.

წრაფე, რაჲთა ესე წურთაჲ და გულისსიტყუაჲ[1] კეთილი მარადის დაიმარხო და ნუ დაიფარვის გული შენი **დავიწყებისაგან**[2] ბოროტისა, ნუცამცა გეუფლების **დაჴსნილობაჲ**[3], რომელი-იგი ამაო-ჰყოფს გონებასა და გარდააქცევს[4] ცხორებისაგან, ნუცამცა დაბნელდების გონებაჲ შენი **უგულისხმოებისაგან**[5], რომელი-იგი მიზეზ არს ყოვლისავე ბოროტისა,[6] ნუცამცა გაცთუნებს შენ ყოვლადბოროტი იგი ვნებაჲ[7] **უდებებისაჲ**[8], ნუცამცა წარიტყუენვი **გულისთქუმისა მიერ ჯორციელთაჲსა**[9], ნუცამცა იძლევი ნაყროვანებისა მიერ, ნუცამცა დაჰმძიმდები ძილისა მიერ, ნუცამცა გეუფლებიან გულისსიტყუანი ბოროტნი სიძვისანი და წურთითა მათითა ნუცამცა შეიგინებ თავსა შენსა, ნუცამცა იძლევი მრისხანებისა მიერ, რომელი-იგი შობს სიძულილსა, და არარაჲსა[10] და უბადრუკისა მიზეზესათჳს[11] მწუხარე[12] იქმნები შენ და შეაწუხებ სხუათაცა და შეიკრებ გონებასა შენსა გულისსიტყუათა[13] ბოროტთა მოყუასისა[14] მიმართ, რაჲთა ესრეთ არა დაგეხრ[A212v]წიოს წმიდაჲ[15] იგი ღმრთისა[16] მიმართ ლოცვაჲ

1 გულისსიტყუავე B

2 λήθης.

3 ῥαθυμία.

4 გარდაქცევს B

5 ἀγνοίας.

6 ბოროტისა B

7 ვნება B

8 ἀμελείας.

9 ὑπὸ ἐπιθυμίας.

10 რასა B

11 მიზეზესათჳს] ცხოვრებისთვის B

12 მწუხარე ნუმცა B

13 გულისსიტყვათა B

14 მოყუასის

15 წმიდა B

16 ღმრთისაჲ B

და წარიტყუენოს და დაბნელდეს გონებაჲ[1] შენი, ძმასა შენსა გულისსიტყვთა მჴეცობრივითა[2] ხედვიდე და სჯნდისი[3] შენი პირუტყუებრივითა[4] მით გონებითა[5] ჴორციელითა[6] შეკრულ იქმნას[7] და მიეცეს[8] განსაწურთელად უკეთურთა მათ სულთა, რომელთაცა დაუმორჩილე თავი თჳსი, ვიდრე კუალად, რაჟამს ყოვლითკერძო იგუემოს და მოუძლურდეს, დაინთქას მწუხარებისა მიერ და დაჴსნილობისა გონებაჲ[9] შენი და საღმრთოჲ[10] იგი წარმართებაჲ[11] წარწყმიდოს, მერმე კუალად იწყოს ფრიადისა სიმდაბლისა მიერ სლვად გზასა მას ცხორებისასა და ფრიად დაშურეს ლოცვითა და ღამე-ყოველ [B41v] მღჳძარებითა, და ბოროტნი იგი მიზეზნი ვნებათანი დაჰჴსნნეს[12] სიმდაბლითა და აღსაარებითა[13] ღმრთისა მიმართ და ესრეთ განიფრთხოს და განათლდეს გულისხმისყოფითა საღმრთოჲთა[14] და მის-მიერითა მით მადლითა განბრწყინდეს და ესრეთ გულისხმა-ყოს, ვითარმედ **რომელმან არა მისცეს სრულიად[15] თავი თჳსი ჯუარცუმად გონებითა მდაბლითა და დააგდოს თავი თჳსი ქუეშე[16] ფერჴთა**

---

1 გონება B

2 მხეჴეცებრივთა B

3 სვინდისი B

4 პირუტყუებითა B

5 გონებითა მით B

6 ჴორცთათა B

7 იქმნა B

8 მიეცა B

9 გონება B

10 საღმრთო B

11 წარმართება B

12 დაჴსნნეს B

13 აღსარებითა B

14 საღმრთოთა B

15 სრულიად - B

16 ქუეშე - B

ყოველთაჲსა[1] **დათრგუნვად და შეურაცხებად ყოველთა მიერ, რაჲთა ყოველნი აჭირვებდენ მას და ეკიცხევდენ**[2] **და ამას ყოველსა სიხარულით უფლისათჳს**[3] **მოითმენდეს და არა ეძიებდეს ყოვლადვე კაცობრივთა საქმეთა დიდებასა ანუ პატივსა ანუ ქებასა ანუ გულისთქუმასა**[4] საჭამადისა გინა[5] სასუმადისა, ანუთუ სამოსლისა,[6] [A213r] **ეგევითარი იგი ჭეშმარიტი ქრისტეანე ვერ იქმნას,** რამეთუ შეუძლებელ არს თჳნიერ ჭირისა და შრომისა ფრიადისა შესლვად ქალაქსა მას წმიდათასა და სუფევად მეუფისა ქრისტესა თანა დაუსრულებელთა მათ საუკუნეთა უკუნისამდე.

4. ხოლო აწ ვინაჲთგან ესევითარნი ღუაწლნი და ბრძოლანი წინა-გჳსხენ[7] მოსაგებელად გჳრგჳნთა მათ უხრწნელებისათა, ვიდრემდის ჩუენ ვსცთებით[8] გარეგანითა ამით სახითა ღმრთის-მოშიშებისაჲთა[9] და ორგულებითა ვჰმსახურებთ[10] ღმერთსა, რამეთუ **სხუებრ შერაცხილ ვართ კაცთა მიერ და სხუებრ ვართ წინაშე მისსა,** რომელმან-იგი უწყნის თითოეულისა[11] დაფარულნი, და **მრავალთა მიერ წმიდად**[12] **შერაცხილ ვართ, ხოლო ჩუენ ჯერეთ საერისკაცოჲთა**[13] **წესითა ვიქცევით**

---

1 ყოველთასა B

2 ეკიცხვიდენ B

3 უფლისაჲთვის B

4 გულისთქუმასა B

5 გინა] ანუ B

6 სამოსლისასა B

7 გვისხენ B

8 ვსცებით B

9 ღმრთისა მოშიშებისათა B

10 ვმსახურებთ B

11 თვითოეულისა B

12 წმიდაჲდად B

13 საერისკაცოთა B

ჭეშმარიტად, ხატი ღმრთისმოშიშებისაჲ[12] გუაქუს,[3] ხოლო ძალი მისი წინაშე ღმრთისა არა მოგჯგიეს,[4] **ქალწულ და წმიდა[5] საგონებელ-ვართ მრავალთა მიერ, ხოლო დაფარულთა მხედველმან მან უწყის ვითარ-ესე არაწმიდებითა[6] გულისსიტყუათა[7] საძაგელთა[8] წურთისაჲთა შინაგან შევიგინებით და მწჯრესა[9] მას შინა ვნებათასა დანთქმულ ვართ,** და გარეგნისა[10] ამის მოღუაწებისა ჩუენისა მიერ ჯერეთ ქებითაცა კაცთაჲთა დავეცემით და გონებათა დავიბნელებთ, ვიდრემდის[11] ვალთ უკუე[12] ამაოებასა შინა გონებისა ჩუენისასა და სიბრძნესა მას, რომელსა წმიდაჲ[13] სახარებაჲ[14] გუასწავლის[15], არა ჴელ-ვჰყოფთ და **შინაგანისა მის გონებისა[16]** მოქალაქობაჲ[17] არა უწყით, რაჲთამცა მოვიგეთ იგი[18] და ესრეთ[A213v]

---

1 ღმრთისაჲ *B (ასეა ყველგან).*

2 მოშიშებისა B

3 გუაქვს B

4 მოგვიგიეს B

5 წმიდა B

6 წმინდებითა B

7 გულისსიტყუათა B

8 საძაგელთა B

9 მწვირესა B

10 გარეგანისა B

11 ვიდრესა B

12 ~ უკუე ვალთ B

13 წმიდა B

14 სახარება B

15 გუასწავებს B

16 τὴν συνείδησιν.

17 τὴν κατὰ τὴν συνείδησιν πολιτείαν.

18 იგი - B

მცა ვპოვეთ კადნიერებაᲐცა[1] იგი **შინაგანისა გონებისაᲐ**[2], არამედ ჯერეთ საგონებელსა ამას გარეგანისა[3] კაცისა სიმართლესა ზედა ვჰგიეთ[4], გამოჯუებულ[5] ვართ **ჭეშმარიტისა გულისხმისყოფისაგან**[6] და გარეგანთა საქმეთა მიერ ოდენ თავთა თჳსთა ვაცთუნებთ და გუნებავს, რაᲐთამცა კაცთა სათნო-ვეყვენით, და მათ-მიერსა მას დიდებასა და ქებასა და პატივსა[7] ვეძიებთ. რად ვაცთუნებთ ესრეთ თავთა თჳსთა? განაღა მოსლვად არს უეჭუელად, რომელმან-იგი გამოაცხადნეს დაფარულნი ბნელისანი და განიშიშულნეს ზრახვანი[8] გულთანი, – თუალუხუავი იგი მსაჯული, რომელსა არცა მდიდრისაგან ჰრცხუენის, არცა გლახაკსა[9] ჰრიდებს[10], რომელი გარეგანსა მას სახესა აღსძარცჳს[11]და შინაგან დაფარულსა მას ჭეშმარიტებასა გამოაცხადებს, რომელმან ჭეშმარიტნი იგი მონაზონნი და მოღუაწენი[12], რომელნი იქცეოდეს **მოქალაქობითა მით შინაგანისა გონებისაᲐთა**[13], წინაშე მამისა თჳსისა და ყოველთა ანგელოზთა მისთა გჳრგჳნოსან-ყჳნეს, და რომელთა აქუნდა გარეგან ოდენ სახჱ[14] იგი ღმრთისმოშიშებისაᲐ[15] და ხილულსა მას მოქალაქობასა

---

1 კადნიერებაცა B

2 τὴν συνείδησιν

3 გარეგნისა B

4 ვგიეთ B

5 გამოჯუებულ] გამო-ჯურვებულ B

6 ἀληθοῦς γνώσεως.

7 პატივსა და ქებასა B

8 ზრახუანი B

9 გლახაკთა B

10 რიდებს B

11 აღსძურცის B

12 მოღუაწებითა B

13 τοὺς κατὰ συνείδησιν πολιτευσαμένους.

14 სახე B

15 ღმრთისაᲐ B მოშიშებისა B

საჩუენებელად კაცთა იქმოდეს და მას ზედა ამაოდ ზუაობდეს[1] და თავთა თჳსთა აცთუნებდეს, ესევითარნი-იგი წინაშე ძალსა მას და ბანაკსა წმიდათასა და ყოველსავე[2] მჴედრობასა ზეცათასა განაქიქნეს და მწარედ სირ[B42r]ცხჴლეულნი გარესკნელსა მას ბნელსა წარავლინნეს[3] მსგავსად ცოფთა მათ ქალწულთა, რომელთა-იგი გარეგანი[4] ჴორცთა ქალწულებაჲ[5] დაემარხა, [A214r] რამეთუ[6] არარაჲ საშჯელი მოიწია მათ[7] ზედა გარეგანისა ჴორცთა შეგინებისათჳს, რამეთუ არარაჲ უძღოდა მათ ესევითარი, არამედ მცირედ-რაჲმე ზეთიცა აქუნდა ჭურჭელთა მათთა, რომელ არს მცირედთა რომელთამე სათნოებათა მოღუაწებაჲ[8]. ამისთჳსცა ვიდრე ჟამ რაოდენმე ლამპარნი მათნი ენთებოდეს, ხოლო **უდებებისა**[9] და **უგულისხმოებისა** და **დაჴსნილობისა** მათისათჳს შინაგანი იგი სიწმიდჱ[10] არა მოიგეს, არცა იღუაწეს მისთჳს, და სიმრავლჱ[11] იგი ვნებათაჲ[12] შინაგან დაფარული, სულთა მათ მიერ უკეთურთა დათესული, ვერ გულისხმაყვეს[13], არამედ წინააღმდგომთა მათ ძალთა მიერ გონებანი მათნი განიხრწნებოდეს და გულისსიტყუათა მათ ბოროტთა წურთითა თავთა მათთა შეაგინებდეს და სცთებოდეს, იძლეოდეს ფარულად ვნებათა მიერ შურითა ბოროტითა და[14] ჴდო-

---

1 ზოაობდეს **B**

2 ყოველთავე **B**

3 წარავლინეს **B**

4 გარეგანა **B**

5 ქალწულება **B**

6 რამეთუ] რომელ **B**

7 მის **B**

8 მოღუაწება სათნოებათა **B**

9 უდებობისა **B**

10 სიწმიდე **B**

11 სიმრავლე **B**

12 ვნებათა **B**

13 გულისხმაყუეს **B**

14 და - **B**

მითა და სიძულილითა, მაცილებლობითა, მრისხანებითა, სიმწარითა, ძჯრისჯსენებითა[1], ორგულებითა, გულისწყრომითა, ამპარტავანებითა, მზუაობრებითა[2], კაცთმოთნებითა,[3] ვეცხლისმოყუარებითა, გულისთქუმითა ჯორციელითა და გემოვნებითა ბოროტთა მათ გულისსიტყუათაჲთა,[4] ურწმუნოებითა, უშიშებითა ღმრთისაჲთა, შიშითა ეშმაკთაჲთა[5], მოწყინებითა, მწუხარებითა, სიტყჯსგებითა და ჯსენებითა[6] მით ძილისაჲთა,[7] სიმაღლითა, სიქადულითა, უძღებებითა, ანგაჰრებითა,[8] **უსასოებითა, რომელი-იგი უარეს[9] არს ყოველთა ვნებათასა,** და სხუათა მათ ძალთა მიერ უკეთურებისათა, [A214v] რომელნი-იგი კეთილთაცა საქმეთა, რომელთა იქმოდეს, მათცა წინაშე კაცთა იქმოდეს მოგებად მათ მიერ პატივისა, და დაღაცათუ მადლნი რომელნიმე აქუნდეს, სულთა მათ ცუდადმზუაობრებისა და კაცთმოთნებისათა[10] მიჰყიდდეს მადლთა მათ საღმრთოთა, და სხუათა მათ ვნებათა ეზიარებოდეს და ესრეთ შეჰრთვიდეს კეთილთა საქმეთა გულისსიტყუათა თანა ბოროტთა და ჯორციელთა[11], ამისთჯსცა არაწმიდა და შეუწყნარებელ იყვნეს საქმენი მათნი, ვითარცა-იგი შესაწირავი კაენისი, და ესრეთ მიემთხჯნეს[12] ესევითარსა მას აღსასრულსა, რამეთუ სიხარულსა მას სიძისასა გამოეჯუნეს და სასძლოჲსა მის ზეცისაგან გარე დაშთეს[13].

---

1 ძვირისჯსენებითა B

2 მზაობრებითა B

3 B კაცთამოთმინებისა-თა B

4 გულისსიტყუათათა B

5 ეშმაკთათა B

6 და ჯსენებითა] დაჯსნილობითა B

7 ძილისათა

8 ანგარებითა B

9 უარეს] უაღრეს B

10 კაცთმოთნებისათა] კაცთმოთმინებისათა B

11 ბოროტთა და ჯორციელთა - B

12 მიემთხვივნეს B

13 დაშთეს იგინი B

5. აწ უკუეთუ ამათ ესევითართა საქმეთა ვიგონებდეთ
და გულისხმა-ვჰყოფდეთ და ვიხილოთ თუ ვითართა საქმეთა[1]
შინა ვიყოფებით, რაჲთა ვიდრეღა გუაქუს ჟამი სინანულისაჲ[2]
და მოქცევისაჲ,[3] თავნი ჩუენნი[4] ვიღუაწნეთ, რაჲთა კეთილნი
საქმენნი ჩუენნი კეთილად აღესრულებოდინ და ჭეშმარიტად და
კეთილ-იყვნენ[5] და რაჲთა არა აღერინენ იგინი გონებათა თანა
ჯორციელთა და განვრდომილ იქმნნენ, ვითარცა შესაწირავი
ბილწი უშიშობისათჳს ჩუენისა და უდებებისა და ჭეშმარიტისა[6]
გულისხმისყოფისაგან[7] ნაკლულევანებისა.

ნუუკუე შრომაჲცა[8] იგი ქალწულებისაჲ[9] და მარხვისაჲ[10]
თავს-ვიდვათ მღჳძარებითა და შრომითა, და დღენი ჩუენნი ესრეთ
გარდავჰჯადნეთ[11] და პირველთქუმულთა მათ ვნებათათჳს საქმენი
იგი, რომელნი ჩუენ სიმართლედ შეგუერაცხნენ, იპოვნენ ვითარცა
მსხუერპლი მანკიერი და არა შეიწირნეს იგინი **მღდელმან მან
ზეცათამან ქრისტ☉მან.**[12]

[A215r] ამისთჳსცა, ჰოჲ შვილო, **გულისხმისყოფაჲ და მეც-
ნიერაბაჲ**[13] **უჯმს უწინარეს ყოვლისა, რომელსა ენებოს აღებად
ჯუარი**[14] **თჳსი და შედგომად ქრისტესა,** რაჲთა ფრიადითა და

---

1 გულისხმავჰყოფდეთ და ვიხილოთ თუ ვითართა საქმეთა - **B**

2 სინანულისა **B**

3 მოქცევისა **B**

4 ჩვენნი *B (ასეა ყველგან).*

5 იყუნენ **B**

6 ჭეშმარიტისაგან **B**

7 გულისხმისყოფისა **B**

8 შრომაცა **B**

9 ქალწულებისა **B**

10 მარხვისა

11 დავჯადნეთ **B**

12 ქრისტემან **B**

13 მეცნიერაბა **B**

14 ჯუარი] ჟამი **B**

დაუცადებელითა გულისსიტყჳთა[1] თჳსითა, გამოწულილვითა[2] და ფრიადითა ზრუნვითა ცხონებისათჳს თჳსისა და დიდითა ღმრთისა[3] მიმართ სურვილთა [B42v] იყოფოდის და კითხვითა სულიერთა მამათაჲთა,[4] რომელნი მასვე მოქალაქობასა შინა[5] იყვნენ, იქცეოდის, რაჲთა უწყოდის, სადა ანუ ვითარ ვალს, რაჲთა არა უგულისხმოებითა ვიდოდის იგი ბნელსა შინა თჳნიერ[6] ნათლისა, რაჲთა რომელი იყოს თჳთრჩულ[7] და ვიდოდის თჳნიერ[8] გულისხმისყოფისა და წინამძღურობისა[9] გამოცდილთა მამათაჲსა,[10] ეგევითარი-იგი მრავალთა მთხრებლთა შთაიჭირეს და მრავალგზის შეუბრკუმეს[11] და მრავალთა მახეთა ეშმაკისათა შთავარდეს და მრავალნი ღელვანი მოიწინენ მის ზედა, და არა უწყის, თუ ვითარ იყოს აღსასრული მისი, რამეთუ მრავალთა მრავალნი ჭირნი და შრომანი თავს-ისხნეს[12] ვითარცა ღმრთისათჳს[13] და მრავალნი მოღუაწებანი და მოსწრაფებანი წარვლნეს და თჳთრჩულობამან და განუკითხველობამან და რამეთუ არა იჳმარეს სხუათაგან შეწევნაჲ,[14] არამედ თავთა თჳსთა[15] მიენდვნეს, ამაო და ცუდ და უსარგებლო ქმნა ყოველივე იგი შრომაჲ და მოღუაწებაჲ მათი.

---

1 გულისსიტყუათა B

2 გამოწვლილვითა B

3 ღმრთისაჲ B

4 მამათათა B

5 შინა - B

6 თვინიერ B

7 თჳთრჩულ] თვითრჯულ B

8 თვინიერ B

9 წინამძღრობისა B

10 მამათასა B

11 შეუბრკმეს B

12 და შრომანი თავს ისხნეს] თავს ისხნეს და შრომანი B

13 ღმრთისაჲთვის B

14 შეწევნა B

15 თვისთასა B

6. ხოლო შენ, შვილო საყუარელო, ვითარცა პირველ დასაბამსა სიტყჳსასა[1] ვთქუ ქველისმიქმედებათა მათთჳს კაცთმოყუარისა ღმრთისათა,[2] რომელნი[3] შენ თანა ქმნნა, ნუ დაივიწყებ და ნუმცა მოიპა[A215v]რავს გონებასა შენსა უკეთურებაჲ და დაჴსნილობაჲ,[4] არამედ ქველისმოქმედებათა მისთა, რომელნი[5] შობითგან შენით ვიდრე აქამომდე შენ თანა ქმნნა, გინათუ სულიერთა, გინათუ ჴორციელთა წინაშე თუალთა შენთა დაიდებდი და მათ იწურთიდი და იგონებდი, ვითარცა წერილი იტყჳს, ვითარმედ: „**ნუ დაივიწყებ ყოველსა მოცემულსა მისსა**" *(ფს.102,2)*, რაჲთა ესრეთ ადვილად აღიძრვოდეს გული შენი სიყუარულისა მიმართ ღმრთისა,[6] რაჲთა შენცა მიაგო მას ძალისაებრ შენისა მოქალაქობაჲ კეთილი, სიტყუაჲ წესიერი, გონებაჲ წმიდაჲ და ყოვლითკერძო მისცე თავი შენი ღმერთსა და რაჲთა ღმობიერ-იქმნებოდი ჴსენებითა ესეზომთა მათ კეთილთაჲთა, რომელნი მიიხუენ სახიერისა მიერ[7] და კაცთ-მოყუარისა მეუფისა[8], რაჲთა ესრეთ ჴსენებითა კეთილთა მათ მის-თაჲთა[9] და უფროჲსად[10] მისითავე სახიერებითა[11] და შეწევნითა განიგურიმოს[12] გული შენი სიყუარულითა და სურვილითა მისითა, რამეთუ კეთილნი[13] საკჳრველებანი[14], რომელნი სხუათა მრავალთა

1 სიტყვისასა B

2 ღმრთისაჲთა B B

3 რომელ B

4 დაჴსნილობა B

5 რომელმან B

6 ღმრთისაჲ B

7 მიერ] მის B

8 მუფისა მიერ B

9 მისთათა B

10 უფროსად B

11 ' სახიერებითა მისთავე B

12 განგურიმოს B

13 კეთილნი და B

14 საკვირველებათა B

თანა, შენსა ფრიად უზეშთაესთა[1] და უმჯობესთა, არა უქმნიენ, შენ თანა ქმნნა დიდითა მით სახიერებითა მისითა.

ყოველთავე უკუე კეთილთა, რომელნი ქმნნა შენ თანა ღმერთმან, ისწრაფდი მარადის ჴსენებად, ხოლო უმეტესად დიდსა მას და საკჳრველსა[2] მადლსა და ქველისმოქმედებასა ნუ ოდეს დაივიწყებ, რომელი-იგი ყო შენ თანა. აღ-რაჲ-ხჳდოდე[3] ნავითა დედისა შენისა [თანა] წმიდათა ადგილთაგან კოსტანტინეპოლედ, ვითარცა-იგი შენ თჳთ გჳთხარ ჩუენ, რაჟამს-იგი საშინელნი ღელვანი აღდგეს[4] ღამით და ყოველნივე, რომელნი იყჳნეს ნავსა მას შინა, მენავეთა თანა **[A216r]** [და] თჳთ შენისაცა დედისა თანა[5] ყოველნივე წარწყმდეს უფსკრულთა შინა და საკჳრველითა[6] მით ძალითა ღმრთისაჲთა შენ მხოლოჲ[7] ორთა სხუათა თანა განჰვარდით[8] ქუეყანად და განგებულებით მიხუედ ანკჳრას[9] და აზნაურისა ვისმე კაცისა მიერ სახედ შვილისა შეწყნარებულ იქმენ და შეერთე სულიერსა მას შვილსა ეპიფანეს,[10] რაჲთა ორნივე კაცისა მის მიერ წმიდისა წარემართნეთ გზასა მას ცხონებისასა, შეწყნარებად წმიდათა მათ მონათა მიერ ღმრთისათა,[11] ვითარცა საყუარელნი შვილნი.

7. აწ უკუე ამის ყოვლისა წილ, რომელი ქმნა ღმერთმან შენ თანა, რაჲ შეუძლო შენ ღირსად მიგებად მისა, რომელმან-იგი უწოდა სულსა შენსა ცხორებად**[B43r]** საუკუნოდ, რამეთუ, ვითარცა სამართალი არს, თანა-გაც, რაჲთა არღარა თავისა შენისა

---

1 უზესთაესთა **B**

2 საკვირველსა **B**

3 აღრახუიდოდე **B**

4 აღდგენ **B**

5 შენისაცა დედისა თანა ~ დედისაცა შენისათა **B**

6 საკურელითა **B**

7 მხოლო **B**

8 განვვარდით **B**

9 ანკვირას **B**

10 ეტვიფანეს **B**

11 ღმრთისაჲთა **B**

ცხოველ იყო, არამედ მისა, რომელი-იგი შენთჳს მოკუდა, რაჲთა მარადის იღუწიდე ყოველსავე[1] სათნოებასა შინა სიმართლისასა და ყოვლისავე მცნებისა წარმარტებასა შინა და რაჲთა ეძიებდე მარადის,[2] თუ რაჲ არს ნებაჲ ღმრთისაჲ კეთილი და სათნოჲ[3] და სრული, და რაჲთა ყოვლითა ძალითა ისწრაფდე მისა მოპოვნებად.

გარნა სიჭაბუკე შენი, ჰოჲ შვილო, ესრეთ დაუმორჩილე სიტყუასა ღმრთისასა[4], ვითარცა თჳთ მას სიტყუასა ჰნებავს[5].

წარმოუდგინენ ჯორცნი შენნი ღმერთსა[6] მსხუერპლად ცხოველად, წმიდად[7] და სათნოდ ღმრთისა[8], სიტყჳერი[9] იგი მსახურებაჲ[10] შენი, და ყოველივე ნოტიობაჲ ჯორციელთა[11] გულისთქუმათაჲ[12] მცირედ და ნაკლულევ[A216v]ნად[13] ჭამითა და ნაკლულევნად სუმითა, და ფრიადითა მღჳძარებითა განაჯმე და განაგრილე მჯურვალებაჲ იგი, რაჲთა შენცა შეუძლო[14] კადნიერებით თქუმად: **„ვიქმენი მე ვითარცა თხიერი ნეფხვასა, ხოლო სიმართლენი შენნი არა დავივიწყენ"** *(ფს.118.83)*. და გულისხმაყავ, რამეთუ ქრისტესი ხარ და ჯორცნი შენნი ჯუარს-აცუენ ვნებითურთ და გულისთქუმით, სიტყჳსა მისებრ სამოციქულოჲსა,[15]

---

1 ყოველივე **B**

2 მარადის] მას **B**

3 სათნო **B**

4 ღმრთისაჲსა **B**

5 ნებავს **B**

6 ღმერთსა] თანა

7 წმინდად *B (ასეა ყველგან).*

8 ღმრთისაჲ **B**

9 სიტყუერი **B**

10 მსახურება **B**

11 ჯორცთა **B**

12 გულისთქუმათა **B**

13 ნაკლულევანად *B (ასეა ყველგან).*

14 ~ შეუძლო შენცა **B**

15 სამოციქულოსა **B**

და ასონი იგი შენნი ქუეყანისანი მოაკუდინენ ნუ ოდენ საქმით სიძვასა, არამედ შეგინებასა მასცა ჯორცთასა, რომელი უკეთურთა სულთა მიერ იქმნების, რამეთუ არა აქამომდე ოდენ ჰყოფენ[1] მოღუაწებასა მათსა, რომელნი-იგი ჭეშმარიტისა და შეუგინებელისა ქალწულებისა გჳრგჳნსა[2] მოელიან, არამედ შეუდგებიან სწავლასა მას მოციქულისასა, რაჲთა სასწაულიცა იგი და აღძრვაჲ მის ვნებისაჲ[3] მოკუდინებად[4] იღუაწონ, და არა ამას ზედა ოდენ დაშჯერდებიან და გულსავსე იქმნებიან, რომელნი-იგი ისწრაფდენ ტრფიალებითა ფრიადითა უხრწნელისა მის ქალწულებისა თჳსთა ჯორცთა შინა დამკჳდრებად, არამედ ისწრაფიან და ილოცვენ,[5] რაჲთა გულისსიტყუასაცა შინა წულილი[6] იგი და უნდოჲ გულის-თქუმისა მოგონებაჲ, რომელი იქმნების თჳნიერ[7] აღძრვისა ჯორცთაჲსა და თჳნიერ აღძრვისა ვნებათაჲსა,[8] არამედ ქარის სახედ მოუჯდების[9] გონებასა, რაჲთა ესევითარიცა იგი მოგონებაჲ[10] აღიჯოცოს[11], ხოლო ესე საქმე ძალითა ღმრთისაჲთა და შეწევნითა და მადლითა სულისა წმიდისაჲთა[12] ოდენ შესაძ[A217r]ლებელ არს წარმართებად, უკუეთუ[13] არიანცა ვიეთნიმე, რომელ[ნი] ამას მადლსა ღირსქმნულ არიან, რამეთუ ჯორციელითა და კაცობრივითა ძალითა ვერ წარემართების.

---

1 ყოფენ **B**

2 გვირგვინსა *B (ასეა ყველგან).*

3 ვნებისა **B**

4 მოკვდინებად **B**

5 ილოცავნ **B**

6 წულილი] წურთლი **B**

7 თვინიერ *B (ასეა ყველგან).*

8 ~ აღძრვისა ვნებათასა და თვინიერ აღძრვისა ჯორცთასა **B**

9 მოუხდების **B**

10 მოგონება **B**

11 აღიხოცოს **B**

12 წმიდისათა **B**

13 უკეთუ **B**

ესრეთ უკუე, რომელსა სუროდის მოღებად გვრგვნსა მას უხრწნელისა და წმიდისა ქალწულებისასა, მოაკუდინენ ასონი თჳსნი ქუეყანასა ზედა, რაჲთა ფრიადითა მით მარხვითა და მოღუაწებითა გარეგანი იგი კაცი განიხრწნას და დაწულილდეს[1] იგი და[2] განლეულ იქმნეს, რაჲთა ესრეთ **სარწმუნოებითა და მოღუაწებითა მისითა და მადლითა უფლისაჲთა შინაგანი იგი კაცი განახლდებოდის და დღითი-დღე უმჯობესისა მიმართ წარემართებოდის,** სიყუარულითა აღორძნდებოდის, სასოებითა განდიდნებოდის, სიმშჳდითა შეიმკვებოდის[3], მშჳდობითა მით ქრისტესითა გჳრგჳნოსან-იქმნებოდის, სიტკბოებითა იქცეოდის, სიხარულითა მით[4] სულისაჲთა[5] იშუებდის, სახიერებითა შეზ-ღუდვილ იყოს, შიშითა ღმრთისაჲთა შეჭურვილ იყოს, მეცნიე-რებითა და გულისხმისყოფითა განათლდებოდის, სიბრძნითა გან-ბრწყინდებოდის[6], სიმდაბლითა წარემართებოდის.

რამეთუ უკუეთუ ამათ და ამათთა[7] მსგავსთა სათნო[B43r]ებათა მიერ ძალითა სულისა წმიდისაჲთა[8] გონებაჲ[9] განახლდების, **მერმე იხილავს თავსა თჳსსა შორის ღმრთივშუენიერისა მის ხატისა სახესა და სამეუფოჲსა[10] მის მსგავსებისა საღმრთოსა[11] მას და გამოუთქუმელსა სიკეთესა გულისხმაჰყოფს და უსწავლელისა მის და თჳთსწავლულისა სიბრძნისა და ბუნებითისა მის რჩულისა სიმდიდრესა მისწუთების.**

---

1 დაწურილდეს B

2 და - B

3 შეიმკუებოდის B

4 სიხარულითა მით - B

5 სულისათა B

6 განბრწყინდებოდის სიმშვიდითა B

7 ამათთა მრავალ-თა B

8 წმინდისათა B

9 გონება B B

10 სამეუფოსა

11 საღთოსა B

[A217v] დააწულილენ[1] უკუე, ჰოჲ შვილო, სიჭაბუკისა შენისა ჯორცნი და პირველთქუმულთა[2] მათ საქმეთა მიერ განაპოხე[3] უკუდავი ეგე სული იგი და პირველმოჯსენებულთა[4] მათ[5] სათნოებათა მიერ[6] განაახლე გონებაჲ[7] შენი შეწევნითა ყოვლადწმიდისა სულისაჲთა[8], რამეთუ სიჭაბუკისა ჯორცნი, რომელნი განიპოხებოდინ[9] თითოფერთა საჭმელთა მიერ და სუმითა ღჳნისაჲთა, ეგევითარისა მის სული ვითარცა ღორი განმზადებული საკლავად, ეგრეთ დაიკლვის მჯურვალებითა მით ჯორციელთა[10] გულისთქუმათაჲთა და დუღილითა მით ბოროტისა მის გულისთქუმისაჲთა გონებაჲ[11] წარიტყუენვის, რაჟამს-იგი ვერღარა შემძლებელ არნ გულისთქუმასა მას ჯორცთასა წინააღდგომად, რამეთუ ვითარცა წერილ არს, **შედინებაჲ სისხლისაჲ შობს გამოდინებასა სულისასა,** ხოლო უმეტესად ღჳნისა სულიცა ნუ ეცემინ სიჭაბუკესა შენსა, რაჲთა არა ორკეცითა ცეცხლითა აღეტკინოს, რომელ არს თჳთ ბუნებითი იგი მჯურვალებაჲ[12] და კუალად ღჳნისა მიერ შობილი იგი, და ამისთჳს გულისთქუმაჲ[13] იგი ჯორცთაჲ[14] უმეტესად აღდუღდეს და სულიერი იგი გულისთქუმაჲ

---

1 დაწურილენ B

2 პირველთქუმულთა B

3 განაპოხე - B

4 პირველმოჯსენება-თა B

5 მათ] მიერ B

6 მიერ - B

7 გონება B

8 სულისათა B

9 განპოხნებოდინ B

10 ჯორცციელთ B

11 გონება B

12 მჯურვალება B

13 გულისთქუმა B *(ასეა ყველგან).*

14 ჯორცთა B

ლმობიერებისა და მოღუაწებისაჲ[1] განდევნოს და მოატყუას გულსა შფოთი და სიფიცხლჱ[2], არამედ უფროჲსად[3] იღუაწე, რაჲთა გულისთქუმისა მისთჳს სულიერისა წყალიცა სიჭაბუკესა შენსა მაძღრივ არა სცე, რამეთუ[4] ფრიად სარგებელ არს შესაწევნელად სიწმიდისა ნაკლულევანებაჲ წყლისაჲ[5], და ესე უკუეთუ საქმით გამოსცადო, გამოცდილებისა მისგან მიიღო გულსავსებაჲ, რაჲთა არა[A218r]თუ უღელი ჭირისაჲ[6] გუნებავს შენ ზედა დადებაჲ და ამისთჳს რჩულად დავსდებთ[7] ანუ განვაგდებთ საქმესა ამას, არამედ ვითარცა ღონესა კეთილსა შესაწევნელად ჭეშმარიტისა ქალწულებისა [და] სიწმიდისა გასწავებთ სიყუარულით და განგაზრახავთ[8], თჳთმფლობელსა მას ნებასა შენსა მიუტეობთ[9] ყოფად რომელიცა ენებოს.

8. მოედ უკუე აწ კუალად ბოროტისა მის ვნებისათჳს მრისხანებისა ვთქუათ მცირედ-რაჲმე, რომელი-იგი მოაჴსენებს[10] სულსა და შეაშფოთებს და დააბნელებს და ჰყოფს კაცსა მსგავს მჴეცისა ჟამსა მას[11] აღძრვისა მისისასა და უფროჲსად[12], რომელი ადრე წარიტყუენვოდის[13] ვნებისა მის მიმართ. ესე ვნებაჲ უმეტესად ამპარტავნებითა განემტკიცების და განძლიერდების და

---

1 მოღუაწებისა B

2 სიფიცხლე B

3 უფროსად

4 რამეთუ] არამედ B

5 წყლისა B

6 ჭირისაჲ B

7 დავდებთ B

8 განზრახავთ B

9 მიუტეოთ B

10 მოაჴსენებს] მოაოხრებს B

11 ამას B

12 უფროსად B

13 წარიტყუენოდის B

დაურღუეველ იქმნების, ვიდრემდის ირწყვოდის[1] სიმწარისა ესე და რისხვისა და გულისწყრომისა საეშმაკოჲ[2] ხჱ[3] ბოროტითა მით ამპარტავნებისა[4] წყლითა და ყუაოდის და შუებულ[5] იყოს, ფრიადსა ნაყოფსა ურჩულოებისასა გამოიღებს და ესრეთ დაურღუეველ იქმნების სულსა შინა სახლი იგი უკეთურებისაჲ[6] და აქუნ სიმტკიცედ და სამყაროდ საფუძველნი იგი ამპარტავნებისანი.

ხოლი უკუეთუ[7] გნებავს, რაჲთა ხჱ იგი ურჩულოებისაჲ[8], რომელ არს რისხვისა და გულისწყრომისა ვნებაჲ[9] შენ შორის განჯმეს, რაჲთა მოვიდეს ცული იგი სულისაჲ[10] და მოჰკუეთოს და დააგზნას[11] იგი ცეცხლსა, [B44r] სიტყჳსა[12] მისებრ მოციქულისა *(შდრ. მთ. 3.10)*, და მის თანა [A218v] აღჯოცოს ყოველივე უკეთურებაჲ და უკუეთუ გნებავს, რაჲთა სახლი იგი ურჩულოებისაჲ[13], რომელი უკეთურმან აღაშენა სულსა შინა და მარადის[14], ვითარაცა ქვათა, ესრეთ მოჰკრებს თითოფერთა მიზეზთა საქმეთა მიერ ნივთიერთა და სიტყუათა და ესრეთ ნაშენებსა მას თჳსსა აღამაღლებს და საფუძველად ჰქონან გულისსიტყუანი იგი ამპარტავნებისანი, და აწ უკუეთუ გნებავს, რაჲთა იგი სახლი დაირღუეს[15] და

---

1 ირწყუებოდის **B**

2 საეშმაკო ესე **B**

3 ხე **B**

4 ამპარტავნებითა **B**

5 შუებულ] შიშუელ **B**

6 უკეთურებისა **B**

7 უკეთუ **B** *(ასეა ყველგან).*

8 ურჩულოებისა **B**

9 ვნება **B**

10 სულისა **B**

11 დააგზნას] აღაგზნას **B**

12 სიტყვისა **B**

13 ურჩულოებისა **B**

14 მას **B**

15 დაირღუას **B**

მოოჴრდეს[1], გაქუნდინ სიმდაბლე იგი უფლისაჲ დაუვიწყებელად გულსა შინა და იგონებდი მარადის, თუ ვინ იყო ანუ ვინ იქმნა ჩუენთჳს[2] და ვითარისა სიმაღლისაგან და ნათლისა ღმრთეებისა, რომელსა ხედვიდეს ძალისაებრ მათისა **ბუნებანი იგი ზეცათანი**[3] და იდიდებოდა ყოვლისაგანვე ბუნებისა სიტყჳერისა **ანგელოზთა, მთავარანგელოზთა, საყდართა, უფლებათა, მთავრობათა და ჴელმწიფებათა, ქერუბიმთა და სერაბიმთა და სხუათა მათ უსხეულოთა**[4] **საცნაურთა ძალთა**[5]**, რომელთა სახელები ჩუენდა არა მოწევნულ არს,** სიტყჳსა მისებრ მოციქულისა *(შდრ. ეფეს.* ***1.21)***, და მის ესევითარისა დიდებისაგან ვითარ სიღრმესა სიმდაბლისასა[6] გამოუთქუმელითა მით სახიერებითა თჳსითა მოვიდა და ყოვლითურთ გუემსგავსა ჩუენ, რომელნი[7]-ესე ბნელსა შინა და აჩრდილთა სიკუდილისათა მსხდომარე ვიყვენით[8] და აღსრულებითა ვნებათაჲთა[9] დამონებულ ვიყვენით მტერისადა და ვიყვენით რაჲ ჩუენ ესევითარსა ტყუეობასა შინა, დაუფლებულ იყო ჩუენდა სიკუდილი.

9. არა სირცხჳლ[A219r]-იჩინა მეუფემან მან ყოვლისავე დაბადებულისა ხილულისა და უხილავისამან, არამედ დაიმდაბლა თავი თჳსი და შეიმოსა ხატი კაცისაჲ მის, რომელი ვნებათა მიერ და სამეუფოჲსა მის ბრძანებისა დასშჳილ იყო, და ყოვლითურთ მსგავს ჩუენდა იქმნა თჳნიერ[10] ცოდვისა და **პატიჟნი იგი, რომელნი გარდასლვისათჳს მცნებისა მოიწინეს კაცსა**

---

1 მოოხრდეს **B**

2 შენთჳს კაც **B**

3 τῶν ἄνω οὐσιῶν.

4 უსხეულოთა ზეცისა **B**

5 ~ ძალთა საცნაურთა ძალთა **B**

6 სიმდაბლისა **B**

7 რომელნი] ვითარნი **B**

8 ვიყუენით *(ასეა ყველგან)* ***B.***

9 ვნებათა **B**

10 თვინიერ **B**

ზედა – სიკუდილი, შიმშილი, წყურილი, შრომაჲ და მსგავსი ამათი – ყოველივე თავს-იდვა და იქმნა, ვითარცა-ესე ჩვენ ვართ, რაჲთა ჩვენ ვიქმნნეთ ვითარცა იგი არს.

„სუტყუაჲ იგი ჯორციელ იქმნა“ *(ი. 1.14)*, **რაჲთა ჯორციელი იგი იქმნას სიტყუაჲ,** და დაგლახაკნა ჩუენთჳს მდიდარი იგი, რაჲთა ჩუენ მისითა სიგლახაკითა განვმდიდრნეთ, და გუემსგავსა ჩუენ კაცთმოყუარებითა თჳსითა, რაჲთა ჩუენ ყოვლითავე სათნოებითა მივემსგავსნეთ მას, რაჲთა ვინაჲთგან მოვიდა ქრისტე ჭეშმარიტებით[1], მიერითგან **კაცი იგი, ხატად და მსგავსებად[2] მისა შექმნული, მადლითა და ძალითა სულისა წმიდისაჲთა[3] განახლდების** და მისწუთების[4] საზომსა[5] სრულსა სიყუარულისასა, რომელი-იგი გარე განაძებს შიშსა, რომელი-იგი არღასადა დაეცემის, რამეთუ სიყუარული არასადა დაეცემის[6] და სიყუარული, ვითარცა ღმრთისმეტყუელი იოვანე იტყჳს, **„ღმერთი არს და, რომელი ეგოს სიყუარულსა შინა, იგი ღმრთისა[7] თანა ჰგიეს"** *(ი. 4.16)*.

ამას საზომსა ღირს-იქმნნეს მოციქულნი და სხუანიცა იგი, რომელთა მსგავსად მათსა[8] იღუაწეს სათნოებათა[9] მოგებად და სრულად წარუდგინნეს თავნი მათნი უფალსა და სრულითა სიყუარულითა ყოველთავე დღეთა ცხორებისა მათისათა შეუდგეს[10] უფალსა[11].

---

1 ჭეშმარიტებითა B

2 ~ მსგავსად და ხატად B

3 წმინდისათა B

4 მისწუთუების B

5 საზომსა მას B

6 რამეთუ სიყუარული არა სადა დაეცემის - B

7 ღმრთისაჲ B

8 მათდა B

9 სათნოებად B

10 შეუდგეს იგინი ღმერთსა B

11 უფალსა - B

[A 219v] და ესრეთ, უკუეთუ მარადის იჴსენებდე, შვილო, სიმდაბლესა მას ესეზომსა, რომელი ქრისტემან ღმერთმან ჩუენთჳს თავს-იდვა გამოუთქუმელითა მით კაცთმოყუარებითა თჳსითა, – ესე იგი არს, დამკჳდრებაჲ[1] სიტყჳსა ღმრთისაჲ საშოსა ქალწულისასა, შემოსაჲ[2] კაცებისაჲ[3], შობაჲ[4] დედაკაცისაგან, დღითი-დღედ ჴორციელისა მის ჰასაკისა აღორძინებაჲ, უპატიოებანი იგი და გინებანი, **[B44v]** რომელნი თავს-ისხნა ურჩულოთა ჰურიათა მიერ, ყუედრებანი იგი და კიცხევანი და ტანჯვანი, ნერწყუვაჲ და ყურიმლისცემაჲ, ვითარ-იგი ეცინოდეს მას და ემღერდეს, ძოწეულისა იგი ქლამიდი, რომელი შეჰმოსეს მას, გჳრგჳნი იგი ეკ-ლისაჲ[5] მის ზედა, გამოსრული იგი[6] ბრძანებაჲ[7] მთავართაჲ[8], ჴმა-ნი იგი ურჩულოთა ჰურიათანი[9], რომელნი ღაღადებდეს, ვითარმედ: **„ჯუარს-აცუ, ჯუარს-აცუ ეგე!"**, ჯუარცუმაჲ, სამშჭუალნი[10] იგი, რომლითა დაემსჭუალნეს წმიდანი იგი და უბიწონი და ცხოველს-მყოფელნი ჴელნი და ფერჴნი მისნი, ლახუარი იგი, რომლითა განეღო საღმრთოჲ იგი[11] გუერდი მისი, სასუმელი იგი ძმრისა და ნავღლისაჲ, რომელი ასუეს მას, კიცხევაჲ[12] იგი წარმართთაჲ[13], სიცილი იგი მათი, რომელნი თანაწარჰვიდოდეს[14] და იტყოდეს:

---

1 დამკვიდრება B

2 შემოსა B

3 კაცება B

4 შობა B

5 ეკლისა B

6 იგი- B

7 ბრძანება B

8 მთავართა B

9 ურიათანი B

10 სამსჭუალნი B

11 იგი - B

12 კიცხევა B

13 წარმართთა B

14 წარვიდოდეს B

„უკუეთუ ძე ხარ ღმრთისაჲ, გადამოჯედ[1] მაგიერ ჯუარით და ვირწმუნოთ შენი" *(შდრ. მ. 27.39),* და სხუანი იგი ვნებანი, რომელნი ჩუენთჳს თავს-ისხნა: ჯუარცუმაჲ და სიკუდილი და სამსა დღესა სამარესა შინა დაფლვაჲ, ჯოჯოხეთს [A220r]შთასლვაჲ, და მერმე კუალად იჳსენებდ ნაყოფთა მათ, რომელნი გამოვიდეს ესევითართა მათ ვნებათაგან, ესე იგი არს: აღდგომაჲ[2] მკუდრეთით, ჯოჯოხეთისა და სიკუდილისა[3] წარმოტყუენვაჲ[4], სულნი იგი[5], რომელნი აღდგეს უფლისა თანა, ზეცად ამაღლებაჲ, მარჯუენით მამისა დაჯდომაჲ[6], დიდებაჲ[7] იგი და პატივი უზეშთაეს ყოვლისავე მთავრობისა და ჴელმწიფებისა და ყოვლისავე სახელისა, რომელი სახელ-ედების ყოველთავე ანგელოზთა, თაყუანისცემაჲ პირმშოსა მას წინაშე შესუენებულთასა, მიზეზისა მისთჳს ვნებათაჲსა[8], სიტყჳსა[9] მისებრ მოციქულისა, რომელი იტყჳს[10]: **„ვითარმედ ესე ზრახვაჲ იზრახებოდა თქუენ შორის, რომელიცა ქრისტე იესუჲს[11] მიერ, რომელი-იგი ხატითა ღმრთეებისაჲთა იყო, არა[12] ნატაცებად შეირაცხა სწორ ღმრთისა[13] ყოფაჲ[14], არამედ თავი თჳსი წარმოაცალიერა და ხატი მონებისაჲ[15] შეიმოსა და მსგავს**

1 გარდამოჯედ B

2 აღდგომა B

3 სიკუდილისაჲ B

4 წარმოტყუენვა B

5 იგი - B

6 დაჯდომა B

7 დიდება B

8 ვნებათასა B

9 სიტყვის B

10 იტყვის B

11 იესოს B

12 არა B

13 ღმრთისაჲ B

14 ყოფა B

15 მონებისა B

კაცთა იქმნა და ხატითა იპოვა, ვითარცა კაცი; დაიმდაბლა თავი თვსი და იქმნა მორჩილ, ვიდრე სიკუდილამდე სიკუდილითა მით ჯუარისაჲთა[1], ამისთჳსცა იგი ღმერთმან უმეტესად აღამაღლა და მიანიჭა მას სახელი უზეშთაესი ყოვლისა სახელისაჲ[2], რაჲთა სახელისა მიმართ იესუ ქრისტჱსისა[3] ყოველი მუჴლი მოდრკეს ზეცისათანი და ქუესკნელთანი" *(ფილ. 2.5-10).*

აჰა ესერა, იხილე, თუ პირველთქუმულთა მათ ვნებათა მიზეზმან ვითარსა სიმაღლესა აღიყვანა საუფლოჲ იგი კაცი.

10. ხოლო აწ უკუეთუ სურვილითა და გონებითა დაუვიწყებელითა ესე გულისსიტყუანი გაქუ[A220v]ნდენ გულსა შინა შენსა, ვერ გეუფლოს შენ სიმწარისა და რისხვისა და გულისწყრომისა ვნებაჲ, რამეთუ რაჟამს-იგი საფუძველნი ამპარტავნებისანი სიმდაბლითა მით ქრისტესითა, რომელსაცა იგონებ, დაირღუენ[4], მერმე მათ თანა ყოველივე იგი სახლი უკეთურისაჲ[5] დაიქცეს ადვილად, – რისხვაჲ და გულისწყრომაჲ, რამეთუ რომელიმცა გული იყო ესრეთ ფიცხელ და მსგავს კლდისა, რომელიმცა იგონებდა მარადის ესეზომსა მას მხოლოდშობილისა ძისა ღმრთისა ჩუენთჳს სიმდაბლესა და პირველთქუმულთა მათ ვნებათა თავსდებასა[6] და არამცა შეიმუსრა და არამცა ლმობიერ-იქმნა და არამცა დამდაბლდა და არამცა მიწა და ნაცარ და დასათრგუნველ კაცთა იქმნა ნეფსით თჳსით?

ხოლო რაჟამს-იგი ესრეთ დამდაბლდეს და შეიმუსროს სული სიმდაბლისა მის უფლისაჲსა[7] ხედვითა, რომელიღა[8]

---

1 ჯვარისათა B

2 სახელისა B

3 იესო ქრისტესისა B

4 დაირღვენ და B

5 უკეთურთა B

6 თავსდებათა B

7 უფლისაჲ B

8 რომელთა B

გულისწყრომაჲ[1] შემძლებელ იქმნას[2] უფლებად მისსა, ანუ რომელმან მრისხანებამან, ანუ რომელმან სიმწარემან სძლიოს მას? არამედ, ვითარცა ჩანს, ვითარმედ **დავიწყებაჲ** კეთილთაჲ [B45r] ამათ და ცხოველსმყოფელთა გულისსიტყუთაჲ და მისი იგი მოყუასი **დაჴსნილებაჲ,** და მათი შემწე და მეგობარი **უგულისხმოებაჲ,** სამნი ეს უღრმესნი და უშინაგანესნი ვნებანი სულისანი, ძნიად საპოვნელნი იგი და ძნიად გამოსაძიებელნი[3] და ძნიად საძლეველნი. ესე მანქანებითა მით და ღონისძიებითა მათითა სულსა დააბნელებენ და [A221r] ესრეთ სხუათა მათ ვნებათა საყოფელად ჰყოფენ მას, რამეთუ რაჟამს-იგი მოვიდის სული **უდებებად** და **უშიშობად** ღმრთისად, მიერითგან ყოველნი ვნებანი ჰპოვებენ მის შორის შესავალსა და ადვილად ეუფლებიან მას და დაიმკჳდრებენ მის შორის, რამეთუ რაჟამს-იგი დაბნელდეს სული **დავიწყებისა** მიერ ბოროტისა და **დაჴსნილობისა** მიერ მძჳნვარისა[4] მის ვნებისა და **უგულისხმოებისგან,** რომელი-იგი მშობელი არს ყოველთავე ბოროტთაჲ, მერმე ყოველივე, რაჲცა ბოროტი იხილოს გინა ესმას გინა მოეგონოს, ადვილად შეემსჭუალვის[5] მას უბადრუკი იგი და დაბრმობილი გონებაჲ, და უკუეთუ შუენიერებაჲ დედაკაცისაჲ იხილოს, მეყსეულად განიგურიმების[6] გულისთქუმითა ჴორცთაჲთა, რამეთუ ესრეთ დაინერგების მის შორის ჴსენებაჲ იგი ვნებულადხილულისაჲ მის და გამოიცადის პირი იგი წურთითა მით[7] გონებასა შინა და შეიგინებინ ვნებული იგი და[8] უბადრუკი სული[9] სულთა მათ მიერ სიძვისათა.

---

1 გულისწყრომა B

2 იქმნა B

3 და ძნიად გამოსაძიებელნი - B

4 მძვინვარისა B

5 შეემსჭულვის B

6 განგურიმებისა B

7 ~ წურთითა მით პირი იგი B

8 და არა წმინდა B

9 ~ სული უბადრუკი B

11. და მერმე, მიერითგან უკუეთუ იყვნიან ჯორცნი იგი პოხილ და ჭაბუკ, ანუთუ უნოტიესრე იყვნიან ესევითარითა მით ჯსენებითა, ადრე აღიძრიან ვნებულად, და აღასრულიან საქმჱ[1] თჳსი აღძრვითა მით გულისთქუმისაჲთა, ანუთუ მრავალგზის ძილსა შინა გინათუ მღჳძარედცა აღასრულიან არაწმიდებაჲ და კაცი იგი უბადრუკი, დაღაცათუ ხილულად დედაკაცისადა არაზიარებულ არნ და ქალწულად და წმიდად და უბიწოდ შერაცხილ არნ კაცთა მიერ, და ნუუკუე საგონებელცა არნ, ვითარმედ სისრუ[A221v]-ლესაცა მიწთომილ არს, ხოლო დაფარულთა მეცნიერისა მიერ დაისჯების ესევითარი-იგი, ვითარცა შეგინებული და მემრუშჱ და მეძავი, და სამართლად დაისაჯოს იგი მას დღესა, უკუეთუ არა იგლოვდეს და ტიროდის და გოდებდეს აქავე, და მარხვითა და მღჳძარებითა და დაუცადებელითა ლოცვითა დაადნვნეს ჯორცნი თჳსნი[2], და გონებაჲ თჳსი[3] წმიდათა გულისსიტყუათა ჯსენებითა და წურთითა სიტყჳსა ღმრთისაჲთა განკურნოს და წმიდა-ყოს და შეწიროს ღმრთისა ღირსი სინანული, რომლისა წინაშე ქმნა გინათუ იწუართა ბოროტი, რამეთუ უტყუველ არს ცხოველსმყოფელი იგი ჯმაჲ, რომელი იტყჳს[4], ვითარმედ: „**მე გეტყჳ თქუენ: ყოველმან, რომელმან მიხედნეს დედაკაცსა გულისთქუმით, იმრუშა მან მის თანა გულსა შინა მისსა**[5]“ *(მთ. 5.28)*. ამისთჳს ფრიად უჯმს ჭაბუკთა, რაჲთა, უკუეთუ შესაძლებელ იყოს, ყოვლადვე არა ეუბნნენ[6] დედათა, და უკუეთუ შესაძლებელ იყოს გარეგანცა[7] კაცთა ყოფაჲ[8], უსუბუქე[9] იქმნების ბრძოლაჲ იგი, და უმეტესად

---

1 საქმე B

2 მისნი B

3 მისი B

4 იტყვის

5 თვისსა B

6 ეუბნნენ] ეშუნეს B

7 გარეგანსაცა B

8 ყოფა B

9 უსუბოქე A

გამოცხადნების და გულისხმა-იყოფების, და უფროჲსად[1], უკუეთუ კაცი კეთილად და გამოწულილვით ეკრძალებოდის თავსა თჳსსა და ნაკლულევანად ჭამითა და ნაკლულევანად სუმითა წყლისაჲთა[2] და[3] მღჳძარებითა ფრიადითა და ლოცვითა გარდაიჯადნეს[4] დღენი თჳსნი, და უფროჲსად[5], რაჲთა გამოცდილთა და სულიერთა მამათა თანა იქცეოდის და იყოფოდის, და იგინი უძღოდიან მას, რამეთუ დასანთქმელ არს განუკითხველად[6] მარტოებაჲ და თჳთრჩულობაჲ[7] და უწამებელად ყოფაჲ[8], და ქცევაჲცა[9] გამო[A222r]უცდელთა თანა სულიერისა ბრძოლისათა არაკეთილ არს, რამეთუ ესევითარნი კუალად სხუათა ბრძოლათა სახითა მოინადირებიან, რამეთუ მრავალ არიან მახენი იგი უკეთურისანი და თითოფერითა [B45v] საფრჯითა მისითა სავსე არს ყოველივე ადგილი.

ამისთჳს, უკუთუ შესაძლებელ იყოს ქცევაჲ და უბნობაჲ სულიერთა მამათა თანა, კეთილ არს ესე, რაჲთა კაცსა, დაღაცათუ[10] თჳთ არა აქუნდეს სანთელი იგი ჭეშმარიტისა გულისხმისყოფისაჲ[11] სიჩჩოჲსა[12] მისგან სულიერისა მის[13] ჰასაკისა[14], გარნა ვიდოდეს მის თანა, რომელსა აქუნდეს[15] სანთელი იგი, და ესრეთ არა იპოოს

1 უფროსად B

2 წყლისათა B

3 და - B

4 გარდაიხადნეს B

5 უფროსად B

6 უკითხველად B

7 თვითრჯულობა B

8 ყოფაჲ B

9 ქცევაცა B

10 ~ დაღაცა თვით თუ B

11 გულისხმისყოფისა B

12 სიჩჩოსა B

13 მისგან B

14 ასაკისა B

15 აქუნდეს მისთანა B

ბნელსა შინა და არცა შთავართეს საფრჯეთა და მახეთა და არცა მიეცეს მძჯნვარეთა[1] მათ მხეცთა, განმხრწნელთა სულისათა, რომელნი იქცევიან ბნელსა შინა და რომელნი პოვნენ მას შინა მავალნი თჯნიერ ნათლისა მის საცნაურისა, რომელი გამოვალს სიტყჯსაგან ღმრთისა, წარიტაცებენ მათ და განხრწნიან.

12. ხოლო შენ შვილო, უკუეთუ გნებავს, რაჲთა მოიგო **სანთელი ნათლისა მის საცნაურისაჲ და გულისხმისყოფისა მის სულიერისაჲ** შინაგან შენსა, რაჲთა შეუბრკუმელად შეუძლო სლვაჲ ღრმასა ამას ბნელსა[2] შინა ამის საწუთროჲსასა და წარემართნენ უფლისა მიერ გზანი შენნი, რაჲთა გზაჲ იგი სახარებისაჲ გთნდეს შენ ფრიად, ვითარცა[3] წინაჲსწარმეტყუელი[4] იტყჯს[5]: **„მიძღოდე მე ალაგსა მცნებათა შენთასა, რამეთუ იგინი მნთდეს მე"** ***(ფს. 118.35),*** ესე იგი არს, რაჲთა სარწმუნოებითა მჯურვალითა სრულთა მათ მცნებათა სახარებისათა შეუდგე და რაჲთა იქმნე ვნებათა უფლისათა[6] თანაზიარ სურვილითა მით და ლოცვითა ფრიადითა, [A222v] გიჩუენო[7] შენ ღონე რაჲმე საკჯრველი[8] და სახჱ[9] საქმისა სულიერისაჲ[10], რომელსა არა უჯმს შრომაჲ ანუ მოღუაწებაჲ[11] რაჲმე ჯორციელი, არამედ შრომაჲ[12] სულისა და გონებისაჲ[13] და ცნობაჲ შეკრძალული, შეწევნითა შიშისა და

---

1 მძვინვარეთა B

2 ბნელსა] საშინელსა B

3 ვითარმედ B

4 წინაწარმეტყუელიA

5 იტყვის B

6 უფლისაჲთა B

7 გიჩვენო B

8 სახკვირველი B

9 სახე *B (ასეა ყველგან).*

10 სულიერისა B

11 მოღუაწება B

12 შრომა B

13 გონებისა B

სიყუარულისა ღმრთისაჲთა, და ამით ღონითა ადვილად შეუძლო ძლევად ბანაკსა მას ეშმაკთასა, ვითარცა-იგი ნეტარმან დავით ერთი გმირი მოკლა სასოებითა და სარწმუნოებითა ღმრთისაჲთა *(I მფ. 17.45)*, და ესრეთ ბევრეულსა მას მტერთასა ადვილად სძლიო.

ხოლო სახჱ სიტყჳსა მის ჩუენისაჲ[1] სამნი არიან მტკიცენი იგი და ძლიერნი უცხოთესლთა გმირნი, რომელთა ზედა დამყარებულ არს ყოველივე საცნაურისა მის გოლიათისა – ეშმაკისა ძალი.

ვინაჲთგან[2] იგინი დაეცნენ, მიერითგან ადვილად მოუძ-ლურდეს და მოისრას ყოველივე ძალი უკეთურთა მათ სულთაჲ, ხოლო ძლიერნი იგი[3] უკეთურისა მის გმირნი არიან სამნი იგი პირველთქუმულნი: **უგულისხმოებაჲ**[4], დედაჲ[5] იგი ყოველთავე ბოროტთაჲ; და[6] **დავიწყებაჲ**, მისი იგი მეუღლე და შემწჱ[7], რომელი-იგი მოჰქსოვს შავსა მას ბნელისა მის ღრუბლისა სამოსელსა და მოჰფენს[8] სულსა მას ზედა; და[9] **დაჯსნილობაჲ**, რომელი ორთავე მათ განამტკიცებს და დაამყარებს და ძალ-სცემს მათ და მოიყვანებს სულსა **უდბობად**[10], და მტკიცესა მას უკეთურებასა აღსძრავს[11].

რამეთუ **დაჯსნილობისა** მიერ და **დავიწყებისა**[12] და **უგულისხმოებისა** სხუანი იგი ვნებანი განემტკიცებიან და

---

1 ჩვენისა ესე არს **B**

2 ვინათგან **B**

3 იგი - **B**

4 უგულისხმოებაჲ და **B**

5 დედა **B**

6 და - **B**

7 შემწე მისი **B**

8 მოფენს **B**

9 და - **B**

10 უდებებად **B**

11 აღსძრავს] აღასრულებს **B**

12 დავიწყებისა **B**

განდიდნებიან, რამეთუ ესენი ურთიერ[A223r]თას შემწენი არიან და თჳნიერ[1] ერთმანერთისა ვერ დაემტკიცებიან, და არიან იგი ძლიერნი ძალნი წინააღმდგომისანი[2], რომელთა[3] მიერ ყოველივე მჴედრობაჲ სულთა მათ უკეთურთაჲ განემტკიცების და ნებასა თჳსსა აღასრულებს და თჳნიერ ამათ სამთა სხუანი[4] იგი ვნებანი ვერ განემტკიცებიან[5].

13. ამისთჳსცა, უკუეთუ გნებავს, რაჲთა პირველთქუმულთა მათ ვნებათა მძლე-ექმნე და ბანაკი იგი საცთურთა მათ უცხოთესლთაჲ[6] წარიოტო ადვილად, ლოცვითა და შეწევნითა ღმრთისაჲთა მოვედ გონებასა შენსა და შევედ სიღრმესა გულისა შენისასა და გამოიკულიენ სამნი ესე ძლიერნი ეშმაკისა გმირნი: **დავიწყებასა** ვიტყჳ და **უგულისხმოებასა** და **დაჴსნილობასა,** რომელნი არიან სიმტკიცე ეშმაკთა, რომელთა მიერ სხუანი იგი უკეთურებისა ვნებანი განცხო[B46r]ველდებიან და აღორძნდებიან და განძლიერდებიან სულთა მათ შინა გემოჲსმოყუარეთასა, და კრძალულებითა[7] გონებისაჲთა[8] შეწევნითურთ ღმრთისაჲთ[9] გამოიძიენ და ჰპოვნე[10], რომელნი-იგი მრავალთა მიერ უცნაურ არიან და სხუათა მათ ვნებათა[11] უბოროტეს, და **საჭურველითა მით სიმართლისაჲთა,** რომელნი-იგი წინააღდგომ[12] მათა[13] არიან,

---

1 თვინიერ B

2 წინააღმდგომნი B

3 რომელთა] ძალთა B

4 სხვანი B

5 განემტკიცნებენ B

6 უცხოთესლთა B

7 კრძალულად B

8 გონებისათა B

9 ღმრთისაჲთა B

10 პოვნე B

11 ვნებათასა B

12 წინააღმდგომ B

13 მათდა B

ჯსენებასა ვიტყჳ **კეთილსა,** რომელი-იგი მიზეზი არს ყოველთა კეთილთაჲ, და **გულისხმისყოფასა განათლებულსა,** რომლისა მიერ სული განიფრთხობის და სიბნელესა მას უგულისხმოებისასა განსდევნის თავისაგან[1] თჳსისა, და **გულსმოდგინებასა სათნოსა,** რომელი განჰმზადებს[2] და მიიყვანებს[3] სულსა ცხორებად, [A223v] – ესე **საჭურველნი სათნოებითნი**[4] შეიმოსენ ძალითა სულისა წმდისაჲთა[5] და ყოვლითავე ლოცვითა და ვედრებითა, რაჲთა ესრეთ მჳნედ და ახოვნად ებრძოლო[6] და სძლო სამთა მათ პირველთქუმულთა უკეთურებისა გმირთა, რაჲთა საღმრთოჲსა[7] და კეთილისა **ჯსენებისა** მიერ მარადის იჯსენებდე, რაოდენი[8] არს ჭეშმარიტ, რაოდენი არს პატიოსან, რაოდენი არს მართალ, რაოდენი არს წმიდა, და ესრეთ ყოვლადბოროტი **დავიწყებაჲ**[9] განსდევნო შენგან, ხოლო **განათლებულითა მით გულისხმისყოფითა** სიბნელე იგი **უგულისხმოებისაჲ**[10] უჩინო-ჰყო[11], და კუალად ყოვლადქებულისა **მოსწრაფებისა და გულსმოდგინებისა** მიერ უღმრთოჲ[12] იგი და ბოროტი **დაჯსნილობაჲ**[13] და **უდებებაჲ** სულისაგან შენისა განაძი. ხოლო რაჟამს ესე სათნოებანი არა შენისა ნებისა და ძალისა მიერ, არამედ შეწევნითა ღმრთისაჲთა და ძალითა სულისა წმიდისაჲთა[14]

---

1 თავისაგან] სულისაგან B

2 განამზადებს B

3 მიიყუანებს B

4 სათნოებათანი B

5 წმიდისათა B

6 ებრძოლე B

7 საღთოსა B

8 რავდენი *B (ასეა ყველგან).*

9 დავიწყება Bმოსწრაფებაჲ

10 უგულისხმოებისა B

11 ყოჲ B

12 უღმრთო B

13 დახსილება B

14 წმიდისათა B

ფრიადითა ლოცვითა მოიგნე, ესრეთ შეუძლო პირველთქუმულთა მათ ძლიერთა უკეთურისა გმირისა ძლევად, რამეთუ რაჟამს **გულისხმისყოფაჲ**[1] ჭეშმარიტი და **ჴსენებაჲ**[2] სიტყჳსა ღმრთისაჲ და **მოსწრაფებაჲ**[3] კეთილი მადლითა ღმრთისაჲთა დაემკჳდრნენ სულსა შინა, მერმე ძალი **დავიწყებისაჲ** და **უგულისხმოებისაჲ** და **დაჴნილობისაჲ** მოუძლურდების სულსა მას შინა[4] და არარა იქმნების, და მადლი სუფევნ მის შორის ქრისტე იესუჲს[5] მიერ უფლისა[6] ჩუენისა, რომლისაჲ[7] არს დიდებაჲ[8] და სიმტკიცე აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე ამინ[9].

Rati Sturua

The Old Georgian Translation of the Ascetic Epistle of st. Mark the Hermit

The spiritual works of st. Mark comprises the ascetic epistle sent to Nicolas, the old Georgian translation of which is prepared for scholarly edition and philological investigation for the first time.

---

1 გულისხმისყოფაჲ B

2 ჴსენება B

3 მოსწრაფება B

4 მერმე ძალი დავიწყებისაჲ და უგულისხმოებისაჲ და დაჴნილობისაჲ მოუძლურდების სულსა მას შინა - B

5 ქრისტეს იესოს B

6 უფლისაჲ B

7 რომლისა B

8 დიდება B

9 და უკუნითი უკუნისამდე ამინ - B

ედიშერ ჭელიძე

აქვს თუ არა მამა-ღმერთს არსებობა თავისი თავისგან?

(წმ. იოანე დამასკელის ერთი საღვთისმეტყველო გამონათქვამის შესახებ)

წმ. იოანე დამასკელის «გარდამოცემის» VIII თავში, Migne-ის გამოცემის მიხედვით, მამა-ღმერთის შესახებ ვკითხულობთ:

„მამა უმიზეზოა და უშობელი, არ არის რა იგი არავისგან, შესაბამისად იმისა, რომ **თავისი თავისგან აქვს მას არსებობა**, რადგან არათუ სხვისგან აქვს, რაოდენიც აქვს, არამედ უმალ თვით არის ბუნებითად დასაბამი და მიზეზი ყოველთათვის მათი არსებობისა და არსებობის-რაგვარობისა“.

აი, Migne-ისეული გამოცემის ტექსტი:

Ὁ μὲν γὰρ Πατὴρ ἀναίτιος καὶ ἀγέννητος – οὐ γὰρ ἔκ τινος· **ἐξ ἑαυτοῦ γάρ τὸ εἶναι ἔχει**, οὐδέ τι τῶν ὅσαπερ ἐξ ἑτέρου ἔχει, αὐτὸς δὲ μᾶλλόν ἐστιν ἀρχὴ καὶ αἰτία τοῦ εἶναι καὶ τοῦ πῶς εἶναι φυσικῶς τοῖς πᾶσιν *(PG 94, col. 821 C).*

დამოწმებული ტექსტიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ფრაზა: **ἐξ ἑαυτοῦ τὸ εἶναι ἔχει**, რაც, როგორც ზემორე

თარგმანიდანაც ცხადია, ქართულად ასე გადმოიცემა: **«თავისი თავისგან აქვს მას არსებობა»**.

როგორც ვხედავთ, სავსებით მკაფიოდაა ნათქვამი, რომ **მამას «თავისი თავისგან აქვს არსებობა»**, თუმცა პრობლემურობას ქმნის ის გარემოება, რომ აღნიშნული ფრაზა არაერთგვაროვნადაა დაცული ხელნაწერთა სხვადასხვა ჯგუფში.

ვგულისხმობთ იმას, რომ, ერთი მხრივ, **J. Migne**-ის გამოცემის ძირითად ტექსტში, როგორც ვნახეთ, სწორედ ზემორე მონაცემია სახეზე, ხოლო, მეორე მხრივ, ხსენებული ძეგლის კრიტიკულ გამოცემაში, რაც **Kotter**-ის სახელს უკავშირდება, ძირითად ტექსტში გატანილია იმ ნუსხათა წაკითხვა, რომლებიც სრულიად საპირისპირო აზრის შემცველ გამონათქვამს წამოგვიდგენენ. **Kotter**-თან, კერძოდ, ვკითხულობთ:

Ὁ μὲν γὰρ πατὴρ ἀναίτιος καὶ ἀγέννητος, οὐ γὰρ ἔκ τινος· οὐδὲ ἐξ αὐτοῦ τὸ εἶναι ἔχει, οὐδέ τι τῶν ὅσα ἔχει[1].

აღნიშნული ტექსტი სიტყვა-სიტყვით ასე ითარგმნება:

„მამა უმიზეზოა და უშობელი, არ არის რა იგი არავისგან, **არც თავისი თავისგან აქვს მას არსებობა**, არცთუ – რამ იმათგან, *რაც* აქვს[2]“.

ამრიგად, პირველი მონაცემის მიხედვით, მკვეთრად გაესმის ხაზი იმას, რომ **მამას თავისი თავისგან აქვს არსებობა**, ხოლო, მეორე მონაცემის მიხედვით, ანალოგიური სიმკვეთრითვე ფორმულირებულია დებულება, რომ **მამას არც თავისი თავისგან აქვს არსებობა**.

რომელ წაკითხვას უნდა მიენიჭოს უპირატესობა?

ჩვენეულ თარგმანში, როგორც ზემოთ ვნახეთ, გაზიარებულია **Migne**-ისეული გამოცემის ტექსტი („მამა უმიზეზოა და უშობელი,

---

1 ***Die Schriften des Johannes von Damaskos, herausgegeben vom byzantinischen Institut der abtei Scheyern, II,*** *Ἔκδοσις ἀκριβὴς τῆς ὀρθοδόξου πίστεως,* ***Expositio Fidei, besorgt von P. Bonifatius Kotter, Berlin - New York, 1973, p. 26.***

2 *იგულისხმება, რომ აღნიშნული ტექსტის მიხედვით, მამას არავისგან, მათ შორის არც თავისი თავისგან, არ აქვს* ***არც არსებობა და არც სხვა რამ,*** *რაც კი აქვს.*

არ არის რა იგი არავისგან, შესაბამისად იმისა, რომ **თავისი თავისგან აქვს მას არსებობა**...“[1]), თუმცა თანამედროვე მკვლევართა ნაწილი **Kotter**-ისეულ მონაცემს მიიჩნევს უფრო მართებულად.

რა არის ხსენებულ მკვლევართა (და თვით **Kotter**-ის) არგუმენტი მათეული არჩევანისთვის?

ეს არგუმენტი ერთადერთია, თუმცა, ამასთან, უთუოდ ანგარიშგასაწევი.

საქმე ისაა, რომ **XIII-XIV** სს-ის (და უფრო გვიანდელი ეპოქის) ბერძენ ავტორთა ნაშრომებში პრევალირებს სწორედ ის ვარიანტული მონაცემი, რაც **Kotter**-ის გამოცემის ძირითად ტექსტში გვაქვს და რაც, როგორც აღვნიშნეთ, უარყოფს მამის მიერ არსებობის ქონას საკუთარი თავისგან. ამასთან, მნიშვნელოვანია ხაზგასმა იმაზე, რომ **Kotter**-ისეულ არჩევანს ზურგს უმაგრებს **IX** ს-ის ტექსტობრივი მოწმობა, რაც თავად **Kotter**-თან მითითებული არ არის (**IX** ს-ზე უფრო ადრეულ წყაროს, *ყოველ შემთხვევაში ჩვენ,* ვერ ვაფიქსირებთ). ვგულისხმობთ, კერძოდ, **ნიკიტა ბიზანტიელის** შემდეგ მითითებას:

ὁμολογεῖν μὲν τὸν Θεὸν καὶ πατέρα ἀναίτιον καὶ ἀγέννητον οὐ γὰρ ἔκ τινος· οὐδὲ ἐξ αὐτοῦ τὸ εἶναι ἔχει, οὐδέ τι τῶν ὅσα ἔχει[2] [„ვაღიარებთ ღმერთსა და მამას უმიზეზოს და უშობელს, არ არის რა იგი არავისგან, **არც თავისი თავისგან აქვს მას არსებობა**, არცთუ – რამ იმათგან, რაც აქვს“].

რაც შეეხება **XIII-XIV** სს-ის ზემონახსენებ ავტორებს, მათგან, პირველ რიგში, აღსანიშნია კონსტანტინოპოლის პატრიარქი **იოანე ბეკოსი** *(1275–1282 წწ.),* რომელიც წმ. იოანე დამასკელის ზემორე სიტყვებს ამგვარად ციტირებს:

Ὁ μὲν γὰρ Πατὴρ ἀναίτιος καὶ ἀγέννητος, οὐ γὰρ ἔκ τινος· **οὐδὲ ἐξ αὐτοῦ τὸ εἶναι ἔχει**, οὐδέτι τῶν ὅσα ἔχει [„მამა უმიზეზოა და უშობელი, არ არის რა იგი არავისგან, **არცთუ**

---

1 წმ. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, თბ. 2019, გვ. 60.

2 J. Hergenröther (Ed.), Monumenta graeca ad Photium: ejusque historiam pertinentia, quae ex variis codicibus manuscriptis, Ratisbonae, 1869, p. 90.

თავისი თავისგან აქვს მას არსებობა, არცთუ – რამ იმათგან, რაც აქვს][1].

იგივე ვითარებაა ხსენებულ პატრიარქთან მოპაექრე დიდი ლოგოთეტის **თეოდორე მუძალონის** (XIII ს-ის II ნახევარი) შრომაში, სახელწოდებით: «ბეკოსის მგმობელობათა წინააღმდეგ», რომელშიც ვკითხულობთ:

Ὁ μὲν γὰρ πατήρ, φησίν, ἀναίτιος καὶ ἀγέννητος, οὐ γὰρ ἔκ τινος, **οὐδὲ ἐξ αὐτοῦ τὸ εἶναι ἔχει**· ὁ δὲ υἱός ἐκ τοῦ πατρὸς γεννητῶς. Τὸ δὲ πνεῦμα τὸ ἅγιον, καὶ αὐτὸ μὲν ἐκ τοῦ πατρός, ἀλλ' οὐ γεννητῶς, ἀλλ' ἐκπορευτῶς [„მამა – ამბობს (დამასკელი) უმიზეზოა და უშობელი, არ არის რა იგი არავისგან, **არცთუ თავისი თავისგან აქვს მას არსებობა**, ხოლო ძე მამისგანაა შობითად, სულიწმინდა კი, – ისიც, – მამისგანაა, თუმცა არა შობითად, არამედ გამომავლობითად“][2].

ანალოგიურ ტექსტს ინარჩუნებს ბეკოსის კიდევ ერთი მოწინააღმდეგ **გრიგოლ კვიპრელი** (1241-1290 წწ.), რომელიც თავის შრომაში «სარწმუნოებითი ტომოსის ეკთეზისი ბეკოსის წინაღმდეგ» მიუთითებს:

Ὁ Πατὴρ οὔτε ἐξ ἑτέρου, **οὔτε ἐξ ἑαυτοῦ τὸ εἶναι ἔχει,** αλλ' ἄναρχός ἐστι καὶ ἀναίτιος [„**მამას** არც სხვისგან, **არც თავისი თავისგან არ აქვს არსებობა**, არამედ დაუსაბამოა და უმიზეზო“][3].

საგულისხმოა, აგრეთვე, თესალონიკის მტროპოლიტის **ნილოს კაბასილასის** (1357–1363 წწ.)[4] მითითება იმის შესახებ, რომ **მამა არ არის «საკუთარი თავისგან»** (ἐξ ἑαυτοῦ), ვინაიდან ეს რომ ასე

---

1 *PG 141, col. 588 C.*

2 *ΔΗΜΗΤΡΑ ΣΑΜΑΡΑ, ΘΕΟΔΩΡΟΣ ΜΟΥΖΑΛΩΝ Βιοεργογραφική μελέτη, ΘΕΣΣΑΛΟΝΙΚΗ, 2014, σ. 84.*

3 *PG 142, col. 237 D. შდრ. ΙΣΤΟΡΙΑ ΤΟΥ ΣΧΙΣΜΑΤΟΣ ΤΗΣ ΛΑΤΙΝΙΚΗΣ ΕΚΚΛΗΣΙΑΣ ΑΠΟ ΤΗΣ ΟΡΘΟΔΟΞΟΥ ΕΛΛΗΝΙΚΗΣ ΥΠΟ ΑΝΔΡΟΝΙΚΟΥ Κ. ΔΗΜΗΤΡΑΚΟΠΟΥΛΟΥ ΑΡΧΙΜΑΝΔΡΙΤΟΥ, ΕΝ ΛΕΙΨΙΑι, 1867, σ. 82.*

4 *ბერძნ.* ***Νεῖλος Καβάσιλας.***

ყოფილიყო, **IGBI**, ხსენებული ღვთისმეტყველის აზრით, ერთდროულად იქნებოდა «მიზეზოვანიც და მომიზეზეც (მიზეზიც) თავისი თავისა» (καὶ αἰτιατὸν καὶ αἴτιον ἑαυτοῦ[1]).

კიდევ უფრო გვიანდელი ავტორებიდან მივუთითებთ **წმ. ნიკოდიმე მთაწმინდელს** *(1749-1809 წწ.)*, რომელიც მკაფიოდ აღნიშნავს:

მამას „**არ** აქვს არსებობა სხვისგან, **არცთუ თავისი თავისგან**“ *(შდრ.* δὲν ἔχει τὸ εἶναι ἀπὸ ἄλλον, ἀλλ’ **οὔτε ἀπὸ τὸν ἑαυτόν του**[2]*)*.

ამრიგად, ნათელია, რომ **Kotter**-ისეულ ტექსტს საკმაო დადასტურება მოეპოვება **IX-XVIII** სს-ის ავტორებთან.

მიუხედავად აღნიშნულისა, როგორც უკვე მივუთითებდით, წმ. იოანე დამასკელის «გარდამოცემის» ჩვენეულ თარგმანში უპირატესობა მინიჭებული გვაქვს **Migne**-ისეული ტექსტისათვის.

თითქოს უცნაურია, მაგრამ ჩვენი არჩევანის არგუმენტიც იგივეა, რაც **Kotter**-ისა: **ტექსტობრივი მოწმობანი**.

განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ **Kotter** (და მისი არჩევანის მომხრე მკვლევრები) ყურადღებას ძირითადად აქცევენ **იმ ტექსტობრივ მოწმობებს, რაც სახეზეა XII ს-იდან** *(ნიკიტა ბიზანტიელის მოწმობა მათ მიერ საერთოდ არ არის მითითებული)*, ხოლო ჩვენთვის

---

1 *Κωνστ. Λιάκουρα, Η περί της εκπορεύσεως του Αγίου Πνεύματος διδασκαλία του Νείλου Καβάσιλα, Αθήνα 1997, σ. 43 (ix. internet-versia: 423844352-Η-Περί-Της-Εκπορεύσεως-Του-Αγίου-Πνεύματος-Διδασκαλία-Του-Νείλου-Καβάσιλα-1.pdf). აღსანიშნია, რომ კ. ლიაკურა ნილოსის წყაროდ უთითებს დამასკელის ტექსტის* **Kotter**-*ისეულ გამოცემას (Ibid. n. 16). ყურადღებას მივაქცევთ შემდეგსაც: კაბასილას მითითება იმაზე, რომ გამოთქმა «თავის თავისგან» მამას წარმოგვიდგენს მიზეზად და მიზეზოვნად, თავის ერთ-ერთ საღვთისმეტყველო საფუძვლად შესაძლოა განიკუთვნებდეს იმ მინაწერს, რაც ნიკიტა ბიზანტიელის ზემოდამოწმებულ სიტყვებს ახლავს ხელნაწერის აშიაზე:* ὡς αἴτιος αὐτὸς ἑαυτοῦ [«*როგორ თვით მიზეზი თავისი თავისა*»], *J. Hergenröther (Ed.), Monumenta..., p. 90.*

2 *იხ. ΜΑΡΙΟΥ ΠΕΤΡ. ΠΕΤΡΙΔΗ, Η ΠΕΡΙ ΤΡΙΑΔΙΚΟΥ ΘΕΟΥ ΔΙΔΑΣΚΑΛΙΑ ΤΟΥ ΑΓΙΟΥ ΝΙΚΟΔΗΜΟΥ ΤΟΥ ΑΓΙΟΡΕΙΤΟΥ, ΘΕΣΣΑΛΟΝΙΚΗ, 2012, σ. 41.*

უფრო არსებითია **ის მოწმობანი, რაც წინ უსწრებს XII ს-ს** ანუ **რაც უადრესია**, ვინაიდან, როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, მონაცემთა სხვაობის შემთხვევაში, ურყევი ტექსტოლოგიური თეზისის შესაბამისად, უპირატესობა ენიჭება სწორედ ქრონოლოგიურად უადრეს მონაცემს.

საქმე ისაა, რომ დამასკელის ზემორე სიტყვები ასახულია არა მხოლოდ **XI** ს-ის შემდგომ ავტორებთან, არამედ, როგორც ზემოთ ვნახეთ, უფრო ადრინდელ მოღვაწეებთანაც. რა სურათი იკვეთება მათთან?

იკვეთება ის, რომ **XII ს-ის წინმსწრები საეკლესიო მოღვაწეები**, განსხვავებით ზემოდამოწმებული გვიანდელი ავტორებისგან, უფრო მეტად **მხარს უჭერენ სწორედ იმ ტექსტს, რაც Migne-სთან გვაქვს და რასაც მიჰყვება ჩვენი თარგმანი**.

მართლაც, თუ, ერთი მხრივ, **ნიკიტა ბიზანტიელის** ზემომოტანილი მოწმობა **Kotter**-ის არჩევანს უდგას გვერდით, მეორე მხრივ, **XI** ს-ის ცნობილი საეკლესიო ავტორი და ფილოსოფოსი **მიქაელ პსელლოსი** (1017-1078 წწ.) თავის შრომაში «მრავალგვარი მოძღვრება» (Διδασκαλία παντοδαπή) **Migne**-ისეული ტექსტის მართებულობას გვიდასტურებს:

„**მამა** უმიზეზოა და უშობელი, ვინაიდან არ არის იგი ვინმესგან, არამედ **თავისი თავისგან აქვს არსებობა**“ *(შდრ.* Ὁ μὲν **Πατὴρ** ἀναίτιος [*გამოცემაშია მცდარად* ἄρτιος] και ἀγέννητος, οὐ γὰρ ἐκ τινος, ἀλλ᾽ **ἐξ ἑαυτοῦ τὸ εἶναι ἔχει**[1]*)*.

ამავე ტექსტს იცავს **წმ. ექვთიმე მთაწმინდელი** *(955-1028 წწ.)*, რომლის «წინამძღუარშიც» მკაფიოდ ვკითხულობთ:

„მამაჲ უმიზეზო არს და უშობელ, რამეთუ არავის სხჳსაგან არს, **არამედ თავით თჳსით აქუს არსებაჲ**“[2].

ასევე, **წმ. ეფრემ მცირე**, რომელმაც დამასკელის «გარდამოცემა» **XI** ს-ის **80**-იან წლებში თარგმნა ქართულად, ამგვარ ტექსტს გვაწვდის:

---

1 *PG 122, col. 693 C.*

2 *წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი, წინამძღუარი (სარწმუნოებისათვის), თ. ჭყონიას და ნ. ჩიკვატიას გამოც. თბ. 2007, გვ. 55.*

„**მამაჲ** უმიზეზო არს და უშობელ, ვინაჲთგან არავისგან არს, **არამედ თავით თჳსით აქუს ყოფაჲ**“[1].

უთუოდ ხაზგასასმელია, რომ წმ. იოანე დამასკელი მოცემულ შემთხვევაში, როგორც ჩანს, ეფუძნება V ს-ის უდიდეს ასკეტ ღვთისმეტყველს, **წმ. დიადოქოს ფოტიკელს**, რომლის ავთენტურ «ხილვაშიც», **საღვთო გამოცხადების კვალობაზე**, ღვთის შესახებ ამგვარი დებულებაა მოწოდებული:

„არათუ წარმოშობის გზით განსრულდა **იგი**, არამედ **თავისი თავისგან აქვს არსებობა**“ *(შდრ.* οὐ γὰρ ἀπὸ γενέσεως ἀπετελέσθη, ἀλλ’ **ἐξ αὐτοῦ [ἑαυτοῦ] τὸ εἶναι ἔχει**[2]*)*.

ხსენებულ სწავლებას თანხვდება **ნეტარი იერონიმეს** (340-420 წწ.) მითითებაც:

„ამრიგად, ღმერთს, რომელიც მარადის ჰგიეს, არსაიდან აქვს სათავე და **თავად არის დასაბამი თავისი თავისა**“ (Deus vero qui semper est, nec habet aliunde principium, et **ipse sui origo est**[3]).

გარდა აღნიშნულისა, კონკრეტულად დებულება იმის შესახებ, რომ **«მამას თავისი თავისგან აქვს არსებობა»** დასტურდება იოანე დამასკელამდე გაცილებით ადრეც, კერძოდ **345 წ-ის კართაგენის კრების ე. წ. «მრავალმუხლოვან» ანუ «მაკროსტიქულ» მრწამსში**, რომლის ტექსტიც **წმ. ათანასე ალექსანდრიელმა** შემოგვინახა. საგულისხმოა იმაზე ხაზგასმა, რომ ხსენებული «მრწამსის» საკუთრივ აღნიშნული დებულება არც წმ. ათანასეს, არც რომელიმე სხვა წმინდა მოძღვარს კამათის საგნად არ გაუხდია. თვით დებულება ასეთი სახისაა:

---

1 *წმ. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, გამოსაცემად მოამზადეს რომან მიმინოშვილმა და მაია რაფავამ, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო მ. რაფავამ, ბერძნულიდან თარგმნა ედიშერ ჭელიძემ, თბ. 2002, გვ. 47.*

2 *В. Бенешевич, "Видение" Диадоха, епископа Фотикийского в Эпире, СПБ, 1908, с. 6.*

3 *Hieronymus Stridonensis, Commentaria in Epistolam ad Ephesios, 2, III (PL 26, 489 A).*

„ვუწყით **ღმერთი და მამა** მხოლოდშობილისა, – **მხოლოდ ის თავისი თავისგან არსებობის მქონე**“ (... οἴδαμεν, **τὸν θεὸν καὶ πατέρα τοῦ μονογενοῦς, τὸν μόνον μὲν ἐξ ἑαυτοῦ τὸ εἶναι ἔχοντα**[1]. *შდრ. ინგლ. თარგმ.* we know ... the God and Father of the Only-Begotten, solely **having existence from himself**[2]).

და ბოლოს, აღსანიშნია, რომ **სწორედ Migne-ის ტექსტია სახეზე «გარდამოცემის» თარგმნათა აბსოლუტურ უმრავლესობაში**. მაგალითად:

ლათ.

Pater quippe causam non agnoscit, estque ingenitus. Non enim ex quoquam est (a seipso enim habet ut sit) nec quidquam eorum quae habet, ab alio habet, *PG. 94, col. 822-823.*

ინგლ.

For the Father is without cause and unborn: for He is derived from nothing, but **derives from Himself His being,** nor does He derive a single quality from another, *Nicene and Post-Nicene Fathers: Second Series, Volume IX, Hilary of Poitiers, John of Damascus, edited by* ***Philip Schaff****, New York, 2007, p. 9;*

მეორე ინგლ.

For the Father is uncaused and unbegotten, because He is not from anything, but **has His being from Himself** and does not have from any other anything whatsover that He has, *St. John of Damascus, Writings, Transl. by F. H. Chase, Jr. [The Fathers of the Church, Volume 37]), New York, 1958, p. 184;*

გერმ.

Denn der Vater ist ohne Prinzip und ungezeugt, er ist aus keinem, **er hat das Sein aus sich,** und von allem, was er besitzt, hat er nichts von einem andern., *Des Johannes von Damaskus genaue Darlegung des orthodoxen Glaubens. Aus dem Griechischen übersetzt von Dr. Dionys Steinhofer, München 1923, s. 22;*

---

1 *PG 26, col. 729 C.*

2 *The 345 Council at Antioch and the Macrostitch Creed (Creed of the Long Lines), http://jeltzz.blogspot.com/2013/07/the-345-council-at-antioch-and.html.*

ფრანგ.

Le Père est sans cause et non-engendré; il n'est pas de quelque chose; **il tient l'être de lui-même**; rien de ce qu'il a, il ne l'a d'un autre., *St. Jean Damascène, Exposé Précis de la Foi Orthodoxe, suivie de Défense des icônes, Préface de Mgr Jean Kovalevsky, Traduction, introduction et notes du Dr E. Ponsoye, Editions des «Cahiers Saint-Irénée», 1966 – http://www.kerit.be/pdf/3024512-Oeuvres-de-St-Jean-Damascene.pdf, p. 17;*

რუს.

Ибо Отец – безвиновен и нерожденный, потому что не есть от кого-либо, так как **бытие имеет от Самого Себя**, и из того, что только имеет, ничего не имеет от другого, *Преподобный Иоанн Дамаскин, Точное Изложение Православной Веры, Издательство Сретенского монастыря, Москва, Пер. А. Бронзова, 1894 (repr. 2003) с. 42;*

მეორე რუს.

ибо Отецъ безвиновенъ и нарожденъ, потому что не есть отъ кого-либо, но **Самъ отъ Себя имѣетъ бытіе** и изъ того, что имѣетъ, ничего не имѣетъ отъ другого;, *Преподобный Иоанн Дамаскин, Точное изложение православной веры, Полное собрание творений св. Иоанна Дамаскина, Т. I, СПб. Духовная академия, 1913, с. 171*[1].

---

1 *ზემორე თარგმანებისგან განსხვავებულია მესამე რუსული თარგმანი, რაც 2002 წ-ს გამოიცა. მასში საერთოდ არ არის გამოკვეთილი,* ***აქვს*** *თუ* ***არ აქვს*** *მამას არსებობა* ***თავისი თავისგან,*** *ხაზგასმულია რა მხოლოდ ის, რომ* ***მას არავისგან*** *აქვს არც არსებობა და არც სხვა რამ, რაც კი აქვს. ეს გარემოება ცხადყოფს, რომ ხსნებული რუსული თარგმანი ეფუძნება ბერძნული ტექსტის იმ მონაცემს, რაც* ***მესამე ვარიანტს*** *ქმნის და რაც Migne-ის მიერ სქოლიოშია ჩატანილი. ამ მესამე [ნეიტრალურ] მონაცემში გამოტოვებულია სწორედ ის წინდებულიანი ნაცვალსახელი, რაც აზრთა სხვადასხვაობის მიზეზი გახდა. ვგულისხმობთ იმას, რომ აღნიშნულ* ***მესამე ვარიანტში*** *დაკლებულია* **ἐξ ἑαυτοῦ** *(«თავისი*

ყოველივე ზემოთქმული, ვფიქრობთ, თვალნათლივ აჩვენებს, რომ ტექსტობრივი მართებულობის კუთხით უპირატესობა უნდა მიენიჭოს სწორედ იმ მონაცემს, რომელშიც ხაზგასმულია **მამის არსებობა საკუთარი თავისგან**.

მაგრამ ხომ არ ქმნის ამგვარი აზრი იმ ცთომილების აღმოცენების საფუძველს, რომლის მიხედვითაც მამა-ღმერთი შეიძლება წარმოჩნდეს მიზეზად თავისი თავის არსებობისა ანუ იყოს ერთდროულად მიზეზოვანიც (მიზეზის შედეგიც) და მომიზეზეც (განმაპირობებელი მიზეზიც)?

ეჭვი არაა, სწორედ ამგვარი გაგების აღმოსაფხვრელად მოხდა დამასკელისეული ტექსტის შეცვლა (ან შეკვეცა) შემდგომი ეპოქის ღვთისმეტყველთა მხრიდან, ვინაიდან გამონათქვამი **ἐξ αὐτοῦ [ἑαυτοῦ** («თავისი თავისგან») მათ მიერ აღქმული იქნა სწორედ მიზეზობრივი გამომდინარეობის შინაარსით, თუმცა აღნიშნული გამონათქვამის ჭეშმარიტი რაობა ნაკლებად უშვებს მსგავსი გააზრების შესაძლებლობას.

მართლაც, თუ გამონათქვამი **«მამას არსებობა აქვს თავისი თავისგან»** ნიშნავს იმას, რომ მამა არის მიზეზიც (სათავეც) და შედეგიც თავისი თავისა, მაშინ, ***წმ. დიადოქოს ფოტიკელის ზემოდამოწმებული ღვთივეშეფებითი გამონათქვამის კვალობაზე,*** ანალოგიური გაგება უნდა დავუკავშიროთ ყოვლადწმინდა სამებასაც, რაც,

---

თავისგან»), *ისევე როგორც წინადადების დამაბოლოებელ მონაკვეთში* – **ἐξ ἑτέρου** ***(«სხვისგან»).*** *შესაბამისად, სახეზეა შემდეგი ტექსტი:* Ὁ μὲν γὰρ Πατὴρ ἀναίτιος καὶ ἀγέννητος, οὐ γὰρ ἔκ τινος **τὸ εἶναι ἔχει**, οὐδέ τι τῶν ὅσα ἔχει [=«ვინაიდან მამა უმიზეზოა და უშობელი, რადგან **არ აქვს ვინმესგან არსებობა**, არცთუ რამ იმათგან, რაოდენიც აქვს»], *შდრ.* Ибо Отец — *безвиновен* и нерожден, ведь Он не от кого-либо и **не имеет от кого-либо ни бытие**, ни что-либо из того, что Он имеет, *Творения преподобного Иоанна Дамаскина, Источник знания, Перевод с древнегреческого и комментарии Д. Афиногенова, А. Бронзова, А. Сагарды, Н. Сагарды, М. Индрик, 2002, с. 169.* *დავმენთ, რომ* ***ანალოგიური [ნეიტრალური] ტექსტი გვაქვს არსენისეულ თარგმანშიც.***

ცხადია, შეუძლებელია, ვინაიდან როდესაც ხსენებული მოღვაწე დებულებითად ამბობს: **ღმერთს (სამებას) „თავისი თავისგან აქვს არსებობა“** *(შდრ.* οὐ γὰρ ἀπὸ γενέσεως ἀπετελέσθη, ἀλλ' **ἐξ αὐτοῦ [ἑαυτοῦ] τὸ εἶναι ἔχει**[1]*)*, რათქმაუნდა, გამოირიცხება ამ უწყების იმგვარად გაგება, თითქოსდა ღმერთი იყოს მიზეზოვანიც და მომიზეზეც (მიზეზიც) თავისი თავისა.

მაშ, რა არის დამასკელისეული გამონათქვამის მართებული აზრი?

მხოლოდ ის, რაც ესოდენ ცხადად არის გამოკვეთილი **წმ. ექვთიმე ათონელის** თარგმანში და რასაც მიჰყვება **წმ. ეფრემ მცირეც**.

კარგადაა ცნობილი ექვთიმეს განსაკუთრებული მწვდომელობითი აღქმა სათარგმნი ტექსტისა, რაც გვაძლევს იმ საკვირველ შედეგს, რომ ეს უდიდესი ღვთისმეტყველი ერთდროულად გვევლინება **მთარგმნელადაც და განმმარტებლადაც** *(იხ. თუნდაც მისგან თარგმნილი თექვსმეტსიტყვედი წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველისა).* ამ შემთხვევაშიც, ხსენებული ათონელი მოღვაწე ზემორე ბერძნულ გამონათქვამს გადმოსცემს არა კალკირებულად **«თავისი თავისგან»**, როგორც მოსალოდნელი იყო (*შდრ.* **ἐξ ἑαυτοῦ**), არამედ მცირედით განსხვავებულად: **«თავით თჳსით»** (*კვლავ შდრ.* „არავის სხჳსაგან არს, **არამედ თავით თჳსით აქუს არსებაჲ**“), ხოლო ძველი ქართული **«თავით თჳსით»** სხვა არაფერია, თუ არა ახალქართული **«თავისთავად»**.

ამრიგად, წმ. ექვთიმე ათონელის თარგმანის მიხედვით, დამასკელის მიერ საუბარია მხოლოდ იმაზე, რომ **«მამას თავისთავად აქვს არსებობა»** ანუ **იმი** არავისგან **არც იშვება** (ძისებრ), **არც გამოდის** (სულისებრ).

მართლაც, როდესაც ხსენებული მოძღვარი ესოდენ ვრცელ განმარტებას უძღვნის **მამის აბსოლუტურ უმიზეზობას** და ზემორე ციტატის დასაწყის ნაწილშიც სწორედ ამას გახაზავს ყველაზე უფრო მეტი სიმკვეთრით (**«ხოლო მამა უმიზეზოა...»**), როგორ

***1** В. Бенешевич, "Видение" Диадоха, епископа Фотикийского в Эпире, СПБ, 1908, с. 6.*

შეიძლებოდა, რომ მას იქვე სწორედ მიზეზობრიობის გაგება ჩაედო გამონათქვამში **«თავისი თავისგან» (ἐξ ἑαυτοῦ)** და ის ეგულისხმა, რომ ყოველგვარ მიზეზობრიობაზე აღმატებული მამა-ღმერთის ჰიპოსტასი თითქოსდა უნდა ყოფილიყო მიზეზიც და მიზეზოვანიც (ნამიზეზევიც) თავის თავისა?

ამრიგად, უნათლესია, რომ გამოთქმა **«თავისი თავისგან»** წმ. იოანე დამასკელის მიერ გამოყენებულია აბსოლუტურად **ზემიზეზობრივად** ანუ **ყოველგვარ მიზეზობრიობაზე ყოვლითურთ აღმატებულად**, რასაც ზედმიწევნით გამოხატავს ექვთიმესეული **«თავით თჳსით»** ანუ თანამედროვე ქართული **«თავისთავად»**, ხოლო ეს ტერმინი, რათქმაუნდა, სავსებით დაკანონებული შესატყვისია, ერთი მხრივ, **ბუნებითი ღმერთისა** (ყოვლადწმინდა სამებისა), ვინაიდან **ღმერთი, ღმრთეება, ცხადია, თავისთავადი არსებობის მქონეა**, ხოლო მეორე მხრივ, *სამებისეულ ჰიპოსტასთა ურთიერთმიმართების კონტექსტში,* **საკუთრივ მამა-ღმერთისა**, ვინაიდან განსხვავებით ძისა და სულისგან, **მამის ჰიპოსტასი არც ვინმესგან იშვება, არც ვინმესგან გამოდის,** არამედ **მას თავისთავად** *(ე. ი. უშობლად და გამომავლობის გარეშე)* **აქვს არსებობა.**

Edisher Chelidze

Does God-Father Have His Being from Himself?

(Concerning one theological expression of st. John of Damascus)

The theological issue related to the being of God-Father is discussed by the author of the article. The fact is made clear that the text of Migne (Ὁ μὲν γὰρ Πατὴρ ἀναίτιος καὶ ἀγέννητος – οὐ γὰρ ἔκ τινος· **ἐξ ἑαυτοῦ γάρ τὸ εἶναι ἔχει,** οὐδέ τι τῶν ὅσαπερ ἐξ ἑτέρου ἔχει,) is more correct than that of Kotter (Ὁ μὲν γὰρ πατὴρ ἀναίτιος καὶ ἀγέννητος, οὐ γὰρ ἔκ τινος· οὐδὲ ἐξ αὐτοῦ τὸ εἶναι ἔχει, οὐδέ τι τῶν ὅσα ἔχει).

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის
გამომცემლობა
2020

დაიბეჭდა გამომცემლობა «მერიდიანში»
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №47
E-mail: info@meridianpub.com